შოთა ფაფიაშვილი

კრიმინალისტიკა

ტომი II

დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2007

უაკ (UDC) 343
ფ 326

წიგნში გამოკვლეული და გადმოცემულია კრიმინალისტიკური ტაქტიკის ყველა ძირითადი საკითხი და მისი როლი დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე ასპირანტებს, კრიმინალისტიკის საგნის ლექტორებს, დოქტორანტებს, სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკოს მუშაკებს და მეცნიერების ამ დარგის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მიმართულების ასოცირებული პროფესორი **რეზო გოგშელიძე**

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, ასოცირებული პროფესორი **ნუგზარ გაბრიჩიძე**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ვარლენ სიმონიშვილი**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007
© შ. ფაფიაშვილი

ISBN 99940-46-28-4 (ტომეული)
ISBN 99940-46-63-2 (ტომი IV

ШОТА ГЕОРГИЕВИЧ ПАПИАШВИЛИ

КРИМИНАЛИСТИКА том II

ТАКТИКА РАСКРЫТИЯ ПРЕСТУПЛЕНИЙ

В книге исследованы и переданы все основные вопросы криминалистической тактики и ее роль в деле раскрытия и предупреждения преступлений.

Работа предназначена для студентов юридического факультета высших учебных заведении в качестве учебника. Книга окажет также большую помощь аспирантам, докторантам, молодым лекторам предмета криминалистики, практическим работникам правоохранительных органов и лицам, заинтересованным в изучении этой отрасли науки.

Редактор: кандидат юридических наук, ассоциированный профессор уголовного права и уголовного процесса ТГУ ***Резо Гогшелидзе***

Рецензенты: кандидат юридических наук, член Верховного суда Грузии, главный советник юстиции, профессор ***Нугзар Габричидзе*** *кандидат юридических наук, ассоциированный профессор* ***Варлен Симонишвили***

Издательство „Меридиани“, Тбилиси 2007

SHOTA PAPIASHVILI

criminalistics V 2

CRIME DETECTION TACTIS

This book studies and presents the principal issues of criminalistical tactics and their role in solution and prevention of crime.

The work is designed for law faculty students of higher education institutions. It will as well assist past-graduate students, lecturers of criminalistics, staft of law enforcement bodies and persons interested in studying this branch of science.

Edotor: ***Rezo Gogshelidze****, PHD, associated professor of directions of criminal law and criminal law process, Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

Reviewers: ***Nugzar Gabrichidze****, PHD, Member of the Supreme Court of Georgia, chief State councellor of Jystice, professor.* ***Varlen Simonishvili****, PHS professor.*

Meridiani Publishers, Tbilisi 2007

რედაქტორისაგან

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიმინალისტიკური მეცნიერება პრაქტიკოსი მუშაკებისათვის ნამდვილი კომპასია, უტყუარი მრჩეველი და მიმართულების მიმცემი სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკებისათვის. ამიტომაც მის სწავლებას უდავოდ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა პოლიციის აკადემიაში და, საერთოდ, ყველა უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართველ მეცნიერთა დაუღალავი შრომა იმ მიმართებით, რომ შესაფერისი თეორიული ბაზა შეუქმნან მომავალ იურისტებს კრიმინალისტიკაში. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის, პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მოღვაწეობა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული მეცნიერების განვითარების საქმეში. მან გაამდიდრა კრიმინალისტიკა ისეთი ორიგინალური, ღირებული მონოგრაფიებით, როგორიცაა: „მექრთამეობის გამოძიება“, „დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში“, „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები“, „კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია“, „სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა“, „მკვლელობისა და გაუპატიურების გახსნის მეთოდიკის პრობლემები“ (თეორია და პრაქტიკა), „კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი)“, „კრიმინალისტიკა, ტ. III. დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა“ და სხვა. ამას გარდა, დაწერილი აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია და დამხმარე სახელმძღვანელო.

წინამდებარე სახელმძღვანელო სტუდენტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები მათში შეტანილი უახლესი ცვლილებებით. ამასთანავე, თვით კრიმინალისტიკის მეცნიერებამაც განიცადა ევოლუცია, რაც, რა თქმა უნდა, კანონზომიერი პროცესია.

ნაშრომში ორიგინალურადაა დასმული და გააზრებული რიგი

საკითხები, კერძოდ, განსხვავებით წინა წლების სახელმძღვანელოებისაგან, ახლებურადაა წარმოდგენილი კრიმინალისტიკური ტაქტიკის ნაწილი, რომელიც შემდეგ თემებს შეიცავს: კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება, არსი და მნიშვნელობა; მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ; გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა; დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნება და მნიშვნელობა; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა კრიმინალისტიკური ტაქტიკის სისტემაში; ძებნის წარმოების ტაქტიკა; ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების ტაქტიკა; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა; მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკა; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა; ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა; საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღების ტაქტიკა; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა; ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა; ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა და შემოწმების ჩატარების ტაქტიკა.

მოცემულ ნაშრომს ამდიდრებს ისიც, რომ მასში საკმაოდ საფუძვლიანადაა განხილული და გადმოცემული მეცნიერების ამ რთული დარგის გამოყენებისათვის პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცალკეულ თემებზე პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობებისა და საქმიანი თამაშების ჩატარების ტაქტიკურ-მეთოდოლოგიური საკითხები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნაშრომის პირველმა გამოცემამ სტუდენტი-ახალგაზრდობისა და პრაქტიკოს მუშაკთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს მეორე გამოცემა კიდევ უფრო მეტ მოწონებას დაიმსახურებს, რადგან იგი გადამუშავებული და კანონმდებლობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობაშია მოყვანილი.

ვფიქრობთ, სახელმწიფო აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე სტუდენტი-ახალგაზრდობა, დოქტორანტები, ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლები და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები წინამდებარე სახელმძღვანელოს სახით კარგ საჩუქარს მიიღებენ.

თავი I. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება. არსი და მნიშვნელობა

§1. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება და ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში

ა) კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება, მიზნები და ამოცანები. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ კრიმინალისტიკური ტაქტიკის ნაცვლად ხმარობენ საგამოძიებო ტაქტიკას.[1] ზოგიერთი კი ამ ორ ცნებას ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობს.[2] რაც არასწორია. რადგან, ჯერ ერთი, მართალია, დანაშაულის გამოძიების მთავარი ორგანიზატორი და წარმმართველი გამომძიებელია და იგი ახდენს გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო მტკიცებულებების შეკრებას, საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებასა და დამთავრებას, მასზე საბრალდებო დასკვნის შედგენასა და პროკურორისათვის მის წარდგენას დასამტკიცებლად; უშუალოდ ასრულებს საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სახის პროცესუალურ მოქმედებებს და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართალწარმოებაში, სხვა მონაწილეებთან შედარებით, გამომძიებელს ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკუთვნის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს, რომ კრიმინალისტიკის ამ ვრცელ, მნიშვნელოვან განყოფილებას ვუწოდოთ „საგამოძიებო ტაქტიკა" და იგი გამომძიებლის კუთვნილებად ვაქციოთ.

„საგამოძიებო ტაქტიკა" თავისი არსითა და გაგებით უფრო ვიწრო ცნებაა და მისი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გამომძიებელი. „კრიმინალისტიკური ტაქტიკა" კი შედარებით ფართო ცნებაა და მისი სუბიექტები შეიძლება იყვნენ პროცესის სხვა მონაწილეებიც. მაგალითად, ცნობილია, რომ კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებულ ხერხებსა და მეთოდებს, დანაშაულის გამოძიების პროცესში, ასევე წარმატებით იყენებს ოპერატიული მუშაკი, პროკურორი და სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. ე.ი. კრიმინალის-

---

[1] იხ. А. Н. Васильев, Следственная тактика. М., 1976; Коммисарев В.Н. Научные, правовые и нравственные основы следственной тактики. Саратов, 1980 და სხვ.

[2] იხ. კრიმინალისტიკა, ტ. II, თბ., 1995, გვ. 5 რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა. თბ., 2004, გვ. 22-23. და სხვ.

ტიკური ტაქტიკის გამომყენებელ სუბიექტთა წრე უფრო ფართოა და იგი მარტოოდენ გამომძიებლით არ შემოიფარგლება.

მეორეც, წინასწარი გამოძიების პროცესში გამოსაყენებელ მტკიცებულებათა აღმოჩენის, მათი ფიქსაციისა და გამოკვლევის ხერხებსა და მეთოდებს, გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების პროცესის მთელ ჰიპოთეზურ მოდელს თავისი ვრცელი განშტოებებით უშუალოდ ქმნის და იმუშავებს კრიმინალისტიკური მეცნიერება და ამ გაგებით იგი კრიმინალისტიკის საგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი განყოფილებაა და არა მისი დამოუკიდებელი დარგი. ამიტომ უფრო სწორი და ლოგიკურია, რომ კრიმინალისტიკის ამ ნაწილს კვლავ ტრადიციულად ვუწოდოთ „კრიმინალისტიკური ტაქტიკა".

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ვხვდებით ისეთ გამოთქმებსაც, რომლითაც კრიმინალისტიკური ტაქტიკა მიჩნეულია კრიმინალისტიკური მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად. ასეთი შეხედულება არასწორია. იგი შეიძლება ითქვას, ანარეკლია გასული საუკუნის 40-50-იანი წლების იმ ზოგიერთი პროცესუალისტისა და კრიმინალისტის არასწორი შეხედულებისა, რომლითაც ცდილობდნენ მოეხდინათ კრიმინალისტიკური მეცნიერების დანაწევრება, დაჩეხვა ცალკეულ დარგებად და იგი წარმოეჩინათ არა როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი დარგი იურიდიული მეცნიერებისა, არამედ ცალკეული დარგების სახით. ასე მაგალითად, პროფ. მ.სტროგოვიჩის აზრით, კრიმინალისტიკა არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის დანაშაულის გამოძიების მეთოდებს. აქედან კრიმინალისტიკური მეცნიერების იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლის დანაშაულთა გამოძიების ტექნიკურ ხერხებსა და საშუალებებს, იგი მიიჩნევდა სამეცნიერო-ტექნიკურ დისციპლინად. კრიმინალისტიკურ ტაქტიკას კი იგი თვლიდა კრიმინალისტიკის დამოუკიდებელ დარგად, სისხლის საპროცესო დისციპლინად, სისხლის სამართლის პროცესის გაგრძელებად ან მის სპეციალურ კურსად.[1] ასეთსავე აზრს ავითარებდა პროფ. ბ. ფურცხვანიძე ქართულ ენაზე გამოცემულ სისხლის სამართლის პროცესის დამხმარე სახელმძღვანელოში.

კრიმინალისტიკური მეცნიერების არსისა და საგნის სისტემის ასეთი არასწორი ახსნის, მისი ასეთი დამახინჯების საფუძვლიანი კრიტიკა ჯერ კიდევ ადრე, მოგვცეს პროფ. ნ.ვასილევმა, მ.მიტრიჩევმა

---

[1] Строгович М.С.,Курс советского уголовного процесса. М., 1958, 54-55.

და სხვ.[1], რომლებმაც საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს კრიმინალისტიკური საგნის ერთიანობა, მისი სისტემა. მათი აზრით, კრიმინალისტიკური ტექნიკა, კრიმინალისტიკური ტაქტიკა და ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა ქმნის კრიმინალისტიკური მეცნიერების ერთიან განუყოფელ დარგს — კრიმინალისტიკას.

თავისთავად კრიმინალისტიკა, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა, არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ერთი მთლიანი დარგი, რომელიც შეისწავლის და იკვლევს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების კვლევის მეთოდოლოგიას, ტექნიკას, ტაქტიკასა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკას. ამიტომ კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცალკე დამოუკიდებელ დარგად აღიარება არასწორია.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკის საგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მჭიდრო განუყოფელ კავშირშია კრიმინალისტიკის საგნის სხვა განყოფილებებთან.

დანაშაულის გამოძიების შემეცნების პროცესში დასაშვები ტაქტიკური ხერხები და მეთოდები პირობითად შეიძლება დავყოთ **ორ ჯგუფად**. აქედან **პირველს** უნდა მივაკუთვნოთ გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების ის ჰიპოთეზური გზები და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, რომელთა სწორი დასახვა და შემოწმება დანაშაულის გახსნის ერთ-ერთი საუკეთესო საწინდარია; **მეორეს** — ის ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენება უფრო ეფექტურს ხდის გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებს.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, **პირველს** უნდა მივაკუთვნოთ მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების, მათი აგებისა და შემოწმების ჰიპოთეზური გზები; გამომძიებლის რთული, შრომატევადი საქმიანობის ორგანიზაციული ხასიათის ისეთი ტაქტიკური ხერხები, როგორიცაა: გამოსაძიებელი კონკრეტული ხერხებისა და მასზე ჩასატარებელი ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა; დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნება, არსი და მნიშვნელობა; გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი და სხვ. **მეორეს** — ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებ-

---

[1] Васильев А.Н., Введение в криминалистику. МГУ, 1962. da sxv.

ის ის ტაქტიკური ხერხები, მეთოდები და საშუალებები, რომელთა გამოყენება თავისი შედეგებით კიდევ უფრო ეფექტურს ხდის საქმეზე ჩასატარებელ თითოეულ ამ პროცესუალურ მოქმედებას და საბოლოოდ ხელს უწყობს გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის გახსნასა და მომავალში მსგავსი დანაშაულებრივი შემთხვევის თავიდან აცილებას.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის უმთავრესი მიზანია მეცნიერული კვლევის ხერხებითა და მეთოდებით შეიარაღოს და უზრუნველყოს ოპერატიული სამსახურისა და წინასწარი გამოძიების და, საერთოდ, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, რომ მათ თავიანთ რთულ მიზანდასახულ საქმიანობაში უფრო ეფექტურად გამოიყენონ კრიმინალისტიკური ტაქტიკის საერთო და კერძო სპეციფიკური ხერხები და მეთოდები და ამით წარმატებით გაართვან თავი მათ წინაშე მდგომი ამოცანის — გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სწრაფ, სრულ გახსნასა და მსგავსი დანაშაულებრივი შემთხვევის თავიდან აცილებას. ამასთან, დანაშაულის გამოძიების პროცესში გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხები და საშუალებები მეცნიერულად უნდა იყოს შემოწმებული და დასაბუთებული, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნებსა და ეთიკურ ნორმებს.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის მიერ შემუშავებული ხერხები და რეკომენდაციები ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსამართლეთა მიერ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების შემთხვევაში.

მაშასადამე, კრიმინალისტიკური ტაქტიკის ძირითადი მიზანია უფრო ეფექტური გახადოს გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს საქმიანობა კანონით დადგენილი პროცესუალური ნორმების შესრულების დროს სისხლის სამართალწარმოების პროცესში სხვა მონაწილეებთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა მომიჯნავე მეცნიერების მიღწევების ზოგადი დებულებების, საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადებისა და საკუთრივ შემუშავებული კვლევის სპეციალური მეთოდების საფუძველზე, საპროცესო კანონმ-

დებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქმნის და შეისწავლის გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის სარეკომენდაციო ხასიათის ისეთ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა სწორი, თანმიმდევრული გამოყენება ხელს უწყობს საგამოძიებო საქმიანობის ოპტიმალურად სწორად წარმართვას, გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებების შეკრებას, მის სწრაფ, სრულ გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

ბ) ***კრიმინალისტიკური ტაქტიკის ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში.*** კრიმინალისტიკური მეცნიერების საგნის სისტემაში კრიმინალისტიკურ ტაქტიკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი არის კრიმინალისტიკური ტაქტიკისა და დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი შუალედური რგოლი. ნათქვამის სრულყოფისათვის შეიძლება მოვიშველიოთ და შემდეგი სახის პარალელი გავავლოთ: იმ ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებსაც ქმნის და შეისწავლის კრიმინალისტიკური ტაქტიკა თავისი უახლესი მიღწევებით, სრულიად უსაგნო და არაფრისმთქმელი იქნებოდა გამოსაძიებელ საქმეზე ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში გამოყენების გარეშე.

მაგალითად, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებულ საგამოძიებო-ოპერატიული ფოტოგრაფიის სპეციალური ფოტოგადაღებების ხერხების კრიმინალისტიკურ შესწავლას, თუ არ მოვახდენდით მის პრაქტიკულ გამოყენებას შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს (საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური სახის ფოტოგადაღების, ან მასშტაბური და მსხვილმასშტაბური სახის ფოტოგადაღების და სხვ.), ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში (ტელეობიექტივების გამოყენებით ფარულ, ანუ დეტექტიური სახის ფოტო და ვიდეოგადაღებას და სხვ.). ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება (დამნაშავეთა ცხელ კვალზე მიდევნება, მათზე ფარული თვალთვალის წარმოება და სხვ.) და შემთხვევის ადგილის დათვალიერება კი მთელი თავისი ტაქტიკური ხერხებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ კონკრეტული სახის დანაშაულის გამოძიების დროს, ანუ, უფრო სწორად, კრიმინალისტიკის საგნის მეხუთე ნაწილში — „დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა-

ში“ გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული სახის დანაშაულის გამოძიების პროცესში.

კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში კრიმინალისტიკური ტაქტიკა კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკას შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება. **კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტაქტიკის მიღწევები თავიანთ პრაქტიკულ რეალიზაციას სწორედ ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში პოულობენ.** ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალისტიკური ტაქტიკა გენეტიკურ კავშირშია კრიმინალისტიკურ ტექნიკასა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკასთან და მათი ურთიერთდაცილება არ შეიძლება.

ბ) ტაქტიკური ხერხების ცნება. როგორც ცნობილია, ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ზოგად წესს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, იგი კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული და გამოძიების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს დაცული შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს. მაგრამ საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს და ვერც დაადგენს იმას, თუ საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულ წესთან ერთად რა სახის ტაქტიკური ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული, რომ გამოძიებით მივაღწიოთ სასურველ შედეგს – გამოსაძიებელი შემთხვევის სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

მაგალითად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს გამომძიებლის ან პროკურორის მიერ არა უმეტეს ორი დამსწრის მონაწილეობით და, რომ „შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საგანი და დოკუმენტი, აგრეთვე კვალის ტვიფარი და ანაბეჭდი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს“, (სსსკ-ის 335-ე მუხ.). მაგრამ კანონმდებელი არ იძლევა და ვერც მოგვცემს იმის რეკომენდაციას, თუ თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ შემთხვევაში რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული ხელის თითების უჩინარი კვალის (ანაბეჭდების) გამოსავლინებლად და როგორ უნდა მოვახდინოთ მათი გამოვლინება-დამუშავება და შემდეგ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ იგი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის. მასში ასევე არაფერია ნათქვამი შემთხვევის

ადგილის დათვალიერების დროს იმ ტაქტიკური ხერხების (შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიმოხილვითი, სტატიკური და დინამიკური სტადიების) შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება იქ არსებული ლატენტური კვალებისა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენა-გამორკვევა და სხვ.

ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საკმაოდ ვრცლად და დეტალურადაა რეგლამენტირებული დაკითხვის წესი და ამ საკითხისადმი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მრავალი მუხლია მიძღვნილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონმდებელი არ იძლევა და ვერც მოგვცემს იმ რეკომენდაციებისა და ტაქტიკური ხერხების ერთობლიობას, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს დასაკითხი პირისაგან სწორი, ობიექტური ჩვენების მიღებას, მის მიმართ ყოველგვარი ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების გამოყენების გარეშე და სხვ. ყოველივე ეს კრიმინალისტიკური ტაქტიკის კუთვნილებაა და იგი ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში ჩასატარებელ სხვა მოქმედებათა წარმოების დროს.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრალური საკითხია თვით ტაქტიკური ხერხის ცნება, რომელიც თავისი ბუნებით არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, არ უნდა სცილდებოდეს ეთიკურ ნორმებს, უნდა იყოს კანონიერი და მეცნიერულად დასაბუთებული. **ტაქტიკური ხერხის ცნებაში იგულისხმება ქცევის ის წესი, ანუ მოქმედების ის სახე, ის საშუალება რა გზითა და საშუალებითაც გამომძიებელი აღწევს გამოსაძიებელ საქმეზე სასურველი შედეგის, ანუ, უფრო სწორად, საქმეზე უტყუარი მტკიცებულებების მიღებას.** მაგრამ, ცხადია, გამომძიებლის ასეთი მოქმედება ან უმოქმედობა არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, უნდა იყოს მეცნიერულად გაანალიზებული და დასაბუთებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დადგენილ პროცესუალურ და ეთიკურ ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნორმების დარღვევით მიღებული მტკიცებულება სასამართლოს მიერ არ იქნება მიჩნეული მტკიცებულებად და ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.

დ) საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკის არსი და მნიშვნელობა. ტაქტიკური ხერხების შერჩევა ხდება და თავს იჩენს არა მარტო გამომძიებლის მიერ გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოებისას, არამედ ჩასატარებელი საგა-

მოძიებო მოქმედებების ჩატარების თანმიმდევრობისას და ამავე მიზნით საქმეზე ჩასატარებელი ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ღონისძიებათა სახეობის განსაზღვრის, მათი ჩატარების დროისა და თანმიმდევრობის საკითხის გარკვევა-გადაწყვეტის დროსაც. ამიტომ არასწორია და ვერ გავიზიარებთ იმ კრიმინალისტების შეხედულებებს, რომლებიც კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნებაში იხილავენ მხოლოდ გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა შეკრებისა და გამოკვლევის მიზნით წარმოებულ ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში გამოსაყენებელ მეცნიერულად დასაბუთებულ და რეკომენდებულ ტაქტიკურ ხერხებს.[1]

ყოველი კონკრეტული დანაშაულის (მათ შორის ერთგვაროვანი დანაშაულის) გამოძიება იწყება არა ერთი და იმავე სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით, არამედ მათი შერჩევა და ჩატარების თანმიმდევრობა უნდა მოხდეს პირველადი მონაცემების საფუძველზე. მაგალითად, მექრთამეობის საქმეებზე, ერთ შემთხვევაში, პირველადი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სახით შეიძლება მოგვევლინოს ეჭვმიტანილის დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების აუცილებლობა, მეორე შემთხვევაში, მოწმის დაკითხვა, ეჭვმიტანილის დაკითხვა და სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება და სხვ.

ტაქტიკური ხერხი თავისი მოცულობითა და დანიშნულებით შეიძლება კიდევ უფრო ფართო იყოს, ვიდრე საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა თანმიმდევრობისა და დროულობის საკითხის გარკვევა. მაგალითად, გამოძიების დაგეგმვა, როგორც გამომძიებლის სწორი, მიზანდასახული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარეგულირებელი საშუალება, სხვა არა არის რა, თუ არა გამოძიების საერთო ტაქტიკური ხერხი და სხვ.

ამ ზოგადი ტაქტიკური ხერხების გარდა, კრიმინალისტიკური ტაქტიკა შეისწავლის და ადგენს იმ ტაქტიკური ხერხების ერთობლიობას, რომლებიც კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში, საგამოძიებო მოქმედებით დასახული მიზნის მისაღწევად საკითხების სწორი, თანმიმდევრული დაყენებით; აგრეთვე დაკითხვის პროცესში, დასაკითხი პირისაგან სწორი

---

[1] იხ. Криминалистика. Учебник, под ред. проф. А.Г.Филиппова. М, 1998, 223.

ჩვენების მისაღებად, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების წარდგენის თანმიმდევრობის საკითხის გარკვევა და მისი თანმიმდევრული წარდგენა მასში ფსიქოლოგიური გარდატეხის მოსახდენად, როცა იგი დაჟინებით ცდილობს თავისი არასწორი ჩვენების მიცემით გზა აუბნიოს გამოძიებას და სხვ.

მაშასადამე, კრიმინალისტიკური ტაქტიკა ქმნის და შეისწავლის ტაქტიკური ხერხების მთელ არსენალს, რომელთაგან გამომძიებელმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს ის, რომლის უპირატესობასა და შედეგიანობაშიც თვითონაა დარწმუნებული.

ე) ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია. კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებული ხერხები თავიანთი მოცულობის, დროის, დანიშნულების, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თანმიმდევრობის და ამ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების თავისებურებათა მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის და არათანმიმდევრული გამოყენების. ამის შესაბამისად კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებული ყველა ტაქტიკური ხერხი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1) **ზოგადი, ანუ საერთო მნიშვნელობის ტაქტიკური ხერხი,** რომელსაც უნდა მიეკუთვნოს გამოძიების ისეთი საერთო ტაქტიკური ხერხი, საშუალება და მეთოდი, როგორიცაა: გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების ჰიპოთეზური (ვერსიების კვლევის) მეთოდები; გამოსაძიებელი შემთხვევის მიმართ გამოსაყენებელი ორგანიზაციული ხასიათის ტაქტიკური ხერხები. კერძოდ, გამოსაძიებელი საქმისა და მასზე ჩასატარებელი ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დაგეგმვა; გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის მუშაკთა ურთიერთკავშირი დანაშაულთა გამოძიებისა და ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში; დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის საკითხის გარკვევა და მათი გათვალისწინება ტაქტიკური ხერხების შერჩევის დროს და სხვ.;

2) **კერძო, ანუ ისეთი ტაქტიკური ხერხები, რომლებიც მიმართულია ცალკეული, კონკრეტული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების თანმიმდევრობის შერჩევაში** და

3) **დეტალური სახის ტაქტიკური ხერხები,** რომლებიც თავიანთ პრაქტიკულ გამოყენებას პოულობენ ცალკეული, კონკრეტული სახის

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში სწორი, ობიექტური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

მოცემული ზემოაღნიშნული ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაციის გარდა, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში შეიძლება შეგხვდეს სხვა სახის კლასიფიკაციაც. მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ პროფ. ნ.იაბლოკოვის რედაქციით 1999 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში ტაქტიკური ხერხები თავიანთი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით დაყოფილია შემდეგნაირად:

1) გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების დასადგენად გამოსაყენებელი ხერხები კრიმინალისტიკური ინფორმაციის აღმოჩენისა და გამოკვლევის გზით;

2) ტაქტიკური ხერხები, რომლებიც მიმართულია და გამოიხატება ურთიერთზემოქმედების ეფექტურობის დადგენის მიზნით საქმეში მონაწილე პირთა გამოძიებაში ჩაბმის, მათთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების, მათი ქცევისა და მიმართულების ოპტიმალური ტაქტიკური ფორმების გამოყენების ზემოქმედებით და

3) ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებების სახით.[1]

3) ტაქტიკური ხერხების ლოგიკური ბუნება და კრიმინალისტიკური ტაქტიკის კვლევის საგანი. კრიმინალისტიკური ტაქტიკა თავისი ზოგადი დებულებების, ტაქტიკური ხერხების ცნებისა და კლასიფიკაციის და გამოძიების პროცესში მათი გამოყენების თავისებურებების გარდა, შეისწავლის კვლევის ისეთ დარგებს, როგორიცაა: გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა; მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ; გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ურთიერთკავშირი დანაშაულთა გამოძიების პროცესში; ძებნა და ამ მიმართებით წარმოებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი; დანაშაულთა გამოძიების პროცესში შემეცნების სპეციალური ხერხების – სპეციალისტისა და ექსპერტიზის გამოყენების ფორმები, მეთოდები და ექსპერტის დასკვნის შეფასება; საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშების აღების ტაქტიკა; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა; დაკითხვის ტაქტიკა; ამოსაცნობად წარდგენის ტაქტიკა; საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა; დათვალიერების ჩატარების

---

[1] Криминалистика.Учебник, под ред. проф.Н.П. Яблокова. М., 1999, 355-356.

ტაქტიკა; გვამის ექსჰუმაციის ჩატარების ტაქტიკა; ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების ტაქტიკა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დანაშაულის გამოძიების პროცესში, საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების ან ფაქტის ირგვლივ ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად შეიძლება არა ყველა სახის ტაქტიკური ხერხის გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, დაკითხვის პროცესში ბრალდებულის სახით დასაკითხ პირზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება ან მისთვის ჰიპნოზის გაკეთება და ამ გზით მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება, არამედ ისეთი ტაქტიკური ხერხების შერჩევა და გამოყენება, რომელიც ემყარება ისეთ წმინდა მეცნიერულ დებულებას, რომელიც უარყოფითად არ მოქმედებს დასაკითხი პირის განწყობაზე, მის ჯანმრთელობაზე, მის აზროვნებაზე, მისთვის რაიმე არარეალური, მცდარი შეღავათების გავრცელების დაპირებაზე და სხვ., ისეთი, რომელიც ემყარება კანონიერებას, არ ეწინააღმდეგება ეთიკურ ნორმებს და მეცნიერულად დასაბუთებულია.

ასევე ვერ გავიზიარებთ იმ კრიმინალისტების შეხედულებებს, რომლებიც ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს გვთავაზობენ ეგრეთ წოდებულ „ფსიქოლოგიური გამოჭერის" ხერხების გამოყენებას. ასევე არასწორი და დაუშვებელია, როცა დასაკითხი პირს ამა თუ იმ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ჰპირდებიან მის მიმართ შეღავათების გავრცელებას, სასჯელის შემსუბუქებას ან სასჯელისაგან გათავისუფლებას, ან მისი ახლობლის მიმართ რაიმე სახის შეღავათის გავრცელებას და სხვ.

ამასთან, გამოსაძიებელ საქმეზე დასაშვები ტაქტიკური ხერხების მოდელის ჩამოყალიბებისას, საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული ლოგიკური აზროვნების კანონები, ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდები და ისეთი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გარდატეხა მოახდინონ დასაკითხი პირის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაზე, მისი ნდობის მოპოვებაზე და სხვ. ყოველივე ეს, ცხადია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, პირიქით, იგი უნდა გამომდინარეობდეს მისგან და უნდა იყოს გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო. ამასთან, ტაქტიკური ხერხების შერჩევისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულთა გამოძიების პრაქტიკა და ანალოგიის

პრინციპი, აგრეთვე მეცნიერებების – სისხლის სამართლის თეორიისა და კრიმინოლოგიის ძირითადი დებულებები და სხვ.

ყოველი კონკრეტული დანაშაულის გამოძიების საწყის ეტაპზევე, საქმეზე არსებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ჰიპოთეზური კვლევის მეთოდების გამოყენებით, სასურველია, გამომძიებელმა (მომკვლევმა პირმა) შექმნას გამოსაძიებელი შემთხვევის – დანაშაულებრივი ქმედების წარმოსახვითი მოდელი და მისი ჩადენის მექანიზმის ამხსნელი საპირისპირო მოდელი და მოახდინოს მისი სრული, ყოველმხრივი თანმიმდევრული გამოკვლევა, რა დროსაც სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში არსებული უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, მათ შორის აღმოჩენილ ნივთიერ მტკიცებულებათა მაღალმგრძნობიარე კვლევის მეთოდები, მიკრონაწილაკებისა და გენეტიკური კვლევის მეთოდები და სხვ., აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების პარალელურად სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სხვა ჰუმანიტარული და ბუნებრივი მეცნიერების მიღწევები. ამავე მიზნით სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა დარგის სპეციალისტის აზრი და მათი რეკომენდაციები.

თუ გამოძიების პირველ ეტაპზე შემუშავებული ეს მოდელი გაამართლებს და გამოძიებას სწორ გზაზე დააყენებს, მაშინ საჭიროა მიღწეულის განმტკიცება ახალი მტკიცებულებების მოპოვებითა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრული, ობიექტური გამოკვლევა; საქმეზე საჭირო საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარება – ყველა აუცილებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენებით.

§2. დანაშაულთა „გახსნისა» და „გამოძიების» ცნება, მათი ურთიერთშეფარდებითი მნიშვნელობა

დანაშაულთა გახსნის ტაქტიკისა და მეთოდიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხია დანაშაულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნების სწორად გაგება. ამ საკითხის სრულყოფილ შესწავლა-გამოკვლევას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ

საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისითაც. მით უმეტეს, რომ თეორიასა და პრაქტიკაში მის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვაობა და პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში იგი ჯერ კიდევ ერთიანად არაა გაგებული და მის ირგვლივ დღესაც ცხარე კამათი მიმდინარეობს. დანაშაულთა „გახსნის " ცნებამ საქართველოს ყოვლისმომცველ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც ვერ პოვა სათანადო განმარტება. ეს საკითხი ასევე არასწორადაა გაგებული ოპერატიული სამსახურის მუშაკებისა და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაში. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ და განვიხილოთ დანაშაულთა „გახსნისა" და „გამოძიების" ცნება, მათი არსი და ურთიერთშეფარდებითი მნიშვნელობა.

საქართველოს ადრე მოქმედ სსსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, სისხლის სამართალწარმოების ამოცანად მიჩნეული იყო „დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა". მაგრამ მასში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო გაგებული დანაშაულის „გახსნის" ცნებაში. საქართველოს ახალ სსსკ-ში, რომლის მე-18 მუხლით სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ პრინციპად იქნა აღიარებული „საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა", არაფერია ნათქვამი დანაშაულის გახსნაზე. მასში მხოლოდ ზოგადადაა მითითებული იმაზე, რომ „საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული".

ზემოაღნიშნულმა გარემოებამ, ვფიქრობთ, გარკვეულად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნის ცნების საკითხზე ჯერ კიდევ ადრე პროცესუალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულიყო აზრთა სხვაობა. ასე, მაგალითად, ს. ნოვიკოვი 1970 წელს გამოცემულ სსსკ-ის სამეცნიერო პრაქტიკულ კომენტარებში (გვ. 5-6) ავითარებს აზრს, რომლითაც დანაშაულის სრულ გახსნად მიჩნეულია საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისა და მტკიცების საგნის სხვა გარემოებების გახსნა, დანაშაულის ჩამდენ ყველა დამნაშავე პირთა გამომჟღავნება და მხილება, მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ყველა ეპიზოდის დადგენა, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გარკვევა. ვ. ალექსეევის აზრით კი, დანაშაულის გახსნა ნიშნავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას სინამდვილესთან ზუსტ შესაბამისობაში, ე.ი. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და, რომ დანაშაულის სრული გახსნა გამოიხ-

ატება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ამომწურავ ანალიზში, მტკიცების საგნის კუთვნილ გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევაში, ყველა დამნაშავე პირის გამოვლინებასა და დადგენაში (რსფსრ სსსკ-ის კომენტარები, მოსკოვი, 1976, გვ. 6). ასევე, 1997 წელს გამოცემული რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარებში დანაშაულის გახსნა განმარტებული იყო როგორც საქმის გარემოებების დადგენა სინამდვილესთან ზუსტ შესაბამისობაში, ანუ, უფრო სწორად, დანაშაულის გახსნად მიჩნეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა (გვ. 18-19).

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დანაშაულის გახსნის ცნების შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრება შეიძლება **დავყოთ 4 ჯგუფად: პირველს უნდა მივაკუთვნოთ ის პირები, რომლებიც** დანაშაულის გახსნის ცნებას შედარებით ვიწრო სახით წარმოიდგენენ და **დანაშაულის გახსნად მიიჩნევენ დანაშაულის შემთხვევის გამოვლინებასა და ეჭვმიტანილი პირის დაკავებას; მეორეს — დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენას და ბრალდებულის სახით მის პასუხისგებაში მიცემას; მესამეს — პირები, რომლებიც აუცილებლად მიიჩნევენ საქმეზე მტკიცების ქვემდებარე ყველა გარემოების დადგენას; მეოთხეს — პირები, რომლებიც დანაშაულის გახსნის ცნებაში აერთიანებენ აგრეთვე განაჩენის გამოტანასა და მის კანონიერ ძალაში შესვლას.**

თუ პროცესუალურ ლიტერატურაში დანაშაულის გახსნის ცნების შესახებ აზრთა სხვაობა აღმოცენდა ყოფილ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მიღების შემდეგ, 1958 წლიდან, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ეს აზრთა სხვაობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო ადრინდელი პერიოდიდან იწყება.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველად საბჭოური პერიოდის პირველი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ავტორი (კრიმინალისტიკა, 1929, გვ. 161-162) პროფ. ი. იაკიმოვი შეეცადა მოეცა დანაშაულის გახსნის ცნება. მისი აზრით, დანაშაულის გახსნა არის არაპირდაპირი მტკიცებულების შემწეობით დამნაშავის, მისი ხელყოფის ობიექტისა და დანაშაულებრივი მოქმედების გამორკვევა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს პირდაპირი მტკიცებულება

დანაშაულის ჩადენაზე (მაგალითად, თუ დამნაშავე დააკავეს დანაშაულის ჩადენის დროს და გამოააშკარავეს იქ შემსწრე პირებმა), გამოძიება ასეთ შემთხვევაში, მისი აზრით, მდგომარეობს მხოლოდ მტკიცებულებათა გამაგრებაში. აქ უკვე ლაპარაკი აღარაა დანაშაულის გახსნაზე, რადგან იგი უკვე გახსნილია მისი აღმოჩენის მომენტიდან.

ამრიგად, პროფ. ი. იაკიმოვი დანაშაულის გახსნად მიიჩნევდა დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლინებასა და დამნაშავე პირის გამოაშკარავებას, მისი დანაშაულებრივი ქმედებისა და ხელყოფის ობიექტის დადგენას პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებებით.

დანაშაულის გახსნის ცნება კიდევ უფრო ვიწროდ და არასწორადაა გაგებული და აღქმული ჩვენი დღევანდელი საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკოსი მუშაკებისა და საქართველოს ვიდეოპატრულის საინფორმაციო ცენტრში, საიდანაც ყოველდღიურად ვისმენთ მომხდარ დანაშაულთა სტატისტიკურ მონაცემებს, თითქოს გუშინ თბილისში მოხდა თერთმეტი დანაშაული და აქედან ცხრა უკვე გაიხსნა და ა.შ.

დანაშაულის გახსნის ასეთი გაგება სწორი არაა, რის გამოც მან საერთო აღიარება ვერ მოიპოვა. იგი ჯერ კიდევ ადრე, სრულიად საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული პროფ. ბ.ხარაზიშვილის მიერ 1956 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს განსაკუთრებულ ნაწილში. ამასთან დაკავშირებით იგი მართებულად წერდა: „დანაშაულის გახსნის ცნება სრულიადაც არ არის დამოკიდებული მტკიცებულების სახეზე, მისი გამოყენების ხასიათზე. მარტო არაპირდაპირი მტკიცებულებით რომ იყოს შესაძლებელი დანაშაულის გახსნა, მაშინ საჭირო იქნებოდა დანაშაულის გამოძიების ცნებაში შეგვეტანა მხოლოდ გარკვეული მტკიცებულებანი, რაც, ცხადია, არაფრით არ იქნებოდა გამართლებული“. მისი აზრით, ასევე არასწორია „მტკიცება, რომ თუ დამნაშავეს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, თითქოს აღარ იყოს საჭირო დანაშაულის გახსნა. საგამოძიებო პრაქტიკა იცნობს არაერთ შემთხვევას, როცა დანაშაულის ჩადენის ადგილზე დამნაშავის დაკავებითა და დანაშაულის ჩადენის დროს დამსწრე პირების დაკითხვით არ ყოფილა გამოვლინებული საქმის ყველა გარემოება“ (გვ. 22).

პროფ. ბ.ხარაზიშვილის აზრით, „დანაშაულებრივი მოვლენის გახსნა გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების სრულყოფილად გამოვლინებასა და დადგენას“ (გვ. 23).

როგორც აღვნიშნეთ, დღესაც პროფ. ი. იაკიმოვისებური არასწორი, ვიწრო განმარტებითაა გაგებული დანაშაულის გახსნის ცნება სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს ს.ოსტროუმოვი და ს.პანჩენკო თავის სტატიაში „დანაშაულის გახსნის შეფასების კრიტერიუმი" (ჟურნალი „სოციალისტური კანონიერება", 1976. №9, გვ. 51-53), რომ ახლა სტატისტიკურ ანგარიშებში გახსნილ დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებენ ისეთ დანაშაულს, რომელზეც მოხდა ბრალდების წარდგენა ან ეჭვმიტანილის დაკავება (გვ. 51-52). ასევე ე. მალცევი თავის საკანდიდატო დისერტაციაში „პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკაში" (მოსკოვი, 1969) აღნიშნავდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში „ცხელ კვალზე" მიდევნებით გახსნილად ითვლება ისეთი დანაშაული, როცა დამნაშავე გამოვლენილ იქნა დანაშაულის ჩადენიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

დანაშაულის გახსნის ასეთი გაგება არასწორია. არ შეიძლება დანაშაულის გახსნის კრიტერიუმად მივიჩნიოთ ეჭვმიტანილის დაკავება ან, თუნდაც, დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა და პირისათვის ბრალდების წარდგენა.

პროფ. ვ. ტანასევიჩი თავის ნაშრომში „კრიმინალისტიკის საგნის შესახებ", რომელიც გამოქვეყნდა კრებულში „დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხები" (1976, 24-ე გამოც.), ავითარებდა აზრს, რომლითაც ტერმინი „დანაშაულის გახსნა" უნდა გავიგოთ როგორც სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგნით გათვალისწინებული ყველა გარემოების გამოკვლევა და, საბოლოოდ, საკითხს დანაშაულის გახსნის შესახებ წყვეტს სასამართლო განაჩენის გამოტანისას. ამასთან, იგი იქვე გვთავაზობდა, სისხლის სამართლის პროცესუალურ გაგებასთან ერთად, შემოღებული ყოფილიყო აგრეთვე დანაშაულთა გახსნის კრიმინალისტიკური ცნება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს არა როგორც საბოლოო, არამედ როგორც დანაშაულთა წინასწარი გახსნა.

გ. გერასიმოვი თავის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში, „დანაშაულთა გახსნის თეორიული პრობლემები" (გვ. 18-26), დანაშაულის გახსნას ყოფს 3 ეტაპად. დანაშაულის გახსნის პირველ ეტაპად იგი მიიჩნევს დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი ნიშნების

გამომჟღავნებასა და გამოვლინებას. დანაშაულის გახსნის მეორე ეტაპად იგი მიიჩნევს დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ ცნობების მიღებასა და შეფასებას. დანაშაულის გახსნის მესამე ეტაპად კი იგი მიიჩნევს დანაშაულებრივი შემთხვევის გარემოებებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენას. ამასთან, დანაშაულის გახსნის მეორე, ძირითადი ეტაპის ქვესახედ, ანუ მის ნაირსახეობად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როცა საქმისწარმოება შეჩერებულ იქნა დამნაშავე პირის დაუდგენლობის გამო.

დანაშაულის გახსნის ასეთ ეტაპებად დაყოფის მიუხედავად, იგი მაინც ვერ გასცდა პროფ. ი. იაკიმოვის მიერ ჯერ კიდევ ადრე მოცემული დანაშაულის გახსნის განმარტებას და იგი, მის მსგავსად, დანაშაულის გახსნის კრიტერიუმად მიიჩნევს დანაშაულის გამომჟღავნებას, დანაშაულებრივი შემთხვევის გარემოებებისა და „დამნაშავე" პირის დადგენას, რაც, ჩემი აზრით, არასრულია და იგი გარკვეულ შეკამათებას იწვევს.

ასევე ა. ვასილევი თავის ნაშრომში, „საბჭოთა კრიმინალისტიკის კურსის შესავალი" (გვ. 4), ეხებოდა რა დანაშაულის გახსნის ცნებას, აღნიშნავდა, რომ „დანაშაულის გახსნის ცნებაში უნდა გავიგოთ მხოლოდ დანაშაულის აღმოჩენა და დამნაშავის დადგენა, რაც მთავარია დანაშაულის გამოძიებაში" (გვ. 4).

დანაშაულის „გახსნის" ცნების ასეთი განმარტება არასწორია. იგი ვერ ასახავს მის ნამდვილ ბუნებას, მის არსსა და მნიშვნელობას. ამასთან, იგი ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. არ შეიძლება წინასწარი გამოძიების პროცესში თუნდაც პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დროს ან მის შემდეგ დანაშაული გახსნილად ჩავთვალოთ და პირი დამნაშავედ ვცნოთ. ეს უკანასკნელი სასამართლოს პრეროგატივაა და არა წინასწარი გამოძიების. მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება პირი ცნოს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ. ამიტომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე დანაშაულის „გახსნაში" უნდა გავიგოთ არა მარტო დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლინება, ეჭვმიტანილის დაკავება ან პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ან დანაშაულის შემადგენელი ელემენტების დადგენა, არამედ მისი სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა. იგი გულისხმობს ისეთ გარემოებათა დადგენასაც, რომელთაც დანაშაულის შემადგენლობისათვის შეიძლება მნიშვნელობა არ

ჰქონდეს, მაგრამ მათი როლი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში საკმაოდ დიდი იყოს. მაგალითად, ცნობილია, რომ დანაშაულის შემადგენლობის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მკვლელობა ჩადენილ იქნა ტტ-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან თუ ბრაუნინგის ტიპის იარაღიდან გასროლილი ტყვიის მოხვედრის შედეგად; აგრეთვე იმას, ტტ-ს სისტემის №5556 იარაღიდან გასროლილი ტყვიის შედეგად დადგა დ-ს სიკვდილი, თუ ტტ-ს სისტემის №5898 იარაღიდან. მაგრამ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის მოცემული საკითხის დადგენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში ამ საკითხის დადგენის გარეშე არც შეიძლება საქმის სრულ გახსნაზე ვილაპარაკოთ.

წინასწარი გამოძიების ეტაპზე საქმის სრული გახსნა ნიშნავს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ყოველმხრივ გამოკვლევას, გამოსაძიებელ ფაქტზე მტკიცების საგნისა და ფარგლის სწორად განსაზღვრას, მის შესაბამისად ყველა საჭირო გარემოებათა დადგენას, მათ შორის დანაშაულის ჩადენის იარაღის ჯგუფის, სისტემისა და კუთვნილების დადგენას, იარაღის იდენტიფიკაციას, ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი მიზეზების დადგენას. მაგრამ საბოლოოდ საქმის გახსნილად ცნობა სასამართლოს ფუნქციას მიეკუთვნება.

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გარკვეულ დავას იწვევს აგრეთვე ის, თუ როდის, რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს დანაშაული გახსნილად. მაგალითად, ა.ი.მიხაილოვი და ლ.ა.სერგეევი 1971 წელს ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავოში“ (№4) გამოქვეყნებულ სტატიაში, — „დანაშაულის გახსნის პროცესუალური არსი“, — დანაშაულის გახსნის პროცესუალურ მომენტად მიიჩნევდნენ დადგენილების გამოტანას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ (გვ. 114-115). ასეთსავე აზრს იზიარებდა ი. გერასიმოვი (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 17).

ს. ოსტროუმოვისა და ს.პანჩენკოს სწორი მოსაზრებით, საბოლოოდ, დანაშაული შეიძლება გახსნილად იქნეს ცნობილი სისხლის სამართალწარმოების ამოცანების შესრულების მესამე სტადიიდან, კერძოდ, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ამასთან, იქვე იძლევიან „დანაშაულის გახსნის“ ცნების ვრცელ განმარტებას. კერ-

ძოდ, მათი აზრით, დანაშაულის გახსნა არის წინასწარი გამოძიების ორგანოების მართლზომიერი საქმიანობის განხორციელება სისხლის სამართალწარმოების პირველი ძირითადი ამოცანის — დანაშაულის შემთხვევისა და მისი ჩამდენი პირის გამოვლინების, ამ დანაშაულზე პროკურორის მიერ დამტკიცებული საბრალდებო დასკვნით სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნა და ამ საქმეზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის (ან არარეაბილიტირებულ საფუძველზე საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ დადგენილების) გამოტანა და მის კანონიერ ძალაში შესვლა (გვ. 51).

ასეთსავე სწორ შეხედულებას ავითარებს პროფ. ი.ფ.კრილოვი ლენინგრადის უნივერსიტეტის მიერ 1975 წელს გამოცემულ თავის წიგნში „კრიმინალისტიკისა და კრიმინალისტიკური ექპერტიზის ისტორიის ნარკვევები" (გვ. 7-8).

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გარკვეული დავა წარმოებს აგრეთვე დანაშაულთა „გახსნისა" და „გამოძიების" ცნებათა ტოლფარდობის შესახებ. ამ დავას აქვს არა მარტო წმინდა ტერმინოლოგიური, არამედ თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისითაც დიდი პრინციპული მნიშვნელობა დანაშაულთა „გამოძიებისა" და „გახსნის" სწორად გაგებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ცნებას. ასეთი აზრი გატარებულია ზოგიერთ მონოგრაფიაში, დისერტაციასა და სადისერტაციო ნაშრომების ავტორეფერატებში. ზოგიერთი ავტორი კი, რატომღაც პრიორიტეტს ანიჭებს დანაშაულის „გამოძიებას" ან, პირიქით, — „დანაშაულის გახსნას".

შეხედულებამ, რომლითაც დანაშაულის გამოძიების ცნება უფრო ფართოდაა გაგებული და იგი დანაშაულის გახსნის ცნების მომცველადაა მიჩნეული, უკანასკნელ დროს ერთგვარად გაბატონებული სახე მიიღო და იგი დამკვიდრდა კიდეც რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში, სადაც გახსნის მაგიერ ყველგან მითითებულია გამოძიების მეთოდიკა ან ორივე ერთად, გახსნა და გამოძიება.

დანაშაულის „გახსნისა" და „გამოძიების" ცნებათა არსზე, მათი ურთიერთშეფარდებისა და განსხვავების საკითხზე კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა პროფ.

ბ.ხარაზიშვილმა გაამახვილა ყურადღება თავის 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს განსაკუთრებულ ნაწილში, სადაც მან მოგვცა სწორი, დასაბუთებული მსჯელობა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ცნებათა ურთიერთგანსხვავების შესახებ. მისი აზრით, დანაშაულის გახსნა „სულ სხვა შინაარსის გამომხატველია, ვიდრე დანაშაულის გამოძიება. საქმე ისაა, რომ დანაშაულის გახსნა თავისთავად გამოძიების შედეგად გვევლინება. დანაშაული შეიძლება იყოს გამოძიებული, მაგრამ არ იყოს გახსნილი, მაგრამ თუ დანაშაული გახსნილია, იგი აუცილებლად გამოძიებულიცაა“ (გვ. 19-20). ამ შემთხვევაში, დანაშაულის გახსნა უფრო ფართოდაა გაგებული, ვიდრე დანაშაულის გამოძიება, რადგან ამ უკანასკნელს, თავისთავად, მოიცავს დანაშაულის გახსნა.

ამ მოსაზრებებს პროფ. ბ.ხარაზიშვილი იმეორებს და ავითარებს კიდეც მის მიერ 1969 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (იხ. გვ. 270-273).

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ვხვდებით საწინააღმდეგო მოსაზრებებსაც. მაგალითად, ს.ოსტროუმოვი და ს.პანჩენკო ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ეხებოდნენ რა დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ცნებათა ურთიერთშეფარდებას, აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლება დანაშაულის გახსნა გავაიგივოთ დანაშაულის გამოძიებასთან, რომელიც, რასაკვირველია, ფართოა სისხლის სამართალწარმოების პირველი ამოცანის საქმიანობის განხორციელების მიხედვით.

ჩემი აზრით, ასეთივე არასწორი შეხედულებაა გატარებული უკანასკნელ წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში, სადაც გამოძიების მეთოდიკაზე მსჯელობა იწყება დანაშაულის „გახსნითა და გამოძიებით“, რითაც აშკარად ჩანს, რომ აქ გამოძიებას წინ უსწრებს გახსნა, რაც აშკარად არასწორი და შეუსაბამოა. ზოგიერთი კი ამ ორ სხვადასხვა ცნებას ტოლფარდოვანი მნიშვნელობით ხმარობს.

დანაშაულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნებათა ასეთი ურთიერთშეფარდება, ჩემი ღრმა რწმენით, სადავოა და გარკვეულ შეკამათებას იწვევს.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: განა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება იქნა ჩატარებული,

ყველა გაიხსნა? ცხადია, არა; ეს რომ ასე იყოს, მაშინ ვიტყოდით არა საქმის გაუხსნელობაზე, არამედ საქმის გამოუძიებლობაზე. მაგრამ წარმოუდგენელია, საქმე გახსნილი იყოს და იგი გამოძიებული არ იყოს.

კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენების მიზანი წინასწარი გამოძიების პროცესში სხვა არა არის რა, თუ არა გამოსაძიებელი საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი გამოძიება არის სისხლის სამართალწარმოების ისეთი სახე, რომლის დროსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით რეგლამენტირებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში, კანონიერების მოთხოვნათა დაცვის ფარგლებში, თავის პრაქტიკულ რეალიზაციას პოულობს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების ის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას — საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

მართალია, კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული დანაშაულის გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენება დაიშვება მხოლოდ კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური ნორმების მოთხოვნათა ფარგლებში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის გამოძიების ცნება უფრო ფართო იყოს, ვიდრე დანაშაულის გახსნისა. პირიქით, ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ **დანაშაულის გახსნა უფრო ფართოა, ვიდრე გამოძიება, რომ დანაშაულის გახსნა მოიცავს დანაშაულის გამოძიებასაც. უფრო მეტიც, დანაშაულის გახსნა წარმოუდგენელია გამოძიების გარეშე.**

როცა ვლაპარაკობთ, რომ დანაშაული გახსნილია, მასში ისიც იგულისხმება, რომ იგი გამოძიებულია. მაგრამ, სამწუხაროდ, დანაშაულის გამოძიებას ყოველთვის ვერ მივყავართ დანაშაულის გახსნამდე. პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა გამოსაძიებელ საქმეზე მთლიანად ამოწურულ იქნა მტკიცებულებათა მიღების ყველა პროცესუალური საშუალება, მაგრამ შეკრებილ მტკი-

ცებულებათა უკმარისობის გამო საქმე წარმოებით შეწყდეს ან იგი გაუხსნელი დარჩეს.

საქმის სრული გახსნა ნიშნავს იმას, რომ საქმეზე გამოძიება სრულყოფილადაა ჩატარებული, დადგენილია საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მასზე სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

დანაშაულის „გახსნისა" და „გამოძიების" ცნებათა ურთიერთშეფარდების საკითხის განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელია სწორი – დანაშაულის გახსნისა თუ დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის ცნება და აქედან რომლის ხმარება უფრო მიზანშეწონილია. თუ დანაშაულის გახსნა მოიცავს დანაშაულის გამოძიებასაც, მაშინ ხომ არ სჯობია დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის ნაცვლად ვიხმაროთ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა და საერთოდ დანაშაულის გახსნა?

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტის ამოსავალი თვით კრიმინალისტიკის საგნის განმარტებაში უნდა ვეძიოთ.

კრიმინალისტიკის საგნის პირველ სახელმძღვანელოში ჰანს გროსი კრიმინალისტიკას განმარტავდა როგორც მეცნიერებას დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების შესახებ. ასეთივე განმარტება იყო მოცემული პროფესორ ი. იაკიმოვის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში.

1950 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში კრიმინალისტიკა განმარტებულ იქნა როგორც მეცნიერება დანაშაულის გახსნისათვის გამოსაყენებელ სასამართლო მტკიცებულებათა აღმოჩენის, შეკრების, ფიქსაციისა და გამოკვლევის ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების შესახებ.

1963 წელს „ვიუზის" მიერ გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 7) კრიმინალისტიკა განმარტებული იყო, როგორც მეცნიერება იმ ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესრულებისას მტკიცებულებათა აღმოჩენის, შეკრების, ფიქსაციისა და გამოკვლევისათვის დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით, ანუ, უფრო მოკლედ, კრიმინალისტიკა არის მეცნიერება დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების შესახებ.

იმავე კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ: კრიმინალისტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის შესწავლითა და განზოგადებით, ბუნებრივ და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების აქტიური გამოყენებით შექმნას დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების უფრო სრულყოფილი ხერხები და მეთოდები (გვ. 3).

ასევე, პროფ. ს.პ.მიტრიჩევი 1965 წელს გამოქვეყნებულ თავის მონოგრაფიაში „საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერული საფუძვლები", კრიმინალისტიკას განმარტავს, როგორც სპეციალურ დისციპლინას იმ ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით მტკიცებულებათა აღმოჩენის, შეკრების, ფიქსაციისა და გამოკვლევისათვის (გვ.21). 1988 წელს ქ.მოსკოვში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კრიმინალისტიკა არის მეცნიერება დანაშაულთა გახსნის შესახებ.

მოსკოვში 1998 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში ზემოაღნიშნულ განმარტებას, სხვა გარემოებებთან ერთად, დაემატა მითითება „დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და თავიდან აცილების მეთოდების" შესახებ (გვ.4) და სხვ.

როგორც ვხედავთ, კრიმინალისტიკის ამოცანა ყოფილა დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების უფრო სრულყოფილი ხერხებისა და მეთოდების შექმნა. აქედან გამომდინარე კი, ვინაიდან არსებობს დანაშაულის გახსნის ხერხები და მეთოდები, ცხადია, უნდა არსებობდეს დანაშაულის გახსნის მეთოდიკაც. საერთოდ კი, ჩემი აზრით, თუ კრიმინალისტიკის მიზანია ხელი შეუწყოს დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნასა და ამ მიზნით შექმნას დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ხერხები და მეთოდები, მაშინ უფრო სწორი და ლოგიკურია ვიხმაროთ ტერმინი – „დანაშაულის გახსნის მეთოდიკა" და არა „დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა". მით უმეტეს, რომ დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა სხვა არა არის რა, თუ არა დანაშაულის გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების განზოგადება, რომლის საშუალებითაც ვაღწევთ კრიმინალისტიკის საგნით დასახული მიზნის მიღწევას – დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებას.

ვფიქრობთ, სწორედ ასეთივე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა პროფ.

ბ.ხარაზიშვილი, როცა ჯერ კიდევ ადრე, 1956 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის ქართულ სახელმძღვანელოს უწოდა დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა და არა დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა. მან ასეთივე დედააზრი ჩააქსოვა 1969 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს განმარტებაში, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „კრიმინალისტიკა არის მეცნიერება, რომელიც მოქმედ კანონებსა და საგამოძიებო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეისწავლის დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ტექნიკას, ტაქტიკასა და მეთოდიკას" (გვ.16). ამისდა შესაბამისად ამავე სახელმძღვანელოში კრიმინალისტიკის მეოთხე განყოფილებას უწოდა „დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა" და ყველგან ხმარობდა „გახსნის მეთოდიკას" და არა გამოძიების მეთოდიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო სწორი იქნება ვიხმაროთ დანაშაულის გახსნის მეთოდიკა და არა გამოძიების მეთოდიკა და ამის შესაბამისად კრიმინალისტიკურ ტაქტიკასა და გამოძიების მეთოდიკას ვუწოდოთ „დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა," კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ბოლო განყოფილებას კი — „დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა". მასში ზოგადისა და კერძოს სახით ერთიმეორისაგან უნდა გავმიჯნოთ „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკა" და „დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა", ანუ „დანაშაულთა გახსნის კერძო მეთოდიკა".

§3. საზოგადოებრიობის როლი და მონაწილეობის ფორმები დანაშაულთა გახსნის საქმეში

საგამოძიებო ორგანოების მუშაობის დემოკრატიულობის გამოხატულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საზოგადოებრიობის მონაწილეობა დანაშაულთა გახსნის პროცესში.

დამნაშავეობასთან ბრძოლისა და დანაშაულთა გამოძიების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო ამაღლდა და გაძლიერდა დღეს, როცა სისხლის სამართალწარმოებაში სხვა პრინციპებთან ერთად მტკიცედ დამკვიდრდა შეჯიბრებითობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, საჯაროობის, საქვეყნოობის პრინციპი და სხვ., და მიმდინარეობს სასამართლოს სრული

რეფორმა, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა, როცა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები და კონტროლი. ყოველივე ეს კი სერიოზული დამატებითი გარანტიაა მოქალაქეთა სოციალური სამართლიანობის, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და გამოსაძიებელი საქმის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევისა.

საზოგადოებრიობის სწორ თანმიმდევრულ მონაწილეობას მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების, მისი სრული, ყოველმხრივი გამოკვლევისა და გახსნის საქმეში უაღრესად დიდი როლის შესრულება შეუძლია. თითქმის არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომლის გამოძიებასა და გახსნაში ამა თუ იმ სახით მონაწილეობა არ მიეღოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

დანაშაულთა გახსნის პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები მრავალგვარია და იგი წარმოებს სამართლებრივ საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით მოპოვებული მონაცემები ვერ მიიღებენ მტკიცებულებით მნიშვნელობას. სამართლებრივ-პროცესუალური საფუძვლების და საზოგადოებრიობის მონაწილეობისა და მისი აქტიური დახმარების გარეშე წარმოუდგენელია მთელი რიგი საშიში დანაშაულების გამოვლინებააღკვეთა და დანაშაულის სრული გახსნა.

დანაშაულის „გახსნაში" ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო დანაშაულის ჩამდენი და მასში მონაწილე პირების გამოვლინებასა და დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთას, ეჭვმიტანილის დაკავებასა და სხვ., არამედ დანაშაულში მხილებული პირის მიმართ სასამართლოს მიერ სწორი, სამართლიანი განაჩენის გამოტანასა და მის სამართლიან დასჯას. როცა ვამბობთ დანაშაული გახსნილიაო, ამით ხაზს ვუსვამთ იმასაც, რომ საქმე სრულყოფილადაა გამოძიებული, რომ დანაშაულის ჩადენაში მხილებულმა პირმა სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობამდე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის ყველა ეტაპი განვლო; რომ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაშია.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედად კვლავ მიჩნეულ უნდა იქნეს სწორი, თანმიმდევრული სამართლებრივი პროპაგანდა, წარმოება-დაწესე-

ბულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მოსახლეობაში, ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა და მათი მართლშეგნების ამაღლება.

უკუგდებულ უნდა იქნეს მოსახლეობის გარკვეული ფენებისა და საზოგადოებრიობის ზოგიერთი წარმომადგენლის შეგნებაში უარყოფითი შეხედულებები სამართალდამცავი ორგანოების ურთულეს საქმიანობაზე და სწორი შეფასება მიეცეს მათ თავდადებულ შრომით საქმიანობას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. ამ მხრივ, მოსაწონი და მისასალმებელია ვიდეოპატრულის სატელევიზიო გადაცემათა წამოწყება პოლიციის მუშაკებზე, მათ რთულ საქმიანობაზე. მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილე გვმართებს იმ მიმართულებით, რომ დამნაშავეთა სამყაროს არ მივაწოდოთ მათთვის საინტერესო ინფორმაცია მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე მიღებული მტკიცებულებებისა და ოპერატიულ-სამძებრო მუშაკების საიდუმლოებით მოცულ სამსახურებრივ საქმიანობაზე.

მიღწეულ უნდა იქნეს თითოეული მოქალაქის მართლშეგნების ამაღლება იმ დონემდე, რომ მოწმის სახით გამოძახებული პირი გამოსაძიებელ საქმეზე სწორი, ობიექტური ჩვენების მიცემას თავის წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდეს და ადგილი არ ჰქონდეს მათ მიერ შეგნებულად ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებას, ან წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემის მცდელობას. თავის მხრივ, სამართალდამცავმა ორგანოებმაც უნდა უზრუნველყონ მათი სოციალური დაცვა დამნაშავე ელემენტების ხელყოფისაგან. მართალია, ამის განხორციელება დღევანდელ პირობებში, როცა თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებიც სოციალურად დაუცველნი არიან, ძნელია, მაგრამ ამის გარეშე შეუძლებელია დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმა.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე სამართლებრივი აღზრდის ისეთი მასობრივი საშუალებები, როგორიცაა: პრესა, რადიო, კინო და ტელეგადაცემები. ამასთან, საჭიროა ამ მიმართულებით არაკვალიფიციური კომენტარებით წარმოებული სატელევიზიო გადაცემები საფუძვლიანად შეიცვალოს და გარდაიქმნას, რადგან, მთელ რიგ შემთხვევებში, ისინი წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების ნიშნებს შეიცავენ, რაც, რომ იტყვიან, დამნაშავის წისქვილზე ასხამს წყალს.

სწორი, სამართლებრივი პროპაგანდით მიღწეულ უნდა იქნეს, რომ მთელი საზოგადოებრიობა, მისი თითოეული წევრი გულგრილად არ უყურებდეს საშიშ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად აქტიურად ჩაებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაძლოა თითოეული ჩვენგანი დამნაშავის როლში არ აღმოჩნდეს ან ეჭვმიტანილის სახით არ იქნეს დაკავებული, მაგრამ, გამორიცხული არაა, რომ ჩვენ თვითონ ან ჩვენი ახლობელი აღმოჩნდეს დამნაშავის მიერ შეურაცხყოფილი და დაზარალებული, ყოველივე ამის გათვალისწინებით, თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორი ფსიქოლოგიური განწყობა დაგვეუფლება, როცა ჩვენი ახლობლის ან თვითონ ჩვენს მიმართ ჩადენილი შემაძრწუნებელი დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების შესახებ ფაქტების მხილველი მოწმეები ან ურცხვად თვალს ხუჭავენ და სწორი, ობიექტური ჩვენების მიცემისაგან თავს იკავებენ, ან შეგნებულად ამახინჯებენ მას და ამით აშკარად უწყობენ ხელს დანაშაულის გაუხსნელობასა და დამნაშავე პირის დაუსჯელობას.

წინასწარი გამოძიების ორგანოებს თავიანთი რთული სამსახურებრივი ამოცანების განხორციელებაში ხელს უწყობენ სამართალდამცავ ორგანოებთან საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირები და მთელი რიგი ორგანიზაციები. კერძოდ: პროკურორისა და გამომძიებლის შტატგარეშე თანაშემწეები, შტატგარეშე პოლიციელები, ავტომოყვარულთა საზოგადოების საგზაო პოლიცია და სხვ., რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს აქტიურად ეხმარებიან დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინება-აღკვეთაში, მაგრამ ეს მხოლოდ საზოგადოებრიობის ერთი სახეა დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

საზოგადოების აქტიური მონაწილეობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში თავს იჩენს აგრეთვე დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლა-გამოკვლევაში, მათ თავიდან აცილებასა და დანაშაულის ჩამდენ პირთა ხელახლა აღზრდა-ჩამოყალიბებაში, როცა კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს, ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის თავდებქვეშ გადაეცემათ დანაშაულის ჩამდენი პირები და სხვ.

დანაშაულის გამოძიების პროცესში ძებნილ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა გამოვლინება-დადგენის მიზნით შეიძლება გამოყ-

ენებულ იქნეს საზოგადოებრიობა, თუ მათ ამ პირთა შესახებ მივაწვდით სწორ, ამომწურავ ინფორმაციას. ამ მიზნით შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული პრესა და ტელეგადაცემები მათი ფოტოსურათის ჩვენებით, ანკეტური მონაცემების და მათთვის დამახასიათებელი გარეგნული თვალსაჩინო, სპეციფიკური და სხვა ფუნქციონალური ნიშნების აღწერით.

დანაშაულთა გახსნის პროცესში საზოგადოებრიობის დახმარების თავისებური ფორმაა აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებული ზოგიერთი იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა დამსწრეების სახით. მაგალითად ჩხრეკის, ამოღებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ძირითადად, მონაწილეობენ დამსწრეებისა და დამხმარე პირების სახით, მაგრამ გამომძიებელს შეიძლება სათანადო დახმარება გაუწიონ აგრეთვე საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებმა შემთხვევის ადგილმდებარეობის დაცვაში, დანაშაულებრივი შემთხვევის შემსწრე და სხვა მოწმეთა დადგენაში, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი გვამის ამოსაცნობად მოსახლეობის ან ახლომდებარე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ხალხის მიყვანაში, დიდი მოცულობის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებაში, დასაძებნი გვამებისა და საქმეზე გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა საგნებისა და ობიექტების აღმოჩენებში და სხვ. ასევე ჩხრეკის ჩატარებაში დამსწრე პირების სახით საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარდა, გამომძიებლის სხვადასხვა დავალების შესრულებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე გამომძიებლის თანაშემწედ მომუშავე პირმა ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა და სხვ. მაგრამ, ცხადია, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შერჩევისას გამომძიებელს მართებს დიდი სიფრთხილე და დაკვირვება, რათა მათ შორის არ მოხვდეს ისეთი პირი, რომელიც საქმის შემდგომი მსვლელობის ბედით იქნება დაინტერესებული. ნათქვამის საილუსტრაციოდ საგამოძიებო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

სისხლის სამართლის ერთ-ერთ გამოსაძიებელ საქმეზე შემთხვევის ადგილზე დასათვალიერებლად მისულმა გამომძიებელმა შემთხვე-

ვის ადგილის დათვალიერებაში დამსწრე პირების სახით ყოველგვარი შემოწმების გარეშე (არ გაარკვია მათი პიროვნება და დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით) ჩააბა რა შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები, ერთმა მათგანმა სტატიკური დათვალიერების სტადიაზე შეძლო რამდენიმე მოცულობითი ფეხის კვალის დაზიანება. ხოლო, როცა იქვე ახლოს ფხვიერ მიწაზე დაგდებული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის გაცლილი ვაზნა დაინახა, ფარულად ფეხი დაადგა და მიწაში მის დამალვას შეეცადა. გამოირკვა, რომ იგი ამ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი თანამონაწილეთაგანი იყო და დანაშაულის ჩადენის შემდეგ უკანვე დაბრუნდა, შემთხვევის ადგილზე შეკრებილ ხალხს შეერია და გამომძიებლის ნებართვით შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობაც მიიღო. ასევე, ბ-ეს ბინის ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულმა დ-მ არ განაცხადა კარადაში თეთრეულთა შორის მოთავსებული ნაგანის სისტემის იარაღისა და საბრძოლო ვაზნების შემჩნევის შესახებ, რითაც ხელი შეუწყო დამნაშავეს დანაშაულებრივი კვალის დაფარვაში.

ზემოთ აღნიშნული კურიოზული შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გამომძიებელი სათანადოდ უნდა მოემზადოს ამგვარი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად და მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიოს ისეთი პირები, რომლებიც პიროვნული თუ სხვა ობიექტური მონაცემებით არ არიან დაკავშირებულნი მომხდარ დანაშაულებრივ შემთხვევასთან და დაინტერესებულნი – საქმის გაუხსნელობით.

საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა ასევე აუცილებელია ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, როგორიცაა: ამოღება და ჩხრეკა. ასეთ დროს დამსწრის მოწვევა ხდება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ. ასევე, გვამის ექსჰუმაცია უნდა ჩატარდეს დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ასევე, ცოცხალი პირების, საგნებისა და სხვა ობიექტების ამოცნობასა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში, მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც წესი, აუცილებელია საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სახით მოწვეულ იქნენ პედაგოგები, ფსიქოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები ან მათი ახლო ნათესავები და სხვ., რომელთაც უფლება აქვთ

გააკეთოს განცხადება საგამოძიებო მოქმედების გამო და გამოთქვან შენიშვნა, რომელიც ოქმში შეიტანება. აგრეთვე გაეცნონ მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სხვ.

დანაშაულთა გახსნაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: საზოგადოებრიობის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში და საზოგადოებრიობის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის დახმარება და მონაწილეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ძირითადი მიმართებით: დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლინებისა და აღკვეთის; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დაძებნისა და დადგენის; ამოუცნობი გვამების ვინაობის დადგენის; დანაშაულში მხილებული და ძებნაში მყოფი პირების ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების; ალმკვეთი ღონისძიების შერჩევისას პირის თავდებქვეშ გადაცემის; თარჯიმნის; გამოსაძიებელ საქმეზე მოწმის სახით დასაკითხ პირთა მოძებნისა და დადგენის; დანაშულის ჩადენის იარაღის, კვალისა და სხვა სახის მტკიცებულებათა დაძებნა-აღმოჩენის; საგამოძიებო მოქმედებათა მომზადებისა და ჩატარების (შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკის, ამოღების, ამოსაცნობად წარდგენის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების მომზადებასა და ჩატარებაში); დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების დადგენისა და გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა გამოკვლევისათვის.

სასამართლოში საქმის განხილვისას კი მათი გამოყენება დასაშვებია შემდეგი ძირითადი მიმართებით: საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციით საქმის განხილვაში მსაჯულთა მონაწილეობის; სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულის ან განსასჯელის ინტერესების დამცველად, მათი წარმომადგენლის სახით მონაწილეობის; სასამართლოში თარჯიმნის, მოწმის, სპეციალისტის და სხვ. სახით.

მაშასადამე, დანაშაულთა გახსნაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა ატარებს ზოგად და სამართლებრივ-პროცესუალურ ხასიათს. აქედან, **პირველს** შეიძლება მიეკუთვნოს: სამართლებრივი პროპაგანდა, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის გასატარებელი ღონისძ-

იებები, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირისა და ძებნაში მყოფი პირის ან გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგნებისა და ობიექტების ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით საზოგადოებრიობის დახმარება; მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინება და ამ მიმართებით საგამოძიებო ორგანოების მიერ მათგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ან ასეთის მზადების აღკვეთაში, თავიდან აცილებასა და საქმის სწრაფ, სრულ გახსნაში. მეორეს – საზოგადოებრიობის ისეთი მონაწილეობა, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული საქმეზე საჭირო მტკიცებულებების მისაღებად ცალკეული სახის საგამოძიებო და სხვა პროცესუალურ მოქმედებათა ჩატარებაში, აგრეთვე საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

დანაშულთა გახსნის პროცესში საზოგადოებრიობის სამართლებრივი მონაწილეობა, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპი, წითელ ზოლად გასდევს მოკვლევას, წინასწარ გამოძიებასა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვას. კერძოდ, საზოგადოებრიობის სამართლებრივი მონაწილეობა იწყება და უწყვეტლივ გრძელდება გამოძიების დაწყებისა და წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და საბრალდებო დასკვნის შედგენამდე და შემდეგ საქმის სასამართლოში განხილვაში საქმეზე განაჩენის გამოტანამდე.

სისხლის სამართლის საქმის მოძრაობაში საზოგადოებრიობის სამართლებრივი მონაწილეობა თითოეული ზემოთ აღნიშნული ცალკეული ეტაპის მიხედვით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ:

1) გამოძიების დაწყების პირველსავე ეტაპზე საზოგადოებრიობის მონაწილეობა რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ, სსსკ-ის 263-ე მუხლით წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძვლად მოხსენიებულია აგრეთვე მოქალაქისა ანუ ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ცნობა, რომლის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად მისი თანამდებობრივი და სოციალური მდგომარეობისა. ამასთან, მომდევნო 265-ე მუხლით დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ მოწოდებული ცნობა შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი სახის. ზეპირი – ცნობის მიღების შემთხვევაში განცხადების მიმღებმა პირმა (პროკურორმა, გამომძიებელმა, ან მოსამართლემ) საჭიროა შეადგინოს ოქმი, მასში შეიტანოს ზეპირი განცხადების შინაარსი და მას

ხელი მოაწეროს განმცხადებელმა და განცხადების მიმღებმა თანამდებობის პირმა. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელ პირს, თუ იგი 14 წელს მიღწეულია, საჭიროა განემარტოს, რომ იგი ცრუ დასმენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა და ამის შესახებ უნდა აღინიშნოს ოქმში. წერილობითი სახის განცხადების გაკეთებისას მას ხელი უნდა მოაწეროს თვითონ განცხადების შემტანმა პირმა. განცხადების მიმღებმა თანამდებობის პირმა კი უნდა გამოარკვიოს განმცხადებლის პიროვნება და განუმარტოს მას ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობის შესახებ.

სსსკ-ის 263-ე მუხლის თანახმად, ასევე გამოძიების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს იურიდიული პირის ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ან თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობა. დანაშაულის შესახებ მიღებული ასეთი შეტყობინება, მოქალაქის მიერ მოწოდებული ცნობისაგან განსხვავებით, ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს წერილობით. ამასთან, კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, ასეთი წერილობითი ცნობის მომწოდებელი პირი გაფრთხილებულ უნდა იქნეს თუ არა ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

კანონით რეგლამენტირებულია აგრეთვე ის, თუ რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან ფიზიკური ან იურიდიული, ან თანამდებობის პირი მომხდარი დანაშაულის ან მისი მზადების შესახებ მიღებული ცნობის ან განცხადების შემთხვევაში ამ ინფორმაციის მიმღები პირი (პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი პირი და მოსამართლე). ასე რომ, საგამოძიებო ორგანოების მთელი საქმიანობა ამ ეტაპზე მიმართულია გამოძიებაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისაკენ.

2) საზოგადოებრიობის როლი და მნიშვნელობა კანონმდებლობით გამოკვეთილია აგრეთვე პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და მისი დაკავების საფუძვლებში. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება ეჭვმიტანილად იქნეს ცნობილი დანაშაულის ჩადენაში, „როცა თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე“. ასეთ „მნახველის“ სახით კი შეიძლება მოგვევლინოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან ნებისმიერი პირი შემდგომში მისი მოწმის სახით დაკითხვამდე.

3) დანაშაულთა გამოძიების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფართო შესაძლებლობებს იძლევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, რომლის თანახმად, „დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ფაქტის მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად". ასევე სსკ 321-ე მუხლი, რომლის თანახმად, ,ამოღების ან ჩხრეკის დროს შეიძლება მოწვეულ იქნეს დამსწრე არა უმეტეს ორისა და სხვ.

4) გამოძიების პროცესში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის თავისებური ფორმაა აგრეთვე არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო დასწრება. მაგალითად, სსსკ-ის 306-ე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება პედაგოგის ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობისას, მეურვის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

5) წინასწარ გამოძიებაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა საპროცესო კანონმდებლობით განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული და აუცილებლადაა მიჩნეული ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, როგორიცაა: ამოსაცნობად წარდგენა, ამოღება და ჩხრეკა. მაგალითად, სსსკ-ის 347-ე მუხლის თანახმად, ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს „იმავე სქესის, არანაკლებ სამ ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით." როგორც აღვნიშნე, სსსკ-ით ასევე რეგლამენტირებულია, რომ ჩხრეკა და ამოღება საჭიროა ჩატარდეს დამსწრე პირების მონაწილეობით და სხვ.

6) აღსანიშნავია, რომ ადრე მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულთა გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის პროცესში ნებადართული იყო საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობის მიღება. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული იყო ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება შეწყვეტილიყო და დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების ჩამდენი პირი შეიძლება ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გა-

დასცემოდა იმ ორგანიზაციას ან შრომით კოლექტივს, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა მისთვის ამ პირის თავდებქვეშ გადაცემის შესახებ. მაგრამ, კანონი იქვე ადგენდა გარკვეულ შეზღუდვებს და თავდებქვეშ გადაცემის უფლების გამოყენებას კრძალავდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინათ უკვე იყვნენ თავდებქვეშ გადაცემულნი ან მსჯავრდებულნი განზრახი დანაშაულისათვის. ამასთან, თუ თავდებქვეშ გადაცემული პირი ერთი წლის განმავლობაში არ გაამართლებდა კოლექტივის ნდობას, დაარღვევდა თავის დაპირებებს ან დატოვებდა სამუშაოს, საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან შრომითი კოლექტივი, რომელიც მას თავდებად დაუდგა, გამოიტანდა გადაწყვეტილებას თავდებობაზე უარის თქმის შესახებ და გადასცემდა ამ გადაწყვეტილებას სასამართლოს ან პროკურატურას პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის განსახილველად და ამის საფუძველზე მოცემული პირის მიმართ შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე შეიძლება განახლებულიყო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით ან პროკურორის დადგენილებით.

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის არსებობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ იგი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის გამჭვირვალობისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა და კარგი იქნება თუ იგი ახალი საპროცესო კანონმდებლობითაც იქნება რეკომენდებული.

7) დანაშაულის აღკვეთაში და მისი ჩამდენი პირის აღზრდა-გამოსწორებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის თავისებური ფორმაა არასრულწლოვანთა კომისიაზე ან შრომით კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე განსახილველად ისეთი მასალების გადაცემა, რომლებიც აშკარად მიუთითებენ ამა თუ იმ პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედების ჩადენაზე, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ იგი იმდენად მცირე მნიშვნელობისაა, რომ მას არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

8) მართლმსაჯულების განხორციელებაში დემოკრატიზმის პრინციპის გატარების და საზოგადოებრიობის მონაწილეობის სპეციფიკური ფორმაა ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

კანონმდებლობით რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში განხილვის საქვეყნოობა, სახელდობრ, სსსკ-ის მე-16 მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა," და, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები".

საქმის განხილვა დახურულ სასამართლოში დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით (დადგენილებით), მაშინ, როცა აუცილებელია სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვა და სხვ., აგრეთვე იმ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე, რომლებსაც თექვსმეტი წლის ასაკამდე არ მიუღწევიათ; სქესობრივი დანაშაულისა და სხვა საქმეებზე იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ცნობათა გახმაურება საქმეში მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმურ მხარეთა შესახებ. მაგრამ ასეთ საქმეებზეც სასამართლოს განაჩენი, ყველა შემთხვევაში, აუცილებლად საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს.

9) სისხლის სამართალწარმოებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის თავისებური ფორმაა აგრეთვე ალტერნატიული ექსპერტიზის, ანუ მხარეების მიერ ექსპერტიზის ჩატარების უფლება და სხვ.

ამრიგად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მტკიცედაა რეგლამენტირებული დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები და მეთოდები, მათი მონაწილეობის წესი და იგი ზუსტად უნდა იქნეს დაცული წინსწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით დადგენილი წესის დარღვევით საქმეზე მოპოვებული მტკიცებულება რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, დაკარგავს თავის მტკიცებულებით მნიშვნელობას.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის კრიმინალისტიკური ტაქტიკა და რა ადგილი უკავია მას კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში?

2. რა არის კრიმინალისტიკური ტაქტიკის მიზანი?

3. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ნაცვლად რატომ არ შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმა „საგამოძიებო ტაქტიკა“?

4. როგორია ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია?

5. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ტაქტიკური ხერხები?

6. რა უნდა იქნეს გაგებული ტაქტიკური ხერხების ცნებაში?

7. რაში გამოიხატება ტაქტიკური ხერხების არსი და მნიშვნელობა?

8. რა სახის ტაქტიკური ხერხები შეიძლება მიეკუთვნოს ზოგად, კერძო და დეტალური სახის ტაქტიკურ ხერხებს?

9. რა შეიძლება იყოს კრიმინალისტიკური ტაქტიკის კვლევის საგანი?

10. რაში გამოიხატება ტაქტიკური ხერხების ლოგიკური ბუნება?

11. ტოლფარდოვანია თუ არა დანაშაულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნება?

12. როგორია დანაშაულის „გახსნის“ ცნების შესახებ ცალკეულ ავტორთა მოსაზრებების კლასიფიკაცია?

13. საბოლოოდ რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს დანაშაული გახსნილად?

14. როგორ შეიძლება დავასაბუთოთ „დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკასთან შედარებით „დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის“ ცნების უპირატესობა?

15. რა ფორმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოძიების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა?

თავი II. მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ

§1. კრიმინალისტიკური ვერსიების ცნება, მნიშვნელობა და მათი ლოგიკური ბუნება

ა) *კრიმინალისტიკური ვერსიების როლი* დანაშაულთა გახსნის საქმეში. ადრე არაჯეროვნად იყო შეფასებული კრიმინალისტების მიერ. ყოველივე ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგიერთი კრიმინალისტის აზროვნებაში მისი როლი და მნიშვნელობა არასწორად იყო გააზრებული. მაგალითად, ჯერ კიდევ ადრე, გერმანელი კრიმინალისტი გ. შნეიკერტი ყოველმხრივ აკნინებდა რა ვერსიების როლს დანაშაულის გახსნის საქმეში, თავის ნაშრომში „დამნაშავის საიდუმლოება და მისი გახსნის გზები", რომელიც რუსულ ენაზეც იქნა ნათარგმნი და 1935 წელს გამოიცა ქ.მოსკოვში, საგამოძიებო ვერსიებს უწოდებდა ფანტაზიის უვარგის ნაყოფს.

საგამოძიებო ვერსიებზე პროფ. გ.შნეიკერტისა და სხვა კრიმინალისტების ამგვარმა შეხედულებამ გარკვეულად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის, აკადემიკოს ა.ი.ვიშინსკის თეორიაში მსგავსი შეხედულების განვითარებას, რომელმაც 1937 წელს ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტში" (№1, გვ. 10) გამოქვეყნებულ წერილში „გამომძიებელთა ამოცანების შესახებ" გამომძიებლებს მოუწოდა ნაკლები ეფიქრათ საგამოძიებო ვერსიებსა და პრეზუმფციაზე. მალალი ტრიბუნიდან მისმა ასეთმა მოწოდებამ უარყოფითი როლი შეასრულა საგამოძიებო ვერსიების დამუშავებაზე და შემდგომ, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე საგამოძიებო ვერსიებზე კრიმინალისტების მიერ არ დაწერილა არც ერთი რაიმე მეტ-ნაკლებად სერიოზული ნაშრომი და სპეციალურ ლიტერატურაში იგი განიხილებოდა ზოგადად კრიმინალისტიკის სხვა საკითხებთან ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო პროფ. ს.პ.მიტრიჩევი 1956 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში — „საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერული საფუძვლების საკითხის შესახებ", ეხებოდა რა საგამოძიებო ვერსიების საკითხს, მართებულად წერდა, რომ დღემდე კრიმინალისტი-

კა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საგამოძიებო ვერსიების აგება-დამუშავებას და იქვე ხაზგასმით აღნიშნავდა: „დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკისა და მეთოდიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, საგამოძიებო ვერსია, დავიწყებულ იქნა ჯერ პროცესუალისტების, შემდეგ კი კრიმინალისტების მიერ".

შემდგომში კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში უკვე გამოჩნდა საგამოძიებო ვერსიებისადმი მიძღვნილი მრავალი საინტერესო ნაშრომი და საკანდიდატო დისერტაციები.

1959 წელს ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტში" (№10, გვ. 22) გამოქვეყნებულ სტატიაში, — „ვერსია", — პროფესორი გ.ნალექსანდროვი წერდა, რომ ვერსია ესაა თავისებური „საგამოძიებო კომპასი", რომელსაც აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს გამოძიების ყველა მიმართულებას" და მათ შორის, საგამოძიებო ტაქტიკასო. ამიტომ იგი გვთავაზობდა, აუცილებლად შეგვექმნა კრიმინალისტიკის დამოუკიდებელი სპეციალური განყოფილება — „მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ".

კრიმინალისტიკური ვერსიები და მათ შორის საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების, დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ამიტომ სწავლებას საგამოძიებო ვერსიების შესახებ აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

დანაშაულის გამოძიების პროცესში გამომძიებლის მთელი საქმიანობა მიმართულია წარსულში მომხდარი ფაქტების ყოველმხრივი გამოკვლევისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისაკენ. გამომძიებლის მიერ წარმოებული ეს უაღრესად შრომატევადი შემეცნების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეული წინააღმდეგობრივი საფეხურების სახით, რომელთა დაძლევაში მას ხელს უწყობს და ეხმარება აზროვნების ლოგიკური კანონების სწორი გამოყენება.

გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და საკითხების ახსნა-გამოკვლევის ამ შემეცნების პროცესში გამომძიებელი შემოქმედებითად იყენებს რა ლოგიკური აზროვნების კანონებს, საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე აგებს მათი ახსნის სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრებებს ეგრეთ წოდებულ საგამოძიებო ვერსიების სახით.

ბ) *კრიმინალისტიკური ვერსიების ლოგიკური ბუნება, მისი განსხვავება ჰიპოთეზისაგან.* ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, საგამოძიებო ვერსიები, თავიანთი ლოგიკური ბუნებით, არაფრით არ განსხვავდება ჰიპოთეზებისაგან, ამიტომ ისინი საგამოძიებო ვერსიებს ჰიპოთეზებთან აიგივებენ.

ჯერ კიდევ ადრე, 1949 წელს გამოქვეყნებულ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის განკუთვნილ ლოგიკის სახელმძღვანელოში პროფ. მ.სტროგოვიჩი წერდა, რომ სასამართლო ცალკეული ფაქტების ან გარემოებათა ერთიანობის ახსნა-გამოკვლევის დროს ხშირად იყენებს ამ ფაქტების სხვადასხვანაირად ამხსნელ მთელ რიგ ჰიპოთეზებს. ასეთ ჰიპოთეზებს ვერსიებს უწოდებენ და რომ „ჰიპოთეზა არის მოვლენის სავარაუდო ახსნა".

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰიპოთეზა არის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის სავარაუდო ახსნის რთული მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომლის წამოყენება და შემოწმება ხდება ხანგრძლივი მეცნიერული დაკვირვებისა და მიღებული მონაცემების მრავალმხრივი მეცნიერული განზოგადების საფუძველზე, საგამოძიებო ვერსიების აგება კი წარმოებს პირველადი მონაცემების საფუძველზე გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების სავარაუდო ახსნა, რომლის შემოწმება წარმოებს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და საშუალებებით, მაშინ აშკარად ნათელი ხდება, რომ ამ ცნებების ერთნაირი მნიშვნელობითი გაგება და მათი ურთიერთგაიგივება არ შეიძლება. მაგალითად, არ შეიძლება ერთნაირ ასპექტში იქნეს განხილული ჰიპოთეზა მარსზე სიცოცხლის არსებობის ან არარსებობის ახსნის შესახებ და მკვლელობის ან გაუპატიურების ფაქტის ახსნის მიზნით წამოყენებული საგამოძიებო ვერსია — მკვლელობას ჰქონდა ადგილი თუ თვითმკვლელობას, გაუპატიურებას თუ გაუპატიურების ინსცენირებას და სხვ. საგამოძიებო ვერსიას არ შეიძლება მიენიჭოს იმაზე მეტი მნიშვნელობა, რასაც იგი ემსახურება და რასაც იგი წარმოადგენს. **საგამოძიებო ვერსია სხვა არა არის რა, თუ არა ჰიპოთეზის ნაირსახეობა.**

ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც ნათლად ჩანს, რომ ჰიპოთეზასთან შედარებით საგამოძიებო ვერსიაც, როგორც ჰიპოთეზის ნაირსახეობა და გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ფაქტის სავარაუდო

ახსნა, რაც დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემებით, არის ჰიპოთეზის ნაირსახეობა, წარსულში მომხდარი ფაქტების — ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების და, მაშასადამე, დანაშაულის გახსნის სპეციალური მეთოდი, რომლის დროსაც ფართოდ გამოიყენება ლოგიკური აზროვნების კანონები.

მართებულად აღნიშნავს პროფესორი კ.ბაქრაძე 1956 წელს გამოცემულ ლოგიკის სახელმძღვანელოში, რომ ფაქტების, მოვლენების ან ამა თუ იმ გარემოებების „ახსნის მომენტი ვარაუდის სახით წინ უსწრებს მეცნიერული ინდუქციით მეთოდების გამოყენებას". ასეთ წინასწარ ვარაუდს, რომლითაც ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ მოვლენები, ჰიპოთეზა ეწოდება. ჰიპოთეზა კი ნიშნავს გარკვეულ აზრს მოვლენის მიზეზის შესახებ და იგი „გვაძლევს მოვლენის მიზეზის საალბათო ცოდნას და ამით ამ მოვლენის ახსნის საალბათო პრინციპს".

ჰიპოთეზის აგება და შემოწმება, საგამოძიებო ვერსიებისაგან განსხვავებით, მოითხოვს სრულიად სხვა მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენებას. ამიტომ, არ შეიძლება ერთნაირად მივუდგეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მარსზე სიცოცხლის არსებობის ან არარსებობის ახსნის ჰიპოთეზას და მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ახსნის შესახებ ისეთი საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებას, როგორიცაა: ადგილი ჰქონდა მოხელე თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღებას, თუ ქრთამის აღების ინსცენირებას; ან ადგილი ჰქონდა მკვლელობას, უბედურ შემთხვევას თუ უბედური შემთხვევის ინსცენირებას; გაუპატიურებას თუ გაუპატიურების ინსცენირებას.

მაშასადამე, საგამოძიებო ვერსიები არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ჰიპოთეზასთან და ასევე არ შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზის აგებისა და შემოწმების წესი ეხება აგრეთვე საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებასაც, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი კრიმინალისტი.

გ) კრიმინალისტიკური ვერსიების ცნება, არსი და მნიშვნელობა. ვ.ლ.ვასილევი თავის საკანდიდატო დისერტაციაში ვერსიას განიხილავს, როგორც დანაშაულებრივი შემთხვევისა და მასში მონაწილე პირთა შესახებ იდეალურ ინფორმაციულ-ლოგიკურ (საალბათო) მოდელს. ასეთსავე შეხედულებას ავითარებს ა.მ.ლარინი საგამოძიებო ვერსიებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, სადაც იგი გვთავაზობს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საგამოძიებო ვერსიების ცნებაში შეტანილ

იქნეს, რომ იგი არის წარმოსახვის (ფანტაზიის) ნაყოფი. მისი აზრით, ვერსიაზე, როგორც იდეალურ საინფორმაციო-ლოგიკურ (საალბათო) მოდელზე, ასეთი შეხედულება შესაძლებლობას იძლევა ახლებურად მივუდგეთ ვერსიის არსს, მის გენეზისსა და მისი ცნების საფუძველზე მოდელირების თეორიაში შემუშავებულ კონცეფციას. უფრო მეტიც, მისი აზრით, საგამოძიებო ვერსია ესაა „ინტეგრალური იდეა".

საგამოძიებო ვერსიების არსისადმი ასეთი მიდგომითა და მის ცნებაში ამ ახალი ელემენტების შეტანით ა.მ.ლარინი გვთავაზობს საგამოძიებო ვერსიების ცნება განმარტებულ იქნეს, როგორც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და გამოსაკვლევ გარემოებათა მიზნით აგებული ინტეგრალური იდეა, წარმოსახვით (ფანტაზიით) შექმნილი მოდელი ფუნქციებისა, რომელიც შეიცავს არსებული მონაცემების სავარაუდო შეფასებას და ჰიპოთეზის ფორმაში გამოხატული ემსახურება ამ მონაცემების ახსნას.

კრიმინალისტიკური (საგამოძიებო) ვერსიების ცნებაში ამ ახალი ტერმინოლოგიის „ინტეგრალური იდეის, წარმოსახვით (ფანტაზიით) შექმნილი მოდელის" შეტანა ვერ ცვლის საგამოძიებო ვერსიების არსსა და მნიშვნელობას. პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ მეტად მნიშვნელოვანი ცნების არასწორ ინტერპრეტაციას. რადგან ასეთი განმარტებით, ჯერ ერთი, გამოდის, რომ ერთნაირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ვერსია და იდეა, რომ ვერსიის არსი თითქოს ინტეგრალური იდეის აგებაში მდგომარეობს, მაშინ, როცა საგამოძიებო ვერსია არ შეიძლება იყოს „ინტეგრალური იდეა". მეორე, სიტყვა „მოდელი" ვერ ასახავს საგამოძიებო ვერსიების არსსა და მნიშვნელობას. მესამე, საგამოძიებო ვერსიების აგებისა და წამოყენებისათვის საკმარისი არაა მარტოოდენ გამომძიებლის შიშველი მოსაზრება და ფანტაზია. საჭიროა გვქონდეს აგრეთვე საქმის ფაქტობრივი მონაცემები. იდეის აგებისათვის კი ეს აუცილებელი არაა. იდეა შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივი მასალების გარეშეც — წარმოსახვაში, ფანტაზიაში, რადგან თავისთავად იდეა სხვა არა არის რა, თუ არა მოსაზრება, შეხედულება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ.

ზოგიერთი ავტორი საგამოძიებო ვერსიებს განმარტავს, როგორც ვარაუდს დანაშაულთა ან მის ცალკეულ გარემოებათა შესახებ. ზოგიერთი მას უწოდებს გულვებას. ვერსიის ცნების ასეთი გაგება, არასწორია.

„ვერსია" უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც

ფრანგული სიტყვა „version“-დან წარმომდგარი, რომელსაც აქვს ლათინური ფუძე „versare“ (სახეცვალება) და, რომ ეს ფრანგული სიტყვა „version“-ი ნიშნავს რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთ ახსნას ან გადმოცემას (რამდენიმედან). ვერსიის ასეთი ახსნა, ვფიქრობთ, სწორია და იგი უკეთ შეესაბამება მის ნამდვილ არსსა და ბუნებას. ე.ი. სიტყვა „ვერსია“ ნიშნავს რაიმე ფაქტის ან შემთხვევის ახსნას, მის გადმოცემას და ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საგამოძიებო ვერსიების განმარტებისას.

დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი ცალკეული ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის პროცესში წამოყენებული ვერსიები უნდა ემყარებოდეს საქმეზე შეკრებილ ფაქტობრივ მონაცემებს, გამომდინარეობდეს მათგან და აგებულ იქნეს ლოგიკური კანონების აზროვნების ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა კვლევის დედუქციური მეთოდები და ლოგიკური ხერხები: ანალოგია და სინთეზი.

წარმოუდგენელია დანაშაულებრივი შემთხვევის, როგორც წარსულში მომხდარი ფაქტის, სრული, ყოველმხრივ გამოკვლევა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა გამოძიების პროცესში სწორი, დასაბუთებული ვერსიების აგებისა და შემოწმების გარეშე. ამიტომ საგამოძიებო ვერსიების აგება და შემოწმება გამომძიებლის თვითმიზანი კი არა, არამედ გამოსაძიებელ ფაქტზე ჭეშმარიტების მიღწევის, მისი ლოგიკური შემეცნების ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალური მეთოდია.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, ზოგჯერ საგამოძიებო ვერსიებს იხსენიებენ, როგორც ტაქტიკურ ხერხებს, რაც არასწორია. თუ ვაღიარებთ, რომ ჰიპოთეზა არის მეცნიერული კვლევის რთული მეთოდი, ვერსია კი ჰიპოთეზის ნაირსახეობა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საგამოძიებო ვერსია არის დანაშაულთა გახსნის სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სწორად შევიცნოთ და დავადგინოთ გამოსაძიებელ შემთხვევაზე ობიექტური ჭეშმარიტება. ამ რთული პროცესის მიღწევა შეუძლებელია ერთი რომელიმე ტაქტიკური ხერხის გამოყენებით, რადგან გამოძიების პროცესში გამომძიებელი აგებს რა სხვადასხვა სახის ვერსიებს, მათ შესამოწმებლად მიმართავს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას, რა დროსაც იყენებს მრავალ ტაქტიკურ ხერხს, ე.ი. საგამოძიებო ვერსიები თავისთავად მოიცავს იმ

ტაქტიკურ ხერხებსაც, რომლებიც გამოიყენება მათი შემოწმების მიზნით. ცხადია, ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ თავის დანიშნულებითა და მოცულობით ვერსია უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე საგამოძიებო მოქმედების დროს გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კრიმინალისტიკური (საგამოძიებო, სასამართლო, საექსპერტო, ოპერატიულ-სამძებრო) ვერსია, როგორც ჰიპოთეზის ნაირსახეობა და ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი, არის გამოსაძიებელი (გამოსაკვლევი) დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ან ფაქტის სავარაუდო ახსნა, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეზე არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს და აგებული იყოს ლოგიკური კანონების აზროვნების კვლევის დედუქციური მეთოდებისა და ლოგიკური ხერხების – ანალოგიისა და სინთეზის გამოყენებით, რაც უნდა შემოწმდეს და დაზუსტდეს საქმეზე გამოძიების პროცესში მიღებული მტკიცებულებებით.

ამრიგად, საგამოძიებო ვერსია არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სწორად წარვმართოთ გამოძიება, შევიცნოთ და დავადგინოთ გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. ამასთან, იგი არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მარტოოდენ ზოგადთეორიული მოძღვრება და გადატანილ იქნეს კრიმინალისტიკის საგნის მეთოდოლოგიის განყოფილებაში, როგორც ამას ადგილი აქვს უკანასკნელ წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებსა და უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამებში. მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ არის კრიმინალისტიკური ტაქტიკის განუყოფელი ნაწილი და მისი გადანაცვლება კრიმინალისტიკის საგნის მეთოდოლოგიის განყოფილებაში არასწორია.

§2. კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია. მათი აგებისაა და შემოწმების ტაქტიკა

ა) კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია. თავიანთი წარმოქმნის წყაროებისა და კვლევის ობიექტების მოცულობისა და დანიშნულების მიხედვით კრიმინალისტიკური ვერსიები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად. **პირველს** უნდა მიეკუთვნოს დანაშაულის გახსნის პროცესში მონაწილე პირთა მიერ საქმეზე მნიშვნელობის მქონე კონკრეტულ გარემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით წამოყენებული ყველა ზოგადი ვერსია; **მეორეს** — გამომძიებლის მიერ გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიები.

დანაშაულის გახსნის პროცესში კრიმინალისტიკური ვერსია შეიძლება წამოყენებულ იქნეს არა მარტო გამომძიებლის, არამედ აგრეთვე სასამართლოს, სამძებრო-ოპერატიული მუშაკის, ექსპერტის, ბრალდებულისა და თვით დაზარალებულის მიერაც. ამისდა შესაბამისად, **კვლევის კონკრეტულ ეტაპზე, მათი წარმოქმნის წყაროებისდა მიხედვით, განასხვავებენ: საგამოძიებო ვერსიებს, სასამართლო ვერსიებს, ოპერატიულ-სამძებრო ვერსიებს, საექსპერტო ვერსიებს, დაზარალებულისა და ბრალდებულის ვერსიებს.**

იმ შემთხვევაში, როცა ვერსიების აგება წარმოებს გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების პროცესში გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი ცალკეული გარემოების ახსნისა და შემოწმებისათვის, მიღებულია ვუწოდოთ **საგამოძიებო ვერსია.** ამ სახის ვერსიების წამოყენებას ახდენს მხოლოდ გამომძიებელი ან პროკურორი.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს კი სასამართლოს მიერ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების ახსნა-გამოკვლევის მიზნით წამოყენებულ ვერსიებს, რომლებიც სპეციფიკურ შემოწმებას საჭიროებენ, მიღებულია ვუწოდოთ **სასამართლო ვერსია.** ე.ი. ამგვარი სახის ვერსიების აგების სუბიექტია მოსამართლე.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში საქმეზე მნიშვნელობის მქონე კონკრეტულ გარემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით ოპერატიული მუშაკის მიერ წამოყენებულ ვერსიებს მიღებულია ვუწოდოთ **ოპერატიულ-სამძებრო ვერსია,** რადგან მისი ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ოპერატიული მუშაკი.

საექსპერტო კვლევის პროცესში ამა თუ იმ სახის გარემოებათა

ახსნისა და შემოწმების მიზნით ექსპერტი აყენებს თავის ვერსიებსაც, რომლებსაც მიღებულია ვუწოდოთ **საექსპერტო ვერსია.**

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვისას ზოგჯერ ადგილი აქვს დაზარალებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ან საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ცალკეულ გარემოებათა ახსნა-გამოკვლევისა და შემოწმების მიზნით სხვადასხვა სახის ვერსიის წამოყენებას, რომლებსაც, მათი წარმოქმნის ავტორისდა მიხედვით, შეიძლება ვუწოდოთ დაზარალებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის ვერსია.

ბ) *საგამოძიებო ვერსიების კლასიფიკაცია.* კრიმინალისტიკური ვერსიებიდან უმთავრესია ვერსიები, რომლებსაც აგებს გამომძიებელი მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის ახსნის ან დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა კონკრეტული გარემოებების ახსნის მიზნით. გამოსაძიებელი შემთხვევის, ანუ დანაშაულის შემადგენლობის ან მისი ცალკეული ელემენტების, გარემოებებისა და ფაქტების კვლევის ობიექტთა მოცულობისა და დანიშნულების შესაბამისად განასხვავებენ შემდეგი სახის საგამოძიებო ვერსიებს: **ზოგადს, კერძოსა და დეტალურს.**

ზოგადი სახის საგამოძიებო ვერსია ეხება მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის საერთო ახსნას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე ადამიანის გვამის აღმოჩენისას შეიძლება წამოყენებულ იქნეს საგამოძიებო ვერსია იმის ახსნის შესახებ, თუ მოცემულ ვითარებაში რა გარემოებას ჰქონდა ადგილი — მკვლელობას, თვითმკვლელობას, თვითმკვლელობის ინსცენირებას თუ უბედურ შემთხვევას.

კერძო საგამოძიებო ვერსიის აგებას მიმართავენ გამოსაძიებელი დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების — ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარის ახსნისათვის. მაგალითად, იმავე მკვლელობის საქმეზე კერძო ვერსია შეიძლება წამოყენებულ იქნეს იმის ასახსნელად თუ სად, როგორ და რა გარემოებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ე.ი. საგამოძიებო ვერსია ობიექტური მხარის ახსნის შესახებ; ვის შეეძლო ჩაედინა ეს დანაშაული, ე.ი. ვერსია დანაშაულის ჩადენის სუბიექტის შესახებ; როგორ, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით იქნა ჩადენილი მკვლელობა, ე.ი. ვერსია სუბიექტური მხარის ახსნის შესახებ და სხვ.

დეტალური სახის ვერსიებს აგებენ ისეთი გარემოებების ან ფაქტე-

ბის ახსნის შესახებ, რომლებსაც, მართალია, დანაშაულის შემადგენლობის მთლიანი მექანიზმის ან მისი ცალკეული ელემენტების ახსნისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მკვლელობა ჩადენილია „ტეტეს" სისტემის იარაღიდან თუ „ნაგანის" ან „ბრაუნინგის" სისტემის იარაღიდან გასროლილი ტყვიით. მაგრამ იმის დადგენას, რომ გვამში აღმოჩენილი ტყვია გასროლილია ეჭვმიტანილ პირთან აღმოჩენილ „ნაგანის" სისტემის, დავუშვათ, №55765 იარაღიდან, ამ გარემოების დადგენას მოცემული დანაშაულის გახსნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე, იმის დადგენას, რომ გამოსაკვლევი დოკუმენტი, დავუშვათ, შესრულებულია „ოპტიმას" ტიპის №07711 საბეჭდ მანქანაზე, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და დანაშაულის სწრაფი, სრული და ყოველმხრივი გახსნისათვის, თუმცა არც ერთი ამ გარემოების დადგენას დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ ამგვარი სახის დეტალურ ვერსიებს უწოდებენ სამუშაო ვერსიებს, რაც, ჩემი აზრით, არასწორია, რადგან თავისთავად ყველა ვერსია სამუშაოა და მას მტკიცებულებით მნიშვნელობა არა აქვს.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ კრიმინალისტიკურ ვერსიებს მნიშვნელობისა და ხარისხის მიხედვით ყოფენ ტიპურ და კონკრეტული სახის ვერსიებად; აგრეთვე, დროის მიხედვით — პირველად და შემდგომი სახის ვერსიებად. რაც, ჩემი აზრით, მთლად მოხერხებული არაა.

ვერსიების აგება-შემოწმების პროცესი გამოძიების პროცესის შესაბამისად უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. მათ არ შეიძლება მიეცეს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი შაბლონური სახე. საგამოძიებო ვერსიების აგება წარმოებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან გამოძიების დამთავრებამდე საქმეზე არსებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე და იგი ატარებს მოძრავ, დინამიკურ ხასიათს. ამიტომ, ვფიქრობ, ჩემ მიერ ზემოთ მოცემული საგამოძიებო ვერსიების კლასიფიკაცია უფრო სწორი და პრაქტიკულია.

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის გამოძიების ან სასამართლო-

ში საქმის განხილვის დროს წამოყენებული ყველა ვერსია სრულყოფილად უნდა იქნეს შემოწმებული და არც ერთი მათგანი, თუ იგი ემყარება ფაქტობრივ მონაცემებს, არ შეიძლება დარჩეს შემოწმების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გაუხსნელი დარჩება ან მასზე გამოტანილი განაჩენი შეიძლება გაუქმდეს საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო.

მაგალითად, საბრალდებო დასკვნით ნ-ეს ბრალი დაედო იმაში, რომ 1981 წლის 25 აპრილს, 21 საათზე, ქ.სამტრედიაში მატარებლის სადგურზე გულმკერდში დანის დარტყმით სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა დ-ეს და მიიმალა. სასამართლოში საქმის განხილვის დროს განსასჯელმა ნ-ემ აჩვენა, რომ წინასწარი გამოძიების მიერ არ შემოწმებულა მის მიერ წამოყენებული ვერსია იმის შესახებ, რომ იგი 1981 წლის აპრილის თვეში იმყოფებოდა ვოროშილოვგრადის ოლქის ლუტიგინის რაიონის სოფ. ბელოეში, სადაც მუშაობდა საბავშვო ბაღისა და იმავე რაიონის კომუნარსკის მშენებლობაზე, ცხოვრობდა ვ.ი.ბერესტიევასთან და რომ იგი 1985 წლის 25 მარტამდე ქ.სამტრედიაში საერთოდ არ ყოფილა. სასამართლო მართებულად მოიქცა, როცა განსასჯელის მიერ წამოყენებული ამ ვერსიის შესამოწმებლად საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა პროკურატურაში.

ასევე, ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ კ-ა მსჯავრდებულ იქნა დ-ეს განზრახ მკვლელობისათვის და სასჯელად განესაზღვრა თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო სასამართლო კოლეგიის მიერ განაჩენი ამ საქმეზე გაუქმდა და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად იქნა დაბრუნებული პროკურატურაში იმის გამო, რომ წინასწარ გამოძიებაში შემოწმებული არ იყო ბრალდებულის მიერ წამოყენებული ყველა ვერსია.[1]

გ) საგამოძიებო ვერსიების აგებისა და შემოწმების ტაქტიკა. გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით წამოყენებული საგამოძიებო ვერსიები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მარტოოდენ წმინდა

---

[1] აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნება მართებულად იქნა მაქსიმალურად შეზღუდული.

ლოგიკური აზროვნების ნაყოფი, როგორც გამომძიებლის შიშველი მოსაზრება და ფანტაზია. როგორც აღვნიშნე, იგი უნდა ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს იმ ფაქტობრივი მონაცემებიდან, რომლებიც გამომძიებელს ხელთ აქვს. ვერსიების აგების მომენტისათვის, ე.ი. საგამოძიებო ვერსიების აგებას გამომძიებელი ახდენს საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, რა დროსაც იგი იყენებს კვლევის დედუქციურ მეთოდსა და სხვა ლოგიკური აზროვნების ხერხებს — ანალოგიასა და სინთეზს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებაში ანალოგია ასრულებს არა მთავარსა და გადამწყვეტ როლს. ანალოგიის მიხედვით ვერსიების აგება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი აგება შეიძლებოდეს ფაქტობრივი მონაცემების გარეშე. ამასთან, მსგავსების ნიშნები ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს შემთხვევითი და არ ნიშნავდეს სავალდებულო მსგავსებას. თვით ერთი და იმავე სახის დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვისათვის გამოყენებული ერთნაირი ხერხებისა და საშუალებების მთლიანობის კომპლექსი გარკვეულწილად განსხვავდება ერთიმეორისაგან და ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელმა, თავისი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ანალოგიით ვერსიების აგება-შემოწმების დროს.

გამოძიების დაწყებით ეტაპზე ვერსიების მრავალფეროვნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასალების საფუძველზე მოხდა გამოძიების დაწყება და ამ მომენტისათვის რა ფაქტობრივი მონაცემები აქვს გამომძიებელს წარმოებაში. საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება უნდა მოხდეს პარალელურად. არ შეიძლება რომელიმე ვერსიის შემოწმებას მიენიჭოს უპირატესობა, ან წინასწარ ავიკვიატოთ აზრი ამ ვერსიის სისწორის შესახებ და სხვა ვერსიები დავტოვოთ შემოწმების გარეშე, ან დავაწესოთ რიგითობა წამოყენებული ვერსიების შემოწმების შესახებ. გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიების ამგვარი შემოწმება არასწორი და დაუშვებელია, რადგან ვერსიების ასეთი შემოწმებით შეიძლება გამოძიება მოექცეს ისეთ ჩიხში, რომლიდანაც თავის დაღწევა, გამოძიების სწორ გზაზე დაყენება და საქმის გახსნა უაღრესად რთულდება საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობის გართულებასთან ერთად. ამიტომ დანაშაულთა გამოძიების პროცესში, საჭიროა მტკიცედ იქნეს

დაცული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ საქმეზე წამოყენებული საგამოძიებო ვერსიების შემოწმების შემდეგი წესი:

1) საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება მოხდეს პარალელურად;

2) ვერსიების შემოწმების შედეგების მიხედვით გაკეთდეს დასკვნა ვერსიების დადასტურების (სისწორის) ან უარყოფის შესახებ;

3) ვერსიების შემოწმება დამთავრებულად ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც მიღებული შედეგების მიხედვით საქმეზე წამოყენებული ვერსიებიდან ჩამოცილებულ იქნება ყველა სხვა არასწორი ვერსია და ბოლოს დარჩება ის ვერსია, რომელიც სწორი აღმოჩნდა.

საქმეზე წამოყენებულ ყველა ვერსიის სწორ, თანმიმდევრულ შემოწმებას დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისაკენ მივყავართ. ამიტომაც ვამბობთ, რომ საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარ გამოსაძიებელ ფაქტზე ჭეშმარიტების შემეცნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის კრიმინალისტიკური ვერსია?

2. როგორია კრიმინალისტიკური ვერსიების ლოგიკური ბუნება?

3. რა კავშირი აქვს კრიმინალისტიკურ ვერსიას ჰიპოთეზასთან?

4. რა განსხვავებაა ჰიპოთეზისა და კრიმინალისტიკური ვერსიების აგება-შემოწმებას შორის?

5. რაში მდგომარეობს კრიმინალისტიკური ვერსიების არსი და მნიშვნელობა გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების პროცესში?

6. როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს კრიმინალისტიკური ვერსიის ცნება?

7. როგორია კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია?

8. როგორია საგამოძიებო ვერსიების კლასიფიკაცია?

9. როგორ უნდა მოხდეს საგამოძიებო ვერსიების შემოწმება?

10. რაზე, რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს საგამოძიებო ვერსიების აგება?

11. როგორ უნდა მოხდეს გამოსაძიებელ საქმეზე ვერსიების აგება და ატარებს თუ არა იგი დინამიკურ ხასიათს?

12. რატომ უნდა ვაწარმოოთ საქმეზე წამოყენებული ყველა საგამოძიებო ვერსიის პარალელურად შემოწმება?

13. რა სხვაობაა ზოგად და კერძო საგამოძიებო ვერსიებს შორის?

14. რაში მდგომარეობს ვერსიების ლოგიკური ბუნება?

15. რაში მდგომარეობს დეტალური და სამუშაო საგამოძიებო ვერსიების არსი და მნიშვნელობა?

16. რა შემთხვევაში და რა სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგია საგამოძიებო ვერსიების აგება-შემოწმების დროს?

17. როდის, რა მომენტიდან შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს საგამოძიებო ვერსიების შემოწმება?

თავი III. გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტაქტიკა

§1. დანაშაულთა გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ცნება, არსი და მნიშვნელობა

ა) გამოძიების დაგეგმვის ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში. დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვა განუყრელადაა დაკავშირებული საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებასთან, რადგან **საგამოძიებო ვერსიები გამოძიების დაგეგმვის საფუძველია.** გამოძიების დაგეგმვა კი, შეიძლება ითქვას, საგამოძიებო ვერსიების სწორი, თანმიმდევრული შემოწმების ერთ-ერთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიების გამოხატულებაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ამ საკითხებზე მიძღვნილი მრავალი ერთობლივი საინტერესო ნაშრომი და მონოგრაფია იქნა დაწერილი, რომლებშიც ერთადაა განხილული გამოძიების დაგეგმვისა და საგამოძიებო ვერსიების აქტუალური საკითხები.

ასე იყო ეს საკითხები განხილული 80-იან წლებამდე რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებსა და კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამებში. უკანასკნელ ათწლეულში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში კი გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის თავს ცალკე გამოეყო მოძღვრება საგამოძიებო ვერსიების შესახებ და იგი გადატანილ იქნა კრიმინალისტიკის პირველ განყოფილებაში, რაც არასწორია. **გამოძიების დაგეგმვა არ არსებობს საგამოძიებო ვერსიების გარეშე. ვერსიები გამოძიების დაგემვის საფუძველია.** ამიტომ არ შეიძლება მათი ერთიმეორისაგან დაცილება.

საგამოძიებო ვერსიების მსგავსად, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში სადავოდ იყო მიჩნეული აგრეთვე გამოძიების დაგეგმვის ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში. კრიმინალისტთა ერთი ნაწილი (ბ. ხარაზიშვილი, ა.ი. ვინბერგი, ბ.მ. შავერი და სხვ.) გამოძიების დაგეგმვას განიხილავდა კრიმინალისტიკის ზოგად ნაწილში შემავალ ტაქტიკის საკითხებთან ერთად. მეორენი კი (ვ.ა. ხვანი, პ.ი. ტარასოვ-როდიონოვი და სხვ.)

დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვას განიხილავდნენ დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის საკითხებთან ერთად. რაც გამართლებული არ იყო.

ისევე, როგორც არ შეიძლება საგამოძიებო ვერსიები მივაკუთვნოთ მარტოოდენ გამოძიების გახსნის მეთოდიკას და იგი მის ცალკე ავტონომიად მივიჩნიოთ, ასევე არ შეიძლება გამოძიების დაგეგმვა ჩავთვალოთ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის კუთვნილებად. დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში საგამოძიებო ვერსიებსა და გამოძიების დაგეგმვას არ შეიძლება მიენიჭოს იმაზე მეტი როლი და მნიშვნელობა, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში თითოეულ გამოსაძიებელ დანაშაულთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში გამოძიების დაგეგმვისა და საგამოძიებო ვერსიების გამოყენებას აქვს კერძო, სპეციფიკური ხასიათი. თავიანთი ზოგადი, ფუნდამენტური დამუშავებით კი ისინი კრიმინალისტიკური ტაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ამ პრობლემის ასეთ გაგებას სრულიადაც არ უშლის ხელს ვერსიების, როგორც კრიმინალისტიკური კვლევის სპეციალური მეთოდის ზოგადად მოიხსენიება კრიმინალისტიკის საგნის პირველ — მეთოდოლოგიის განყოფილებაში.

მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიებისა და გამოძიების დაგეგმვის შესახებ კრიმინალისტიკური ტაქტიკის კუთვნილებაა, რომელთა ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა ხელს უწყობს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების წარმატებით გამოყენებას და ამით კონკრეტული სახის დანაშაულთა სწრაფ, სრულ გახსნასა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

ბ) *გამოძიების დაგეგმვისა და ორგანიზაციის ცნება, არსი და მნიშვნელობა.* დანაშაულის, როგორც წარსულში მომხდარი ფაქტის სწრაფი, სრული გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭიროა მთელი რიგი პროცესუალური და კრიმინალისტიკური ხასიათის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება. კერძოდ, პირველადი გადაუდებელი და შემდგომ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების დროსაც საჭიროა წარმატებით იქნეს გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ხერხები. ასევე საჭიროა, განხორციელდეს მთელი რიგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. ყოველივე ამ მოქმედებების ჩატარება გამომძიებლის თვითმიზანი კი არაა, არამედ იგი მიმართულია გამოსაძიებელ საქმეზე

ჭუშმარიტების დადგენისაკენ, რომლის მიღწევა შეუძლებელია ზემოაღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სწორი თანმიმდევრობითა და მათი მაღალხარისხოვნად ჩატარების გარეშე. ყოველივე ამის გაკეთება კი წარმოუდგენელია გამომძიებლის საქმიანობის მკაცრი ორგანიზაციისა და გეგმაზომიერად წარმართვის, გამოსაძიებელ საქმეზე მათი საქმიანობის სწორად დაგეგმვის გარეშე.

თუ გამოძიების ორგანიზაციის დაგეგმვის ცნებებს ერთ სიბრტყესა და ასპექტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სიტყვა ორგანიზაცია შედარებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოძიების დაგეგმვა, რადგან გამოძიების ორგანიზაცია მოიცავს გამომძიებლის მთელ საქმიანობასაც. გამოძიების დაგეგმვა კი მოიცავს გამომძიებლის საქმიანობას მიმართულს ერთი რომელიმე კონკრეტული სახის დანაშაულის გახსნისაკენ, რომელიც შემეცნების პროცესში იყენებს კრიმინალისტიკაში შემუშავებულ და რეკომენდებულ სამეცნიერო-ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებს. იგი არის დანაშაულებრივ ფაქტზე წარმოებული გამოძიებით საქმის სწრაფი და სრული გახსნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

ზემოაღნიშნულიდან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ადრე, 1936 წელს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში პროფესორი ს.ა.გოლუნსკი მართებულად შენიშნავდა, რომ გამოძიების დაგეგმვა არის გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო პირობა და, რომ გამოძიების გეგმა — ესაა ცოცხალი და მოქნილი ხაზის მიმართულება და არა უმოძრაო სქემა.

დანაშაულის გახსნის საქმეში გამოძიების დაგეგმვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის გამო ზოგიერთი კრიმინალისტი (ა.ნ.ვასილევი, გ.ნ.მუდიუგინი, ნ.ა.იაკუბოვიჩი, ა.რ.შლიახოვი და სხვ.) ავითარებს აზრს, რომლითაც გადაჭარბებულადაა შეფასებული გამოძიების დაგეგმვის კრიმინალისტიკური მნიშვნელობა და იგი მიჩნეულია წინასწარი გამოძიების საერთო მეთოდად. ცოტა უფრო მოგვიანებით გამოცემულ თავის მონოგრაფიაში „საგამოძიებო ტაქტიკა", პროფესორი ა.ნ.ვასილევი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ გამოძიების დაგეგმვა არის საქმის გამოძიების საერთო ტაქტიკური ხერხი.

გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა არც გამოძიების საერთო მეთოდია და არც მისი საერთო ტაქტიკური ხერხი. იგი სხვა არა არის

რა, თუ არა გამომძიებლის ორგანიზაციული ხასიათის ისეთი ღონისძიება, რომლითაც უზრუნველყოფს მთელი თავისი საქმიანობის მიზნობრივად სწორად წარმართვას. იგი არის გამოძიების მაღალხარისხოვნად ჩატარების ერთ-ერთი საუკეთესო წინაპირობა და არა გამოძიების საერთო ტაქტიკური ხერხი ან მისი საერთო მეთოდი.

გამოძიების დაგეგმვა არის გამომძიებლის მუშაობის ის მნიშვნელოვანი უბანი, რომლითაც იგი მთელ თავის საქმიანობას აძლევს სწორ, მიზანდასახულ ხასიათს და ხელს უწყობს გამოძიების პროცესში რაციონალურად და სწორად გამოიყენოს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. ამასთან, იგი არის გამომძიებლის მიერ თავის საქმიანობაზე თვითკონტროლის განხორციელების საუკეთესო საშუალებაც, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნასა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

გ) *გამოძიების გეგმის შედგენის ორგანიზაცია.* ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, გამოძიების გეგმა შედგენილ უნდა იქნეს არა დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობისა და მასზე გამოძიების დაწყებისა და საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან, არამედ საქმეზე პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ. ამისდა შესაბამისად, ისინი ჯერ განიხილავენ პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებებს, მათი ჩატარების ტაქტიკურ ხერხებს და შემდეგ გამოძიების დაგეგმვასა და საგამოძიებო ვერსიებს. მათი ასეთი მოსაზრებით გამოდის, რომ გამომძიებელმა პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩაატაროს ყოველგვარი გეგმის გარეშე. ამგვარი შეხედულება სადავოა და ვერ გავიზიარებ, რადგან, მან შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულებრივი შემთხვევის გამოძიების არასწორი წარმართვა.

პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სწორ, თანმიმდევრულ მოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმეზე მტკიცებულებათა მიღება და მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია გამოძიების გაშლილი გეგმის შედგენა მოხდეს თავიდანვე, საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან, ვინაიდან ამ დროისათვის გამომძიებელს უკვე ხელთა აქვს დაგეგმვისათვის საჭირო ისეთი მონაცემები, რომელთა საფუძველზე შეიძლება საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების გაშლილი გეგმის შედგენა.

დ) გამოძიების გეგმა როგორც გამოძიების უწყვეტი პროცესის ამსახველი. საგამოძიებო გეგმის შედგენა, როგორც აღინიშნა, მიზანშეწონილია მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების მომენტიდან. მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს გამოძიების გეგმის შედგენით მთავრდება გამომძიებლის მუშაობა.

წერილობითი სახით გამოძიების გეგმის შედგენა დაგეგმვის მარტოოდენ გარეგნული ფორმაა, მისი განვითარების საწყისი ეტაპია, რომელიც გამოძიების მიმდინარეობის შესაბამისად განიცდის გარკვეულ ცვლილებასა და განვითარებას. ამიტომ გამოძიების დაწყებისა და მისი წარმოებაში მიღების მომენტში კონკრეტულ გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიების გეგმის შედგენა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მყარი, უცვლელი რამ. გამოძიების პროცესში იგი განიცდის მუდმივ ცვლილებებს, მტკიცებულებათა შეკრება-დაზუსტებისა და შეფასების შესაბამისად.

გამოძიების დაგეგმვის განვითარების ეს მთლიანი უწყვეტი პროცესი კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია შემდეგი ციკლის შესაბამისად: 1) გამოსაძიებელი დანაშაულის შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემების შეკრება; 2) შეკრებილი მონაცემების ანალიზი და შეფასება; 3) ვერსიების აგება; 4) ვერსიების შემოწმება და ახალი ფაქტობრივი მონაცემების შეკრება; 5) ახლად მიღებული მონაცემების ანალიზი და შეფასება და ახალი ვერსიების აგება-შემოწმება.

ე) გამოძიების დაგეგმვის პრინციპები. გამოძიების დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მისი **დინამიკურობა**, რადგან იგი იცვლება გამოძიების ცალკეული ეტაპების შესაბამისად. ამიტომ გამომძიებელი ვალდებულია მის მიერ შედგენილ გეგმაში თანმიმდევრულად შეიტანოს საჭირო ცვლილებები ახლად მიღებული მონაცემებისა და საგამოძიებო სიტუაციის შეცვლის შესაბამისად, რათა იგი არ იქცეს უბრალო, მყარ შაბლონურ სქემად და არ დაკარგოს თავისი დანიშნულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ საქმეზე შედგენილი გამოძიების გეგმა არ შეიძლება უცვლელად, იმავე სახით იქნეს გადატანილი სხვა, თუნდაც ისეთივე კატეგორიის დანაშაულის გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან ყოველ კონკრეტულ სისხ-

ლის სამართლის საქმეზე შედგენილი გამოძიების გეგმა დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მისთვის დამახასიათებელი სხვა სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, ინდივიდუალურია და იგი არ შეიძლება პირვანდელი სახით შაბლონურად იქნეს გამოყენებული სხვა გამოსაძიებელ საქმეზე. ე.ი. **დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი ინდივიდუალობა.**

ამრიგად, დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია ინდივიდუალობა და დინამიკურობა. ინდივიდუალობა გულისხმობს იმას, რომ გამოძიების გეგმა ყოველ კონკრეტულ საქმეზე მთელი თავისი დეტალებით, დამახასიათებელი და ვარგისიანია მხოლოდ მოცემული, კონკრეტული დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისათვის. გამოძიების გეგმის დინამიკურობა კი ნიშნავს იმას, რომ გამოძიების პროცესში, საქმეზე წარმოებული გამოძიებისდა შესაბამისად, იგი განიცდის მუდმივ ცვლილებას.

დინამიკურობისა და ინდივიდუალობის გარდა რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოხსენიებულია აგრეთვე დაგეგმვის ისეთი პრინციპები, როგორიცაა: დაგეგმვის რეალობა, კონკრეტულობა და დროულობა.

გამოძიების დაგეგმვის რეალობა ნიშნავს იმას, რომ გეგმა უნდა ემყარებოდეს საქმეზე შეკრებილ ფაქტობრივ მონაცემებზე აგებულ საგამოძიებო ვერსიებს და იგი არ შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი და, რომ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება შესაძლებელი იყოს მასში მითითებული დროის მონაკვეთში. გამოძიების კონკრეტულობად კი მიჩნეულია გამოძიების მიზნებისა და ამოცანების ზუსტი განსაზღვრა, საქმეზე აგებული ვერსიების სწორი ანალიზი და ამ ვერსიების შემოწმების მიზნით დასადგენი გარემოებებისა და საკითხების ზუსტი ფორმულირება; დროულობად კი ის, რომ გამოძიების გეგმა შედგენილ იქნეს დროულად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების მომენტიდან.

რეალობის, კონკრეტულობისა და დროულობის მიჩნევა გამოძიების დაგეგმვის პრინციპებად სადავოა, რადგან ყოველივე ეს გამოძიების დაგეგმვის აუცილებელი გარემოებებია, რომელთა გარეშე არც შეიძლება ვიმსჯელოთ გამოძიების დაგეგმვაზე. თუ გეგმა რეალური, დროული და კონკრეტული არ იქნა, მაშინ იგი დაკარგავს თავის მიზანს, იგი ვერ იქნება გამოძიების სწორად წარმართვის საშუალება,

ისეთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება, რომელიც გამომძიებლის მთელ საქმიანობას ხდის მიზანდასახულს და დანაშაულის გახსნის შემეცნების პროცესში ასრულებს მთავარ მაორგანიზებელ როლს.

§2. გამოძიების დაგეგმვის ტაქტიკისა და ტექნიკის ზოგიერთი თავისებურება

ა) გამოძიების დაგეგმვის სახეები და ელემენტები. გამოძიების გეგმა ყველა შემთხვევაში შედგენილ უნდა იქნეს წერილობით, მაგრამ გამოსაძიებელი შემთხვევის სირთულის შესაბამისად იგი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. კერძოდ, მარტივ საქმეებზე იგი შეიძლება იყოს უბრალოდ ჩანაწერების სახით შედგენილი. რთულ საქმეებზე კი საჭიროა შედგენილ იქნეს სათანადო სქემების სახით, რომელთა შედგენის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საგამოძიებო ვერსიების სწორ, დასაბუთებულ აგებას, აგრეთვე იმას, რომ მასში სწორად და თანმიმდევრულად იყო ასახული გამოძიებით დასადგენი გარემოებები, მათი მოკვლევის ხერხები და საშუალებები, გამოძიებაში მონაწილე პირთათვის მიცემული დავალებების შესრულების ვადების განსაზღვრა და სხვ.

პროფ. ა.ნ.ვასილევი თავის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში გვთავაზობდა, რომ გამოძიების გეგმაში გათვალისწინებული ყოფილიყო: 1) მტკიცების საგანი; 2) მტკიცების საგნის გამოკვლევის ხერხები და საშუალებები; 3) საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების წრე და მათი თანმიმდევრობა; 4) შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების შეფასება; 5) ვერსიების შემუშავება მტკიცების საგნის გარემოებათა გამოკვლევისათვის; 6) ვერსიების შემოწმების ორგანიზაცია; 7) საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გამოძიებაში; 8) საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ურთიერთშეხამება.

წარმოდგენილი სახით საგამოძიებო გეგმის შედგენა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ძირითადად სწორია, მაგრამ იგი ერთობ გადატვირთულია, მას გარკვეული დახვეწა ესაჭიროება. მასში წინა რიგში უნდა იქნეს წამოწეული საგამოძიებო ვერსიების ადგილი, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საგამოძიებო ვერსიები გამოძიების დაგეგმვის საფუძველია და გეგმაც სწორედ ამ საგამოძიებო ვერსიე-

ბის შემოწმება-დაზუსტებას უნდა ემსახურებოდეს. ამასთან, ზემოთ შემოთავაზებულ სქემაში, რატომღაც არაფერია ნათქვამი დანაშაულთა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების დადგენისა და მათი თავიდან აცილების შესახებ და ეს გარემოებაც გეგმაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

დაგეგმვის ტექნიკის თვალსაზრისით, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში რეკომენდებულია სხვადასხვა სახის სანიმუშო სქემები; თუ რომელს შეარჩევს გამომძიებელი, ეს მის გემოვნებაზეა დამოკიდებული. მთავარია, რომ იგი იყოს სრული და სწორად შეესაბამებოდეს გამოძიების მიზნებს.

გამოძიების გეგმა პროცესუალური მოქმედება არაა, იგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებაა და გამოსაძიებელ საქმეს თან არ დაერთვის; ამიტომ ის შენახულ უნდა იქნეს სამეთვალყურეო წარმოებაში.

ბ) *რთული და მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოძიების დაგეგმვა.* დანაშაულის გამოძიებას, როგორც წესი, აწარმოებს მხოლოდ ერთი გამომძიებელი, კერძოდ ის, ვინც მიიღო საქმე წარმოებაში. ამიტომ გამოძიების გეგმასაც იგი ადგენს და გამოსაძიებელი გამოძიების გეგმასაც უშუალოდ თვითონ, გეგმის შემდგენი გამომძიებელი აწარმოებს. იმ შემთხვევაში, როცა გამოსაძიებელი საქმე უფრო რთულია და მასზე წამოყენებული სხვადასხვა საგამოძიებო ვერსიისა და მთავარი დანაშაულებრივი ფაქტის გარდა, საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა დანაშაულებრივი ეპიზოდის გამოკვლევა, რომელთა გამოძიებასაც მარტოოდენ ერთი გამომძიებელი ფიზიკურად ვერ შეძლებს. ასეთ დროს რეკომენდებულია, საქმის წარმოებაში მიმღებმა გამომძიებელმა შეადგინოს ერთი საერთო გეგმა და ზემდგომ ხელმძღვანელ თანამდებობის პირთან შეთანხმებით გამოძიების პროცესში ჩაბას სხვა გამომძიებელიც და საქმის გამოძიება აწარმოოს ე.წ. ჯგუფური, ანუ ბრიგადული მეთოდით. ასეთ რთულ და მრავალეპიზოდიან საქმის გამოძიებაში მონაწილე გამომძიებლები, საერთო გეგმის გარდა, თვითონ ადგენენ თავიანთი გამოძიების ინდივიდუალურ გეგმებს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის დავალება მიეცათ მათ; კერძოდ, საქმეზე წამოყენებული ვერსიების ან ცალკეული ეპიზოდებისა და ცალკეული რეგიონების მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების გამოკვლევის შესახებ. ე.ი. გამოძიების საერთო გეგმასთან ერთად იქმნება

სხვა, მისგან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმებიც, რომელთა შემოწმებას — გამოკვლევის საერთო ხელმძღვანელობას აწარმოებს ამ საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქმის წარმოებაში მიმღები უფროსი გამომძიებელი.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში შემუშავებული საგამოძიებო გეგმების სქემებიდან შეიძლება რეკომენდებულ იქნეს შემდეგი სახის გაშლილი სქემატური გეგმა:

საქმე №000001

საქმეზე გამოძიების დაწყებისა და წარმოებაში მიღების დრო და ადგილი . . . . . დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ . . . . . მუხლით(მუხლებით)

	გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული საგამოძიებო ვერსიები	საგამოძიებო ვერსიების შემოწმების დროს დასადგენი გარემოებები (საკითხები)	საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები	საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დრო და მათი თანმიმდევრობა	შემსრულებელი	თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები	შენიშვნა

გ) საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის არსი და თავისებურება. დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად იქნა შედგენილი მასზე გამოძიების გეგმა, არამედ იმაზე, თუ რამდენად სწორად და მაღალხარისხოვნად იქნა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრებისა და გამოკვლევის მიზნით და როგორია ამ მოქმედებებით მიღებული შედეგები. ამიტომ გამოსაძიებელ საქმეზე საერთო და ინდივიდუალური სახის გეგმების შედგენასთან ერთად აუცილებელია გამომძიებელმა აწარმოოს საქმეზე

ჩასატარებელი ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვაც.

ვინაიდან ყველა საგამოძიებო მოქმედება გამოსაკვლევი გარემოებისა და საკითხების მრავალფეროვნებით, მათი მოცულობის, ჩატარების საერთო წესის, ჩატარების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენების თავისებურებათა მიხედვით ერთიმეორისაგან განსხვავდებიან, თითოეულ საგამოძიებო მოქმედებაზე შედგენილი გეგმაც ერთიმეორისაგან უნდა იქნეს განსხვავებული. მაგალითად, ბრალდებულის დაკითხვის გეგმა არსებითად განსხვავდება ჩხრეკის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ამოცნობისა და მოწმის დაკითხვისაგან. უფრო მეტიც, თავისი შინაარსით ერთსა და იმავე საქმეზე დასაკითხ პირთა შესახებ შედგენილი გეგმებიც შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან იმისდა მიხედვით, თუ როგორია დასაკითხ პირთა ფსიქიკური დამოკიდებულება გამოსაკვლევ დანაშაულებრივ ფაქტთან. სახელდობრ, იმ ბრალდებულის დაკითხვის გეგმა, რომელიც აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, არსებითად იქნება განსხვავებული იმ პირის დაკითხვის გეგმისაგან, რომელიც უარყოფს მისთვის წარდგენილ ბრალდებას, მის მიერ თავის მართლების მიზნით მოყვანილი მოტივების გათვალისწინებით. ამასთან, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შედგენილმა გეგმამ შეიძლება შემდგომშიც განიცადოს გარკვეული ცვლილება საქმის გამოძიების განვითარების შესაბამისად. ამიტომ, ისევე, როგორც გამოსაძიებელ საქმეზე შედგენილი გეგმისათვის, საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვაც ხასიათდება დინამიკურობისა და ინდივიდუალობის პრინციპებით.

დ) ***საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის ტექნიკა.*** საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გეგმა მიზანშეწონილია შედგეს წერილობითი სახით, გაირკვეს მისი მიზნები და ამოცანები და მასში გათვალისწინებულ იქნეს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის საჭირო ყველა გარემოება. კერძოდ, განისაზღვროს საკითხების ის წრე, რომლებიც უნდა დადგინდეს მოცემული საგამოძიებო მოქმედებით; მისი ჩატარების დრო, ადგილი და გარემო პირობები; მასში მონაწილე პირთა წრე, გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები. აგრეთვე შესწავლილ და მომზადებულ იქნეს საქმეში არსებული მასალები, შემუშავდეს და განისაზღვროს მათი გამოყენების წესი და სხვ.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გეგმაში გათვალისწინებული ყველა ღონისძიება და მათი ჩატარების პროცესში გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების წრე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობის და მისთვის იგი ამომწურავი არ იყოს.

მიუხედავად საკითხების ასეთი მრავალფეროვნებისა, ზოგიერთ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში, იგი ერთ სისტემაშია მოყვანილი და საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის ელემენტებადაა მიჩნეული. ასე, მაგალითად, პროფ. ი.ფ.კრილოვის რედაქციით 1976 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში გატარებულია აზრი, რომლითაც საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის ელემენტებად ითვლება: 1) გეგმით გათვალისწინებული მოქმედებით გადასაწყვეტი ამოცანა; 2) მისი ჩატარების დრო, ადგილი და მასში მონაწილე პირები; 3) მასში მონაწილეთა შორის ვალდებულებათა განაწილება; 4) ჩასატარებელი მოსამზადებელი ღონისძიებები; 5) საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების განსაზღვრა; 6) საგამოძიებო მოქმედების მომზადებისა და ჩატარების პროცესში გამოსაყენებელ საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ორგანიზაცია; 7) მიღებული შედეგების ფიქსაციის ხერხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვის შემდეგი სახის სქემა:

ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების გეგმა

	საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნები და ამოცანები	საქმეში არსებული მასალების შესწავლა-მომზადება	საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო, ადგილი და გარემო პირობები	საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები,მათი როლი და დამოკიდებულება გამოსაძ. ფაქტთან	რეკომენდებული ტაქტიკ. ხერხების შერჩევა-გამოყენ.	გამოსაყენებელი სამეცნ-ტექნ. საშ. შერჩევა	საჭირო ოპერ. სამძ. ღონისძ. ორგანიზაცია	

საკონტროლო კითხვები

1. რა არის გამოძიების დაგეგმვა?

2. რა არის გამოძიების დაგეგმვის საფუძველი?

3. როდის, გამოძიების რომელ ეტაპზე უნდა მოხდეს გამოძიების გეგმის შედგენა?

4. რაში გამოიხატება გამოძიების დაგეგმვის ცნება, არსი და მნიშვნელობა?

5. კრიმინალისტიკის საგნის რომელი ნაწილის კუთვნილებაა გამოძიების დაგეგმვა?

6. რაში გამოიხატება გამოძიების დაგეგმვის ორგანიზაცია?

7. რაში გამოიხატება გამოძიების დაგეგმვის განვითარების პროცესის უწყვეტობა?

8. რა არის გამოძიების დაგეგმვის ძირითადი პრინციპები?

9. როგორ და რა სახით შეიძლება გამოძიების გეგმის შედგენა?

10. რაში მდგომარეობს გამოძიების დაგეგმვის ტექნიკა?

11. რა თავისებურებებით ხასიათდება რთული და მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოძიების დაგეგმვა?

12. ვინ არის გამოძიების დაგეგმვის სუბიექტი?

13. რა თავისებურებებით ხასიათდება საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა?

14. როგორია საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვის ტექნიკა?

15. რას ნიშნავს გამოძიების დაგეგმვის ინდივიდუალობისა და დინამიკურობის პრინციპი?

16. რა თავისებურებებით ხასიათდება გამოძიების დაგეგმვა რთულ და მრავალეპიზოდიან საქმეებზე?

თავი IV. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნება და მნიშვნელობა

§1. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დასასიათება

ა) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების არსი და მნიშვნელობა. 70-იანი წლების შემდგომ პერიოდში გამოცემულ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მრავალი საინტერესო თეორიული პრობლემა იქნა წამოყენებული. აქედან აღსანიშნავია დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და საგამოძიებო სიტუაციის საკითხები, რომლებიც ერთიმეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მათი ეს ურთიერთკავშირი განსაკუთრებით ვლინდება დანაშაულთა გამოძიების პროცესში.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნებათა სწორ განსაზღვრებასა და მათ მეცნიერულ დამუშავებას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან ისინი ხელს უწყობენ გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიების სწორად წარმართვას, ტაქტიკური ხერხების შერჩევას, საქმის სწრაფ, ყოველმხრივ სრულ გახსნასა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. სწორედ ამიტომაა, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკურმა დახასიათებამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნების საკითხი კრიმინალისტიკური ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია იმდენად, რამდენადაც იგი, როგორც ზოგადი (საერთო) ტაქტიკური ხერხი, ხელს უწყობს გამოსაძიებელ საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგებას, გამოძიების სწორად წარმართვას, გამოძიების პროცესში კერძო და დეტალური სახის ტაქტიკური ხერხების შერჩევასა და დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას.

დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში არ უნდა ავურიოთ დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ნიშნები და ელემენტები.

დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დახასიათება მოიცავს ერთგვაროვანი ან ცალკეული სახის დანაშაულთა იურიდიულ შემადგენ-

ლობას. კერძოდ, დანაშაულთა ხელყოფის გვაროვნული და უშუალო ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს; კრიმინოლოგიური დახასიათება — დანაშაულთა სტრუქტურას, დინამიკას, თანამედროვე მდგომარეობას და დამნაშავე პირთა სოციალურ მდგომარეობას, დანაშაულის მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება კი მოიცავს გამოძიების დაწყების მომენტისათვის არსებული გამოსაძიებელი შემთხვევის ყველა იმ პირველად მონაცემს (დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მისი ჩამდენი პირისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, დანაშაულის ჩადენის დროს, ადგილს, კვალსა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს), რომელთა ანალიზი საფუძველს გვაძლევს მოვახდინოთ დასაბუთებული ვერსიების აგება, გამოძიების დაგეგმვა და გამოძიების სწორად წარმართვა.

თუ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დახასიათება ხელს უწყობს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სწორ შეფასებას, მის სწორ კვალიფიკაციასა და დამნაშავე პირთა სამართლიან დასჯას, დამნაშავეთა კრიმინოლოგიური დახასიათება ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ყველა სახის ან ამა თუ იმ კატეგორიის, ან ერთგვაროვან დანაშაულთა სტრუქტურაზე, მათ დინამიკასა და თანამედროვე მდგომარეობაზე, დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დანაშაულთა თავიდან ასაცილებელ სწორ ღონისძიებათა შემუშავებას. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება კი საშუალებას გვაძლევს, სწორად განვსაზღვროთ ცალკეული სახის ან ერთგვაროვან დანაშაულთა, ან ერთნაირი ხერხებითა და საშუალებებით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკა და მეთოდიკა, გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების სწორი შერჩევა, რაც დანაშაულის გახსნის საუკეთესო წინაპირობაა.)

ბ) *დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტები.* კრიმინალისტიკური ტაქტიკისა და დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში კრიმინალისტიკური დახასიათების საჭიროება და აუცილებლობა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დავას არ იწვევს. მის ირგვლივ არსებული აზრთა სხვაობა ძირითადად ეხება კრიმინალისტიკური დახასიათების შემადგენელ ნაწილებს, მის ელემენტებსა და

ცნებას, რაც, ცხადია, ხელს უწყობს მის საბოლოო დახვეწასა და განვითარებას.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ზოგად პრობლემებზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაამახვილა ყურადღება ა. ნ. კოლესნიჩენკომ თავის სადოქტორო დისერტაციაში „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეცნიერული და სამართლებრივი საფუძველი", სადაც მან დანაშაულთა ზოგადი კრიმინალისტიკური დახასიათება დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის აუცილებელ ელემენტად მიიჩნია. ამასთან, ეხებოდა რა კრიმინალისტიკური დახასიათების მნიშვნელობას, აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება საშუალებას გვაძლევს სწორად და სრულად განვსაზღვროთ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დასადგენი გარემოებების წრე, კერძოდ ის, თუ რა საკითხები და მათი როგორი თანმიმდევრობით გადაწყვეტა უწყობს ხელს გამოსაძიებელი შემთხვევის ზუსტი კვალიფიკაციის დადგენას; რომელი საკითხების გადაწყვეტაა მთავარი დანაშაულის გახსნისათვის; როგორია გამოძიებით დასადგენ გარემოებათა ურთიერთკავშირი, ერთი გარემოების მეორეზე ადრე ახსნის შესაძლებლობა ან სიძნელე; დაყოვნების შემთხვევაში როგორია ამა თუ იმ საკითხის ახსნის დაკარგვის შესაძლებლობა. ამასთან, იქვე გვთავაზობს, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში შეტანილ იქნეს დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობა, ანალიზი, მისი ცალკეული სახეების გავრცელებულობა, უფრო ხშირად შემხვედრი მათი ჩადენის ხერხები და მოცემული შემთხვევისათვის დამახასიათებელი ის ძირითადი ნიშნები, რომელთა საფუძველზედაც დაიწყო გამოძიება.

კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნეს გაგებული დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში და როგორია მისი შინაარსი და მნიშვნელობა კრიმინალისტიკური ტაქტიკისა და დანაშაულთა გამოძიების მეთოდისათვის, ზოგიერთი კრიმინალისტი გვთავაზობს, პასუხი ვეძიოთ კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების დანიშნულებაში, მის შესწავლის საგანში. ამასთან, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტად მიიჩნევენ დანაშაულის ჩადენის ხერხს და ამას იმით ხსნიან, რომ უმთავრესად ხერხის მეშვეობით ხდება დანაშაულებრივი აქტის ამსახავი პროცესის გამოვლინება, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხის შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების

მეთოდიკის განყოფილებას, რადგან სწორედ შემეცნების მეთოდების საფუძველზე აღმოცენდება კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდიკისათვის მნიშვნელოვანი დასკვნები და, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხების შეცნობა განხილულ უნდა იქნეს როგორც კონკრეტულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი გზა. კრიმინალისტიკური დახასიათების მეორე მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევენ დანაშაულის ჩადენის გარემოებას; დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო საგანს; ხელყოფისაგან მისი დაცვის პირობებს; დანაშაულის ჩადენის მომზადებასთან დაკავშირებულ გარემოებებს და მისი კვალის დაფარვას, ანუ დამნაშავის ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

(დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების სპეციფიკურობად მიჩნეულია აგრეთვე ის, რომ იგი ასახავს დანაშაულთა არსებით თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ ისეთ გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მოცემული შემთხვევის გამოვლინების, გახსნისა და თავიდან აცილებისათვის. კერძოდ: დანაშაულის ჩადენის გარემოება, იარაღი, დანაშაულის ჩადენისა და დაფარვის ხერხები; დანაშაულის ხელყოფის უშუალო საგანი; დაზარალებული; დამნაშავის პიროვნება, მისი ქცევა დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ; შედეგები, დანაშაულის კვალი და ზოგიერთი სხვა გარემოება.)

უკანასკნელ წლებში რუსულ ენაზე გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში გატარებულია აზრი, რომლითაც დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებად მიჩნეულია დანაშაულის შესახებ იმ მონაცემების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობენ მის გახსნას. კერძოდ, კრიმინალისტიკურ დახასიათებაში გაერთიანებულია დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დაფარვის ისეთი თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება და გამოყენება ხელს უწყობს ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევას და ეს უკანასკნელი დანაშაულის სწრაფ, სრულ და ყოველმხრივ გახსნას; რომ, მოცემული სახის ან ჯგუფის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება არის მნიშვნელოვანი ემპირიული მასალის მეცნიერული გაანალიზება. ამასთან, არასწორადაა მიჩნეული დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ელემენტების შეტანა, რაც გარკვეულ შეკამათებას იწვევს.

დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ელემენტები, თავიანთი აღმოცენების თავისებურებათა გათვალ-

ისწინებით, საჭიროებენ გამოკვლევას კრიმინალისტიკური მეცნიერების თვალსაზრისითაც. მაგალითად, მართალია, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა კრიმინოლოგიური მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, მაგრამ მისი გამოკვლევა კრიმინალისტიკური თვალსაზრისით არამცთუ საჭირო, არამედ აუცილებელიცაა. უფრო მეტიც, წინასწარი გამოძიების პროცესში მისი დადგენის აუცილებლობა თვით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გარემოებათა კრიმინალისტიკური შემეცნების მეთოდი კონკრეტული დანაშაულის (დანაშაულთა) გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების თავისებურებათა გათვალისწინებით არსებითად განსხვავდება კრიმინოლოგიური მეცნიერების კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდებისაგან თავიანთი ინდივიდუალობით, მოქნილობითა და დინამიკურობით.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომლითაც დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებად მიჩნეულია: დანაშაულთა ჩადენის ხერხებისათვის დამახასიათებელი მონაცემების ერთიანობა; დანაშაულის მატერიალური კვალის, მისი თავისებურებებისა და ლოკალიზაციის შესახებ არსებული მონაცემები; დანაშაულის ან დანაშაულთა ჯგუფის შედეგების შესახებ არსებული მონაცემები; მონაცემები დანაშაულთა კვალის დაფარვის, დანაშაულში თანამონაწილეობის, კრიმინალისტიკური თავისებურებებისა და ტიპური დამნაშავე პიროვნებების თავისებურებათა შესახებ; მონაცემები დანაშაულთა ჩადენის უფრო გავრცელებული ისეთი მოტივებისა და მიზნების შესახებ, რომლებიც არ შეადგენენ სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების ელემენტებს. კრიმინალისტიკურ დახასიათებაში აერთიანებენ აგრეთვე კრიმინალური სიტუაციის ტიპურ ვიქტომოლოგიურ კომპონენტებს.

დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების შესახებ გამოთქმულ ზემოაღნიშნულ აზრთა სხვაობის მიუხედავად, კრიმინალისტიკის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებად მიჩნეულია მონაცემები დანაშაულის ჩადენის ხერხების, გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიებით დასადგენი გარემოებებისა და მტკიცებულებათა აღმოცენების მექანიზმის შესახებ. მაგრამ, ცხადია, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება ამით არ ამოიწურება. იგი მოითხოვს შემდგომ დახვეწასა და დაზუსტებას.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დანაშაულთა საერთო ან ერთგვაროვან დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და ცალკეული, ანუ კონკრეტული სახის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება. ამ ორივე სახის კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის საერთო ისაა, რომ ორივე მათგანი ემყარება დანაშაულთა ჩადენის შესახებ არსებულ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკას, მის მეცნიერულ განზოგადებას და გამოხატავს ამ დანაშაულთა ჯგუფის გამოძიებისათვის დამახასიათებელ კრიმინალისტიკურ თავისებურებებს. ამასთან, ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იმ ემპირიული საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის მასალების განზოგადებით, რომელთა საფუძველზეც ხდება მოცემული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკისათვის საჭირო მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.

მაშასადამე, (დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების საფუძველი, მისი ელემენტები და თავისებურება უნდა ვეძიოთ იმ პირველად ფაქტობრივ მონაცემებში, რომლებიც გამომძიებლის ხელთაა შემოსული მასალების შემოწმებისა და გამოძიების დაწყების მომენტისათვის და, რომელიც შემდგომში გამოძიების განვითარების შესაბამისად გარკვეულად იცვლის თავის პირვანდელ სახეს.)

გ) *დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ცნება.* ცნობილია, რომ თვით ერთი და იმავე კატეგორიის საქმეების გამოძიება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და მათი გამოძიების მეთოდიკის განსაზღვრა ბევრადაა დამოკიდებული მიღებულ პირველად მტკიცებულებებზე. მაგალითად, მკვლელობა, როცა ცნობილია დაზარალებულის გვამის ადგილსამყოფელი და ვინაობა; პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი, როცა ვარაუდია, რომ ჩადენილია მკვლელობა და უცნობია გვამის ადგილსამყოფელი; შემთხვევა, როცა აღმოჩენილია ადამიანის სხეულის ნაწილები და უცნობია დაზარალებულის ვინაობა და სხვ.

თითოეული ეს შემთხვევა, გამოძიების თვალსაზრისით, არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამასთან, თითოეულ ამ ფაქტზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სწორად წარმართვა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ პირველადი მონაცემების საფუძველზე რამდენად სრულყოფილად იქნება მოცემული მათი კრიმინალისტიკური დახასიათება, რამდენად სწორად მოხდება მათზე საჭირო

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების, პირველდაწყებით გადაუდებელ და შემდგომ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკის განსაზღვრა დანაშაულის ნიშნებისა და კვალის გამოვლინების, ფიქსაციისა და მტკიცებულებების მიღება-გამოკვლევის მიზნით და რამდენად სწორად იქნება შერჩეული და გამოყენებული საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები. ე.ი. დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში, ზემოაღნიშნულ რეკომენდებულ საკითხებთან ერთად, მიზანშეწონილია აისახოს აგრეთვე გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის გამოძიების მეთოდიკის ზოგიერთი ის საკითხიც, რომლის ტაქტიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე იგი გარკვეულ გავლენას ახდენს. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თავისებურება; საგამოძიებო ვერსიების აგებისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურება; გამოძიებით დასადგენ გარემოებათა დადგენის მიზნით საჭირო პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების თავისებურება; შემდგომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თავისებურება და სხვ.

ამრიგად, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების შინაარსიდან გამომდინარე, მის ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ საქმეში არსებული ის ობიექტური მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ჩადენის ობიექტზე, მისი ხელყოფის ხერხებზე, მისი კვალის დაფარვის ხერხებსა და საშუალებებზე, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზნებზე და ყველა ის გარემოება, რომელიც საშუალებას იძლევა ავხსნათ მოცემული დანაშაულებრივი ქმედებისათვის დამახასიათებელი ტიპური სიტუაციები, მისი კვალის დაფარვის გზები, დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მოქმედებასა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დამდგარ შედეგთან, დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, დანაშაულში მონაწილე პირთა წრე, მათი პროფესიული ჩვევები და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა მთელი რიგი გარემოებები.

ყოველივე ამ მონაცემების შესაბამისად საჭიროა შეიქმნას საქმის გამოძიების სწორი მოდელი; მოხდეს საგამოძიებო ვერსიების აგება და დასახულ იქნეს მათი შემოწმების გზები; შეირჩეს ტაქტიკური ხერხები და საშუალებები მათი სრული, ყოველმხრივი შემოწმების, გამო-

საძიებელ საქმეზე საკმაო მტკიცებულებების მიღებისა და მასზე ობიექ-ტური ჭეშმარიტების დადგენისათვის) ამასთან, თუ ვაღიარებთ, რომ კრიმინალისტიკური დახასიათება დინამიკური ხასიათისაა, რაც უდავოდ სწორია, მაშინ იგი უნდა განვიხილოთ ერთ მთლიან უწყვეტ პროცეს-ში მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის სრულ, საბოლოო გახს-ნამდე, გამოძიების ცალკეული ეტაპების მიხედვით გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოსაძიებელი დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათების ში-ნაარსი იცვლება, ივსება და სრულყოფილი ხდება გამოძიების ცალკეული ეტაპების მიხედვით.

დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების, პირველდაწყებითი გადაუდებელი და შემდგომ ჩასა-ტარებელი საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკის განსაზღვრაზე და იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება შერჩეული და გამოყენებული საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები დანა-შაულის ნიშნებისა და კვალის გამოვლინების, ფიქსაციისა და მტკიცე-ბულებათა მიღება-გამოკვლევის მიზნით. ეი. დანაშაულთა კრიმინალის-ტიკურ დახასიათებაში, ზემოაღნიშნულ რეკომენდებულ საკითხებთან ერთად, მიზანშეწონილია აისახოს აგრეთვე გამოსაძიებელი დანაშაუ-ლებრივი შემთხვევის ის მონაცემები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ გამოძიების მეთოდიკის თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე. კერ-ძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ან ასეთის მცდელო-ბის შესახებ მიღებული მონაცემების საფუძველზე წინასწარი გამოძიე-ბის დაწყების თავისებურებაზე, საგამოძიებო ვერსიების აგებისა და გამოძიების დაგეგმვის თავისებურებაზე, გამოძიებით დასადგენ გარემოე-ბათა დადგენის მიზნით საჭირო პირველდაწყებითი და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შერ-ჩევა-ჩატარების თავისებურებაზე, შემდგომ ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა თავისებურებაზე და სხვ., რომელთა მაღალორგანიზებუ-ლად და კრიმინალისტიკური თვალსაზრისით სწორად და ეფექტურად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმის სწრაფი, სრული გახსნა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

(გამოძიებით დასადგენი გარემოებების თავისებურებათა შესაბამის-ად კრიმინალისტიკური დახასიათების ცალკეული ელემენტების ში-

ნაარსი საშუალებას გვაძლევს სწორად ვიმსჯელოთ, ვიაზროვნოთ გამოძიებისათვის ჯერ კიდევ ახალ უცნობ გარემოებებზე და მის შესაბამისად მტკიცებულებათა მისაღებად დავსახოთ სათანადო საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებები, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მათი ჩატარების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: **დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება არის გამოძიების დაწყების მომენტისათვის გამომძიებლის ხელთ არსებული გამოსაძიებელ შემთხვევასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმის (დანაშაულის ჩამდენი პირის მიზნისა და მოტივის, დამდგარ მავნე შედეგთან მისი ფსიქიკური დამოკიდებულების და მისთვის დამახასიათებელი ნიშნების და სხვ.) შესახებ მოპოვებული ის ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა მეცნიერული ანალიზი ხელს უწყობს სწორი საგამოძიებო ვერსიების აგებას, საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკისა და მეთოდიკის სწორად განსაზღვრას და ამით გამოსაძიებელი საქმის სწრაფ, სრულ გახსნას და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.**

§2. საგამოძიებო სიტუაციის ცნება, არსი და მნიშვნელობა

ა) *დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ურთიერთკავშირი და განსხვავება.* დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების არსისა და მნიშვნელობის სრულყოფილი ასახვა-გადმოცემა შეუძლებელია საგამოძიებო სიტუაციის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გამოკვლევის გარეშე, რადგან მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და, მთელ რიგ შემთხვევებში, ერთიმეორეს განაპირობებენ. ამ ორი ცნების ძირითად მსგავსებად ისაა მიჩნეული, რომ ორივე არის გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ მიღებული ინფორმაცია, რომელთაგან კრიმინალისტიკური დახასიათება ემყარება საქმეზე მიღებულ იმ პირველად ფაქტობრივ მონაცემს, რომელთა მიღების წყარო კრიმინალისტიკური დახასიათების ფარგლებს გარეთაა, სცილდება მის შინაარსს და ადასტურებს გამოსაძიებელი ფაქტებისა და გარემოებების არსებობას და ამ მიმართებით ეხმარება და ხელს უწყობს გამოძიებას მიღებული

მონაცემების უტყუარობის საკითხის გადაწყვეტაში. საგამოძიებო სიტუაცია კი მოიცავს საქმეზე მიღებული ინფორმაციის წყაროსაც, ე.ი. კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის შესახებ არსებული ინფორმაციის წყაროებიც სხვადასხვაა. აქედან პირველი მათგანი აღმოცენდება დანაშაულის ჩადენის ბაზაზე, მეორე — საგამოძიებო სიტუაცია კი დანაშაულის გამოძიების ბაზაზე; რომ დანაშაულის ჩადენა ხდება სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ და რჩება რეალურად არსებულ მოვლენად, მიუხედავად იმისა, მასზე წარმოებს თუ არა გამოძიება. საგამოძიებო სიტუცია კი არ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მექანიზმის წარმოების ფარგლებს გარეთ. იგი პროდუქტია ამ საქმიანობისა და განპირობებულია მისი მოძრავი დინამიკური მოვლენებით. ამასთან, საგამოძიებო სიტუაციაში გამომძიებლის მოქმედება ყოველთვის არ შეიძლება განისაზღვროს საქმეზე არსებული მონაცემების საფუძველზე წინასწარ შედგენილი მოდელით. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება კი წარმოუდგენელია საქმეზე არსებული ინფორმაციისა და მათი წყაროების მიხედვით წინასწარ შედგენილი სქემის გარეშე.

პროფ. ნ.სელივანოვი მართებულად შენიშნავს, რომ საგამოძიებო სიტუაცია ზოგადი სახით გამოხატავს გამოძიების საერთო სურათს გარკვეულ მომენტებში.

ზოგიერთი ავტორი (ა.ხმიროვი და სხვ.) ფაქტობრივად ერთიმეორესთან აიგივებს დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებასა და საგამოძიებო სიტუაციას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არასწორი და ულოგიკოა.

„სიტუაცია" ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შექმნილი პირობების ერთობლიობას, გარემოებას, მდგომარეობას, ვითარებას, ე.ი. იგი ნიშნავს იმას, რომ ეს შექმნილი პირობები და გარემოებები ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ქცევის წარმართვაზე და, ცხადია, იგი სათანადო ზემოქმედებას ახდენს და, მთელ რიგ შემთხვევებში, განაპირობებს კიდეც გამომძიებლის მოქმედებას დანაშაულის გამოძიების ამა თუ იმ ეტაპზე, მის მიერ გამოძიების ტაქტიკური ხერხების შერჩევას შექმნილი სიტუაციის შესაბამისად.

ბ) *საგამოძიებო სიტუაციის კლასიფიკაცია.* კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ ზოგადს, კერძოს, მარტივსა და რთულ საგამოძიებო სიტუაციებს.

ზოგად სიტუაციად მიჩნეულია დანაშაულის გამოძიების მსვლელობა და მდგომარეობა, საქმეზე მნიშვნელობის მქონე დადგენილ და დასადგენ გარემოებათა ერთიანობა, მათი სირთულე და სხვა ამოცანების გადაწყვეტა გამოძიების მოცემულ მომენტში. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამოძიების მიმართულება, შეირჩეს პირველდაწყებითი გადაუდებელი — საგამოძიებო მოქმედებათა კომპლექსი და შემუშავდეს ზოგადი ვერსიები.

კერძო სიტუაცია ეხება გამოძიების ცალკეული ეპიზოდების მდგომარეობას, გარკვეული გარემოების ახსნას, მათ მნიშვნელობას, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პირობებს, ადგილზე არსებულ მატერიალურ მდგომარეობას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სხვ.

მარტივ სიტუაციად მიჩნეულია ისეთი გარემოება, როცა გამოძიების დასაწყისში მისი ჩამდენი პირი სახეზეა და შემთხვევა ატარებს ერთნიშნიან ხასიათს.

რთულ საგამოძიებო სიტუაციაში კი — ისეთი შემთხვევები, როცა გამოძიების დასაწყისში დანაშაულებრივი გარემოების შესახებ არსებობს არასაკმარისი ინფორმაცია.

ა. ვასილევი თავის მონოგრაფიაში „საგამოძიებო ტაქტიკა", მართებულად აღნიშნავს, რომ ტაქტიკური ხერხების შერჩევა და გამოყენება დამოკიდებულია საგამოძიებო სიტუაციაზე, გამომძიებლის მიერ მათ შეფასებაზე. ამასთან, იგი საგამოძიებო სიტუაციას იხილავს როგორც ზოგადს, — მთელ გამოსაძიებელ საქმეზე და კერძოს, — გამოძიების ცალკეული ეპიზოდის ან საგამოძიებო მოქმედების შესახებ. მისი აზრით, ზოგადი საგამოძიებო სიტუაცია არის დანაშაულის გამოძიების მსვლელობა და მდგომარეობა, ამა თუ იმ მნიშვნელობის მქონე დადგენილ და დასადგენ გარემოებათა ერთიანობა, მათი სირთულე და სხვა ამოცანების გადაწყვეტა გამოძიების მოცემულ მომენტში. იგი საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ გამოძიების მიმართულება, შევარჩიოთ პირველდაწყებით გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა კომპლექსი, შევიმუშავოთ ზოგადი ვერსიები. კერძო სიტუაციის შეფასებისას კი აუცილებელია გავითვალისწინოთ ცალკეული ეპიზოდების გამოძიების მდგომარეობა, გარკვეული გარემოებების ახსნა, მათი

მნიშვნელობა, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები, ადგილზე არსებული მატერიალური მდგომარეობა, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში მონაწილე პირთა ინდივიდუალური თავისებურებები და სხვ.

ასევე ა.ნ.ვასილევი თავის საკანდიდატო დისერტაციაში „გამომძიებლის საქმიანობის ფსიქოლოგიური დახასიათება," მართებულად შენიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ფაქტობრივად არის პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა და, რომ, რაც უფრო მწვავეა პრობლემური სიტუაცია, მით უფრო აქტიურია აზროვნების პროცესი.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ **ტიპურს, სპეციფიკურს, მარტივსა და რთულ საგამოძიებო სიტუაციებს. ტიპურ სიტუაციად** მიიჩნევენ ისეთ ხშირად გამეორებულ სიტუაციებს, რომლებიც მოიცავენ არასაკმარის ინფორმაციებს და ხასიათდებიან მეტად ზოგადი ნიშნებით; **სპეციფიკურ სიტუაციად** — ისეთ სიტუაციას, როცა მიღებული ინფორმაციები ხასიათდებიან მეტი კონკრეტულობით, განსაკუთრებული და ინდივიდუალური ნიშნებით. ამასთან, რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვს გამომძიებელს საქმეზე მიღებული, მით უფრო **მარტივია საგამოძიებო სიტუაცია** და, პირიქით, **რთული საგამოძიებო სიტუაცია** იქმნება მაშინ, როცა საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების შესახებ არსებობს არასრული ინფორმაცია.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს საგამოძიებო სიტუაციის კიდევ უფრო დეტალური კლასიფიკაციაც, როცა მარტივი საგამოძიებო სიტუაციის გარდა, ერთიმეორისაგან განასხვავებენ 5 ჯგუფის რთულ სიტუაციას. კერძოდ, **მარტივი სახის საგამოძიებო სიტუაციად** მიჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა საქმის გამოძიებისთანავე გამომძიებელს აქვს საკმაო ინფორმაცია მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის და მისი ჩამდენი პირის შესახებ. **რთულ საგამოძიებო სიტუაციებში** კი ერთიმეორისაგან განასხვავებენ ისეთ შემთხვევებს, როცა:

1. საქმეზე არსებობს საკმაო ინფორმაცია დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ, მაგრამ არ მოიპოვება ცნობები მისი ჩამდენი პირის შესახებ (მაგალითად, მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა და სხვ.) და უცნობია მისი ჩამდენი პირი;

2. საქმეზე მოიპოვება მონაცემები დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისა და დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ (მაგალითად, ქრთამის აღება, გაუპატიურება, მაგრამ არ არის საკმარისი ინფორმაცია იმაზე, ამ გარემოებას ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი);

3. საქმეზე მოიპოვება საკმაო ინფორმაცია გამოსაძიებელი შემთხვევის არსებობისა და მასზე პასუხისმგებელი პირის შესახებ (მაგალითად, დანაკლისი, ავტოავარია, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევა და სხვ.), მაგრამ გაურკვეველია ეს ქმედება არის თუ არა დანაშაულებრივი;

4. ცნობილია დანაშაულებრივი შემთხვევა და იმ პირთა წრე, რომელთაც შეეძლოთ მოცემული დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, ნადირობის დროს ჩადენილი მკვლელობა, ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა, ქურდობა საცავში შეღწევით და სხვ.);

5. არსებობს ინფორმაცია კონკრეტული შემთხვევის შესახებ, მაგრამ გაურკვეველია არის თუ არა იგი დანაშაულებრივი და, ამასთან, არ არის ცნობა ამ ამბის ჩამდენი პირის შესახებ (მაგალითად, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვა და სხვ.).

გ) საგამოძიებო სიტუაციის ცნება. საგამოძიებო სიტუაციათა ამგვარი კლასიფიკაცია, ცხადია, საჭირო და სასარგებლოა, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო მეტი სიზუსტით წარმოვიდგინოთ ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების კონკრეტული ამოცანები და უფრო სრულად დავსახოთ მათი გადაწყვეტის გზები. მაგრამ ამ საგამოძიებო სიტუაციათა კლასიფიკაციაში, დანაშაულთა გახსნის თვალსაზრისით, შეიმჩნევა არასრული წარმოდგენა გამოსაძიებელ შემთხვევაზე, მის ყოველმხრივ გამოკვლევაზე, რადგან მათში იგრძნობა გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრის ერთგვარი შეზღუდვა. იგი თითქოს ვერ სცილდება დანაშაულებრივი შემთხვევისა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დადგენის ფარგლებს. დანაშაულის გახსნა კი ნიშნავს საქმის სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევას, მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, გამოსაძიებელ საქმეზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას, დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენას და სხვ. რაც, თავის მხრივ, მთელ რიგ შემთხვევებში, წარმოქმნის გამოძიების ახალ რთულ სიტუაციებს. ამასთან, დანაშაულებრივი შემთხვევის გამოძიების პროცესში, მართალია, გამომძიებელი ქმნის გამოძიების ერთიან

მოდელს, მაგრამ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მას არ შეუძლია იმოქმედოს მის მიერ ადრე შედგენილი სქემით ან მისი ადრინდელი პრაქტიკული გამოცდილებით, რადგან სიტუაცია განუწყვეტლივ იცვლება გამოძიების წარმოების ყველა მომენტში. იგი შეიძლება შეიცვალოს თვით ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესშიც ახლად აღმოცენებული, მოულოდნელი გარემოებისა და ვითარების მიხედვით.

მაგალითად, გამომძიებელი ბინის ჩხრეკის ჩატარების პროცესში შეიძლება წააწყდეს დამნაშავეს, რომელიც გამოძიებას ემალებოდა და ამ უკანასკნელმა გაუწიოს შეიარაღებული წინააღმდეგობა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში გამომძიებლის მიზანდასახული მოქმედება, მისი აზროვნება ამ სიტუაციაში იქითკენ აღარ იქნება მიმართული, თუ რა ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეუძლია გამოიყენოს გადამალული ნივთების აღმოსაჩენად, არამედ ამ შეცვლილი სიტუაციის გამო მისი აზროვნების ცენტრი ინაცვლებს სრულიად ახალი მიმართულებისაკენ და ამ ახლად აღმოცენებული კონკრეტული გარემოების მიხედვით ქმნის თავდაცვისა და მოწინააღმდეგე-ძებნილი პირის დაკავებისათვის საჭირო სპეციალურ მოდელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, **რომ საგამოძიებო სიტუაცია არის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გარკვეულ მომენტში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება გამომძიებლის გამგებლობაში არსებული მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოცულობითა და ხასიათით, აგრეთვე, კონკრეტულ გარემოებაში აღმოცენებული სხვა გარეშე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით.**

ამრიგად, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და საგამოძიებო სიტუაცია კრიმინალისტიკური ტაქტიკისა და დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემატური საკითხებია, რომელთა ღრმამეცნიერული დამუშავება და ანალიზი ხელს უწყობს მომხდარ გამოსაძიებელ დანაშაულებრივ ფაქტებზე ტაქტიკური ხერხების შერჩევას და ყოველივე ამით გამოძიების სწორად წარმართვას, მტკიცებულებათა შეკრებას, საქმის სწრაფ, სრულ გახსნასა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

საკონტროლო კითხვები

1. კრიმინალისტიკური მეცნიერების განვითარების რომელ ეტაპზე აღმოცენდა მსჯელობა კრიმინალისტიკური დახასიათების შესახებ?

2. რა განსხვავებაა დანაშაულის სისხლისსამართლებრივ, კრიმინოლოგიურ და კრიმინალისტიკურ დახასიათებებს შორის?

3. რა არის დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტები?

4. რა უნდა იქნეს გაგებული დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებაში?

5. რა შეიძლება იყოს საერთო ერთგვაროვან დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებასა და კონკრეტული სახის კრიმინალისტიკურ დახასიათებას შორის?

6. რაში მდგომარეობს კრიმინალისტიკური დახასიათების ცნება, მისი დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნები?

7. რას ნიშნავს სიტყვა „სიტუაცია" და რა უნდა იქნეს გაგებული საგამოძიებო სიტუაციის ცნებაში?

8. რას ნიშნავს „სიტუაცია" და რა უნდა იქნეს გაგებული საგამოძიებო სიტუაციის ცნებაში?

9. როგორია საგამოძიებო სიტუაციის კლასიფიკაცია?

10. რამდენ ჯგუფადაა დაყოფილი რთული საგამოძიებო სიტუაცია?

11. როგორ და რა სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს საგამოძიებო სიტუაციის ცნება?

თავი V. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა კრიმინალისტიკური ტაქტიკის სისტემაში

§1. ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებისა და მათი საქმიანობის ზოგადი დახასიათება

ა) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოების საფუძველი და ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში. (კრიმინალისტიკური მეცნიერების აღმოცენებისა და განვითარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განვითარების ისტორიასთან. უფრო მეტიც, თავისი ჩამოყალიბებისა და არსებობის მიხედვით ამ უკანასკნელის ისტორია ბევრად სჭარბობს კრიმინალისტიკური მეცნიერების ისტორიას. თავის მხრივ, კრიმინალისტიკურმა მეცნიერებამ დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინად ჩამოყალიბების დღიდანვე შეისისხლხორცა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მთელი რიგი ძირითადი მიმართულებები და იგი კრიმინალისტიკის საგნის შემადგენელ ნაწილად იქნა აღიარებული.)

გერმანულ ენაზე გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს პირველი ავტორის ჰანს გროსისა და 1925 წელს პროფესორ ი.იაკიმოვის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის პირველ ორიგინალურ სახელმძღვანელოში, სადაც იგი არა მარტო თეორიულ ასპექტში იხილავდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, არამედ იქვე იძლეოდა მათი ჩატარების პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც სათანადო ფოტოილუსტრაციებით.

ქართულ და რუსულ ენაზე მომდევნო წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში თანდათანობით შემცირებულ იქნა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გამოყენების ფორმების გადმოცემა და მასში იგი ცალკე თავად იქნა გათვალისწინებული „ძებნის“ სახელწოდებით. 1960-იან წლებში კი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებიდან საერთოდ ამოღებულ იქნა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების თემატიკა. 1990-იან წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში კი თანდათან, სხვადასხვა მოკრძალებული სახით, — გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოების ურთიერთკავშირის ფორმების ზოგადი მიმოხილვით, ოპერატიულ-სამძებრო

საქმიანობა კვლავ თავის ძირძველ საგანს — კრიმინალისტიკას დაუბრუნდა. და, იმის გამო, რომ დანაშაულთა გამოძიების პროცესში მისი ძირითადი გამოყენება გამომძიებლის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და ოპერატიული სამსახური, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების შემდეგ, გამომძიებლის დავალებით ასრულებდა გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელ მთელ რიგ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, იგი სრულიად ლოგიკურად კრიმინალისტიკური ტაქტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგადა იქნა მიჩნეული და რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში „ძებნის" ან გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების ურთიერთკავშირისა და სხვათა სახელწოდებითა იქნა მოხსენიებული.[1]

ასევე, ვ.პოპოვის, ი.ფ.დემიდოვისა და სხვათა მართებული მოსაზრებით, ძებნის თეორია კრიმინალისტიკური მეცნიერების შემადგენელი ნაწილია. და, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არის ტაქტიკური ხერხი და, ამდენად, იგი კრიმინალისტიკური ტაქტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.[2]

კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თემის შეტანა უდავოდ სწორი და აუცილებელია, რადგან წარმოუდგენელია ორგანიზებულ და მთელ რიგ სხვა დანაშაულთა სწრაფი, სრული გახსნა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სწორად, მიზნობრივად გამოყენების გარეშე.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დღის სინათლეზე გამოტანასა და კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში მის ცალკე თავად გათვალისწინებას გარკვეულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ უკანასკნელ წლებში მომზადდა მისი საკანონმდებლო ბაზა და 1999 წლის 30 აპრილს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ". ამიტომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ცალკეული მიმართულებების (ძებნის და სხვ.) უშუალო განხ-

---

[1] იხ. ბ.ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 1969; Криминалистика. Учебник, М., 1996. Криминалистика. Учебник, М.,1998; Криминалистика. Учебник, М.,1999; Криминалистика. Учебник, Баку, 2000; Криминалистика. Учебник для вузов. М., 2000 და სხვ.

[2] **В.И.Попов.** Розыскная деятельность при расследовании преступлений. Автореферат докторской диссертации. М., 1965, 5-10. **И.Ф.Демидов.** Деятельность советской милиции по раскрытию и расследованию преступлений. Канд. дисс., Ростов-на-Дону, 1969, გვ. 167, 185, 186.

ილვამდე, საჭიროდ მიმაჩნია ჯერ განვიხილო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები და მათი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და ფორმები.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების საფუძველი პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: საერთო-სამართლებრივ და კერძო დავალებების სახეობად. აქედან პირველს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი საერთო-სამართლებრივი საფუძვლები, როგორიცაა: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; საერთაშორისო ხელშეკრულებები; „კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" და სხვა ცალკეული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები.

აღსანიშნავია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონის საფუძველზე და კანონით დადგენილი წესით, საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე გამოსცენ უწყებრივი ნორმატიული აქტები," რაც, ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების საერთო საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მეორე — კერძო საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ: საგამოძიებო საქმეებზე ოპერატიული სამსახურისათვის გამომძიებლის, პროკურორის დავალება მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ; დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმების მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით; დადგენილება იმ პირის ძებნის შესახებ, რომელიც ემალება გამოძიებას, სასამართლოს ან თავს არიდებს სასჯელის მოხდას; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოება პირის უგზო-უკვლოდ გაუჩინარების, ამოუცნობი გვამების ან უპატრონო ქონების აღმოჩენის შემთხვევებთან დაკავშირებით; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს შეკითხვით ან თხოვნით ჩასატარებელი ოპერატიულ-

---

[1] Криминалистика. Учебник, Под ред. проф. Н.П. Яблокова. М., 1999, gv. 365-366.

სამძებრო ღონისძიებები, აგრეთვე საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის სამართალდაცვის ორგანოს შეკითხვის ან თხოვნის საფუძველზე სხვადასხვა სახის მიზნობრივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება და სხვ.

ბ) *ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნება, ამოცანები და მისი განმახორციელებელი ორგანოები.* სამართალდაცვის ყველა ორგანო როდია უფლებამოსილი განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. დანაშაულის გამოვლინების, აღკვეთის, გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების უფლებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული კანონის მე-12 მუხლის თანახმად აღჭურვილია მხოლოდ შსს ოპერატიული ორგანოები და საგამოძიებო დანაყოფები; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამოძიებო დანაყოფები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურისა და საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლები; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები; საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სადაზღვევო ქვეგანყოფილება; საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოები; პროკურატურის გამომძიებლები, რომლებიც მათ წინაშე დაყენებულ ამ ურთულეს ამოცანებს წყვეტენ დამოუკიდებლად თავიანთი შემოქმედებითი უნარისა და კავშირების გამოყენებით ზემდგომი ორგანოებისაგან ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე.

ზემოაღნიშნული ორგანოები დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კანონის საფუძველზე ღიად და ფარული ხერხებით, საშუალებებითა და მეთოდებით.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნება მოცემულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებულ ზემოაღნიშნული კანონის 1-ლ მუხლში, რომლის თანახმად: „**ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია ან ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა,**

რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.“

მოცემულ განმარტებაში საკმაოდ ლაკონიურადაა ჩამოყალიბებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსი, დანიშნულება და მისი განხორციელების ფორმები და სუბიექტები. კერძოდ ის, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება, მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების სპეციალურ სამსახურებს მათთვის განკუთვნილი კომპეტენციის ფარგლებში და, რომ იგი შეიძლება გატარებულ იქნეს როგორც ფარულად, ისე ღია მეთოდებით და ატარებს სისტემურ ხასიათს. იქვე ყურადღება გამახვილებულია მოცემული საგნის კვლევის მიზანზე და ასეთად მიჩნეულია დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხელყოფისაგან პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირების უფლებებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა.

კანონმდებლობით რეგლამენტირებულია აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მიზნები და ამოცანები. და ასეთად მიჩნეულია: დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა, რომელიც ემალება მოკვლევას, წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას; დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა; უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება; აგრეთვე დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა).

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნებისაგან უნდა განვასხვაოთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება, რომლის ამოსავალი მაინც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნებაში უნდა ვეძიოთ. ამისდა შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული

კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზოგიერთი სახის პროცესუალურ-საგამოძიებო (ეჭვმიტანილის დაკავება, ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, დაკითხვა და სხვ.) მოქმედების ან სხვა არაპროცესუალური მოქმედებების ჩატარებით უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

§2. გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი დანაშაულთა გამოძიების პროცესში

ა) გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ცნება და მნიშვნელობა. დანაშაულთა გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს შორის სწორი ურთიერთკავშირის დამყარება კრიმინალისტიკური ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მთელი რიგი ისეთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, როგორიცაა: ორგანიზებული დანაშაული, ყაჩაღობა, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, მექრთამეობა და სხვ., გახსნა შეუძლებელია მათი ერთობლივი, სწორი, მიზანდასახული საქმიანობის გარეშე. მათი ეს ურთიერთკავშირი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მომხდარ გამოსაძიებელ ფაქტზე მტკიცებულებათა აღმოჩენის, ამოღებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაძებნა-დადგენის, მათი დაკავებისა და წარმოდგენის მიზნით წარმოებულ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებში. მათი ეს ურთიერთკავშირი და ურთიერთდახმარება თავს იჩენს აგრეთვე მთელი რიგი ცალკეული სახის რთული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, ზოგჯერ კი დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმებაში და სხვ. მათი ასეთი შემოქმედებითი მტკიცე ურთიერთკავშირი განსაკუთრებით თავს იჩენს აგრეთვე გაუხსნელ საქმეებზე ურთიერთშემოქმედებითი საქმიანობის დროს.

წინასწარი გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ძირითადი წყარო, მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაა და კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, და მათი საქმიანობა ძირითადად ამ საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდება, მაგრამ გამოსაძიებელი

დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად, ტაქტიკურად გამართულად მოქმედებენ ისინი გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს. მათ ტაქტიკურად კარგად გამართულ საქმიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული აგრეთვე გაუხსნელი საქმეების ბედი, როცა გამოსაძიებელ საქმეზე უკვე ჩატარებულია მრავალი საგამოძიებო მოქმედება, მაგრამ დანაშაული მაინც გაუხსნელია, ან როცა იგი ნაწილობრივ გახსნილია, მაგრამ გამოძიებით დაუდგენელია დანაშაულში მონაწილე სხვა პირები, ან როცა დადგენილია მათი ვინაობა, მაგრამ ისინი გამოძიებას ემალებიან და მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხდა მათი წარმოდგენა საგამოძიებო ორგანოში.

მაშასადამე, დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა გამოსაძიებელ საქმეზე გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს მიზანდასახული საქმიანობის ტაქტიკურად სწორი ორგანიზაცია, რაც, პირველ რიგში, ვლინდება მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმების სწორ ორგანიზაციაში, მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე მტკიცებულებათა აღმოჩენის, ამოღებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დაძებნა-დადგენისა და დაკავების მიზნით წარმოებულ გამომძიებლისა და სამძებრო-ოპერატიული მუშაკის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებში, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც პროცესუალური, ისე არაპროცესუალური სახის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი არის კრიმინალისტიკური ტაქტიკის ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოქმედი კანონების საფუძველზე ადგენს დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმების ან მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის გამოძიების პროცესში დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით გამოსაყენებელ და რეკომენდებულ ურთიერთკავშირის ამსახველ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს.**

ბ) ***გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ძირითადი ტაქტიკური ხერხები და მეთოდები.*** დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმების ან მომხდარი დანაშაუ-

ლის გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ამსახველი მთელი ეს საკმაოდ დიდი შრომატევადი საქმიანობა ტაქტიკური თვალთახედვით შეიძლება განხილულ იქნეს შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

1. დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ მიღებული ცნობების შემოწმების, დანაშაულის ნიშნების გამოვლინების, მტკიცებულებათა აღმოჩენის, მათი გამოკვლევისა და მიღებული მონაცემების საფუძველზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთასა და თავიდან აცილებაში;

2. მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე ერთობლივი გამოსაძიებელი გეგმის შედგენასა და დანაშაულის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა გატარებაში;

3. მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე ჭეშმარიტების დადგენისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა გამოვლინების, მათი ფიქსაციისა და ამოღების მიმართებაში;

4. დანაშაულის ჩამდენი ან მის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაძებნა-დადგენის, დაკავებისა და გამოძიების ადგილზე მის ეტაპირებაში;

5. წარმოებით შეჩერებულ გაუხსნელ სისხლის სამართლის საქმეზე შედგენილი გამოძიების გეგმის მიხედვით გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს წერილობითი ან ზეპირი ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა გამოსაძიებელი შემთხვევის გახსნის მიმართებაში;

6. გამოსაძიებელ საქმეზე გამომძიებლის მიერ ოპერატიული სამსახურის ორგანოსადმი ცალკეული პროცესუალური და არაპროცესუალური (ეჭვმიტანილთა ცხელ კვალზე მიდევნება, გარკვეულ ობიექტებსა და სუბიექტებზე ფარული თვალთვალის დაწესება და სხვ.) დავალებების მიცემის ტაქტიკურ თავისებურებებსა და მათი შესრულების თანმიმდევრობაში და სხვ.

გამომძიებლისა და ოპერატიული ორგანოს ზემოაღნიშნული ურთიერთკავშირი ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამყარებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებზე, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" არსებული კანონის ნორმებზე, კანონქვემდებარე აქტებზე და აპრობირებულია საგამოძიებო პრაქტიკით. ამიტომ მათი ეს ურთიერთკავშირი არ შეიძლება გაგებულ იქნეს კანონისგან განყენებულად და არ შეი-

ძლება ატარებდეს პერიოდულ, ფრაგმენტულ ხასიათს, და არ უნდა ემყარებოდეს მარტოოდენ მათ ურთიერთკეთილგანწყობას ან, პირიქით.

დანაშაულთა გახსნის პროცესში გამომძიებლისა და ოპერატიული ორგანოს ურთიერთკავშირის ზემოთ ჩამოთვლილი ტქნიკური ხერხები და მეთოდები გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამიტომ საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ზოგიერთი ამ თავისებურების შესახებ.

გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ურთიერთკავშირი, როგორც წესი, იწყება დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების საფუძველზე გამოძიების დაწყებისა და გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების მომენტიდან. მაგრამ გამორიცხული არაა ისეთი შემთხვევები, როცა მათი ეს კავშირი შეიძლება აღმოცენდეს გამოძიების დაწყებამდეც — ფარული თვალთვალისა და სატელეფონო საუბრების მოსმენით და სხვა სახით.

სსსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი უფლებამოსილია შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების შესაბამის ორგანოებს მისცეს წერილობითი მითითებები დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ. და, რომ კანონით დადგენილი წესების დაცვით, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით.

მათი ურთიერთკავშირის მტკიცე მაჩვენებელია ისიც, რომ გამომძიებელი სსსკ 64-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, უფლებამოსილია თავის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით დაავალოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების დროს, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით, ცხადია, გამომძიებელი უფლებამოსილი არაა და ვერც მიუთითებს დავალების შესრულების ტაქტიკურ ხერხზე ან მისი შესრულების სხვა რაიმე ფორმაზე, რადგან იგი ოპერატიული სამსახურის პროფესიული საქმიანობის პრეროგატივაა. მის შესასრულებლად თვითონ ამ უფლებით აღჭურვილმა ორგანომ ან უშუალოდ ოპერატიულმა მუშაკმა უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს ის ხერხი და საშუალება, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ეფექტური იქნება.

კანონით რეგლამენტირებულია ისიც, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმება შეიძლება მოხდეს ისეთი არასაპროცესო მეთოდით, როგორიცაა ახსნა-განმარტებების მიღება და დოკუმენტების გამოთხოვა. მაგრამ ამ გზით შემოწმებისას პირი არ შეიძლება გაფრთხილებულ იქნეს არასწორი ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისათვის ან ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, შემოწმებით მიღებული მასალები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარ მტკიცებულებად, თუ მათი დამაგრება და გამოკვლევა დამატებით არ მოხდა საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული სხვა წესით.

კანონით რეგლამენტირებული შემოწმების ამ ფორმების გარდა გამომძიებელი უფლებამოსილია მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით თითქმის ამომწურავადაა მოცემული გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთდამოკიდებულება დამნაშავეობასთან ბრძოლისა და დანაშაულის გამოძიების პროცესში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ურთიერთობის შესახებ კვლავ შეიძლება დაიბადოს რამდენიმე კითხვა:

1) იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობა მიიღო გამომძიებელმა და დაუყოვნებლივ შეადგინა მასზე ოქმი, საქმე მიიღო თავის წარმოებაში და იმავე დროს, თუ საქმეზე აუცილებელია დანაშაულის აღკვეთისათვის სათანადო გადაუდებელი ღონისძიებების გატარება, ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი არის თუ არა უფლებამოსილი ამგვარი ღონისძიების ჩატარებაში ჩაებას ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფი და მისცეს მათ სპეციალური დავალება? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ დადებითი შეიძლება იყოს, რადგან გამომძიებელი საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ თვითონაა მისი ბატონ-პატრონი და მას უფლება აქვს გამოძიებაში ჩაებას და მისცეს შესაბამისი დავალებები ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფს.

2) იმ შემთხვევაში, როცა საქმე წარმოებაში მიიღო გამომძიებელმა, ასეთ დროს მასზე პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება შეიძლება თუ არა ჩატარდეს ოპერატიულ-სამძებრო მუშაკების მიერ გამომძიებლის მონაწილეობისა და მისი ნებართვის გარეშე? ამ

კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს უარყოფითი. თუ საქმეზე ასეთი პირველადი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება აუცილებელია, ოპერატიულ-სამძებრო მუშაკებს უფლება აქვთ ჩაატარონ იგი მხოლოდ გამომძიებლის დავალებით.

3) იმ შემთხვევაში კი, როცა ასეთი პირველადი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება აუცილებელია მოხდეს ერთდროულად, როგორიცაა, მაგალითად, ჯგუფური ჩხრეკა, მაშინ, ცხადია, გამომძიებელი ვერ შეძლებს მონაწილეობა მიიღოს ერთდროულად სხვადასხვა ადგილას ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებში და მან ასეთი მოქმედებების შესრულება უნდა დაავალოს სხვა გამომძიებელს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ოპერატიულ მუშაკს.

თუ ასეთი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების თანმიმდევრობა გამომძიებელს აძლევს მასში მონაწილეობის მიღების საშუალებას, მაშინ მან არა მარტო მონაწილეობა უნდა მიიღოს მის ჩატარებაში, არამედ მისი ჩატარების მთავარი ორგანიზატორიც უნდა იყოს. უფრო მეტიც, იგი უნდა შეეცადოს მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის დაგეგმვა ისე აწარმოოს, რომ ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით წარმოებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები: საქმის გაუხსნელობა და დამნაშავე პირის დაუსჯელობა. ასეთი არასასიამოვნო შედეგი შეიძლება დადგეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ოპერატიული ორგანოები არაჯეროვნად ასრულებენ გამომძიებლის დავალებებს და თავიანთ საქმიანობაში არ ხელმძღვანელობენ და არ იცავენ სისლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესს.

საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ზემოაღნიშნული წესების გარდა, გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის ურთიერთკავშირი უნდა გამოიხატოს მათ მიერ **მოპოვებული ინფორმაციების გაცვლაშიც**. გამომძიებელი არ უნდა დაკმაყოფილდეს საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო მუშაკისაგან მიღებული ინფორმაციით. თვითონ გამომძიებელმაც უნდა მიაწოდოს მას საქმეზე პროცესუალური გზით მიღებული მონაცემების ინფორმაცია და ყოველივე ამის საფუძველზე ერთობლივად უნდა დასახონ ახალი საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. ამიტომ საჭიროა გამოძიების პროცესში ისინი სისტემატურად ახდენდნენ შეკრებილი ინფორმაციების ურთ-

ერთგაცვლას და იგი არ ატარებდეს ცალმხრივ ხასიათს, ჰქონდეთ ურთიერთმჭიდრო კავშირი და იგი აისახოს დანაშაულის გამოძიების გეგმაში.

გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირს, დანაშაულთა გამოძიების პროცესში, ზოგიერთი ავტორი ყოფს წინასწარი გამოძიების ცალკეული ეტაპების მიხედვით. ასეთ **პირველ ეტაპად** ისინი მიიჩნევენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, მასალების შემოწმების პროცესში, გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოს ურთიერთკავშირს; **მეორეს** მიაკუთვნებენ გამოძიების პირველდაწყებით სტადიას, რომლის დროსაც ერთობლივად წარმოებს მთელი რიგი გადაუდებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები. ამ ეტაპზე ხდება სწორედ მიღებული ინფორმაციებისა და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე არსებული ინფორმაციების გაცვლა, ოპერატიულ-სამძებრო მუშაკების მიერ გადაუდებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება და ასევე მათ მიერ, გამომძიებლის დავალებით, ზოგიერთი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება; **მესამე ეტაპს** მიაკუთვნებენ საქმეზე წარმოებულ ისეთი მოქმედებების შესრულებასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში ურთიერთკავშირსა და მონაწილეობას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პირისადმი ბრალდების წარდგენასა და პირის ბრალდებულის სახით დაკითხვასთან დაკავშირებით; **მეოთხე ეტაპს** მიაკუთვნებენ გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოს ისეთ ურთიერთკავშირს, რაც დაკავშირებულია წინასწარი გამოძიების დამთავრებასთან.[1]

გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ასეთი სახით დეტალური წარმოჩენა ურიგო არაა, რადგან ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება დანაშაულის გამოძიების ცალკეული ეტაპების მიხედვით მათი ურთიერთკავშირის თავისებურება, თუკი, რასაკვირველია, წინასწარი გამოძიების ამგვარი ეტაპების მიხედვით დაყოფას სწორად მივიჩნევთ. მაგრამ, ცხადია, მათი ასეთი ურთიერთკავშირის თავისებურებაზე დიდ გავლენას ახდენს გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის თავისებურება და ის პირველადი მონაცემები, რაც ამ დანაშაულის ჩადენის სპეციფიკაზე მიუთითებს. ამიტომ, მასში მითითებული გარემოებები და მათი ახსნის მექანიზმისათვის გამომძიებლისა და ოპერატიული

---

[1] Криминалистика. Учебник, Под ред. проф. Н.П.Яблокова. М.,1999, გვ. 365-366.

სამსახურის ორგანოს, ანუ ოპერატიული მუშაკის ურთიერთკავშირი არ შეიძლება შაბლონურად იქნეს გაგებული და სხვა საქმის გამოძიებაზეც უცვლელად იქნეს გადატანილი.

გამოსაძიებელ საქმეზე გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი კიდევ უფრო ღრმავდება და თავს იჩენს საქმეზე ჩასატარებელ ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, როგორიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა და ამოღება, ეჭვმიტანილის დაკავება, ძებნა, დაკითხვა, ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმება, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, როცა მასში მონაწილეობს ბრალდებული, ბრალდებულის ამოცნობა და სხვ., რომელთა უშუალო ურთიერთკავშირზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის საკითხების განხილვისა და კონკრეტული სახის დანაშაულის გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკური საკითხების განხილვის დროს.

§3. ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების უფლება-მოვალეობები და მათი საქმიანობის განსორციელების ხერხები და მეთოდები

ა) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების ხერხები და მეთოდები. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული ზემოაღნიშნული კანონმდებლობით რეგლამენტირებულია ის ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანების განხორციელება ღიად ან კონსპირაციული წესების დაცვით. ასეთად მიჩნეულია: პირის გამოკითხვა; ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლის დაწესება; საკონტროლო შესყიდვა; კონტროლირებადი მიწოდება; საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა; შესამოწმებელი პიროვნების იდენტიფიკაცია; დაკავებულის, დაპატიმრებულის ან მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა; მოსამართლის ბრძანებით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან, ელექტრონული კავშირიდან, კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან; ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით ელექტრული თვალ-

ყური და სხვ. რაც, როგორც წესი, წარმოებს დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყების შემდეგ მოსამართლის ბრძანებით. მაგრამ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როდესაც შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო, ასეთ შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება მათი ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშეც. მაგრამ ამ ღონისძიების დაწყებიდან 12 საათის განმავლობაში პროკურორი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება ეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე კი შუამდგომლობით შეიძლება მიმართონ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაკანონების მოთხოვნით. თავის მხრივ, სასამართლო ვალდებულია 24 საათის განმავლობაში დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს ეს შუამდგომლობა და პროკურორის და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს წარმომადგენლის განმარტების მოსმენის შემდეგ მოსამართლე აწარმოებს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შეფასებას კანონის შესაბამისობაში და გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი სახის დადგენილება: ა) ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონიერად ცნობის შესახებ, ან ბ) ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა და ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც საჭიროა მიეთითოს ის, თუ რა პირობებში იქნა გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. ეს ოქმი მოპოვებულ მასალებთან ერთად შენახულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესების დაცვით.

კანონით ნებადართულია აგრეთვე დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან თვითონ ოპერატიული მუშაკის ჩართვა და კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა.

კანონით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოების ხერხები და საშუალებები, ინფორმაციის მიღების წყარო და სხვ. მკაცრადაა გასაიდუმლოებული და მისი გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ პირებს. ამ მასალების გახმაურება აკრძალულია, იგი გათანაბრებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან და თუ მას გაახმაურებს პირი, რომელსაც მინდობილი აქვს იგი, ან თუ მას გაახმაურებს ის პირი, რომლისთვისაც იგი ცნობილი გახდა სამსახურებრივ ან სხვა მოვალეობასთან დაკავშირებით, ასეთ დროს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება სისხლის სამართლის კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის. ამ მონაცემებისა და დოკუმენტების გაცნობა ასევე არ შეიძლება სამეცნიერო ან სხვა მიზნით, თუ მათი მოპოვებიდან გასული არ არის 25 წელზე მეტი.

ამ საერთო წესიდან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ეს წესი „არ ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც დადგენილი წესით უფლება აქვს გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოებას, თუ ეს მონაცემები და დოკუმენტები ესაჭიროება სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობისათვის“.

რაც შეეხება საიდუმლო ინფორმაციის მომწოდებელი წყაროს ან საქმიანობის განმახორციელებელი საიდუმლო თანამშრომლის გახმაურებას, მისი გამჟღავნება საერთოდ არ შეიძლება, თუნდაც გასული იყოს 25 წელზე მეტი დრო.

დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყებამდე შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, როგორიცაა: დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა; კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა და სხვ.

ზემოაღნიშნული კანონით აკრძალულია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას, იურიდიული პირის უფლებებს, აგრეთვე ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც დაკავშირებულია პირის მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

ბ) ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების უფლება-მოვალეობები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოების ვადები. დანაშაულის შესახებ მიღებული განცხადების ან შეტყობინების განხილვის მიზნით პროკურორის მითითება იმის შესახებ, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება, მაგრამ სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნების დამადასტურებელი მონაცემები, ასეთ დროს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს. მაგრამ არსებობს გამონაკლისი ისეთი შემთხვევების მიმართ, როცა ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი მონაცემების შეგროვებას. ასეთ დროს ოპერატიული სამსახურის ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებითა და პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6(ექვს) თვემდე.

სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილის თანხმობით, რომელიც სანქციონირებული უნდა იყოს გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ, შემოწმების მიზნით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 9(ცხრა) თვემდე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ეს ვადა სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით, რომელიც სანქციონირებული უნდა იყოს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 12(თორმეტი) თვისა. დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობებისა და პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზნით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შემდგომი ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოება, როგორც წესი, უნდა შეწყდეს, თუ მისი ჩატარებით მიღწეულ იქნა ის მიზანი, რომლისთვისაც იგი ტარდებოდა ან როცა უკვე გაირკვა, რომ ამ მოქმედების წარმოებით შეუძლებელია დასახული ამოცანის გადაწყვეტა, ან როცა დადგინდა გარკვეული კონკრეტული გარემოება და იგი გამორიცხავს შესამოწმებელი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, ან როცა ამოიწურა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით მოპოვებულ მასალებს არ შეიძლება დამოუკიდებლად მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიენიჭოს. და, რომ ამ გზით მოპოვებული მასალების საფუძველზე არ შეიძლება ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა. მაგრამ იგი შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული დანაშაულის აღკვეთის, მისი თავიდან აცილებისა და გახსნისათვის საჭირო საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების მოსამზადებლად. კერძოდ, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად, გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აგრეთვე იმ ფაქტობრივი მონაცემების მოსაპოვებლად, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, ამ ორგანოების უფლებებად მიჩნეულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება ღიად ან ფარულად: სასყიდლით ან უსასყიდლოდ დაამყარონ თანამშრომლობა იმ პირებთან, რომლებიც თანახმანი არიან კონფიდენციალურ საფუძველზე ხელი შეუწყონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს; შექმნან და გამოიყენონ ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებას; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დროს ხელშეკრულებით ან ზეპირი შეთანხმებით გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილის სასამსახურო შენობები, ქონება, აგრეთვე კერძო პირთა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება; კონსპირაციის მიზნით გამოიყენონ დოკუმენტები, რომლებშიც შენიღბულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების თანამშრომელთა ვინაობა, ქვედანაყოფების, ორგანიზაციების, სადგომებისა და სატრანსპორტო საშუალებების კუთვნილება, აგრეთვე იმ მოქალაქეთა ვინაობა, რომლებიც ამ ორგანოებთან თანამშრომლობენ კონფიდენციალურ საფუძველზე.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანოების მოვალეობად კი

მიჩნეულია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ყველა საჭირო აუცილებელი ღონისძიება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საკუთრებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დასაცავად; შეასრულონ გამომძიებლის წერილობითი დავალებები, პროკურორის მითითებები და სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ სისხლის სამართლის საქმეებზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ, რომლებიც მათ წარმოებაში აქვთ მიღებული; შეასრულონ სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულებათა (შეთანხმებათა) საფუძველზე შესაბამისი საერთაშორისო სპეციალური ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების სპეციალური ორგანოების თხოვნა-შეკითხვები; საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია და გაუწიონ შესაბამისი დახმარება; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას დაიცვან კონსპირაციის წესები; ხელი შეუწყონ დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავიანთ თანამშრომელთა, მათი ოჯახის წევრთა, ახლობელთა, აგრეთვე სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა, მათი ოჯახის წევრთა, ახლობელთა პირადი უშიშროების უზრუნველყოფასა და მათი ქონების დაცვა-შენახვას და სხვ.

პოლიციის შესახებ არსებული კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულია ისიც, თუ დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით, რა სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება არ შეიძლება და ასეთად მიჩნეულია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს, მის ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას; ან, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებას და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს; ან თუ იგი დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან დანაშაულისა და სხვა სახის სამართალდარღვევის ჩასადენად. ამასთან, აქვე ნათქვამია, რომ სხვა ასეთი სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც დროებით ზღუდავს მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებას, შეიძლება ჩატარებულ იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

გ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში სხვა გარეშე პირთა ჩაბმის ფორმები და საშუალებები. აღსანიშნავია, რომ კანონით ოპერატი-

ულ-სამძებრო ორგანოების თანამშრომლებს უფლება აქვთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მომზადებაში ჩააბან სხვა პირებიც მათი თანხმობით ან მათთან დადებული სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე. ამ უკანასკნელთ ევალებათ, რომ საიდუმლოდ შეინახონ ცნობები, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებისა და ჩატარების დროს შეიტყვეს; ამასთან, ევალებათ ამ ორგანოებს არ მიაწოდონ ცრუ ინფორმაცია და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებთან კავშირი არ გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის.

ოპერატიულ-სამძებრო ორგანოები უფლებამოსილი არიან ასეთი თანამშრომლობის კონტრაქტი დაუდონ მხოლოდ სრულწლოვან პირებს განურჩევლად მათი მოქალაქეობრივი კუთვნილებისა, ეროვნებისა, სქესისა, სოციალური და თანამდებობრივი მდგომარეობისა, ენისა, განათლებისა, საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობისა, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა და სხვ.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ასეთ ხელშემწყობ პირებს, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს იცავს სახელმწიფო და თუ მათ შეექმნებათ საფრთხე, ეს ორგანოები ვალდებულნი არიან მიიღონ სათანადო ზომები მათი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

კანონით რეგლამენტირებულია ისიც, რომ პირებს, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანოებთან თანამშრომლობენ, უფლება აქვთ მიიღონ გასამრჯელო; ხოლო თუ ისინი თანამშრომლობენ მათთან კონტრაქტის საფუძველზე, მათი ეს მუშაობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს შრომის საერთო სტაჟში და უფლება აქვთ მიიღონ პენსია. თუ ასეთი პირი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების პროცესში დაიღუპება, მაშინ მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს ბიუჯეტის სახსრებიდან მიეცემათ ერთდროული დახმარება ათი წლის ხელფასის ოდენობით და ენიშნებათ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო.

ამრიგად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უმთავრესი მიზანია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული კანონით დადგენილი წესით, ხერხებითა და საშუალებებით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სპეციალურად შემუშავებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით **დამნაშავეობასთან აქტიური ბრძოლის წარმოება; დანაშაულის გამოვლინება-აღკვეთა; მომხდარი დანაშაულის ან ასე-**

თის მზადების შესახებ მიღებული ცნობების შემოწმება; დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება; საგამოძიებო ორგანოებისთვის სათანადო დახმარების გაწევა; გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებისა და ამოღებისათვის სათანადო მოსამზადებელი პირობების შექმნა; გამოძიებით დასადგენი (საძიებო) საგნებისა და ობიექტების აღმოჩენა და ამოღება; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნა; გამოძიებისგან მიმალვაში მყოფი დასაძებნი პირების ადგილსამყოფელის დადგენა, მათი დაკავება და ეტაპირება და სხვ.

საკონტროლო კითხვები

1. რამდენად მართებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მოთავსება კრიმინალისტიკური ტაქტიკის სისტემაში?

2. რა შეიძლება იყოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების საფუძველი და როგორია მათი კლასიფიკაცია?

3. რომელ ორგანოებს ევალება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება?

4. რა არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და რაში მდგომარეობს მისი ძირითადი არსი და მნიშვნელობა?

5. რა ფორმებით შეიძლება განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა?

6. რა თავისებურებებით ხასიათდება გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი?

7. რას ემყარება გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი?

8. რა სახის ძირითად მიმართებებში შეიძლება გამოიხატოს გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის ურთიერთკავშირი?

9. როდის, რა სტადიაზე შეიძლება გახდეს აუცილებელი გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის ურთიერთკავშირი?

10. როგორ და რა ფორმით შეიძლება მისცეს გამომძიებელმა დავალება ოპერატიული სამსახურის მუშაკებს?

11. საჭიროა თუ არა მოხდეს გამომძიებელსა და ოპერატიულ მუშაკს შორის ინფორმაციების გაცვლა?

12. რა სახის საგამოძიებო მოქმედებებში შეიძლება მოხდეს ოპერატიული მუშაკების აუცილებელი ჩაბმა?

13. რა ძირითადი ხერხებითა და მეთოდებით ტარდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება?

14. რა შემთხვევაში არ შეიძლება ჩატარდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება?

15. რა ვადებში შეიძლება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოება?

16. შეიძლება თუ არა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მიღებულ მონაცემებს მიეცეს დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა?

17. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში შეიძლება თუ არა გარეშე პირის ჩაბმა? დადებით შემთხვევაში როგორ, რა ფორმითა და საშუალებით უნდა მოხდეს მათი ჩაბმა?

18. რა არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოების უმთავრესი მიზანი?

19. რა ძირითადი ფორმებითა და საშუალებებით ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა?

თავი VI. ძებნის წარმოების ტაქტიკა

§1. ძებნის ცნება და სახეები. მისი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა

ა) ძებნის ცნება, საფუძველი და ობიექტები. ორგანიზებული და სხვა მთელი რიგი ისეთი მძიმე დანაშაულის, როგორიცაა მკვლელობა, ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაული, სატრანსპორტო დანაშაული, მექრთამეობა, გაუპატიურება და სხვ., სწრაფი სრული გახსნა წარმოუდგენელია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სწორი, თანმიმდევრული, მიზნობრივი ჩატარების გარეშე. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება ორგანულად დაკავშირებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამასთან, სამძებრო მოქმედება, თავის მხრივ, ისეთი არაპროცესუალური საძიებო მოქმედებაა, რომელიც უმეტესად ტარდება წინასწარ ცნობილი საგნებისა და ობიექტების აღმოსაჩენად და ამოსაღებად.

დაძებნის მიზნით გასატარებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, უმეტესწილად, შეიძლება იყოს მხოლოდ ფარული, ზოგჯერ იგი შეიძლება იყოს პროცესუალური მოქმედების თანმდევი ქმედება, როგორიცაა, მაგალითად, დაკავების დროს ჩხრეკის ჩატარება, ან პირადი ჩხრეკის წარმოებისას საძიებო საგნის აღმოჩენა და ამოღება და სხვ.

რაც შეეხება უშუალოდ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან მსჯავდებულის ძებნის გამოცხადებას, იგი ყოველთვის წარმოებს პროცესუალური გზით, რადგან ამისთვის საჭიროა გვქონდეს შესაბამისი დადგენილება ამა თუ იმ პირზე ძებნის გამოცხადების შესახებ და სხვ.

გაუხსნელ საქმეებზე წარმოებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეიძლება იყოს მხოლოდ ფარული, რომლის შესახებ ინფორმაციას გამომძიებელი და სასამართლო იღებს ამ ფარული ღონისძიებების ჩატარების შედეგების გაცნობით. ამიტომ, არასწორია და ვერ გავი-

ზიარებთ იმ კრიმინალისტების შეხედულებას, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებას განიხილავენ, როგორც მარტოოდენ საგამოძიებო მოქმედებათა მომზადებისა და ჩატარების ტაქტიკურ ხერხს.[1]

გამოძიების დაწყებისა და საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ გამოსაძიებელ საქმეზე ძებნის გამოცხადების პროცესუალური საფუძველია გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანა ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და თუ ეს პირი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას და იმყოფება მიმალვაში, გამომძიებელს იმავდროულად გამოაქვს დადგენილება ამ პირის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ.

რაც შეეხება სხვა საგნებისა და ობიექტების ძებნას, მათი აღმოჩენის ადგილმდებარეობისა და ამოღების შესახებ, თუ მათი ადგილსამყოფელი წინასწარ ცნობილია, მაშინ მათი ამოღება შეიძლება მოხდეს ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით, როგორიცაა ჩხრეკა და ამოღება. მანამდე კი ცნობებისა და ინფორმაციის მიღება, გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი საძიებო საგნებისა და ობიექტების ადგილსამყოფელის შესახებ, წარმოებს ფარულად — ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების გზით. ის, თუ ოპერატიულმა მუშაკმა რა ხერხებით, რა საშუალებებით, რა წყაროებით და როგორი აგენტურული დამუშავებით მიიღო ასეთი ინფორმაცია, ეს მისი სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკაა და მისი გაცნობა გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოსათვის მიზანშეუწონელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამძებრო საქმიანობა წინასწარი გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ძებნა არის გარკვეული თანამდებობის პირის მიერ წარმოებული ისეთ კონსპირაციულ და ზოგიერთ ღია პროცესუალურ ღონისძიებათა (ჩხრეკის, ამოღების და სხვ.) ერთიანი სისტემა, რომელიც დამყარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებულ კანონსა და სხვა კანონქვემდებარე აქტებზე და ხორციელდება სპეციალური, ღია და ფარული ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით. იგი მიმართულია ჩადენილი დანაშაულის ან ასეთის მზადების გამოვლინების, დატაცებული

---

[1] იხ. Туркевич И.К. Расследование и предупреждение взяточничества. Канд. дисс. Киев, 1968, გვ. 212, ი.დემიდოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 61 და სხვ.

საგნების, ობიექტების, ადამიანის გვამის, მიმალვაში მყოფი პირების დაძებნის, დაკავებისა და წარმოდგენისათვის. ყოველივე ამით იგი ხელს უწყობს დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძებნა წარმოუდგენელია საძიებო საგნებისა და ობიექტებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ცოდნის გარეშე. ამიტომ ძებნის გამოცხადებამდე საჭიროა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მუშაკები უზრუნველყოთ საძიებო საგნებისა და ობიექტებისათვის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და თვისებების შესახებ მოპოვებული სათანადო ინფორმაციით.

იმ შემთხვევაში, როცა გამოძიებას ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული სათანადო მონაცემები დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ, დანაშაულებრივი ფაქტი კი სახეზეა, განსაკუთრებით ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორიცაა: ქურდობა, მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა და სხვა მძიმე დანაშაული, ასეთ დროს, სანამ დანაშაულის ჩამდენ პირთა გარეგნულ მონაცემებს დავადგენდეთ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში, პირველ რიგში, საჭიროა გაირკვეს თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო შემთხვევის ადგილზე და ვის შეეძლო იქ თავისი კვალის დატოვება. შემდეგ კი დანაშაულის ჩამდენ პირთა აღმოჩენისა და დაკავების მიზნით მოხდეს ოპერატიული ჯგუფის მიერ „ცხელ კვალზე" მიდევნება დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული სპეციალისტის — სამძებრო ძაღლის გამყოლ პირთან ერთად.

თუ ამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას სასურველი შედეგი არ მოჰყვება, მაშინ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მონაცემებისა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, თუ გამოიკვეთება ამა თუ იმ პირის მონაწილეობა, მაშინ საჭიროა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები მისი ადგილსამყოფელის დადგენის, დაკავებისა და შესაბამის ორგანოებში მისი წარმოდგენისათვის. ამ მიზნით, საჭიროა მისი სავარაუდო თავშესაფრის ადგილმდებარეობის (მაგალითად, იმერეთის, კახეთის და სხვ.) მიხედვით გამოცხადდეს მისი ადგილობრივი (რაიონული), რეგიონული (სამხარეო), ან რესპუბლიკური მასშტაბის ძებნა. უკიდურეს შემთხვევაში კი შეიძლება დასაძებნი პირის შესახებ გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა და ამის შესახებ გამოტანილი დადგენილება დაიგზავნოს ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებში ინტერპოლის მეშვეობით.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „ცხელ კვალზე" მიდევნების დროს დანაშაულის ჩამდენ პირთა დასაძებნად შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ოდოროლოგიური სახის ან სუნის კვალის მიხედვით ოპერატიულ ჯგუფთან ერთად შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სამძებრო ძაღლი მის გამყოლ სპეციალისტთან ერთად ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: ქურდობა, ყაჩაღური თავდასხმა, მკვლელობა და სხვ., თუ მათი აღმოჩენა მოხდა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებიდან ღია ადგილზე არა უგვიანეს 10-15 დღისა და ამ პერიოდში არ მოხდა მათი დაზიანება ცუდი მეტეოროლოგიური პირობებით (წვიმა, ქარიშხალი, თოვლი და სხვ.), დაცულ შენობაში კი ასეთი სუნი შეიძლება აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს 2-3 თვის განმავლობაში. სამძებრო ძაღლის გამოყენება განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა არახალხმრავალ ადგილებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოძიების მიზნებისათვის სამძებრო ძაღლის გამოყენების საკითხებს, ჯერ კიდევ ადრე, პროფ. ი.იაკიმოვი 1929 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში საკმაოდ დეტალურად იხილავდა და გვთავაზობდა, რომ სამძებრო ძაღლის გამოყენების დროს მხედველობაში მიგველო დანაშაულის ჩადენის დრო და მეტეოროლოგიური პირობები და გვაფრთხილებდა, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალის მიხედვით ძაღლის გამოყენება და მიდევნება ძლიერ სიცხესა და ყინვაში მიზანშეუწონელია. ამასთან, იგი იქვე მართებულად აღნიშნავდა, რომ სამძებრო ძაღლი გამოცდილი ოპერატიული მუშაკის ხელში ისეთი მძლავრი ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც შეიძლება ვაწარმოოთ ისეთი საინტერესო დაკვირვებები, რომელთა აღმოჩენა-გამოვლენისათვის ადამიანის შეგრძნება უძლურია.[1]

როგორც საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრაქტიკა გვიჩვენებს, შემთხვევის ადგილზე არსებული სუნის კვალის მიხედვით მისი დამტოვებელი პიროვნების დასაძებნად გამოიყენება სხვადასხვა ჯიშის გაწვრთნილი სამძებრო ძაღლები. უფრო მეტიც, მათი გამოყენება ხდება არა მარტო შემთხვევის ადგილზე არსებული სუნის (ოდოროლოგიური) კვალის მიხედვით პიროვნების დასაძებნად, არამედ ისინი ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა დაძებნისა და აღმოჩენისათვის, ფეთქებადი ნივთიერების დაძებნა-

---

[1] იხ. Якимов И.Я. Криминалистика. М., 1929, გვ.145-151.

აღმოსაჩენად და სხვ. უფრო მეტიც, სპეციალური აქტივიზებული ნახშირით შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნის კვალი, თუ იგი სათანადო წესების დაცვით იქნა ამოღებული და შენახული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს პიროვნების იდენტიფიკაციისათვის რამდენიმე წლის (ორ ათეულზე მეტი წლის) განმავლობაში.

დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის მიზნით, სამძებრო ძაღლის გამოყენებასთან დაკავშირებით აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „დამნაშავეთა ცხელ კვალზე" მიდევნებას ფეხის, სუნის ან სხვა კვალის მიხედვით მთელ რიგ შემთხვევებში ართულებს თვით შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიის ადგილმდებარეობა და თავისებურება. მაგალითად, ცნობილია, რომ მოასფალტებულ ხალხმრავალ ქუჩაში რთულია მოიძებნოს ჩვენთვის სასურველი საძიებო ფეხის კვალი, ან თუნდაც სამძებრო ძაღლმა უშეცდომოდ გაარჩიოს საძიებო კვალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი კვალი წყდება და იკარგება რომელიმე ტბის ან მდინარის პირას. სუნის კვალის აღება სამძებრო ძაღლის მიერ რთულდება მაშინაც, როცა დამნაშავეებმა შემთხვევის ადგილზე გამოიყენეს ისეთი სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება, რომელიც სპობს, ამცირებს ან ადვილად აქრობს მათ მიერ შემთხვევის ადგილზე დატოვებულ სუნის კვალს.

იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სუნზე მიმდევარმა მაძებარმა ძაღლმა მიგვიყვანა მდინარის პირას და იქ შეწყვიტა მიდევნება, ასეთ დროს რეკომენდებულია ძაღლს მივცეთ მიმართულება მდინარის საწინააღმდეგოდ ან მდინარის მიმართულებით ორივე ნაპირზე გააგრძელოს მისი ძებნა, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მდინარეში შესვლის შემდეგ დანაშაულის ჩამდენი ან მასში მონაწილე პირი თავისი კვალის დაკარგვის მიზნით, ცდილობს სიარულით ან ცურვით წავიდეს მდინარის საწინააღმდეგოდ ან მის მიმართულებით და მცირეოდენი მანძილის გავლის შემდეგ კვლავ ამოვიდეს წყლიდან და გააგრძელოს თავისი გზა. ასეთ დროს, რეკომენდებულია, მაძებარ ძაღლს მიეცეს შესაძლებლობა მდინარის ორივე ნაპირზე ეძიოს აღებული სუნი, არ დაკარგოს იგი და გააგრძელოს კვალზე მიდევნება.

იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილია მრავალსართულიან საცხოვრებელ ან სამსახურებრივი დანიშნულების კორპუსში, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიის დაცვის მიზნით დროებით უნდა შეწყდეს სადარბაზოში ლიფტ-

ითა და ფეხით მოსიარულე პირთა მოძრაობა და გაწვრთნილ მაძებარ ძაღლსა და მის მიმყოლს მიეცეს დავალება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სუნის ყნოსვის, მისი დამუშავებისა და კვალის დამტოვებელ პირზე მიდევნების, მისი დაძებნის, მისი ადგილსამყოფელის დადგენის, მისი დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ. თუ ძაღლი სადარბაზოს კიბეებს არ აჰყვა, მაშინ ლიფტის კარები უნდა გავაღოთ და ძაღლს მივცეთ საშუალება თავისუფლად იმოქმედოს, შევიდეს ლიფტში და მიჰყვეს აღებულ სუნს. ლიფტი ყველა სართულზე შევაჩეროთ და ძაღლს მივცეთ ლიფტიდან გამოსვლის საშუალება, დაყნოსოს იქაურობა და გააგრძელოს საეჭვო პირის ძებნა.

ძებნის წარმოების ობიექტი შეიძლება იყოს:

1) გამოძიებისაგან მიმალვაში მყოფი ეჭვმიტანილი და ბრალდებული;

2) სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან განაჩენის გამოტანის დროს სასამართლოს დარბაზიდან გაქცეული და მიმალვაში მყოფი მსჯავრდებული;

3) მოწმე და დაზარალებული, როცა გამოძიებისათვის უცნობია მათი საცხოვრებელი მისამართი და ადგილსამყოფელი;

4) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი;

5) ადამიანის გვამი ან მისი სხეულის ნაწილები, როცა ჩადენილია მკვლელობა გვამის დანაწევრებით;

6) შინაური დატაცებული ცხოველები და ძვირფასი ფრინველები ან მათი გვამები;

7) ნახევრად მოშინაურებული (ზოოპარკიდან ან ცირკიდან) გაქცეული საშიში ცხოველები და ფრინველები;

8) დატაცებული საგნები და დანაშაულის ჩადენის იარაღები;

9) დაკარგული ან დატაცებული ქონება და სხვა ძვირფასეულობა;

10) სატრანსპორტო საშუალება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხელყოფის საგანი ან როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი;

11) დატაცებული ან დაკარგული პირადობის დამადასტურებელი საბუთები: პასპორტი, პირადობის მოწმობა და სხვ.;

12) საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები (უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, სამეცნიერო ხარისხის მინიჭების ამსახველი დიპლომი და სხვ.);

13) მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ორდენები და სხვ.;

14) დატაცებული პირადი ქონება (ძვირფასი ქურქი, ტანსაცმელი და სამკაულები);

15) ინტელექტუალური შრომის პროდუქტები (გამოუქვეყნებელი სამეცნიერო ნაშრომები, პრემიაზე წარდგენილი ნაშრომები, გამოგონებები და სხვ.);

16) დატაცებული ცეცხლსასროლი იარაღები;

17) დაკარგული რეგისტრირებული ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი;

18) მკვლელობის ან სხვა მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილი გასროლილი ტყვიის ან გაცლილი საბრძოლო მასრის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღის დაძებნა;

19) პირად საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული კანონით აკრძალული საგნები და ნივთიერებები (სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერება, ადვილად აალებადი და ადვილად ფეთქებადი ნივთიერებები და სხვ.);

20) აღრიცხვას დაქვემდებარებული, დატაცებული ან დაკარგული, ისტორიული მნიშვნელობის ხელოვნების სხვადასხვა სახის ანტიკვარული საგნები და სხვ.;

21) გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა საგნები და ობიექტები და სხვ.

ბ) *ძებნის გამოცხადების ორგანიზაცია და ძებნის წარმოების პრინციპები.* ზემოთ ჩამოთვლილი საგნებისა და ობიექტების უდიდესი უმრავლესობის ძებნის დროს მათი დამახასიათებელი და ერთიმეორისაგან განმასხვავებელი საერთო, გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნები წინასწარაა ცნობილი წინასწარი გამოძიების ორგანოებისათვის და მათი დაძებნა და დადგენა სწორედ მათი ამ ნიშან-თვისებებით წარმოებს. მაგრამ ამ ნიშან-თვისებათა შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა წყაროდან. ერთ შემთხვევაში მათი მიღება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სახის პროცესუალური და საგამოძიებო მოქმედებებით, მეორე შემთხვევაში თვით ოპერატიულ-სამძებრო არაპროცესუალური ღონისძიებების ჩატარებით.

თუ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და ობიექტების ძებნა მიმდინარეობს გამოძიების პროცესში, მაშინ იგი უნდა წარმოებდეს გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორ-

განოს ურთიერთშეთანხმებით. მაგალითად, როცა მიმდინარეობს მიმალვაში მყოფი პირის — ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა, ცხადია, ასეთ დროს ძებნის ორგანომ ან პირმა, რომელიც აწარმოებს ძებნას, უნდა იცოდეს დასაძებნი პირისათვის დამახასიათებელი საერთო გარეგანი ანატომიური — სტატიკური, დინამიკური, ანუ ფუნქციონალური და კერძო ინდივიდუალური ნიშნები. ამასთან, სასურველია, გვქონდეს დასაძებნი პირის საამოსაცნობო წესით გადაღებული ფოტოსურათი ან ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო პირობებში გადაღებული ფოტოსურათები.

გამომძიებელს ასევე, ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს დატაცებული საგნების ზოგადი ნიშან-თვისებების შესახებ და ყოველივე ამაში ოპერატიულ მუშაკს სათანადო დახმარება გაუწიოს გამომძიებელმა. თავის მხრივ, ოპერატიულმა მუშაკმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით, არაპროცესუალური წყაროებით შეიძლება მიიღოს ინფორმაცია საძიებო საგნის ან პიროვნების სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ და ამის საფუძველზე ააგოს ოპერატიულ-სამძებრო ვერსიები და შეადგინოს გეგმა დასაძებნი პირის დაკავებისა და მისი წარმოდგენის შესახებ. ასევე, დატაცებული საძიებო საგნების დაძიებისა და ამოღების შესახებ და სხვ.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მიღებულია ერთიმეორისაგან განვასხვაოთ საგამოძიებო ვერსიები და ოპერატიულ-სამძებრო ვერსიები. საგამოძიებო ვერსიების აგება გამომძიებლის პრეროგატივაა და მის შემოწმებაში შეუძლია გამოიყენოს ოპერატიული მუშაკის დახმარებაც. ოპერატიულ-სამძებრო ვერსიების აგებისა და მისი შემოწმების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ოპერატიული მუშაკი. ორივე მათგანის მუშაობა სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით, სწორედ მათ მიერ წამოყენებული სამძებრო ვერსიების შემოწმებით უნდა შემოიფარგლოს. დანაშაულის გახსნის მიზნებისათვის მათ მიერ ძებნის მიმართებით წარმოებული საქმიანობა რეკომენდებულია ეყრდნობოდეს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორიცაა:

1) ძებნის განხორციელების აქტიურობა;
2) ძებნის წარმოების ლოგიკური დასაბუთებულობა;
3) ძებნის უწყვეტობა;
4) ძებნის სისწრაფე, გადაუდებლობა და ოპერატიულობა;

5) დანაშაულის ჩამდენ პირთა „ცხელ კვალზე“ მიდევნება;

6) პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით მიღებული შედეგების სამძებრო მიზნებისათვის სწორი, თანმიმდევრული გამოყენება;

7) გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა;

8) ოპერატიული სამსახურის ორგანოსათვის გამომძიებლის მიერ ძებნის მიმართებით მიცემული სპეციალური დავალებების შესრულება და სხვ.

გ) ძებნის გამოცხადების ტაქტიკა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ამიტომ ცალკეული სახის ძებნის ჩატარების ტაქტიკური ხერხების უშუალო განხილვამდე, რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ძებნის გამოცხადების ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის გადმოცემაზე.

საქართველოს სსსკ-ის 29-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმისწარმოება შეიძლება შეჩერდეს და ბრალდებულის მიმართ გამოცხადდეს ძებნა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მიიმალა, ან თუ ვერ იქნა დადგენილი მიმალვაში მყოფი ბრალდებულის ადგილსამყოფელი ან, როცა ბრალდებული მძიმედ დაავადდა. აქვე უნდა დაემატოს ისეთი შემთხვევა, როცა გამოძიებით ვერ იქნა დადგენილი გამოსაძიებელ საქმეზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი. ასეთ დროს მოსამართლემ ან პროკურორმა უნდა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება (დადგენილება) სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა საქმეში ჩაბმულია ორი ან რამდენიმე ბრალდებული და სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი ყველა ბრალდებულს არ შეეხება, პროკურორი უფლებამოსილია გამოყოს და შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა ცალკეული ბრალდებულის მიმართ.

ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ ჩერდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმეზე უკვე ჩატარებულ იქნა ყველა ის საგამოძიებო მოქმედება, რომელთა ჩატარება შეიძლებოდა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე.

სსსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, ძებნას აცხადებს გამომძიებელი ან პროკურორი და მის განხორციელებას ავალებს საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამის ორგანოს, რომელმაც თვეში ერთხელ მაინც უნდა წარუდგინოს ანგარიში ძებნის გამომცხადებელს ძებნის შედეგების შესახებ.

მაშასადამე, გამოძიებისაგან თავის ამრიდებელი და მიმალვაში მყოფი პირის შესახებ ძებნის გამოცხადება გამომძიებლისა და პროკურორის პრეროგატივაა და ამის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება. ამიტომ არასწორია პრაქტიკაში შემჩნეული შემთხვევები, როცა ბრალდებულის ძებნას აცხადებს მოსამართლე თავისი ბრძანებით. ასე, მაგალითად, 1998 წლის 19 მაისს, დაახლოებით 16 საათზე, ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ ფიროსმანის ქუჩაზე დაკავებული და სამორიგეო ნაწილში წარდგენილ იქნა მოქალაქე ზ-ე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 7,2 გრ ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა", რაზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და 21 მაისს მას წარედგინა ბრალდება იმ დროს მოქმედი სსკ-ის 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით. იმავე დღეს, ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა ზ-ესათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ, მაგრამ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ზ-ეს ჩამოერთვა გაუსვლელობის ხელწერილი. ზ-ემ ისარგებლა ამით და დაემალა წინასწარ გამოძიებას. ამიტომ 16 ივლისს კვლავ აღიძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, რომ ზ-ესათვის შერჩეული აღმკვეთი ღონისძიება — გაუსვლელობის ხელწერილი შეეცვალათ პატიმრობით. ამჯერად მოსამართლე მ-ემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გამოიტანა ბრძანება ბრალდებულ ზ-ეს ძებნის გამოცხადების შესახებ და მასზე წარმოება დაავალა ჩუღურეთის რ-ნის პოლიციას. ამასთან, იქვე ბრძანებაში მიუთითა: „ბრძანება არ ექვემდებარება გასაჩივრებას ან გაპროტესტებას საკასაციო წესით". ცხადია, ასეთი პრაქტიკა არასწორია. მოსამართლე მ-ეს უფლება არ ჰქონდა წინასწარი გამოძიების ფუნქცია მიეთვისებინა და მიმალვაში მყოფი ბარალდებულის ძებნა გამოეცხადებინა.

§2. გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და ობიექტების ძებნის ტაქტიკა

ა) **დადგენილების გამოტანა საქმის წარმოებით შეჩერებისა და ძებნის გამოცხადების შესახებ.** გამომძიებელი ან პროკურორი გამოიტანს რა დადგენილებას მიმალვაში მყოფი ბრალდებულის ძებნის გამოცხადების შესახებ, მის განხორციელებას ავალებს და დადგენილების ერთ ეგზემპლარს უგზავნის საქართველოს შსს, ფინანსთა, იუსტიციის ან თავდაცვის სამინისტროს ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამის ორგანოს სათანადო ცნობებთან ერთად. ძებნის შესახებ გამოტანილი დადგენილების მიმღები ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირი, როგორც აღვნიშნე, თავის მხრივ, ვალდებულია თვეში ერთხელ მაინც წარუდგინოს ძებნის გამომცხადებელ ორგანოს ანგარიში ძებნასთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

წარმოებით შეჩერებულ საქმეზე წინასწარი გამოძიება განახლდება დასაძებნი პირის დაძებნისთანავე ან ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის დადგენის მომენტიდან, თუკი ამ პირის აღმოჩენამდე გასული არ არის მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობისათვის კანონით დადგენილი ვადები.

ტექნიკური თვალსაზრისით წინასწარი გამოძიების წარმოებით შეჩერებისა და ძებნის გამოცხადების შესახებ დადგენილება შეიძლება გამოტანილ იქნეს ერთობლივი სახით — „დადგენილება საქმის წარმოებით შეჩერებისა და ძებნის გამოცხადების შესახებ", ან თითოეული მათგანის შესახებ დადგენილება გამოტანილ იქნეს ცალ-ცალკე სახელწოდებით: „დადგენილება ბრალდებულის ძებნის გამოცხადების შესახებ".

მარტოოდენ ის ფაქტი, რომ ბრალდებული არ იმყოფება არც თავის საცხოვრებელ და არც თავის სამუშაო ადგილზე და, რომ იგი არ ცხადდება საგამოძიებო ორგანოებში, ჯერ კიდევ საკმარისი არაა მის შესახებ ძებნის გამოცხადებისათვის. ამისათვის საჭიროა აგრეთვე მოხდეს შემოწმება და ამის შესახებ მიღებულ იქნეს წერილობითი ცნობები სამუშაო ადგილიდან და საცხოვრებელი ბინიდან. ამასთან, გაირკვეს, სტუმრად ხომ არ იმყოფება იგი თავის ახლო ნათესავებთან ან მეგობრებთან, ან ხომ არაა იგი სამკურნალოდ მოთავსებული რომე-

ლიმე საავადმყოფოში, ან ხომ არაა წასული დასასვენებლად, ან ხომ არ იმყოფება იგი სამხედრო სამსახურში, ან საზღვარგარეთ მოგზაურობაში, ან ხომ არაა მოთავსებული წინასწარი პატიმრობის ადგილებში და სხვ. ყველა ეს მონაცემი ასახულ და დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ცნობებითა და ოქმებით.

ბრალდებულის მიერ წინასწარი გამოძიებისათვის თავის არიდების და ამ მოტივით საქმეზე წინასწარი გამოძიების შეჩერების ფაქტები წინასწარი გამოძიებისათვის იშვიათობას არ წარმოადგენს. ამ მოტივით საქმეების შეჩერების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მარტო საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტში 1999 წელს წარმოებით შეჩერებულ 1992 საქმიდან, ძებნის მოტივით შეჩერებულ იქნა 393, ანუ 19,7%, რაც წინა წელთან შედარებით 1.7%-ით მეტს შეადგენდა. ასევე, 2000 წლის 9 თვის მონაკვეთში შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ორგანოებში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფაქტზე აღძრულ 1171 სისხლის სამართლის საქმიდან სასამართლოში საბრალდებო დასკვნით წარიმართა 775 საქმე, წარმოებით შეწყდა 7, სხვადასხვა საფუძვლით გამოძიება შეჩერდა 66 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც ბრალდებულის ძებნის მოტივით შეჩერებულ იქნა 17 სისხლის სამართლის საქმე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წინასწარ გამოძიებაში ძებნის მოტივით სისხლის სამართლის საქმეების წარმოებით შეჩერების რიცხვითი რაოდენობის ზრდას სხვა გარემოებებთან ერთად ხელს უწყობს თვით გამოძიების პროცესში დაშვებული შეცდომები და სასამართლო ორგანოების მიერ წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებელი შეცვლა სხვა უფრო მსუბუქი სახის აღმკვეთი ღონისძიებებით. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდებულთა მიმალვასა და მათ შესახებ ძებნის გამოცხადებას მთელ რიგ შემთხვევებში ხელს უწყობს თვით პოლიციის მუშაკებისა და გამომძიებელთა ტაქტიკურად არასწორი თანმიმდევრული მოქმედებები. მაგალითად, მცხეთის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტში 2000 წლის 27 მაისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 5,6 გრ ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ აღმოჩენის ფაქტზე, რაზეც ვ. მუსაევს წარედგინა ბრალდება და თავიც დამნაშავედ ცნო. გამომძიებელმა მას ჩამოართვა ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და სასამართლოს წინაშე არ დააყენა. შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, რითაც

ისარგებლა ბრალდებულმა და მიიმალა. გამოძიებამ მხოლოდ ბრალდებულის მიმალვის შემდეგ აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ვ. მუსაევის დაპატიმრების შესახებ, გამოაცხადა ძებნა და საქმეზე გამოძიება შეაჩერა ძებნის მოტივით.

ასევე, 2000 წლის 14 ივნისს გარდაბნის რაიონის პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ნ. არუთინიანის მიერ 550 გრ ნედლი „მარიხუანას" შენახვის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საქმე იმავე დღეს გადააგზავნა გარდაბნის რაიონის შს საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილებაში, სადაც მას ჩამოართვეს ახსნა-განმარტება და გაათავისუფლეს ხელწერილით. ნ. არუთინიანი დაემალა გამოძიებას, მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა, გამოცხადდა მისი ძებნა და საქმე შეჩერდა ძებნის მოტივით.

უფრო მეტიც, პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დანაშაულის ჩამდენი პირი სახეზეა და თვითონაც აღიარებს მის ჩადენას, მაგრამ გამოძიება არ იზიარებს და საქმის გამოძიებას აჩერებენ გაუხსნელობის მოტივით. ასე, მაგალითად, 1996 წლის 1 იანვარს, დაახლოებით 17 სთ-ზე სოფ. ფარცხანაყანებში გამავალ სამტრედია-ქუთაისის ავტომაგისტრალზე სამტრედიიდან ქ. ქუთაისის მიმართულებით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა „დაიმლერ ბენცის" მარკის სახელმწიფო ნომრით აბბ—359 ავტომანქანა და შეეჯახა საჭანე ტრანსპორტს (ურიკას), რომლის კოფოზე იჯდა ჩ-ე და მისი მეუღლე ლ-ე. დაჯახების შედეგად ჩ-ემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და ადგილზევე გარდაიცვალა, მისი მეუღლე ლ-ე კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. იმავე დღეს შს განყოფილებაში თავის დეიდაშვილ მ-ესთან ერთად გამოცხადდა მოქ. ს-ე, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ავტომანქანა მინდობილობით ეკუთვნოდა მ-ეს, მაგრამ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს თვითონ იჯდა საჭესთან და თვითონ მან მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა. იგივე დაადასტურა შემთხვევის მომენტში ავტომანქანაში მჯდომმა ტ-ემ და მისმა დეიდაშვილმა მ-ემ და, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მთელ მანძილზე ს.-ე აღიარებდა, რომ მან მოახდინა ეს ავტოშემთხვევა, გამომძიებელმა გ.-ემ უსაფუძვლოდ უარყო მის მიერ ეს აღიარება და საქმეზე გამოძიება შეაჩერა გაუხსნელობის, ანუ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის დაუდგენლობის მოტივით.

ბ) *მიმალვაში მყოფი პირების ძებნის წარმოების ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება.* მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის მიზნით, გამოძიებისაგან თავის ამრიდებელი ეჭვმიტანილი და ბრალდებული, მთელ რიგ შემთხვევებში ახერხებს დაუბრკოლებლივ მიატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, დატოვოს საქართველოს საზღვრები, შეიცვალოს თავისი ანკეტურ-ბიოგრაფიული მონაცემები, უკიდურეს შემთხვევაში, ჩაიტაროს სახის პლასტიკური ოპერაცია, მოახდინოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრება და კონსპირაციულად იცხოვროს საზღვარგარეთ „მშვიდად" და „ტკბილად", სანამ შესაბამისი ორგანოები დაადგენენ მის ნამდვილ ვინაობას და მოახდენენ მის დაკავებასა და ეტაპირებას. ამის არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება საქართველოს პროკურატურისა და შსს საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაობის პრაქტიკიდან.

მიმალვაში მყოფი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის გამოცხადების შესახებ დადგენილებისა და შესაბამისი ცნობების გადაცემის შემდეგ, ოპერატიული მუშაკი, რომელსაც დაევალა მოცემული პირის ადგილობრივი ძებნის საქმისწარმოება, მოცემული პირის შესახებ ადგენს სტატისტიკურ და სამძებრო ბარათს და გადასცემს ინფორმაციას შსს ყველა სამორიგეო ნაწილს და მათაც ეს მონაცემები შეაქვთ ძებნაში მყოფ პირთა კარტოთეკაში. ანალოგიური გზით შეიძლება ვაწარმოოთ მოცემული პირების შესახებ სათანადო ცნობების მიღების შემდეგ რესპუბლიკური მასშტაბის ძებნის გამოცხადება. რაც შეეხება განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა ძებნის გამოცხადებას საერთაშორისო მასშტაბით, იგი ხორციელდება ინტერპოლის მეშვეობით.

ძებნაში მყოფ პირთათვის დამახასიათებელი გარეგანი ნიშნების შესახებ სათანადო მონაცემები, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა წყაროებიდან. კერძოდ, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებიდან, იმ გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკისაგან, რომელსაც უშუალოდ ჰქონდათ მათთან შეხება და შესაძლებლობა დაემახსოვრებინათ მათი გარეგანი ნიშნები. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძებნაში მყოფი პირების ნაცნობებისა და მათი მნახველი პირების აღწერით შედგენილი სიტყვიერი პორტრეტები, კრიმინალისტიკურ რეგისტრაციაში და საარქივო მასალებში არსებული მათი პირადი საქმეები, რომლებშიც შესაძლოა მათ დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად იყოს აგრეთვე მათი საამოსაცნობო ფოტოსურათები და სხვ.

ანალოგიური წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს **მოწმისა და დაზარალებულის დასაძებნად**, როცა ისინი სხვადასხვა მოტივით ცდილობენ თავი აარიდონ სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობას და გამოძიებას არ მისცენ ჩვენება, მით უმეტეს, თუ მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით საქმეზე არასწორი ჩვენების მიცემის ან ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის.

მიმალვაში მყოფი მსჯავრდებულების ძებნის წარმოების დროსაც ძირითადად დაძებნის ისეთივე წესი გამოიყენება, როგორც ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათ დასაძებნ ბარათებში მითითებული უნდა იყოს, თუ დაკავების შემთხვევაში სასჯელაღსრულების რომელ დაწესებულებაში უნდა იქნეს იგი ეტაპირებული და სხვ.

რაც შეეხება ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი **სხვა სახის დასაძებნი საგნებისა და ობიექტების ძებნის გამოცხადება**, რეკომენდებული არაა გამომძიებლის მიერ სპეციალური დადგენილების გამოტანა. ასეთ დროს, როგორც წესი, გამომძიებელი აცნობს ოპერატიულ მუშაკს, დატაცებული საგნების სიას და მათთვის დამახასიათებელ საერთო და გვაროვნულ ნიშნებს და აძლევს მას დავალებას, ჩაატაროს სათანადო სამძებრო ღონისძიებები მათი დადგენისა და ამოღებისათვის.

გ) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნის გამოცხადების ტაქტიკა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მოხდეს ყველა შესამოწმებელი ღონისძიების გატარება მისი ადგილსამყოფელის დასადგენად. იმ შემთხვევაში, როცა პოლიციის ორგანოებში შეტანილ იქნება განცხადება მოცემული პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, მის საფუძველზე ჯერ უნდა ჩატარდეს მთელი რიგი შესამოწმებელი ღონისძიებები, მიღებულ იქნეს სათანადო ცნობები ამ შემოწმების შედეგების შესახებ და შემდეგ შევსებულ იქნეს „ბარათი უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის შესახებ". ქაღალდის ან ბლანკის პირველ გვერდზე უნდა აღინიშნოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები. ამასთან, მიეთითოს თუ სად, როდის და რა გარემოებებში მოხდა მისი დაკარგვა, როდის იქნა განცხადება შეტანილი მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ და რა ღონისძიებები იქნა გატარებული მის დასაძებნად და აღმოსაჩენად. ამასთან, ბარათზე განკუთვნილია სპეციალური ადგილი

დაკარგული პირის ორი ფოტოსურათის მოსათავსებლად. სურათები სასურველია იყოს მიახლოებით იმ პერიოდისა, როცა მოხდა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვა. ბარათის მეორე მხარეს საკმაო ადგილი ეთმობა დაკარგული პირის დამახასიათებელი ნიშნების აღწერას. ამასთან, იქვე დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მისი ჩაცმულობა და პირადი ნივთები, რათა შევძლოთ იმის დადგენა ხომ არაა იგი მოთავსებული ამოუცნობ გვამთა შორის და მოვახდინოთ მისი ამოცნობა და სხვ.

მონაცემები უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ჩაცმულობისა და იმის შესახებ, თუ დაკარგვის დღეს რა სამკაულები ჰქონდა თან, ვის შეხვდა ბოლოს და რაზე ისაუბრეს, ხომ არ აპირებდა იგი სადმე წასვლას და ვისთან ერთად, როგორ იმოქმედა მისმა დაკარგვამ მის ახლობლებზე და რა მოიმოქმედეს მათ და სხვ. ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც პროცესუალური, ისე არაპროცესუალური წყაროებიდან და მოხდეს მათი გადამოწმება და გაირკვეს, ხომ არაა წინააღმდეგობა მიღებულ ინფორმაციებს შორის.

დ) დაკარგული საგნებისა და ობიექტების ძებნის წარმოების ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება. დატაცებული ან დაკარგული ხრახნილლულიანი რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღების დასაძებნად საჭიროა ამოღებულ და მომარჯვებულ იქნეს მისი მონაცემები სააღრიცხვო ბარათიდან, რომელზეც, როგორც წესი, აღნიშნული უნდა იყოს ცეცხლსასროლი იარაღის სისტემა, სახეობა და იარაღის ნომერი, მისი კალიბრი და იმ სახელმწიფოს დასახელება, რომელშიც იგი იყო დამზადებული. ამ მონაცემების სპეციალურ ბარათზე გადატანის შემდეგ, იქვე უნდა აღინიშნოს, თუ ვინ მოიპარა ან სად მოხდა მისი დაკარგვა და ვის მიერ (თუ იგი წინასწარ ცნობილია). სასურველია, იმავე ბარათზე მიეთითოს ისიც, თუ ვინ აწარმოებს მის ძებნას და სხვ. ამავე ბარათში უნდა აღინიშნოს ცეცხლსასროლი იარაღის მეპატრონის მიერ მითითებული იარაღისათვის დამახასიათებელი რაიმე კონკრეტული ინდივიდუალური ნიშანი, თუკი მას ასეთი ნიშანი აქვს დადებული და სხვ.

სატრანსპორტო საშუალებათა ძებნა, როგორც წესი, ძირითადად წარმოებს ორ შემთხვევაში: 1) როცა ადგილი ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების გატაცებას და 2) როცა მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა სხეულის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებით, ან რასაც შედეგად მოჰყვა ერთი ან რამდენიმე პირის დაღუპვა და მძღოლი

სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აქედან პირველ შემთხვევაში მონაცემები გატაცებული სატრანსპორტო საშუალების შესახებ, ცხადია, მიღებულ უნდა იქნეს თვითონ მისი მფლობელისაგან. დანარჩენი მონაცემები სატრანსპორტო საშუალების გატაცებისა, მისი სავარაუდო ადგილსამყოფელისა და მის გამტაცებელ სავარაუდო პირთა შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს არაპროცესუალური საშუალებებით — წმინდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სწორი, თანმიმდევრული გატარებით, ოპერატიული მუშაკის დამხმარე ძალების გამოყენებით. მეორე შემთხვევაში, მიმალული ავტომანქანისა და მისი მძღოლის შესახებ პირველადი მონაცემები, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მივიღოთ შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, იქ დარჩენილი სხვადასხვა სახის კვალის დამუშავებით, შემთხვევის უშუალო შემსწრე პირებთან გასაუბრებითა და მათი დაკითხვით; შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მინის ან სხვა რაიმე ნატეხებით შესაძლებელია საეჭვო ავტომანქანის რომელიმე ნაწილის იდენტიფიკაცია ნაწილების მიხედვით ან შემთხვევის ადგილზე დარჩენილი მინის ნატეხებით მთელის იდენტიფიკაციის მოხდენა და მასზე არსებული ავტომანქანის ნომრისა და სერიის ამოკითხვა და სხვ. მიმალვაში მყოფი მძღოლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ ასევე უხვი მონაცემები შეიძლება მიღებულ იქნეს სწორი, თანმიმდევრული არაპროცესუალური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით.

ზემოაღნიშნული ორივე წყაროდან მიღებული მონაცემები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ძებნისა და ოპერატიულ-სამძებრო ვერსიების ასაგებად, გატაცებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მიმალვაში მყოფი მძღოლის ადგილსამყოფელის დასადგენად.

მიმალვაში მყოფი მძღოლისა და სატრანსპორტო საშუალების დაძებნა-დადგენაში სათანადო დახმარების გაწევა შეუძლია პოლიციის საგზაო-საზედამხედველო ინსპექციას — პატრულსა და უბნის ინსპექტორებს, რომლებსაც შეუძლიათ სათანადო კონტროლი გაუწიონ და თვალყური ადევნონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების (ავტომანქანებისა და სხვ.) შეკეთებას, გაარკვიონ მათი დაზიანებების აღმოცენების მიზეზები, დრო და სხვა მთელი რიგი გარემოებები.

დასაძებნი საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებების აღწერისა და ამ ნიშნების ოპერატიული ჯგუფებისათვის გადაცემასთან ერთად, მათ დასაძებნად ოპერატიულ ჯგუფს უნდა მიეცეს დავალება დააწესონ სათანადო თვალთვალი შემსყიდველ პუნქტებსა და ბაზრებზე. საჭიროების შემთხვევაში ბაზრებისა და შემსყიდველი პუნქტების დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება ჩაბმულ იქნეს დაზარალებულიც, რადგან მას ყველაზე ადვილად და ზოგჯერ შეუცდომლად შეუძლია თავისი კუთვნილი დატაცებული საგნების შეცნობა.

ოპერატიულმა ჯგუფმა, თავისი დამხმარე სანდო პირების მეშვეობით, შეიძლება ძვირფასი ცნობები მოიპოვოს ამა თუ იმ პირის საცხოვრებელ და სხვა დამხმარე სათავსებში საეჭვო საგნების ფარულად შეტანისა და ამ საგნების შემტანი პირების საეჭვო შეშფოთებული ქცევის შესახებ და სხვ.

მაგალითად, ერთ-ერთი ბინის ქურდობის საქმის გამოძიებისას, ოპერატიულმა მუშაკმა თავის სანდო პირების მეშვეობით შეიტყო, რომ მის სამოქმედო ტერიტორიაზე ქურდობის ჩადენიდან მეორე დღეს, დილით, საეჭვო პირებმა მისი საცხოვრებელი ბინის გვერდით მეზობლის სახლში შეიტანეს რაღაც საგნებით სავსე სხვადასხვა სახის ყუთები და ჩანთები. მათ ეტყობოდათ შეშფოთება და საგნების შეტანისას ცდილობდნენ მეზობლების ყურადღება არ მიეპყროთ. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, გამომძიებელი მართებულად მოიქცა, როცა დაუყოვნებლივ აღძრა შუამდგომლობა, რომ მოსამართლეს მისთვის მიეცა ნებართვა ამ პირის ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ, რაზეც სათანადო თანხმობის მიღების შემდეგ სრულიად მოულოდნელად ჩაატარა რა კარგად ორგანიზებული ჩხრეკა, ეჭვმიტანილის ბინიდან ამოღებულ იქნა დატაცებული საგნების დიდი ნაწილი, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი მოცემული დანაშაულის სწრაფ და დროულ გახსნას.[1]

ყველა ზემოთ აღნიშნული საგნისა და ობიექტის დასაძებნად და დასადგენად შეიძლება გეგმაზომიერად იქნეს გამოყენებული აგრეთვე პრესა, რადიო და ტელეგადაცემები საძიებო (დატაცებული ან დაკარგული) ობიექტებისა და სუბიექტების დამახასიათებელი გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშან-თვისებების აღწერა-გადმოცემით, მათი ფოტოილუსტრაციებით და სხვ.

---

[1] საქართველოს შსს ქ.თბილისის საგამოძიებო დეპარტამენტის პრაქტიკიდან.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ძებნა?

2. რა შეიძლება იყოს ძებნის საფუძველი?

3. რა შეიძლება იყოს ძებნის ობიექტი?

4. რა ღონისძიებების ჩატარება უნდა უსწრებდეს ძებნის გამოცხადებას?

5. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ძებნაში მყოფ პირად?

6. „ცხელ კვალზე" მიდევნებისათვის შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს სამძებრო ძაღლი და როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება?

7. რა შეიძლება იყოს ძებნის საგანი და ობიექტი?

8. რა არის ძებნის პრინციპები და რა თავისებურებებით ხასიათდება თითოეული მათგანი?

9. რა შემთხვევაში და როგორ ხდება ბრალდებულის ძებნის გამოცხადება?

10. ვის მიერ და როგორ წარმოებს მსჯავრდებულის ძებნის გამოცხადება?

11. ვის და როგორ უნდა დაევალოს ძებნის განხორციელება?

12. რა განსხვავებაა ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ძებნის ორგანიზაციასა და სხვა ობიექტების ძებნის წარმოებას შორის?

13. ვის მიმართაა ძებნის მწარმოებელი ორგანო ანგარიშვალდებული?

14. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება მიმალვაში მყოფი პირებისა და სხვა სახის საგნებისა და ობიექტების ძებნის ორგანიზაცია?

15. რა განმასხვავებელი თავისებურებებით ხასიათდება უგზოუკვლოდ დაკარგული პირის ძებნის ორგანიზაცია სხვა სახის დასაძებნი ობიექტებისაგან?

16. ძირითადად სად, რომელ ობიექტებზე და როგორ უნდა ჩატარდეს დატაცებული და ნაქურდალი საგნების ძებნის ორგანიზაცია?

17. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება დატაცებული ან დაკარგული ცეცხლსასროლი იარაღებისა და სატრანსპორტო საშუალებების ძებნის ორგანიზაცია?

თავი VII. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების ტაქტიკა

§1. დაკავების ცნება, მიზნები და საპროცესო-სამართლებრივი რეგლამენტაცია

ა) დაკავების ცნება, მიზნები და ამოცანები. დაკავება იძულებითი ხასიათის ერთ-ერთი რთული პროცესუალური მოქმედებაა, რომლის სწორად, ორგანიზებულად და დროულად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მთელი რიგი კატეგორიის დანაშაულთა სწრაფი, სრული და დროული გახსნა. ამასთან, ზოგიერთი სახის დანაშაულთა გამოძიების საქმეებზე იგი გვევლინება პირველდაწყებით გადაუდებელი კომპლექსური სახის საგამოძიებო მოქმედებადაც. მაგალითად, მექრთამეობის საქმეებზე, როცა ადგილი აქვს ქრთამის გამოძალვას, ან როცა პირი წინასწარ აცხადებს, რომ მან ამა თუ იმ თანამდებობის პირს ამა და ამ დროს უნდა გადასცეს ქრთამი და ითხოვს მის დაკავებას დანაშაულის ფაქტზე. ასეთ დროს ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილი თანამდებობის პირის დაკავების ორგანიზაცია და ქრთამის სახით გადაცემული ფულის ან სხვა სახის საგნის ამოღება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა. ასევე პირველადი და გადაუდებელი პროცესუალური მოქმედებაა იმ ეჭვმიტანილის დაკავება, რომელსაც წაასწრეს დანაშაულის ჩადენაში, ან რომელიც დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

დაკავება, როგორც იძულებითი სახის პროცესუალური მოქმედება, თავისი იურიდიული ბუნებისა და ტაქტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება პირობითად დაიყოს შემდეგი სახის სამ დიდ ჯგუფად:

1. დაკავება, რომელიც ხორციელდება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის სახით;

2. დაკავება იმ პირისა, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული და თავს არიდებს წინასწარი გამოძიების ორგანოებში გამოცხადებას და იძებნება;

3. დაკავება იმ პირისა, რომელიც სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ, შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, მა-

გრამ სხვადასხვა საშუალებით თავი დააღწია, არ ხდება განაჩენის აღსრულება და იმყოფება ძებნაში.

ზემოაღნიშნული ეჭვმიტანილის სახით პირის დაკავება, როგორც ქვემოთ დავინახეთ, არსებითად განსხვავდება ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების არა მარტო პროცესუალური ბუნებით, არამედ მათი დაკავების ჩატარების ორგანიზაციული ხასიათითა და ტაქტიკური თავისებურებებითაც. მაგრამ ყველა მათგანისათვის ერთი ძირითადი საერთო მაინც ისაა, რომ იგი ატარებს იძულებით ხასიათს და მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებში იმ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონი სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. ასეთ შემთხვევაში კანონით მიზანშეწონილადაა მიჩნეული პირის მოკლევადიანი დროით დაკავება და საზოგადოებისაგან მისი იზოლაცია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთის, მისი გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილების მიზნით.

დაკავებას ექვემდებარება ძებნაში მყოფი ის პირიც, რომელიც ბრალდებულად იქნა ცნობილი, მაგრამ არ ცხადდება და ემალება გამოძიებას, აგრეთვე ის პირიც, რომელიც სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით ცნობილია დამნაშავედ და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ განაჩენის აღსრულება ვერ ხდება მისი მიმალვაში ყოფნის გამო.

პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, საპროცესო კანონით დადგენილი წესით, დაკავების უფლებით აღჭურვილი თანამდებობის პირი მოახდენს პირის დაკავებას და მას წარადგენს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

მაშასადამე, დაკავება არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებში პირისათვის დროებითი მოკლევადიანი თავისუფლების შეზღუდვა პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანით.

დაკავება, როგორც იძულებითი სახის პროცესუალური ღონისძიება, ყოველთვის დაკავშირებულია დასაკავებული პირისადმი გარკვეულ ფიზიკურ ზემოქმედებასთან, ზოგჯერ კი საბრძოლო მანევრირების გამოყენებასთანაც. ამიტომ მისი დამკავებელი პირი აუცილებლად უნდა

ფლობდეს დაკავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, საბრძოლო მანერებსა და შებრძოლების დროს თავდაცვის ზოგიერთი სახის ილეთს, რათა პირისპირ შებრძოლების დროს დაძლიოს დასაკავებელი პირის წინააღმდეგობა. ამ თვალსაზრისით მისი განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, პოლიციის ოპერატიული სამსახურის მუშაკთა პრეროგატივაა. მაგრამ სსსკ-ის 143-ე მუხლით ასეთი უფლება მინიჭებული აქვთ არა მარტო შსს პოლიციის, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებისა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულ მუშაკებს, არამედ აგრეთვე გამომძიებლებსა და პროკურორებსაც, რომლებმაც დაკავებული ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანონ პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

ეჭვმიტანილის დაკავების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს აგრეთვე ნებისმიერ ფიზიკურ პირს, თუ იგი ეჭვმიტანილ პირს წაასწრებს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. ასეთ დროსაც დაკავებული ეჭვმიტანილი წაყვანილი უნდა იქნეს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

ბ) დაკავების სისხლის სამართლის საპროცესო რეგლამენტაცია. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ეჭვმიტანილად ითვლება პირი, რომლის შესახებაც არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ არ არის საკმარისი მტკიცებულება მისთვის ბრალდების წასაყენებლად. ასეთ დროს, თუ შემოწმებით ეჭვმიტანილად დაკავებული პირის მიმართ გამოიკვეთება საკმაო მასალები, რომ კანონით დადგენილი ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია მოცემული პირის მიერ, მაშინ მის მიმართ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავება, როგორც თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა, გამოიყენება მაშინ, როცა ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც პირს სასჯელის სახით შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა და არსებობს საკმაო საფუძველი ვიქონიოთ ეჭვი, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა ასეთი დანაშაული და მოსალოდნელია მისი გაქცევა, დამალვა ან მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს შეუშლის წინასწარ გამოძიებას, ან მოსპობს მტკიცებულებას.

კანონით განსაზღვრულია ისიც, თუ როდის, რა შემთხვევაში და რის საფუძველზე შეიძლება პირი ეჭვმიტანილად იქნეს ცნობილი და

დაკავებული. კერძოდ, სსსკ 142-ე მუხლის თანახმად, პირი ეჭვმიტანილის სახით შეიძლება დაკავებულ იქნეს იმ შემთხვევაში,თუ:

ა) წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;

ბ) თუ თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;

გ) როცა პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;

დ) როცა პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდგომ და იგი ამოიცნო დაზარალებულმა;

ე) როცა პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ.

ეჭვმიტანილის დაკავებას, როგორც წესი, მიმართავენ მაშინ, როცა პოლიციის ოპერატიული თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს მოცემული პირის დაკავების საფუძველი. ასეთ დროს იგი უფლებამოსილია დააკავოს ეჭვმიტანილი და მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში და დაუყოვნებლივ განუმარტოს თუ რა სახის დანაშაულის ჩადენაშია იგი ეჭვმიტანილი. ამასთან, საჭიროა აცნობოს, რომ მას აქვს დამცველის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება.

სსსკ-ის 145-ე მუხლში მითითებულია აგრეთვე იმაზე, რომ დაკავებულ ეჭვმიტანილს უნდა განემარტოს: „ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, „შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში“ და, რომ დაუშვებელ მტკიცებულებებს წარმოადგენს ის განცხადებები, რომლებიც გაკეთებულ იქნა დაკავებული პირის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე“.

კანონში ამგვარ განმარტებაზე მითითება, ჩემი აზრით, არასწორია და იგი გარკვეულ შეკამათებას იწვევს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთიმეორის გამომრიცხველია. მეორეც, ასეთი განმარტების მიცემა დაკავებულ ეჭვმიტანილს გარკვეულად უბიძგებს გამოიყენოს დუმილის უფლება და არაფერი თქვას თავის დამცველთან შეხვედრისა და მისგან შესაბამისი კონსულტაციის მიღებამდე, რადგან ყველაფერი, რასაც ის „იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში“. ამ გარემოებამ კი შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს დანაშაულის გახსნასა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობაზე.

თუ გამოიკვეთება ეჭვი, რომ დაკავებულს აქვს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიცილოს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, ასეთ დროს დაკავების ადგილზევე უნდა მოხდეს მისი პირადი ჩხრეკის ჩატარება და ამის შესახებ შედგენილ იქნეს არა ჩხრეკის, არამედ დაკავების ოქმი სათანადო წესების დაცვით. ასეთი ოქმი შეიძლება შედგენილ იქნეს შესაბამის ორგანოში მისი მიყვანის შემდეგაც, მაგრამ ოქმში უნდა მიეთითოს იმაზე, თუ რატომ არ იქნა იგი შედგენილი დაკავების ჩატარების ადგილზე. ოქმში მითითებულ უნდა იქნეს იმაზეც თუ ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, კანონში აღნიშნულ რა გარემოების საფუძველზეა დაკავებული, ფიზიკურად როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეჭვმიტანილი დაკავების მომენტში, პოლიციაში მიყვანის ზუსტი დრო და თარიღი და სხვ. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მისმა შემდგენმა თანამდებობის პირმა, ეჭვმიტანილის დამკავებელმა, დაკავებულმა და მისმა დამცველმა, თუ იგი ესწრებოდა ოქმის შედგენას.

აღსანიშნავია, რომ ოქმი თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს პოლიციის დაწესებულების ან სხვა იმ სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილმა პირმა, სადაც იქნა მიყვანილი დაკავებული.

იმ შემთხვევაში, თუ დაკავების ოქმი არ იქნება შედგენილი კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით, ან თუ იგი დაკავებულს არ გადაეცა, თავისუფლებაშეზღუდული დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება მოცემული პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ[1] .

---

[1] სსსკ-ის 145-ე მუხლის მეხუთე პუნქტში მითითებულია, რომ „ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება არ გამოიტანება". სსსკ-ის 72-ე მუხლში კი ნათქვამია: „თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად, გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი ცნობს ეჭვმიტანილად, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება". და, რომ „თუ მას ბრალდება არ წაეყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება". როგორც ვხედავთ, ამ მიმართებით კანონში არაა ერთიანი აზრი გატარებული, რაც მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს და ამ წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით მოხდეს ერთიანი სწორი პოზიციის ჩამოყალიბება. რაც შეეხება თვით საკითხს, საჭიროა თუ არა პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანა, ჩემი აზრით, ეს აუცილებელია დაკავებული პირისათვის სპეციალური პროცესუალური – ეჭვმიტანილის სტატუსის მისანიჭებლად.

საპროცესო კანონმდებლობით ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა განისაზღვრება 48 საათით. ამიტომ იგი ამ ვადის ამოწურვამდე უნდა იქნეს მიცემული ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ამის შესახებ, დროის ამ მონაკვეთში, უნდა მოხდეს დადგენილების გამოტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ შედგენილი დაკავების ოქმი და ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი დადგენილება გაუქმდება და დაკავებული პირი დაუყოვნებლივ განთავისუფლდება. ამასთან, **უნდა გვახსოვდეს, თუ ეჭვმიტანილის სახით დაკავებული პირი ერთხელ უკვე გათავისუფლდა დაკავებისაგან, „მისი ხელმეორედ დაკავება იმავე ეჭვით აღარ შეიძლება“.**

ეჭვმიტანილის სახით დაკავებული პირის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს, რომელიც უფლებამოსილია გაეცნოს სისხლის სამართლის მასალებს და შეამოწმოს დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა. ამასთან, მას უფლება აქვს მოცემული პირის მიმართ შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გაათავისუფლოს დაკავებული.

თუ სისხლის სამართლის საქმეზე ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის, მას ბრალდება უნდა წაეყენოს არა უგვიანეს 30 დღისა. ამასთან, მას უფლება აქვს ეჭვმიტანილად ცნობისთანავე ხელზე მიიღოს მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი დადგენილების ასლი.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებისა და პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მისი წარდგენის უფლება აქვს არა მარტო ოპერატიულ მუშაკს, გამომძიებელსა და პროკურორს, არამედ სხვა ნებისმიერ პირსაც. პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება კი აქვს მარტოოდენ გამომძიებელსა და პროკურორს.

ეჭვმიტანილის სახით დაკავების ზემოაღნიშნულის წესი არ ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირსა და მის ოჯახის წევრებზე, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის წევრზე, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეზე საქართველოს სახალხო დამცველსა და მოსამართლეზე. მაგრამ ზემოაღნიშნული პირები, საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, შეიძლება დაკავებულ იქნენ ეჭვმიტანილის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

დაკავების შემთხვევაში ეჭვმიტანილს უნდა განემარტოს მისი ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც საპროცესო კანონმდებლობით, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უფლებების დარღვევით დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენება რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი გამოძიებისათვის, დაკარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას.

სსსკ-ის 73-ე მუხლით ეჭვმიტანილის ასეთ უფლებებად მიჩნეულია:

1. დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, მისთვის გასაგებ ენაზე, ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ ეჭვი და გადაეცეს დაკავების ოქმის ასლი;

2. მისცეს ან არ მისცეს ჩვენება;

3. ისარგებლოს დამცველის მომსახურებით მასთან შეთანხმებით, ანაზღაურებით ან ანაზღაურებისაგან სრული გათავისუფლებით სახელმწიფოს ხარჯზე;

4. პირისპირ შეხვდეს დამცველს მარტო, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. მაგრამ მოცემული ეს უფლება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით, რის შესახებაც გამოძიების მწარმოებელმა პირმა უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება;

5. ჩხრეკის, ამოღებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მიიწვიოს დამსწრე არა უმეტეს ორი პირისა;

6. დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

7. დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 24 საათში;

8. განაცხადის შუამდგომლობანი და აცილებანი;

9. წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

10. მონაწილეობა მიიღოს მისი ან დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

11. გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები პროკურორთან, პროკურორისა — ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში — სასამართლოში;

12. კანონით დადგენილი წესით შეატყობინოს თავის ნათესავებსა და ახლობლებს თავისი დაკავების ადგილისა და ადგილსამყოფელის შესახებ;[1]

13. მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა უკანონო დაკავების შედეგად;

14. მიიღოს გამომძიებლისაგან ამომწურავი განმარტება თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

კანონმდებელი იძლევა იმაზე მითითებასაც, რომ ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებულ ან განმარტებულ იქნეს მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ზემოაღნიშნულ უფლებებთან ერთად ეჭვმიტანილს აქვს მთელი რიგი მოვალეობებიც, კერძოდ, სსსკ 74-ე მუხლით ასეთ მოვალეობებად მიჩნეულია:

1) თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არაა, იგი ვალდებულია გამოძახებისთანავე გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში;

2) ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, მოწმეთა და დაზარალებულთა შეგულიანებით;

3) ხელი არ შეუშალოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს შემოწმების, ექსპერტიზის, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების აღების, ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, პირადი ჩხრეკისა და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ გამოტანილ კანონიერ დადგენილებათა შესრულებას.

იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლებაში მყოფი ეჭვმიტანილი არ დაიცავს და არ შეასრულებს თავის საპროცესო მოვალეობებს, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება.

---

[1] სსსკ 72-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსსკ-ის 73-ე მუხლში ჩამოთვლილი მე-3 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით არ სარგებლობს პირი, რომელიც დაკავებული არაა ეჭვმიტანილის სახით.

ზემოაღნიშნული უფლება-მოვალეობების შესახებ დაკავებულ პირს უნდა ეცნობოს და განემარტოს ეჭვმიტანილად დაკითხვის უშუალო დაწყებამდე.

§2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების ჩატარების ტაქტიკა

ა) **ეჭვმიტანილის დაკავების ტაქტიკა.** საქართველოს სსსკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების საფუძვლის მრავალფეროვნების შესაბამისად, ეჭვმიტანილის დაკავების ტაქტიკაც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამას ემატება ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევაში, დაკავების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. მაგალითად, სსსკ-ის 142-ე მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დაკავების საფუძვლის არსებობისას, რომლის ჩატარების სუბიექტი ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლისა და პროკურორის გარდა შეიძლება იყოს როგორც ნებისმიერი თანამდებობის პირი, ისე რიგითი მოქალაქე, რომელმაც ერთ შემთხვევაში შეიძლება ეჭვმიტანილის დასაკავებლად გამოიყენოს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი ან სხვა ტექნიკური საშუალება. მაგალითად, თუ პირმა წაასწრო თავის საცხოვრებელ ბინაში გასაქურდად შესულ პირს, ერთ შემთხვევაში, მან შეიძლება მის დასაკავებლად გამოიყენოს ფიზიკური ძალა — ელვისებური სისწრაფითა და სპორტული საბრძოლო ილეთებით ადვილად დაიმორჩილოს, ან მასზე ფსიქიკური ზემოქმედების მიზნით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, ან მის დასაკავებლად მოუხმოს მეზობლებს ან საპატრულო პოლიციას და სხვ. მეორე შემთხვევაში, ბინიდან გამოსვლისას და იქიდან მოპარული ნივთების გამოტანისას იგი შეიძლება დაკავებულ იქნეს მეზობლის მიერ ან მისივე გამოძახებით პოლიციის მუშაკების მიერ და სხვ.

ეს გარემოება თავისთავად მიგვითითებს იმაზე, რომ ეჭვმიტანილის დამკავებელი ყველა ზემოაღნიშნული პირისათვის მისაღები, ერთიანი სპეციალური ტაქტიკური ხერხების შემუშავება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, და, რომ ყოველ კონკრეტულ რთულ სიტუაციაში, თითოეული მათგანი ეჭვმიტანილის დაკავებისათვის ირჩევს და იყენებს იმ ხერხსა და საშუალებას, რის შესაძლებლობაც მას აქვს. მაგრამ, ცხადია, ყველა შემთხვევაში დაკავების ტაქტიკური

ხერხისა და საშუალების გამოყენება დამკავებელს, დასაკავებელ პირსა და მის გარშემო მყოფ პირებს არ უნდა უქმნიდეს სიცოცხლის მოსპობის, ან ჯანმრთელობის დაზიანების აშკარა საფრთხეს.

დაკავების პროცესში შექმნილ რთულ გარემოებაში ასეთი საფრთხე შეიძლება აღმოცენდეს როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. ამიტომ ყველა შემთხვევაში ეჭვმიტანილის დამკავებელმა განსაკუთრებული გონიერება და წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს და, უპირველეს ყოვლისა, ყველა ტაქტიკური საშუალება გამოიყენოს დანაშაულის აღკვეთის, მისი თავიდან აცილებისა და ეჭვმიტანილის უვნებლად დაკავებისათვის.

დაკავების ტაქტიკური ხერხების შერჩევა დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რა სახის მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივ ქმედებაშია პირი ეჭვმიტანილი. მაგალითად, მკვლელობის, ძარცვის, ყაჩაღობის, საცხოვრებელ ბინებსა და სხვა საცავებში ჩადენილი ქურდობის, ჯიბის ქურდობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მექრთამეობის, საბაჟო წესების დარღვევის და სხვა სახის მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში შემჩნეული ეჭვმიტანილი პირის დაკავების ტაქტიკა არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მათი ჩადენის შემდეგ. ზოგიერთი სახის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში კი პირის ეჭვმიტანილად მიჩნევაზე მსჯელობა იწყება თვით დანაშაულის მზადების მომენტიდან, როგორიცაა, მაგალითად, ქრთამის მიცემა-აღება და სხვ. ამიტომ ეჭვმიტანილის დაკავების ტაქტიკური ხერხების შერჩევისათვის მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დანაშაულის ჩადენისა და კვალის დაფარვის ხერხები, საშუალებები, დრო, ადგილი, მოტივი, მიზანი და სხვა მთელი რიგი გარემოებები.

დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების მხილების, დანაშაულის გახსნის, დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების შერჩევის დროს, შეიძლება მარჯვედ იქნეს გამოყენებული არაპროცესუალური გზით მოპოვებული მონაცემებიც. კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ არსებული კანონით რეგლამენტირებული ისეთი ხერხები და საშუალებები, როგორიცაა: მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ან ასეთის მზადების შესახებ სხვადასხვა ხერხებითა და ოპერატიულ-სამძებრო საშუალებებით მოპოვებული

ცნობები; საეჭვო პირთა მოქმედებებზე ვიზუალური კონტროლით, ანუ ოპერატიული თვალთვალით მიღებული მონაცემები; კანონით აკრძალული საგნის (მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერებისა და საშუალების) საკონტროლო შესყიდვით მოპოვებული მონაცემები; შემჩნეული დანაშაულის ჩამდენი პირის ან პირთა ჯგუფის გამოსავლენად კანონით აკრძალული საგნის ერთი ადგილიდან მეორეზე კონტროლირებადი გადაადგილებით (საქართველოს ფარგლებში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ) მიღებული მონაცემები; ოპერატიული გზით მოპოვებული მონაცემების კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების (დაქტილოსკოპიური კარტოთეკით და სხვ.) გამოყენებით საძიებო ობიექტების ან კონკრეტული პიროვნების იდენტიფიკაცია; ვიზუალურად ან ტექნიკური საშუალებებით ოპერატიული გზით მოპოვებული გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევის შედეგები; სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ოპერატულ-სამძებრო ორგანოების მიერ, კანონით დადგენილი წესით, კავშირგაბმულობის არხიდან, ელექტრონული კავშირიდან, კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან მიღებული მონაცემები; აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ დანაშაულებრივ დაჯგუფებებსა და სხვა დანაშაულებრივ ფორმირებაში კონსპირაციულ პირთა შეღწევისა და მათგან ამ დანაშაულებრივ ჯგუფთა საქმიანობის შესახებ მიღებული ცნობები და სხვ.

ეჭვმიტანილის დაკავება, თავისი იურიდიული ბუნებით, შეიძლება ჩატარებულ იქნეს როგორც პროცესუალური, ისე არაპროცესუალური — წმინდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით, ან სრულიად შემთხვევით, ნებისმიერი თანამდებობის ან რიგითი მოქალაქის მიერ. ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებით ადგილი აქვს მაშინ, როცა პირს დანაშაულის ჩადენაში, ან მისი უშუალო ჩადენის შემდეგ, წაასწრო დაზარალებულმა ან მცველმა, ან სრულიად სხვა პირმა — მეზობელმა, ან რიგითმა მოქალაქემ, ან ოპერატიული სამსახურის მუშაკმა და სხვ. ან, როცა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს ოპერატიული მუშაკები დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის გამოვლინებისა და დაკავების მიზნით, ატარებენ სპეციალურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს.

მაგალითად, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პოლიციის სამი ოპერატიული მუშაკი ავიდა სამგზავრო ავტობუსში და ერთი მათგანი გაჩერდა წინა ჩასასვლელ კარებთან ახლოს, მეორე ამოსასვლელი კარებიდან ცოტა მოშორებით, მესამე კი ავტობუსის შუა ადგილას. მეორე გაჩერებაზე ავტობუსი მგზავრებით გაივსო. მესამეზე კი მგზავრთა სიმჭიდროვე შეიქმნა. მესამე გაჩერებაზე მგზავრებთან ერთად ავტობუსში ავიდა სამი ახალგაზრდა, რომლებმაც მგზავრების ჯიბეების „გასუფთავება" დაიწყეს და, როცა ერთ-ერთმა მათგანმა ავტობუსის ცენტრში მდგომ სახეზე „გაზეთაფარებულ" მესამე ოპერატიულ მუშაკს მიადგა და მისი ჯიბიდანაც ამოიღო წინასწარ გამზადებული სპეციალური ფხვნილებით დამუშავებული საფულე, წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, მან შეძლო მისი დაკავება. დანარჩენმა ოპერატიულმა მუშაკებმა მძღოლს ავტობუსის კარები დააკეტინეს და ზოგიერთი გაბედული მგზავრის დახმარებით „ჯიბეზე მომუშავე" სამივე მათგანი დააკავეს, მაგრამ მათ მოასწრეს სამართებლების, მოპარული საფულეებისა და ფულის იატაკზე დაყრა.

შეშინებულმა მგზავრებმა ამოიცნეს თავიანთი ჯიბიდან ამოღებული იატაკზე დაყრილი საფულეები და პორტფელები. ასევე, კრიმინალისტიკურ ტექნიკასა და ტაქტიკაში შემუშავებული ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით მოახდინეს სამართებლის ამოღება და ყოველივე ამის შესახებ აღნიშნეს მათი დაკავების ოქმში.

განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს სისხლის სამართლის დევნის წარმოების შემთხვევაში ეჭვმიტანილის დაკავების ორგანიზაცია მექრთამეობისა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის საქმეებზე, რადგან მთელ რიგ შემთხვევებში, ასეთ საქმეებზე ეჭვმიტანილის დაკავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველადი კომპლექსური სახის საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც მიმართულია ქრთამის ამღები თანამდებობის პირის დაკავებისა და ქრთამის საგნის, როგორც ნივთიერი მტკიცებულების ამოსაღებად.

ეს მოქმედება, როგორც წესი, ტარდება მამხილებელი ქრთამის მიმცემის ჩვენებისა და მიყენებულ ფაქტზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მიღებული მონაცემების საფუძველზე. ამ მოქმედების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული თვით იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად და დეტალურად მოხდა განმცხადებელი ქრთამის მიმცემი პირის დაკითხვა.

ასეთ დროს, თუ თანამდებობის პირზე ქრთამის გადაცემა შეთანხმებულია მოხდეს ქუჩაში, მაშინ ამის შესახებ საჭიროა გამოტანილ იქნეს გამომძიებლის ან პროკურორის დასაბუთებული დადგენილება მოცემული პირის ქრთამის მიცემა-აღების ფაქტზე დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ. ხოლო თუ ქრთამის ამღებ თანამდებობის პირთან შეთანხმებით ქრთამის მიცემა-აღება უნდა მოხდეს თანამდებობის პირის სამუშაო ოთახში, მაშინ დადგენილება გამოტანილ უნდა იქნეს ქრთამის აღებაში მხილებული პირის სამუშაო ოთახისა და პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ. მაგრამ ამ მოქმედების ჩატარებას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ოპერატიული ჯგუფის შერჩევაში, ქრთამის მიცემა-აღების ადგილმდებარეობის დეტალურ შესწავლა-გამოკვლევასა და, თუ შესაძლებელია, იქ ფარული თვითგადამღები კამერების დამონტაჟებაში ან შორი მანძილიდან ტელეობიექტივებით აღჭურვილი ფოტოკინო ან ვიდეოაპარატურით ფარული გადაღებების წარმოება და სხვ.

წინასწარ დამუშავებულ უნდა იქნეს ქრთამის სახით გადაცემული ფული ან სხვა სახის საგანი ლიუმინოგენის ფხვნილით ან უფერული ფანქრით მასზე შესაბამისი წარწერების გაკეთებით, რაზეც აუცილებლად შედგენილ უნდა იქნეს ოქმი ქრთამის სახით გადასაცემი ფულის ან სხვა საგნის ზემოაღნიშნული საშუალებებით დამუშავების შესახებ. ამასთან, პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გადასაცემი ქრთამის საგნის ლიუმინოგენის ფხვნილებით ან უფერული ფანქრით წინასწარ დამუშავებაში, მათ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ქრთამის ამღები მოხელე თანამდებობის პირის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებაში, რადგან ლიუმინოგენის ფხვნილი შეუმჩნეველია და იგი საკმაო დროით ინარჩუნებს თავის პირვანდელ სახესა და საგანზე შეხებისას მიწებების უნარს. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული ამ ფხვნილით გადასაცემი ქრთამის საგნის დამუშავება და, თუ ქრთამის ამღები მოხელე თანამდებობის პირი შეეხება ამგვარი წესით დამუშავებულ საგანს (ფულს), მასზე აუცილებლად გადავა ამ ფხვნილის ნაწილაკები და ულტრაიისფერ სხივებში დათვალიერებისას იგი თვალსაჩინო გახდება.

საგამოძიებო პრაქტიკაში ქრთამის სახით გადასაცემი ფულის ან სხვა საგნის ამგვარი მეთოდით წინასწარი დამუშავების პრაქტიკა

საქართველოში გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მომდინარეობს და ამ გზით მექრთამეობაში არაერთი თანამდებობის პირი იქნა მხილებული. მაგრამ ზოგჯერ პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როცა ქრთამის ამღები თანამდებობის პირი თავის გამართლების მიზნით, არცთუ ისე უსაფუძვლოდ, აყენებდა ვერსიას ქრთამის აღების პროვოკაციის მოწყობის შესახებ.

მაგალითად, ქრთამის აღებაში მხილებულმა თანამდებობის პირმა კ.-ამ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით დაკითხვისას აღნიშნა, რომ მას ქრთამი არ აუღია და არც ქრთამის საგანი არ უნახავს, რომ იგი ქრთამის მიმცემმა ტ.-ემ მისგან შეუმჩნევლად შეაგდო კარადის ქვეშ, რადგან მისი დაკავებისას ქრთამის სახით გადაცემული ფული აღმოჩნდა არა მის ჯიბეში, არამედ კარადის ქვეშ. თავის ხელზე ლიუმინოგენის ფხვნილის ნაწილაკების აღმოჩენა კი იმით ახსნა, რომ მის ხელზე ეს ნაწილაკები გადავიდა ოპერატიული მუშაკების ხელებიდან დაკავების დროს ხელზე შეჭიდებით.

ბრალდებულის მიერ წამოყენებული ამ ვერსიის შემოწმებით გაირკვა, რომ დაკავებაში მონაწილე ერთ-ერთი აქტიური ოპერატიული მუშაკი მონაწილეობდა აგრეთვე ქრთამის სახით გადასაცემი ფულის ლიუმინოგენის ფხვნილებით დამუშავებაში და შესაძლოა მისი ხელებიდან ეჭვმიტანილზე ხელის შეხებისას მართლაც გადავიდა ამ ფხვნილის ნაწილაკები. ამ გარემოებამ გარკვეულად შეარყია ეჭვმიტანილის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებით მიღებული შედეგების მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამიტომ ქრთამის სახით გადასაცემი საგნის ლიუმინოგენის ფხვნილით წინასწარ დამუშავებაში მონაწილე პირი ჩაბმული არ უნდა იყოს ქრთამის აღებაში მხილებული პირის დაკავებაში. ამასთან, დაკავებაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ უნდა იქნენ ისეთი პირები, რომლებიც არანირად არ არიან დაკავშირებული დასაკავებულ ეჭვმიტანილთან (ნათესაური, მეგობრული და სხვ.) და აქვთ ამ მიმართებით სათანადო პრაქტიკული გამოცდილება.

ქრთამის აღებაში მხილებული მოხელე თანამდებობის პირის დასაკავებლად და ქრთამად აღებული საგნის ამოღების მიზნით მექრთამეობაში მხილებულ პირთან მისულმა გამომძიებელმა ან პროკურორმა, ან ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ქრთამის აღებაში მხილებულ მოხელე თანამდებობის პირს უნდა განუმარტოს, რომ იგი ეჭვმიტანილია ქრთამის აღებაში და სთხოვოს ნებაყოფლობით წარმოადგინოს

ქრთამის სახით აღებული ფული ან სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაატარებენ ჩხრეკას და თუ პირი უარს იტყვის ქრთამად აღებული საგნის გადაცემაზე მაშინ დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ჩხრეკა. ასეთ დროს მიზანშეწონილია შედგენილ იქნეს ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი და ჩხრეკისა და ამოღების ოქმი ცალ-ცალკე. წაეკითხოს იგი და მასზე მოაწერინონ ხელი. მაგრამ არა ისე, როგორც ამას ზოგჯერ ადგილი აქვს პრაქტიკაში, როცა ორივე ხელის ერთად შეტყუპებულ მდგომარეობაში ბორკილდადებულს სთავაზობენ შედგენილ ოქმზე ხელის მოწერას და ამას, სამწუხაროდ, ტელევიზიითაც აჩვენებენ.

ბ) **ბრალდებულისა და განსასჯელის დაკავების ტაქტიკა.** საკანონმდებლო რეგლამენტაციის მიხედვით თუ პირი დაკავებულია ეჭვმიტანილად, მაშინ მას დაკავებიდან 48 საათში აუცილებლად უნდა წარედგინოს ბრალდება, უფრო სწორად მიცემულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში 48 სთ-ის გასვლის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პირი დაკავებული არაა ეჭვმიტანილის სახით, მას ბრალდება უნდა წარედგინოს 30 დღის განმავლობაში და მოხდეს მისი ბრალდებულის სახით დაკითხვა. მაგრამ თუ იგი გამომძიებლის დაბარებას არარად აგდებს, არ ცხადდება და შეგნებულად იმალება, როგორც წესი, მას შემდეგ, რაც გამომძიებელმა მიიღო ყველა ღონისძიება მოცემული პირის დაკავებისა და საგამოძიებო ორგანოში წარმოდგენილსათვის, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, საგამოძიებო ვადების ამოწურვის შემდეგ ცხადდება მისი ძებნა და ამის შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება მისი ძებნის გამოცხადების შესახებ. ასევე უნდა ითქვას იმ პირის შესახებ, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით თავი დააღწია პატიმრობას და იმალება. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, უნდა მოხდეს მასზე ძებნის გამოცხადება და მისი დაკავების ორგანიზაციაზე ზრუნვა უნდა განახორციელოს შესაბამისი ოპერატიული სამსახურის მუშაკებმა, რომლებმაც ამ მიმართებით საჭირო ინფორმაციის მისაღებად სრულყოფილად უნდა გამოიყენონ მთელი თავიანთი ფართო შესაძლებლობა და, თუ მიაგნებენ საძიებო პირის ადგილსამყოფელს,

ყველა ღონისძიება იხმარონ დასაკავებელი პირის მიერ გაწეული მოსალოდნელი წინააღმდეგობის დასაძლევად.

მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ ძებნაში მყოფი პირი იმალება ამა და ამ საცხოვრებელ ბინაში, ან რომ იგი უნდა მივიდეს იქ ღამის გასათევად. ინფორმაცია სრულყოფილად უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული, შეირჩეს დაკავებისათვის საჭირო ოპერატიული ჯგუფი, დაწესდეს ამ საცხოვრებელ ბინაში მისასვლელ გზებსა და თვით საცხოვრებელ ბინაზე ფარული თვალთვალი, გაირკვეს ვისთან და როგორ დამოკიდებულებაშია იგი, შესწავლილ იქნეს მისი ადგილსამყოფელის ყველა შესასვლელი და საიდუმლო გასასვლელი კარები, დაზუსტდეს ვისთან ერთად იმყოფება იქ, შეიარაღებულნი არიან თუ არა და რა სახის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა შეირჩეს მისი დაკავების ტაქტიკური ხერხი (დაკავების დრო, ადგილი, გარემოება, დაკავებაში მონაწილე პირები, მათი განლაგება და თითოეულის მოქმედების ადგილი და სხვ.), სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების (სხვადასხვა სახის გამაბრუებელი, დაბოლოს, წარმომქმნელი საშუალებები და სხვ.) გამოყენება და აცნობონ, რომ იგი გარშემორტყმულია. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მისი ლიკვიდაცია, უწინარეს ყოვლისა, წინადადება უნდამიეცეს გამოვიდეს, დატოვოს ცეცხლსასროლი იარაღი და ნებაყოფლობით ჩაბარდეს.

ყოველი ასეთი ოპერაცია წინასწარ კარგად უნდა იქნეს გააზრებული. ერთ მცირე გაუთვალისწინებელ გარემოებასაც შეიძლება მოჰყვეს არა მარტო ძებნილი პირის დაუკავებლობა, არამედ სხვა კიდევ უფრო მძიმე შედეგი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რამდენიმე წლის წინ გლდანის რაიონის პოლიციის მუშაკების მიმართ, რომლებიც, მიღებული ინფორმაციის გამო აჩქარებულნი და მოუმზადებელნი, მივიდნენ ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში მყოფი ძებნილის დასაკავებლად და შესთავაზეს დანებებულიყო, „იარაღი დაეტოვებინა და გამოსულიყო". სანაცვლოდ ოთახში მყოფმა პირებმა მათ მოულოდნელად გაუხსნეს ცეცხლი და დასაკავებლად მისული პოლიციის სამი ოპერატიული მუშაკიდან ერთი მძიმედ დაიჭრა, მეორე კი მიღებული ჭრილობის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყველა საშიშ ძებნილ დამნაშავეთა ცხელ კვალზე მიდევნების ან მისი ადგილსამყოფელის შესახებ მიღე-

ბული ინფორმაციის აღსრულებას აჩქარება ყოველთვის არ უხდება. აუცილებელია მისი ყოველმხრივი შესწავლა, გაანალიზება, დაკავებისათვის სწორი, საფუძვლიანი, სრულყოფილი მომზადება. გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების შერჩევა და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ძალისმიერი ოპერაციის ელვისებური სისწრაფით წარმართვა და დამთავრება.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ეჭვმიტანილის დაკავება?

2. რა არის ეჭვმიტანილის დაკავების მიზანი?

3. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ეჭვმიტანილად და ვინ არ შეიძლება დაკავებულ იქნეს ეჭვმიტანილის სახით?

4. რა შეიძლება იყოს ეჭვმიტანილის დაკავების საფუძველი?

5. საჭიროა თუ არა ეჭვმიტანილის დაკავების პროცესუალური გაფორმება?

6. დროის რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს პირი ეჭვმიტანილად და რამდენ ხანს?

7. რა უნდა განემარტოს დაკავებულ ეჭვმიტანილს?

8. საჭიროა თუ არა ეჭვმიტანილად ცნობისათვის დადგენილების გამოტანა?

9. რა უფლება-მოვალეობები გააჩნია ეჭვმიტანილს?

10. ვინ შეიძლება იყოს ეჭვმიტანილის დაკავების სუბიექტი?

11. რა სახის ტაქტიკური ხერხები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეჭვმიტანილის დაკავების დროს, როცა მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენაში?

12. რაზეა დამოკიდებული ეჭვმიტანილის დაკავების ტაქტიკური ხერხების შერჩევა?

13. რამდენად შესაძლებელია ეჭვმიტანილის დაკავებისათვის ტაქტიკური ხერხების შესარჩევად არაპროცესუალური გზით მოპოვებული მონაცემების გამოყენება?

14. დროის რა მონაკვეთში უნდა მოხდეს დადგენილების გამოტანა თავისუფლებაში მყოფი პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ და

დაკავებული ეჭვმიტანილისათვის კანონით მინიჭებული რა უფლებებით არ სარგებლობს იგი?

15. რა ტაქტიკური ხერხები გამოიყენება ქრთამის აღებაში მხილებული პირის დასაკავებლად?

16. რამდენად გამართლებულია ქრთამის საგნის წინასწარ დამუშავება უჩინარი ფხვნილებით?

17. როგორ და როდის უნდა ჩატარდეს დაკავებული ეჭვმიტანილის ჩხრეკა?

18. როგორ უნდა მოხდეს ძებნაში მყოფი ბრალდებულის დაკავების ორგანიზაცია?

19. რა გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული ძებნაში მყოფი ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავებისათვის ტაქტიკური ხერხების შერჩევისას?

20. რა შემთხვევაში შეიძლება ეჭვმიტანილის დაკავება იყოს პირველადი გადაუდებელი კომპლექსური სახის საგამოძიებო მოქმედება?

21. როგორ უნდა მოხდეს ეჭვმიტანილის დასაკავებლად ოპერატიული ჯგუფის შერჩევა?

თავი VIII. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა

§1. დათვალიერების სახეები

დათვალიერება, როგორც მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, დიდი ხანია ცნობილია სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში. მაგრამ კანონმდებლობასა და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაშიც დათვალიერების ცნება და სახეები ყოველთვის ერთნაირად არ იყო გაგებული და მის ირგვლივ აზრთა სხვაობა არსებობდა. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ დათვალიერების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებას თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა და მან სათანადო ასახვა პოვა იმ დროისათვის ცნობილი კრიმინალისტების — ვ. რუსეკის, ი. იაკიმოვის, ვ. გრომოვისა და სხვათა ნაშრომებში. მაგალითად, პროფ. ი. იაკიმოვი, 1935 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში, ერთიმეორისაგან განასხვავებდა დათვალიერების ისეთ სახეებს, როგორიცაა: შენობის, ადგილმდებარეობის, დანაშაულის იარაღის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პატარა ნივთების დათვალიერება.

მართალია, ზემოაღნიშნული თითოეული სახის დათვალიერება, მათი ჩატარების ტაქტიკური თვალსაზრისით, ერთიმეორისაგან განსხვავდება, მაგრამ დათვალიერების ასეთი კლასიფიკაცია არასწორი იყო, რადგან მასში, ჯერ ერთი, არაფერი იყო ნათქვამი თვით შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ. აქ გვამის დათვალიერებაც ცალკე სახედ არ იყო მოხსენიებული, მაშინ როცა იგი არსებითად განსხვავდება ყველა სახის საგნისა და ობიექტის დათვალიერებისაგან. მეორეც, არ შეიძლება დათვალიერების კლასიფიკაცია ვაწარმოოთ მარტოოდენ ცალკეული საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებათა მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულ კლასიფიკაციასთან შედარებით, დათვალიერების სახეების უფრო დახვეწილი ჩამოთვლა მოგვცა პ. ტარასოვ-როდიონოვმა თავის ნაშრომში „წინასწარი გამოძიება", რომელშიც დათვალიერება დაყოფილი იყო შემდეგ სახეებად:

1) შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

2) გვამის დათვალიერება, რაც დაკავშირებული არ იყო მკვ-

ლელობის, თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან;

3) კვლებისა და ლაქების დათვალიერება, რაც ასევე ცალკეულ შემთხვევაში დაკავშირებული არ იყო შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან;

4) ნივთიერმტკიცებულებათა საბუთების დათვალიერება;

5) დოკუმენტების დათვალიერება.

პროფ. მ.ს.სტროგოვიჩი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის კურსი", დათვალიერების სახეებად მიიჩნევდა: დანაშაულის ადგილის დათვალიერებას; ნივთიერმტკიცებულებათა საბუთების დათვალიერებას; გვამის დათვალიერებას. დათვალიერების ცალკე სახედ და მის ნაირსახეობად მიიჩნევდა აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტსა და შემოწმებას.

ავტორის ასეთი მოსაზრება არასწორი იყო. იგი ასევე არასწორად აიგივებდა: ერთიმეორესთან შემთხვევის ადგილისა და დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერების ცნებას.

პროფესორ მ.სტროგოვიჩის მსგავს შეხედულებას ავითარებდა გ. მინკოვსკი, ი.მ. კუბიცკი, ა.ი. ვინბერგი, ს.პ. მიტრიჩევი, ნ. ვ. ტერზიევი, რ.ს.ბელკინი და სხვ., რომელთა აზრით, შემოწმება ასევე მიჩნეული იყო დათვალიერების ნაირსახეობად, მის განსაკუთრებულ სახედ.

ადრინდელ პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დათვალიერების სახეების კლასიფიკაციაზე ასეთ აზრთა სხვაობასა და არასწორი მოსაზრების აღმოცენებას გარკვეულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ადრე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად გათვალისწინებულიც კი არ იყო დათვალიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი სახე, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. კანონის ეს ხარვეზი გამოსწორებულ იქნა 1960-იან წლებში მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, რომლებშიც ორივე ეს მოქმედება გათვალისწინებულ იქნა ცალკე დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებებად. ამიტომ, სრულიად გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდნენ ის ავტორები, რომლებიც შემდგომშიც ცდილობდნენ ხელოვნურად გაეზარდათ ან შეემცირებინათ დათვალიერების სახეები და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობად კვლავ მიეჩნიათ საგამოძიებო ექსპერიმენტი და შემოწმება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლით, დათვალიერების დამოუკიდებელ სახეებად მიჩნეულია: 1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება; 2. გვამის დათვალიერება; 3. ადგილმდებარეობის დათვალიერება; 4. სადგომის დათვალიერება; 5. საგნების დათვალიერება; 6. დოკუმენტების ან სხვა ობიექტების დათვალიერება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 335-ე მუხლით, დათვალიერების ცალკე სახედაა გათვალისწინებული **შემთხვევის ადგილის დათვალიერება**; სსსკ-ის 336-ე მუხლით — **გვამის დათვალიერება**; სსსკ-ის 337-ე მუხლით — **ადგილმდებარეობისა და შენობის დათვალიერება**; სსსკ 338-ე მუხლით — **საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერება**.

სსსკ 330-ე მუხლით ასევე რეგლამენტირებულია **საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერება და ამოღება**. მაგრამ იმის გამო, რომ მას თან ერთვის ისეთი იძულებითი სახის ღონისძიება, როგორიცაა ამოღება, იგი, ამ უკანასკნელის ნიშან-თვისებების გამო, მოთავსებულია „ჩხრეკისა და ამოღების“ თავში. რაც შეეხება შემოწმებას, იგი სრულიად დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებადაა აღიარებული საქართველოს სსსკ-ის 350-ე მუხლით. ამიტომ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ დათვალიერების ნაირსახეობად ან მის ერთ-ერთ სახედ. ამ გარემოებაზე მიუთითებს ისიც, რომ დათვალიერების ოქმი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, ცალ-ცალკე, თითოეულის შესაბამისი სახელწოდებით უნდა იქნეს შედგენილი. ამიტომ, სრულიად უსაფუძვლოდ გვეჩვენება იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც შემოწმებას მიიჩნევენ დათვალიერების ცალკე დამოუკიდებელ სახედ. ამასთან დაკავშირებით, მართებულადაა პარალელი გავლებული დათვალიერებასა და შემოწმებას შორის სსსკ-ის 333-ე მუხლის მეორე პუნქტში, რომელშიც აღნიშნულია: „ადამიანის სხეულის დათვალიერება ხდება შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარებისას, ხოლო საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილისა — მისი დაყადაღებისა და ამოღების დროს“.

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეკომენდებულია შემდეგი სახის დათვალიერებათა ჩატარება: **შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, შენობის, გვამის, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის, დოკუმენტისა და სხვა ობიექტის დათვა-**

ლიერება. ამ უკანასკნელი სახის დათვალიერების საფუძველზე შეიძლება მოხდეს საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი საგნისა და ობიექტის დათვალიერება.

ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების შედეგად აღმოჩენილი დოკუმენტის, საგნისა და კვალის დათვალიერება ხდება ამ საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას". ეს გარემოება, ცხადია, მიუთითებს იმაზე, რომ ამ საგნების დათვალიერება ჩხრეკისა და ამოღების თანმდევი მოქმედებაა და მათი დათვალიერების შედეგები უნდა აისახოს ამ ქმედებათა ჩატარების ამსახველ ოქმებში.

საქართველოს სსსკ-ის 333-ე მუხლით დათვალიერების მიზნად მიჩნეულია: დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დათვალიერების მიზანი მარტოოდენ ამით არ ამოიწურება.

დათვალიერების ზემოაღნიშნული სახეებიდან განვიხილავთ მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, როგორც ერთ-ერთ რთულ დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებას, მის მიზნებს, ამოცანებსა და მისი ჩატარების ტაქტიკას.

§2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება, მიზნები და ამოცანები

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების არსი და მნიშვნელობა. ზემოაღნიშნულ დათვალიერებათა სახეებიდან ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი რთული საგამოძიებო მოქმედებაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რომლის სწორად, მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის ყოველმხრივი, სრული გამოკვლევა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მთელ რიგ სისხლის სამართლის საქმეებზე დანაშაულის გახსნის მთავარი ქვაკუთხედია.

1999-2004 წლებში ჩადენილი მკვლელობის, ძარცვისა და ყაჩაღობის გაუხსნელი საქმეების შესწავლამ და მათმა ანალიზმა ცხა-

დყო, რომ გაუხსნელი საქმეების 90%-ზე მეტი შემთხვევის ადგილის ზერელე დათვალიერების შედეგია. უფრო მეტიც, იგი შედეგია იმისა, რომ მათზე შემთხვევის ადგილის დათვალიერება საერთოდ არ ჩატარებულა, მაშინ როცა მისი ჩატარება აუცილებელი იყო.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ზოგიერთ მძიმე დანაშაულთა საქმეებზე წარმოადგენს გადაუდებელ პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებას, რომლის დროსაც აღმოჩენილი მონაცემები გარკვეულ ნიადაგს იძლევა საგამოძიებო ვერსიების აგებისა და წინასწარი გამოძიების მიმართულების სწორად განსაზღვრისათვის.

დანაშაულთა გახსნის საქმეში შემთხვევის ადგილის დათვალიერების ესოდენ დიდი მნიშვნელობით იყო გამოწვეული საქართველოს გენერალური პროკურორის სპეციალური ბრძანება შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში პროკურორის აუცილებელი მონაწილეობის შესახებ. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იგი ჯერჯერობით ყოველთვის არ სრულდება. მაგალითად, 2000 წლის აპრილის თვეში შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა მოქალაქე მ-ეს გვამი, რომელსაც სხეულზე მიყენებული ჰქონდა მრავალი ჭრილობა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩაატარა გამომძიებელმა გ-ემ უაღრესად ზერელედ, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, სპეციალისტის, პროკურორისა და დამსწრე პირების მონაწილეობის გარეშე.[1]

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ასეთ პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებად გვევლინება განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: მკვლელობის, ძარცვის, გაუპატიურების, ყაჩაღური თავდასხმის, სატრანსპორტო შემთხვევების, ხანძრის, ქურდობისა და სხვა მსგავსი დანაშაულებები. ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისას შემთხვევის ადგილის დათვალიერების სწორად და მაღალხარისხოვნად ჩატარებით შეიძლება აღმოჩენილ იქნეს დამნაშავის (ან თვით დაზარალებულის) მოქმედების შედეგად შემთხვევის ადგილზე დატოვებული სხვადასხვა სახის კვალი. კერძოდ, ადამიანის სუნის კვალი, ხელის თითებისა და ფეხის კვალი, ხელის თითების, ფრჩხილებისა და კბილების კვალი, გატეხვის იარაღებისა და ინსტრუმენტების კვალი, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღებით დატოვებული კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, ცხოველების ფეხის კვალი,

---

[1] ქ.ზუგდიდის პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან.

სისხლის კვალი და სხვა მიკრონაწილაკებისა და ლატენტური სახის კვლები.

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთვე დამნაშავეთა მიერ უნებლიეთ დატოვებული სხვადასხვა სახის ისეთი საგნები, როგორიცაა: დანაშაულის ჩადენის იარაღი, პირადობის მოწმობა ან პიროვნების დამადასტურებელი სხვა რაიმე საბუთი, ბლოკნოტი გამოძიებისათვის საჭირო რაიმე ჩანაწერებით, გაზეთის ან ქაღალდების ნახევი, მასზე რაიმე სახის ჩანაწერებით, პაპიროსის ნამწვი, ტანსაცმლის ნახევები, მოგლეჯილი თმის ღერები, ნაქლიბი და სხვა.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილმა ასეთმა კვლებმა და საგნებმა, სწორი მიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწიოს დამნაშავეთა დადგენისა და დაძებნის საქმეში, გამოსაძიებელი შემთხვევის სწრაფ, სრულ გახსნაში.

მაგალითად, მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში ნაძვებს შორის აღმოჩენილ იქნა ახალგაზრდა გოგონას გვამი, რომლის პოზა (ქვედა საცვლის არარსებობა, შემოხეული ტანსაცმლისა და ფეხების მდგომარეობა და სხვა ძალადობის ნიშნები) მიუთითებდა იმაზე, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას. გვამიდან ცოტა მოშორებით აღმოჩენილ იქნა მოწითალო და მომწვანო ფერის სითხით დასვრილი, დაჭმუჭნული ქაღალდი, რომელზეც ქართული ასოებით დაწერილი იყო ლექსი „სიმღერა დედაზე". დოკუმენტზე არსებული ლაქების გამოკვლევით დადგინდა, რომ იგი დასვრილი იყო სპერმითა და ადამიანის მესამე ჯგუფის სისხლით. სხვა ვერსიებთან ერთად წამოყენებულ იქნა ვერსია, რომ ამ დანაშაულის ჩამდენი, ან მასში მონაწილე, ან მასთან რაიმე კავშირში უნდა ყოფილიყო ქართველი ეროვნების პირი. დადგენილ იქნა, რომ იქვე, შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სამხედრო ჯარის ნაწილებში მსახურობდა სამი ქართველი, რომელთაგან ორი შვებულებაში იმყოფებოდა თავის მშობლებთან, მესამე კი ნაწილში იყო დარჩენილი და მას სახესა და ყელის მიდამოში ემჩნეოდა განაკაწრები. გრაფიკული ექსპერტიზით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ ქაღალდზე დაწერილი ლექსი შესრულებული იყო ამ პირის მიერ. ამ გარემოებამ უაღრესად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნასა და საქმეზე ჭუშმარიტების დადგენას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ და ვიმსჯელოთ, ჯერ ერთი, დან-

აშაულის ობიექტისა და დანაშაულის საგნის განმსაზღვრელ გარემოებაზე, ე.ი. იმაზე, რაზედაც მიმართული იყო დანაშაულებრივი ხელყოფა და უშუალოდ რით იქნა მიყენებული ზიანი. ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გვამის არსებობისა და მისი პოზის მიხედვით, გატეხილი საცავით, ხანძრის გაჩენის წყაროსა და დამწვარი შენობით, მატერიალურ ფასეულობათა არარსებობით და სხვ.

მეორეც, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილი მტკიცებულებებით შეიძლება ავხსნათ და გამოვარკვიოთ, თუ სად, როდის, რა გარემოებაში და რა საშუალებით იქნა ჩადენილი დანაშაული, რამ შეუწყო ხელი მის ჩადენას. მაგალითად, მრავალრიცხოვანი ჭრილობების მქონე გვამის აღმოჩენა და მის გარშემო სისხლის კვალის არარსებობა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ დანაშაული ჩადენილია სხვა ადგილას და, პირიქით, გვამის გარშემო სისხლის გუბის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ მკვლელობა სწორედ აქ, ამ ადგილას იქნა ჩადენილი, ე.ი. იგი მიუთითებს მკვლელობის ჩადენის ადგილზეც. ამავე დროს მთელი რიგი ისეთი გარემოებანი, როგორიცაა: გვამის პოზა, მისი აღმოჩენის ადგილი, მასზე არსებული გვამური ლაქები, სხეულზე არსებული ავტომანქანის საბურავების კვალი და სხვ. აგრეთვე ავტომანქანის შეჯახებისას მანქანის ძრავის ტემპერატურა ან დარტყმის შედეგად გაჩერებული საათი და სხვ., საშუალებას გვაძლევს ავხსნათ გამოძიებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიცაა ის, თუ როდის იქნა ჩადენილი დანაშაული და სხვა.

შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერება, გარემომცველი გარემოების გამოკვლევა, გვამის ადგილმდებარეობა და პოზა, მასზე არსებული ჭრილობების ხასიათი, დანაშაულის ჩადენის იარაღი და მასზე აღმოჩენილი ლატენტური კვალი და სხვა ნივთიერი მტკიცებულება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ და ავხსნათ დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმიც.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მიღებული მონაცემებით შეიძლება ვიმსჯელოთ თვით დანაშაულის ჩამდენი პირის მონაცემებზეც. მაგალითად, ფეხსაცმლის კვალის, ნაბიჯის სიგრძისა და ნაბიჯის კუთხის მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ დამნაშავის სქესი, შიშველი ფეხის კვალის ან ფეხსაცმლის სავარაუდო ნომრის მიხედვით შეიძლება დადგინდეს კვალის წარმომქმნელი პირის სავარ-

აუდო სიმაღლე; კვალის ბილიკის მიხედვით — მისი ფიზიკური აგებულება და ფორმა, მისი ფიზიკური ნაკლი (სიკოჭლე, ფეხის თრევა, პროთეზი და სხვა). ამასთან, ფეხის კვალისა და სხვადასხვა მარკის პაპიროსის ნამწვავების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ დამნაშავეთა რაოდენობასა და მათ ჩვევებზე. ზოგჯერ დანაშაულის ადგილზე დამნაშავის მიერ ჩადენილი მოქმედება, მაგალითად, ცეცხლგამძლე კარადის გახსნა ან დიდი სიმძიმის საგნის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შეიძლება მიუთითებდეს დამნაშავის პროფესიაზე და მის ფიზიკურ ძალაზე. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითებისა და შიშველი ფეხის კვალის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ მისი დამტოვებელი პირი და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით მიღებული მონაცემები ზოგჯერ შეიძლება დაგვეხმაროს ისეთი გარემოების ახსნა-დადგენაშიც, როგორიცაა: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ბრალის სახეობა და სხვ. მაგალითად, ქალის გვამის აღმოჩენა გაუპატიურებისათვის დამახასიათებელ პოზაში, მასზე არსებული ტანისამოსის უწესრიგო მდგომარეობით (ქვედა საცვლის არარსებობა, სასქესო ორგანოების ირგვლივ სისხლნაჟღენთების არსებობა და სხვ.) შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მკვლელობას გაუპატიურების კვალის დაფარვის მიზნით და სხვ.

მაგალითად, ერთ-ერთი სოფლის მეურნეობის ვენახებში აღმოჩენილ იქნა უცნობი ქალის გვამი, რომლის პოზა (ფეხების გაშლილი მდგომარეობა, ქვედა საცვლის ტანზე არარსებობა, თავისივე კაბის ზედა ტანზე გადაფარება, ტრუსის პირში ჩაჩრილობა და საქალწულე აპკის დარღვევა) იმაზე მიუთითებდა, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო გაუპატიურების კვალის დაფარვის მიზნით. და, ეს ვერსია საქმის შემდგომი გამოძიებით დადასტურებულ იქნა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების მაღალხარისხოვნად ჩატარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნის საქმეში.

ბ) *შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნები და ამოცანები.* შემთხვევის ადგილის დათვალიერების უმთავრეს მიზნად მიჩნეულია:

1) დანაშაულის კვალისა (ხელის თითებისა და ფეხის კვალის, გატეხვის იარაღების კვალის, სატრანსპორტო საშუალებათა კვალის, სისხლის კვალის და სხვ.) და სხვა მტკიცებულების აღმოჩენა;

2) შემთხვევის საერთო გარემოების ახსნა;

3) საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ისეთი გარემოებების გამორკვევა, როგორიცაა: მოცემული დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილ იქნა აქ, თუ სხვაგან;

4) შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალის აღწერა — დათვალიერების ოქმში იმავე სახითა და თანმიმდევრობით, რა სახითა და თანმიმდევრობითაც მოხდა მათი აღმოჩენა-გამოვლინება და დათვალიერება;

5) დათვალიერების დროს აღმოჩენილი და ამოღებული ყველა ნივთმტკიცების ფიქსაცია კრიმინალისტიკაში შემუშავებული ხერხებითა და საშუალებებით;

6) დათვალიერების პროცესში აღმოჩენილი და ამოღებული საგნებისა და დოკუმენტების დაცვა და შენახვა მტკიცებულებათა სახით;

7) დათვალიერების პროცესში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა და სხვა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით მოპოვებული მონაცემებით შეიძლება ვიმსჯელოთ აგრეთვე გამოსაძიებელი შემთხვევის შემსწრე პირებზე. კერძოდ იმაზე, თუ ვის შეეძლო დაენახა ან გაეგონა მომხდარი შემთხვევის შესახებ, რა სახის კვალი შეიძლება დარჩენილიყო ეჭვმიტანილზე ან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირებზე, მათ ტანსაცმელზე, სხეულზე ან მათ მიერ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გამოყენებული დანაშაულის ჩადენის იარაღებზე, სატრანსპორტო საშუალებაზე და სხვა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნებაში იგულისხმება ის ადგილი და მდებარეობა, სადაც აღმოჩენილ იქნა დანაშაულის (მკვლელობის, გაუპატიურების, ყაჩაღური თავდასხმის, ძარცვის, ქურდობის და სხვ.) ნიშნები ან დანაშაულის ხელყოფის საგნები და ობიექტები (ადამიანის გვამი, დატაცებული ქონება, დანაშაულის ჩადენის იარაღი და სხვ.). მაგრამ ამგვარი დამახასიათებელი ნიშნები ყოველთვის როდი მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ აქ და არა სხვაგან იქნა ჩადენილი დანაშაული. ეს საკითხი დადგინდება შემთხვევის ადგილზე არსებული ნეგატიური კვალისა და სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე, რადგან შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ დანაშაულზე მიმთითებელი ნიშნები ყოველთვის უტყუარად როდი მეტყველებენ დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მკვ-

ლელობის საქმეებზე გვამის აღმოჩენის დროს და სხვ.

ადგილმდებარეობისა და შენობის დათვალიერება რეკომენდებულია ვაწარმოოთ იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია ამ ობიექტების გამოკვლევა საქმეზე მნიშვნელობის მქონე მონაცემების აღმოჩენისა და დადგენისათვის. მაგალითად, ადგილმდებარეობა (ტყის, მინდვრის, მდინარის ან ზღვის ნაწილი) შეიძლება დათვალიერებულ იქნეს ბრალდებულის მიერ იქ გადაგდებული ან დამალული დანაშაულის ჩადენის იარაღის, დაზარალებულის გვამის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნებისა და ობიექტების აღმოჩენის მიზნით. ასევე შენობის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ბრალდებულის მიერ იქ დატოვებული კვალისა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენის, ამოღებისა და გამოკვლევის მიზნით.

საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერება შეიძლება ვაწარმოოთ მათთვის დამახასიათებელი ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების აღმოჩენისა და გამოკვლევის მიზნით. მაგალითად, დოკუმენტების დათვალიერების მიზანია მათი რეალობის ან მათში არსებული გაყალბების ნიშნების აღმოჩენა, ან საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების აღმოჩენა და ამოღება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლის საფუძველზე, გვამის დათვალიერება, როცა იგი წარმოებს უშუალოდ აღმოჩენის ადგილზე, თვით შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაწილს შეადგენს და მასზე გავრცელებულ უნდა იქნეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური წესი. ამასთან, გვამის დათვალიერების დროს, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა.

რაც შეეხება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერებას, მართალია, იგი არსებითად არ განსხვავდება დოკუმენტების დათვალიერებისაგან, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მისი ჩატარება უნდა მოხდეს შენობაში — საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით.

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების სუბიექტები. დათვალიერების ჩატარების მთავარი სუბიექტი, მისი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი არის გამომძიებელი. ამიტომ, უშუალოდ გამომძიებელმა უნდა აწარმოოს დასათვალიერებელი საგნებისა და ობიექტების დათვალიერება-გამოკვლ-

ევა. უშუალოდ მან უნდა აწარმოოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებათა მოძებნა, მათი ამოღება და ფიქსაცია. ამიტომ, მან დათვალიერების პროცესში უნდა გამოიყენოს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები, აწარმოოს სათანადო გაზომვები, დაკვირვება, გამოთვლა, დასათვალიერებელი საგნებისა და ობიექტების ურთიერთშედარება ან მათი შედარება სხვა საგნებთან და ობიექტებთან. ამასთან, მან უნდა გამოიყენოს აზროვნების ლოგიკური კანონები, იაზროვნოს სწორად, შეაფასოს დათვალიერებით აღმოჩენილი მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნების, ობიექტებისა და მოვლენების მნიშვნელობა გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე ააგოს საგამოძიებო ვერსიები და სწორად წარმართოს საქმის გამოძიება.

გამომძიებლის გარდა, დათვალიერების სუბიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე პროკურორი. დათვალიერების შესაბამის სუბიექტად სასამართლოს (მოსამართლის) შესახებ სსსკ-ის ზემოაღნიშნულ მუხლებში, მართალია, არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს უფლება არ ჰქონდეს აწარმოოს დათვალიერება. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია ჩაატაროს ყველა სახის დათვალიერება. მაგრამ, თუ სასამართლოს საქმის განხილვის სტადიაზე რაიმე ობიექტური მიზეზების გამო თვითონ უშუალოდ არ შეუძლია ჩაატაროს დათვალიერება, მაშინ მას სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შეუძლია მისი ჩატარება დაავალოს ქვემდგომ სასამართლოს.

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ზოგადი წესი. აღმოჩენილი დაზარალებულის გვამის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მიწვეულ იქნეს სასამართლო-სამედიცინო დარგის სპეციალისტი, ექსპერტი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ექიმი.

საჭიროების შემთხვევაში დათვალიერების ჩამტარებელმა — გამომძიებელმა, პროკურორმა დათვალიერების ჩატარების პროცესში უნდა მოახდინოს ფოტო და კინოგადაღება, ხმის ჩაწერა, ვიდეოჩაწერა. ამასთან, შეადგინოს გეგმა, სქემა, ნახაზი, დაამზადოს კვალის ტვიფარი და ანაბეჭდები. ამასთან, დათვალიერებაში მონაწილეს უფლება აქვს დათვალიერების ჩამტარებელი პირის ყურადღება მიაპყროს ყვე-

ლაფერს, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოვლენას.

დათვალიერების პროცესში აღმოჩენილი ყოველგვარი სახის საგნებისა და ობიექტების დათვალიერება-გამოკვლევა გამომძიებელმა უნდა აწარმოოს უშუალოდ მათი აღმოჩენის ადგილზე. ამ საერთო წესიდან შეიძლება გამონაკლისი დაშვებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა საგნის ან ობიექტზე დარჩენილ ლატენტური კვალის ან მსგავსი გარემოებების დათვალიერება-აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის საჭიროა სპეციალური პირობები, გარემო-ვითარება და გამოსაყენებელი რთული სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ კრიმინალისტიკური ტაქტიკით რეკომენდებული ეს წესი ახალი საპროცესო კანონმდებლობით საკანონმდებლო რანგში იქნა აყვანილი, რაც სსსკ-ის 334-ე მუხლის მე-4 ნაწილით იქნა რეგლამენტირებული. ამ მუხლის თანახმად, დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნები თუ დოკუმენტები მათ ამოღებამდე უნდა წარედგინოს დათვალიერების მონაწილეებს.

კანონის ამ მოთხოვნის დაუცველობა იწვევს საქმეზე მოპოვებული ასეთი მტკიცებულების უგულებელყოფას.

ასე, მაგალითად, ხ-ე სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული იმისათვის, რომ მას ავტომანქანის წინა საფერფლეში აღმოაჩნდა 3,5 გრ ანაშა, რაც მცირე საბარგულიდან და საფერფლიდან აღმოჩენილ სხვა საგნებთან ერთად ამოღებულ და დალაგებულ იქნა ავტომანქანის მანქანის წინა მარჯვენა სავარძელზე და ასეთ მდგომარეობაში წარედგინათ იგი დათვალიერებაში მონაწილე დამსწრე პირებს.

სასამართლოში ამ ფაქტთან დაკავშირებით დაკითხულმა დამსწრე პირებმა განმარტეს, რომ მათ პირადად არ უნახავთ თუ ეს საგნები საიდან იქნა ამოღებული. გამომძიებელმა ისინი მიიყვანა და აჩვენა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს საგნები ა/მანქანის მარჯვენა სავარძელზე იყო დაწყობილი. ამის გამო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა აღმოჩენილი ნარკოტიკული ნივთიერების მტკიცებულებითი მნიშვნელობა, საქმეზე გამოტანილი განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა პროკურატურაში.[1]

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო სასამართლო კოლეგიის პრაქტიკიდან (ხ-ეს ბრალდების საქმე).

ამრიგად, დათვალიერების სწორად, მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების აღმოჩენა, გამოვლინება, ფიქსაცია და გამოკვლევა. ყოველივე ეს ხელს უწყობს საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგებასა და გამოძიების სწორად წარმართვას, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენასა და საქმის სწრაფ, სრულ, ყოველმხრივ გახსნას.

მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე, როგორც აღვნიშნეთ, შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ერთ-ერთი რთული პირველდაწყებითი, გადაუდებელი, შეუცვლელი და განუმეორებელი საგამოძიებო მოქმედება. მისი ჩატარება, ჩხრეკასა და ამოღებასთან ერთად, კანონითაა ნებადართული მოსამართლის ბრძანებით ან მის გარეშე. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 290-ე მუხლის თანახმად, „ამოღება, ჩხრეკა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით.მაგრამ ამის შესახებ პროკურორმა 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იქნა ჩატარებული ეს საგამოძიებო მოქმედება და გადასცეს საქმის ის მასალები, რომლითაც საბუთდება ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობა. ამ მასალების შემოწმებას მაგისტრატი მოსამართლე ან რაიონული სასამართლო, პროკურორის მონაწილეობით ამოწმებს ჩატარებულ მოქმედებათა კანონიერებას და გამოაქვს შესაბამისი დალგენილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის და მიღებული შედეგების გაუქმების შესახებ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, როგორც პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედება, ნიშნავს იმას, რომ მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე იგი ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედებაზე ადრე ტარდება და შეიძლება ითქვას, მისი ჩატარებით იწყება მოცემულ საქმეზე წინასწარი გამოძიება. მაგალითად, ძალადობის ნიშნებით გვამის ან მისი სხეულის რომელიმე ნაწილის აღმოჩენის შემთხვევის, ავტოკატასტროფის, ხანძრისა და სხვა მსგავსი დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების დაწყება წარმოუდგენელია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების გარეშე. **შემთხვევის ადგილის დათვალიერების გადაუდებლობა კი ნიშნავს** იმას,

რომ იგი უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა გამოსაძიებელი შემთხვევა, ვინაიდან თვით მცირეოდენმა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გარემოების შეცვლა და შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვალის განადგურება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, როგორც შეუცვლელი და განუმეორებელი მოქმედება, ნიშნავს იმას, რომ იგი არ შეიძლება შეიცვალოს სხვა რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედებით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება განუმეორებელია იმიტომ, რომ, თუ იგი ერთხელ უკვე ჩატარდა, არ შეიძლება იმავე პირვანდელი სახით წარმოგვიდგეს და განმეორდეს, რა სახითაც იყო პირველად ჩატარების დროს. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან პირველად ჩატარებული დათვალიერების შედეგად შემთხვევის ადგილის გარემოება გარკვეულად იცვლება საგნებისა და ობიექტების გადაადგილებისას და მათზე დარჩენილი კვალის გამოკვლევა-დამუშავების გამო. ამიტომ, პირველად ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება განმეორებით ან დამატებითი დათვალიერების ჩატარებით თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ყოველივე ეს არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს შემთხვევის ადგილის განმეორებითი ან მისი დამატებითი დათვალიერების ჩატარება აკრძალული იყოს. ცხადია, არა. ამის შესაბამისად კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველდაწყებითის გარდა, მართებულად განასხვავებენ აგრეთვე შემთხვევის ადგილის განმეორებითსა და დამატებითი სახის დათვალიერებას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების განმეორებით ჩატარებას მიმართავენ მაშინ, როცა პირველად ჩატარების დროს ცუდი მეტეოროლოგიური პირობების, სუსტი განათების, ან თვით გამომძიებლის უყურადღებობის, ან მოუმზადებლობის გამო დაშვებულ იქნა შეცდომები, ან მის მიერ არასათანადოდ იქნა გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ კვალთა გამოვლინება-ფიქსაციის ხერხები და საშუალებები და ამის შედეგად ვერ იქნა გამოვლინებული შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ლატენტური კვალი, ნივთიერი მტკიცებულება და მხედველობიდან გამოტოვებულ იქნა სხვა სახის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება და, ამასთან, გამორიცხული არაა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების განმეორებითმა ჩატარებამ, შესაძლოა სასურველი შედეგი გამოიღოს.

ე) *შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება.* კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნების შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ავტორთა ერთი ნაწილი ამ მეტად საჭირო საგამოძიებო მოქმედებას მართებულად მოიხსენიებს როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, მეორენი კი, როგორც „დანაშაულის ადგილის დათვალიერებას". ამ საგამოძიებო მოქმედების ეს უკანასკნელი დასათაურება არასწორია და იურიდიული თვალსაზრისით გაუმართლებელი, რადგან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილი, რის გამოც წარმოებს დათვალიერება, ხშირად არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს. პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა დამნაშავე ჩაიდენს რა მკვლელობას, დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, გვამს დააგდებს გზაზე და ამით ცდილობს შექმნას უბედური შემთხვევის ან ავტოავარიის ინსცენირება, ან უბრალოდ ახდენს მის გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, დანაშაულის ჩადენის ადგილი და დათვალიერების წარმოების ადგილი ერთიმეორეს არ ემთხვევა და „დანაშაულის" ადგილის დათვალიერება იქნება მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემადგენელი ნაწილი. ასეთ ადგილს რომ დანაშაულის ადგილის დათვალიერება ვუწოდოთ, ეს გაუმართლებელი და არასწორი იქნება იმითაც, რომ ზოგჯერ ადგილი, რომლის დათვალიერებასაც ვაწარმოებთ, შეიძლება საერთოდ არ იყოს არც დანაშაულის ადგილი და არც რაიმე სახის დანაშაულის ჩადენის გარემოებაზე მიუთითებდეს.

მაგალითად, ქალაქის ერთ-ერთ სანაგვე ყუთში აღმოჩენილ იქნა მამაკაცის სხეულის ქვედა ნაწილები, მისგან ცოტა მოშორებით, სხვა სანაგვე ყუთში კი, აღმოჩენილ იქნა ადამიანის ტანის ზედა ნაწილები თავის გარეშე. ცხადია, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმოჩენის ეს ადგილი (სანაგვე ყუთი) არც დანაშაულის ჩადენის ადგილია და არც მათი შებრძოლების ადგილის ამსახველი. გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ გ-ემ თავის სახლში სტუმრად მისულ დ-ესთან შეკამათებისას მოკლა რა ეს უკანასკნელი, დაანაწევრა და მისი სხეულის ძირითადი ნაწილები ზემოაღნიშნულ სანაგვე ყუთებში გადაყარა. მისი თავი კი ვედროში ჩადო და თავისსავე სახლში მიწა ამოთხარა და შიგ ჩააცემენტა. [1]

---

[1] აჭარის პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან.

ასევე, ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის ცენტრალური ქუჩის ელექტრობოძის ძირთან აღმოჩენილ იქნა ორი ადამიანის თავი, მათი სხეულის ნაწილები კი მდინარე ლოჭინის ხიდიდან მცირეოდენი დაშორებით ბუჩქებში დაგდებულ ტომრებში იქნა აღმოჩენილი.[1]

ზემოაღნიშნული მაგალითები, ცხადია, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილი ყოველთვის არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს.

შემთხვევის ადგილი გაცილებით ფართო ცნებაა და იგი უდავოდ დანაშაულის ჩადენის ადგილსა და დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილსაც მოიცავს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნებაში იგულისხმება არა მარტო დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერება, არამედ ყველა იმ ადგილმდებარეობის დათვალიერება, სადაც მომზადებულ ან ჩადენილ იქნა დანაშაული, ან სადაც დამალულ და აღმოჩენილ იქნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნები და ობიექტები, დანაშაულის ნიშნები, სხვადასხვა სახის კვალი ან სხვა მტკიცებულება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არაა და იგი გაიგივებულია დათვალიერების ზოგად ცნებასა და მიზნებთან. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანია არა მარტო დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა, შემთხვევის ვითარებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გამორკვევა, არამედ, მისი მიზანია აგრეთვე ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია, მოპოვებული მასალების საფუძველზე საგამოძიებო ვერსიების აგება და შემოწმება, საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებებისა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა შესახებ საჭირო მონაცემების მიღება, დამნაშავეთა ცხელ კვალზე მიდევნება და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, **რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ისეთი რთული, დამოუკიდებელი და მთელი რიგი კატეგორიის საქმეების პირველდაწყებითი, გადაუდებელი, შეუცვლელი და განუმეორებელი სახის საგა-**

---

[1] ქ.თბილისის პროკურატურის პრაქტიკიდან.

მოძიებო მოქმედება, რომლის მიზანია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა აღმოჩენა და გამოკვლევა მათ ურთიერთდამოკიდებულებაში, სათანადო ინფორმაციის შეკრება დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმისა და მისი ჩამდენი პირის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების შესახებ.

§3. შემთხვევის ადგილის დათვალიერების განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან

როგორც აღვნიშნეთ, 1960-იან წლებში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიღებამდე კრიმინალისტიკურ ლიტერატურასა და საგამოძიებო პრაქტიკაში შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე არსებობდა სხვადასხვა მოსაზრება. პროცესუალისტებისა და კრიმინალისტების ერთი ნაწილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნებას უფრო ფართოდ განიხილავდა და მასში აერთიანებდა საგამოძიებო ექსპერიმენტსა და შემოწმებასაც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი და შემოწმება ცალკე, დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებადაა გათვალისწინებული და დავა მათი არსისა და სახეობის შესახებ შესაძლოა უსაფუძვლოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამ საგამოძიებო მოქმედებათა ურთიერთგანმასხვავებელ ნიშნებზე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტს, მართალია, აქვთ ზოგიერთი საერთო ნიშანი, მაგრამ მათ შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება. მათი ეს ურთიერთგანმასხვავებელი ძირითადი ნიშნები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

1) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ჩვენ აღვიქვამთ მარტოოდენ გამოსაკვლევი შემთხვევის ადგილმდებარეობას იქ აღმოჩენილი საგნების კვალითა და სხვა მტკიცებულებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს კი არა მარტო მისი ჩატარების პროცესს, არამედ მის შედეგებსაც;

2) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამომძიებელი

ახდენს მატერიალური კვალის, საგნებისა და ობიექტების დათვალიერებას მათზე დარჩენილ უხილავი კვალის აღმოჩენა-გამოვლინების, ფიქსაციისა და გამოკვლევის მიზნით. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს კი გამომძიებელი ადგენს საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოებას. მაგალითად, მოცემულ კონკრეტულ გარემოებაში ამა თუ იმ პირს შეეძლო თუ არა დაენახა ან გაეგონა ნათქვამი;

3) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოსაკვლევი ობიექტები უშუალოდ აღიქმება იმავე სახით, რა სახითაც იქნა აღმოჩენილი შემთხვევის ადგილზე, ექსპერიმენტის დროს კი — გამოსაკვლევი მთლიანი შემთხვევა ან მისი ცალკეული გარემოება;

4) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოსაკვლევი ობიექტები არ შეიძლება შეიცვალოს. ექსპერიმენტის დროს კი გამოკვლევის ობიექტები შეიძლება შეიცვალოს სხვა ისეთივე ან მისი მსგავსი ობიექტებით;

5) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ობიექტების გამოკვლევა ხდება არა ცდების სახით, არამედ იმავე მდგომარეობაში, როგორც აღმოჩენილ იქნა დათვალიერების დროს მათზე არსებული კვალის გამოვლინება-დამუშავებისა და გამოკვლევის მიზნით. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება კი ძირითადად წარმოებს ცდების სახით;

6) შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეიძლება ჩატარებულ იქნეს მხოლოდ შემთხვევის ადგილზე, საგამოძიებო ექსპერიმენტი კი შეიძლება ჩატარდეს არა მარტო შემთხვევის ადგილზე, არამედ დაზარალებულის, მოწმის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ მითითებული ჩვენების ადგილზეც, ამა თუ იმ გარემოების დასადგენად;

7) შემთხვევის ადგილის დათვალიერება, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ მისი აღმოჩენისთანავე იმავე მდგომარეობაში, როგორც ნახულ იქნა. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად კი, მთელ რიგ შემთხვევებში, საჭიროა გარკვეული გარემოებებისა და ვითარების აღდგენა, მსგავსი გარემო-ვითარების შერჩევა და სხვ.

8) შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტს შორის არსებული სხვაობა გამოიხატება აგრეთვე მათ პროცესუალურ გაფორმებაშიც. მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის აღწერილობით ნაწილში ხდება მარტოოდენ იმ გარემოების საგნების, ობიექტების, კვალისა და მათი გამოვლინების, დამუშავების ხერხებისა და საშუალებების ფიქსირება, რაც აღმოჩენილ

იქნა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას. ამრიგად, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და საგამოძიებო ექსპერიმენტი ორი სრულიად სხვადასხვა სახის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა და მათი ერთიმეორეში არევა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ შეიძლება.

ასევე არსებითი სხვაობაა შემოწმებასა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებას შორის. მათი ეს სხვაობა ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

1) შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოცხალი პირი — ბრალდებული, ეჭვმიტანილი და დაზარალებული. დათვალიერების ობიექტი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი შემთხვევის ადგილი და იქ არსებული და აღმოჩენილი საგნები და ობიექტები;

2) არსებითი სხვაობაა თვით მათი ჩატარების პროცესუალურ წესში, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად, შემოწმების ჩატარების შესახებ აუცილებელია მოტივირებული დადგენილების გამოტანა, რომელიც სავალდებულოა იმ პირისათვის, ვის მიმართაცაა იგი გამოტანილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს კი ასეთი დადგენილების გამოტანა ყოველთვის არაა საჭირო;

3) შემოწმების მიზანია ადამიანის სხეულზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშნის ან თავისებურების აღმოჩენა ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან ალკოჰოლური და სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დადგენა და სხვ. დათვალიერების მიზანი კი არის დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების, შემთხვევის ვითარებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების აღმოჩენა და გამოკვლევა;

4) შემთხვევის ადგილის დათვალიერებას აწარმოებს თვითონ გამომძიებელი. შემოწმებას კი, მთელ რიგ შემთხვევაში, აწარმოებს ექიმი, გამომძიებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე და ეს უმეტესწილად ხდება მაშინ, როცა საჭიროა სხვა სქესის შესამოწმებელი პირის გაშიშვლება და სხვა;

5) შემოწმების ჩატარებას ზოგჯერ შეიძლება თან სდევდეს საექსპერტო კვლევის ნიშნებიც. მაგალითად, იმისათვის, რომ დადგინდეს ქალის ორსულობა, როდესაც საჭიროა ფეხმძიმობის ფაქტის დადგენა, საჭიროა, მისი სხეულის შემოწმებასთან ერთად, მოხდეს

გამოკვლევების ჩატარებაც სათანადო სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების გამოყენებით და სხვ., რაც შემთხვევის ადგილის დათვალიერებისათვის საერთოდ არაა დამახასიათებელი და სხვა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ასევე არსებითად განსხვავდება ჩვენების ადგილზე შემოწმებისაგან, რომელიც თავდაპირველად გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აღმოცენდა როგორც მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენების შემოწმების ტაქტიკური ხერხი და მას განიხილავდნენ როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკურ ხერხს ან მის ნაირსახეობას. ამჟამად იგი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად.

ყოველივე ზემონათქვამი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება არსებითად განსხვავდება სხვა მისი მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან. და, რომ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური წესით, ისე ჩატარების ტაქტიკური თავისებურებებით, მიზნებითა და ამოცანებით და, ამდენად, არასწორი და უსაფუძვლოა იმ პროცესუალისტებისა და კრიმინალისტების შეხედულება, რომლებიც შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან აიგივებენ ან მის ნაირსახეობად თვლიან შემოწმებას, საგამოძიებო ექსპერიმენტსა და ჩვენების ადგილზე შემოწმებას.

§4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკის ცნება, არსი, მნიშვნელობა და კლასიფიკაცია. შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული და გამოყენებული მისი ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპები, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერების კანონიერება, დროულობა, გეგმურობა, სწორი თანმიმდევრობა, სისრულე და ობიექტურობა. ამასთან, საჭიროა სრულყოფილად იქნეს გამოყენებული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა დამუშავებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ის ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რომელთა ცოდნა გამომძიებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სწორად და ორგანიზებულად ჩაატაროს და ეფექტური შედეგებით დაამთავროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მთლიანი პროცესი, მისი ჩატარების ტაქტიკა პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ძირითად საფეხურად.

პირველს უნდა მიეკუთვნოს გამომძიებლის მზადება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების დაწყებამდე; **მეორეს კი** — უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების წარმოება. თავის მხრივ, დათვალიერების მომზადება მოიცავს ორ საფეხურს: გამომძიებლის მომზადებას შემთხვევის ადგილზე გასვლამდე და შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ დათვალიერების უშუალო დაწყებამდე.

უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარება მოიცავს შემდეგ სტადიებს:

1) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მიმოხილვით სტადიას;

2) შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ სტადიას;

3) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკურ სტადიას;

4) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დასკვნით სტადიას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ყველა ზემოაღნიშნული ეტაპი უშუალოდ მიმდინარეობს შემთხვევის ადგილზე და იქ წარმოებს შემთხვევის ადგილმდებარეობის, საგნებისა და ობიექტების დათვალიერება-გამოკვლევა.

ბ) ***შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მომზადება ადგილზე მისვლამდე***, შეიძლება ითქვას, ამ ურთულესი საგამოძიებო მოქმედების მაღალხარისხოვნად და ორგანიზებულად ჩატარების წინაპირობაა. იმისათვის, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩატარდეს სწორად, მაღალხარისხოვნად და მიღებულ იქნეს სასურველი შედეგები, საჭიროა დავიცვათ შემდეგი პირობები:

1) შეტყობინებისთანავე მიღებულ იქნეს სათანადო ზომები შემთხვევის ადგილის დასაცავად და მოხდეს ყველა საჭირო მოსამზადებელი ღონისძიების გატარება შემთხვევის ადგილის დათვალიერების სწორად და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად;

2) თუ შემთხვევის ადგილი არის საცხოვრებელი ბინა ან სამსახ-

ურებრივი სამუშაო ოთახი, ან დაცული ტერიტორია და იგი ტარდება მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ, ასეთ შემთხვევაში დათვალიერების ჩასატარებლად გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა მიმართოს მოსამართლეს და მისგან მიიღოს ამისათვის საჭირო ნებართვა — ბრძანება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების შესახებ. გადაუდებელი აუცილებლობისას კი გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩაატაროს მოსამართლის ბრძანების გარეშე. მაგრამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ — 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს მოსამართლეს;

3) საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა მოწვეულ იქნეს ამ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ამასთან, უნდა გაირკვეს დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრედ მოსაწვევი პირების საკითხი;

4) შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ აგრეთვე სათანადო პირები (სპეციალისტი, ექსპერტი, ზოგჯერ კი ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, კინოლოგი, ოპერატიული ჯგუფი და სხვ.);

5) მიღებულ იქნეს სათანადო ზომები დაზარალებულისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ან სხვა რაიმე მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად;

6) შეირჩეს დათვალიერების ჩასატარებლად საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები (საგამოძიებო ჩემოდანი, ოპერატიული ჩანთა, მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია და სხვ.) და შემოწმდეს მათი გამოყენების შესაძლებლობა;

7) შეირჩეს ოპერატიული ჯგუფი, სატრანსპორტო საშუალება და მოხდეს შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გასვლა და სხვ.

ზემოაღნიშნული მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა შესრულდეს სწრაფად, ოპერატიულად და მის შემდეგ მოხდეს შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გასვლა, შესაძლო უამინდობის მიუხედავად, ჩატარდეს მისი სრული, ობიექტური და ყოველმხრივი დათვალიერება-გამოკვლევა.

შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად გასვლის დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვალისა და

სხვა ნივთიერი მტკიცებულებების დაზიანება, განადგურება და დასათვალიერებელი ადგილის გარემოების შეცვლა. ამასთან, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ყოველგვარი დაყოვნება და დროის ფუჭად დაკარგვა დამნაშავის სასარგებლოდ მოქმედებს.

ბ) შემთხვევის ადგილის დაცვა, ჯერ ერთი, საჭიროა იმიტომ, რომ მისი შეცვლა შეიძლება გამოწვეულ იქნეს არახელსაყრელი ბუნებრივი მეტეოროლოგიური პირობებით (წვიმა, თოვლი, ქარი და სხვ.) და ამის გამო შეიძლება წაიშალოს და დაზიანდეს შემთხვევის ადგილზე დარჩენილი ხელის, ფეხის, სატრანსპორტო საშუალებათა ან სხვა სახის კვალი ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანილ იქნეს იქ დარჩენილი მსუბუქი სახის პატარა საგნები, მოსპობილ ან დაზიანებულ იქნეს ქაღალდები, დოკუმენტები და სხვა სახის ნივთიერი მტკიცებულება. ამავე დროს, შემთხვევის ადგილის გარემოება და იქ დარჩენილი კვალი შეიძლება შეცვლილ და დაზიანებულ იქნეს თვით შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების მიერ გამომძიებლის იქ მისვლამდე დანაშაულის კვალის დაკარგვის, მისი არევის ან შეცვლის მიზნით, ან ყოველგვარი განზრახვის გარეშე „კეთილი სურვილით", ან გამომძიებლის მისვლამდე შემთხვევის ადგილის „წესრიგში მოყვანის" მიზნით და სხვ.

ასე, მაგალითად, ქ. თბილისის დელისის მეტროსთან აღმოჩენილი ახალგაზრდა მამაკაცის გვამის დასათვალიერებლად გამომძიებლის მისვლამდე (დაზარალებულს თავისა და გულმკერდის არეში მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ღია ჭრილობა) იქ მყოფმა ერთ-ერთმა პირმა გვამი გულაღმა გადააბრუნა, პიჯაკის ჯიბეები შეუმოწმა და იქიდან პირადობის მოწმობა და ფული ამოაცალა და იქ მყოფ მოქალაქეს გადასცა შესანახად. გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ რატომ გააკეთა ყოველივე ეს მის მოსვლამდე, ამაზე მან ამაყად უპასუხა, რომ იგი მილიციის ორგანოებში ნამუშევარია და კარგად იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა და, რომ მან ეს მოიმოქმედა გამომძიებისათვის ხელის შეწყობის მიზნით (რათა იქ მყოფ პირებს გვამი არ გაეძარცვათ). მაგრამ, შემდეგ იგი ამაოდ ეძებდა იმ პირს, ვისაც დაზარალებულის ჯიბიდან ამოღებული ფული და პირადობის მოწმობა შესანახად გადასცა.

გამორიცხული არაა, რომ შემთხვევის ადგილი დაზიანდეს და შეიცვალოს ცხოველების მიერაც. ამიტომ, გამომძიებელმა, პირველ რიგში, შემთხვევის ადგილზე დასათვალიერებლად გამგზავრებამდე საჭიროა მიიღოს ყველა სათანადო ღონისძიება შემთხვევის ადგილმდე-

ბარეობისა და უშუალოდ შემთხვევის ადგილის დასაცავად სხვა გარეშე ზემოქმედებისაგან.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი დანაშაულის ნიშნების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, გამომძიებელი ვალდებულია მაქსიმალურად, დეტალურად გამოარკვიოს, თუ რა მოხდა და რა სახის გარემოებას აქვს ადგილი, როგორი და რა სახის კვალია იქ დარჩენილი და სხვ. ყოველივე ეს გამომძიებელს ესაჭიროება იმისათვის, რომ მან წინასწარ სწორად განსაზღვროს დათვალიერების ხასიათი და იმ პირთა წრე, რომლებმაც მიზანშეწონილია მონაწილეობა მიიღონ დათვალიერებაში. ამავე დროს, საჭიროა გამომძიებელმა პოლიციის ორგანოს მუშაკებს ან ადგილობრივ წარმომადგენლებს მისცეს დავალება, რათა მის მისვლამდე ზუსტად და მკაცრად დაიცვან შემთხვევის ადგილი. მოცემულ პირებს გამომძიებელმა უფრო დეტალური მითითება უნდა მისცეს მაშინ, როცა ადგილი აქვს არახელსაყრელ ამინდს, ან, როცა შემთხვევის ადგილზე იმყოფება დაზარალებული, რომელსაც სამედიცინო დახმარება სჭირდება, განუმარტოს მათ, თუ როგორ დაიცვან მის მისვლამდე შემთხვევის ადგილი და მასზე დარჩენილი კვალი ცუდი მეტეოროლოგიური პირობებით გამოწვეული დაზიანებაგანადგურებისაგან, როგორ და რა სახის სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულს და სხვ.

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევი პირების შერჩევა გამომძიებელმა უნდა მოახდინოს შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, რათა თავიდან აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა და დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად არ ჩაბას გამოსაძიებელი საქმის მსვლელობით დაინტერესებული პირი.

აღსანიშნავია, რომ ადრე საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული იყო შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში დამსწრე პირების ჩაბმის ინსტიტუტი, მაგრამ იგი ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით იგნორირებულია და საზღვარგარეთის სახელმწიფოების — საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, შვეიცარიისა და სხვ. ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, იგი ჩვენი საპროცესო კანონმდებლობიდანაც ამოღებულ იქნა. თუ რამდენად სწორი და გამართლებულია იგი ჩვენი საზოგადოებრიობის ამ გარდამავალ ეტაპზე, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს.

ამჟამად, სსსკ-ის 102-ე მუხლით დამსწრე პირების მოწვევა დასაშვებადაა მიჩნეული მხოლოდ ჩხრეკის, ამოღებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფაქტის მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად. ამ მიზნით, პირს ვისთანაც ტარდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საჭიროა დამსწრე პირების შეგსარჩევად მიეცეს „გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ ერთი საათისა". ამასთან, დამსწრე პირების შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ „დამსწრედ არ შეიძლება მოწვეულ იქნენ ის პირები, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, არ მისცენ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის საწინააღმდეგო ჩვენება".

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება მოწვეულ იქნეს ექსპერტი-სპეციალისტი, რომლის როლი არსებითად განსხვავდება ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტისაგან, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ექსპერტიზის დროს ექსპერტი დასკვნას იძლევა იმ საკითხებზე, რომლებიც მის წინაშე დასმული იყო გადასაწყვეტად ექსპერტიზის დამნიშნავი გამომძიებლის მიერ. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულმა ექსპერტმა კი, როგორც სპეციალისტმა, ხელი უნდა შეუწყოს გამომძიებელს ყველა სახის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენასა და ამოღებაში და, ამასთან, დაეხმაროს გამომძიებელს საქმეზე მნიშვნელობის მქონე შემთხვევის ადგილის ცალკეული გარემოებების სწორად გამოკვლევაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად ექსპერტი, სპეციალისტის სახით შეიძლება მოწვეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა დათვალიერების წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა. მაგალითად, მისი მონაწილეობა აუცილებელია ისეთი კატეგორიის საქმეებზე ჩასატარებელ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, როგორიცაა: სატრანსპორტო საშუალებათა კატასტროფა; ხანძრის, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა, როცა მას შედეგად მოჰყვა ადამიანის დაღუპვა ან მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, როცა ადამიანის გვამია აღმოჩენილი და სხვ.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოწვეულ იქნეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სპეციალისტი, კერძოდ, სასამართლო-საექსპერტო დაწესე-

ბულებიდან — ექიმი-სპეციალისტი, კრიმინალისტიკური დაწესებულებიდან — ექსპერტი-კრიმინალისტი, ექსპერტი-ქიმიკოსი და სხვ. მკვლელობის, ქურდობის, ყაჩაღური თავდასხმისა და სხვა ანალოგიური სახის მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მოწვეულ იქნეს აგრეთვე კინოლოგი შემთხვევის ადგილზე დარჩენილი სუნის კვალის ასაღებად და დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა გამოსავლენად ოპერატიულ ჯგუფთან ერთად ცხელ კვალზე მისადევნებლად, დანაშაულის ჩამდენ პირთა ადგილსამყოფელის დასადგენად, მათ დასაკავებლად და წარმოსადგენად.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში სპეციალისტი გამომძიებელთან ერთად ავლენს და იკვლევს კვალს, ნივთიერ მტკიცებებსა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დათვალიერება მოითხოვს მუშახელს, მაშინ გამომძიებელმა წინასწარ უნდა უზრუნველყოს მუშების გამოყვანა თავიანთი საჭირო იარაღებით (მაგ., მიწით ამოვსებული ჭის ამოსათხრელად, იატაკის ან ჭერის ასაყრელად და სხვ.).

ასევე იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ნიშნების (ადამიანის გვამის ან სხვა რაიმე სახის საგნების) აღმოსაჩენად საჭიროა დიდი მოცულობის ტერიტორიის დათვალიერება, მიზანშეწონილია დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოსახლეობიდან ან საწარმოო-დაწესებულებიდან შერჩეულ იქნენ სანდო პირები და მათი დახმარებით გადასინჯულ და შემოწმებულ იქნეს მთელი ტერიტორია.

ამრიგად, შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, საჭიროა გამომძიებელმა სწრაფად და ოპერატიულად შეასრულოს საკმაოდ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები, რათა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების მაღალკვალიფიციურად ჩატარება.

ე) *დათვალიერების ჩატარების მომზადება ადგილზე მისვლის შემდეგ*. გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე არ შეიძლება შეუდგეს შემთხვევის ადგილის გარემოების დეტალურ შესწავლას. საჭიროა მან წინასწარ ჯერ გაარკვიოს, თუ რას წარმოადგენს შემთხვევის ადგილი, რა ცვლილებები მოხდა მის მისვლამდე, შეადგინოს დათვალიერების გეგმა და შექმნას დათვალიერებისათვის საჭირო ნორმალური პირობები.

შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე გამომძიებელმა უნდა მოისმინოს შემთხვევის ადგილის დამცველი პირების ინფორმაცია იმის

შესახებ, თუ ვინ, როდის და რა გარემოებაში აღმოაჩინა მოცემული შემთხვევა, როდის, რა გარემოებაში და პირობებში მოუხდათ მათ შემთხვევის ადგილის დაცვა. მათი იქ ყოფნის დროს ხომ არ მოხდა რაიმე ცვლილება შემთხვევის ადგილ-გარემოებაში, ვის მიერ და რა სახის; აღმოუჩინეს თუ არა დაზარალებულს რაიმე სახის სამედიცინო დახმარება და მოათავსეს თუ არა იგი საავადმყოფოში ან სხვა სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებაში.

თუ დაზარალებული კვლავ შემთხვევის ადგილზე იმყოფება და სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, გამომძიებელმა სამედიცინო დარგის სპეციალისტის მეშვეობით უნდა აღმოუჩინოს მას სათანადო დახმარება. საჭიროების შემთხვევაში კი მოახდინოს მისი საავადმყოფოში გადაყვანა. მაგრამ საავადმყოფოში გაგზავნამდე საჭიროა შემთხვევის ადგილზე მოახდინოს დაზარალებულის ფოტოგადაღება სასამართლო ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით. ამავე დროს, საჭიროა ზუსტად აღინიშნოს ის ადგილი და პოზა, სადაც აღმოჩენილი იყო დაზარალებულის გვამი. გარდა ამისა, თუ დაზარალებული ჯერ კიდევ ცოცხალია, საავადმყოფოში გაგზავნამდე საჭიროა დადგენილ იქნეს მისი პიროვნება, საცხოვრებელი ადგილი და იმ სამკურნალო დაწესებულების მისამართი, რომელშიც იგი იგზავნება. შესაძლებლობის შემთხვევაში კი აუცილებელია მისგან მიღებულ იქნეს ინფორმაცია ან ახსნა-განმარტება მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის შესახებ.

ყოველივე ამის შემდეგ საჭიროა მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების საზღვრების დადგენა; დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებს განემარტოს მათი უფლებები და მოვალეობები და თითოეულ მათგანს მიეცეს შესაბამისი დავალება. კერძოდ, ოპერატიულ ჯგუფს უნდა მიეცეს დავალება დანაშაულის ჩამდენ პირთა ცხელ კვალზე მიდევნების, მათი დაძებნის, დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ. მათვე უნდა აწარმოონ იმ პირთა დადგენა, რომლებიც პირველად მივიდნენ და ნახეს შემთხვევის ადგილი, აგრეთვე იმათი, ვისაც შეუძლია გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას მისცენ ჩვენება.

თუ გამომძიებელმა შემთხვევის ადგილზე მისვლამდე ვერ შეძლო დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებ დამსწრე პირთა მოწვევა, მაშინ მან შემთხვევის ადგილზე უნდა მოახდინოს მათი შერჩევა ისე, რომ

მათ რიცხვში არ მოხვდეს საქმის მსვლელობით დაინტერესებული პირი. ამასთან, ოპერატიულ ჯგუფს უნდა მისცეს მითითება, შემთხვევის ადგილიდან გაიყვანონ ყველა იქ მყოფი ზედმეტი პირი, რათა ხელი არ შეუშალონ დათვალიერების ნორმალურ მსვლელობას. ყოველივე ამის შემდეგ საჭიროა, შემთხვევის ადგილის გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით, გამომძიებელმა განსაზღვროს დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა და მაქსიმალურად სწორად და სრულყოფილად გამოიყენოს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, დათვალიერების ტაქტიკური ხერხები და მეთოდები.

§5. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა ცალკეული ეტაპების მიხედვით

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემუშავებულ იქნეს ისეთი ტაქტიკური ხერხები, რომელთა გამოყენებითაც გამომძიებელი უზრუნველყოფს შემთხვევის ადგილზე არსებულ ლატენტური კვალისა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენას, მათ სრულ, ყოველმხრივ ასახვასა და გამოკვლევას.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს მრავალი შეხედულება და რეკომენდაცია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკის შესახებ, რომელთაგან უფრო ფართო აღიარება მოიპოვა გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხების დაჯგუფებამ დათვალიერების სტადიების მიხედვით, რომელიც მოიცავს: 1) შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიმოხილვით სტადიას; 2) შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ სტადიას; 3) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკურ სტადიას და 4) დასკვნით სტადიას.

რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში გატარებულია აგრეთვე შეხედულება, რომლითაც დათვალიერების დამოუკიდებელ ტაქტიკურ ხერხად მიჩნეულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების შერჩევითი მეთოდი, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, რადგან ყველა სახის სისხლის სამართლის საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერება თავისებურებებით ხასიათდება.

ა) დათვალიერების მიმოხილვითი სტადია. დათვალიერების ამ სტადიაზე გამომძიებელი წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ საიდან და

რით დაიწყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით, ჯერ აწარმოებს დასათვალიერებელი ადგილმდებარეობის ზოგად მიმოხილვით დათვალიერებას, სწავლობს მას ერთ მთლიანობაში, განსაზღვრავს დასათვალიერებელი ადგილმდებარეობის ფარგლებს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ საიდან დაიწყოს დათვალიერება — ცენტრიდან თუ პერიფერიიდან და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამავე სტადიაზე გამომძიებელი ახდენს დასათვალიერებელი საგნებისა და ობიექტების აღრიცხვას, ადგენს შემთხვევის ადგილზე მისასვლელ და იქიდან გამავალ გზებსა და კვალს (ფეხის კვალს, სატრანსპორტო საშუალებათა კვალს და სხვ.), არკვევს დანაშაულებრივი ქმედების ხასიათსა და მისი ჩადენის მექანიზმს (რა მოქმედებები იქნა შესრულებული შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების მიერ, საიდან და რით მოვიდნენ შემთხვევის ადგილზე, რა გააკეთეს იქ და საით და რით წავიდნენ შემთხვევის ადგილიდან და სხვ.) და ყოველივე ამის გათვალისწინებით ადგენს თავისი მოძრაობებისა და მიმართულების გეგმას.

ამ ეტაპზე აღმოჩენილ მცირე მოცულობის მქონე მტკიცებულებითი მნიშვნელობის საგნებს, ობიექტებს ან კვალს აღნიშნავს რაიმე თვალსაჩინო საშუალებებით, რათა დათვალიერების შემდგომ ეტაპზე არ მოხდეს მათი დაზიანება, დაკარგვა ან სახის შეცვლა. თუ დათვალიერების პროცესში გამომძიებელი შეამჩნევს რაიმე სპეციფიკური ხასიათის კვალს, სასურველია, მასაც გაუკეთოს შესაბამისი დაცვა. დათვალიერების ამავე ეტაპზე გამომძიებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მარტო შემთხვევის ადგილის ცენტრსა და იქ დარჩენილ საგნებზე, ობიექტებსა და კვალზე, არამედ მის პერიფერიებსა და მისადგომებზეც, რადგან გამორიცხული არაა სწორედ იქ იყოს დატოვებული საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთი ან კვალი.

იმასთან დაკავშირებით, ცენტრიდან უნდა მოხდეს დათვალიერების დაწყება თუ პერიფერიიდან, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ჯერ კიდევ ადრე პროფესორი ი. იაკიმოვი რუსულ ენაზე გამოცემულ თავის ორიგინალურ კრიმინალისტიკის პირველ სახელმძღვანელოში იძლეოდა რეკომენდაციას, შემთხვევის ადგილის დათვალიერება მომხდარიყო პერიფერიიდან ცენტრისაკენ და მიუთითებდა, შემთხვევის ადგილის დათვა-

ლიერება უშუალოდ გვამით ან გატეხილი საწყობის ცენტრიდან არ დაწყებულიყო. პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო გარშემო მდებარე საგნების, შენობების, ტერიტორიის, ცენტრისაკენ მიმავალი გზების ყველა თავისი შესასვლელ-გამოსასვლელების შესწავლა და ამის შემდეგ უნდა დაეწყოთ მთავარი საგნის, შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

ასეთივე შეხედულება გატარებული იყო 1950 წელს ქ. მოსკოვში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მისი ავტორები ითვალისწინებენ აგრეთვე შემთხვევის ადგილის ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიმართულ დათვალიერების სქემასაც ისეთი შემთხვევებისათვის, როცა შემთხვევის ადგილი თავისი ტერიტორიით მცირე მოცულობის იყო და დათვალიერების დროს გამომძიებელს არ სჭირდებოდა ყურადღების გამახვილება დიდი რაოდენობის საგნებზე.

ვ. გრომოვის აზრით, შემთხვევის ადგილის დათვალიერება ყოველთვის უნდა ვაწარმოოთ ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით. პროფესორი ა.ვინბერგი, მ.მუდიუგინი და სხვ. კი შემთხვევის ადგილის დათვალიერების თანმიმდევრობის საკითხის გადაწყვეტას გამომძიებელს ანდობს.

ვფიქრობთ, უფრო სწორია იმ კრიმინალისტების (ვ.გრომოვის, ა.გოლუნსკის, ბ.შავერის და სხვ.) შეხედულება, რომლებიც შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებას მნიშვნელოვნად თვლიან მთავარი გარემოებების, ანუ ცენტრის შესწავლით, რადგან იგი გამომძიებელს ნათელ წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ რა გარემოებას ჰქონდა ადგილი, რაში მდგომარეობს მისი ჩადენის მექანიზმი და განსაკუთრებით რაზე, რა გარემოებაზე უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში.

შემთხვევის ადგილად ითვლება ის ტერიტორია ან შენობა, რომლის ფარგლებშიც ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება, ან აღმოჩენილია დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები. შემთხვევის ადგილის ცენტრად ითვლება მისი ის ნაწილი, სადაც დანაშაულებრივი ქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნებია დატოვებული და აღმოჩენილი. მაგალითად, გაქურდული ბინა, ადამიანის გვამი, სისხლის გუბე, ადამიანზე სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახების ადგილი და სხვ. შემთხვევის ადგილის პერიფერიად კი მიჩნეულია ცენტრის გარშემო მდე-

ბარე ტერიტორია. პერიფერიის ფარგლების განსაზღვრისას მხედ-ველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედე-ბის ხასიათი და დანაშაულის ნიშნებზე მიმთითებელი შემთხვევის ადგილმდებარეობის თავისებურება და ხასიათი, შემთხვევის ადგილისაკენ მიმავალი ან იქიდან გამავალი კვალი, ან იქ დარჩენილი სხვადასხვა სახის დამამტკიცებელი საბუთი და სხვ.

მიმოხილვითი დათვალიერების ამ ეტაპზე გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა თვითონ რაიმე უე-ცარი მოქმედებით არ წაშალოს შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვა-ლი ან თვითონ არ დატოვოს რაიმე სპეციფიკური კვალი. ამიტომ, მიმოხილვითი დათვალიერების პროცესში, მიზანშეწონილია გამომძიე-ბელმა იაროს იმ ადგილზე, სადაც არ შეიძლება დატოვებული იყოს სხვა პირთა კვალი ან იმ პირის ნაკვალევზე, ვინც პირველად აღმოაჩინა შემთხვევის ადგილი, ან ვინც აწარმოებდა შემთხვევის ადგილის დაც-ვას. ამის შესახებ კი გამომძიებელმა ინფორმაცია უნდა მიიღოს შემთხ-ვევის ადგილზე მისვლისთანავე შემთხვევის ადგილის აღმომჩენ და მის დამცველ პირებთან გასაუბრებით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების საზღვრებისა და მისი ჩატარე-ბის ტაქტიკური ხერხების განსაზღვრის შემდეგ, დათვალიერების სტა-ტიკურ ეტაპზე გადასვლამდე, მიზანშეწონილია გამომძიებელმა სწრაფად და ოპერატიულად აწარმოოს იმ პირთა ზეპირი გამოკითხვა, რომ-ლებიც ოპერატიული მუშაკების მიერ მოძებნილ და დადგენილ იქნენ როგორც მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების მომსწრენი ან ვინც პირველად მივიდა შემთხვევის ადგილზე, ან, რომლებსაც შეეძლოთ მოესმინათ, დაენახათ ან გაეგონათ რაიმე მომხდარი ფაქტის შესახებ. მათთან ასეთი ზეპირი გასაუბრების მიზანი ისაა, რომ გამომძიებელმა მათგან მიიღოს საჭირო ცნობები მომხდარი ფაქტის შესახებ და შეექმნას მასზე სწორი წარმოდგენა; შეაგროვოს ცნობები დამნაშავის პიროვნების შესახებ და დასახოს მისი დაძებნის ღონისძიებანი. ამასთან, თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია უცნობი ადამიანის გვამი, საჭიროა მიიღოს ზომები მისი ვინაობის დასადგენად.

მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის თანამომსწრეთა ასეთ გა-საუბრებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღური თავდასხმის, ტექნიკის უშიშროების წესების დანაშაულებრივი დარღვევის, ავტოკატასტროფისა და სხვა მსგავსი სახის დანაშაუ-

ლებრივ ფაქტებთან დაკავშირებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. ამ პირებთან გასაუბრების დროს უნდა გაირკვეს, თუ როგორ მოხვდნენ ისინი იქ, რა მიზნით, რას აკეთებდნენ პოლიციის მუშაკების ან შემთხვევის ადგილის დასაცავად მისულ სხვა პირთა გამოცხადებამდე, რა საგნებს შეეხნენ, რა სახის კვალი დატოვეს და სხვ.

საჭიროა ამ პირებისგან მიღებული ამგვარი ცნობების ფიქსაცია მოხდეს ძალიან მოკლედ მათი გვარის, სახელისა და მისამართების ჩვენებით, რადგან მომავალში შეიძლება საჭირო გახდეს საქმეზე მათი დაკითხვა.

ზემოაღნიშნულ პირებთან გასაუბრება საჭიროა ჩატარდეს ცალ-ცალკე, რათა არ მოხდეს მათგან მიღებული ცნობების გახმაურება.

იმ შემთხვევაში, თუ პირი მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის შესახებ იძლევა რაიმე არსებითი ხასიათის ინფორმაციას, მაშინ მიზანშეწონილია მოხდეს მისი გაჩერება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დამთავრებამდე, რადგან, ჯერ ერთი, დათვალიერების პროცესშივე შეიძლება დაგვჭირდეს მისი ახსნა-განმარტება რომელიმე ფაქტთან დაკავშირებით და, მეორეც, საჭირო გახდეს მისგან დაწვრილებითი ახსნა-განმარტების მიღება ან მისი დაკითხვა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამ სტადიაზე აღმოჩენილი საგნების, ობიექტების, კვალისა და მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, გამომძიებელმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს დავალება ოპერატიულ ჯგუფს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირებისათვის ცხელ კვალზე მიდევნების, მათი დაძებნის, დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ.

შემთხვევის ადგილზე მყოფ ზემოაღნიშნულ პირებთან გასაუბრების დროს გამომძიებელმა დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს იმ მხრივაც, რომ გასასაუბრებელ პირთა შორის არ მოხვდეს ისეთი პირი, რომელიც დანაშაულის მონაწილეა ან, რომელიც დაინტერესებულია გამოსაძიებელი საქმის მსვლელობის ბედით, რადგან ამ პირმა შეიძლება შეგნებულად მიაწოდოს ისეთი არასწორი ცნობები, რომლითაც გარკვეულ არეულობას შეიტანს დათვალიერების წარმოებასა და საქმის შემდგომი გამოძიების წარმართვაში.

შემთხვევის ადგილის აღმომჩენი ან მისი დამცველი პირების მიერ შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის გამორიცხვის მიზნით, ზოგჯერ მიზანშეწონილია გამომძიებელმა, შემთხვევის ადგილის დათვა-

ლიერების შემდეგ, მათგანაც აიღოს ხელისა და ფეხის კვალის ტვიფარი.

ზემოთ განხილული მიმოხილვითი დათვალიერების შემდეგ გამომძიებელი გადადის შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ სტადიაზე.

ბ) *შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკური სტადია.* დათვალიერების ამ სტადიაზე გამომძიებელი ახდენს შემთხვევის ადგილის არსებით გამოკვლევას და იქ დარჩენილი და აღმოჩენილი კვალის, საგნებისა და ობიექტების სრულყოფილ გამოვლინებასა და აღრიცხვას იმავე მდგომარეობაში, როგორც აღმოჩენილ იქნენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში ყოველგვარი გადაადგილებისა და მდგომარეობის შეცვლის გარეშე. დათვალიერების ამავე სტადიაზე გამომძიებელი აწარმოებს აღმოჩენილი საგნების, კვალისა და ობიექტების თანმიმდევრულ ჩაწერას, რის საფუძველზეც ხდება შემდგომში შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენა.

დათვალიერების ამ სტადიაზე აღმოჩენილი საგნების შესახებ გამომძიებელმა უნდა გააკეთოს ჩანაწერები, თუ სად და როგორ იქნა აღმოჩენილი ან ნაპოვნი, რა მდგომარეობაში, სად იყო, რა მანძილით იყო დაშორებული სხვა საგნებისაგან და სხვ. ამავე დროს, საჭიროა ვაწარმოოთ აღმოჩენილი კვალის, საგნებისა და სხვა ნივთებს შორის არსებული მანძილის გაზომვები.

ამავე სტადიაზე გამომძიებელმა უნდა აწარმოოს აგრეთვე შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება საგამოძიებო-ოპერატიულ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით. კერძოდ, აწარმოოს მიმოხილვითი (იხ. სურ. 1,2,3), საორიენტაციო, საკვანძო და მასშტაბურ-დეტალური სახის ფოტოგადაღებები. ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე პანორამული, სტერეოსკოპიული, მასშტაბური, მსხვილმასშტაბური და სიღრმითი მასშტაბური ფოტოგადაღებები. ყოველივე ეს შესაბამისი თანმიმდევრობით ზუსტად უნდა აისახოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. დათვალიერების ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს შესაბამისი სქემებისა და გეგმების შედგენა. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს აგრეთვე მისი აღბეჭდვა კინო და ვიდეოფირებზე.

შემთხვევის ადგილის სტატიკური დათვალიერების შემდეგ, როცა მოხდა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი საგნების, ობიექტების და



ა



ბ

სურ. 1. საკვანძო წესით გადაღებული ციხის საკნიდან (გაქცეულ პატიმართა მიერ) გათხრილი გვირაბის ჩასასვლელი და ამოსასვლელი ადგილის ფოტოილუსტრაციები: ა) გვირაბში ჩასასვლელი ადგილი. ბ) გვირაბიდან ამოსასვლელი ადგილი.



ა

ბ

სურ. 2. საორიენტაციო და საკვანძო წესით გადაღებული ციხის საკნიდან გათხრილი გვირაბის ამოსასვლელი ადგილმდებარეობის ფოტოილუსტრაციები:
ა) გათხრილი გვირაბის ამოსასვლელი ადგილის (ადგილმდებარეობის) საორიენტაციო წესით გადაღებული ფოტოილუსტრაცია. ბ) გათხრილი გვირაბის ამოსასვლელი ადგილის (ადგილმდებარეობის) საკვანძო წესით გადაღებული ფოტოილუსტრაცია.



სურ. 3. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი რევოლვერის, საბრძოლო ვაზნებისა და გაცლილი მასრის მასშტაბური წესით გადაღებული ფოტოილუსტრაცია.

ყველა სახის კვალის დაფიქსირება ჩანაწერების, ჩანახატების, გეგმებისა და სქემების შედგენის, ფოტო და კინოგადაღების სახით და სხვა საშუალებებით და მიღებულ იქნა სათანადო ზომები მათ დასაცავად, შეიძლება აგრეთვე კინოლოგის დახმარებით მოხდეს შემთხვევის ადგილზე დამნაშავეთა მიერ დატოვებული სპეციფიკური სუნის კვალის აღმოჩენა, მისი ფიქსაცია და ოპერატიულ ჯგუფთან ერთად კინოლოგსაც მიეცეს დავალება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ცხელ კვალზე მიდევნების, მისი დაძებნის, დაკავებისა და წარმოდგენის შესახებ. ამ გადაუდებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ გამომძიებელი უნდა გადავიდეს დათვალიერების მომდევნო — დინამიკურ სტადიაზე.

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკური სტადია. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამ სტადიაზე გამომძიებელი ახდენს დათვალიერების წინა საფეხურზე აღმოჩენილი ყველა კვალისა და საგნის დეტალურ შესწავლა-დათვალიერებას მისთვის სასურველ მდგომარეობაში. საჭირო შემთხვევაში მას შეუძლია დათვალიერების პროცესში სპეციალისტისაგან მიიღოს სათანადო კონსულტაცია ამა თუ იმ საგნის, კვალის ან სხვა რაიმე გარემოების ასახსნელად, მათ დასამუშავებლად და გამოსავლენად. სტატიკური დათვალიერების სტადიაზე გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ კვალს ან საგანს მხოლოდ ცალმხრივად — ზერელედ ეცნობოდა ადგილმდებარეობისა და მისი ფორმის, სახეობისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე კი იგი ფრთხილად იღებს ხელში კვალიან საგანს, ათვალიერებს მას დეტალურად და ადგენს, ხომ არაა მასზე ადამიანის ხელის თითების კვალი დატოვებული და სწავლობს მისი დაზიანების ხასიათს. ასევე, თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ სტადიაზე გამომძიებელი მხოლოდ გვამის მდგომარეობის ფოტოგრაფიულ გადაღებას აწარმოებს კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებით და მისი უბრალო ფიქსირებით კმაყოფილდება, დინამიკურ სტადიაზე კი, მას სათანადო ფოტოგრაფირების შემდეგ, გვამის პოზა შეუძლია ნებისმიერად შეცვალოს, დაათვალიეროს მისი დაზიანებები, შეამოწმოს მისი ტანსაცმლის ჯიბეები და სხვ.

დინამიკური დათვალიერების პროცესშიც უნდა ვაწარმოოთ ხელის თითების ან სხვა კვალიანი საგნის დათვალიერება, მისი და-

მუშავება-გამოვლინება, მისი მასშტაბურ-დეტალური ან მსხვილ-მასშტაბური ფოტოგადაღების ჩატარება და სხვ. ე.ი. დათვალიერების ამ ეტაპზე უნდა მოვახდინოთ ისეთი ფოტო, კინო ან ვიდეოგადაღების ჩატარება, რომელზეც აღიბეჭდება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სხვადასხვა სახის კვალი, საგნები და სხვა სახის ნივთიერი მტკიცებულება არა მარტო თავიანთ პირვანდელ მდგომარეობაში, არამედ გამოვლინება-დამუშავების შემდეგაც. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე არსებულ ამა თუ იმ საგანზე ხელის თითების უფერული ან უჩინარი ანაბეჭდების (კვალის) ალუმინის ფხვნილით, ნინჰიდრონის ხსნარით ან სხვა საშუალებით გამოვლინების შემდეგ, საჭიროა მოხდეს მისი ფოტოგადაღება მასშტაბური და მსხვილმასშტაბური ფოტოგადაღების წესით.

იმის შესახებ, თუ რა სიღრმითა და მოცულობით უნდა ჩაატაროს გამომძიებელმა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს ორი ძირითადი სახის რეკომენდაცია. ერთ-ერთი მათგანი იწოდება „სუბიექტურ მეთოდად", მეორე კი „ობიექტურ მეთოდად". დათვალიერების „სუბიექტური მეთოდის" გამოყენებისას გამომძიებელი იფარგლება მხოლოდ იმ ადგილის დათვალიერებით, სადაც ასახულია დამნაშავის ყოფნის ან დანაშაულებრივი მოქმედების ნიშნები. „ობიექტური მეთოდის" გამოყენების დროს კი გამომძიებელი სწავლობს შემთხვევის ადგილმდებარეობას, მის მთელ ვითარებას და არ კმაყოფილდება მარტოოდენ შემთხვევის ადგილის იმ ფარგლებში დათვალიერებით, სადაც ასახულია დანაშაულებრივი ქმედების კვალი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მეთოდების ასეთი კლასიფიკაცია, ჩემი აზრით, არასწორი და გაუმართლებელია. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ერთადერთ, სწორ და უტყუარ მეთოდად უნდა ჩაითვალოს შემთხვევის ადგილის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური ჩატარება. დათვალიერების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ადგილის დათვალიერებას, სადაც აღინიშნება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა და მისი ჩამდენი პირის ან დაზარალებულის ყოფნის კვალი და მის გარშემო მდებარე საგნები და ობიექტები. დანაშაულის ჩადენის საგანზე (იარაღზე) ან ამ მიზნით გამოყენებულ რაიმე ობიექტზე კვალის აღმოუჩენლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იქ არ არსებობენ. ამ საგნებზე ასეთი კვალი შეიძლება იყოს ლატენტური სახის ან აბსოლუტურად უჩინარი და შეუმჩნეველი, რის

გამოც ჭირს მათი დანახვა, მაგრამ საჭიროა მათი მოძებნა და გამოვლინება სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს კვალიფიციური გამომძიებელი, აღმოაჩენს რა ერთი რაიმე სახის კვალს, შემთხვევის ადგილზე ეჭვმიტანილი პირის ან დაზარალებულის მიერ შესრულებული ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკურად ადგენს, თუ სხვა კიდევ რა სახის კვალი შეიძლება იყოს იქ დარჩენილი და ეძებს მას. მაგალითად, თუ საცხოვრებელ ბინაში ჩადენილია მკვლელობა ან გაქურდულია ბინა, კარები დაკეტილია, ფანჯარა კი გაღებულია და მისი მინა ამოღებული, ამ შემთხვევაში გამომძიებელმა გულდასმით უნდა შეამოწმოს ფანჯრის ყველა ნაწილი და იქიდან ამოღებული მინა ან მინის ნატეხები, რათა მასზე აღმოაჩინოს ხელის თითების უფერული კვალი ან ფეხის კვალი და სხვ.

ასეთ შემთხვევაში ამგვარი საგნების დათვალიერება უნდა მოხდეს ფრთხილად, ისე, რომ თვით გამომძიებელმა არ დატოვოს მასზე ხელის თითების კვალი ან არ იქნეს დაზიანებული მასზე დარჩენილი თითის უჩინარი კვალი. ამ მიზნით, მან მინის ნატეხები უნდა დაიკავოს კიდეებით და გახედოს გამჭოლ სინათლეზე ან მასზე სინათლის წყარო დაანათოს 25-30^0-ით ან ამგვარი კვალის გამოსავლინებლად გამოიყენოს კრიმინალისტიკურ ტექნიკაში შემუშავებული სხვა სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები. ხელის თითების კვალთა გამოვლინება-აღმოჩენის მიზნით მიზანშეწონილია საგნებისა და ობიექტების დათვალიერება მოხდეს ხელოვნური განათების პირობებში.

დ) *შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ახსნაში.* შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ადამიანის გვამის პოზით, მისი ტანსაცმლის მდგომარეობით ან დაზარალებულისათვის მიყენებული ჭრილობების რაოდენობითა და ხასიათის მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ მის გარშემო არ შეიმჩნევა სისხლის გუბე ან სისხლის კვალი, აგრეთვე ის, რომ დაზარალებულს თან აქვს თავისი კუთვნილი ძვირფასი ნივთები (ოქროს საათი, ოქროსა და ბრილიანტის ბეჭდები და სხვ.), გამომძიებელი ამ მონაცემების საფუძველზე აგებს საგამოძიებო ვერსიებს დანაშაულის ჩადენის მიზნის, მოტივისა და დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ახსნის შესახებ და სხვ.

კერძოდ, გამომძიებელი აგებს საგამოძიებო ვერსიას იმის შესახებ, რომ მკვლელობა ჩადენილია გაუპატიურების კვალის დაფარვის მიზნით ან ადგილი აქვს გაუპატიურების ინსცენირებას, დანაშაული ჩადენილია სხვა ადგილას და შემდეგ მოხდა გვამის გადატანა სხვა ადგილზე, დანაშაული ჩადენილია არა ანგარებით, არამედ სხვა მოტივით და სხვ. ცხადია, ასეთ გარემოებაში შემთხვევის ადგილზე უნდა ვეძიოთ ისეთი კვალი, რომელიც შეიძლება დარჩენილიყო გვამის ტრანსპორტირების დროს, ამგვარი კვალის აღმოჩენა უდავოდ ხელს შეგვიწყობს დანაშაულის ჩადენის ადგილის, გარემოების და ვითარების, მთლიანი მექანიზმის ახსნასა და დადგენაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საგნებსა და ობიექტებს, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროს პირი აუცილებლად შეეხებოდა და გამოიყენებდა. ცხადია, ასეთი საგნების, ნივთებისა და ობიექტების დადგენას წინ უნდა უსწრებდეს დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ახსნა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ადგილების დათვალიერებას, საიდანაც სავარაუდოა, რომ მისულიყო დამნაშავე ან საითკენაც შეიძლება წასულიყო შემთხვევის ადგილიდან.

გულისხმიერი დათვალიერების შედეგად შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ისეთი სახის კვალი, როგორიცაა: გატეხვის იარაღის კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, ადამიანის ხელისა და ფეხის კვალი, ფრჩხილისა და კბილის კვალი, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენების კვალი, სხვადასხვა სახის სპეციფიკური სუნის კვალი და სხვ. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი დანაშაულის ჩადენის საგანზე ან სხვა ობიექტზე კვალი თავისი წარმოქმნის მექანიზმის მიხედვით შეიძლება იყოს სტატიკური და დინამიკური, მოცულობითი და ზედაპირული სახის და სხვ. ზედაპირული სახის კვალი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს აშრეევებული და დაშრეევებული, ხილვადი, ნაკლებად ხილვადი და უხილავი სახის.

შემთხვევის ადგილზე არსებული ამგვარი სახის კვალის არსებობა გვეხმარება არა მარტო დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ახსნაში, არამედ იგი ხელს გვიწყობს ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების პროფესიონალიზმისა და მისთვის დამახასიათებელი თვისებების ახსნაში.

დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების მიერ დატოვებული

კვალის გარდა, შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილ იქნეს აგრეთვე სხვადასხვა სახის საგნებისა და ობიექტების ურთიერთგადანაცვლების ან დაზარალებულთან შებრძოლების შედეგად აღმოცენებული კვალი, რომელსაც შეუძლია დიდი დახმარება გაგვიწიოს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენაში. კერძოდ, იმის გასარკვევად, თუ რას აკეთებდა დამნაშავე შემთხვევის ადგილზე, რა სახის მოქმედებები შეასრულა დანაშაულის ჩადენის პროცესში, რა მიზანი და მოტივი ამოქმედებდა მას და სხვ.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გამოსაძიებელ საქმეზე სწორი, თანმიმდევრული ლოგიკური აზროვნების საფუძველზე გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა და მოვახდინოთ სწორი დასაბუთებული საგამოძიებო ვერსიების აგება, რაც უდავოდ, თავის მხრივ, ხელს შეგვიწყობს გამოძიების სწორად წარმართვასა და მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის სწრაფ, სრულ გახსნაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ისეთი საგნების აღმოჩენასა და ამოღებას, რომლებზეც აშკარად შეიმჩნევა დანაშაულებრივი ქმედების კვალი, არამედ ისეთიც, რომელსაც, ერთი შეხედვით, შეიძლება არავითარი მნიშვნელობა არ მიენიჭოს, მაგრამ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოების ახსნისა და დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთი საგნები თავიანთი აღნაგობით შეიძლება მეტად პატარა მოცულობის იყოს და შეუიარაღებელი თვალით ძნელად შესამჩნევი ან ზოგჯერ საერთოდ შეუმჩნეველიც იყოს. ასეთებია, მაგალითად, შემთხვევის ადგილზე არსებული რომელიმე საგანზე დატოვებული მიკრონაწილაკები მტვრის, თმის ღერის, ატომური ნაწილაკების, სუნის, სპერმის ან სხვა უფერული სახის ლაქების კვალი და სხვ.

მაგალითად, თმის ღერის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ და ავხსნათ ისეთი გარემოებები, როგორიცაა ის, თუ ვის მიეკუთვნება ეს თმის ღერი — ადამიანს თუ ცხოველს, მოგლეჯილია თუ მოჭრილი, ან თვითონ ხომ არაა იგი ჩამოვარდნილი, რა ასაკის შეიძლება ყოფილიყო პირი, რომელსაც ეკუთვნის ეს თმის ღერი და სხვ. ყოველივე ამაზე ბიოლოგიურმა ექსპერტიზამ შეიძლება მოგვცეს ამომწურავი პასუხი. ასევე სუნის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ პიროვნებაზე, მისი საცხოვრებელი ადგილმდებარეობის რეგიონზე, პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობაზე და სხვ.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალის, საგნების, ობიექტებისა და სხვა მცირე ნაწილაკების წარმოქმნის მექანიზმის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ არა მარტო იმაზე, თუ შემთხვევის ადგილზე რა მოიმოქმედა დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენმა პირმა, არამედ იმაზეც, თუ რა სახის კვალი შეიძლება დარჩენილიყო თვითონ ეჭვმიტანილის სხეულზე ან მის ტანსაცმელზე და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ასევე ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ იქ აღმოჩენილ ნეგატიურ გარემოებებსა და მის ამსახველ კვალს, რადგან ზოგჯერ დანაშაულის ჩამდენი პირები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, თვითონვე აწყობენ სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის ინსცენირებას. კერძოდ, ქურდობის, უბედური შემთხვევის, თვითმკვლელობის, გაუპატიურების, ყაჩაღური თავდასხმის და სხვ.

მაგალითად, მატერიალურმა პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა, რომ ქურდებმა ღამით საწყობიდან გაიტაცეს ძვირფასი ნივთები. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გაირკვა, რომ საწყობის კედელი, საიდანაც გატანილი იყო ძვირფასი ნივთები, გამონგრეული იყო არა გარედან, არამედ შიგნიდან. ამასთან, ერთ-ერთი ის ნივთი, რომლის გატაცებაზეც იგი მიუთითებდა, გამონგრეული ხვრელიდან ვერ გაეტეოდა.

ასევე, ტ-ემ განაცხადა, რომ მათ ოჯახს ღამით თავს დაესხნენ, გაძარცვეს, წინააღმდეგობის გაწევის დროს მოკლეს მისი ქმარი, თვითონ კი თავს იმით უშველა, რომ ფანჯრიდან გადახტა. მაგრამ, როცა დათვალიერებულ იქნა ის ფანჯარა, რომელზეც იგი მიუთითებდა, აღმოჩნდა, რომ იგი დაფარული იყო მტვრითა და აბლაბუდებით. ცხადია, მას რომ ფანჯარა გამოეღო, ეს აბლაბუდები დაირღვეოდა და ფანჯრის რაფაზე, რომელიც სქელი მტვრით იყო დაფარული, მისი ხელისა და ფეხის ანაბეჭდები დარჩებოდა, ფანჯრიდან გადახტომის შემთხვევაში კი, ფხვიერ მიწაზე დავარდნისას, აუცილებლად აღმოცენდებოდა სხვადასხვა სახის მოცულობითი კვალი, რაც არ არსებობდა. ცხადია, ეს ნეგატიური გარემოებები იმაზე მიუთითებდა, რომ იგი ცრუობდა. გამოძიებით დადგინდა, რომ თვითონ მან ჩაიდინა ეს მძიმე დანაშაული.

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილ იქნეს აგრეთვე სხვადასხვა სახის საგანი, რომლებიც დამნაშავეს დარჩა ან რომლებიც დამნაშავემ შეგნებულად დაყარა შემთხვევის ადგილზე გამოძიები-

სათვის კვალის აბნევის მიზნით. კერძოდ, შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილ იქნეს პატარა მოცულობის ნივთები, სხვადასხვა ნივთიერებათა ნაწილაკები, სიგარეტის ნამწვი, სხვადასხვა სახის საღებავით ან სისხლით დასვრილი ქაღალდები, სხვადასხვა სახის სამგზავრო ბილეთები, ტანსაცმლის ნაგლეჯები, ძაფები, გაზეთის ნახევი, ტანისამოსიდან აგლეჯილი ღილი ან ნატეხი, თმის ღერი, ავტომანქანის ფარის ნამტვრევები და სხვ., რომლებსაც არ შეიძლება წინასწარ რაიმე უპირატესობა მიენიჭოს ან რომელიმე მათგანი ჩვენ თვითონ შემოწმების გარეშე გამოვრიცხოთ. ამიტომ საჭიროა, დათვალიერების დროს ყურადღება გავამახვილოთ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ ყველა დეტალზე, რადგან მათ, როგორც აღვნიშნეთ, გამოსაძიებელ საქმეზე შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოთ ჩადენილი დანაშაულის მექანიზმის ახსნისა და დაზარალებულის ან დამნაშავის პიროვნების დასადგენად. ამასთან, გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საგნებსა და ნივთებს, რომელთა შემთხვევის ადგილზე არსებობა არაბუნებრივად გვეჩვენება და რომლებსაც, ერთი შეხედვით, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ გარემოებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთ დროს აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ საიდან და როგორ აღმოჩნდა ეს საგნები შემთხვევის ადგილზე და რა კავშირშია იგი დაზარალებულთან და დანაშაულში მონაწილე პირებთან.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება გარემო-ვითარების, პირობებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სასურველია, ჩატარდეს ცენტრიდან პერიფერიისაკენ თანდათანობითი გადანაცვლებით წრიულად ან, პირიქით — პერიფერიიდან ცენტრისაკენ და მის გარშემო ერთიანი წრედის შეკვრით ფრონტალური ან სწორხაზობრივი მეთოდით ისე, რომ გამოტოვებულ არ იქნეს შემთხვევის ადგილის რომელიმე მონაკვეთი და იქ არსებული რაიმე საგანი მასზე არსებული რაიმე სახის კვალით, ან დაზიანებულ არ იქნეს იგი დათვალიერებაში მონაწილე პირების მიერ და სხვ.

ე) *სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა გამოვლინება-დამაგრებისათვის.* დათვალიერების ამავე დინამიკურ სტადიაზე შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი საგნებისა და ობიექტების უშუალოდ მოძრაობაში დათვალიერებისა და მათზე არსებული კვალის გამოვლინება-დამუშავების, მათი ურთიერთგანლაგებისა და აღმოცენების ხასიათის მიხედვით შეიძლება

ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა გააკეთა და რა მოიმოქმედა დანაშაულებრივი განზრახვის აღსრულების პროცესში მისმა ჩამდენმა პირმა. ამასთან, საჭიროა დათვალიერების პროცესში გამომძიებელმა გააკეთოს ჩანაწერები დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნების ფორმის, ზომის, მოცულობის, მდებარეობის, შემადგენლობის, დანიშნულების, წონის, ფერისა და სხვა მისი დამახასიათებელი ნიშნების შესახებ, აგრეთვე, მონაცემები მათი ურთიერთგანლაგების, ურთიერთდაცილების მანძილისა და თვით იქ არსებული ჰაერის ტემპერატურის შესახებაც. ამ მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს საგამოძიებო პორტფელში (ჩემოდანში) მოთავსებული გასაზომი ხელსაწყოები და სხვ.

საგამოძიებო ჩემოდანში მოთავსებულია ყველა ის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება (კვალთა გამოვლინება-დამუშავებისათვის საჭირო ფხვნილები, ხსნარები, პასტები, მაგნიტური ფუნჯი, ფოტოაპარატი თავისი მოწყობილობით და სხვა ტექნიკური საშუალებები), რაც შეიძლება დასჭირდეს გამომძიებელს შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევისათვის.

გამომძიებელმა დათვალიერების პროცესში დრო რომ არ დაკარგოს ჩანაწერებზე და დათვალიერება ჩაატაროს სრულად, ობიექტურად და ოპერატიულად, კარგი იქნება, თუ გამოიყენებს ვიდეოჩამწერ აპარატურას და ამ უკანასკნელის მონაცემებით შეამოწმებს დათვალიერების ოქმის ობიექტურობასა და სისრულეს; აგრეთვე კარგი იქნება, თუ ვიდეოფირს თან დაერთვება გამომძიებლის შესაბამისი კომენტარები დათვალიერების პროცესში ამსახველი კადრების შესახებ და სხვ.

გამოძიებისათვის სასურველი შედეგების მიღწევა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ რამდენად სრულად, დეტალურად და ყოველმხრივ ჩავატარებთ შემთხვევის ადგილის დათვალიერება. იგი დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ დათვალიერების პროცესში რამდენად სწორად და სრულყოფილად იქნა გამოყენებული შემთხვევის ადგილზე არსებული კვალის, საგნების და გარემოებების გამოვლინება-დამუშავებისათვის კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ხერხები და მეთოდები.

ასეთი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და მათი გამოყენების პირობები უფრო სრულყოფილი და ფართო მასშტაბითაა მოცემული მოძრავ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებში. ამიტომ, გამომძიებელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ საგამოძიებო ჩემოდნის ან

პორტფელის წაღებით და სპეციალისტთან ერთად თან უნდა გაიყოლოს მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია.

ვ) *შემთხვევის ადგილის დათვალიერების დასკვნითი ეტაპი.* შემთხვევის ადგილის ყოველმხრივი, სრული დათვალიერების შემდეგ გამომძიებელი, თვითკონტროლის მიზნით, აფასებს რა ჩატარებულ სამუშაოს, გადადის დათვალიერების დასკვნით ეტაპზე და ამოწმებს — შეასრულა და გაატარა თუ არა ყველა ის საჭირო ღონისძიება, რაც აუცილებელი იყო შემთხვევის ადგილის სრული, ყოველმხრივი, ობიექტური გამოკვლევის, იქ არსებული მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნების, ობიექტებისა და კვალთა გამოვლინება-დამუშავებისათვის და ამ მიზნით გამოყენებულ იქნა თუ არა აუცილებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. ახდენს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მტკიცებულებების (საგნების, კვალის და სხვ.) სათანადოდ შეფუთვას, ლუქავს მათ და უკეთებს წარწერებს იმის შესახებ, თუ სად, როდის, ვის მიერ, როგორ, ვისი თანდასწრებით და რა საქმეებთან დაკავშირებით იქნა ამოღებული და შეფუთული. მოხდა თუ არა მტკიცებათა სახით რაიმე დიდი მოცულობის მქონე საგნების ამოღება ან მათი დაცვისათვის მიღებულ იქნა თუ არა სათანადო ზომები. დათვალიერების ამავე ეტაპზე მოხდა თუ არა დათვალიერების პროცესში ან დათვალიერების ჩატარების შესახებ მიღებული განცხადებებისა და შენიშვნების განხილვა-გაანალიზება, გათვალისწინებულ იქნა თუ არა ეს შენიშვნები და ჩატარდა თუ არა შენიშვნებში მითითებული დამატებითი ტერიტორიის, საგნებისა და ობიექტების დათვალიერება და სხვ.

§6. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაციის ხერხები და საშუალებები

ა) *დათვალიერების შედეგების ფიქსაციის ხერხებისა და საშუალებების კლასიფიკაცია.* შემთხვევის ადგილის დათვალიერების, როგორც ერთ-ერთი ურთულესი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი არის გამომძიებელი. ამიტომ მასვე ევალება დათვალიერების შედეგების სწორი და ობიექტური ასახვა საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული წესით. ამიტომ მან თავიდანვე უნდა იზრუნოს ამისათვის და დათვალიერების პროცესში აწარმოოს ცალკეული ჩანაწერებისა და ჩანიშვნების გაკეთება, რათა დათვა-

ლიერების შემდეგ ოქმის შედგენის დროს არ გამორჩეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 334-ე მუხლით რეკომენდებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელმა ან პროკურორმა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აწარმოოს ფოტო და კინოგადაღება, ხმის ჩაწერა, ვიდეოჩაწერა, შეადგინოს გეგმა, სქემა, ნახაზი და დაამზადოს კვალის ტვიფარი და ანაბეჭდები.

შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების ზუსტ შესაბამისობაში აღსაბეჭდავად, როგორც აღვნიშნე, რეკომენდებულია ჩატარებულ იქნეს შემთხვევის ადგილის საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალურ-მასშტაბური სახის ფოტოგადაღებები (იხ. სურ. 1, 2, 3, 4, 5).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წმინდა ტექნიკური საშუალება. იგი არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული პროცესუალური, რთული საგამოძიებო მოქმედების იურიდიული გაფორმება. იმაზე, თუ რამდენად სწორად და დეტალურადაა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში აღწერილი დათვალიერების მთლიანი პროცესი და დათვალიერების შედეგები, ბევრადაა დამოკიდებული მოცემული გამოსაძიებელი საქმის შემდგომი მსვლელობის ბედი. ამისდა შესაბამისად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მტკიცებულებების უტყუარობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად, ზუსტად და ხარისხიანადაა იგი დაფიქსირებული ფოტოფირზე (ფოტოსურათზე), კინო ან ვიდეოფირზე, შედგენილ სქემებსა და გეგმებში და დათვალიერების ოქმში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სსსკ 339-ე მუხლის თანახმად, „კანონის დარღვევით ჩატარებული დათვალიერების შედეგად ამოღებულ საგანს, კვალის ტვიფარსა და ანაბეჭდს, დოკუმენტს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს.“

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი დათვალიერების შედეგების ფიქსაციის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი საშუალებაა. ფიქსაციის ყველა სხვა ხერხი და საშუალება, როგორიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში შედგენილი სქემები, გეგმები, ჩანახატები,





სურ. 4. შემთხვევის ადგილის საორიენტაციო და მიმოხილვითი წესით გადაღებული ფოტოსურათები





სურ. 5. შემთხვევის ადგილის საკვანძო და მასშტაბური წესით გადაღებული ფოტოსურათები

ფოტოსურათები, გადაღებული კინოფირები, ვიდეოჩანაწერები და სხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაციის დამატებითი საშუალებებია და მათი შედგენისა და გამოყენების წესიც მტკიცედ უნდა იქნეს დაცული.

მაშასადამე, **შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაციის ხერხები და საშუალებები შეიძლება სამ ჯგუფად იქნეს** დაყოფილი. აქედან **პირველს** უნდა მიეკუთვნოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; **მეორეს** — კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით შემთხვევის ადგილმდებარეობისა და დათვალიერების პროცესში აღმოჩენილი კვალისა და სხვა მტკიცებულებათა ფოტოგადაღება, კინო და ვიდეოგადაღება; **მესამეს** — შემთხვევის ადგილმდებარეობისა და დათვალიერების პროცესში იქ აღმოჩენილი საგნების, ობიექტების, კვალისა და სხვა მტკიცებულებათა ურთიერთგანლაგების გათვალისწინებით შესაბამისი სქემების, ჩანახატებისა და გეგმების შედგენა.

ბ) *შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი.* შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგენილ უნდა იქნეს ისეთნაირად, რომ იგი სწორად, სრულყოფილად, ზუსტად და ობიექტურად ასახავდეს დათვალიერების მსვლელობის მთლიან თანმიმდევრობას, შემთხვევის ადგილის მდებარეობას მისთვის დამახასიათებელი გარემო პირობებით, დათვალიერებაში მონაწილე პირებს, დათვალიერების პროცესში მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის გამოყენებულ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, მათი გამოყენების ხერხებსა და მეთოდებს. ე.ი. დათვალიერების ოქმში მთელი შესაბამისი სიზუსტით უნდა იქნეს ასახული დათვალიერების მომზადებისა და მისი ჩატარების მთლიანი პროცესი. სწორედ ამიტომ და თანაც არცთუ ისე უსაფუძვლოდ ზოგიერთი კრიმინალისტი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ხატოვნად შემთხვევის ადგილის დათვალიერების „სარკეს", მის „სიტყვიერ პორტრეტს" უწოდებს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში აღწერილ და ნაჩვენებ უნდა იქნეს გამომძიებლის ან პროკურორის ყველა მოქმედება, დათვალიერებით აღმოჩენილი ყველა კვალი, საგანი და დოკუმენტი, ის ფაქტები და გარემოებები, რომლებიც გამომძიებელმა ან დათვალიერებაში მონაწილე პირებმა აღმოაჩინეს, ან დაინახეს და ამოიღეს შემთხვევის ადგილიდან. ოქმში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი აგრეთვე

ყველა ის საგანი და ნივთი, რომელიც ოქმს თან უნდა დაერთოს ან რომლის დართვაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

დათვალიერების ოქმში უნდა აღინიშნოს ისიც, თუ სად, როდის, დროის რა მონაკვეთში, როგორ ამინდსა და განათების რა პირობებში იქნა ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება; დათვალიერების პროცესში რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული და რა შედეგები იქნა მიღებული, კონკრეტულად ვინ იღებდა მონაწილეობას დათვალიერების პროცესში, ვინ მონაწილეობდა დათვალიერებაში და რა სახით; რა სახის საგანი და დოკუმენტი იქნა ამოღებული და მოხდა თუ არა მათი დალუქვა და როგორი ლუქით; სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ გვამი და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა საგნები და დოკუმენტები და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგენილ უნდა იქნეს შემთხვევის ადგილზე ან მის მახლობლად დათვალიერებაში მონაწილე პირების თანდასწრებით, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს ოქმის შედგენის სისწორე ადგილზევე იქნეს შემოწმებული. ამიტომ არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევები, როცა გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ადგენს შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ან რამდენიმე დღის შემდეგ თავის სამუშაო კაბინეტში ან სხვაგან.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგენილ უნდა იქნეს ისე, რომ ოქმის წამკითხველ პირს შეეძლოს ნათლად წარმოიდგინოს, თუ სად იყო და რას წარმოადგენდა შემთხვევის ადგილი დათვალიერების მომენტისათვის. ოქმი უნდა იყოს დაწერილი მარტივი, გასაგები ენით და მასში არ უნდა იყოს ნახმარი ორაზროვანი გამოთქმები. იგი შედგენილ უნდა იქნეს ისეთნაირად, რომ მასში ფიქსირებული და ასახული იყოს დათვალიერების ყველა დეტალი, ყველა საგანი, რომელიც შემთხვევის ადგილზე იქნა აღმოჩენილი თავისსავე პირვანდელ მდგომარეობაში. ამასთან, ზუსტად და დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი მათი ურთიერთგანლაგება და მდგომარეობა. გარდა ამისა, დათვალიერების ოქმის ზუსტ შესაბამისობაში უნდა იყოს შემთხვევის ადგილზე შედგენილი სქემები და გეგმები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მაღალკვალიფიციურად ჩატარებას და დათვალიერების ოქმში დათვალიერების შედეგების სწორ ფიქსირებას, შემთხვევის ადგილის დათვალიერების და მასთან დაკავ-

შირებით შედგენილი სქემებისა და გეგმების რეალობას, მათ სწორად შედგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომლებზეც ამ საგამოძიებო მოქმედების წარმოება ატარებს პირველად — გადაუდებელ სახეს, კერძოდ, მკვლელობის, ქურდობის, ავტოსატრანსპორტო დანაშაულისა და სხვა კატეგორიის საქმეებზე, რომლებზეც მათი არასწორი შედგენა ხშირად იწვევს განაჩენის გაუქმებასა და დანაშაულის გაუხსნელობას. მაგალითად, მოლდავეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ოხრიმის მიმართ გამოტანილი განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა იმის გამო, რომ ფეხით მოსიარულე დაზარალებულზე ავტომანქანის შეჯახების ადგილი და მისთვის სხეულის დაზიანებები, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, არასწორად იყო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში შეტანილი. ოქმის მონაცემებთან გარკვეულ წინააღმდეგობაში იყო შემთხვევის ადგილზე შედგენილი სქემები და გეგმები. მსჯავრდებული ოხრიმი კატეგორიულად უარყოფდა თავის ბრალს და ამტკიცებდა, რომ ფეხით მოსიარულე მოულოდნელად გამოვიდა გზის სავალ ნაწილზე, რის გამოც მას შესაძლებლობა არ ჰქონდა შეეჩერებინა თავისი ავტომანქანა და თავიდან აეცილებინა დაზარალებულზე ავტომანქანის შეჯახება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების სქემა შედგენილი იყო უხარისხოდ, ისეთნაირად, რომ იმით შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, თუ რა მონაცემების საფუძველზე იყო განსაზღვრული შეჯახების ადგილი და გვამის ადგილმდებარეობა. ამას დაემატა ისიც, რომ მსჯავრდებულს არ გააცნეს შემთხვევის ადგილზე შედგენილი სქემა, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობაში იყო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მონაცემებთან.[1]

ამ მხრივ ასევე საყურადღებოა ტ-ეს ბრალდების საქმე. ლაგოდეხის რაიონის სასამართლომ ტ-ე დამნაშავედ ცნო იმაში, რომ იგი მართავდა რა თავის კუთვნილ ავტომანქანას, დაარღვია გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნები და დაეჯახა ფეხით მოსიარულე მცირეწლოვან გ-ეს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. განაჩენი გამოტ-

---

[1] იხ. Обзор практики применения судами законодательства об ответственности за автотранспортные преступления.

ანილ იქნა ისე, რომ არც წინასწარი გამოძიებისა და არც სასამართლოს მიერ დადგენილი არ იყო ავტომანქანის ფეხით მოსიარულე გ-ესათვის დაჯახების ადგილი. საქმეში არსებობდა გამომძიებელ ი-ს მიერ სხვადასხვა დროს შედგენილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების სამი ოქმი და მის შესაბამისად სამი სქემა და სამივე მათგანი ოქმს თან ერთვოდა. მაგრამ სამივე მათგანში გ-სათვის ა/მანქანის შეჯახების ადგილად მიჩნეული იყო სამი სხვადასხვა ადგილი და ობიექტი. სასამართლომ არ გაარკვია გ-ეზე ავტომანქანის შეჯახების ადგილის შესახებ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებსა და გეგმებში სხვადასხვა ობიექტზე მითითება და ამ მიმართებით საქმის მასალებს შორის არსებული წინააღმდეგობები, არ გაარკვია მათი რეალობა და არ მისცა მას სათანადო ობიექტური შეფასება. ამიტომ ტ-ეს მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ გააუქმა და საქმე დააბრუნა პროკურატურაში დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.[1]

წინასწარი გამოძიების პროცესში დაშვებული ამგვარი დარღვევების გამო, ჯერ კიდევ ადრე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის დადგენილებაში „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ", მართებულად იქნა მითითებული, რომ „წინასწარი გამოძიების მასალების შემოწმებისას სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რამდენად ხარისხიანად და ოპერატიულად არის ჩატარებული ისეთი პირველადი საგამოძიებო მოქმედებანი, როგორიცაა შემთხვევის ადგილისა და ტრანსპორტის დათვალიერება, ოქმების შედგენა, შემთხვევის ადგილის სქემებისა და ფოტოილუსტრაციების ხარისხიანად მომზადება. ამ მიმართებით დაშვებულ თითოეულ დარღვევაზე უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება".

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ გარემოებასაც, როცა დასათვალიერებელი შემთხვევის ადგილის დიდი ტერიტორიული მოცულობისა და იქ არსებული მრავალრიცხოვანი საგნებისა და ობიექტების გამო შეუძლებელი იყოს შემთხვევის ადგილზე არსებული ყველა გარემოების, საგნის, ობიექტისა და კვალის დეტალური აღწერა (მაგალი-

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის სასამართლო პრაქტიკიდან.

თად, მატარებლების კატასტროფის ადგილის დათვალიერების და სხვ.), მაშინ მიზანშეწონილია, დათვალიერების ოქმთან ერთად, შედგენილ იქნეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების სქემები, კინო და ვიდეოგადაღებები.

აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ უკანასკნელ პერიოდში საგამოძიებო პრაქტიკაში დამკვიდრდა არასწორი მიმართულება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენის საკითხთან დაკავშირებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ შემთხვევის ადგილზე გვამის აღმოჩენის დროს გვამის დათვალიერების შედეგების (გვამის პოზა, მასზე არსებული სხეულის დაზიანების კვალის და მასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები და სხვ.) ფიქსაციას ახდენენ არა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, არამედ მასზე ცალკე შედგენილ გვამის დათვალიერების ოქმში, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი გვამის დათვალიერების შედეგები სრულყოფილად უნდა აისახოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გვამის დათვალიერება წარმოებს მორგში ან საცხოვრებელ ბინაში მისი გადასვენების შემდეგ, ასეთ დროს, ცხადია, მისი დათვალიერების შედეგები უნდა აისახოს ცალკე გვამის დათვალიერების შესახებ შედგენილ ოქმში. ე.ი. ასეთ დროს უნდა შედგეს გვამის დათვალიერების ოქმი.

საქართველოს სსსკ-ის 339-ე მუხლის თანახმად, შემთხვევის ადგილის „დათვალიერებისას შედგენილი ოქმი და მასზე დართული გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ვიდეოჩანაწერი, კინოფირი, ხმის ჩანაწერი, ტვიფარი, ანაბეჭდი უნდა დაადასტუროს დათვალიერების ჩამტარებელმა პირმა, დამსწრემ, სპეციალისტმა და დათვალიერების მონაწილე სხვა პირმა“.

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის სტრუქტურა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად: შესავალ, აღწერილობით და დასკვნით, ანუ სარეზოლუციო ნაწილებად.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის **შესავალ ნაწილში** ნაჩვენები უნდა იყოს, თუ სად, რა გარემოებაში, რა პირობებში და რასთან დაკავშირებით იქნა ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება; ვინ ჩაატარა იგი (გამომძიებლის გვარი, სახელი, თანამდებობა, სამეცნიერო ან სამხედრო წოდება, საკლასო ჩინი და სამუშაო

ადგილი) და დათვალიერებაში მონაწილე პირები: სპეციალისტი, ექსპერტი, ოპერატიული მუშაკები (მათი გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა) და სხვ. მასში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლებზე, რომელთა საფუძველზეც ტარდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება. იქვე ნაჩვენები უნდა იყოს ის, რომ დათვალიერებაში მონაწილე პირებს განემარტათ თავიანთი უფლებები და მოვალეობები და ყოველივე ეს დადასტურებულ უნდა იქნეს მათივე ხელმოწერებით. იქვე უნდა აღინიშნოს დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო, აგრეთვე ის, თუ როგორ განათებასა და მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა დათვალიერება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის აღწერილობით ნაწილში ფიქსირებულ უნდა იქნეს შემთხვევის ადგილის საერთო გარემოება და გამოსაძიებელ საქმესთან კავშირში მყოფი შემთხვევის ადგილზე არსებული ყველა ფაქტობრივი მონაცემი მათი აღმოჩენისა და გამოვლინების თანმიმდევრობით.

დათვალიერების ოქმის აღწერილობით ნაწილში შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების აღწერა რეკომენდებულია მოხდეს ზოგადიდან კერძოსაკენ მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილის გარემომცველი ადგილმდებარეობის მიმოხილვითი აღწერა, შემდეგ მითითებულ იქნეს დასათვალიერებელი ტერიტორიის საზღვრები, მოცემულ იქნეს შემთხვევის ადგილის ზოგადი დახასიათება, შემდეგ კი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ცალკეული საგნები და კვალი შესაბამისი თანმიმდევრობით.

მაგალითად, შესაბამისი სიზუსტითა და გასაგები ენით ჯერ ზოგადად უნდა აღიწეროს ის შენობა, რომელშიც მიმდინარეობდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, შემდეგ დეტალურად აღიწეროს შენობის ან სხვა ადგილის ის ნაწილი, რომელიც შემთხვევის ადგილის ცენტრალურ ნაწილს შეადგენს, კერძოდ, შენობის ის ოთახი ან სარდაფის ის ნაწილი, სადაც უშუალოდ იქნა აღმოჩენილი დანაშაულის ნიშნები და სხვ. შემდეგ დეტალურად უნდა იქნეს ფიქსირებული უშუალოდ დაზიანების ადგილმდებარეობა და სახეობა, ადამიანის გვამი და მასზე არსებული ჭრილობები, შემთხვევის ადგილზე არსებული მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნები, კვალი და სხვა სახის მტკიცებები თავიანთი შესაბამისი ადგილმდებარეობითა და განლაგებით.

ოქმის ამავე ნაწილში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ყველა ის საგანი და კვალი, რომელიც ამოღებულ და შეფუთულ იქნა; აქვე უნდა აღინიშნოს ამოღებული საგნისა და დოკუმენტის სახეობა, კვალის ტვიფარი და ანაბეჭდი, მათი შეფუთვისა და ლუქის ნიშანი და სხვ. ამასთან, იქვე უნდა მიეთითოს იმაზე, ამ შეფუთულ საგნებზე ლუქის გარდა, არის თუ არა გაკეთებული შემთხვევის ადგილის ჩამტარებელი პირისა და დამსწრე პირების ხელმოწერები და სხვ.

უნდა აღიწეროს ისიც, თუ რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ხერხები იქნა გამოყენებული უხილავი ან ნაკლებად ხილვადი კვალის გამოვლინებისა და ფიქსაციისათვის, მოხდა თუ არა ფოტოგადაღებები, როგორ და რა სახის ფოტოაპარატით, როგორი ექსპოზიციითა და ფოტომასალებით; მიღებულ იქნა თუ არა ცხელ კვალზე მიდევნებისა და ეჭვმიტანილის (ეჭვმიტანილთა) დაძებნის, დაკავებისა და ეტაპირებისათვის საჭირო სათანადო ზომები და სხვ. იქვე მითითებულ უნდა იქნეს ნეგატიურ გარემოებებზე, თუკი იგი აღმოჩენილ იქნება დათვალიერების პროცესში და სხვ.

დათვალიერების ოქმის აღწერილობით ნაწილში უნდა მიეთითოს იმაზეც, ექსპერტის მონაწილეობით გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ჩატარდა თუ არა გვამის გარეგნული დათვალიერება და დაზიანების რა ნიშნები აღინიშნებოდა მის სხეულზე და როგორი იყო ამ დაზიანების სახეობა, ამ დაზიანების საკარაუდო ხარისხი და მათი განლაგება. უნდა მიეთითოს იმაზეც, მოხდა თუ არა გვამის დაქტილოსკოპირება და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების **ოქმის დასკვნით, ანუ სარეზოლუციო ნაწილში** მითითებული უნდა იყოს ის საგნები და კვალი, რომლებიც ამოღებულ იქნა და ოქმს თან დაერთვის. ნაჩვენები უნდა იქნეს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში ჩატარდა თუ არა ფოტოგადაღებები და თუ იგი შესრულებულ იქნა, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს იმაზეც, თუ რა სახის ფოტოაპარატით, რა სახის ფოტოფირებით ან რა სახის კინოაპარატით, ან ვიდეოჩანაწერით მოხდა იგი და როგორი ექსპოზიციით და სხვ. იქვე ნაჩვენებ უნდა იქნეს, თუ რა სახის სქემები და ნახაზები იქნა შედგენილი და სხვ.

ოქმის დასკვნითი ნაწილის ბოლოს მითითებულ უნდა იქნეს იმაზე, თუ რა სახის შენიშვნები და განცხადებები იქნა გაკეთებული დათვალიერებაში მონაწილე პირებისა და დამსწრე პირების მიერ შემთხვე-

ვის ადგილის დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებით და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი გამომძიებელი, დამსწრე პირები და მასში მონაწილე სხვა პირები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, როგორც წესი, თან უნდა დაერთოს **შემთხვევის ადგილის გეგმა და შემთხვევის ადგილზე შედგენილი სქემები.** ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით, გეგმები შეიძლება იყოს ორი სახის: სქემატური და მასშტაბური. სქემატური გეგმის შედგენისას აუცილებელი არაა, რომ მასზე გამოსახული საგნების რეალური მოცულობა და სიდიდე ან მათ შორის არსებული მანძილი მთელი სიზუსტით იყოს გამოსახული. აქ მათი ასახვა დასაშვებია მოხდეს მიახლოებითი სიზუსტითაც. მასშტაბური სახის გეგმის შედგენისას კი მითითებული უნდა იყოს იმაზე, თუ რამდენადაა შემცირებული გეგმაში ასახული შენობა, ადგილი ან საგანი. მათი ზომები პრაქტიკაში მიღებულია გამოისახოს წილადის სახით 1/10, 1/100, 1/1000-ჯერ და სხვა, რაც ნიშნავს გადასაღები საგნის მოცულობის შემცირების სიდიდეს, გამოსახულს მასშტაბში.

გეგმის შედგენის დროს მასში წარმოსახული საგნები შეიძლება აღნიშნულ იქნეს პირობითი ნიშნებით (იხ. სურ. 6). ამგვარი პირობითი ნიშნების აღწერისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრიმინალისტიკაში შემუშავებული სპეციალური წესი. შემთხვევის ადგილზე არსებული საგნები ჩვენ თვითონაც შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენ მიერ შემუშავებული რაიმე პირობითი ნიშნებითაც. მაგრამ უნდა მივუთითოთ იმაზე, თუ თითოეული ამ პირობითი ნიშნით რა საგანი და ნივთია აღნიშნული.

პრაქტიკაში ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სქემატური გეგმის შედგენა შემთხვევის ადგილზე სავალდებულო ოთხი სახის ფოტოგადაღების (საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური) მსგავსად. ამგვარი სახის სქემატურ გეგმას ხელი უნდა მოაწერონ მისმა შემდგენმა გამომძიებელმა, დამსწრე პირებმა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირებმა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, როგორც წესი, თან უნდა დაერთოს კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით დათვალიერების პროცესში გადაღებული ფოტოსურათები, კინოფირი და ვიდეოფირი.

შემთხვევის ადგილზე, როგორც წესი, სავალდებულოა ისეთი ოთხი



სურ. 6. დ-ეს ოთახის გაშლილი სქემატური გეგმა

ა) იატაკი; ბ) გვერდითი კედლები; გ) ჭერი;
1. ფანჯარაში ტყვიის ხვრელი;
2. ტყვიის ხვრელი ჭერში;
3. დაზარალებული დ-ს გვამი;
4. მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი;
5. ფანჯრის ფარდები;
6. ელექტროგამომრთველი;
7. სისხლის ნაშხეფი კედლის კარადაზე;
8. სისხლის კვალი ვიდეომაგნიტოფონზე;
9. პიანინო;
10. კედელზე ჩამოკიდებული სურათი;
11. ჭერის ელექტროგამნათებელი;
12. კარები;
13. ფანჯარა;
14. გათბობის (სისტემა) რადიატორები.

სახის ფოტოგადაღება, როგორიცაა: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური სახის ფოტოგადაღებები. კონკრეტულ შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე პანორამული სახის ფოტოგადაღება, სტერეოსკოპიული ფოტოგადაღება, მასშტაბური, მსხვილმასშტაბური, სილრმითი მასშტაბური, ანუ მეტრული სახის ფოტოგადაღებები და სხვ. გარდა ამისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე კინო და ვიდეოგადაღებები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისათვის თანდართულ სქემებს, გეგმებსა და ფოტოსურათებს უნდა გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები ან დასათაურება იმის შესახებ, თუ რა არის მათზე გამოსახული და სად მდებარეობს იგი — დათვალიერების ოქმის შედგენის თარიღი, სქემებსა და გეგმებზე გამოსახული ადგილმდებარეობისა და მისი უმნიშვნელოვანესი ობიექტების მიმართულება მხარეებისა და მზის სხივებისადმი. ამასთან, დათვალიერების ოქმში ზუსტად უნდა იქნეს ფიქსირებული გამოყენებული ფოტო და კინოგადაღებათა სახეობა, აპარატურა, ფოტომასალა (ფოტოფირი, კინოფირი და სხვ.), მათი გადაღების პირობები — ექსპოზიცია და სხვ. სასურველია, შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტოსურათები წარმოდგენილ იქნეს ფოტოალბომის სახით და დამოწმებული საგამოძიებო ორგანოს ბეჭდებით. ამასთან, საჭიროა მიეთითოს სად და რა საქმესთან დაკავშირებით მოხდა მათი ფოტოგადაღება და რა არის მათზე აღბეჭდილი. როგორც წესი, ეს ფოტოსურათები დამოწმებულ უნდა იქნეს გამომძიებლისა და მათი დამამზადებელი პირის მიერ.

რაც შეეხება შემთხვევის ადგილზე წარმოებულ კინოფირებსა და ვიდეოჩანაწერებს, მათ შესახებაც ზუსტად უნდა იქნეს გაკეთებული ჩანაწერები დათვალიერების ოქმში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ ექნებათ საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება?

2. რა განსხვავებაა „შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა“ და „დანაშაულის ადგილის დათვალიერებას“ შორის?

3. რით განსხვავდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება სხვა სახის დათვალიერებებისაგან?

4. რა ნიშნებით ხასიათდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება?

5. რა არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანი და ამოცანები?

6. ვინაა უფლებამოსილი ჩაატაროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება?

7. რაში მდგომარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მომზადება?

8. რას ნიშნავს შემთხვევის ადგილის დათვალიერების გადაუდებლობა და განუმეორებლობა?

9. როდის შეიძლება ჩატარდეს შემთხვევის ადგილის დამატებითი და განმეორებითი დათვალიერება?

10. რა კავშირია შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებს შორის?

11. რა განსხვავებაა შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტესა და შემოწმებას შორის?

12. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს შეიძლება თუ არა საგამოძიებო ვერსიების წამოყენება და რის საფუძველზე?

13. რაში მდგომარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა?

14. რა პრინციპები უნდა იქნეს დაცული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს?

15. რამდენ საფეხურად შეიძლება დაიყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა?

16. რამდენი სტადიისაგან შედგება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარება?

17. შემთხვევის ადგილის ჩასატარებლად რა სახის მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული შემთხვევის ადგილზე მისვლამდე და მისვლის შემდეგ?

18. რა როლი შეიძლება მიეკუთვნოს შემთხვევის ადგილზე არსებულ ნეგატიურ კვლებს?

19. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება შემთხვევის ადგილის დათვალიერება ცალკეული ეტაპების მიხედვით?

20. რას აკეთებს გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიმოხილვით სტადიაზე?

21. რას საქმიანობს გამომძიებელი შემთხვევის ადგილის სტატიკურ სტადიაზე?

22. რა თავისებურებებით ხასიათდება გამომძიებლის საქმიანობა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკურ სტადიაზე?

23. რა მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს იქ არსებულ კვალს დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ახსნაში?

24. როგორ და რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეიძლება იქნეს გამოყენებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს?

25. რა თავისებურებებით ხასიათდება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დასკვნითი ეტაპი?

26. რა ხერხებითა და საშუალებებით ხდება შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია?

27. როგორ უნდა შედგეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი?

28. როგორია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის სტრუქტურა?

29. როგორ და რა სახის სქემები და გეგმები უნდა იქნეს შედგენილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმთან ერთად?

30. რა შემთხვევაში შეიძლება დამსწრე პირების მონაწილეობა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში და ვინ უნდა შეარჩიოს ისინი?

31. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრე პირების შესარჩევად რა გარემოებებს უნდა მიექცეს ყურადღება?

თავი IX. დაკითხვის ტაქტიკა

§1. დაკითხვის ტაქტიკის ცნება და სახეები

ა) დაკითხვის ტაქტიკის ზოგადი წანამძღვრები. დაკითხვა ყოველთვის იყო და არის სისხლის სამართალწარმოებაში ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, რომლის გარეშე, შეიძლება ითქვას, არ ხდება არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარება და სასამართლოში საქმის განხილვა. მისი არსი და მიზანია, დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნეს სწორი, ობიექტური ჩვენება გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების, პიროვნების, საგნისა და სხვა რაიმე ობიექტის შესახებ.

დაკითხვის სირთულე განპირობებულია არა მარტო მისი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებებით, არამედ იმითაც, რომ იგი უშუალოდ დაკავშირებულია პიროვნებასთან, მის ფსიქოლოგიურ განწყობასთან, გამოსაძიებელ ფაქტთან, მის დამოკიდებულებასა და ფსიქოლოგიურ განცდებთან. დაკითხვის წარმოების პროცესს ართულებს ისიც, რომ თვით ადამიანი უაღრესად რთული ფსიქოლოგიური განცდებისა და ინდივიდუალური თვისებების მატარებელია და იმისათვის, რომ მისგან, როგორც დასაკითხი პირისგან, მივიღოთ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის, გარემოების, ან პიროვნების შესახებ სწორი, ობიექტური ჩვენება, საჭიროა ჩავწვდეთ მის ფსიქოლოგიურ განცდებს, შევძლოთ მასთან სწორი, ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება და მოვიპოვოთ მისი ნდობა.

დაკითხვის პროცესში განსაკუთრებით რთული სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა საქმეში არსებული დამამტკიცებელი საბუთების საწინააღმდეგოდ, დასაკითხი პირი შეგნებულად იძლევა არასწორ ჩვენებას, ან შეგნებულად ამახინჯებს მას, ან საერთოდ ირჩევს დუმილს და უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე. ასეთ დროს გამომძიებელს კიდევ უფრო მეტი დაკვირვება, თავშეკავებულობა და რეკომენდებული ტაქტიკური ხერხების გონივრული შერჩევა მართებს. კერძოდ, **მიზანშეწონილია, გამომძიებელმა ასეთ დროს გამოიყენოს დარწმუნების მეთოდი, თანმიმდევრულად ამხილოს იგი მიცემული ჩვენების სიცრუეში**

საქმეზე შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით და სიტყვიერად კი არა, ფაქტებით დაარწმუნოს, რომ უაზროა სწორი ჩვენების მიცემისაგან თავის არიდება და დუმილი, რომ გამოძიებისათვის ეს ფაქტები ცნობილი და დადგენილია და უმჯობესია, თუ მასში რაიმე არ არის სწორი, შეიტანოს თავისი ჩვენებით შესაბამისი შესწორება და სხვ. და ყოველივე ამით მოახდინოს დასაკითხი პირის ფსიქოლოგიურ განწყობაში გარდატეხა და განაწყოს იგი სწორი ობიექტური ჩვენების მიცემისათვის.

დაკითხვის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული თვით გამომძიებლის მომზადებულობაზე, დაკითხვის დაწყებამდე და დაკითხვის წარმოების პროცესში მის ქცევაზე, დასაკითხ პირთან მის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე, რაზეც სხვა გარემოებებთან ერთად გარკვეულ გავლენას ახდენს გამომძიებლის ჩაცმულობა და ქცევა დასაკითხ პირთან მიმართებაში. ამიტომ გამომძიებელი ფრთხილი და ყურადღებიანი უნდა იყოს დასაკითხი პირის მიმართ არა მარტო დაკითხვის პროცესში ჩვენების დაზუსტების მიზნით კითხვების დასმაში, არამედ მასზე მიღებული პასუხების მოსმენასა და დაზუსტებაშიც.

გამომძიებელი ყოველმხრივ უნდა მოერიდოს დასაკითხი პირის მოტყუებას, მის დამცირებას, მასზე ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების გამოყენებას ან ასეთის გამოყენების მუქარას, აკრძალული, დაუშვებელი ხერხებით ფსიქოლოგიურ „გამოჭერას" ცრუ დაპირების მიცემით და სხვ.

სასურველი აღიარებითი ჩვენების მისაღებად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება: ცემა, წამება, მუქარა, გინება, პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება, მათი შიშველი მოთავსება ცივ გაყინულ საკანში ან, პირიქით, ცხელ 50-60 გრადუსიან პატარა საპატიმრო საკანში, ან შეაგდონ და მოათავსონ იგი მღრღნელებით სავსე ან შხამიან ქვეწარმავლებთან ერთად სპეციალურად მათთვის განკუთვნილ საკანში ან წყლით სავსე აუზში „მონავარდე" ნიანგთან და სხვ. ასევე დაკითხვის წინ არ შეიძლება ადამიანის სხეულში ისეთი გამაბრუებელი საშუალების შეყვანა, რომლის დროსაც ადამიანი კარგავს თვითკონტროლს და დაკითხვის დროს მექანიკურად იძლევა ნებისმიერი სახის აღიარებით ჩვენებას, ან მასთან საკანში დარჩენილ „სანდო" პირთან ჰყვება ყოველივე იმას, რასაც

თავბრუდახვეული დასაკითხი პირი მოიაზრებს. ასევე არ შეიძლება ჰიპნოზის გამოყენება და სხვ.[1]

დასაკითხი პირის მოტყუება და ყოველგვარ სიცრუეზე აგებული „ეშმაკობისა" და ცბიერი ხერხების გამოყენება სასურველი ჩვენების მისაღებად, პირველ რიგში, ამცირებს თვითონ გამომძიებლის ღირსებას და იწვევს გამოსაძიებელ საქმეზე დასაკითხ პირთა უნდობლობას მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით. დაკითხვა უნდა წარმოებდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და კრიმინალისტიკური ტაქტიკით რეკომენდებული წესების დაცვით ყოველგვარი მოტყუებისა და იძულების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, მოითხოვს დამკითხველი პირისაგან საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ნორმებისა და კრიმინალისტიკური მეცნიერებით შემუშავებული დაკითხვის ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების ზედმიწევნით ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მივიღოთ დასაკითხი პირისაგან სწორი ინფორმაცია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოებისა და პიროვნების შესახებ.

დაკითხვის არსი და მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სახის მტკიცებულების წყაროა.

ბ) ***დაკითხვის სახეები და მიზანი.*** დაკითხვის უმთავრესი მიზანია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების (დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის, მისი ჩამდენი პირის ან პირთა ჯგუფის,

---

[1] ამ მიმართებით არსებულ საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის საგამოძიებო პრაქტიკის მიმოხილვის სანაცვლოდ, რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით საარქივო მასალების საფუძველზე მხილებულ საბჭოური პერიოდის – გასული საუკუნის 30-50-იან წლებში ე.წ. ჩეკა-ს საგამოძიებო პრაქტიკაში დამკვიდრებულ დაკითხვის პროცესში გამოყენებულ ამ საშინელი მეთოდებზე და ამასთან დაკავშირებით მოვიშველიებთ ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორის ალეკო ასლანიკაშვილის მიერ ამავე გაზეთის 2006 წლის 9 ივნისის 110-ე ნომერში გამოქვეყნებულ მასალას, რომელშიც ნათქვამია: „პატიმრებს სცემდნენ ხელით, ზუმბით, რეზინის ჯოხით, ბულის ასოსაგან გამოქნილი მათრახით. ურტყამდნენ უმთავრესად ფეხებში, ზურგში, ხერხემალში, თავში, დუნდულებზე, იშვიათად სახეში (რათა არ დამჩნეოდათ). პატიმრებს თითებს უჭეჭყავდნენ კარის ღრიჭოში ან მაგიდის ფეხქვეშ... იყენებდნენ აგრეთვე „ცხელ" და „ცივ" საკანს" (გვ. 14).

დანაშაულის ჩადენის ხერხები და სხვ.) შესახებ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნეს სწორი, სრულყოფილი, ობიექტური ჩვენება. ამ მიზნის მისაღწევად, თავიანთი პროცესუალური მდგომარეობის შესაბამისად, გამოსაძიებელ საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოების დროს შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული და ექსპერტი. ასაკობრივი მდგომარეობის მიხედვით, დაკითხვა შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად: სრულწლოვანი პირების დაკითხვა; მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა; არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა.

დასაკითხ პირთა საერთო რიცხვს შეიძლება დაემატოს აგრეთვე განსასჯელი პირის დაკითხვა საქმის სასამართლოში განხილვის დროს. დაკითხვის განსაკუთრებული სახეობაა აგრეთვე დაპირისპირება. მაგრამ დაკითხვის ეს უკანასკნელი სახეობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან, რატომღაც ამოღებულ იქნა, რაც, ჩემი აზრითა და ღრმა რწმენით, არასწორია.

წარმოების პროცესისა და თანმიმდევრობის მიხედვით, დაკითხვა შეიძლება იყოს პირველადი, დამატებითი და განმეორებითი. პირველადი დაკითხვის დროს, როგორც წესი, სრული მოცულობით უნდა მოხდეს დაკითხვის საგნის ახსნა. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამას ყოველთვის ვერ აღწევენ. ამიტომ არცთუ იშვიათად მიმართავენ დამატებით და განმეორებით დაკითხვას.

განმეორებით დაკითხვას მიმართავენ მაშინ, როცა პირველი ჩვენების კრიტიკული შეფასება ეფექტურობის თვალსაზრისით ეჭვს იწვევს. ასეთ შემთხვევაში დაკითხვის დროს ყურადღების გამახვილება ხდება ადრე დაკითხვით მიღებული მთლიანი ჩვენების ან მისი რომელიმე ცენტრალური საკითხის (გარემოების) კრიტიკულ ახსნაზე. მისი მიზანია ამა თუ იმ საკითხზე მიღებული ჩვენების კრიტიკული შეფასება, დაზუსტება, მისი გამოკვეთილი ახსნა და მისი შედარება ადრე მიღებულ ჩვენებასთან და სხვ. ამასთან, ერთი და იგივე პირი ერთ საქმეზე შეიძლება დაიკითხოს რამდენჯერმე — ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ, თუ ეს საქმისთვის აუცილებელია.

დამატებითი დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა საქმეზე მნიშვნელობის მქონე ისეთი დამატებითი გარემოების ახსნა, რომლის შესახებაც ადრე ჩატარებული დაკითხვების დროს

ნაწილობრივ ან საერთოდ არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული.

ზოგიერთი ავტორი განასხვავებს აგრეთვე სრული მოცულობის დაკითხვას და დასაკითხ პირთა კლასიფიკაციას მათი პოზიციების მიხედვით. კერძოდ, სწორი ჩვენების მიმცემ პირთა დაკითხვასა და წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიმცემი პირების დაკითხვას.[1]

დაკითხვა რომ ეფექტური იყოს, ტაქტიკურად გამართლებულია დასაკითხი პირის წინასწარი სრული, ყოველმხრივი შესწავლა, მისი დამოკიდებულება გამოსაძიებელი შემთხვევისადმი, მისი მისწრაფება და ფსიქოლოგიური განწყობა. ამასთან, საჭიროა განსაზღვრულ იქნეს დაკითხვის საგანი და დაკითხვის პროცესისათვის საქმეში არსებული მოსალოდნელი საჭირო მტკიცებულებების მომარჯვება და სხვ.

დაკითხვის ზოგადტაქტიკურ ხერხებად მიჩნეულია: დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა; დაკითხვის თანმიმდევრობის განსაზღვრა; დასაკითხ პირთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება; საკონფლიქტო სიტუაციის განმუხტვა დადებითი ემოციების წახალისებით; შეკითხვების მიცემის მიზანშეუწონლობა თავისუფალი თხრობის დროს; დავიწყებული ფაქტებისა და გარემოებათა აღდგენა მოფიქრებული და თანმიმდევრული შეკითხვების მიცემით; დარწმუნებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხების გამოყენება, როცა დასაკითხი პირი არ იძლევა ჩვენებას ან როცა იგი შეგნებულად იძლევა არასწორ ჩვენებას; წახალისების ხერხის გამოყენება, როდესაც პირს სურს მისცეს სწორი ჩვენება; მტკიცებულების წარდგენისა და დემონსტრაციის ტაქტიკური ხერხი სწორი ჩვენების მიღების მიზნით და ჩვენების ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.[2]

დაკითხვის ზემოაღნიშნული ტაქტიკური ხერხები, ცხადია, ამომწურავი არაა და, როგორც ზემოთ დავინახეთ, მათი რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების და დასაკითხი პირისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნებისა და გარემოებების გათვალისწინებით. რაც შეეხება სუბიექტს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს დაკითხვა, ასეთად მიჩნეულია: გამომძიებელი, პროკურორი, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი და მისი მოადგილე, პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი და მისი მოადგილე, აგრეთვე სასამართლო.

---

[1] Криминалистика. Баку, 2000, გვ. 429.

[2] იხ. კრიმინალისტიკა, ტ. 2, თბ., 1995, გვ. 98.

დაკითხვის ცალკე თავისებური სახეა დაპირისპირების დროს დაკითხვის წარმოება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აღარაა და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დაკითხვის ტაქტიკური ხერხი. თუ რამდენად სწორია ამ მეტად საჭირო საგამოძიებო მოქმედების ასეთი დაკნინება და იგნორირება, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. ჩემის მხრივ კი აუცილებლად მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით მაინც შევჩერდე მის არსსა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

თავდაპირველად საგამოძიებო პრაქტიკასა და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დაპირისპირება აღმოცენდა როგორც დაკითხვის ტაქტიკური ხერხი. შემდეგ კი იგი დაიხვეწა და კრიმინალისტების მიერ მეცნიერულად დასაბუთებულობისა და საგამოძიებო პრაქტიკისათვის მისი დიდი მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მართებულად გაიზიარა მეცნიერ-კრიმინალისტთა მოთხოვნა მისი საკანონმდებლო რანგში აყვანის შესახებ და გასული საუკუნის 60-იან წლებში გატარებული სასამართლო რეფორმის დროს მიღებულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იგი მართებულად იქნა შეტანილი დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად.

დაპირისპირების ჩატარებას, როგორც დაკითხვის თავისებურ სახეს, მიმართავდნენ იმ შემთხვევაში, როცა საქმეზე ადრე დაკითხულ პირთა ჩვენებებს შორის არსებობდა არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად საჭირო იყო ამ წინააღმდეგობის აღმოფხვრა. ამიტომ საპროცესო კანონმდებლობით მისი ჩატარება რეგლამენტირებული იყო ამ ადრე დაკითხულ პირთა ჩვენებებს შორის „არსებითი“ ხასიათის წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად. მაგრამ საგამოძიებო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მისი ჩატარება საჭირო იყო მაშინაც, როცა ადრე დაკითხულ პირთა ჩვენებებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა არ იყო, მაგრამ საჭირო იყო რომელიმე ბრალდებულის ან მოწმის მხილება მათ მიერ მიცემული ჩვენებების სიცრუეში და ამას ითხოვდა დასაკითხი პირი. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ბრალდებული თვითონ ითხოვდა სხვა ბრალდებულთან ან მოწმესთან დაპირისპირებას. ასეთ დროს გამომძიებელი ჯერ არკვევდა იმას, თუ რატომ მოითხოვდა იგი დაპირისპირებას; მისი მოთხოვნა ხომ არ იყო გამოწვეული იმით, რომ მოეხდინა ზეგავლენა დასაპირ-

ისპირებელ ბრალდებულზე ან მოწმეზე, რათა მას მიეცა მისთვის სასურველი ჩვენება ან აეძულებინა იგი შეეცვალა მის მიერ ადრე მიცემული ჩვენება.

ამ გარემოებათა გარკვევის შემდეგ გამომძიებელს უნდა გადაეწყვიტა საკითხი: რამდენად მიზანშეწონილი იყო მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამისათვის სათანადოდ მომზადებულიყო. ამასთან, საჭირო იყო ამ მიმართებით გადაეწყვიტა ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხები, როგორიცაა: სად, როდის, რა საკითხების ირგვლივ, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ჩაეტარებინა იგი და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა დაპირისპირება ტარდებოდა ადრე დაკითხულ მოწმეს ან დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის და მოწმე ან დაზარალებული თავის ჩვენებაში ამხელდა ბრალდებულს, ან როცა ბრალდებულთა დაკითხვის დროს ერთ-ერთი ბრალდებული ამხელდა მეორეს დანაშაულის ჩადენის თანამონაწილეობაში, მიზანშეწონილად იყო მიჩნეული ურთიერთდაპირისპირებაში მონაწილეობის მისაღებად, მათი უსაფრთხოების დასაცავად, მოწვეული ყოფილიყო ერთი ან ორი პოლიციელი. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო იმისათვის, რომ ყურადღების გარეშე არ დარჩენილიყო დასაკითხ პირთა ქცევა ურთიერთდაპირისპირების დროს, რათა მათ ერთიმეორისათვის არ ეცნობებინათ გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტი, ან თავიანთი ჟესტიკულაციით არ მიეცათ ერთიმეორისათვის გამაფრთხილებელი ნიშანი, ან რომ მათი ეს დაპირისპირება არ ყოფილიყო გამოყენებული ურთიერთსიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მისაყენებლად და სხვ.

დაპირისპირების ჩატარება ემყარებოდა ნებაყოფლობით პრინციპს. ამიტომ, თუ მონაწილეობის მისაღებად მოყვანილი რომელიმე (ადრე დაკითხული) პირი უარს იტყოდა დაპირისპირებაში მონაწილეობაზე, მათი დაპირისპირება არ შედგებოდა. იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირებაში მონაწილე რომელიმე პირი შეცვლიდა თავის ჩვენებას, ასეთ დროს მისი დამატებითი დაკითხვა მოხდებოდა დაპირისპირების დამთავრების შემდეგ ჩვენების შეცვლის მიზეზის გასარკვევად.

დაპირისპირება შეიძლება ჩატარებულიყო საქმეზე ადრე ბრალდებულის სახით დაკითხულ პირთა შორის. იგი ასევე შეიძლება ჩატარებულიყო ადრე დაკითხულ მოწმეებს, დაზარალებულსა და მოწმეს შორის, აგრეთვე ბრალდებულსა და მოწმეს შორის, ეჭვმიტანილსა და

მოწმეს შორის, ეჭვმიტანილსა და დაზარალებულს შორის და სხვ. ბრალდებულს უფლება ჰქონდა დაპირისპირებოდა ყველა ნებისმიერ პირს, რომელიც ამხელდა მას დანაშაულის ჩადენაში.

დაპირისპირების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის საჭირო იყო წინასწარი მომზადება და დაკითხვის სწორი ტაქტიკის შერჩევა. ეს მოსამზადებელი მოქმედებები, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა იმაში, რომ გამომძიებელი გულდასმით შეისწავლიდა დასაპირისპირებელ პირთა მიერ ადრე დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებებს და არკვევდა მათ ჩვენებებში არსებულ წინააღმდეგობათა ხასიათს, ადგენდა დაპირისპირების ჩატარების მიზანს და ამ მოქმედების ჩატარებით დასაზუსტებელ გარემოებათა წრეს, სწავლობდა დასაპირისპირებელ პირთა ფსიქოლოგიას, მათ მიერ ადრე მიცემულ ჩვენებებს და მათში არსებული წინააღმდეგობების ახსნის მიზნით, წინასწარ განსაზღვრავდა დაპირისპირების ჩატარების დროს თითოეული მათგანისათვის დაკითხვის პროცესში მისაცემ კითხვებსა და მათი დასმის თანმიმდევრობას, ადგენდა დაპირისპირების ჩატარების გეგმას და არჩევდა დაკითხვის ჩატარების სხვა ტაქტიკურ ხერხებს.

უშუალოდ დაპირისპირების დაწყებამდე უნდა გარკვეულიყო იცნობდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს და როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთიმეორესთან.

დასაპირისპირებლად გამოძახებულ ადრე დაკითხულ პირებს, რეგლამენტირებული იყო რიგრიგობით ჩამორთმეოდათ ჩვენება საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა გასარკვევადაც ტარდებოდა ეს საგამოძიებო მოქმედება. ყოველივე ამის შემდეგ გამომძიებელი სათანადო თანმიმდევრობით უსვამდა მათ კითხვებს.

ურთიერთდაპირისპირებულ პირებს უფლება ჰქონდათ გამომძიებლის ნებართვით მიეცათ ერთიმეორისათვის კითხვები და სხვ.

დაპირისპირებულთა წინა ჩვენებების გამოცხადება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ჩვენებებს მისცემდნენ დაპირისპირებისას და მასზე შედგებოდა ოქმი. დაპირისპირებას შეიძლება დასწრებოდა დამცველი, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში — პედაგოგი, ექიმი, თარჯიმანი და დასაკითხი პირის კანონიერი წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, როცა დაპირისპირება წარმოებდა ადრე დაკითხულ ბრალდებულთა შორის, ან ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს შორის,

მიზანშეწონილად ითვლებოდა პირველად კითხვები მისცემოდა იმას, ვინც ამხელდა მეორე პირს, ან იმას, რომლის მოთხოვნითაც ტარდებოდა დაპირისპირება. მაგალითად, თუ ხდებოდა მოწმის დაპირისპირება ბრალდებულთან და ეს უკანასკნელი უარყოფდა მის მიერ დანაშაულის ჩადენას ან მასში მონაწილეობას, მაშინ მიზანშეწონილი იყო პირველად კითხვები მისცემოდა მოწმეს, რომელიც ამხელდა ბრალდებულს მისთვის იკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, მოწმე უნდა გაფრთხილებულიყო ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. შემდეგ კი ანალოგიური კითხვები უნდა მიეცათ ბრალდებულისათვის. თუ დაპირისპირება ტარდებოდა ადრე დაკითხულ მოწმეებს შორის, ან მოწმესა და დაზარალებულს შორის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დასაზუსტებლად, მაშინ ორივე მათგანი უნდა გაფრთხილებულიყო ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, ორივე მათგანისათვის უნდა განემარტათ, რომ მათ უფლება ჰქონდათ არ მიეცათ საკუთარი თავისა და ახლო ნათესავების საწინააღმდეგო ჩვენება. შემდეგ, პირველ რიგში, დაკითხვა უნდა დაეწყოთ და შესაბამისი კითხვები დაესვათ იმ პირისათვის, რომელიც საქმეზე შეკრებილი მასალებიდან და ადრე მიცემული ჩვენებიდან გამომდინარე, უფრო სწორ, სარწმუნო ჩვენებას მისცემდა გამოძიებას.

ამრიგად, დაპირისპირების დროს დაცული უნდა ყოფილიყო შემდეგი ძირითადი პირობები:

1. დაპირისპირება არ შეიძლება ჩატარებულიყო ორზე მეტ პირს შორის;

2. დაპირისპირება შეიძლება ჩატარებულიყო მხოლოდ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების შესახებ ადრე დაკითხულ პირთა შორის;

3. დაპირისპირების დროს მოწმე და დაზარალებული გაფრთხილებულნი უნდა ყოფილიყვნენ ხელწერილის ჩამორთმევით ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მათთვის უნდა განემარტათ ისიც, რომ მათ უფლება ჰქონდათ არ მიეცათ საკუთარი თავისა და ახლო ნათესავების საწინააღმდეგო ჩვენება;

4. დაპირისპირებულ პირთა დაკითხვა უნდა დაწყებულიყო არა თავისუფალი თხრობით, არამედ შეკითხვების დასმით და გარკვეულიყო, იცნობდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს და როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან;

5. დაპირისპირების დამთავრების წინ გამომძიებლის ნებართვით დაპირისპირებულ პირებს შეეძლოთ ერთმანეთისათვის მიეცათ შეკითხვები;

6. დაპირისპირებულ პირთა მიერ წინა დაკითხვებზე მიცემული ჩვენებების გამოქვეყნება შეიძლებოდა მხოლოდ მათგან მიღებული ჩვენებების ოქმში შეტანის შემდეგ;

7. დაპირისპირების დაკითხვა დამთავრებულად ითვლებოდა მას შემდეგ, როცა დაპირისპირებული პირები განაცხადებდნენ, რომ მათ ერთიმეორის მიმართ შეკითხვები არა აქვთ და თავიანთ ჩვენებაზე დასამატებელი არაფერი არა აქვთ;

8. დაპირისპირებულ პირთა ჩვენებების ოქმში შეტანა ხდებოდა გამომძიებლის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების თანმიმდევრობითა და დასაკითხი პირების მიერ ერთიმეორის მიმართ დასმული კითხვებისა და მათზე მიღებული პასუხების თანმიმდევრობით. ოქმს ადგენდა გამომძიებელი „დაპირისპირების ოქმის“ სახელწოდებით და მას აცნობდა დაპირისპირების მონაწილეებს. ოქმს ხელს აწერდა მასში მონაწილე ყველა პირი;

9. ოქმის გაცნობის შემდეგ დაკითხულ პირებს უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ ოქმში შესწორებისა და დამატებების შეტანა და მათი ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო და სხვ.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დაპირისპირება, მართალია, დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად აღარაა გათვალისწინებული, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, საგამოძიებო პრაქტიკაში მისი გამოყენება კვლავ ჩვეულებრივი წესით გაგრძელდება, მაგრამ არა როგორც დაკითხვის დამოუკიდებელი სახე, არამედ როგორც დაკითხვის ტაქტიკური ხერხი. ამიტომ დაპირისპირების ჩატარების ზემოაღნიშნული პირობების ცოდნა კვლავ საჭირო და აუცილებელია.

§2. დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები

ა) *ჩვენების ფორმირების პროცესი.* ინფორმაცია, რომელსაც დასაკითხი პირისაგან ვიღებთ ჩვენების სახით, შესაძლოა თვითონ მას მიღებული ჰქონდეს სხვადასხვა გზითა და საშუალებით. ერთ შემთხვევაში ეს ინფორმაცია შეიძლება მიღებული ჰქონდეს თავისი საკუთარი აღქმით, როცა იგი უშუალოდ თვითონ იყო გამოსაძიებელი შემთხვევის შემსწრე და პირადად აღიქვა და დაიმახსოვრა გამოსაძიებელი შემთხვევა, მისი ჩამდენი პირი ან მასში მონაწილე რომელიმე პირი, ან მისი რომელიმე გარემოება; მეორე შემთხვევაში, დასაკითხ პირს ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიღებული ჰქონდეს სხვა რომელიმე პირისგან და მისი ჩვენება ატარებდეს ნაწარმოებით ხასიათს. დასაკითხი პირისაგან მიღებული ამ ორივე სახის ჩვენებას, ცხადია, შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს დამკითხველი პირის მიერ.

დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენების შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თვით ჩვენების ფორმირების პროცესი და ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რაც უაღრესად დიდ გავლენას ახდენს ჩვენების ფორმირების პროცესზე. ზოგჯერ შესაძლოა დასაკითხ პირს ნამდვილად სურს სათანადო დახმარება გაუწიოს გამოძიებას, მაგრამ სრულყოფილად ვერ ახდენს გამოსაძიებელი შემთხვევის აღწერასა და გადმოცემას მაშინაც კი, როცა უშუალოდ თვითონ იყო დანაშაულებრივი შემთხვევის მომსწრე ან, როცა უშუალოდ თვითონ განიცადა დანაშაულებრივი ხელყოფის სიბოროტე და ამ ქმედებით მიიღო ფიზიკური, მორალური ან მატერიალური ზიანი ან, როცა იმ ობიექტური მონაცემებით, რომელშიც იგი ფიზიკურად იმყოფებოდა, ზუსტად უნდა შეძლებოდა მისი აღქმა და გადმოცემა, მაგრამ ვერ ასახელებს და ვერ გადმოსცემს ამ ფაქტებს და, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა იგი კეთილსინდისიერადაც ცდებოდეს. დამკითხველი პირის წარმოდგენაში კი იგი შეგნებულად ამახინჯებს თავის ჩვენებას, ან შეგნებულად არიდებს თავს სწორი ჩვენების მიცემას. ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, დაკითხვის დროს გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, თავშეკავებულობა და ყურადღება დასაკითხი პირისადმი. ამასთან, სრულყოფილად უნდა შეისწავლოს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის მომენტში მოცემული დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური განწყო-

ბა და სხვა ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მოცემული პირის ჩვენების ფორმირებაზე.

ჩვენების ფორმირების პროცესში უნდა განვასხვაოთ სამი უმნიშვნელოვანესი ეტაპი: **აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა.**

აღქმა ჩვენების ფორმირების ის საწყისი ეტაპია, რომლის დროსაც ხდება გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ასახვა მეხსიერებაში გადასატანად სმენის, მხედველობისა და სხვა მგრძნობელობითი (ყნოსვის, გემოვნების და სხვ.) ორგანოების მეშვეობით.

ჩვენების ფორმირების ამ პირველ ეტაპზე — აღქმის ხარისხსა და სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს მოცემული მომენტისათვის ამა თუ იმ პირის ფსიქოლოგიური განწყობა, მისი დამოკიდებულება გამოსაძიებელ შემთხვევასთან და მისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებები; კერძოდ, მისი პროფესია, სპეციალობა, განათლება, მისი ფიზიკური განვითარება და სრულყოფილება. მაგალითად, როგორი სმენადობისაა იგი — ხომ არა აქვს სმენის ნაკლებობა, — დაქვეითებული სმენა; როგორი მხედველობისაა იგი — ახლომხედველია თუ შორსმხედველი; როგორია მისი მხედველობითი დამოკიდებულება ფერებისადმი და სხვ.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ აღქმის სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე დასაკითხი პირის ყურადღების გაფანტულობა გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე ფაქტის მიმართ იმ მომენტისათვის, რაზეც იყო მისი ყურადღება გადატანილი.

ზოგჯერ ერთიმეორისაგან განასხვავებენ აღქმის ისეთ სახეებს, როგორიცაა: თვითნებური და უნებური სახის აღქმა. თვითნებური აღქმის დროს პიროვნების ყურადღება, როგორც წესი, გადატანილია იმაზე, რომ რაც შეიძლება სწორად და სრულყოფილად აღიქვას და დაიმახსოვროს ნანახი. ამა თუ იმ ფაქტის უნებური აღქმის დროს კი სუბიექტის ყურადღება გაფანტულია და ამიტომ მის მიერ აღქმული ესა თუ ის ფაქტი შესაძლოა ნაკლები სიზუსტით ხასიათდებოდეს, რაც უდავოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ამა თუ იმ ფაქტის ან გარემოების აღქმის სისწორესა და სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე სუბიექტის ისეთი განწყობა, როგორიცაა: ძლიერი აღელვება, ნერვიულობა, სიმთვრალე, აღგზნებადობა, შიშით გაზვიადებული წარმოდგენა, დაღლილობა, დაზ-

არალებულისა და ეჭვმიტანილისადმი (თუ მისთვის იგი ცნობილია) მისი დამოკიდებულება, ან მომხდარი ფაქტისადმი მისი უინტერესო დამოკიდებულება და სხვ.

აღქმის სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: ცუდი მეტეოროლოგიური პირობები — წვიმა, ჭექა-ქუხილი, ქარი, სიბნელე, ხმაური და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღქმაზე ზეგავლენის მქონე სუბიექტურ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ ის, რაც დაკავშირებულია დასაკითხი პირის თვისებებთან, მის განწყობასთან; ობიექტურს კი ის ფაქტორები და გარემოებები, რაც დაკავშირებული არაა დასაკითხი პირის მახასიათებელ გარემოებებთან და მის ფსიქოლოგიურ განწყობასთან და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ.

ამა თუ იმ ფაქტის, საგნის, ობიექტის ან საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების აღქმის სისრულესა და სისწორეზე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს დასაკითხი პირის პროფესიას, მის სპეციალობას.

მაგალითად, მეწაღე, მკერავი, კოსმეტოლოგი და ავტოინსპექტორი ერთნაირად ვერ აღიქვამენ პიროვნების ჩაცმულობას, თმის ვარცხნილობას, ავტომანქანის ფერს, მის ნომერსა და სახელმწიფო სერიას და სხვა საგნებს. მათ უდავოდ მეტ-ნაკლები სიზუსტით შეუძლიათ აღწერონ თითოეული ამ საგნის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ასევე პიროვნების ჩაცმულობა, თმის ვარცხნილობა და სხვ. ცხადია, ავტოინსპექტორი უკეთ აღიქვამს ტრანსპორტის ფერს, სიჩქარეს, ნომერს და სხვ., ვიდრე მკერავი. ყოველივე ეს უდავოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი ჩვენების შეფასების დროს.

ჩვენების ფორმირების პროცესის მეორე საფეხურზე — დამახსოვრებაზე, ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, უაღრესად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობა და ასაკი, აღქმული საგნების ცოდნა და შთაბეჭდილების სიძლიერე; კერძოდ, ის თუ როგორი ემოციები გამოიწვია გამოსაძიებელმა შემთხვევამ მოცემული პირის აღქმის პროცესში, რამდენად იშვიათი იყო ეს შემთხვევა მისთვის, რამდენად აღაშფოთა ამ გარემოებამ იგი და რამდენად ძლიერ იმოქმედა მასზე, როგორია მისი სურვილი მომხდარი ფაქტის დამახსოვრების მიმართ და როგორია მისი მეხსიერების ძალა და აღქმულის მეხსიერებაში შენახვის სიძლიერე (ხომ არაა იგი გულმავიწყი და სხვ.), რა პერიოდმა განვლო მოცემული ფაქტების აღქმიდან და სხვ. ამ უკანასკნელ

გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დროთა განმავლობაში ყველაფერი ქრება და დრო, რომ იტყვიან, თვით დაზარალებულსაც „განკურნავს“ და მისი მეხსიერებიდანაც თანდათან ქრება დანაშაულებრივი ქმედებით მისთვის მიყენებული შემზარავი ფაქტების კონტურები.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგჯერ მომხდარი ფაქტის უშუალოდ შემსწრე ამა თუ იმ პირის იმავდროულად დაკითხვამ შეიძლება ვერ მოგვცეს ეფექტური შედეგები და მიღებული ჩვენება არ იყოს სრული იმის გამო, რომ მომხდარი დანაშაულებრივი ქმედებით პირმა განიცადა დიდი ფიზიკური დატვირთვა და ემოციური განცდები და ვერ შეძლო აღქმულის სრულყოფილი გაანალიზება და გადმოცემა. ამიტომ ასეთი პირის დაკითხვა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, მის მიერ აღქმული ფაქტის უკეთ გახსენებისა და ჩამოყალიბების მიზნით, შესაძლოა უმჯობესი იყოს ჩატარდეს აღქმული ფაქტიდან რამდენიმე საათის ან რამდენიმე დღის შემდეგ.

ზემოაღნიშნული **სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები** ასევე დიდ გავლენას ახდენს **ჩვენების ფორმირების პროცესის მესამე შემაჯამებელ სტადიაზე – აღქმულისა და დამახსოვრებულის გადმოცემაზე**, რომლის დროსაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს პირის მიდრეკილება აღქმული ფაქტის გაზვიადებისა და ფანტაზიისადმი, მისი შთაგონება და უნარი შეუცდომლად და სრულყოფილად გადმოსცეს დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ აღქმული და დამახსოვრებული ფაქტობრივი გარემოებები, შეუძლია თუ არა მოახდინოს აღქმული და დამახსოვრებული ფაქტების შეულამაზებლად გადმოცემა და სხვ. ყოველივე ეს საჭიროა დაკითხვის დაწყებამდე სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული დასაკითხი პირის მახასიათებელ ნიშნებთან ერთად და სხვ.

ჩვენების ფორმირების პროცესზე ზემოაღნიშნული ფაქტორების გავლენა თავისი მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებით აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელმა და მის აღმოსაფხვრელად და დასაკითხი პირისაგან სწორი ობიექტური ჩვენების მისაღებად სათანადოდ მოემზადოს, სრულყოფილად გაეცნოს საქმეში არსებულ მასალებს და მარჯვედ გამოიყენოს სასამართლო ფსიქოლოგიისა და დაკითხვის ტაქტიკური ხერხების რეკომენდაციები. ამასთან, საჭიროა გამომძიებელმა წინასწარ განსაზღვროს დაკითხვის საგანი, ანუ ის, თუ მოცემული დასაკითხი პირის-

აგან რა სახის, რაზე და რის შესახებ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია და რა საშუალებით.

ბ) *დაკითხვის პროცესუალური და ზოგადი ტაქტიკური რეკომენდაციები.* წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაკითხვა შეიძლება ჩაატაროს გამომძიებელმა ან პროკურორმა თავის სამუშაო ოთახში ან დასაკითხი პირის ადგილსამყოფელზე. კანონის თანახმად, მოწმე, დაზარალებული და თავისუფლებაში მყოფი ეჭვმიტანილი და ბრალდებული დასაკითხად შეიძლება გამოძახებულ იქნეს უწყებით, რომელიც შეიძლება გაგზავნილ იქნეს ფოსტით ან შიკრიკის მეშვეობით. მათი გამოძახება შეიძლება მოხდეს აგრეთვე ტელეფონოგრამით, დეპეშით, რადიოგრამით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებით. უწყებასა და ყველა სხვა სახის შეტყობინებაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ, სად, როდის, რომელ საათზე, რისთვის და რა მისამართზე უნდა გამოცხადდეს დასაკითხად გამოძახებული პირი.

უწყების მიღების შემთხვევაში გამოძახებულმა პირმა ხელი უნდა მოაწეროს შეტყობინებაზე, ხოლო თუ ადრესატი ადგილზე არ იმყოფება, მაშინ ასეთი უწყება გადასაცემად უნდა ჩაბარდეს ოჯახის სრულწლოვან წევრს, ან ადგილობრივი მმართველობის, ან თვითმმართველობის წარმომადგენელს.

იმ პირების გამოძახება, რომლებიც იმყოფებიან საგამოძიებო ან დროებითი ყოფნის იზოლატორში, მიმღებ-გამანაწილებელში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ან აღმზრდელობით კოლონიაში, უნდა მოხდეს ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის მეშვეობით.

გამომძიებელი ზოგჯერ სათანადო ყურადღებას არ აქცევს **პირის დასაკითხად გამოძახების ფორმის შერჩევას.** რაც არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. ამ დასაკითხი პირის ზემოაღნიშნული წესით გამოძახების ფორმებიდან ერთ-ერთი მათგანის სწორად შერჩევას **საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს თვით დასაკითხი პირის ჩვენების მიცემის განსაწყობად.** მისი ასეთი გამოძახება გარკვეულად უბიძგებს დასაკითხ პირს გაიხსენოს, იფიქროს და იაზროვნოს იმ ფაქტის შესახებ, რომელზეც, მისი წარმოდგენით, შესაძლოა ყურადღება გაამახვილოს გამომძიებელმა დაკითხვის დროს, გაიხსენოს იგი სრულ დეტალებში და სხვ.

დასაკითხი პირის გამოძახების შემდეგ, დაკითხვის უშუალო დაწყებამდე, უნდა გაირკვეს დასაკითხმა პირმა იცის თუ არა სამართალ-

წარმოების ენა, აგრეთვე ის, თუ რომელ ენაზე სურს ჩვენების მიცემა. სხვა ენაზე ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოწვეულ უნდა იქნეს თარჯიმანი და მისი მეშვეობით მოხდეს ამ პირის დაკითხვა. ამასთან, დაკითხვის დაწყებამდე უნდა გაირკვეს დასაკითხად გამოძახებული პირის ვინაობა, მისი ანკეტური მონაცემები: გვარი, სახელი, დაბადების წელი, ადგილი, თვე და რიცხვი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, თანამდებობა, მოქალაქეობა, სარგებლობს თუ არა იგი ხელშეუხებლობის იმუნიტეტით ან ხომ არაა იგი ადრე ნასამართლევი და სხვ.

საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული დასაკითხი პირის ეს ანკეტური მონაცემები აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი და შემოწმებული დასაკითხი პირის პირად დოკუმენტებთან შედარებით, რათა დაკითხვის დასაწყისშივე არ დავუშვათ შეცდომა და დასაკითხი პირის ერთგვარი ნდობა მოვიპოვოთ, სასურველ შედეგსაც მივაღწიოთ და ლიტერატურაში ცნობილი ჯ.როდარის ერთ-ერთი მოთხრობის „გამოცდილი პოლიციელის" მთავარი გმირი პოლიციელის მსგავსად, დასაკითხი პირის ირონია არ დავიმსახუროთ.

პროფ. ბ. ხარაზიშვილის ნაშრომის მიხედვით გთავაზობთ პატარა ნაწყვეტს ამ მოთხრობიდან:

„პოლიციელმა, რომელიც ავტომობილის კატასტროფის გამო დაკითხვას აწარმოებდა, მოწმეს მიმართა:

— თქვენი გვარი და სახელი?

— ჯონ სმიტი, — უპასუხა მან.

— მე თქვენ ნამდვილ გვარსა და სახელს გეკითხებით!

— უილიამ შექსპირი, — სწრაფად მიაგება მოწმემ.

— აი, ასე, თქვენ ჩემი გაცურება გინდოდათ, მაგრამ ვერ მოგართვით, — უთხრა ირონიული ღიმილით პოლიციელმა".[1]

დასაკითხად გამოძახებულ პირს, მისი ანკეტური მონაცემების შემოწმების შემდეგ, აუცილებლად უნდა განემარტოს თუ რა საქმესთან დაკავშირებითაა იგი დასაკითხად გამოძახებული. მოწმეს უნდა განემარტოს ისიც, რომ მას უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი და მოითხოვოს დაკითხვაზე მისი დასწრება. და, რომ ადვოკატის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.

---

[1] ბ.ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა. თბ., 1969, გვ.239.

ჩვენების მიცემის დაწყების წინ საჭიროა წინადადება მიეცეს, თქვას თუ რა იცის ამ საქმის გარემოებათა შესახებ. ამასთან, მიზანშეწონილია მას საქმის ირგვლივ დაწყებული თხრობა არ შეაწყვეტინოთ, თუ მან არ გადაუხვია თემის ირგვლივ მსჯელობას.

თავისუფალი თხრობის დამთავრების შემდეგ მისი ჩვენების შესავსებად და დასაზუსტებლად რეკომენდებულია მიეცეს შეკითხვები, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ შეკითხვების სახით არ დავუსვათ ისეთი მისახვედრი კითხვები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიანიშნებენ მოსალოდნელ პასუხს.

კანონით ნებადართულია დაკითხვის პროცესში დასაკითხმა პირმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ან საქმეზე დართული დოკუმენტები და ჩანაწერები. მაგრამ დამკითხველს უფლება აქვს მოითხოვოს იმ დოკუმენტებისა და ჩანაწერების ჩვენება, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვის დროს, შეამოწმოს ისინი და უკანვე დააბრუნოს ან საქმეს დაურთოს. ასევე ნებადართულია, საჭიროების შემთხვევაში, დასაკითხ პირს წარუდგინოს საქმეზე თანდართული საგნები და დოკუმენტები.

სსსკ-ის 302-ე მუხლის თანახმად, დაკითხვა 4 საათზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს. ამასთან, დღის განმავლობაში ერთი და იმავე პირის დაკითხვა შეიძლება მოხდეს რამდენჯერმე თითოსაათიანი შესვენებით. დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა კი ერთი დღის განმავლობაში 8(რვა) საათს არ უნდა აღემატებოდეს.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დაკითხვისადმი მნიშვნელოვან მოთხოვნილებად თავიდანვე მიჩნეული იყო კანონიერება, ობიექტურობა, სისრულე და დაკითხვის აქტიურობა.[1] შემდეგ დაკითხვის ეს მნიშვნელოვანი დებულებები ნაწილობრივ გაფართოებული სახით დაკითხვის საერთო პრინციპებად იქნა აღიარებული. მის პრინციპებად იქნა აღიარებული აგრეთვე დაკითხვის ნებაყოფლობითობა, დაკითხვის ეფექტურობა, დაკითხვის ინდივიდუალურობა, დაკითხვის პროცესში მეცნიერულ-ტაქტიკური ხერხების გამოყენება და ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვა.[2]

დაკითხვისადმი წარდგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნები უშუალოდ გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდე-

---

[1] იხ. В.М. Абрамин. Допрос на предварительном следствии в советском уголовном процессе. Автореферат канд. дисс. М., 1955, стр.7; Криминалистика. Учебник для вузов. М., 2000, გვ.599.

[2] კრიმინალისტიკა. ტ. II. თბ., 1995, გვ. 85-87.

ბლობიდან და თუ დაკითხვის პროცესში დაცული არ იქნება კანონით რეგლამენტირებული წესი და ჩვენება მიღებული იქნება კანონის დარღვევით, მაშინ იგი დაკარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას და მას, როგორც დამოუკიდებელი სახის მტკიცებულების წყაროს, სასამართლო არ გაიზიარებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაკითხვის ნაბაყოფლობითობის აღიარება დაკითხვის საერთო პრინციპად არასწორია, რადგან მოწმისა და დაზარალებულისათვის ჩვენების მიცემა მათი მარტოოდენ უფლება კი არაა, არამედ მოვალეობაცაა, მათ არა აქვთ დუმილის უფლება. და, თუ ისინი შეგნებულად თავს აარიდებენ ჩვენების მიცემას ან დაკითხვის დროს წინასწარი შეგნებით მისცემენ არასწორ ჩვენებებს, ასეთ შემთხვევაში მათ მიმართ შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ჩვენების მიცემის ნაბაყოფლობითობის პრინციპი მისაღები და დასაშვებია მხოლოდ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისადმი, რადგან მათთვის ჩვენების მიცემა მხოლოდ უფლებაა და არა მოვალეობა. სულ სხვაა, თუ ვიტყვით ჩვენების ძალდაუტანებლობაზე, რაც კანონითაც აკრძალულია. ამასთან დაკავშირებით სსსკ-ის 119-ე მუხლში მართებულადაა მითითებული, რომ „ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ძალდაუტანებლად. ჩვენების მისაღებად ფიზიკური და ფსიქიკური იძულების, მოტყუების, დაპირების, შანტაჟის, დაყოლიების გამოყენება აკრძალულია. ასეთი ხერხით მიღებული მტკიცებულება დაუშვებელია.“

დასაკითხი პირისაგან სწორი, ობიექტური ჩვენების მისაღებად დაკითხვის პროცესში, თავისუფალი თხრობის შემდეგ, დასაკითხი პირისადმი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ზოგადი ტაქტიკური ხერხებიც, როგორიცაა: შემავსებელი, ანუ დამატებითი, მომაგონებელი, მაკონტროლებელი, დამაზუსტებელი და მამხილებელი შეკითხვების სწორი თანმიმდევრული დასმა. მაგრამ, კანონის თანახმად (სსსკ-ის 299-ე მუხ.), არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დასაკითხ პირს მიეცეს ისეთი შეკითხვები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიანიშნებენ მოსალოდნელ პასუხს, ე.ი. **კანონით აკრძალულია დასაკითხი პირისადმი მისახვედრი კითხვების დასმა.** თუმცა, ადრე ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, ვ. ლივშიცი 1947 წელს ჟურნალ „მესაზღვრეში“ გამოქვეყნებულ ნაშრომში „ცალკეული სახეების დაკ-

ითხვის ტაქტიკა“ ავითარებდა საწინააღმდეგო აზრს და მისახვედრი კითხვების დასმას სასარგებლოდ მიიჩნევდა. მაგრამ მისმა ასეთმა შეხედულებამ საერთო აღიარება ვერ მოიპოვა და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გაბატონებულ იქნა შეხედულება დაკითხვის პროცესში მისახვედრი კითხვების დასმის დაუშვებლობის შესახებ. ასევე სწორ პოზიციაზე დგას საქართველოს ამჟამად მოქმედი სსსკ, რომლის 299-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ „მისახვედრი კითხვების დასმა დაუშვებელია“.

დაკითხვის ერთ-ერთ ზოგადტაქტიკურ ხერხად მიჩნეული იყო და არის აგრეთვე დაკითხვის პროცესში გამოსაძიებელ საქმეში არსებული მტკიცებულებების წარდგენა, რაც ახალი საპროცესო კანონმდებლობით, ასევე კანონის რანგში იქნა აყვანილი. კერძოდ, სსსკ-ის 301-ე მუხლში იგი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: დაკითხვისას „გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს შეუძლიათ დასაკითხს წარუდგინონ საქმეზე დართული საგნები და დოკუმენტები“. ამასთან, იქვე მითითებულია, რომ „დაკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს, რა საგანი ან დოკუმენტი წარედგინა დასაკითხს, მათი აღწერილობა, რა კითხვები ახლდა წარდგენას და რა განმარტება მისცა ამასთან დაკავშირებით დასაკითხმა“ პირმა.

§3. დაკითხვის მომზადება. როგორც დაკითხვის ტაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი

დაკითხვა უაღრესად რთული, შრომატევადი საგამოძიებო მოქმედებაა და იმისათვის, რომ დაკითხვის შედეგები იყოს ეფექტური და შეეძლოთ დასაკითხი პირისაგან სწორი, ობიექტური ჩვენების მიღება და დაკითხვა ჩატარებულ იქნეს სრულყოფილად, საჭიროა სრული — ყოველმხრივი მომზადება.

დაკითხვის სამზადისი გამომძიებელმა უნდა დაიწყოს თავიდანვე — გამოძიების დაწყებისა და საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან. მაგალითად, ჯერ კიდევ ისეთი პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, როგორიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, გამომძიებელმა ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფს უნდა დაავალოს იქვე, შემთხვევის ადგილზე მყოფ პირებთან გასაუბრებით, დაადგინოს ვინ შეიძლება ამ საქმეზე მოწმის სახით იქნეს დაკითხული.

კერძოდ, გაარკვიონ: ვინ აღმოაჩინა შემთხვევის ადგილი და ვინ ნახა იგი პირველად; ვინ არის დაზარალებული და მისი ახლობელი; სხვამ ვინ შეიძლება იცოდეს რაიმე საქმის ირგვლივ და სხვ.

საქმეზე დასაკითხ პირთა განსაზღვრის შემდეგ გამომძიებელმა საჭიროა ჩაატაროს ისეთი მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ტაქტიკური ხერხები და ღონისძიებები, როგორიცაა:

1) დაკითხვის ადგილისა და საგნის განსაზღვრა;

2) დასაკითხ პირთა გამოძახების ხერხების შერჩევა;

3) საქმეში არსებული მონაცემებით დასაკითხ პირთა დაკითხვის თანმიმდევრობის დადგენა;

4) საქმეში არსებული მონაცემების გულდასმით შესწავლა და დაკითხვისათვის ამ მასალების მომარჯვება;

5) საქმეში არსებული მონაცემებით დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა;

6) შეისწავლოს დასაკითხი პირის დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან და მასში ჩაბმულ პირებთან;

7) შეარჩიოს დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად კანონით გათვალისწინებული პირები (დამცველი, პედაგოგი, ფსიქოლოგი, სპეციალისტი და სხვ.);

8) შეარჩიოს და მოიმარჯვოს დაკითხვის პროცესში გამოსაყენებელი საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები (საგამოძიებო ჩემოდანი, მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია, ხმის ჩამწერი აპარატურა და სხვ.);

9) ჩამოაყალიბოს საკითხების ის წრე და თანმიმდევრობა, რომელზეც დასაკითხი პირისაგან უნდა იქნეს მიღებული ჩვენება და სხვ.

ზემოაღნიშნული მოსამზადებელი ღონისძიებების შემდეგ, მიზანშეწონილია შედგენილ იქნეს დაკითხვის გეგმა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული გაშლილი წერილობითი გეგმის შესაბამისად და მასში მითითებულ იქნეს ის ეპიზოდი, რომლის ირგვლივაც უნდა მოხდეს მოცემული პირის დაკითხვა; დაკითხვის საგანი, ანუ გარემოება, რომლის ახსნისთვისაც ტარდება დაკითხვა; საკითხების ის წრე და თანმიმდევრობა, რომლებიც უნდა დაესვას დაკითხვის დროს და რომელზეც დასაკითხი პირისაგან უნდა იქნეს მიღებული პასუხები. იქვე გეგმაში მითითებულ უნდა იქნეს საქმის ის ფურცლები, რომლებიც შეიძლება

დაკითხვის დროს გამოვიყენოთ დასაკითხი პირის ცრუ ჩვენების სამხელად. იქვე, სასურველია, ცალკე ადგილი დაეთმოს შენიშვნების გასაკეთებელ გრაფას, რომელშიც აღინიშნება ის ტაქტიკური ხერხები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია დაკითხვით დასადგენი გარემოებების ასახსნელად.

საქმეზე მოწმის სახით დასაკითხად შერჩეული პირების დაკითხვის დროს საჭიროა განისაზღვროს მათი დაკითხვის თანმიმდევრობა. ამ პირთაგან მიზანშეწონილია პირველ რიგში დაიკითხოს ის პირი, რომელიც წინასწარი მონაცემებით, სწორ ობიექტურ ჩვენებას მოგვცემს. ასევე, იმ შემთხვევაში, როცა საქმეზე რამდენიმე ბრალდებულია დასაკითხი, მიზანშეწონილია პირველ რიგში დაიკითხოს ის ბრალდებული, რომელიც საქმეში არსებული მონაცემებით უფრო სწორ ჩვენებას მოგვცემს.

დასაკითხ პირთა ასეთი თანმიმდევრობის დაწესებას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ მათი ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა იმ პირთა დაკითხვის სამხელად, რომლებიც შეგნებულად ცდილობენ დაამახინჯონ მათ მიერ გადმოცემული ფაქტები და მოგვცენ არასწორი ჩვენება და სხვ.

დაკითხვის დაწყებამდე საჭიროა კიდევ ერთხელ გადამოწმდეს საკითხების ის წრე, რომლებზეც ამომწურავი პასუხი უნდა იქნეს მიღებული დასაკითხი პირისაგან. ამ მიზნით დაკითხვის გეგმასთან ერთად კარგი იქნება თუ იქვე ცალკე ფურცელზე ჩამოვწერთ ყველა იმ კითხვას, რომელზეც, სასურველია, ამომწურავი პასუხი იქნეს მიღებული დასაკითხი პირისაგან და სხვ.

დაკითხვის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად შევძელით შეგვესწავლა დასაკითხი პირის ფსიქოლოგია, მისი გატაცება და საქმიანობა. ამ მიზნით სრულყოფილად უნდა მოხდეს საქმეში არსებული მასალების შესწავლა და დასაკითხი პირის შესახებ დამატებითი მასალების გამოთხოვა, მისი სასწავლებლიდან ან სამსახურებრივი დაწესებულებიდან დახასიათების გამოთხოვა და სხვა ინფორმაციების მიღება მის ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებთან გასაუბრებით ან მათგან მიღებული ჩვენებების გაცნობით და სხვ.

საჭიროა კანონის შესაბამისად ზუსტად შეირჩეს და განისაზღვროს დაკითხვის დრო და ადგილი.

დაკითხვა, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს გამომძიებლის სამ-

უშაო ოთახში. მაგრამ კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით იგი შეიძლება ჩატარებულ იქნეს დასაკითხი პირის სამუშაო ადგილზე ან საავადმყოფოში, თუ დასაკითხი პირი იქ იმყოფება. ასეთ დროს მისი დაკითხვა უნდა მოხდეს ექიმის ნებართვით. დაკითხვა მიზანშეწონილია ჩატარდეს დღის საათებში და იგი არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. ამასთან, საჭიროა შეიქმნას დაკითხვისათვის ისეთი გარემოება, რომ დაკითხვის პროცესში არ მოხდეს დასაკითხი პირის ყურადღების გაფანტვა და ადგილი არ ჰქონდეს სხვა ხელშემშლელ გარემოებებს — ტელეფონის რეკვასა და კერძო საუბრებს, რადიო და სატელევიზიო გადაცემებს და სხვ.

ამრიგად, დაკითხვის მომზადების სტადიაზე ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა:

1. დაკითხვით დასადგენი გარემოებების წრის განსაზღვრა;
2. დასაკითხი პირის შესწავლა;
3. დაკითხვის დროისა და ადგილის შერჩევა;
4. დასაკითხ პირთა გამოძახების ხერხების შერჩევა;
5. დაკითხვისათვის სათანადო პირობების შექმნა;
6. დასაკითხ პირთა წრის განსაზღვრა;
7. დაკითხვისათვის საჭირო მასალებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების (ხმის ჩამწერი აპარატურის და სხვ.) შერჩევა და გამოყენება;
8. სხვა მომიჯნავე დარგებიდან ისეთი სპეციალური საკითხების შესწავლა, რომლის ახსნა და გამოკვლევა შეიძლება დაგვჭირდეს საქმის თავისებურებიდან გამომდინარე ცალკეული პირების (ბულალტრის, ზოოტექნიკოსის, მხატვრის და სხვ.) დაკითხვის დროს;
9. შედგენილ იქნეს დაკითხვის გაშლილი, სრულყოფილი გეგმა და სხვ.

დასაკითხი პირის ანკეტური მონაცემების გარდა, საჭიროა წინასწარ იქნეს შესწავლილი და გამოძახების დროსაც გაირკვეს დასაკითხი პირის დამოკიდებულება მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ. განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ მოწმის სახით დასაკითხი პირის ნათესაური, მეგობრული ან სხვაგვარი დამოკიდებულების დადგენა.

განსაკუთრებულს ვამბობთ იმიტომ, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომ-

ლებიც არ შეიძლება დაიკითხონ მოწმის სახით. ასევე დადგენილია იმ პირთა წრე, რომლებიც გამომძიებლის ან სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით) შეიძლება გათავისუფლდნენ მოწმის მოვალეობისაგან. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სსსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, „მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები". მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოწმის სახით გამოძახებულ ამ პირთა წრეს და ამ საერთო ზოგადსაკანონმდებლო დებულებას გარკვეულად ზღუდავს სსსკ-ის მომდევნო 95-ე მუხლის რედაქცია, რომელშიც ზუსტადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებიც, ჯერ ერთი, საერთოდ არ შეიძლება დაიკითხონ მოწმის სახით და, მეორეც, პირები, რომლებიც შეიძლება გათავისუფლებულ იქნენ მოწმის მოვალეობისაგან გამომძიებლის ან სასამართლოს (მოსამართლის) დასაბუთებული დადგენილებით (განჩინებით).

კერძოდ, სსსკ-ის 95-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაჰკითხონ:

ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დამცველი — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

გ) ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

დ) ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან, ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

ე) სასულიერო პირი — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მის-

თვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

ვ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ახლო ნათესავი — თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმე;

ზ) სახალხო დამცველი — იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

თ) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები — იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს ამომრჩევლებმა;

ი) მოსამართლე — იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას.

კ) ჟურნალისტი — პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

სსსკ-ის ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „მოწმედ არ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება.“

ამავე მუხლით ასევე ცალკე პუნქტითაა რეგლამენტირებული გამომძიებლის, სასამართლოს (მოსამართლის) უფლება, თავიანთი მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით) **მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლონ** შემდეგი პირები:

ა) ექიმი, მედიცინის და, მეანი, ფარმაცევტი, სხვა სამედიცინო მუშაკი, თუ მათ პროფესიულად ევალებათ საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;

ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

გ) პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან სხვა საბანკო საიდუმლოებებს;

კანონის ამ რეგლამენტაციის ცოდნასა და მის გათვალისწინებას მოწმის სახით გამოძახებული პირის დაკითხვის ტაქტიკური ხერხების სწორად შესარჩევად უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ სისხლის სამართალწარმოებიდან

მოწმის სახით დასაკითხ პირთა ესოდენ მასობრივი გამოდევნება, ჩემი აზრით, არასწორია. იგი სხვა არა არის რა, თუ არა იმ ყბადაღებული და დრომოჭმული თეორიის აღორძინება, რომელიც ქადაგებდა ექსპერტის დასკვნისათვის უპირატესი მტკიცებულების მინიჭებას და სისხლის სამართალწარმოებიდან ცოცხალი მოწმის გამოდევნებას.

სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, აგრეთვე თვით დაზარალებულის, ბრალდებულისა და განსასჯელის ინტერესებისათვის, არ არსებობს გამოსაძიებელი შემთხვევის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევისა და მის საფუძველზე სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე სხვა უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი რამ. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, დროულად გადაისინჯოს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგლამენტაცია და კვლავ გაფართოვდეს მოწმის სახით შესაძლო დასაკითხ პირთა წრე, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის მშობლების, მეუღლისა და შვილების გარდა.

დაკითხვის პროცესში კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული ტაქტიკური ხერხების თანმიმდევრული გამოყენება ხელს უწყობს გამოსაძიებელ საქმეზე დასაკითხი პირისაგან სწორი, ობიექტური ჩვენების მიღებას და სხვ.

დასაკითხი პირისაგან სწორი ჩვენების მიღების ერთ-ერთი საუკეთესო წინაპირობაა გამომძიებლის მიერ მასთან გარკვეული ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება, მისი ნდობის მოპოვება, დასაკითხი პირის გამომძიებელთან მისვლის დროს აღმოცენებული დაძაბულობის განმუხტვა, მათ შორის კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნა და სხვ.

ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება გამომძიებლის ისეთი ჩვეული მარტივი მოქმედებით, როგორიცაა: დასაკითხი პირის შესწავლა, მისი მეტყველებისა და გადმოცემის უნარის გარკვევა, საუბრის დროს მის მიერ გამოყენებული ტერმინების, ჟარგონებისა და ჟესტიკულაციის ახსნა, მასთან გამომძიებლის დროული და კეთილგანწყობილი თავაზიანი შეხვედრა, დაკითხვის უშუალო დაწყებამდე მასთან სხვა განყენებულ თემაზე (მის სპეციალობაზე, საყვარელ სპორტულ სახეობაზე ან ხელოვნებაზე, ოჯახურ და სამსახურებრივ საქმიანობაზე და სხვ.) საუბრის დაწყება და სხვ.

ზემოაღნიშნულის გარდა, გამომძიებელი უნდა შეეცადოს, რომ დასაკითხად დაბარებული პირები დაკითხვამდე არ შეხვდნენ ერთმა-

ნეთს. მათი დაკითხვა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე, დაკითხვისათვის შექმნილ ჩვეულ მშვიდ ატმოსფეროში და სხვ.

დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის ხმის ჩამწერი აპარატურა; კერძოდ, აუდიო, ვიდეოჩაწერა, კინოგადაღება და სხვ., რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს დასაკითხ პირს. დასავლეთის ქვეყნებში დაკითხვის დროს, დასაკითხ პირზე გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით, ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ე.წ. ლაიდედექტორი, ანუ „სიცრუის გამოსამჟღავნებელი" ხელსაწყო.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, რეგლამენტირებული პირების — მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, ექსპერტის, სპეციალისტისა და სხვ. დაკითხვა ცალ-ცალკე, მართალია, გარკვეული ტაქტიკური თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ მათი ზოგიერთი ერთნაირი პროცესუალური ნიშნისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ დასაკითხ პირთა წრე, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება დავყოთ ცალკეულ ჯგუფებად და ისე მოვახდინოთ მათი დაკითხვის ტაქტიკური თავისებურებების განხილვა-გადმოცემა. კერძოდ:

1) მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკა;

2) ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკა;

3) არასრულწლოვანთა დაკითხვის ტაქტიკა, რომელშიც თავისთავად ასევე ცალ-ცალკე შეიძლება განხილულ იქნეს:

ა) არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკა;

ბ) არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკა;

გ) ექსპერტის დაკითხვის ტაქტიკა.

§4. მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მოწმისა და დაზარალებულისათვის ჩვენების მიცემა, როგორც აღვნიშნეთ, მათი მარტოოდენ უფლება კი არა, მოვალეობაცაა. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება, თუმცა

დაკითხვის ტაქტიკური თვალსაზრისით, ისინი გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდებიან. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ თავისებურებათა ცალ-ცალკე განხილვა.

ა) *მოწმის დაკითხვის ტაქტიკა.* სისხლის სამართალწარმოებაში არსებულ მტკიცებულებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებაა მოწმის ჩვენება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება დასაკითხი პირისაგან ისეთი ფაქტობრივი მონაცემების შეტყობინებაში, რაც უნდა დადგინდეს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე. მოწმის დაკითხვა გავრცელებულია იმდენად, რომ მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი სახე, ფიგურირებს ყველა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთან, მოწმის სახით დასაკითხ პირთა რიცხვითი რაოდენობის წინასწარი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის თავისებურებათა გათვალისწინებით ზოგჯერ მათი რაოდენობა შეიძლება ათობითა და რამდენიმე ასეულობით განისაზღვროს. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც, საჭირო არაა მათი რაოდენობის ხელოვნური გაზრდა. საქმეზე მოწმის სახით უნდა დაიკითხოს მხოლოდ ის, ვინც იცის გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების ან მასში მონაწილე პირთა შესახებ და ვისაც თავისი ფიზიკური (სუბიექტური) თვისებების გათვალისწინებით, ამ გარემოებათა შესახებ შეუძლია მოგვცეს ჩვენება.

კანონით, მართალია, დადგენილი არაა მოწმის სახით შესაძლო დასაკითხ პირთა უმდაბლესი და უმაღლესი ასაკობრივი ზღვარი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ საქმეზე შეიძლება დაიკითხოს ნებისმიერი ასაკის ყველა შერაცხადი პირი, თუ მას შესწევს უნარი აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის გარემოება. ამასთან, არის მოწმის ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებულობის გარკვეული შეზღუდვებიც. კერძოდ, სსსკ-ის 117-ე მუხლის თანახმად, მოწმის ჩვენება, ანუ „მოწმის შეტყობინება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ ის მოწოდებული ფაქტის წყაროს ვერ მიუთითებს, ან თუ დადგინდება, რომ მას ფსიქიკური ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის ან მცირეწლოვანობის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები“. მაგრამ აქაც, მცირეწლოვანება მხოლოდ ზოგადადაა მოხსენიებული. ამიტომ მცირეწლოვანი ბავშვისაგან ჩვენების მტკიცებულებად მიჩნევის დროს მხედ-

ველობაში მისაღებია მისი განვითარების დონე და ის, თუ რამდენად ერკვევა იგი აღქმულ მოვლენებში.

მოწმის დაკითხვის დროს შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ზემოთ განხილული ზოგადი ტაქტიკური ხერხები და დაკითხვის მომზადებისათვის დამახასიათებელი გარემოებები. განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი ჩვენების ფორმირების პროცესი, ამ მომენტისათვის მისი ფსიქოლოგიური განწყობა და ჩვენების ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე **ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.** შესაძლოა, მოწმე ნამდვილად იყოს გამოსაძიებელი შემთხვევის უშუალო შემსწრე, მაგრამ ვერ ახერხებდეს ამ შემთხვევის ზუსტ შესაბამისობაში გადმოცემას. ასეთ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პროფესია, სპეციალობა და წინადადება მიეცეს თავისი სიტყვებით აღწეროს, დახატოს ან დახაზოს მის მეხსიერებაში აღბეჭდილი საქმეზე მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის გარემოება ან მისი ჩამდენი პირის დამახასიათებელი ნიშნები და სხვ.

გამორიცხული არაა, რომ ზოგჯერ მოწმე შეიძლება კეთილსინდისიერად შეცდეს და ზუსტად ვერ გადმოსცეს დაკითხვის საგანი და მისი ფორმა, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რადგან მისი ჩვენების ფორმირებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა მისგან დამოუკიდებლად არსებულმა რაიმე სახის ობიექტურმა ფაქტორებმა და მისი სუბიექტური თვისებებიდან გამომდინარე სხვა ფაქტორებმა. ასეთ დროს საჭიროა დასაკითხ პირს ყოველმხრივ დავეხმაროთ მომაგონებელი, დამაზუსტებელი და მაკონტროლებელი კითხვების დასმით. მაგრამ სანამ მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკის უშუალო განხილვას შევუდგებოდეთ, მანამდე გვინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ მოწმის ფსიქოლოგიის ზოგიერთ საკითხზე.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გავრცელება პოვა შეხედულებამ, რომლითაც **მოწმეებს ყოფენ კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მოწმეებად,** რაც, ჩემი აზრით, არასწორია. ერთი და იმავე ფაქტის შემსწრე მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა შეიძლება სხვადასხვა სახის ჩვენება მოგვცენ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათგან ზოგიერთმა წინასაწარი შეცნობით მოგვცა არასწორი ჩვენება და იგი არაკეთილსინდისიერ მოწმედ ჩავთვალოთ; მეორემ კი შედარებით სწორი ჩვენება და იგი მივიჩნიოთ კეთილსინდისიერ მოწმედ. სრულიადაც არა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რამდენიმე პირმა ერთი და იგივე ფაქტი შესაძლოა სხვადასხვა ფერებსა და

გარემოებებში აღიქვას და მათგან არც ერთი არ იყოს დაინტერესებული ამ ფაქტების შეგნებულად დამახინჯებით, წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემით. ამაზე მეტყველებს არაერთი ექსპერიმენტის შედეგი.

მაგალითად, ი.კანტოროვიჩს 1924 წელს გამოქვეყნებულ თავის საჟურნალო სტატიაში „მოწმეთა ჩვენების ფსიქოლოგია" მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერის მიერ ამ მიმართებით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები, რომელთა საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ არაკეთილსინდისიერი მოწმის მიერ წინასწარი განზრახვით მიცემული ცრუ ჩვენების გარდა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრეთვე თვითმოტყუებას, ანუ ისეთ „კეთილსინდისიერ სიცრუეს", რომლის სისწორეში თვითონ ჩვენების მიმცემ მოწმესაც არ ეპარება ეჭვი და გულწრფელად სჯერა, რომ იგი სწორ ჩვენებას იძლევა. ამით იგი შესაძლებლად მიიჩნევს მოწმის შეცდომას. ამასთან, იგი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ცდებისა და დაკვირვების საფუძველზე დაასკვნის, რომ ხშირად ადამიანები ხედავენ და ისმენენ იმას, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია და ვერ ხედავენ და ვერ ისმენენ იმას, რაც სინამდვილეში მოხდა და იქვე დასძენს: ჩვენ მიერ გარე სამყაროდან აღქმული შთაბეჭდილება სრულად არ ხვდება ჩვენი შემეცნების სფეროში ან იგი აღიბეჭდება თავის ტვინის აპარატში არასაკმაო სიზუსტითა და სიმკვეთრით, ან იგი გადაეჭდობა წარმოსახვის პროდუქტთან და ნებისყოფასთან და გვაძლევს არასწორ წარმოდგენას ჩვენს შემეცნებაში და თავისთავად განაპირობებს მცდარ დასკვნებსა და უცნაურ ფანტაზიებს.[1]

მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით მას იქვე მოჰყავს შტერნის, დუგალის, ბერგის, ლისტისა და სხვათა მიერ ჩატარებული ცდების შედეგები. აქედან განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესორ ლისტის მიერ ბერლინის უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში პრაქტიკული მეცადინეობის დროს ჩატარებული ექსპერიმენტი, რომლის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: თავისი ამხანაგის შენიშ-

---

[1] Я.Канторович. Психология свидетельских показаний. „Рабочии Суд", 1924, №15, №16, გვ.199-210; 301-308. მოწმის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1940 წ., გვ. 320-362; ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 1969, გვ. 240-260; Доспулов Г.Г., *Психология* допроса на предварительном следствии. М.,1976, da sxv.

ვნით შეურაცხყოფილი წინა რიგში მჯდომი ერთ-ერთი სტუდენტი უეცრად წამოხტა და მუშტების მოღერებითა და მუქარით გაემართა შეურაცხყოფის მიმყენებელი პირისაკენ. ამ უკანასკნელმა კი სწრაფად ამოიღო რევოლვერი და თავდამსხმელს დაუმიზნა, რა დროსაც პროფესორმა მას ხელი სტაცა, რევოლვერმაც უმტყუნა და ტყვია არ გავარდა. როცა მოჩხუბრები დააწყნარეს და აუდიტორიიდან გაიყვანეს, პროფესორმა იქ დამსწრე სტუდენტებს მიმართა, წერილობით ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ჩვენება. აღსანიშნავია, რომ იქ დამსწრე სტუდენტებიდან, ამ ინციდენტში მონაწილე პირების გარდა, არავინ იცოდა, რომ ეს მოწყობილი ექსპერიმენტი იყო. მათ ეჭვი არც მაშინ შეჰპარვიათ, როცა თავიანთ ჩვენებებს წერდნენ. ჩვენება დაწერა თითხმეტმა სტუდენტმა. აქედან მხოლოდ სამმა შეძლო მომხდარი ფაქტის შედარებით სწორი აღწერა, დანარჩენი 11-ის ჩვენებაში 21%-იდან 80%-მდე არ იყო სწორად აღწერილი მომხდარი ფაქტი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩემი ერთ-ერთი ლექციის დროს, როცა სტუდენტთა აღრიცხვა დავამთავრე და ჟურნალში ხელი მოვაწერე, აუდიტორიაში მობოდიშებით შემოვიდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და მთხოვა, ორიოდე წუთი მისთვის დამეთმო. იგი სტუდენტებს ესაუბრა ლექცია-სემინარების გაცდენების აღმოფხვრისა და სტუდენტთა მომავალი სამეცნიერო კონფერენციის მზადებასთან დაკავშირებით. აუდიტორიიდან მისი გასვლის შემდეგ, ვისარგებლე ამ შემთხვევით და სტუდენტებს მივმართე: ყველას წერილობით ჩამოეყალიბებინა და აღეწერა თუ ვინ შემოვიდა აუდიტორიაში, როგორი იყო მისი ჩაცმულობა და გარეგნობა, რა გააკეთა და რაზე ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ 50 სტუდენტიდან (მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის ტაქტიკა უკვე განვლილი გვქონდა) მხოლოდ 31-მა შეძლო მომხდარი ფაქტის შესახებ სწორი ჩვენების ჩამოყალიბება. ზოგიერთმა კი არა მარტი ის ვერ გაიხსენა, თუ რაზე ისაუბრა დეკანის მოადგილემ, არამედ მისი ჩაცმულობა და გარეგნობა სრული დამახინჯებით აღწერა.

ზემოთ მოყვანილი ექსპერიმენტების შედეგები აშკარად მეტყველებენ, **რომ მოწმის ჩვენების რეალობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ დასაკითხი პირი როგორ განწყობაზე იმყოფებოდა მომხდარ ფაქტსა და აღქმის პროცესში და როგორი იყო მისი დამოკიდებულება ამ**

ფაქტსა და გარემოებასთან მიმართებაში და კონკრეტულ სიტუაციაში რაზე იყო გადატანილი მისი ყურადღება.

მოწმის ჩვენების სისწორის ხარისხზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე მოწმის ინდივიდუალური თვისებები. და, რომ მოწმის ჩვენებაში რეალური სინამდვილის 100%-ით ასახვა დიდ იშვიათობას წარმოადგენს, რაც უდავოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოწმეთა ჩვენების შეფასების დროს.

ექსპერიმენტებით დადგენილია ისიც, რომ ქალები აღქმულ ფაქტებს შედარებით ნაკლებად ივიწყებენ, მაგრამ უფრო მეტად ამახინჯებენ გადმოცემის დროს და სხვ. ასევე დადგენილია ისიც, რომ მომხდარი შემთხვევიდან განვლილი დრო ქალებს უფრო ხანგრძლივად ეჩვენებათ, ვიდრე მამაკაცებს.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ თუ მოწმე გამოსაძიებელი საქმით არ არის დაინტერესებული, მას ურჩევნია მისცეს სწორი ჩვენება, ვიდრე შექმნას სხვადასხვა სახის არასწორი ილუზია და შემდეგ თავი იმართლოს მიცემული არასწორი ჩვენებისათვის.

უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, მოწმე არასწორ ჩვენებებს იძლევა იმის გამო, რომ მას არ სურს თავისი კარგი დამოკიდებულება და ურთიერთობა წაიხდინოს საქმეზე ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახით გამავალ პირთან, ან, როცა მას ეშინია და ემუქრება კიდეც რეალური საფრთხე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან მათი ახლო ნათესავებისაგან, ან, როცა დასაკითხ პირს სურს ამით დამალოს თავისი ამორალური საქციელი, უსუსურობა და სიმხდალე, ან როცა დასაკითხ პირს თავისი კეთილი განწყობით სურს ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს შეუმსუბუქოს ბრალი და პასუხისმგებლობა, ან, როცა იგი სხვადასხვა მოტივით დაინტერესებულია მოცემული პირის მკაცრად დასჯით და სხვ.

ყოველივე ეს, ცხადია, შესწავლილ და გაანალიზებულ უნდა იქნეს ადრე, მოწმის უშუალო დაკითხვის დაწყებამდე და მისგან მიღებული ჩვენების შემდეგ. და იგი მხედველობაში იქნეს მიღებული ჩვენების შეფასების დროს.

ამ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინება საჭიროა თვით მოწმის სახით დასაკითხ პირთა ტაქტიკის შესარჩევადაც.

დოქტორ გეილბერგის, კანტოროვიჩისა და სხვათა აზრით, პროფესიის მიხედვით ყურადღების უნარიანობის ხარისხის მიმართებაში

ყველაზე ცუდ მოწმეებად გვევლინებიან იურისტები და მეცნიერ-მუშაკები.

ეს მცირეოდენი ექსკურსი იმიტომ გავაკეთე, რომ უფრო ნათლად წარმოგვედგინა მოწმის ჩვენების ფორმირების პროცესი და ის გარე-მო-ფაქტორები, რომლებიც უდავოდ დიდ გავლენას ახდენენ ჩვენების ფორმირების სისწორესა და რეალობაზე. და ის, რომ თვით ეგრეთ წოდებული „კეთილსინდისიერი" მოწმეც შეიძლება თავისდაუნებურად შეცდეს მისი წარმოდგენით „უტყუარ ჩვენებაში" და სხვ.

თუ დავრწმუნდებით, რომ მოწმე შეგნებულად გვაძლევს არასწორ ჩვენებას, მაშინ ასეთი პირის დაკითხვის დროს შეიძლება ეფექტური იყოს მისი დეტალური დაკითხვის ტაქტიკური ხერხის გამოყენება, მის მიერ მიცემული არასწორი ჩვენება სხვა პირთა მამხილებელი ჩვენებებია და საქმეში არსებული მასალების თანმიმდევრული წარდგენა და, ამასთან, იმის შეხსენება, რომ იგი წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების გამო მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და სხვ.

მოწმის დაკითხვის უშუალო დაწყებამდე, გამოსაძიებელი საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ დაკითხვის საგანი. თუ საქმეზე რამდენიმე მოწმეა დასაკითხი, საჭიროა, პირველ რიგში, შევარჩიოთ და დავკითხოთ ის, ვინც საქმეში არსებული მონაცემებით უფრო მოსალოდნელია, რომ სწორ ჩვენებას მოგვცემს. წინასწარ უნდა გავარკვიოთ აგრეთვე მისი პიროვნება და დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან და კანონით გვაქვს თუ არა მოწმის სახით მისი დაკითხვის უფლება; განვუმარტოთ კანონით მისთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობები; გავესაუბროთ მშვიდად და აუჩქარებლად მის ოჯახურ მდგომარეობაზე, მის პროფესიაზე და ყოველივე ამით მივაღწიოთ მის ჩვენდამი კეთილგანწყობას და სხვ.

მოწმის უფლება-მოვალეობები საკმაოდ სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული სსსკ-ის 94-ე მუხლში, და იგი აუცილებლად უნდა განემარტოს მას დაკითხვის უშუალო დაწყებამდე. უნდა ეცნობოს, რომ იგი ვალდებულია აუწყოს გამოძიებას ყველაფერი, რაც იცის საქმის ირგვლივ და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; არ დატოვოს სასამართლო სხდო-

მის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე და, თუ იგი გამოძახებით არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იძულებით იქნეს მოყვანილი; რომ საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე და სხვ.

მოწმეს უნდა განემარტოს ისიც, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა დადგენილი წესით. უნდა განემარტოს ისიც, რომ იგი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ოჯახის ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

მოწმეს უფლება აქვს იცოდეს, თუ რა საქმესთან დაკავშირებითაა იგი გამოძახებული და თავისი ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნით, თუკი მან არ იცის სამართალწარმოების ენა; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება; გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა და სხვ.

მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ და ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვინაობის დასადგენად. ამასთან, გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს მისი დამოკიდებულება ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან და დაზარალებულთან.

ანკეტური მონაცემების შევსებისა და გამომძიებლისადმი კეთილგანწყობის მიღწევისთანავე, მას უნდა მიეცეს წინადადება, თქვას ყველაფერი ის, რაც იცის გამოსაძიებელი საქმის ირგვლივ.

დაკითხვის დაწყება მიღებულია მოხდეს თავისუფალი თხრობით და ეს გამართლებულია იმით, რომ ამ დროს მან შეიძლება მოგვაწოდოს ისეთი ახალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მანამდე გამოძიებისათვის უცნობი იყო.

გამართლებულად უნდა ჩაითვალოს პრაქტიკა, როცა თავისუფალი თხრობის დროს არ ხდება ოქმის შედგენა, რადგან იგი გამოიწვევდა მისი თხრობის შეჩერებას. ოქმი მიზანშეწონილია შედგეს მისივე ხელით თავისუფალი თხრობის დამთავრების შემდეგ. ამასთან, თავისუფალი თხრობის დამთავრების შემდეგ, მისი ჩვენების შესავსებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მომაგონებელი, დამატებითი, დამ-

აზუსტებელი და მაკონტროლებელი კითხვების დასმის ტაქტიკური ხერხები. ამავე მიზნით მას შეიძლება წარედგინოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, ფოტოსურათები და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, შედარებით სირთულეებთანაა დაკავშირებული იმ მოწმის დაკითხვა, რომელიც წინასწარი შეცნობით იძლევა არასწორ ჩვენებებს. ასეთ დროს გამომძიებელი, ყოველგვარი ემოციების გარეშე, დინჯად და აუღელვებლად, უნდა შეეცადოს დაადგინოს ცრუ ჩვენების მიცემის მოტივი, მოახდინოს მისი დეტალური დაკითხვა ჯერ საქმეზე ნაკლებად მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ და შემდეგ თანდათანობით გადავიდეს გამოსაძიებელი შემთხვევის მთავარი ფაქტის ირგვლივ, მის დეტალურ დაკითხვაზე. მიღებულ ჩვენებაში წინააღმდეგობის გამოვლინების შემთხვევაში მიზანშეწონილია დაკითხვა გავაგრძელოთ დამაზუსტებელი, მაკონტროლებელი და სიცრუის მამხილებელი კითხვების დასმით და მასზე მიღებული პასუხების გათვალისწინებით მოვახდინოთ მისი დაკითხვის გაგრძელება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების წარდგენით და ამით შევეცადოთ მისივე ჩვენებებით აღმოვფხვრათ მის ჩვენებაში არსებული წინააღმდეგობა. ამასთან, შევახსენოთ წინასწარი შეცნობით არასწორი, ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მის ფსიქოლოგიურ განცდებში მოვახდინოთ გარდატეხა და მივაღწიოთ მისგან სწორი ობიექტური ჩვენების მიღებას. გამომძიებლისა და დასაკითხი პირის მთელი ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მშვიდად და საქმიან ურთიერთკეთილგანწყობის ატმოსფეროში. გამომძიებლის მხრიდან ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქედმაღლობას, დასაკითხი პირისადმი უნდობლობის გამომჟღავნებას და სხვ.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა მოწმეს სამდვილად სურს სწორი ჩვენების მიცემა, რათა დაეხმაროს გამოძიებას დანაშაულის გახსნაში, მაგრამ დიდი ხნის გასვლის გამო ვერ იხსენებს მის მიერ ნანახ და აღქმულ გამოსაძიებელ დანაშაულებრივ შემთხვევას და მასთან დაკავშირებულ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებას. ასეთ დროს, თუ მომაგონებელი კითხვების დასმითაც ვერ მოხერხდა მისგან დაკითხვის საგნის ირგვლივ სწორი ჩვენების მიღება, მაშინ ტაქტიკური თვალსაზრისით უმჯობესი იქნება მას ჯერ წარვუდგინოთ შემთხვევის ადგილისა და იქ არსებული საგნებისა და

გარემოებების ამსახველი ფოტოსურათები, შემდეგ კი მისი დაკითხვის ჩატარება ვაწარმოოთ ისეთი ტაქტიკური ხერხით, როგორიცაა მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა ე.წ. ასოციაციური კავშირის გამოყენებით (ერთი ფაქტის გახსენებით მისი თანამდევი მეორე ფაქტის გახსენება და ა.შ.), აგრეთვე დაკითხვის ჩატარება იმავე ასოციაციური კავშირით უშუალოდ იმ ადგილზე, სადაც იგი იმყოფებოდა დანაშაულებრივი ფაქტის ხილვის დროს.

იმ შემთხვევაში, როცა მოწმეს უჭირს აღქმულისა და ნანახის გადმოცემა, ასეთ დროს ტაქტიკურად გამართლებულია, დასაკითხ პირს მიეცეს წინადადება არა სიტყვიერად, არამედ ნახატებითა და ნახაზებით წარმოაჩინოს ის გარემოება, რომლის შესახებაც სურს მოგვცეს ჩვენება. ამასთან, საჭიროა გაირკვეს როგორ იმოქმედა მასზე მომხდარმა დანაშაულებრივმა ფაქტმა და რა მოიმოქმედა მას შემდეგ. ხომ არ გაუკეთებია რაიმე ჩანაწერი ან ჩანახატი და სხვ.

მაგალითად, ერთ-ერთი ავტოშემთხვევის ფაქტთან დაკავშირებით მოწმის სახით დასაკითხმა პირმა განაცხადა, რომ ღამის 1 სთ-ზე იგი გამოსული იყო ქუჩაში სასეირნოდ თავის ძაღლთან ერთად. უეცრად, მასთან ახლოს, ქუჩის გადასასვლელზე მიმავალ ქალს შეეჯახა დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომანქანა და გაიგონა კიდეც ქალის შემზარავი კივილი, მაგრამ ავტომანქანა არ შეჩერდა და სწრაფად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ამასთან, იგი გულწრფელად წუხდა, რომ ავტომანქანის ვერც მარკა, ვერც ფერი და ნომერი ვერ დაიმახსოვრა. მოწმე პოეტი აღმოჩნდა.

გამომძიებლის შეკითხვაზე — იგი ხშირად გამოდიოდა თუ არა ასე გვიან სასეირნოდ, მან უპასუხა, რომ იგი თითქმის ყოველ საღამოს გამოდიოდა სასეირნოდ თავის ძაღლთან ერთად, რადგან უყვარს, როდესაც ქალაქს სძინავს, ტკბება ქალაქის მშვენიერებით და შემდეგ დამშვიდებული ბრუნდება სახლში დასაძინებლად. გამომძიებლის შეკითხვაზე: — რას აკეთებს სახლში სეირნობიდან დაბრუნებული, პირდაპირ დასაძინებლად მიდის თუ აგრძელებს მუშაობას? — მან უპასუხა: — უმეტეს შემთხვევაში, როცა კარგი განწყობა შემექმნება ან როცა რაიმეს განვიცდი, საწერ მაგიდასთან მივდივარ და მუზამორეული ლექსებს ვწერო.

გამომძიებლის შეკითხვაზე: — ამ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ, როცა აღელვებული დაბრუნდით სახლში, რა გააკეთე-

თო, მან უპასუხა: ამ ფაქტმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, დიდხანს არ მეძინებოდა და ამიტომ ჩვეულებრივად საწერ მაგიდასთან მივედი და ლექსი დავწერეო.

გამომძიებელმა სთხოვა ის ლექსი მისთვის წაეკითხა. მოწმემ სიამოვნებით ამოიღო ჯიბიდან იმ ღამით დაწერილი ლექსი და გამომძიებელს გადასცა.

ლექსის კითხვის დროს გამომძიებელმა ქაღალდზე თავისთვის რაღაც ჩანაწერები გააკეთა და კმაყოფილი სახით ლექსი ღიმილით უკანვე დაუბრუნა, თან მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის.

მოწმე-პოეტი გაკვირვებული შეჰყურებდა გამომძიებელს და ვერ გაეგო, რატომ უხდიდა იგი მას მადლობას და რაში აღმოუჩინა მას დახმარება.

გაირკვა, რომ პოეტს იმ ღამით დაწერილ ლექსში საძიებო ავტომანქანის ფერი, მარკა, სერია და ნომერიც გარითმული სიტყვებით შეეტანა.

მოწმე ზოგჯერ შეიძლება თავს იკავებდეს ჩვენების მიცემისაგან იმის გამო, რომ მან, როგორც მომხდარი დანაშაულის შემსწრემ, ვერ გამოიჩინა სათანადო გამბედაობა, ვერ დაეხმარა დაზარალებულს და არ უნდა, რომ თავისი თავი უბადრუკ ლაჩრად წარმოაჩინოს. ასეთ დროს გამომძიებელმა არ უნდა გაიცხოს იგი და არ უნდა აგრძნობინოს მას თავისი უკმაყოფილება. პირიქით, უნდა შეეცადოს, მოუძებნოს მის მოქმედებას გამართლება და თავისი კეთილგანწყობით შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომ მოწმემ გამომძიებელში ნახოს თავისი საქციელის თანამოაზრე, მოხდეს მათ შორის ფსიქოლოგიური კავშირის დამყარება, მოიკრიფოს თავისი გამბედაობა და დაიწყოს სწორი, სრულყოფილი ჩვენების მიცემა.

ზოგჯერ შეიძლება მოგვიწიოს ერთი და იმავე მოწმის რამდენჯერმე დაკითხვა დამატებითი და განმეორებითი დაკითხვების სახით. მაგრამ, ცხადია, იგი არ უნდა იყოს თვითმიზანი. ასეთ დროსაც მკაცრად უნდა იქნეს დაცული დაკითხვის პროცესუალური წესი და გონივრულად იქნეს გამოყენებული დაკითხვის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები. იგი უნდა ჩატარდეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან მოწმის დეტალური დაკითხვის სახით ადრე მიღებული ჩვენების შემოწმებისა და დაზუსტების მიზნით.

ბ) *დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკა.* მოწმის დაკითხვის წესი და ტაქტიკა თითქმის მთლიანად ვრცელდება დაზარალებულის დაკითხვაზე. მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და მათ შორის მცირეოდენი სხვაობაც არსებობს. ამიტომ ჩვენც მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით ამ თავისებურებაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულად ითვლება ის ფიზიკური პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ან რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. პირის დაზარალებულად უფლებამონაცვლედ ცნობისათვის აუცილებელია გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნეს დადგენილება, ან სასამართლოს განჩინება მოცემული პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა დაზარალებულის დაკითხვაზე, მის ზოგიერთ თავისებურებაზე.

მოწმის დაკითხვის ზემოთ განხილული ტაქტიკური ხერხები შეიძლება ასევე ეფექტურად იქნეს გამოყენებული დაზარალებულის დაკითხვის დროსაც, მაგრამ მოწმის დაკითხვის წესი და ტაქტიკური ხერხების გამოყენების თავისებურება მაინც გარკვეულწილად განსხვავდება დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკური თავისებურებებისაგან.

მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებების ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ თავისებურებად ზოგიერთი ავტორი, უპირველეს ყოვლისა, მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს:

1) მოწმისაგან განსხვავებით, დაზარალებული უმეტესწილად თვითონ არის დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად დაზარალებული და, იმავე დროს, იგი სხვაზე უკეთესად არის გათვითცნობიერებული ჩადენილი დანაშაულის გარემოებებში. ამიტომ დაზარალებულის ჩვენება მოწმის ჩვენებასთან შედარებით უფრო სრულყოფილია და იგი უდავოდ ხელს უწყობს გამომძიებელს საგამოძიებო ვერსიების აგებასა და მტკიცებულებათა აღმოჩენაში.

2) დაზარალებული თვითონაა დაინტერესებული საქმის მსვლელობითა და ბედით. ამიტომ მისი ჩვენება, მთელ რიგ შემთხვევაში, შეიძლება იყოს ტენდენციური და არაობიექტური. მაგრამ, მიუხედავად

ამისა, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ უგულებელვყოთ მისი ჩვენება და ეჭვის ქვეშ დავაყენოთ იგი. ასეთი ფორმალური მიდგომა მისი ჩვენების შესავსებად, დაუშვებელია.

3) მოწმისაგან განსხვავებით, დაზარალებულს უფლება აქვს გასცდეს გამომძიებლის მიერ მის წინაშე დასმულ საკითხების წრეს და გამოთქვას თავისი შეხედულება და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები გამოსაძიებელი შემთხვევის ამა თუ იმ გარემოების შესახებ, რასაც უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გამოძიების სწორად წარმართვისათვის;

4) მოწმის ჩვენებისაგან განსხვავებით, დაზარალებულის ჩვენება იმავე დროს არის მისი დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალებაც.[1]

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ზემოაღნიშნული თავისებურებები ამომწურავი არაა. მათი მთავარი სხვაობა უნდა ვეძიოთ აგრეთვე მათ პროცესუალურ მდგომარეობაში და ჩვენების ფორმირების ფსიქოლოგიურ პროცესში. მოწმისაგან განსხვავებით დაზარალებული, მთელ რიგ შემთხვევაში, თვითონაა მსხვერპლი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და უშუალოდ იღებს ფიზიკურ, მორალურ, ქონებრივ და სხვა სახის ზიანს, რა დროსაც მან, შეშინებულმა და დამცირებულმა, შეიძლება უფრო გაზვიადებულად აღიქვას და წარმოადგინოს მის მიმართ გამოყენებული თავდასხმის ფაქტი, მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება და სხვ. მაგალითად, შეშინებულმა დაზარალებულმა, ზოგჯერ ჩია ტანის თავდამსხმელი შეიძლება ბუმბერაზ დაუნდობელ ადამიანად წარმოიდგინოს და ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, ჯერ ერთი, თავდასხმით გამოწვეული დაზარალებულის ფსიქიკური მოშლილობით და, მეორე, თავისი თავის წამოჩენისა და გამართლების მიზნით, რომ მას კი არ შეეშინდა, არამედ ვერ შეძლო ასეთი ძლიერი მოძალადის დაძლევა და მისგან თავის დაღწევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოწმისაგან განსხვავებით, დაზარალებული უფლებამოსილია გაეცნოს გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებას და თვითონ ექსპერტის დასკვნას. უფრო მეტიც, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს და თავისი ინიციატივით ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა საკუთარი ხარჯებით.

---

[1] Криминалистика. Учебник, Баку, 2000, გვ. 446-447.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკის შერჩევისა და მისგან მიღებული ჩვენების შეფასებისას.

დაზარალებულის დაკითხვას კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ იმის გამოც, რომ ზოგჯერ პირი, თავისი რეპუტაციისა და სახელის შელახვის თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო ორგანოებში აკეთებს არასწორ განცხადებას დანაშაულებრივი გზით მიღებული ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანის მიღების შესახებ (ხელოვნურად ქმნის კიდეც ყაჩაღური თავდასხმის, ქურდობის, გაუპატიურებისა და სხვა სახის დანაშაულის ჩადენის ინსცენირებას) და ითხოვს მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყებას და თავისი თავის დაზარალებულად ცნობას. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის დაკითხვის დროს არ შეიძლება მისი ჩვენების მიმართ უნდობლობა გამოვიჩინოთ, თუნდაც ამისათვის სათანადო საფუძველი გვქონდეს. საჭიროა მისგან მიღებული ინფორმაციის დეტალური შემოწმება და ამ გზით მიღებული მონაცემები სწორი ტაქტიკური თანმიმდევრობით იქნეს გამოყენებული მისი დეტალური სახით დაკითხვის დროს და თანდათანობით საფუძვლიანად ვამხილოთ მიცემულ ცრუ ჩვენებაში.

მაგალითად, მოქ. დ-ე თავის განცხადებაში მიუთითებდა, რომ იგი გააუპატიურა მისმა ნაცნობმა ტ-ემ და ამის დასადასტურებლად წარმოადგინა თავისი დახეული პერანგი და ქვედა საცვალი. სამედიცინო შემოწმებით მას სხეულზე — მკერდის არეში და სასქესო ორგანოს ირგვლივ, ბარძაყებზე, აღენიშნებოდა კიდეც მსუბუქი დაზიანებები — სისხლნაჟღენთები. მოცემულ ფაქტზე წარმოებული შემდგომი გამოძიებითა და საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით (ეჭვმიტანილი ტ-ეს ჩვენებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით და სხვ.) დადგენილ იქნა, რომ დ-ემ შურისძიების მოტივით თვითონ მოაწყო გაუპატიურების ინსცენირება და სასქესო ორგანოს მიდამოებსა და მკერდის არეში თავისივე ხელით მიიყენა დაზიანებები (იხ. სურ. 9).

ანალოგიურ შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყაჩაღური თავდასხმის, ქურდობისა და სხვა სახის დანაშაულთა ფაქტებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე. ამიტომ დაზარალებულის დაკითხვა, მთელ რიგ შემთხვევებში, კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს საჭიროებს, მიღებული ჩვენების შეფასება კი მეტ კრიტიკულ მიდგომასა და შემოწმებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „დაზარალებუ-

ლის“ სხეულზე და მის მიერ მითითებულ შემთხვევის ადგილზე კვალთა აღმოცენების მექანიზმის ახსნას, იქ არსებულ ნეგატიურ კვლებს და სხვ. ამასთან, დაკითხვის დროს აქცენტირება გადატანილ უნდა იქნეს „დაზარალებულის“ მიერ მითითებულ შემთხვევის ადგილზე დანაშაულის ჩადენის მექანიზმის დეტალურ ახსნაზე. ამგვარი საეჭვო „დაზარალებულის“ განმეორებით დაკითხვამდე მისი ჩვენების სისწორისა და ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით, შეიძლება ჩატარებულ იქნეს ჩვენების ადგილზე შემოწმება და მიღებული შედეგებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს განმეორებითი დაკითხვის დროს მისგან მიღებული ცრუ ჩვენების გამოსამჟღავნებლად.

მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს, რომ დაზარალებულმა თავისი არასწორი ჩვენება შეიძლება ააგოს სხვადასხვა გარემოების ზემოქმედებით. კერძოდ, იმის გამო, რომ დაზარალებულს აქვს დაუოკებელი შიში იმისა, რომ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, ან მათი ახლო ნათესავები მასზე უფრო მკაცრად იძიებენ შურს, ან როცა იგი სხვადასხვა მოტივით ცდილობს უფრო დაამძიმოს და გაზარდოს მიყენებული ზიანის ოდენობა, ან როცა იგი სხვადასხვა მოტივით ცდილობს საგანგებოდ შეამციროს მიღებული ზიანის ოდენობა, ან, როცა იგი სკეპტიკურად უყურებს მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას დანაშაულის გახსნასთან მიმართებაში, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაში, დამნაშავის სამართლიან დასჯაში და მათ შესაძლებლობას, დაიცვან იგი ფიზიკური განადგურებისაგან და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა უშუალოდ განიცადა ფიზიკური ზიანი, რეკომენდებულია მისი სრულყოფილი დაკითხვა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და დაზარალებულად ცნობისთანავე თუ, ცხადია, ამის შესაძლებლობას იძლევა მისი ჯანმრთელობა. ეს შეიძლება გამართლებულ იქნეს თუნდაც იმით, რომ ამ მომენტისათვის, ჯერ ერთი, მისი ჩვენება შეიძლება იყოს შედარებით ნაკლებ ფანტაზიური და უკეთ შეესაბამებოდეს მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის რეალობას და, მეორეც, ამით მას წაერთმევა შესაძლებლობა და არ ექნება საკმარისი დრო თავისი ჩანაფიქრის ზუსტ შესაბამისობაში მოიყვანოს შემთხვევის ადგილი (როცა იგი წინასწარი შეცნობით არასწორ ჩვენებას იძლევა) და შექმნას ცრუ ჩვენების სრულყოფილი მოდელი. და იგი შეიძლება ადვილად დაიშალოს განმეორებითი

დაკითხვის დროს საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებების გამოყენებით.

§5. ეჭვმიტანილის დაკითხვის ტაქტიკა

ა) ეჭვმიტანილის ცნება, მისი დაკავების საფუძველი და უფლებამოვალეობები. სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილად ითვლება პირი, რომლის შესახებაც არსებობს საფუძველი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ არ არის საკმარისი მტკიცებულება მისთვის ბრალდების წასაყენებლად. თუ ეჭვმიტანილად დაკავებული პირის მიმართ გამოიკვეთება საკმაო მასალები, რომ კანონით დადგენილი ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია მოცემული პირის მიერ, მაშინ მის მიმართ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ დაკავება, როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, გამოიყენება მაშინ, როცა ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც პირს სასჯელის სახით შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა და არსებობს საფუძველი ვიქონიოთ ეჭვი, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა ასეთი დანაშაული და მოსალოდნელია მისი გაქცევა, დამალვა ან მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს შეუშლის წინასწარ გამოძიებას, ან მოსპობს მტკიცებულებას. ამასთან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლში საკმაოდ ამომწურავადაა ჩამონათვალი იმ გარემოებების წრე, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ეჭვმიტანილის დაკავებას.

დაკავებას, როგორც წესი, მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს მოცემული პირის დაკავების საფუძველი. ასეთ დროს იგი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს ეჭვმიტანილს და განუმარტოს, თუ რა დანაშაულისათვის არის დაკავებული და მიიყვანოს იგი პოლიციის განყოფილებაში ან სხვა სამართალდამცავ დაწესებულებაში. ამასთან, თუ საეჭვოა, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში დამკავებელს უფლება აქვს ჩაატაროს მისი პირადი ჩხრეკა და მასზე შეადგინოს ოქმი სათანადო წესების დაცვით. ასეთი ოქმი შეიძლება შედგენილ იქნეს

შესაბამის ორგანოში დაკავებულის მიყვანის შემდეგაც, მაგრამ იქვე ოქმში უნდა მიეთითოს იმაზე, თუ რატომ არ იქნა იგი შედგენილი ჩხრეკის ჩატარების ადგილზე.

კანონის თანახმად, თუ სისხლის სამართლის საქმეზე ეჭვმიტანილად ცნობილი პირი დაკავებული არ არის და ცნობილია ეჭვმოტანილად, მას ბრალდება უნდა წარედგინოს 30 დღის განმავლობაში. ამასთან, მას უფლება აქვს ეჭვმიტანილად ცნობისთანავე ხელზე მიიღოს მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი დადგენილების ასლი.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს დაკითხვამდე პირისპირ შეხვდეს თავის დამცველს მარტო, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დრო შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით და მის შესახებ გამოძიების მწარმოებელმა პირმა უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება; ამასთან, ჩხრეკის, ამოღების შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოიწვიოს დამსწრე არა უმეტეს ორისა. დაკითხვის ჩატარების დროს ეჭვმიტანილმა უფასოდ უნდა ისარგებლოს თარჯიმანის მომსახურებით, თუკი მან არ იცის ან სათანადოდ არ ფლობს სამართალწარმოების ენა; დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე და სხვ. მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა.

ფართო უფლებებთან ერთად ეჭვმიტანილს აქვს მთელი რიგი მოვალეობებიც. კერძოდ, თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არაა, იგი ვალდებულია გამოძახებისთანავე გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში და ხელი არ შეუშალოს გამოძიების გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

ბ) *ეჭვმიტანილის დაკითხვის ტაქტიკა*. ეჭვმიტანილისათვის ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა მოვალეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს დაკითხვის დროს აირჩიოს დუმილი და საერთოდ არ მისცეს ჩვენება. ამასთან, უფლება აქვს დაკითხვამდე უშუალოდ შეხვდეს თავისი ინტერესების დამცველ ადვოკატს. დაკითხვის შემდეგ კი თავისსავე მოთხოვნით შემოწმებულ იქნეს ექიმის მიერ და ამის შესახებაც შედგეს სათანადო ცნობა.

ეჭვმიტანილის დაკითხვის ძირითადი პროცესუალური წესი და

ზოგიერთი ტაქტიკური ხერხი, შეიძლება ითქვას, უცვლელად ვრცელდება ბრალდებულის დაკითხვაზე და ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ ოქმის შედგენის წესზე. ამასთან, ორივეს მიერ მიცემული ჩვენება ცალ-ცალკე არის არა მარტო დამოუკიდებელი მტკიცებულების წყარო, არამედ მათი თავდაცვის საუკეთესო საშუალებაც.

მიუხედავად ამისა, ეს კიდევ არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა განვიხილოთ ერთიან ჭრილში, როგორც ამას ადგილი აქვს უკანასკნელ წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში.[1]

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვას, მართალია, აქვს ბევრი საერთო, მაგრამ მათ შორის გარკვეული სერიოზული სხვაობაცაა როგორც პროცესუალური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. კერძოდ:

ა) ეჭვმიტანილის დაკითხვა, მისი დაკავების შემთხვევაში, შეიძლება ჩატარდეს მისი ეჭვმიტანილად ცნობის გარეშეც დამცველის თანდასწრებით. პოლიციის ან სხვა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში, ბრალდებულის დაკითხვა კი, ბრალდების წაყენებისა და დამცველთან ბრალდებულის კონსულტაციის შემდეგ, დაუყოვნებლივ თუ იგი თავს არიდებს გამოძიებას, მისი დაკითხვა უნდა მოხდეს გამოძიების ადგილას მისი მიყვანისთანავე, ან იქ, სადაც იგი იმყოფება;

ბ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება დაკითხვამდე დამცველთან წინასწარი შეხვედრისა და მისი მონაწილეობის გარეშე. ბრალდებულის დაკითხვა კი, შეიძლება დამცველის მონაწილეობის გარეშეც, თუმცა ამ უკანასკნელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მის დაკითხვაში;

გ) კანონით ბრალდებულის დაკითხვის დრო განსაზღვრულია, მისი დაკითხვა უნდა მოხდეს დღის საათებში. ეჭვმიტანილის დაკითხვის შესახებ კი ამაზე არაფერია ნათქვამი და სხვ.

მათ შორის გარკვეული სხვაობაა დაკითხვის ტაქტიკური თვალსაზრისითაც, რომლის სათავე იწყება იმით, რომ ეჭვმიტანილმა იცის, — გამოძიებას მის მიმართ ჯერ კიდევ არასაკმარისი მტკიცებულებები

---

[1] კრიმინალისტიკა, ტ. II. თბ., 1995, გვ. 107-111; Криминалистика. Учебник для вузов. М., 2000, стр. 608-612; Криминалистика. Учебник. Баку, 2000, გვ. 448-454 Криминалистика 3-е издание. Учебник, под редакцией профессора Н. Т. Яблокова. М., 2005, გვ. 507-513. და სხვ.

გააჩნია და ამიტომ, მთელ რიგ შემთხვევებში, იგი ყოველმხრივ ცდილობს თავი აარიდოს მოსალოდნელ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ამ მიმართულებით ქმნის თავისი ჩვენების წინასწარ მოფიქრებულ სხვადასხვა სახის მოდელს, რომლის დაშლაც კიდევ უფრო რთულდება და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ და ცალკე განვიხილოთ ეჭვმიტანილის დაკითხვის ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება.

ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში ჯერ უნდა მოხდეს დაკავებული პირის ეჭვმიტანილად ცნობა სპეციალური დადგენილების გამოტანით და მისი ასლები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ეჭვმიტანილს და, ამასთან, განემარტოს: რატომ, რაში და რის გამოა იგი ეჭვმიტანილი და რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მას და სხვ. ამასთან, მისი დაკითხვა ეჭვმიტანილის სახით უნდა მოხდეს მისი დაკავების მომენტიდან გონივრულ დროში.

ეჭვმიტანილის დაკითხვა ერთ-ერთი რთული საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე უმეტესწილად ტარდება, როგორც პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება. ამ მოქმედების წარმატებულობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულყოფილად მოემზადება ეჭვმიტანილის დამკითხავი (გამომძიებელი, პროკურორი) პირი.

ეჭვმიტანილის დაკითხვის მომზადებაში, ზემოთ განხილული დაკითხვის ზოგადი მოსამზადებელი ღონისძიების გარდა, იგულისხმება მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი სპეციფიკურობაც. კერძოდ ის, რომ ეჭვმიტანილის დაკითხვამდე, დროის სიმცირის გამო, საქმეზე მტკიცებულებები გამოძიების ამ ეტაპზე არასრულყოფილი სახითაა მოპოვებული, რადგან მასზე ჯერ კიდევ ჩატარებული არაა ყველა გადაუდებელი სახის საგამოძიებო მოქმედება. სათანადო ინფორმაცია არა გვაქვს მიღებული თვით ამ ეჭვმიტანილის სახით დასაკითხი პირისაგან. ამიტომ დასაკითხი პირის შესახებ სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პროცესუალური გზით მოპოვებული მასალები (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ექსპერტის დასკვნა, საქმეზე მიღებული ახსნა-განმარტებები, ჩხრეკისა და ამოღების ოქმი და სხვ.), ისე არაპროცესუალური — ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული ცნობები.

შესწავლილ უნდა იქნეს დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური განწყობა, მისი პროფესია და გატაცება, მისი ადრინდელი დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან, ოჯახური მდგომარეობა, ადრინდელი ნასამართლობა, მომხდარი დანაშაულის ზოგადი კრიმინალისტიკური დახასიათება და მისი ცალკეული ეპიზოდები, მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილობის მიტანის საფუძველი, მისი მეგობრებისა და ახლობლების წრე და სხვ. ყოველივე ეს, ჯერ ერთი, საჭიროა იმისათვის, რომ წინასწარ შერჩეულ და შემუშავებულ იქნეს დაკითხვის სწორი ტაქტიკა და, მეორეც, მომარჯვებულ იქნეს საქმეში არსებული მასალები დაკითხვის პროცესში გამოსაყენებლად, თუკი ეჭვმიტანილი შეეცდება წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემას.

თუ დასაკითხი ეჭვმიტანილი პირი ადრინდელი ნასამართლობის მქონეა, უნდა მოვიპოვოთ და შევისწავლოთ მისი მსჯავრდების ადრინდელი საქმე, თუნდაც მას ადრინდელი ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდეს. ეს ხელს შეგვიწყობს იმაში, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მის ჩვეულ ხერხებზე და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა საქმეში არსებული მონაცემებით ეჭვმიტანილი იმხილება დანაშაულის ჩადენის რამდენიმე ეპიზოდში, მაშინ მისი დაკითხვა მიზანშეწონილია დავიწყოთ მისი თავისუფალი თხრობით იმ ეპიზოდებზე, რომელშიც მისი მონაწილეობის შესახებ საქმეში უფრო მეტი მამხილებელი მასალები გვაქვს.

საჭიროების შემთხვევაში, თუ საქმეზე რამდენიმე ეჭვმიტანილია, მაშინ, სასურველია, შევადგინოთ სქემა დანაშაულში მონაწილე პირებისა და მათი როლის შესახებ, თუკი ამისათვის საქმეში გვაქვს საკმარისი მონაცემები და განვსაზღვროთ მათი დაკითხვის თანმიმდევრობა იმის მიხედვით, თუ რომლისაგან უფრო მოსალოდნელია სწორი ჩვენების მიღება და რომლის შესახებ უფრო მეტი სამხელი მასალები გვაქვს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ დასაკითხ პირთა ემოციური განწყობა.

კანონი არ იძლევა იმაზე მითითებას, თუ დღე-ღამის რა დროს უნდა მოხდეს ეჭვმიტანილის დაკითხვა, რადგან კანონით ძალიან მცირე დროა ამისათვის მოცემული. კერძოდ, კანონით (სსსკ-ის 310-ე მუხ.) დადგენილი იყო, რომ მისი დაკითხვა უნდა მომხდარიყო დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ამასთან, თუ ეჭვმიტანილი

დაკავებული იქნებოდა, დავუშვათ, დილის 6 საათზე და მისი მიყვანის შესახებ შედგენილ იქნა ოქმი, მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ ჯერ გამოტანილი უნდა ყოფილიყო დადგენილება და შემდეგ მომხდარიყო მისი ეჭვმიტანილის სახით დაკითხვა მომდევნო დღის დილის 6 საათამდე. ე.ი. დღის საათებად რჩებოდა მხოლოდ 12 საათი. დანარჩენი კი ღამის საათებია. დროის ამ მცირე მონაკვეთში გამომძიებელს უნდა მოესწრო პირის ეჭვმიტანილად ცნობისათვის საჭირო მასალების შეკრება, მისი პიროვნების შესწავლა, კანონით მინიჭებული მისი უფლებების დაცვა-განხორციელება, ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ სპეციალური დადგენილების გამოტანა, ადვოკატთან მისი შეხვედრის უზრუნველყოფა და შემდეგ მისი დაკითხვა ეჭვმიტანილის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ ეჭვმიტანილი დღე-ღამის რა დროს უნდა ყოფილიყო დაკითხული, შეუძლებელი იყო. ეს გარემოება, **ჯერ ერთი**, გვკარნახობდა იმაზე, რომ ეჭვმიტანილის დაკითხვა შეიძლება მომხდარიყო კანონით განსაზღვრულ მონაკვეთში დღე-ღამის ნებისმიერ დროს. მეორეც, კანონმდებლობით შექმნილი ეს პრაქტიკული უხერხულობა თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ საჭირო იყო კანონმდებლობით დადგენილი დროის ეს მონაკვეთი კიდევ ერთი 12 საათით მაინც გაზრდილიყო და მისი დაკითხვისათვის დადგენილი 24 საათის ნაცვლად დაწესებული ყოფილიყო უფრო მეტი დრო. ამის შესახებ ჩვენ ამ წიგნის წინა გამოცემებში და შემდეგ არაერთხელ აღვნიშნეთ და ფრიად მისასალმებელია, რომ ამ მიმართებით სსსკ-ის 110-ე მუხლში 2006 წლის 29 აპრილს შეტანილ იქნა ცვლილება, რაც, ჩემი აზრით, გარკვეულად შეუწყობს ხელს გამოიძიების ხარისხის ამაღლებას. მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საერთოდ უარი ვთქვათ ეჭვმიტანილის დაკითხვაზე. ყოველთვის, როცა პირი ეჭვმიტანილის სახითაა დაკავებული და მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილია შესაბამისი დადგენილება, იგი აუცილებლად უნდა დაიკითხოს ეჭვმიტანილად. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილის დაკავების დროს გამოძიებას აქვს ისეთი მყარი მამხილებელი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე (მაგალითად, მოხელე თანამდებობის პირის ქრთამის აღების ფაქტზე დაკავება) პირს შეიძლება პირდაპირ წაეყენოს ბრალდება, ასეთ დროს მიზანშეწონილია დაკავებული პირი მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდე-

ბულის სახით, წარედგინოს ბრალდება და შემდეგ მოხდეს მისი უშუალო დაკითხვა ბრალდებულის სახით.

დაკითხვის დაწყებისთანავე ეჭვმიტანილს უნდა მიეცეს წინადადება თქვას ყოველივე ის, რაშიცაა იგი ეჭვმიტანილი. ამასთან, უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს თავი შეიკავოს ჩვენების მიცემისაგან. დაკითხვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ეჭვმიტანილის ინტერესების დამცველი. დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხმის ჩამწერი აპარატურა, მაგრამ ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს დასაკითხ პირს და ამაზე იყოს მისი თანხმობაც.

ეჭვმიტანილის დაკითხვის დროსაც დაკითხვის ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია დასაკითხ პირთან სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება, რაც გარკვეულწილად დამოკიდებულია თვითონ დასაკითხი პირის ბუნებაზე, მის განწყობაზე.

თუ პირს პირველად უხდება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებში ყოფნა და იქ ეჭვმიტანილის სახით ჩვენების მიცემა, ამ გარემოებამ შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს დასაკითხი პირის ფსიქოლოგიურ განწყობაზე და იგი გულწრფელად შეეცადოს სწორი ჩვენების მიცემას. ასეთ დროს მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება შედარებით მარტივად შეიძლება, თუ მცირეოდენ ექსკურსს გავაკეთებთ მის წარსულ პატიოსან ცხოვრებაზე და სინანულს გამოვთქვამთ მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე. ამასთან, კარგი იქნება, თუ შევახსენებთ, რომ გულწრფელი აღიარება და მონანიება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა.

დასაკითხი პირის აშკარა თვალთმაქცობა და სიცრუე, ცხადია, გამომძიებელში იწვევს უკურეაქციასა და განრისხებას. მაგრამ იგი არ შეიძლება აჰყვეს მის ემოციებს. მან თავშეკავებულად, ყოველგვარი აღელვების გარეშე დინჯად და აუჩქარებლად უნდა გააგრძელოს მისი დაკითხვა, თავისი ირონიული ტონითა და ჟესტიკულაციით არ უნდა შეეცადოს დასაკითხი პირის აბუჩად აგდებასა და დამცირებას. მან ასევე დამშვიდებული ტონით უნდა გააგრძელოს ეჭვმიტანილის დაკითხვა მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი ცდილობს აშკარა კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. მაგრამ, ცხადია, თუ ეს უკანასკნელი ბოროტად გამოიყენებს გამომძიებლის კეთილგანწყობას და შეეცდება დაკითხვის თავის სასარგებლოდ წარმართვას და რაიმე ფორმით გამოხატავს გამომძიებლისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას, ასეთ შემთხვევაში

მიზანშეწონილია გამომძიებელმა გამოიყენოს თავისი უფლებები და სათანადო ხმის ამაღლებითა და ინტონაციით მოუწოდოს მას წესრიგისაკენ და განუმარტოს, რომ ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა მოვალეობა. მას არავინ აიძულებს ჩვენების მიცემას, მას უფლება აქვს საერთოდ თავი შეიკავოს და უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. გამოძიება მისი ჩვენების გარეშეც შეძლებს გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და სხვ. ამასთან, საჭიროა თანმიმდევრულად ვამხილოთ იგი ცრუ ჩვენების მიცემაში საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებების წარდგენით და მამხილებელი კითხვების თანმიმდევრული დასმით დავარწმუნოთ, რომ თავისი ასეთი საქციელითა და ჩვენებით თავის თავს პრაქტიკულად კარგს ვერაფერს შემატებს.

ეჭვმიტანილი დასაკითხი პირისადმი გამომძიებლის ასეთმა კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ და ცრუ ჩვენების მიცემაში მისმა თანმიმდევრულმა მხილებამ არ შეიძლება სასურველი შედეგი არ გამოიღოს და გარდატეხა არ მოახდინოს მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე. თუ გამომძიებელი შეატყობს, რომ მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ გარკვეულ შედეგს მიაღწია, მან კვლავ თავშეკავებულად და აუღელვებლად უნდა გააგრძელოს მისი დაკითხვა და მოახდინოს მისი ჩვენების შევსება და დაზუსტება მომაგონებელი, დამაზუსტებელი და მაკონტროლებელი კითხვების თანმიმდევრული დასმით.

დაკითხვის ასეთი ტაქტიკის გამოყენება შესაძლოა ეფექტური იყოს ბრალდებულის დაკითხვის დროსაც, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ეჭვმიტანილის დაკითხვის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ზემოაღნიშნული დაკითხვის სხვა ზოგადტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხები და საშუალებები, აგრეთვე ბრალდებულის დაკითხვისას რეკომენდებული ტაქტიკური ხერხების უმრავლესობა და, პირიქით.

ეჭვმიტანილის დაკითხვა, როგორც წესი, უნდა მოხდეს დამცველის მონაწილეობით, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს შეკითხვების დასმის უფლება. თუ მის მიერ დასმული შეკითხვა იქნება რაიმე გარემოებაზე მიმნიშნებელი, იგი უნდა იქნეს შეტანილი დაკითხვის ოქმში, მაგრამ გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს ეს შეკითხვა და მასზე პასუხის გაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, **რომ ეჭვმიტანილის დაკითხვის ტაქტიკის შერჩევა, ყოველ კონკრეტულ**

შემთხვევაში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია გამოსაძიებელი საქმის მიმართ თვითონ ეჭვმიტანილის ფსიქოლოგიური განწყობა და დამოკიდებულება. და ეს აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი დაკითხვის მზადებისა და დაკითხვის წარმოების პროცესში.

§6. ბრალდების წაყენებისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკა

ა) პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების ტაქტიკა. წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და ბრალდებულის დაკითხვა გამომძიებლის ერთ-ერთი უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა.

ბრალდებულის დაკითხვას, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა და ბრალდების წაყენება. ე.ი. აქ უნდა განვასხვაოთ ერთიმეორესთან გენეტიკურად დაკავშირებული სამი ცნება: 1) პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა; 2) ბრალდების წაყენება და 3) ბრალდებულის დაკითხვა.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამომძიებლის მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გამოტანილი დასაბუთებული დადგენილება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ბრალდებული პირის სახელი და გვარი, მისი დაბადების რიცხვი, თვე და წელი; ბრალდების ფორმულირება; მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ეს დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; იქვე ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია და მიეთითოს სსკ-ის იმ მუხლსა (მუხლებზე) და მის ქვეპუნქტებზე, რომლითაც (რომლებითაც) მოხდა მისი შეფასება.

სსსკ-ის 282-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართაც არსებობს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებული წესი. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხ-

მობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების შესახებ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობდა აზრთა სხვაობა. ზოგიერთი კრიმინალისტი, მაგალითად, მ.ევგენიევი თავის ნაშრომში „დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკა და მეთოდიკა" (გვ. 214-215), მოითხოვდა, რომ პირისათვის ბრალდების წაყენება მომხდარიყო საქმეზე წინასწარი გამოძიების ძირითადად დამთავრების შემდეგ, რაც, ჩემი აზრით, არასწორი და გაუმართლებელი იყო როგორც პროცესუალური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით და, შეიძლება ითქვას, რომ მან ამიტომაც ვერ მოიპოვა საერთო აღიარება.

პროცესუალური თვალსაზრისით იგი მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ თუ საქმეზე შევკრებთ ყველა საჭირო დამამტკიცებელ საბუთს და ბრალდების წაყენებას გადავდებთ გამოძიების დამთავრების ბოლოსათვის, ამით ბრალდებულს საშუალება წაერთმევა განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლება დაცვაზე წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

ზემოაღნიშნული მოსაზრება ტაქტიკური თვალსაზრისითაც მიუღებელია იმიტომ, რომ მოცემული პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, პირს უნდა წაეყენოს ბრალდება. დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს ბრალდება უნდა წარედგინოს მისი მიყვანის დღესვე. ხოლო თუ პირი ეჭვმიტანილის სახით იყო დაკავებული, დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა, გამოტანილ უნდა იქნეს დადგენილება პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, წაეყენოს ბრალდება და დაიკითხოს ბრალდებულის სახით.

ბრალდების წაყენების დროს იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამცველით. თუ ბრალდების წაყენებას გადავდებთ გამოძიების ბოლოსათვის, მაშინ ამავე დროისათვის უნდა გადაიდოს პირის ბრალდებულის სახით დაკითხვაც და, ცხადია, პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანაც, რაც, ვფიქრობთ, უდავოდ უარყ-

ოფითად იმოქმედებს გამოძიების ხარისხზე, ვინაიდან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილების სწორად და დროულად შედგენა მეტ-ნაკლებად უკვე განსაზღვრავს ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მიღების შესაძლებლობას.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა არა სრული მტკიცებულების არსებობა, არამედ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული და როცა გამომძიებელი მოიპოვებს საქმეზე ასეთ „მტკიცებულებათა ერთობლიობას", მან დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და 48 საათის განმავლობაში წაუყენოს ბრალდება.

თუ დანაშაულის ჩადენაში იმხილება რამდენიმე პირი, მაშინ რეკომენდებულია თითოეული მათგანის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება გამოტანილ იქნეს ცალ-ცალკე.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილება ისეთნაირად უნდა იქნეს შედგენილი მტკიცებულებათა მითითების თვალსაზრისით, რომ მან გარკვეულად შეუწყოს ხელი მოცემული პირის ბრალდებულის სახით დაკითხვის ტაქტიკის შემუშავებას. კერძოდ, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში, დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის დანაშაულებრივი ქმედება ისეთი თანმიმდევრობით უნდა იყოს გადმოცემული, რომ დადგენილების გაცნობის დროს, ბრალდებულს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ გამოძიებისათვის ცნობილია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთლიანი მექანიზმი. დადგენილებაში მიზანშეწონილია მიეთითოს, თუ სად, როდის, ვისი მონაწილეობით, როგორ და რა საშუალებით იქნა დანაშაული ჩადენილი. მასში უნდა მიეთითოს აგრეთვე იმაზე, თუ ბრალდებულის ქმედება როგორ იქნა შეფასებული და სსკ-ის რომელი მუხლით ან მუხლებით იქნა დაკვალიფიცირებული.

არასწორად მიმაჩნია და ვერ გავიზიარებ იმ პროცესუალისტებისა და კრიმინალისტების შეხედულებას, რომლებიც მოითხოვენ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულების მითითებას.

ასეთი მოსაზრება, ჩემი აზრით, ყოვლად მიუღებელი და ტაქტიკურად გაუმართლებელია. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგე-

ბაში მიცემის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ყველა ძირითადი დამტკიცებელი საბუთის მითითება, ჯერ ერთი, ბრალდებულს საშუალებას მისცემს წინასწარ განსაზღვროს, თუ საქმეზე რა დამამტკიცებელი საბუთებია შეკრებილი მის წინააღმდეგ, რა გარემოებები და რა ფაქტებია გამოძიებისათვის ცნობილი და რა არა. და ამისდა მიხედვით მოემზადოს დასაკითხად. ეს გარემოება თავისთავად მისთვის თავდაცვის საუკეთესო საშუალებაცაა. გამომძიებლისათვის იგი სხვა არა იქნება რა, თუ არა მისი ფაქტობრივი „განიარაღება". მეორეც, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში ყველა მტკიცებულების მითითება იქნებოდა ბრალდებულისათვის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების წარდგენა და არა პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა.

ეს გარემოება, ვფიქრობთ, მართებულად იქნა გადაწყვეტილი საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის 75-ე მუხლის თანახმადაც, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილება „უნდა შეიცავდეს იმ ქმედების აღწერას, რომლის ჩადენაც ბრალად ედება პირს და მის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას," აგრეთვე ის „მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა".

ამავე მუხლის თანახმად, დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად შეიძლება მიცემულ იქნეს არა უმეტეს 12 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაეყენა ახალი ბრალდება, ამ ვადის გასვლისთანავე ამ პირის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში ბრალდებულის მიმართ შეუძლებელი იყო საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარება მისი ავადმყოფობის გამო, ან თუ იგი ემალებოდა გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა, ან იცავდა იმუნიტეტი.

ბრალდების წაყენების ზემოაღნიშნული მოსამზადებელი მოქმედების — პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის გარდა, საჭიროა დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო ამ დროის განმავლობაში ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მისი მოყვანიდან 24 საათში უნდა წაეყენოს ბრალდება და დაიკითხოს ბრალდებულის

სახით. ეს წესი არ ვრცელდება ბრალდებულ თანამდებობის პირზე, რეკეტიორსა და ქურდული სამყაროს წევრზე, თუ იგი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.

ორივე ზემოაღნიშნული საკითხი, შეიძლება ითქვას, კარგადაა მოგვარებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლით, რომლის საფუძველზე, პირი, რომელიც ბრალდებულად იქნა პასუხისგებაში მიცემული, დაბარებულ უნდა იქნეს უწყებით ან სხვა საშუალებით. ხოლო თუ იგი თავს აარიდებს გამოცხადებას, გამომძიებელი ან პროკურორი გამოიტანს დადგენილებას მისი მოყვანის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ იგი დაემალება გამოძიებას, გამომძიებელი ან პროკურორი სასამართლოს წინაშე აღძრავს შუამდგომლობას მის მიმართ პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოაცხადებს ამ პირის ძებნას.

თუ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული პირი დაკავებული ან დაპატიმრებულია, ასეთ დროს გამომძიებელი ან პროკურორი განკარგულებას აძლევს თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციას მოცემული პირის გარკვეულ დროსა და ადგილას მიყვანის შესახებ. ამასთან, გამომძიებელმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები ბრალდების წაყენებაში ბრალდებულის ინტერესების დამცველის მონაწილეობის შესახებ და უზრუნველყოს იგი დამცველით.

სსსკ-ის 284-ე მუხლის საფუძველზე ბრალდების წასაყენებლად მოყვანილ პირსა და მის დამცველს გამომძიებელი ან პროკურორი აცნობს დადგენილებას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ ასეთ მოქმედებას აწარმოებს გამომძიებელი, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს. გამოძახებულმა პირმა და მისმა ინტერესების დამცველმა წერილობით უნდა დაადასტურონ, რომ ისინი გაეცნენ დადგენილებას. პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილების ასლს, ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით, გამომძიებელი ან პროკურორი გადასცემს ბრალდებულსა და დამცველს. ამასთან, მას დამცველის მონაწილეობით იქვე უნდა განემარტოს მისი უფლება-მოვალეობები.

ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს გამონაკლისს იმ თანამდებობის პირების, რეკეტიორებისა და ქურდული სამყაროს წევრების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას და

ეს გამონაკლისი გამოიხატება იმაში, რომ გამომძიებელი ან პროკურორი ბრალდების წასაყენებლად იძახებს ამ ბრალდებულების დამცველს და გააცნობს მათ დადგენილებას თანამდებობის პირის, რეკეტიორის ან ქურდული სამყაროს წევრის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ და ეს ჩაითვლება ბრალდების წაყენებად. ბრალდებულის დამცველმა წერილობით უნდა დაადასტუროს თანამდებობის პირის, რეკეტიორის ან ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობის ფაქტი.

ბრალდების წაყენების შემდეგ პირველ დაკითხვამდე ბრალდებულს უფლება აქვს შეხვდეს პირისპირ თავის დამცველს და მისგან მიიღოს სათანადო კონსულტაცია, რის შემდეგაც გამომძიებელი უნდა შეუდგეს ბრალდებულის დაკითხვას წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტზე. დაკითხვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის ინტერესების დამცველმა და პროკურორმა, თუკი ამ უკანასკნელს ეს საჭიროდ მიაჩნია.

რაც შეეხება არასრულწლოვანი ბრალდებულისა და ყრუ-მუნჯის დაკითხვას, აგრეთვე სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირთა საქმეებზე და იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც შეიძლება დაენიშნოთ უვადო თავისუფლების აღკვეთა ან თუ ბრალდებული, ან მისი წარმომადგენელი იშუამდგომლებს, ასეთ დროს პროკურორის მონაწილეობა დაკითხვაში სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალდება მოითხოვს შეცვლას ან მის შევსებას, გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს ახალი დადგენილება ამ ეპიზოდით პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. გამომძიებელი ასევე უფლებამოსილია წარდგენილი ბრალდების რომელიმე ნაწილში ან ეპიზოდში შეწყვიტოს ბრალდების საქმე და ამის შესახებ გამოტანილი დადგენილება გადაუგზავნოს დასამტკიცებლად პროკურორს. ამ დადგენილების ასლიც უნდა გადაეცეს ბრალდებულისა და მისი ინტერესების დამცველს.

ასევე იმ შემთხვევაში, როცა გამოძიების პროცესში გამოვლინდება იმ პირის მიერ ჩადენილი ახალი დანაშაულებრივი ფაქტები, რომელსაც ადრე ერთხელ უკვე წარედგინა ბრალდება, მაშინ საჭიროა გამომძიებელმა კვლავ გამოიტანოს დადგენილება მოცემული პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, განმეორებით

წარუდგინოს ბრალდება და დეტალურად დაჰკითხოს იგი ახლად წარდგენილი დამატებითი ბრალდების ირგვლივ.

ბ) *ბრალდებულის დაკითხვის ზოგადი პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები.* ბრალდებული უნდა დაიკითხოს დღის საათებში, წინასწარი გამოძიების ადგილას ან იქ, სადაც იგი იმყოფება. დაკითხვა უნდა მოხდეს სხვა ბრალდებულებისაგან განცალკევებით და, როგორც აღვნიშნეთ, დაკითხვას შეიძლება დაესწროს მისი ინტერესების დამცველი.

ბრალდებული უნდა დაიკითხოს წაყენებული ბრალდების არსის მიხედვით და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა შესახებ. დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს უნდა განემარტოს მისი უფლება-მოვალეობები და ის, რომ მას უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს, რომ დაკითხვის დაწყებისთანავე **გამომძიებელმა „გაარკვიოს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“.** ბრალდებულს შეუძლია აირჩიოს დუმილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავს დამნაშავედ ცნობდეს. პირიქით, კანონის ენით რომ ვთქვათ, „ბრალდებულის დუმილი ნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს“.

საკანონმდებლო წესით იმაზე მითითება, რომ ბრალდებულმა განმარტოს **„ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“, არასწორია, ჯერ ერთი,** იმიტომ, რომ ეს არის მოცემული კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საწყისი ეტაპი, როცა იგი ჯერ კიდევ დაკითხულიც არ გვყავს ბრალდებულის სახით. იგი მხოლოდ ბრალდებულის სახითაა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და არავითარი უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ მასზე, როგორც დამნაშავეზე. რომ აღიაროს კიდეც დანაშაული, იგი, სსსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, მაინც „არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ ბრალის აღიარება დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით“.

მეორეც, იგი ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი წარმოების ისეთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ პრინციპს, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

მესამე, არავის არა აქვს უფლება პირი ცნოს დამნაშავედ სასამართლოს გარდა. მხოლოდ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი გან-

აჩენში დაასაბუთოს პირის ბრალეულობა, დაადგინოს მოცემული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, ცნოს პირი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ და მოცემული კონკრეტული პირის მიმართ გამოიტანოს დასაბუთებული გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი. სხვა არც ერთ თანამდებობის პირს, მათ შორის არც შს მინისტრს, არც იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორსა და თვით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესაც არა აქვს უფლება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გარეშე, მისი არარსებობის შემთხვევაში, პირს უწოდოს დამნაშავე და ასეთი „პრივილეგია" რატომ უნდა მიენიჭოს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიმცემ გამომძიებელს ან თვითონ პასუხისგებაში მიცემულ პირს?

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მიმაჩნია, რომ სსსკ-ში აღიარებული ზემოაღნიშნული ფორმულირება არასწორია და იგი დროულად უნდა შეიცვალოს.

ბრალდებულის პირველი დაკითხვა თავისი მოცულობით უნდა იყოს სრული და ყოველმხრივ ამსახველი მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულებრივი ქმედებისა. ამიტომ მისი დაკითხვა უნდა დავიწყოთ მისი თავისუფალი თხრობით. ბრალდებულმა ჩვენების მიცემისას რეგლამენტირებულია თავისუფლად ჩამოაყალიბოს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, რის შემდეგაც მას შეიძლება დაუსვან კითხვები გამომძიებელმა, პროკურორმა და დამცველმა. ამასთან, კანონი გამომძიებელს უფლებას აძლევს განარიდოს კითხვა, თუ იგი საქმეს არ ეხება ან მისახვედრია, მაგრამ კითხვა უნდა დაფიქსირდეს ოქმში. კანონით რეგლამენტირებულია ისიც, რომ 18 წლამდე ასაკის ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პედაგოგმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.

ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკის სწორად შერჩევისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად სწორად შევარჩევთ გამოსაძიებელ საქმეზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ რამდენიმე პირთაგან ბრალდების წაყენების თანმიმდევრობას და მათთვის ბრალდების წაყენების დროის განსაზღვრას. იმ შემთხვევაში, როცა პირველადი მონაცემებით დანაშაულში მხილებულ პირთა რიცხვი ორი ან მეტია, ასეთ დროს, როგორც წესი, ჯერ ბრალდება უნდა წაეყენოს და ბრალდებულის სახით დაიკითხოს ის პირი, რომლის მიმართაც საქმეზე უფრო მეტი დამამტკიცებელი საბუთები, მეტი მტკიცებულება მოგვე-

პოვება და რომლისგანაც წინასწარი მონაცემებით მოსალოდნელია, რომ მივიღებთ სწორ ჩვენებას და დანაშაულში მონაწილე სხვა დანარჩენ პირთა დანაშაულებრივი ქმედების მამხილებელ მასალებს. ბრალდების წაყენების ასეთი თანმიმდევრობა, ვფიქრობთ, გარკვეულწილად გააადვილებს ბრალდებულის სახით დანაშაულში მხილებულ დანარჩენ პირთა შემდგომი დაკითხვისათვის ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევასა და გამოყენებას.

გ) კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფი ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკის ზოგიერთი თავისებურება. ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ამ რთული საპასუხისმგებლო საგამოძიებო მოქმედების სწორად, მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული დანაშაულის სრული, ყოველმხრივი გახსნა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

ბრალდებულის დაკითხვა რთულია იმითაც, რომ თვითონ დასაკითხ ბრალდებულზე უკეთ არავინ იცის მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმი, მისი ჩადენის ხერხები, საშუალებები და მასში მონაწილე პირები, მოცემული დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები.

იმისათვის, რომ ყოველივე ამის შესახებ ბრალდებულისაგან მივიღოთ სწორი ჩვენება, ეს თავისებურად დიდ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას საჭიროებს. ეს ურთულესი პროცესია იმითაც, რომ უმეტესწილად დასაკითხი ბრალდებული კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფება გამომძიებელთან და ყოველმხრივ ცდილობს არ მისცეს სწორი ჩვენება, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. იმისათვის, რომ ჩავწვდეთ ბრალდებულის საიდუმლოებას და მივიღოთ მისგან სწორი, ობიექტური ჩვენება, იგი სპეციალური ცოდნის გარდა, გამომძიებლისაგან მოითხოვს დიდ ხელოვნებასაც. ამიტომ არცთუ ისე უსაფუძვლოა იმ ავტორების შეხედულება, რომლებიც ბრალდებულის დაკითხვას დიდ ხელოვნებად მიიჩნევენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ამ რთული და საპასუხისმგებლო მოქმედების ჩასატარებლად საჭიროა გამომძიებელი სრულყოფილად მოემზადოს არა მარტო დასაკითხი ბრალდებულის პიროვნებისა და საქმეში არსებული მასალების სრული, ყოველმხრივი შესწავლა-გამოკვლევის მიმართებაში, არამედ დაკითხვის ადგილისა და გარემოების შერჩევაში, დაკითხვისათვის სათანადო პირობების შექმნაში და

ამისათვის საკუთარ ფსიქოლოგიურ განწყობას და თავის თავის მოწესრიგებასაც სათანადო ადგილი დაუთმოს.

ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ადრე მართებულად წერდა მოსკოვის ქალაქის პროკურორი და ნიუნბერგის პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მეცნიერების დაშახურებული მოღვაწე, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის კათედრის გამგე პროფესორი ა. ვასილევი: იცოდეს გამომძიებელმა, რომ მისი გარეგნობით შეიძლება უკვე გავაკეთოთ დასკვნა როგორი მუშაკია იგი, ხოლო თუ ვნახავთ მის სამუშაო გარემოებას, მის სამუშაო ადგილს, შეიძლება უშეცდომოდ განვსაზღვროთ ამ გამომძიებლის საქმიანობის ხარისხი. ამასთან, იგი ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მიღების შესაძლებლობას გამომძიებლის ხელოვნებად მიიჩნევდა. ამიტომ იგი ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით გამომძიებლებს ურჩევდა ყურადღება მიექციათ ისეთი საკითხებისათვის, როგორიცაა: დაკითხვის გარემოება, ბრალდებულის დაკითხვის გეგმა, დაკითხვის ტონი, დაკითხვის დროულობა და ობიექტურობა, საქმის მასალების შესწავლა, გამომძიებლის აქტიურობა ბრალდებულისაგან სწორი პასუხების მისაღებად, ნივთიერ მტკიცებულებათა მარჯვედ გამოყენება და ბრალდებულის აღიარების დამაგრება.[1]

ბრალდებულის დაკითხვა მიზანშეწონილია დავიწყოთ იმით, რომ მიეცეს მას საშუალება მოგვითხროს მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, რის შემდეგაც მისგან მიღებული ჩვენების შესავსებად მას შეიძლება დაესვას მომაგონებელი, დამაზუსტებელი, მაკონტროლებელი და მისი სიცრუის მამხილებელი კითხვები. ამასთან, კონკრეტული გარემოებისა და სიტუაციის გათვალისწინებით შეირჩეს მისი დაკითხვის სხვა ტაქტიკური ხერხების გამოყენების თანმიმდევრობა.

ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მიღება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ გამომძიებელი რამდენადაა მომზადებული დაკითხვისათვის, რამდენად იცნობს იგი საქმეში არსებულ მამხილებელ მასალებს, რამდენად სწორად გამოიყენებს მათ დაკითხვის პროცესში და რამდენად სრულყოფილად, დეტალურად მოახდენს მის დაკითხვას მისთვის ბრალად შერაცხული ეპიზოდების შესახებ.

---

[1] А. Васильев. Тактика допроса обвиняемого. „Социалистическая законность", 1950. №4, გვ. 13-14.

ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მიღება დამოკიდებულია აგრეთვე გამომძიებლის პრაქტიკულ გამოცდილებაზე, მის თეორიულ მომზადებაზე და იმაზე, იცნობს თუ არა ბრალდებულის დაკითხვისათვის კრიმინალისტიკაში შემუშავებულ დასაშვებ ტაქტიკურ ხერხებს და შეუძლია თუ არა მათი სწორი გამოყენება.

ბრალდებულის დაკითხვის პროცესში და მის დაწყებამდე წინასწარ შესწავლილ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის ფსიქოლოგიური განწყობა და დაკითხვაზე წარმოდგენამდე მისი გარემომცველი გარემოება, შეიძლებოდა თუ არა მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე ზემოქმედება მოეხდინა ვინმეს და ამის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილების გაცნობა და იმის განცდები და შიში, რომ დაკითხვის პროცესში შესაძლოა გამოვლინდეს მისი დანაშაულებრივი ქმედება, ბრალდებულში იწვევს ემოციურ განცდებს, გაღიზიანებას და ჩადენილი დანაშაულისათვის წაყენებული ბრალდება მისი აზროვნების ცენტრში იკავებს მუდმივ ადგილს, რომელიც აიძულებს იფიქროს, იაზროვნოს და ერთიმეორეს დაუპირისპიროს ფაქტები, აზრები და სურვილები.

დაკითხვაზე წარმოსადგენი ბრალდებულის ასეთი ემოციური განცდების ჭიდილში თავს იჩენს ეგრეთ წოდებული დადებითი და უარყოფითი მოტივების ურთიერთდაპირისპირება. დადებითად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ დაკითხვის მოლოდინში ბრალდებულს წამოეჭრება სურვილი — აღიაროს ჩადენილი დანაშაული (თუკი მას ნამდვილად ჩადენილი აქვს იგი) და გამოძიებას მისცეს სწორი ჩვენება. მაგრამ იმავე დროს მასში წამოიჭრება მეორე — სრულიად საწინააღმდეგო სურვილი — დამალოს თავის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან სჯერა, რომ გამოძიება ვერ ჩასწვდება მის მიერ მტკიცედ შენიღბულ დანაშაულის ჩადენის მექანიზმს და ამჯობინებს თავის მართლების მიზნით გამოძიებას მისცეს არასწორი ჩვენება და ამ მიმართებით იგი ქმნის თავისი ჩვენების სხვადასხვა მოდელს.

ასეთი ემოციური და ზოგჯერ მომეტებული აგრესიული განწყობით წარმოდგენილი ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მისაღებად გამომძიებელი უნდა შეეცადის დაამყაროს მასთან სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტი, ჩაწვდეს მის ფსიქოლოგიურ განცდებს, მოძებნოს მასში

დადებითი მოტივები და დაეხმაროს მას უარყოფით მოტივებზე გამარჯვებაში, მოიპოვოს ბრალდებულის ნდობა და დაეხმაროს მის შემეცნებაში უკვე ჩამოყალიბებული მცდარი, არასწორი ჩვენების მოდელის დაშლაში და მიაღწიოს მისგან სწორი, ობიექტური ჩვენების მიღებას. ამ მიზნით გამომძიებელმა უნდა შეარჩიოს და დასაკითხ პირს მისცეს სწორი ლოგიკური თანმიმდევრობით აგებული და კარგად გამოკვეთილი კითხვები; გულდასმით მოისმინოს დასმულ კითხვებზე ბრალდებულის პასუხი და შეძლოს მისი სწორი გაანალიზება.

თუ მოსალოდნელია, რომ ამგვარი ტაქტიკური ღონისძიებების მიუხედავად ბრალდებული არ შეცვლის თავის აგრესიულ განწყობას და ამ გზით ყოველმხრივ შეეცდება თავის მართლებას, ცრუ ჩვენების მიცემას და გამომძიებლის მიმართ პროვოკაციას — მოტყუებითა და ძალადობით ჩვენების გამოძალვის იმიტაციის შესახებ, ასეთ დროს მიზანშეწონილია მისი დაკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღოს გამოსაძიებელ საქმეზე შექმნილი ჯგუფის ორმა გამომძიებელმა, რომელთაგან ერთი შეიძლება საპასუხო ემოციური განწყობით აქტიურად ჩაებას ბრალდებულის დაკითხვის პროცესში, მეორე კი შეეცადოს უფრო დამშვიდებული სახით ჩაებას დაკითხვაში და მოუწოდოს ორივეს შეინარჩუნონ სიმშვიდე და დაკითხვა წარმართონ მშვიდად, ყოველგვარი ყვირილის, ექსცესებისა და ტრაგიკულ-ფსიქოლოგიური განცდების გარეშე, და კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის მიზნით საუბარი გადაიტანოს სხვა უფრო ზოგად, განყენებულ სასიამოვნო თემაზე და ამით შექმნას ურთიერთკეთილგანწყობის ატმოსფერო, მოიპოვოს დასაკითხი ბრალდებულის ნდობა და ყოველივე ამის შემდეგ დაკითხვა გააგრძელოს მშვიდ გარემოებაში. დაკითხვის ეს ტაქტიკური ხერხი, ვფიქრობთ, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალურ წესს და ტაქტიკურადაც გამართლებულია, რადგან რთული და მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოსაძიებლად გამოძიების ჯგუფურ და ბრიგადულ მეთოდსაც ხშირად მიმართავენ.

ბრალდებულის დაკითხვის სწორად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, როგორც აღვნიშნე, საჭიროა გამომძიებლის სათანადო მომზადება. **ბრალდებულის დაკითხვისათვის გამომძიებლის ასეთ ძირითად მოსამზადებელ გარემოებად მიჩნეულია:**

1) საქმეში არსებული მასალების დეტალური გაცნობა და იქიდან

საჭირო მტკიცებულებების ქაღალდზე ჩანიშვნა საქმის ფურცლებზე მითითებით;

2) ბრალდებულთა დაკითხვის თანმიმდევრობის განსაზღვრა (როცა საქმეში რამდენიმე ბრალდებულია);

3) დასაკითხი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების მამხილებელი მასალების მომარჯვება;

4) საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ პირებთან დასაკითხი ბრალდებულის ნაცნობობისა და მათი ურთიერკავშირისა და ურთიერთშეხვედრის დამადასტურებელი ფაქტების ამსახველი მასალების მოძებნა და მომარჯვება;

5) დაკითხვის ადგილისა და დროის შერჩევა;

6) ბრალდებულის პიროვნების პროფესიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა და ამის შესაბამისად დაკითხვის ტაქტიკური ხერხების შერჩევა;

7) დაკითხვის გეგმის შედგენა და მასში გამოსაკვლევი გარემოებების შესახებ ბრალდებულის დაკითხვის თანმიმდევრობის განსაზღვრა;

8) დაკითხვისათვის სათანადო გარემოპირობების შექმნა;

9) დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევ პირთა (როცა ეს კანონითაა გათვალისწინებული) შერჩევა და მათი მოყვანა;

10) დაკითხვისათვის თვითონ გამომძიებლის გარეგანი და შინაგანი ფსიქოლოგიური მომზადება და სხვ.

ზემოაღნიშნული მოსამზადებელი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია — ბრალდებულის დაკითხვის გეგმის შედგენა, რომელშიც მიზანშეწონილია საორიენტაციოდ გათვალისწინებულ იქნეს ისეთი გარემოებების ახსნა-გამოკვლევა, როგორიცაა: დასაკითხი ბრალდებულის ბიოგრაფიისა და მისი საქმიანობის ძირითადი დამახასიათებელი გარემოებების ახსნა; ბრალდების ყველა ეპიზოდის ახსნა-გამოკვლევა და ამ მიზნით საქმეში არსებული გამოსაყენებელი მასალების (მტკიცებულებების) მომარჯვება; ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში მისი მასალებისა და მისგან სწორი ჩვენების მისაღებად ძირითადი საორიენტაციო საკითხების წრისა და მათი თანმიმდევრული დასმის განსაზღვრა და სხვ.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან დაკითხვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოსამზადებელ საფეხურად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ბრალდებულის მიერ ჩადენილი ყველა შესაძლო მამხილებელი მასალების შეკრება,

რადგან, როგორც წესი, დასაკითხმა პირმა შეიძლება თავისი თავი დამნაშავედ ჩათვალოს მხოლოდ მაშინ, როცა მას სათანადო დამამტკიცებელი საბუთებით ყოველმხრივ ვამხელთ მიღებული ჩვენების სიცრუეში.

დაკითხვის მომზადების მომდევნო მნიშვნელოვანი გარემოებაა ბრალდებულის პიროვნების წინასწარი, ყოველმხრივი გამოკვლევა.

ზემოხსენებული გარემოებების წინასწარი შესწავლა-გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია დაკითხვის მართებული ტაქტიკური ხერხების შერჩევა და დანაშაულში მონაწილე პირების ბრალდებულის სახით დაკითხვის სწორი თანმიმდევრობის განსაზღვრა.

დასაკითხი პიროვნების შესწავლა, როგორც მართებულად შენიშნავს ჩეხი კრიმინალისტი ა. როშა, საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ არა მარტო დაკითხვის ხერხები, არამედ დავადგინოთ აგრეთვე მოცემული დანაშაულის მოტივები, გამოვავლინოთ დანაშაულის უშუალო მიზეზები და მოვძებნოთ დამნაშავის გამოსწორების გზები.[1] ამავე დროს, როგორც ცნობილია, ბრალდებულის პიროვნების შესწავლის გარეშე არ შეიძლება ვილაპარაკოთ საქმეზე არასწორი გამოძიების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე, ვინაიდან ბრალდებულის პიროვნების შესწავლა არის საქმეზე წინასწარი გამოძიებით დადგენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება.

ბრალდებულის დაკითხვისას ასევე რეკომენდებულია, გამომძიებელმა გულდასმით მოისმინოს ბრალდებულის მიერ თავის მართლების მიზნით წამოყენებული ყველა განმარტება (დარწმუნებულიც რომ იყოს მის სიცრუეში), მოახდინოს მისი ჩვენების ზუსტი ფიქსაცია, მოაწერინოს მასზე ხელი და შემდეგ საქმეში არსებული მტკიცებულებების სწორი თანმიმდევრული წარდგენით ამხილოს იგი მოცემული ჩვენების სიცრუეში.

ბრალდებულის დაკითხვის პროცესში საქმეზე შეკრებილი სხვა კარგად შემოწმებული მტკიცებულებების (მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება, ამავე საქმეში მონაწილე სხვა ბრალდებულის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩხრეკის დროს აღმოჩენილი და ამოღებული ნივთიერმტკიცებულებათა საბუთები, კინო და ვიდეოგადაღებების დემონსტრირება და სხვ.) ტაქტიკურად სწორი თანმიმდევრული წარდგენა ან მაგნიტოფირზე ჩაწერილი ისეთი

---

[1] **А.Н.Роша.** Процессуальные и психологические начала допроса обвиняемого. Автореферат кандидатской диссертации. М., 1965, gv. 15.

ინფორმაციის მოსმენა, რომლითაც ბრალდებული იმხილება ჩადენილ დანაშაულში და სხვ, რომელთა წარდგენა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება ვაწარმოოთ შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ წარვუდგინოთ ნაკლებად ძლიერი მტკიცებულება (დამამტკიცებელი საბუთები და სხვ.), შემდეგ უფრო მეტი სიძლიერის მქონე მტკიცებულება ან ყველა ერთად.

მაგალითად, მ-ემ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და დაკითხვისას კატეგორიულად უარყო კ-ისა და პ-საგან ქრთამის აღება. როდესაც გამომძიებელმა მას წარუდგინა მისი ბინიდან ამოღებული შემნახველი სალაროს წიგნაკი 9000 მანეთის შენატანზე და ჰკითხა, საიდან ჰქონდა მას ასეთი დიდი რაოდენობის ფული, ამაზე მ-ემ უჩვენა, რომ 10000 მანეთი დაუტოვა მისმა მამამ ოთახის მოწყობილობის შესაძენად. მისი ასეთი ცრუ ჩვენების გამოსამჟღავნებლად გამომძიებელი სწორად მოიქცა, როცა მას წარუდგინა მოწმის სახით დაკითხული მისივე მამის ბ-ის ჩვენება იმის შესახებ, რომ მან მ-ეს 10000 მანეთი კი არ დაუტოვა, არამედ მისთვის გადასაცემად ზ-ეს ქუთაისიდან გამოატანა 7000 მანეთი. შემდეგ მან წარუდგინა აგრეთვე ზ-ეს ჩვენება, რომელშიც უფრო ნაკლები თანხა იყო დასახელებული. ამ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის შემდეგ მ-ემ აღიარა, რომ ბინის მიღების საგარანტიო წერილის მიცემაში დახმარებისათვის კ-ს ქრთამის სახით გამოართვა 3000 მანეთი, პ-ეს — 2000 მანეთი, რ-ეს კი ჯერ — 3000 მანეთი, შემდეგ კი — 2000 მანეთი.

ზოგიერთი კრიმინალისტის (ა.ვასილევის და სხვ.) აზრით, ბრალდებულის დაკითხვა ცრუ ჩვენების მხილებაში ტაქტიკურად მიზანშეწონილია დავიწყოთ ჯერ ძლიერი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენით, შემდეგ კი შედარებით უფრო სუსტი მტკიცებულებების წარდგენით იმ იმედით, რომ ბრალდებული აღიარებს თავის ბრალს და საქმის დანარჩენ ყველა ეპიზოდის შესახებაც მოგვცემს სწორ ჩვენებას.

ჩემი აზრით, ასეთი ტაქტიკა მთლად გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ერთი და იგივე ტაქტიკური ხერხი არ შეიძლება ყოველთვის შაბლონურად იქნეს გამოყენებული. საქმეში არსებული მტკიცებულებების წარდგენის ასეთი წესით ზოგჯერ გამომძიებელი შეიძლება ბრალდებულის წინაშე განიარაღებული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე გვაქვს გამოცდილი დამნაშავის დაკითხვასთან. ამიტომ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის ეს

ტაქტიკური ხერხი, როგორც აღვნიშნეთ, მიზანშეწონილია შეირჩეს და გადაწყდეს ყოველი კონკრეტული სიტუაციისა და დასაკითხი პიროვნების გათვალისწინებით.

ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მისაღებად რეკომენდებულია ზოგჯერ გამოვიყენოთ აგრეთვე განმეორებითი დეტალური დაკითხვის ტაქტიკური ხერხი, ვინაიდან ბრალდებულმა შეიძლება ვერ გაითვალისწინოს ყველაფერი (თუკი იგი ცრუ ჩვენებას იძლევა) და მეორე ჩვენებაში გადმოსცეს პირველი ჩვენების საწინააღმდეგო ფაქტები და ამით გამომძიებელმა ამხილოს იგი ცრუ ჩვენებაში. ყოველივე ამან არ შეიძლება დადებითი გავლენა არ მოახდინოს ბრალდებულის ფსიქოლოგიურ განწყობაზე, მისცეს სწორი, ობიექტური ჩვენება.

ბრალდებულის დაკითხვის პროცესში ცალკეული ეპიზოდების შესახებ დეტალური დაკითხვის ტაქტიკური ხერხის გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია ისეთი შემთხვევების მიმართ, როცა ბრალდებული თავის არასწორ ცრუ ჩვენების მიცემას ამყარებს ალიბზე მითითებით და სხვ.

სრულიად მართებულად მიმაჩნია იმ კრიმინალისტების მოსაზრება, რომლებიც დაუშვებლად თვლიან ბრალდებულის დაკითხვის დროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონების საწინააღმდეგოდ ისეთი სახის ტაქტიკური ხერხების გამოყენებას, როგორიცაა ბრალდებულის მოტყუება ან მუქარა, რომ მის მიმართ რაიმე უკანონო მოქმედება შესრულდება; რომ დაეხმარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაში, ან სასამართლოში მინიმალური სასჯელის მიცემაში და სხვ.

ასევე, არასწორად მიმაჩნია იმ კრიმინალისტების მოსაზრება, რომლებიც გვთავაზობენ ბრალდებულის დაკითხვის პროცესში სხვა კიდევ უფრო მსუბუქი სახის კანონსაწინააღმდეგო „ტაქტიკური“ ხერხების გამოყენებას; კერძოდ, სხვადასხვა „სამხედრო ეშმაკობას“, „ფსიქოლოგიური გამოჭერისა“ და სხვა მისთანების გამოყენებას.[1]

რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში გატარებულია შეხედულება, რომლითაც ბრალდებულის დაკითხვის პროცესში მისგან მიღებული არასწორი, ცრუ ჩვენების გამოსამჟღავნებლად გამოსაყენებელი ყველა ტაქტიკური ხერხი, თავიანთი ხასითისა და დანიშნული მიმართულების მიხედვით, პირობითად დაიყ-

---

[1] იხ.В.Г.Красуский. О некоторых психологических приемах расследования. „Следственная практика“, вып. 65, М., 1964, გვ. 98-105 და სხვ.

ოს სამ ჯგუფად. აქედან პირველს მიაკუთვნებენ ბრალდებულზე ემოციური ზემოქმედების ხერხებს; მეორეს — ლოგიკური ზემოქმედების ხერხებს; მესამეს — ტაქტიკური კომბინაციის ხერხებს.

ბრალდებულზე ზემოქმედების ტაქტიკურ-ემოციურ ხერხებად მიჩნეულია: დასაკითხი პირის დადებით მხარეებზე — მისი სიყვარულისა და გატაცების შეხსენება, მის მაღალპროფესიულ ოსტატობასა და მაღალპროფესიულ ავტორიტეტზე ზრუნვა და სხვ. აგრეთვე დანაშაულის ჩადენაში მონაწილე რომელიმე პირისადმი მისი ანტიპათიური დამოკიდებულების გამოყენება, მასზე მისი დამამცირებელი დამოკიდებულების წარმოჩინება, თავისი ოჯახისადმი მისი ერთგულების შექება და სხვ. ამგვარ საკითხებზე მასთან მცირეოდენი მსჯელობა და სხვ.; **ლოგიკური ზემოქმედების ხერხებად** — ბრალდებულის ჩვენების სინამდვილესთან შეუსაბამობის დემონსტრაციის ტაქტიკური ხერხები; **ტაქტიკური კომბინაციის ხერხების გამოყენებად კი მიჩნეულია** დამკითხავი პირის მიერ ისეთი სიტუაციის შექმნა, რასაც ობიექტურად მოჰყვება მისი გამომჟღავნება და სხვ., სადაც, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, კვლავ მთავარი აქცენტი გადატანილია დასაკითხი პირისადმი მისი სიცრუის გამოსამჟღავნებელი კითხვების სწორ ფორმულირებასა და თანმიმდევრულ, მოულოდნელ დასმაზე და სხვ.

დ) ***დაკითხვის ფიქსაცია.*** დაკითხვის მსვლელობა და შედეგები აუცილებლად ასახულ უნდა იქნეს დაკითხვის ოქმში. ამასთან, რეკომენდებულია ჩვენების ფიქსირება მოხდეს არა უშუალოდ დაკითხვის პროცესში ამა თუ იმ კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით, არამედ ბრალდებულისაგან მიღებული თავისუფალი თხრობის შემდეგ. ამავე დროს, ტექნიკურად სწორი და თავისი შედეგებით უფრო ეფექტური იქნება, თუ ბრალდებულის დაკითხვას არ შევწყვეტთ მის საბოლოო დამთავრებამდე და დაკითხვის პარალელურად ვაწარმოებთ მისი ჩვენების ჩაწერას ხმის ჩამწერი აპარატურის გამოყენებით კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით. წინაალმდეგ შემთხვევაში ის შესვენება, რომელიც ბრალდებულს ეძლევა გამომძიებლის მიერ მისგან მიღებული პასუხების ოქმში გადატანის დროს, უარყოფით გავლენას ახდენს ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მიღების შესაძლებლობაზე, რადგან ამ დროს ნელდება ბრალდებულის გამაღიზიანებელი ემოციური განცდები და მას საშუალება ეძლევა კვლავ აღიდგინოს წონასწორობა. ამავე დროს, ასეთ შემთხვევაში წყდება ბრალდებულსა და გამომძიე-

ბელს შორის დამყარებული ფსიქოლოგიური კონტაქტი. ამიტომ საჭიროა ბრალდებულის დაკითხვის დროს ფართოდ იქნეს გამოყენებული სხვადასხვა სახის ხმის ჩამწერი აპარატურა.

ისევე, როგორც მოწმის, დაზარალებულისა და ეჭვმიტანილის ჩვენების ბრალდებულის ჩვენების ფიქსაციის ძირითად საშუალებადაც მიჩნეულია დაკითხვის წერილობითი ოქმი, რომელიც შეიძლება შესრულებული იყოს როგორც თვითონ დასაკითხი პირის, ისე გამომძიებლის მიერ.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ეს უფლება რეგლამენტირებულია სსსკ-ის 313-ე მუხლით, რომლის თანახმად ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს შეუძლიათ საკუთარი ხელით დაწერონ ჩვენება და ამის შესახებ გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს ოქმში. ამასთან, მათ მიერ წერილობით შედგენილ ჩვენების ოქმის გაცნობის შემდეგ გამომძიებელს შეუძლია დაუსვას მათ შეკითხვები, რაც ასევე შეტანილ უნდა იქნეს ოქმში მასზე გაცემულ პასუხებთან ერთად.

დაკითხვის შედეგების ფიქსაციის ზოგადი წესი რეგლამენტირებულია სსსკ-ის 303-ე მუხლით, რომლის თანახმადაც ოქმთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აუდიო-ვიდეოჩაწერა და კინოგადაღება. ჩვენება დაკითხვის ოქმში უნდა ჩაიწეროს პირველ პირში, შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით ყოველგვარი ჟარგონული გამოთქმების გარეშე. ოქმში შეტანილ უნდა იქნეს დაკითხვის დროს დასმული ყველა კითხვა; თვით ისიც, რომელზეც დასაკითხმა პირმა პასუხი არ გასცა. ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში ოქმს თან უნდა დაერთოს ეს ფირებიც.

დაკითხვის დამთავრებისთანავე ოქმი წაკითხულ უნდა იქნეს ან უშუალოდ დაკითხული პირის მიერ, ან, მისივე თხოვნით, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ. თუ იგი მოითხოვს ოქმში დამატების ან შესწორების შეტანას, იგი აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. დასაკითხ პირს უფლება აქვს თვითონვე დაწეროს თავისი ჩვენება. ოქმის წაკითხვის შემდეგ მან უნდა დაადასტუროს იგი თავისი ხელმოწერით ყველა გვერდზე. თუ დაკითხვაში მონაწილეობას მიიღებს თარჯიმანი, იმანაც თავისი ხელმოწერით უნდა დაადასტუროს წერილობითი ნათარგმნი ჩვენება და ოქმში მისი შეტანის სისწორე.

კანონით რეგლამენტირებულია ისიც, რომ დაკითხვის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ხმის ჩაწერა. მაგრამ მისი გამოყენება არ შეიძლება, თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან მათი ინტერესების დამცველი ამის წინააღმდეგი იქნება.

ხმის ჩამწერი აპარატურის გამოყენების შემთხვევაში გამომძიებელმა დასაკითხ პირს უნდა აცნობოს დაკითხვის დაწყებამდე. ხმის ჩაწერა უნდა მოხდეს მთლიანი ჩვენების და არა მისი ცალკეული ფრაგმენტის სახით და დაკითხვის დამთავრებისთანავე უნდა მოხდეს მთლიანი ჩანაწერის მოსმენა, რის შემდეგაც დასაკითხ პირს უნდა ჰკითხონ, ხომ არ სურს რისიმე დამატება ან დაზუსტება და დაადასტუროს ხმის ჩანაწერის სისწორე, ხოლო თუ იგი გამოთქვამს სურვილს, თავის ჩვენებას კიდევ სხვა რამე დაუმატოს, ასეთ შემთხვევაში მისი დამატებითი ჩვენების ჩაწერაც იმავე ფირზე უნდა მოხდეს.

გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე ეპიზოდის სრულყოფილი გამოკვლევისა და მის ირგვლივ დეტალური ჩვენების მიღების მიზნით, ეჭვმიტანილი და ბრალდებული შეიძლება დაკითხულ იქნეს რამდენჯერმე. ამასთან, მათი ყოველი დაკითხვის დროს შედგენილ უნდა იქნეს დაკითხვის ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს დაკითხვის ადგილი და დრო, გამომძიებლის გვარი და თანამდებობა, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა ან თანამდებობა, ინფორმაცია იმის თაობაზე, იყო თუ არა ნასამართლევი, აქვს თუ არა მიღებული სახელმწიფო ჯილდოები და სხვ. მასში შეტანილი უნდა იყოს აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მონაცემები ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის შესახებ და სხვ.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენება და მათ მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები ოქმში გადმოცემული უნდა იყოს პირველ პირში და შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით. დაკითხვის დამთავრებისთანავე გამომძიებელმა დაკითხვის ოქმი უნდა გააცნოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ ოქმში დამატებისა და შესწორების შეტანა და მათი ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

ოქმს ხელი უნდა მოაწეროს დაკითხულმა პირმა (ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა), გამომძიებელმა და დაკითხვაში მონაწილე პირებმა (პროკურორმა, დამცველმა, კანონიერმა წარმომადგენელმა, პედაგოგმა, თარჯიმანმა). თუ ოქმი რამდენიმე გვერდზეა დაწერილი, დაკითხულმა პირმა (ეჭვმიტანილმა და ბრალდებულმა) ხელი უნდა მოაწეროს თითოეულ გვერდზე.

ჩვენების ფიქსაციის დამატებით საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე დასაკითხი პირის მიერ სპეციალური სქემებისა და გეგმების შედგენა. კერძოდ, შემთხვევის ადგილის სქემა, დანის ან დამნაშავის მიერ გამოყენებული სხვა საგნის ან დაკარგული (დატაცებული) საგნის, ან თავდამსხმელი პირის გარეგნობის დახატვა და სხვ., რომლებიც, ასევე ხელმოწერით უნდა იქნეს დადასტურებული დასაკითხი პირისა და გამომძიებლის ხელმოწერით და მათ უნდა გაუკეთდეს შესაბამისი ახსნა-განმარტებითი წარწერა თუ რა არის სქემაზე ან სურათზე ასახული და სხვ.

§7. არასრულწლოვანისა და ექსპერტის დაკითხვის ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება

ა) არასრულწლოვანის დაკითხვის ტაქტიკის ზოგიერთი თავისებურება. არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეულად განსხვავდება ზემოთ განხილული სრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებებისაგან.

ტაქტიკური თვალსაზრისით მათი დაკითხვის ეს თავისებურება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ არასრულწლოვანის ფსიქიკა, მისი ცნობიერება გარესამყაროსთან და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან მეტ-ნაკლებად ჯერ კიდევ სრულყოფილი სახით არაა ჩამოყალიბებული და მისი აზროვნება და შთაგონების პროცესი არსებითად განსხვავდება სრულწლოვანი პირის შთაგონებისა და აზროვნებისაგან. ყოველივე ეს თავს იჩენს არასრულწლოვანი პირის მიდრეკილებაში ფანტაზიისა და შთაგონებისადმი, მის მოჭარბებულ ემოციურობაში, თავის არამყარ ქცევებში და სხვისი ზეგავლენის ქვეშ ადვილად მოქცევაში. ამასთან, მათ ფსიქოლოგიურ განწყობაზე, როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მშობლების, ახლობლებისა და მეგობრების შთაგონება, რჩევა და სხვ.

პროცესუალური თვალსაზრისით მათ შორის არსებული ძირითადი სხვაობა გამოიხატება იმაში, რომ არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს ასაკის მიუხედავად, იმ პირობით, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით მოგვცეს გამოსაძიებელი საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე ცნობები. და, რომ არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა უნდა ჩატარდეს პედაგოგის ან სრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით. რაც შეეხება 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვას, იგი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობისას, მეურვის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

დაკითხვაში მონაწილე დამსწრე პირებს დაკითხვის დაწყებამდე უნდა განემარტოთ, რომ მათ უფლება აქვთ დაესწრონ დაკითხვას და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და, გამოძიების ნებართვით, დასვან შეკითხვები. მაგრამ გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს კითხვები, რომლებიც საქმეს არ ეხება ან მისახვედრია, თუმცა მათ მიერ დასმული ყველა ეს კითხვა ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 14 წლამდე ასაკის მოწმეს რეკომენდებულია განემარტოს, რომ ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ იგი არ შეიძლება გაფრთხილებულ იქნეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

არასრულწლოვან პირთა დაკითხვის ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მათი დაკითხვის **მომზადება, რაც შემდეგი ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება:**

1) მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება მოცემული არასრულწლოვანი პირის დაკითხვის აუცილებლობა და მისი ჩატარების მიზანი, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ბავშვის ან მოზარდი პირის განვითარების დონე და შეირჩეს მისი დაკითხვის ადგილი და დაკითხვაზე მისი მიყვანის წესი;

2) შესწავლილ იქნეს საქმეში არსებული ყველა მასალა და ის, რასაც კავშირი აქვს მოცემულ არასრულწლოვან დასაკითხ პიროვნებასთან, კერძოდ: მისი აღზრდის პირობები, მისი დამოკიდებულება შრომისა და სწავლისადმი, რა არის მისი გატაცების იდეალი, როგორ წრეში და ვისთან უხდება მას ყოველდღიური ურთიერთობა, იღებს თუ არა მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში ან აზარტულ თამაშებში, ხომ არაა იგი ჩაბმული ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციაში ან მის მოხმარებაში და სხვ.

3) გაირკვეს, ხომ არაა მასზე შექმნილი პირადი საქმე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში. თუ იქ ასეთი გამოჩნდება, საჭიროა

გამოთხოვილ იქნეს ეს საქმე და ამ მიმართებითაც მოხდეს მისი პიროვნების შესწავლა;

4) განისაზღვროს დაკითხვის საგანი და საკითხების ის წრე, რომელზეც მიღებულ უნდა იქნეს არასრულწლოვანის ჩვენება. ამასთან, შეირჩეს და განისაზღვროს დაკითხვის პროცესში მისაცემი საკითხების წრე და მათი დასკვნის სავარაუდო თანმიმდევრობა;

5) შეირჩეს დღის საათებში დაკითხვის დრო. არასრულწლოვანის დაკითხვა ღამის საათებში გაუმართლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი პირის დაკითხვა, კანონის თანახმად, უნდა მოხდეს პედაგოგის ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით;

6) შეირჩეს მცირეწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ადგილი. მათი დაკითხვა მიზანშეწონილია მოხდეს საცხოვრებელ ადგილზე ან სასწავლებელში;

7) არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შეირჩეს სპეციალისტი. კერძოდ, მცირეწლოვანი მოწმის დაკითხვას, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, როგორც აღვნიშნეთ, მიზანშეწონილია დაესწროს პედაგოგი ან მშობელი, ან ორივე ერთად, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. მცირეწლოვანი დაზარალებულის დაკითხვას კი მათთან ერთად უნდა დაესწროს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი (თუ მას ასეთი აყვანილი ჰყავს). არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის დაკითხვას კი ყველა შემთხვევაში უნდა დაესწროს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაესწროს სპეციალისტი და აგრეთვე პროკურორი.

8) არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის დაკითხვისათვის, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მომზადდეს ხმის ჩამწერი აპარატურაც, რომლის გამოყენება შეიძლება მოხდეს საერთო წესისამებრ.

9) მცირეწლოვანის ან მოზარდი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა არ უნდა იყოს ხანგრძლივი, რადგან ისინი მალე იღლებიან. მათი დაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ საათს. თუ დაკითხვა მაინც გაგრძელდა, მაშინ ხშირად უნდა მოეწყოს მათი შესვენება და დაკითხვიდან სხვა გასართობ გარემოებაში გადაყვანა. მათი დაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს. თუ დაკითხვა მაინც გაგრძელდა, მაშინ ხშირად უნდა მოეწყოს მათი

შესვენება და დაკითხვიდან სხვა გასართობ გარემოებაში გადაყვანა. მათი დაკითხვის საერთო ხანგრძლივობაც არ უნდა აღემატებოდეს ოთხ (4) საათს.

ამ მოსამზადებელი ღონისძიებების შემდეგ საჭიროა დაკითხვისათვის შექმნილ ზემოაღნიშნულ სათანადო პირობებში გამომძიებელი დინჯად და აუჩქარებლად შეუდგეს არასრულწლოვანი პირის დაკითხვას.

იმ შემთხვევაში, როცა მცირეწლოვანი არასწორ, ცრუ ჩვენებას იძლევა, მიზანშეწონილია მასზე მოვახდინოთ ემოციური ხერხებით სათანადო ზემოქმედება. რეკომენდებულია აგრეთვე, მოხდეს მისი განმეორებითი დაკითხვა, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, სიტყვასიტყვით იმეორებს თუ არა ადრინდელ ჩვენებას და ყოველივე ამას გადმოსცემს თავისი ბავშვური ასაკისათვის დამახასიათებელი მეტყველებით, თუ უფრო დიდი ასაკის მქონე პირისათვის დამახასიათებელი ტერმინებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ასეთ მყარ ჩვენებას იძლევა არა თავისი ფანტაზიით, არამედ უფროსი პირების (დედის, მამის, უფროსი დის, და ძმის და სხვ.) დარიგებით, მათი შთაგონებითა და ზეგავლენით.

მაგალითად, ხუთი წლის ტ-ეს დაკითხვის ჩვენებაში ვკითხულობთ: „დ-ე ბიძია როცა გვესტუმრა, დედა სახლში არ იყო და ვუთხარი, რომ დედა საღამომდე არ მოვა და შევთავაზე სახლობანას თამაში. მან ხელში ამიყვანა, მომეფერა და რამდენჯერმე მაკოცა. შემდეგ საწოლზე დამაწვინა. ტრუსი გამხადა, ჩემს სასქესო ორგანოზე მაკოცა, შემდეგ შარვალი გაიხსნა თავისი სასქესო ასო ამოიღო და ჩემს სასქესო ორგანოზე დამაწვა, რა დროსაც მე ძლიერი ტკივილი და ფეხებს შორის სისველე ვიგრძენი და ტირილი დავიწყე. ამაზე მას შეეშინდა, თავისი ცხვირსახოცით მომწმინდა, დამამშვიდა და მითხრა ამის შესახებ არავისთან არ მეთქვა, კვლავ მაკოცა და წავიდა“.

ამ შემთხვევაში ძნელად დასაჯერებელია 5 წლის ბავშვმა იცოდეს რა არის სასქესო ორგანო და მამაკაცის სასქესო ასო. შემდეგ, როცა იგი დაკითხულ იქნა დედის გარეშე, პედაგოგისა და ფსიქოლოგის დასწრებით, მან აღიარა, რომ იგი დედამ დაარიგა ასე ეთქვა.

ასეთ მსგავს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გამომძიებელმა მას უნდა დაუპირისპიროს დასაკითხი პირისათვის შთამბეჭდავი კითხვების თანმიმდევრული დასმა და მოახდინოს მასზე მიღებული პასუხების იმავდროული კრიტიკული შეფასება.

თუ განმეორებითი დაკითხვის დროს მცირეწლოვანი ბავშვი ან მოზარდი თავის ჩვენებაში ცვლის და სხვადასხვა სახით გადმოსცემს გამოსაძიებელი შემთხვევის ცალკეულ ელემენტებს, ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მის პირველ დაკითხვას ფანტაზიის სუნი უდის, რადგან გაგონილ საგნებსა და გარემოებებს, როგორც წესი, მოზარდი მალე ივიწყებს და განმეორებით დაკითხვის დროს, რაოდენ მშვიდ გარემოებაშიც არ უნდა იყოს იგი ჩატარებული და რაოდენ კარგადაც არ უნდა იყოს იგი დარიგებული და შთაგონებული მის წინა ჩვენებასთან მიმართებაში, მაინც გარკვეულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდება, რაც შეიძლება მარჯვედ იქნეს გამოყენებული მისი დეტალური დაკითხვის დროს. დაკითხვის პროცესში საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დასაკითხ პირს პირველად უჭირს უეცარი გადასვლა ცრუ ჩვენებიდან სწორ, ობიექტურ ჩვენებაზე და ამიტომ საჭიროა მას დამატებით განემარტოს მისი ჩვენების მნიშვნელობა და სხვადასხვა შთამბეჭდავი სიტყვებით ერთგვარად მოვეხმაროთ, დავადგინოთ ცრუ ჩვენების მიცემის მოტივი და მიზანი, შთავაგონოთ გაიხსენოს, აღიდგინოს თავის მეხსიერებაში და გამოძიებას მისცეს სწორი ჩვენება მომხდარი ფაქტის შესახებ და სხვ.

მცირეწლოვანის ან მოზარდის მიერ მიცემული ჩვენება მათი დაკითხვის ოქმში აუცილებლად უნდა იქნეს ჩაწერილი იმავე სიტყვებით, როგორც იგი გადმოსცემს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

ბ) *ექსპერტის დაკითხვის ტაქტიკა.* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ექსპერტის დაკითხვა, მართალია, ცალკე დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად არაა გათვალისწინებული, მაგრამ არც აკრძალულია და მის ჩატარებას სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად მიმართავენ. მისი ჩატარების იურიდიულ საფუძვლად შეიძლება მომარჯვებულ იქნეს სსსკ-ის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის რეგლამენტაცია, რომლის თანახმად ექსპერტი ვალდებულია: „მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას ან სასამართლო განხილვის დროს“.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წინასწარი გამოძიების პროცესში ექსპერტის დაკითხვას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა გამომძიებელს ექსპერტის დასკვნის გაცნობის შემდეგ მის ირგვლივ აღმოუცენდება რაიმე ისეთი საკითხის გარკვევა, რომლის ასახსნელადაც აუცილებელი

არაა არც დამატებითი და არც განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა. ასეთ დროს ექსპერტიზის დაკითხვის საგანი შეიძლება იყოს თვითონ ექსპერტის დასკვნა ან მასთან დაკავშირებული რომელიმე გარემოების დამატებითი ახსნა, ან უშუალოდ ექპერტიზის ჩატარების პროცესში გამოყენებული მეთოდები და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა რომელიმე გარემოება.

სხვა პირთა დაკითხვისაგან განსხვავებით, ექსპერტის დაკითხვის დროს მისი დაკითხვა იწყება არა თავისუფალი თხრობით, არამედ ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკასთან ან ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით კითხვების თანმიმდევრული დასმით. თუ ექსპერტი მის წინაშე დასმულ ყველა საკითხზე ამომწურავ პასუხს გასცემს და გამომძიებელი ამით დაკმაყოფილდება და ყოველგვარი ეჭვი ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით აიხსნება, მაშინ გამომძიებელი საჭიროდ აღარ ჩათვლის იმავე საკითხებზე დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნას. ხოლო თუ ექსპერტის დაკითხვის შემდეგ მას მაინც არ გაეფანტა ეჭვები, იგი უფლებამოსილია დანიშნოს დამატებითი ან განმეორებითი სახის ექსპერტიზა.

ექსპერტის დაკითხვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მის მიერ დასკვნის მიცემის შემდეგ. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ექსპერტის მიერ დაკითხვის დროს მიცემული ჩვენება მიჩნეულია დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებად.

თუ ექსპერტის დაკითხვა მიმდინარეობს სასამართლოში მხარეთა მოთხოვნით, მაშინ იგი უნდა დაკითხონ მხარეებმა შესაბამისი თანმიმდევრობით. ამასთან, თუ სასამართლოში დაკითხვის დროს ექსპერტის ჩვენებით არ იქნება დადასტურებული მის მიერ ადრე მიცემული დასკვნა, მაშინ სსსკ-ის 373-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი დასკვნა სასამართლოს მიერ მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებელ მტკიცებულებად.

ექსპერტის ჩვენება და დაკითხვის ოქმი რეკომენდებულია დაწეროს და შეადგინოს უშუალოდ ექსპერტის დამკითხავმა გამომძიებელმა და მას ხელი მოაწეროს გამომძიებელმა და დაკითხულმა ექსპერტმა.

§8. მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის სასამართლოში დაკითხვის ზოგიერთი თავისებურება

პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო წესით სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გამოძიება წარმოებს სრული მოცულობით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი გამოკვლევით.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულების გამოკვლევა და შეფასება ხდება უშუალოდ სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენით, რადგან განაჩენის გამოტანას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ მტკიცებულება, რომელიც უშუალოდ სასამართლო პროცესზე იქნა გამოკვლეული. ასეთად ითვლება ისეთი მტკიცებულებაც, რომელიც, მართალია, სასამართლოს მიერ არ იყო მოპოვებული, მაგრამ წინასწარი გამოძიების პროცესში იყო დამაგრებული და სასამართლომ მოახდინა მისი გამოქვეყნება.

მაგალითად, სასამართლოს შეუძლია გამოაქვეყნოს ექსპერტის დასკვნა ექსპერტის დაკითხვის გარეშე და სხვ., აგრეთვე იმ მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება, რომლის სასამართლოში გამოძახება ჩვენების მისაცემად გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია და სხვ.

სსსკ 481-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიების დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა დასაშვებია, „თუ მოწმე გარდაიცვალა, იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა". მაგრამ მხოლოდ ეს ჩვენება „არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას". და, რომ სსსკ-ის 496-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი დასაბუთებულად ჩაითვლება, „თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად".

რაც შეეხება სასამართლოში მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის დაკითხვას, ეს იმ თავისებურებებით ხასიათდება, რომ მათი დაკითხვა ხდება პროცესის გარკვეულ მონაწილეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით, საჯაროდ, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით.

სასამართლოში მოწმისა და დაზარალებულისაგან განსხვავებით, განსასჯელი შეიძლება დაიკითხოს სასამართლო გამოძიების წარმოების ნებისმიერ დროს საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება.

სსსკ-ის 476-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე წინადადებას აძლევს განსასჯელს, მისცეს ჩვენება მისთვის წაყენებული ბრალდების გამო და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ. ამასთან, განუმარტავენ, რომ მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება და ჩვენების მიცემაზე უარი მის საზიანოდ არ იქნება გამოყენებული.

ამავე მუხლის მეორე პუნქტით რეკომენდებულია პროცესის მონაწილეთა მიერ განსასჯელის დაკითხვა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით: სახელმწიფო ბრალმდებლის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხისა და მათი წარმომადგენლების, მისი დამცველის, სხვა განსასჯელებისა და მათი დამცველების მიერ. შემდეგ კი მის დაკითხვას ყველაზე ბოლოს ახდენს სასამართლო.

განსასჯელს უფლება აქვს სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით მისცეს ჩვენება ყოველი მტკიცებულების გამოკვლევის დროს და ისარგებლოს წერილობითი შენიშვნებითა და დოკუმენტებით, რომელთა წაკითხვის შემდეგ იგი გადაეცემა სასამართლოსა და მხარეებს მიმოხილვისა და საქმეზე დასართავად.

აღსანიშნავია ისიც, რომ განსასჯელის დაკითხვის დროს მხარეებს უფლება აქვთ წარადგინონ საქმეზე დართული ან მათ ხელთ არსებული საგანი ან დოკუმენტი და ამასთან დაკავშირებით განსასჯელს დაუსვან შესაბამისი კითხვები.

სასამართლო სხდომაზე განსასჯელის ჩვენების საჯაროდ წაკითხვა და მისი ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმის განხილვა მიმდინარეობს განსასჯელის დაუსწრებლად, ან როცა არსებითი წინააღმდეგობაა მის ადრინდელ ჩვენებასა და სასამართლოში მის მიერ მიცემულ ჩვენებას შორის, ან როცა განსასჯელი უარს ამბობს სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემაზე. ამასთან, განსასჯელის ხმის ჩანაწერის მოსმენა შეიძლება მხოლოდ მისი ბრალდებულის სახით დაკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვამდე.

განსასჯელისა და მხარეების ზემოაღნიშნული პროცესუალური უფლებამოვალეობები და მათი დაკითხვის თანმიმდევრული წესი და დაკითხვის

შეჯიბრებითობის პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია გარკვეულად ართულებს განსასჯელის დაკითხვის ტაქტიკური ხერხების შერჩევას და მათი გამოყენების წესის წინასწარ განსაზღვრას. ამიტომ სასამართლომ, საქმის განხილვის დაწყებამდე, დეტალურად უნდა შეისწავლოს საქმეში არსებული მასალები, რათა თავისუფლად შეძლოს მათი სწორად მომარჯვება და გამოყენება განსასჯელის დაკითხვის დროს.

გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს სასამართლოში აგრეთვე მოწმისა და დაზარალებულის დასაკითხად, რომლებსაც დაკითხვის დაწყებამდე უნდა განემარტოთ მათი უფლებამოვალეობები. კერძოდ ის, რომ მათ უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე საკუთარი თავის ან თავისი ახლო ნათესავების წინააღმდეგ. უნდა განემარტოთ ისიც, რომ ისინი მოვალენი არიან განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მისცენ სწორი, სრული ჩვენება და თქვან სიმართლე, რაც იციან ამ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. და რომ ისინი პასუხს აგებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაზეც მათ უნდა ჩამოერთვათ შესაბამისი ხელწერილი. და ყოველივე ეს აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს სხდომის ოქმში.

გარკვეული პროცესუალური სიახლეა ისიც, რომ სრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის უშუალო დაწყებამდე, მათ ჩვენების მიცემის წინ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოში საჯაროდ უნდა დადონ ფიცი და ამ მიზნით წარმოთქვან შემდეგი სიტყვები: **„ვფიცავ, ვილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა“.**

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე ერთიმეორისაგან დაუსწრებლად. ამასთან, დაკითხვის წინ სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა გამოარკვიოს მათი ვინაობა და ის, თუ როგორ ურთიერდამოკიდებულებაში არიან ისინი განსასჯელთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან, სამოქალაქო მოპასუხესთან და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან. ყოველივე ამის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე მიმართავს მათ, თქვან ყველაფერი, რაც იციან განსახილველი სისხლის სამართლის საქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოწმე სასამართლოში მიყვანილია მხარის შუამდგომლობით, მაშინ მოცემული მოწმის დაკითხვის უპირატესი უფლებით სარგებლობს ამ პირის დაკითხვის შუამდგომლობის აღმძვრელი პირი, შემ-

დეგ კი მის დაკითხვას აწარმოებს ამავე მხარის წარმომადგენელი სხვა პირები.

ყოველივე ამის შემდეგ მოწმის დაკითხვის უფლებას იძენენ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები და სასამართლო. შემდეგ მოწმის მიმართ შეკითხვების დასმის უფლება აქვს მის მიერ გამოძახებულ პირს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოწმე გამოძახებულია სასამართლოს ინიციატივით, მაშინ მის დაკითხვას იწყებს სასამართლო, შემდეგ მის დაკითხვას აწარმოებს ჯერ დაცვის მხარე, შემდეგ კი ბრალდების მხარე.

სასამართლოში მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის დაკითხვა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, რაც, უპირველეს ყოვლისა, სსსკ-ის 475-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, გამოიხატება იმაში, რომ „ბრალდების ან დაცვის მხარე დაკითხავს მოწმეს, მოწინააღმდეგე მხარე კითხვებს უსვამს დაკითხულ მოწმეს (ჯვარედინი დაკითხვა) და მოწმის გამომძახებელი მხარე ისევ უსვამს კითხვებს (ხელახალი დაკითხვა)".

იმ შემთხვევაში, როცა დამკითხავი პირი განსასჯელს, დაზარალებულს ან მოწმეს უსვამს შეურაცხმყოფელ, მისახვედრ ან ისეთ კითხვებს, რომლებიც საქმეს არ ეხება. ასეთ დროს „მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი" და სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ან უარყოს პროტესტი. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს განარიდოს ასეთი კითხვები თავისი ინიციატივითაც.

სასამართლოში მოწმის დაკითხვის ზემოაღნიშნული წესისგან განსხვავებით, დაზარალებულის დაკითხვაც გარკვეული პროცესუალური თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, სსსკ-ის 482-ე მუხლის თანახმად, „დაზარალებულს, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას, ჯერ დაკითხავს ბრალდების მხარე, შემდეგ – დაცვისა; დაზარალებულს, რომელმაც უარი თქვა ბრალდების მხარდაჭერაზე, ჯერ დაჰკითხავს დაცვის მხარე, შემდეგ ბრალდებისა, ბოლოს კი – სასამართლო."

რაც შეეხება არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვას, მისი თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ 14 წელზე ნაკლები ასაკის მოწმეს არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, იგი სასამართ-

ლოს პირობას აძლევს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს და ამის შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სასამართლო სხდომის ოქმში. დაკითხვის შემდეგ კი, როგორც წესი, არასრულწლოვანი – 14 წელს მიუღწეველი და თვით 16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის დამთავრებისთანავე გაყვანილ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. მისი დატოვება სხდომის დარბაზში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა „სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით საჭიროდ მიიჩნევს დარბაზში მის დარჩენას".

ზემოაღნიშნულ პირთა სასამართლოში დაკითხვისათვის შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებული და წინასწარ გამოძიებაში მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის დაკითხვისათვის რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები. ამასთან, საჭიროა სასამართლო საფუძვლიანად მოემზადოს მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის დასაკითხად. მისი ეს მოსამზადებელი ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სასამართლომ გულდასმით შეისწავლოს საქმეში არსებული მასალები და დასაკითხი პირების პიროვნება, განსაზღვროს მათი დაკითხვის თანმიმდევრობა, გაერკვეს, არის თუ არა მათ ჩვენებებში წინააღმდეგობა და თუ ასეთს აღმოაჩენს, მისი დაძლევის მიზნით შეიმუშაოს მათი დაკითხვის ტაქტიკური მოდელი და დაკითხვისათვის შექმნას სათანადო პირობები და სხვ.

სასამართლოში ზემოაღნიშნულ პირთა დაკითხვის დროს მარჯვედ უნდა იქნეს შერჩეული და გამოყენებული აგრეთვე ინდუქციური და დედუქციური კვლევის საფუძველზე აგებული ლოგიკური აზროვნების კანონები.

პროცესის მონაწილე ზემოაღნიშნულ პირთა დაკითხვის მთელი პროცესი ზუსტი შესაბამისობით უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის დაკითხვა და რაში მდგომარეობს დაკითხვის ტაქტიკის ნდობა, არსი და მნიშვნელობა?

2. რა და რა სახის დაკითხვა არსებობს?

3. რა სახის ტაქტიკური ხერხები არ გამოიყენენა დაკითხვის დროს?

4. რა შემთხვევაში მიმართავენ განმეორებითი და დამატებითი დაკითხვის ტაქტიკურ ხერხს?

5. რა შეიძლება ჩაითვალოს ზოგადტაქტიკურ ხერხად?

6. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა დაპირისპირების ჩატარება?

7. ვისთან შეიძლებოდა ბრალდებულის დაპირისპირება?

8. სწორად მიგაჩნიათ თუ არა დაპირისპირების ამოღება საპროცესო კანონმდებლობიდან?

9. რა აუცილებელი ძირითადი პირობები უნდა ყოფილიყო დაცული დაპირისპირების დროს?

10. რა სტადიებს გადის ჩვენების ფორმირების პროცესი?

11. რა გავლენას ახდენს ჩვენების ფორმირებაზე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები?

12. რა შეიძლება მიეკუთვნოს დაკითხვის ზოგადტაქტიკურ რეკომენდაციებს?

13. შეიძლება თუ არა, რომ მოწმეს ჰყავდეს დამცველი-ადვოკატი?

14. რა შეიძლება ჩაითვალოს დაკითხვის პრინციპებად?

15. რა საკითხები და გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული დაკითხვის მოსამზადებლად?

16. რა სახის ხერხები და გარემოებები არ გამოიყენება იქნეს დაკითხვის დროს?

17. ვინ არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ?

18. ვინ არის უფლებამოსილი მოწმე გაათავისუფლოს დაკითხვისაგან?

19. ვინ შეიძლება გათავისუფლდეს მოწმის მოვალეობისაგან?

20. რა მნიშვნელობა ენიჭება გამომძიებლის მიერ დასაკითხ პირთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას?

21. რა თავისებურებებით ხასიათდება მოწმის დაკითხვის ტაქტიკა?

22. რამდენად სწორია მოწმეების დაყოფა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მოწმეებად?

23. რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოწმის ჩვენების ფორმირებაზე?

24. რაზეა დამოკიდებული მოწმის ჩვენების რეალობა?

25. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტური მოწმის დეტალური დაკითხვის ტაქტიკა?

26. რა ტაქტიკური ხერხები გამოიყენება იმ მოწმის დაკითხვის დროს, რომელიც ვერ იხსენებს მომხდარ ფაქტსა და გარემოებას, მაგრამ სურს სწორი ჩვენების მიცემა?

27. მოწმის დაკითხვის დროს საჭიროა თუ არა გათვალისწინებულ იქნეს მისი პროფესია?

28. რა შემთხვევაში შეიძლება მოწმეს მიეცეს საშუალება ნანახისა და აღქმულის გადმოცემა მოახდინოს ნახატებითა და ნახაზებით?

29. მოწმისაგან განსხვავებით, რა თავისებურებებით ხასიათდება დაზარალებულის დაკითხვა?

30. რა შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს დაზარალებულის დაკითხვა დაზარალებულად ცნობისთანავე?

31. დაზარალებულის დაკითხვის დროს რა გარემოებები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული?

32. რა შეიძლება იყოს პირის ეჭვმიტანილად დაკავების საფუძველი?

33. რა უფლება-მოვალეობები გააჩნია ეჭვმიტანილს?

34. ტაქტიკური თვალსაზრისით რა სხვაობაა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის მიმართებაში?

35. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ეჭვმიტანილის დაკითხვა?

36. რა სახის ტაქტიკური ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ, როცა ეჭვმიტანილი აშკარად ცრუობს და არასწორ ჩვენებას იძლევა?

37. რა კონკრეტული თავისებურებებით ხასიათდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა და ბრალდების წაყენება?

38. რამდენად სწორია ბრალდებულის დაკითხვის დაწყება ისეთ კითხვაზე პასუხის გაცემით, როგორიცაა: „ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ“?

39. რა ტაქტიკური ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფი ბრალდებულის დაკითხვის დროს?

40. რა მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს ჩატარებული ბრალდებულის უშუალო დაკითხვამდე?

41. საჭიროა თუ არა გამომძიებელმა დაამყაროს ფსიქოლოგიური კონტაქტი დასაკითხ ბრალდებულთან და როგორ შეიძლება მიაღწიოს ამას?

42. რამდენად შესაძლებელია გამომძიებელმა თავისი დაკითხვის მოდელი დაუპირისპიროს დასაკითხი ბრალდებულის წინასწარ შემუშავებულ მოდელს?

43. რა სახის მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა ჩაატაროს გამომძიებელმა ბრალდებულის დასაკითხად?

44. რამდენად საჭირო და აუცილებელია დასაკითხი ბრალდებულის პიროვნების შესწავლა მისი დაკითხვის დაწყებამდე?

45. ბრალდებულზე ზემოქმედებისათვის რა სახის ტაქტიკურ-ემოციური ხერხების გამოყენებაა მიზანშეწონილი?

46. როგორ და რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები გამოიყენება ბრალდებულის დაკითხვის დროს?

47. როგორ უნდა იქნეს შედგენილი დაკითხვის ოქმი?

48. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება არასრულწლოვანის დაკითხვა?

49. რა თავისებურებებით ხასიათდება არასრულწლოვანთა დაკითხვის მომზადება?

50. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ექსპერტის დაკითხვა?

51. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის დაკითხვა სასამართლოში?

თავი X. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა

§1. ჩხრეკისა და ამოღების ცნება, სახეები და მათი ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი

ა) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების არსი და მნიშვნელობა.[1] ჩხრეკა და ამოღება იძულებითი ხასიათის მიზანდასახული, რთული და, მთელ რიგ შემთხვევებში, პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის სწორად, დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების აღმოჩენა და გამოსაძიებელი საქმის შემდგომი მსვლელობის ბედი.

ჩხრეკისა და ამოღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების გამოყენების საფუძველზე ვაწარმოოთ გასაჩხრეკი ობიექტების სრულყოფილი გამოკვლევა გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნების, დოკუმენტების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულის ჩადენის იარაღის და სხვ. აღმოჩენისა და ამოღების მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს „იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევად". და, რომ „ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილი პირისა და გვამის აღმოსაჩენად".

მაშასადამე, ჩხრეკისა და ამოღების მიზანია დანაშაულის იარაღების ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების, მატერიალური ფასეულობის, გადამალული საგნებისა და ობიექტების, ძებნა-

[1] მიუხედავად იმისა, რომ ამოღება და ჩხრეკა ორი სხვადასხვა სახის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ორივე მათგანის მიზნები და ამოცანები, მათი ჩატარების წესი და სხვა პროცესუალური საკითხები სსსკ-ის ერთი და იმავე მუხლებითაა რეგლამენტირებული, ამიტომ ჩვენც ამის შესაბამისად ვახდენთ მათ განხილვას.

ში მყოფი პირების, გვამების, გატაცებული ცოცხალი პირების, საქონლის, დანაშაულის ჩადენის იარაღების და საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სახის ნივთების, საგნებისა და დოკუმენტების აღმოჩენა და ამოღება.

ჩხრეკისა და ამოღების, როგორც იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან იგი თითქმის ყოველთვის გარკვეულწილად დაკავშირებულია მოქალაქეთათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა-შეზღუდვასთან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია, აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც — კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“. და, რომ „არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

კონსტიტუციის ამ მოთხოვნათა დარღვევას, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოჰყვეს მკაცრი ზომების მიღება. სწორედ ამიტომაა, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობით საკმაოდ დეტალურად იქნა რეგლამენტირებული როგორც ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი, ისე მისი ჩატარების წესი.

ბ) *ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი.* ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისათვის აუცილებელია გვქონდეს იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი. **იურიდიული საფუძველის ცნებაში იგულისხმება ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების აუცილებლობის შესახებ პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობა მოსამართლისაგან შესაბამისი განჩინების, ბრძანების ან დადგენილების მიღების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანება ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება (დადგენილება).**

ჩხრეკისა და ამოღების იურიდიულ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების უფლებით აღჭურვილი

პირებისათვის (გამომძიებლის, პროკურორისათვის) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება. და ასეთად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ გამომძიებლის და პროკურორისათვის სსსკ-ის 323-ე მუხლით მინიჭებული უფლება, შევიდნენ ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის ან დოკუმენტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შევიდნენ ბინაში ან სხვა მფლობელობაში იძულების წესით. ასევე იმავე მუხლის მეცხრე პუნქტით გამომძიებელს, პროკურორს მინიჭებული აქვთ უფლება გააღონ დაკეტილი სათავსი და საცავი, თუკი „გასაჩხრეკი უარს ამბობს გააღოს ისინი" და სხვ.

ფაქტობრივი საფუძვლის ცნებაში კი იგულისხმება ის უტყუარი კონკრეტული მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მატერიალური ფასეულობის, დანაშაულის კვალის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის ან სხვა საგნისა და დოკუმენტის არსებობაზე. უფრო სწორად, ამოღების ფაქტობრივ საფუძველს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ეს მონაცემები ინახება გარკვეულ ადგილას ან გარკვეულ პირთან და მათი ძებნა საჭირო არ არის. ხოლო ჩხრეკის საფუძველია ის, როცა სავარაუდოა, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები ინახება გარკვეულ საცხოვრებელ ბინაში, მის დამხმარე სათავსებში, ან სასამსახურო, საწარმოო სათავსებში ან სხვა დაცულ ადგილას, ან ამა თუ იმ პირთან და არსებობს მონაცემები, რომ ეს პირები მათ ნებაყოფლობით არ გადმოგვცემენ.

ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები, როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ დაკავშირებულია პიროვნების ხელშეუხებლობის, საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა სახის შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან, ამიტომ მათი ჩატარება, როგორც წესი, უნდა მოხდეს მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინების (დადგენილების) საფუძველზე. გადაუდებელ შემთხვევაში კი ეს მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა ეს მოქმედებები, უნდა ეცნობოს 24 საათის

განმავლობაში. მასვე უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საქმის ის მასალები, რომლებითაც დასაბუთებულია მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა. მოსამართლემ მიღებული მასალები, შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა შეამოწმოს პროკურორთან ერთად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ამ საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, მიღებული მასალების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნეს ამ მოქმედებათა ჩამტარებელი პირებიც.

ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების მასალების განხილვის შემდეგ მოსამართლემ სსსკ-ის 290-ე მუხლის საფუძველზე უნდა გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი სახის დადგენილება:

„ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ".

აღსანიშნავია ისიც, რომ სსსკ-ის ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, ეს მოქმედებები გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს . გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული (დასაბუთებული) დადგენილებით, მაგრამ ამის შესახებ პროკურორმა დაუყოვნებლივ (24 საათის განმავლობაში) უნდა აცნობოს იმ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იქნა ეს საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებული და წარუდგინოს ყველა ის მასალა, რითაც დასაბუთებული იყო მათი ჩატარების აუცილებლობა. თავის მხრივ, ამ შემთხვევაშიც მოსამართლე ვალდებულია პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობიდან არა უგვიანეს 24 საათისა პროკურორის მონაწილეობით და საჭიროების შემთხვევაში ამ მოქმედების ჩამტარებელ პირთან ერთად განიხილოს ამ მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობა და კანონიერება, რის შემდეგაც მან უნდა გამოიტანოს დადგენილება ჩატარებული ამ საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერად ცნობის ან უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებების ჩატარებით მიღებული შედეგების გაუქმების შესახებ.

ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გამოტანილი ბრძანება ან დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, ანუ უფრო სწორად, პროკურორი უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგი-

ლის მიხედვით. ამასთან, თუ პროკურორის შუამდგომლობა ეხება აღკვეთის ღონისძიების უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ხოლო თუ ბრალდების მხარე მიმართავს სასამართლოს ბრალდებულისათვის უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით, მაშინ სასამართლოში მისი განხილვა უნდა ჩატარდეს ზეპირი მოსმენით.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება რომ კანონიერი იყოს, საჭიროა ამ მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამოტანილი დადგენილება ან შუამდგომლობა მის ჩასატარელად მოსამართლის ბრძანების (განჩინების) მიღების შესახებ ემყარებოდეს სავარაუდო, მაგრამ მყარ ფაქტობრივ მონაცემებს. ასეთი მონაცემები შეიძლება მიღებულ იქნეს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ან უშუალოდ ბრალდებულის ჩვენებიდან ან სხვა მტკიცებებიდან, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების ან დატოვებული საგნისა და დანაშაულის ჩადენის იარაღების ან სხვა დოკუმენტების ამა თუ იმ დაცულ ობიექტში (საცხოვრებელ ბინაში, სასამსახურო სამუშაო ოთახში ან მათ დამხმარე სათავსებში, პიროვნების ტანსაცმელსა ან სხეულში და სხვ.) არსებობაზე.

კანონით გადაუდებელ შემთხვევად მიჩნეულია ისეთი გარემოება, როდესაც არსებობს კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის რეალური საშიშროება; აგრეთვე ისეთი გარემოება, როცა პირს წაასწრეს დანაშაულის ფაქტზე, ან როცა სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აღმოჩენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საჭირო საგნები და დოკუმენტები ან, როცა შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

როგორც ვხედავთ, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების იურიდიულ საფუძველსა და ზოგად საკანონმდებლო წესში საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შეტანილი არსებითი ცვლილებები მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. თუ რამდენად სწორი და ეფექტური იქნება კანონით რეგლამენტირებული ეს წესი, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. თუმცა ამ მიმართულებით, უმოკლეს დროში მიღებული შედეგებით, შეიძლება უკვე ითქვას, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლისა და საგამოძიებო პრაქტიკაში ამან უკვე უარყოფითი სახე გვიჩვენა. ამიტომ ამ პროცესუალურ სიახლეს არ

შეიძლება დუმილით გვერდი ავუაროთ და დაველოდოთ მის კიდევ უფრო მეტ უარყოფით პრაქტიკულ შედეგებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული მთელი რიგი საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებების (შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკის, ამოღების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმების, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერებისა და ამოღების, დოკუმენტების დათვალიერებისა და ამოღების, მოწმისა და დაზარალებულის შემოწმების, გვამის ექსჰუმაციის და სხვ.) და მათ შორის ჩხრეკისა და ამოღების შესახებ გამომძიებლის დადგენილებაზე პროკურორის ნებართვის გაცემის უფლების, მოსამართლის ბრძანების ან სასამართლოს დადგენილებაზე (განჩინებაზე) პროკურორის შუამდგომლობით გადანაცვლება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება სასამართლო რეფორმის დიდ პროგრესულ გამარჯვებად ჩაითვალოს. რადგან, ჯერ ერთი, იგი საკმაოდ ლახავს გამომძიებლისა და პროკურორის უფლებრივ სტატუსს და მათ ავტორიტეტს; მეორე, იგი ხელს უშლის დანაშაულთა გახსნის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას, როგორიცაა ოპერატიულობა და სისწრაფე. ყველა ის დაკარგული დრო, წუთი და საათი, რასაც გამომძიებელი კარგავს გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე მოსამართლისაგან ნებართვის მისაღებად, დამნაშავის სასარგებლოდ მოქმედებს და ხელს უშლის მომხდარი დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას. მესამე, იგი გარკვეულად ეწინააღმდეგება პრინციპს, რომლითაც პროკურორი აღიარებულია წინასწარი გამოძიების პროცესუალურ ხელმძღვანელად. მეოთხე, ჩხრეკა და ამოღება ორი სხვადასხვა სახის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელთა არსი და ჩატარება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამიტომ საკანონმდებლო წესით მათი ერთ ასპექტში განხილვა არასწორია.

ზემოაღნიშნულის გარდა, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ აღინიშნოს, ჩემი აზრით, ის უარყოფითი მხარე და უხერხულობა, რასაც პრაქტიკულად შეიძლება წავაწყდეთ ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას.

გ) მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემა. ჩემი აზრით, არ შეძლება გამართლებულად ჩაითვალოს ჩხრეკისა და ამოღების

ჩატარების სუბიექტად მარტოოდენ გამომძიებლისა და პროკურორის აღიარება და ამ უფლების ჩამორთმევა ოპერატიული სამსახურის ორგანოს უფროსისათვის და საერთოდ მოკვლევის ორგანოს ცნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან ამოღება. მაშინ, როცა რაიონული პოლიციის სამმართველოების უფროსების უფლებები, გამოძიების მიმართებით, საკმაოდ გაფართოვდა და რაიონული მასშტაბით გამოძიების ჩატარებაზე გარკვეული ხელმძღვანელობაც დაეკისრათ. არც ისაა სწორი, რომ მათვე აეკრძალათ დაკავებული ეჭვმიტანილის ჩხრეკის ჩატარება. არც ის იქნება სწორი, თუ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებას ვაქცევთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად (რომლის ტენდენციაც ამჟამად აშკარად შეიმჩნევა) და ამით ერთგვარად მივუახლოვდეთ და აღვადგინოთ წარსულში კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გაბატონებული არასწორი შეხედულება ჩხრეკისა და ამოღების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად მიჩნევის შესახებ.[1]

ჩხრეკა და ამოღება თავისი პროცესუალური ბუნებით არ შეიძლება ვაქციოთ ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად. არც ის შეიძლება, რომ იგი გავუთანაბროთ სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებას ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას.

ჩხრეკა და ამოღება არსებითად განსხვავდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან არა მარტო თავისი ჩატარების ტაქტიკით, არამედ პროცესუალური ბუნებითაც. ჩხრეკა და ამოღება რთული იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედებაა და მათი ჩატარება, თითქმის ყოველთვის, წარმოებს მოქალაქეთა ნების საწინააღმდეგოდ, რა დროსაც გარკვეულწილად ილახება მათთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, თავისუფლება და ღირსება. ამიტომ მათი ჩატარება მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და მაღალ პროფესიონალიზმს, რასაც, სამწუხაროდ, ოპერატიული სამსახურის ორგანოს მუშაკები ხშირად ვერ ამჟღავნებენ. მიუხედავად ამისა, პირადი ჩხრეკის ჩატარება შეიძლება ოპერატიული სამსაურის მუშაკებს მიენდოთ, როგორც გამონაკლისი, დამნაშავეთა ცხელ კვალზე მიდევნების დროს ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში, ან როცა პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენაში დანაშაულის ადგილზე ან უშუალოდ მისი ჩადენის შემდეგ. მით უმეტეს, რომ ეჭვმიტანილისა

[1] პ.ი.ტარასოვ-როდიონოვი, წინასწარი გამოძიება, მოსკოვი, 1948, გვ. 109.

და ძებნაში მყოფი პირის დაკავება ოპერატიული სამსახურის მუშაკთა პრეროგატივაა.

პრაქტიკულად ეს საკითხი ასეც წყდება, მაგრამ იმის გამო, რომ ოპერატიული ფუნქციების გამხორციელებელ პოლიციის მუშაკს უფლება არა აქვს ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება, დაკავებული პირის მიმართ ჩხრეკის წარმოების შესახებ ადგენს მხოლოდ დაკავების და არა ჩხრეკის ოქმს. ამის შესახებ პირდაპირ ნათქვამია სსსკ-ის 145-ე მუხლის მესამე პუნქტში, რომლის თანახმად „დამკავებელ თანამდებობის პირს ამ კოდექსით დადგენილი წესით უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა, რაზედაც კეთდება აღნიშვნა დაკავების ოქმში" და, რომ „ამ შემთხვევაში, ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება".

ვფიქრობ, ასევე არასწორია საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოსათვის უფლების მინიჭება დადგენილების გამოტანით ამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. მოსამართლის მიერ ამგვარი დადგენილების გამოტანის ფორმულირება, ჩემი აზრით, საჭიროებს დახვეწასა და დაზუსტებას. უმჯობესია, თუ დადგენილება გამოტანილი იქნებოდა არა ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის, არამედ ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებათა კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ, რადგან მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

ამ მიმართებით ასევე არასწორია სსსკ-ის მე-13 მუხლში მითითებული ფორმულირება, რომლითაც მოსამართლეს აქვს მინდობილი შეამოწმოს ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების „კანონიერება და დასაბუთებულობა მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა." და, რომ მოსამართლე წყვეტს „მიღებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს".

ჩემი აზრით, დღევანდელი საგამოძიებო სისტემის არსებობის პირობებში, სასამართლოსათვის წინასწარი გამოძიების პროცესში, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ან უკანონოდ ცნობისა და ამ გზით მიღებული „მტკიცებულების დასაშვებულობის საკითხის" გადაწყვეტის უფლების მინიჭება მაშინ, როცა საქმეზე წინასწარი გამოძიება ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაზე ნებართვის გაცემითა და საქმეზე შეკრე-

ბილ მტკიცებულებათა ამგვარი შეფასებით სასამართლო, ჯერ ერთი, წინასწარი გამოძიების ერთგვარ სუბიექტადაც იქცევა. რაც არასწორია. და, მეორეც, ამით იგი წინასწარ გამოხატავს რა თავის დადებით ან უარყოფით შეხედულებას და დამოკიდებულებას საქმეზე წინასწარი გამოძიებით შეკრებილი მტკიცებულებების შესახებ, მომავალში განსახილველი საქმის ირგვლივ სასამართლოში წინასწარ იქმნება ამ მტკიცებულებათა მიმართ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა საერთო სწორ ობიექტურ შეფასებაზე.

ყოველივე ამის გამო საქართველოს სსსკ-ის ზემოაღნიშნულ მუხლებში საჭიროა ამ მიმართებით შეტანილ იქნეს ცვლილება.

დ) ჩხრეკისა და ამოღების ცნება, მისი ობიექტი და საგანი. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ და ერთიმეორესთან აიგივებენ ჩხრეკის ობიექტსა და საგანს, რაც არასწორია. **ჩხრეკის საგანი** სხვა არა არის რა, თუ არა ის, რაც საძიებოა და რის დასაძებნად და აღმოსაჩენადაც წარმოებს ეს საგამოძიებო მოქმედება. **ჩხრეკის ობიექტი** კი არის ის, სადაც ან რაშიც უნდა ვეძიოთ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგანი. ამ შემთხვევაში საძიებო საგანში იგულისხმება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ყოველგვარი ფასეულობა, დანაშაულის ჩადენის იარაღები, დოკუმენტები, კანონით აკრძალული სხვადასხვა სახის საგანი (ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები, ნარკოტიკული ნივთიერებები და სხვ.), ძებნაში მყოფი პირები, ადამიანის გვამები და სხვ.

გასაჩხრეკი ობიექტების თავისებურებათა გათვალისწინებით, ჩხრეკის საგნების საძიებო ობიექტები შეიძლება იყოს საცხოვრებელი ბინა და სამსახურებრივი სამუშაო ოთახი თავისი დამხმარე სათავსებით, საცხოვრებელი ბინის გარშემო მდებარე ადგილმდებარეობა, ბაღი, ეზო, სააგარაკო ადგილმდებარეობა და სხვ. ჩხრეკის ცალკე ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე თვითონ პიროვნება, მისი სხეული, ტანსაცმელი და მისი კუთვნილი ობიექტები; კერძოდ, ხელბარგი — ჩემოდანი, ჩანთა, ტრანსპორტი და სხვ. ამოღების საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე საფოსტო გზავნილები და სხვ.

ზემოაღნიშნული ობიექტების ჩხრეკის თავისებურებათა გათვალისწინებით, ჩხრეკის ცალკეულ სახეებად უნდა მივიჩნიოთ: 1) საცხოვრებელი ბინის

ჩხრეკა თავისი დამხმარე სათავსებით; 2) დაცული ადგილმდებარეობის ჩხრეკა; 3) სამსახურებრივ ადგილზე სამუშაო ოთახის ჩხრეკა თავისი დამხმარე სათავსებით; 4) პირადი ჩხრეკა; 5) ტრანსპორტის ჩხრეკა და სხვა ისეთი დაცული ობიექტი და ადგილმდებარეობა, სადაც შეიძლება ინახებოდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჩხრეკა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური, პირველადი და განმეორებითი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩხრეკის ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **ჩხრეკა არის პიროვნების ან დაწესებულების, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და გაერთიანების ადმინისტრაციის ნების საწინააღმდეგოდ მიმართული ისეთი იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მდგომარეობს მათი საცხოვრებელი ბინის, შენობის, სამსახურებრივი სამუშაო ოთახის ან მიმდებარე დამხმარე სათავსების, ადგილმდებარეობის, პიროვნების და მისი კუთვნილი საგნებისა და ობიექტების (ხელბარგის, ტანსაცმლის, ტრანსპორტის და სხვ.) გამოკვლევა გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების, დანაშაულის ჩადენის იარაღების და კვალის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთებისა და ფასეულობის, გადამალული გვამის, ძებნაში მყოფი პირის და ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო სხვა საგნებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების მიზნით.**

ჩხრეკის ანალოგიურად, ამოღებაც პიროვნების ან საწარმოო დაწესებულების, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და გაერთიანებების ადმინისტრაციის ნების საწინააღმდეგოდ მიმართული იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედებაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩხრეკის ჩატარების დროს, უმეტეს შემთხვევაში, უცნობი და გაურკვეველია, თუ ჩხრეკის შედეგად გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე რა კონკრეტული სახის საგანი ან დოკუმენტი იქნება აღმოჩენილი. ამოღების დროს კი წინასწარი მონაცემებით უკვე გარკვეულია, რომ საქმის გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე (დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფასეულობა და სხვ.) საგანი ინახება გარკვეულ პირთან, რომელსაც წინადადება ეძლევა ნებაყოფლობით წარმოადგინოს და გადასცეს იგი გამოძიებას. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი ნების საწინააღმდეგოდ სსს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული იქნება ჩხრეკა და სხვ.

ისევე, როგორც ჩხრეკის, ამოღების ჩატარების დროსაც საჭიროა გვქონდეს მოსამართლის ბრძანება ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება ან დადგენილება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაიბადოს კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს გამომძიებელი ან პროკურორი იმ შემთხვევაში, როცა მათ ნებართვა მიღებული აქვთ სასამართლოსგან ამოღების ჩატარების შესახებ, მაგრამ პირი, ვისთანაც ეს მოქმედება უნდა ჩატარდეს, დასახელებული საგნების ნებაყოფილობით გადაცემაზე უარს ამბობს თუნდაც იმ მოტივით, რომ მას არავითარი ამგვარი საგნები არა აქვს. ასეთ დროს, როგორც წესი, ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ღიად რჩება საკითხი: ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს ამ მოქმედების ჩამტარებელი პირი — ხელახლა გამოიტანოს დადგენილება ამოღების მაგიერ ჩხრეკის ჩატარების შესახებ და დაელოდოს მოსამართლისაგან ამაზე ნებართვის მიღებას, თუ დაუყოვნებლივ — ყოველგვარი დადგენილებისა და სასამართლოსგან სპეციალური ნებართვის მიღებისაგან დამოუკიდებლად ჩაატაროს ჩხრეკა? ამაზე პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, რადგან, ჯერ ერთი, სსსკ-ის 290-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ ამოღება და ჩხრეკა გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე პროკურორის ან გამომძიებლის მიერ მოტივირებული დადგენილებით; მეორეც, ტაქტიკური თვალსაზრისითაც, ასეთ დროს ყოველგვარი დაყოვნება საქმისათვის საზიანო იქნება მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით.

§2. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ეფექტურობა, გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა აღმოჩენის თვალთახედვით, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულყოფილად იქნება განხორციელებული ამ მოქმედებათა წარმოების მოსამზადებელი ღონისძიებები, რომლის თანმიმდევრული განხორციელების პროცესი შეიძლება პირობითად დავყოთ შემდეგ სამ ძირითად ჯგუფად:

1. მოსამზადებელი ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისათვის საჭირო იურიდიული საფუძვლის მომზადებასთან;

2. ჩხრეკისა და ამოღების ობიექტთან მისვლამდე და მის უშუალო დაწყებამდე ჩასატარებელი მოსამზადებელი ღონისძიებები;

3. ჩხრეკისა და ამოღების ობიქტთან მისვლის შემდგომი მოსამზადებელი ღონისძიებები.

იმისათვის, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება მიჩნეულ იქნეს კანონიერად და ამ გზით მოპოვებული მასალები გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებად, საჭიროა მათი წარმოება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად გვქონდეს მისი ჩატარებისათვის აუცილებელი იურიდიული საფუძველი. ასეთ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული დადგენილება ან მათი დასაბუთებული შუამდგომლობის მომზადება სასამართლოში წარსადგენად მოსამართლისაგან ამ მოქმედების ჩასატარებლად შესაბამისი ნებართვის — ბრძანების მისაღებად.

ა) *შუამდგომლობა ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შესახებ მოსამართლისაგან ნებართვის მისაღებად*. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ მოსამართლისაგან ამ მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის მისაღებად გაკეთებულ უნდა იქნეს შუამდგომლობა, რომელშიც საჭიროა მიეთითოს ის, თუ სად და ვისთან უნდა ჩატარდეს ამოღება ან ჩხრეკა და რა ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნებით ხასიათდება გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამოსაღები საგანი, ან რა მონაცემი შეიძლება მიღებულ იქნეს ამ მოქმედების ჩატარებით. მასში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე იმაზე, თუ რა მონაცემებითა და მტკიცებულებებით დასტურდება ამ მოქმედების ჩატარების აუცილებლობა, როდის და ვინ უნდა ჩაატაროს იგი. ამგვარი შუამდგომლობის ჩატარების დროს დაცულ უნდა იქნეს სასამართლოს მოქმედების ტერიტორიული და ქვემდებარეობის პრინციპი — კერძოდ, სსსკ-ის 290-ე და 291-ე მუხლებით დადგენილი წესი. იმ შემთხვევაში, როცა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ნებართვაზე მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ შუამდგომლობს გამომძიებელი, ასეთ შუამდგომლობაზე, სსსკ-ის 291-ე მუხლის თანახმად, ჯერ მიღებულ უნდა იქნეს პროკურორის თანხმობა და შემდეგ მოხდეს მისი წარდგენა სასამართლოში (მოსამართლისადმი). შუამდგომლობაში მითითებული მონაცემების არასაკმარისად მიჩნევის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი შევსება დამატებითი მონაცემებით.

ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაზე მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვის ბრძანებაში საჭიროა მიეთითოს ის შენობა, რომელშიც უნდა ჩატარდეს ამოღება ან ჩხრეკა; აგრეთვე ის მოქალაქე, საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია, ვისი კუთვნილებაცაა გასაჩხრეკი ობიექტი (შენობა). პირადი ჩხრეკის დროს კი მასში მოხსენიებული უნდა იყოს ის მოქალაქე, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს პირადი ჩხრეკა. ამ მოქმედების ჩატარების ნებართვის ბრძანებაში, სსსკ-ის 319-ე მუხლის თანახმად, მითითებული უნდა იყოს აგრეთვე „აღმოსაჩენი და ამოსაღები საგანი, დოკუმენტი ან მათი ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები".

ჩხრეკის ან ამოღების საგნებზე კანონის ამგვარი მითითება, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ზოგადი და არა კონკრეტული, რადგან ჩხრეკის დროს წინასწარ სრულყოფილად არ ვიცით, თუ საქმეზე მნიშვნელობის მქონე კონკრეტულად რა და რა რაოდენობის ან რა ინდივიდუალური ნიშნების მქონე საგნები შეიძლება იქნეს აღმოჩენილი.

სსსკ-ის 320-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს უშუალოდ სასამართლოს ინიციატივითაც სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს წამოჭრილი აუცილებლობით სასამართლოს ან მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინებით ან დადგენილების საფუძველზე, რომლის ჩატარებასაც იგი ავალებს გამომძიებელს ან პროკურორს. ეს უკანასკნელნი კი ვალდებულნი არიან ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოქმი და ამოღებული საგნები და დოკუმენტები დაუყოვნებლივ გადასცენ სასამართლოს.

მაშასადამე, **ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გვქონდეს იურიდიული საფუძველი, ანუ სასამართლოს ბრძანება** ამ მოქმედების ჩატარების ნებართვაზე, **ან უკიდურეს შემთხვევაში, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დასაბუთებული დადგენილება ამ მოქმედების დაუყოვნებლივ ჩატარების აუცილებლობის შესახებ.** იურიდიული საფუძვლის მოპოვება, შეიძლება ითქვას, ამ მოქმედებათა ჩატარების ერთგვარი აუცილებელი საგზურია. ამ უფლების მოპოვების პერიოდში გამომძიებელმა ან პროკურორმა ყოველმხრივ უნდა იზრუნოს ამ მოქმედების მაღალკვალიფიციურად და სრულყოფილად ჩატარებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი მოსამზადებელი ღონისძიებების სწორ, თანმიმდევრულ გა-

ტარებაზე. ყველა ეს მოსამზადებელი ღონისძიება შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ეტაპად: ჩხრეკის ობიექტთან მისვლამდე და მისვლის შემდეგ.

ბ) *ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების მომზადება ჩხრეკისა და ამოღების ობიექტთან მისვლამდე და მისვლის შემდეგ.* ჩხრეკისა და ამოღების სუბიექტი (მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი) როგორც კი მოიპოვებს ამ მოქმედების ჩატარების პროცესუალურ უფლებას, იგი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ მოქმედების ჩატარების სამზადისს იმის გათვალისწინებით, თუ რა არის საძიებო და ამოსაღები, სად და რა უნდა იქნეს გაჩხრეკილი — საცხოვრებელი ბინა, სამსახურებრივი სამუშაო ოთახი, სატრანსპორტო საშუალება თუ სხვა რამ. ასეთი მზადება, პირველ რიგში, შეიძლება გამოიხატოს ჩხრეკის ან ამოღების ობიექტის ადგილმდებარეობის თავისებურების დადგენაში და ოპერატიული ჯგუფის სწორად შერჩევასა და მათთვის სათანადო დავალებების მიცემაში და სხვ. იქ მიმსვლელებისა და წამსვლელების დასადგენად მასზე დაწესდეს ფარული თვალთვალი და სხვ. ამასთან, მიღებულ იქნეს ზუსტი ინფორმაცია გასაჩხრეკ ობიექტთან მისასვლელი და გამოსასვლელი გზების შესახებ; ვინ იმყოფება ბინაში ან დაცულ გასაჩხრეკ სათავსში, როდის იკრიბებიან იქ ოჯახის წევრები ან მათი ნათესავ-მეგობრები და ახლობლები და ამის მიხედვით შეირჩეს და განისაზღვროს მისი ჩატარების დრო და ადგილი.

საჭიროა წინასწარ შეირჩეს ჩხრეკის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევ პირთა წრე. მოწვეულ იქნეს სპეციალისტი, კრიმინალისტი, თარჯიმანი და დამსწრე პირები; შეირჩეს ოპერატიული ჯგუფი, სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებები და შემოწმდეს მათი მზადყოფნა და სხვ.

ჩხრეკის მონაწილეებს წინასწარ არ უნდა ეცნობოთ, თუ სად ან ვისი ბინის ან ვისი სამსახურებრივი სამუშაო ოთახის ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა და სხვ. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე ჩხრეკის ჩატარებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების შერჩევისა და მომზადების საკითხს. ამ მიმართებით, პირველ რიგში, შემოწმებულ უნდა იქნეს საგამოძიებო პორტფელისა და საგამოძიებო ჩემოდნის მზადყოფნა, სრულადაა იგი თუ არა დაკომპლექტებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით და სხვ.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაში დამსწრე პირების შერჩევი-

სას, რომელიც არ შეიძლება იყოს ორზე მეტი, გასათვალისწინებელია, ის, რომ სსსკ-ის 321-ე მუხლის საფუძველზე ეს საკითხი მინდობილი აქვს იმ პირს, ვისთანაც ტარდება ჩხრეკა ან ამოღება, ე.ი. ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს. მათ უფლება აქვთ დამსწრედ მოიწვიონ მათთვის სასურველი ნებისმიერი პირი.

საგულისხმოა, რომ პირს, რომელთანაც ტარდება ჩხრეკა ან ამოღება, უფლება აქვს მისცეს აცილება გამომძიების ან პროკურორის მიერ ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ სპეციალისტს, ექსპერტს ან თარჯიმანს იმ მოტივით, რომ იგი იცნობს მას და აუცილებლად გაახმაურებს მონაცემებს გასაჩხრეკის პირადი ცხოვრების შესახებ, ან თვითონ ჩხრეკის ფაქტს.

მაშასადამე, დამსწრე პირებთან ერთად ჩხრეკასა და ამოღებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სპეციალისტი და თარჯიმანი. მოსაწვევი სპეციალისტის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ როგორია გასაჩხრეკი ობიექტის თავისებურება და ჩხრეკის მიზანი. მაგალითად, სპეციალური სამალავების აღმოჩენის მიზნით, სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებისათვის მიზანშეწონილია მოწვეულ იქნეს კრიმინალისტი. დოკუმენტების დათვალიერებისა და მათი ამოღების მიზნით, კრიმინალისტთან ერთად უკეთესი იქნება საბუღალტრო საქმიანობის მცოდნე პირის მოწვევაც და სხვ.

ჩხრეკასა და ამოღებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებს გასაჩხრეკ ობიექტთან მისვლის შემდეგ ამ მოქმედების ჩამტარებელმა პირმა (გამომძიებელმა, ან პროკურორმა) უნდა ჩაუტაროს სათანადო ინსტრუქტაჟი მათი უფლება-მოვალეობების შესახებ და გააფრთხილოს ისინი, რომ ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი და ამოღებული საგნების შესახებ მათ ეკრძალებათ ინფორმაციის გავრცელება, რომ არ უნდა გახმაურდეს ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ოჯახის წევრების ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები და სხვ.

ჩხრეკის მწარმოებელს ევალება ისიც, რომ საცხოვრებელი ბინის ან სამსახურებრივი სამუშაო ოთახის ჩხრეკის პროცესში მოიწვიოს და დაასწროს ის პირი, ვისთანაც ტარდება ჩხრეკა ან ამოღება ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი. ხოლო თუ მათი დასწრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, მაშინ მოწვეულ უნდა იქნეს სახლის პატრონი ან ადგილობრივი მმართველობის, ან თვითმმართველობის

აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი. სამსახურებრივი სამუშაო ოთახის ჩხრეკის ჩატარებაში კი მონაწილეობა უნდა მიიღოს საწარმოო-დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომელსაც ჩხრეკის მონაწილე სხვა პირებთან ერთად კანონით მინიჭებული აქვს უფლება დაესწროს ჩხრეკის ჩამტარებელი პირის ყველა მოქმედებას და გააკეთოს სათანადო განცხადება ჩხრეკის ოქმში შესატანად.

სსსკ-ის 321-ე მუხლით რეგლამენტირებული ამ მოთხოვნის დაუცველობა იწვევს ჩხრეკის ან ამოღების უკანონოდ ცნობას და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობას. ასე მაგალითად, იმის გამო, რომ გ-ეს ბრალდების საქმეზე მისი ბინის ჩხრეკას არ ესწრებოდა არც თვითონ ბრალდებული გ-ე და არც მისი ოჯახის არც ერთი წევრი და არც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელი, ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ნივთმტკიცება (ფ-1 ტიპის ხელყუმბარა) სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა დაუშვებელ მტკიცებულებად.[1]

საჭიროა მოხდეს აგრეთვე ჩხრეკაში ან ამოღებაში მონაწილე პირთა შორის ფუნქციების განაწილება. მათგან ჩხრეკის ჩამტარებელმა პირმა ოპერატიულ ჯგუფს უნდა მისცეს შესაბამისი დავალება, რომ თვალყური ადევნონ გასაჩხრეკ ობიექტზე მყოფ პირთა მოქმედებას, ჩხრეკის ან ამოღების დამთავრებამდე ჩხრეკის ობიექტზე მყოფ პირებს არ მისცეს უფლება დატოვონ ეს ადგილი. აგრეთვე დაიცვას ჩხრეკის ობიექტი გარეშე პირების ზემოქმედებისაგან.

ყოველივე ამის შემდეგ ჩხრეკის ან ამოღების დაწყების წინ ამ მოქმედების ჩამტარებელი პირი (გამომძიებელი ან პროკურორი) ვალდებულია პირს, რომელთანაც ტარდება ჩხრეკა ან ამოღება, გააცნოს სასამართლოს ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვაზე და მასზე ხელი მოაწერინოს. თუ არც ბინის მეპატრონე და არც ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრი გარკვეული მიზეზების გამო ჩხრეკას ან ამოღებას არ ესწრება, მაშინ მოწვეულ უნდა იქნეს სახლის პატრონი ან ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი და იგი ჩატარდეს მათი თანდასწრებით. ტაქტიკური თვალსაზრისით, უმჯობესია, თუ ბინის ჩხრეკა ჩატარდება საცხოვრე-

---

[1] იხ. საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის პრაქტიკიდან, საქმე №7499213.

ბელი ბინის მფლობელისა და მასში მცხოვრები პირის თანდასწრებით.

თუ ბინის მეპატრონე ან მასში მცხოვრები პირი ამა თუ იმ საგანზე ან ნივთზე მიუთითებს, რომ იგი მას არ ეკუთვნის, რომ იგი არის მისი ახლო ნათესავის, მეგობრის ან ნაცნობის, და იგი მათ მიიტანეს მასთან შესანახად, ასეთ დროს ნივთის ან საგნის ჩხრეკა და ამოღება, სსსკ-ის 322-ე მუხლის თანახმად, შეიძლება მოხდეს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დამალა მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი". ამავე მუხლის თანახმად, ამა თუ იმ ობიექტის (საცხოვრებელი ბინის, სამასახურებრივი სამუშაო ოთახის და სხვ.) ჩხრეკის ან ამოღების წარმოების დროს აუცილებელი გახდება ისეთი ობიექტების ჩხრეკა ან ამოღება, რომელიც მოხსენიებული არაა მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლოს განჩინებაში (დადგენილებაში), ასეთ დროს, როგორც წესი, საჭიროა დამატებით იქნეს მიღებული მოსამართლის ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) ამ მოქმედების ობიექტების წრის გაფართოების შესახებ. ამასთან, კანონი ნებას აძლევს ამ მოქმედების ჩამტარებელ პირს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ გააფართოოს ჩხრეკისა და ამოღების ობიექტთა წრე, მაგრამ ამის შესახებ, დადგენილი წესისამებრ, აუცილებლად უნდა აცნობოს მოსამართლეს.

მაშასადამე, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისათვის იურიდიული და ფაქტობრივი საფუძვლის მოპოვების გარდა, ჩხრეკის ჩამტარებელმა პირმა საჭიროა ჩაატაროს ისეთი მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებები, როგორიცაა: გასაჩხრეკი ობიექტების შესახებ საჭირო ცნობების მოპოვება; იმ პირთა წრის განსაზღვრა, ვისთანაც უნდა ჩატარდეს ჩხრეკა; ჩხრეკით დასაძებნი საგნის გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნების შესწავლა; შეარჩიოს ოპერატიული ჯგუფი ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად; შეარჩიოს და მოამზადოს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები (საგამოძიებო ჩემოდანი, ოპერატიული ჩანთა, ცეცები, მაგნიტური მძებნელი, რენტგენის აპარატი და სხვ.); ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად შეარჩიოს დამსწრე პირები და სპეციალისტები და დროულად მოახდინოს მათი მოწვევა; უზრუნველყოს ჩხრეკაში მონაწილეობის მიღება საცხოვრებელი ბინის მფლობელის ან მასში მცხოვრები პირების; მოახდინოს გასაჩხრეკი ობიექტის დაცვა და მასზე ფარული თვალთვალის დაწესება; გან-

საზღვროს ჩხრეკის ჩატარების დაწყების დრო; გადაადგილებისათვის მოამზადოს სატრანსპორტო საშუალებები; შეადგინოს ჩხრეკის ჩატარების გეგმა და სხვ.

გ) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ზოგადი წესი. ამ რთული იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედების პროცესში საჭიროა ზედმიწევნით იქნეს დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მოქმედებით მოპოვებულ (აღმოჩენილ და ამოღებულ) საგანს, დოკუმენტს და სხვ., რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი გამოსაძიებელი საქმის ამა თუ იმ გარემოების დასადგენად, მას მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება. ამიტომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკური ხერხებისა და ჩხრეკის ფსიქოლოგიის საკითხების განხილვამდე, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ამ მოქმედებათა ჩატარების პროცესუალურ წესზე.

სსსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკის ჩამტარებელი პირი (გამომძიებელი, პროკურორი) მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) საფუძველზე, უფლებამოსილია შევიდეს მოქალაქეთა საცხოვრებელ ბინაში ან მათ სხვა სამფლობელოში გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნისა თუ დოკუმენტის აღმოჩენისა და ამოღების მიზნით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში უფლებამოსილია შევიდეს იძულების წესით. ამ მოქმედების დაწყების წინ იგი ვალდებულია ხელმოწერით გააცნოს სასამართლოს ბრძანება, განჩინება ან დადგენილება პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. ამასთან, იგი ვალდებულია მიიღოს ყველა ღონისძიება, რომ არ იქნეს გახმაურებული ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში გამოვლენილი მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დამახასიათებელი (ინტიმური და სხვ.) საიდუმლო გარემოებები.

ამოღების ჩატარების დროს ამ მოქმედების ჩამტარებელი პირი ადრესატისათვის მოსამართლის ბრძანების ან სასამართლოს განჩინების, ან დადგენილების წარდგენისა და გაცნობის შემდეგ, წინადადებას აძლევს ნებაყოფლობით გადასცენ ამოსაღები საგანი ან დოკუმენტი. თუ ამ ობიექტის მფლობელი, იქ მაცხოვრებელი ან სხვა პასუხისმგებელი პირი უარს იტყვის მოთხოვნილი საგნის ან დოკუმენტის გადმოცემაზე, მაშინ მისი ამოღება უნდა მოხდეს იძულების წესით —

ჩხრეკის ჩატარებით. ასევე, თუ ამოსაღები საგანი ან დოკუმენტი არ იქნა აღმოჩენილი იმ ადგილას, რომელიც მითითებულია ბრძანებაში, განჩინებაში ან დადგენილებაში, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ამ პროცესუალურ დოკუმენტში მითითებულ ადგილას. დასახელებული საგნის ან დოკუმენტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში, შედგენილ უნდა იქნეს ამოღების ოქმი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ კანონმდებლობით ჩხრეკის ჩამტარებელი პირი (გამომძიებელი, პროკურორი) უფლებამოსილია ამოღების ან ჩხრეკის დამთავრებამდე იქ მყოფ და იქ მისულ პირებს აუკრძალოს ერთიმეორესთან ლაპარაკი და ურთიერთობა. ამასთან, მათ უფლება აქვთ იქ მისული პირები უკან არ გაუშვან ჩხრეკის დამთავრებამდე.

ჩხრეკის ჩატარების პროცესში მოძებნილ და ამოღებულ უნდა იქნეს არა მარტო ის საგანი ან დოკუმენტი, რაც ამ მოქმედების ჩატარების უფლების ამსახველ პროცესუალურ დოკუმენტშია მითითებული, არამედ სხვა ისეთი საგანი, ნივთი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმეზე შეიძლება ჰქონდეს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამოღებას ექვემდებარება აგრეთვე ისეთი ნივთი, რომლის შენახვაც კანონით საერთოდ აკრძალულია ან, რომლის შენახვის უფლება მოცემულ პირს არ ჰქონდა (მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერება, უნებართვოდ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა და სხვ.), და საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოებაზე მითითებული საგანი ან დოკუმენტი.

მაშასადამე, ჩხრეკის ჩამტარებელი პირი არ შეიძლება შემოიფარგლოს მარტოოდენ იმ საგნების, დოკუმენტებისა და ნივთების ძებნით, რაც ჩხრეკის ჩატარების შესახებ გაცემულ მოსამართლის ბრძანებაში, განჩინებაში ან დადგენილებაშია მითითებული. ამ საგნების საძიებო წრე შეიძლება გაფართოვდეს. მაგრამ კანონი მოითხოვს, რომ ჩხრეკის ოქმში აღინიშნოს და დასაბუთებულ იქნეს, თუ რატომ იქნა ამოღებული ეს საგანი, ნივთი ან დოკუმენტი.

ჩხრეკის ჩატარების პროცესში ამ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უფლებამოსილია გასაჩხრეკი სათავსი ან საცავი გააღოს იძულების წესით, თუ მისი მფლობელი ნებაყოფლობით არ მოახდენს მის გაღებას. ამასთან, უნდა მოერიდოს მის დაზიანებასა და გატეხვას. უკანონოდ და უსაფუძვლოდ ამოღებული და ჩხრეკის შედეგად მიყ-

ენებული ზიანი პირს კანონით დადგენილი წესით უნდა აუნაზღაურდეს. კანონით რეგლამენტირებულია ისიც, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი საგანი და დოკუმენტი უნდა წარედგინოს იქ მყოფ პირებსა და დამსწრეებს და ამის შესახებ დეტალურად აღიწეროს ჩხრეკის ოქმში. აღმოჩენილი და ამოღებული საგანი სათანადოდ უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და გაუკეთდეს სათანადო წარწერა შესაბამის პირთა ხელმოწერებით.

§3. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება თავისთავად ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია. კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში, არცთუ ისე უსაფუძვლოდ, ჩხრეკის წარმოების მთელი პროცესი დაყოფილია შემდეგ ოთხ სტადიად: მოსამზადებელ, მიმოხილვით, დეტალურ და ჩხრეკის შედეგების ფიქსაციის სტადიად.[1]

ჩხრეკისა და ამოღების მომზადების სწორ ორგანიზაციაზე, შეიძლება ითქვას, ბევრადაა დამოკიდებული მათი ჩატარების ეფექტურობა. ამ საგამოძიებო მოქმედებებიდან შედარებით რთული და შრომატევადია ჩხრეკის ჩატარება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ამ მოქმედების ჩატარების ტაქტიკურ თავისებურებებზე შევჩერდებით.

ა) ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკა. ჯერ კიდევ ჩხრეკის მოსამზადებელ ეტაპზე, ზემოაღნიშნულ მოსამზადებელ გარემოებათა გარდა, საჭიროა:

1. სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული საქმეში არსებული მასალა;

2. მიღებულ იქნეს სათანადო ინფორმაცია გასაჩხრეკი ობიექტის — შენობის ადგილმდებარეობის (ზუსტი მისამართი), მისი განლაგების, შენობის მფლობელის ან მასზე პასუხისმგებელი პირის (როცა საჭიროა სამსახურებრივ სამუშაო ოთახში ჩხრეკის ჩატარება) ვინაობა;

3. საცხოვრებელი ბინის მფლობელის (ბინის ჩხრეკის დროს) პიროვნება, პროფესია და დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან, მეგობრებთან, მეზობლებთან და ნათესავებთან;

---

[1] Криминалистика. Учебник, М., 1998, გვ. 273.

4. ჩხრეკის ობიექტის მფლობელი პირის (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის) წარსული (ადრინდელი ნასამართლობა და სხვ.) და კავშირი დამნაშავეთა სამყაროსთან, მისი ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა შემადგენლობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება, საქმიანობა და ცხოვრების წესი;

5. სატელეფონო ქსელისა და აპარატურის ოთახებში განლაგება;

6. აქვთ თუ არა მობილური ტელეფონი;

7. ბინაში აქვთ თუ არა სიგნალიზაცია დაყენებული;

8. როდის ხდება სახლში ოჯახის ყველა წევრის შეკრება;

9. ოჯახის წევრთაგან პირი, რომელიც იმხილება დანაშაულში, სად, ვისთან და როგორ ატარებს თავისუფალ დროს;

10. ამ მოქმედებათა ჩატარების დროის, მასში მონაწილე პირების, ოპერატიული ჯგუფისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების შერჩევა ძვირფასი კეთილშობილური ლითონების, საიდუმლო სამალავებისა და სხვა საგნების აღმოსაჩენად და სხვ.

11. შესწავლილ უნდა იქნეს საძიებო საგნების ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები, მათი დანიშნულება, თავისებურება, მოცულობა, სავარაუდო რაოდენობა და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ წინასწარი მონაცემები შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც პროცესუალური, ისე არაპროცესუალური წყაროებიდან.

ბ) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკური ხერხები. კრიმინალისტიკაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ ჩხრეკის ისეთ ტაქტიკურ ხერხებს, როგორიცაა: თანმიმდევრული და შერჩევითი გამოკვლევა, ცალკეული და ჯგუფური, ერთობლივი და ცალკეული, პარალელური და შემხვედრი გამოკვლევა, შესამოწმებელი ობიექტების მთლიანობის დარღვევითა და დარღვევის გარეშე ჩატარებული გამოკვლევა, ერთგვაროვანი საგნებისა და მონაკვეთების შედარებითი კვლევის მეთოდი, მიკროჩხრეკისა მეთოდი და ე.წ. „სიტყვიერი" დაზვერვის მეთოდი.[1]

ჩხრეკის ტაქტიკური ხერხების შერჩევა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ჩხრეკის ობიექტი. ამ უკანასკნელის მიხედვით კი ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ საცხოვრებელი ბინის, დამხმარე სათავსების, სამსახურებრივი სამუშაო

---

[1] Криминалистика. Учебник. М., 1998, გვ. 273-274.

ოთახისა და მისი მიმდებარე სათავსების დაცული ადგილმდებარეობისას ჩხრეკა და პირადი ჩხრეკა.

ჩხრეკის ზემოაღნიშნული ობიექტებიდან შედარებით რთული და უფრო შრომატევადია საცხოვრებელი ბინისა და მისი დამხმარე სათავსების ჩხრეკა, რომელიც იმავე დროს მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

ჩხრეკის თანმიმდევრული და შერჩევითი გამოკვლევის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩხრეკის ჩამტარებელი პირი, პირველ შემთხვევაში, თანმიმდევრულად, დაუშვათ, საათის ისრის მიმართულებით, ამოწმებს და იკვლევს ყველა შემხვედრ საგანსა და ობიექტს. შერჩევითი მეთოდის დროს კი იგი, პირველ რიგში, შერჩევით იღებს, ამოწმებს და იკვლევს იმ საგნებსა და ობიექტებს, რომლებშიც მისი სავარაუდო მოსაზრებით უნდა იყოს გადამალული ჩხრეკის საგანი; **ცალკეულ და ჯგუფურ ჩხრეკაში** იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ჩხრეკას აწარმოებს ერთი გამომძიებელი ან რამდენიმე და ოპერატიული ჯგუფი. შეიძლება იმავდროულად ჩატარებულ იქნეს აგრეთვე რამდენიმე ობიექტის ერთდროული ჩხრეკა; **ერთობლივ და ცალ-ცალკე ჩხრეკაში** იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ჩხრეკის ორი სუბიექტი ერთდროულად ახდენს გასაჩხრეკი ობიექტის გამოკვლევას; ცალ-ცალკე ჩხრეკის ჩატარებისას კი ჩხრეკის თითოეული სუბიექტი დამოუკიდებლად აწარმოებს ჩხრეკის ობიექტის გამოკვლევას; **შემხვედრ ჩხრეკას უწოდებენ** ისეთ ტაქტიკურ ხერხს, როცა ჩხრეკის ჩამტარებელი პირები სხვადასხვა მხრიდან იწყებენ გასაჩხრეკი ობიექტის გამოკვლევას და კვლევის ამ პროცესში ერთიმეორისაკენ მიდიან და ერთმანეთს ხვდებიან ცენტრში; **ჩხრეკის ობიექტების დაშლით** (დარღვევით) **და დაუშლელად** ჩხრეკის ჩატარებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ჩხრეკის დროს ხდება გასაჩხრეკი ობიექტის გარეგნული ფორმის დაზიანება, როგორიცაა, მაგალითად, ამა თუ იმ საგნის სარჩულების გაჭრა (გარღვევა), გასაჩხრეკი ობიექტის მთლიანობის დარღვევა, მისი გატეხვა და სხვ.; **ერთგვაროვანი საგნების შედარებითი კვლევის მეთოდის** დროს ჩხრეკის პროცესში შეიძლება ერთიმეორეს შეადარონ ორი ერთგვაროვანი საგანი და თუ მათ შორის აღმოჩნდება სხვაობა, ეს გარემოება შეიძლება მიუთითებდეს იმ ადგილზე სპეციალური სამალავის არსებობაზე და სხვ. მიკროჩხრეკის დროს იკვლევენ ჩხრეკის ობიექტზე მიკრონაწილაკების არსებობას და

სხვ. რაც შეეხება „სიტყვიერი“ დაზვერვის მეთოდს, მას მიმართავენ მაშინ, როცა აინტერესებთ გაიგონ ერთი ობიექტის დამთავრებისა და მეორეზე გადასვლის შესახებ, წარმოთქმული სიტყვა როგორ ზემოქმედებას მოახდენს გასაჩხრეკი ობიექტის მფლობელ პირზე, მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე და სხვ.

ზემოაღნიშნული ტაქტიკური ხერხების გამოყენება სავალდებულო და ამომწურავი არაა. მაგალითად, ტაქტიკური თვალსაზრისით ზოგჯერ შეიძლება გამართლებულ იქნეს ჩხრეკის განმეორებითი ჩატარება და სხვ.

ამ უკანასკნელი სახის ტაქტიკურ ხერხს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა პირველადი ჩხრეკა ჩატარდა ნაუცბადევად სათანადო მომზადების გარეშე, ან როცა ჩხრეკის რომელიმე მნიშვნელოვანი ობიექტი სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან, როცა პირველადი ჩხრეკა ჩატარებულ იქნა არახელსაყრელ პირობებში და ამიტომ ვერ იქნა მოძიებული ჩხრეკის საგანი, ან როცა ვარაუდია, რომ პირველადი ჩხრეკის დროს გასაჩხრეკი ობიექტის მფლობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი წინასწარ იყო ინფორმირებული მოსალოდნელი ჩხრეკის შესახებ და ამიტომ მან შეძლო წინასწარ სხვაგან გადაენახა გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები.

მაგალითად, გ-ეს ბინის ჩხრეკის დროს, რომელიც ჩატარდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ბრალდებულის სახით მისი პასუხისგებაში მიცემის დღეს, ჩხრეკის შედეგად ვერავითარი ძვირფასეულობა ვერ იქნა ნანახი და გამომძიებელი ხელცარიელი დაბრუნდა. მაგრამ შემდეგ, თითქმის გამოძიების დამთავრების წინა ეტაპზე, მისი ბინის განმეორებითი ჩხრეკის დროს აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა საქმეზე მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი ძვირფასი ნივთები. ეს კი მიღწეულ იქნა იმის გამო, რომ გ-ეს ბინაში მცხოვრებმა, ბინის ჩხრეკის მოლოდინში ყველა ძვირფასი ნივთი თავის ახლო ნათესავებსა და მეზობლებში გადამალა და შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ გამოძიება საქმეს უკვე ამთავრებდა და ბინის განმეორებით ჩხრეკას აღარ ჩაატარებდა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული გადამალული ნივთები უკანვე დაიბრუნა და ამიტომ განმეორებითმა ჩხრეკამ სასურველი შედეგი გამოიღო.

გ) ფსიქოლოგიური მონაცემების გამოყენება ჩხრეკის პროცესში. ჩხრეკის პროცესში ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს ჩხრეკაში მონაწილე ჩხრეკის ობიექტის მფლობელ პირებზე ფსიქოლოგიური დაკვირვე-

ბის მეთოდი. კერძოდ, ბინის ჩხრეკის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ჩხრეკის პროცესში ამა თუ იმ საგნის აღმოჩენა როგორ ზემოქმედებას მოახდენს ბინის მფლობელის ან ჩხრეკის შედეგებით დაინტერესებული პირის ფსიქოლოგიურ განწყობაზე. ეს აუცილებელია, რადგან ასეთ დროს ისინი თვისდაუნებურად ამხელენ დასაძებნი საგნის ადგილსამყოფელს.

მაგალითად, კ-ს ბინის ჩხრეკის დროს ძველმანებით სავსე კომოდის ქვედა უჯრაში 3000 მანეთის აღმოჩენამ მათზე ძლიერი შთაბეჭდილება არ მოახდინა. მაგრამ როცა გამომძიებელი ბუფეტს მიუახლოვდა და მისი გასინჯვა დაიწყო, კ-ა დივანიდან წამოხტა და ბუფეტთან მივიდა. გამომძიებელმა იგი უკანვე დააბრუნა, მაგრამ იგი კვლავ მივიდა ბუფეტთან და გამომძიებელს სთხოვა, რომ ჭურჭელი არ დაემტვრიათ. გამომძიებელმა საეჭვოდ მიიჩნია მისი ეს მოქმედება და როცა ბუფეტის შემოწმებით ვერაფერი ვერ აღმოაჩინა, მაშინ დამსწრე პირებს წინადადება მისცა ბუფეტი გადაადგილებინათ, რაზეც კ-ა კვლავ მივიდა გამომძიებელთან და დაუწყო რწმუნება, რომ იგი დროს ტყუილად კარგავდა და თავი დაენებებინა ბუფეტის გადაადგილებისათვის, რათა ახლად შეღებილი იატაკი არ დაეზიანებინათ. კედლიდან ბუფეტის მოშორების შემდეგ მის ქვეშ მოთავსებულ ჭუჭყიან ქაღალდებში აღმოჩნდა შემნახველი სალაროს 14 წიგნაკი 27000 მანეთის შენატანზე. შემდეგ, როცა გამომძიებელი შეუდგა საკუჭნაოში ღუმელის ჩხრეკას, კ-სა და მის მეუღლეს კვლავ საკმაო მღელვარება დაეტყოთ. განსაკუთრებით მაშინ, როცა გამომძიებელი ღუმელის ძირში იატაკს სინჯავდა და მათ გამომძიებელს რამდენჯერმე უსაყვედურეს ნივთებისადმი უდიერად მოპყრობაში. გამომძიებელმა აქ მართლაც ვერაფერი აღმოაჩინა და საკუჭნაოდან სამზარეულოში გადავიდა. ამ გარემოებამ კ-ა და მისი მეუღლე ისე დაამშვიდა, რომ სადილობაც კი გადაწყვიტეს. მათი ასეთი მოქმედებით გამომძიებელი მიხვდა, რომ საკუჭნაოს ჩხრეკის დროს რაღაც გამორჩა. იგი კვლავ დაუბრუნდა საკუჭნაოს და შეუდგა ღუმელის ირგვლივ იატაკის შემოწმებას. ღორღის რამდენიმე ფენის აღების შემდეგ, დაახლოებით 40სმ სიღრმეში, აღმოჩნდა დიდი ემალირებული ჩაიდანი, რომელშიც მოთავსებული იყო მინის ქილა ლითონის თავსახურით, საიდანაც ამოღებულ იქნა 8.200 გ ოქროს სხვადასხვა სახის ნივთი (ოქროს 5, 10 და 15-მანეთიანები, ოქროს მედლები და სხვ.).

დ) საცხოვრებელი ბინისა და ადგილმდებარეობის ჩხრეკის ზოგიერ-

თი ტაქტიკური თავისებურება. ბინის ჩხრეკის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბინის მფლობელის პროფესია, სპეციალობა, რადგან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ძვირფასი ნივთების გადასამალად ხშირად იყენებენ თავიანთ პროფესიას სპეციალური სამალავების მოწყობისათვის.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიტანოთ, ჯერ კიდევ ადრე, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩატარებული ჩხრეკის ერთ-ერთი წარმატებული ოპერაციის შედეგები და მისი ზოგიერთი ფოტოილუსტრაცია.



სურ. 7. თ-ს ბინაში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი შემნახველი სალაროს წიგნაკები წარმომდგენზე, მეფისდროინდელი ოქროს ფული, ოქროს ჯიბის საათი თავისივე ოქროს ძეწკვით, ოქროს ნაქსოვი მსხვილი ყელსაბამები და 100 ცალი ასმანეთიანი

წინასწარი მონაცემებით დადგენილ იქნა, რომ დ-ე თავისუფალ დროს დურგლობას ეწეოდა. მისი ბინის ჩხრეკის დროს კარადის უჯრები და დივანის ძირი ორმაგი ფიცრებით იყო გაკეთებული და მათ შორის მოთავსებული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის ფული.

გარკვეული ფსიქოლოგიური დაკვირვება უნდა ვაწარმოოთ არა მარტო ჩხრეკის შედეგებით დაინტერესებულ პირთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე, არამედ თითოეული მათგანის მოძრაობაზეც, რადგან ზოგჯერ ისინი ცდილობენ ჩხრეკის საძიებო საგანი როგორმე მოათავსონ ჩხრეკის ჩამტარებელი პირის ტანსაცმლის ჯიბეში ან მათ კუთვნილ ხელსაწყოებში და სხვ.





სურ. 8. თ-ს ბინის სარდაფში ჩხრეკის დროს ლითონმძებნი ხელსაწყოს გამოყენებით აღმოჩენილი მიწაში ჩაფლული თუნუქის სახურავიანი მინის ორი ქილიდან ამოღებული შემნახველი სალაროს 47 წიგნაკი წარმომდგენის ანგარიშზე (134900 მანეთის რაოდენობით) და ცალკე 30000 მანეთი; იქვე, სარდაფის კედლიდან ამოღებული ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ხუთი საბრძოლო ვაზნით

მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ისიც, რომ ზოგჯერ ძვირფასეულობასა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს ინახავენ არა მარტო თავიანთ საცხოვრებელ ბინაში, არამედ თავისი და თავისი ნათესავებისა და მეგობრების საცხოვრებელ ბინებსა და დამხმარე სათავსებშიც. ამიტომ, პირველ რიგში, დადგენილ უნდა იქნეს მათი ვინაობა, მისამართი და დამოკიდებულება. ამასთან, საჭიროა ჩხრეკის დროს მოხდეს გასაჩხრეკი ობიექტების წრის გაფართოება სათანადო პროცესუალური წესების დაცვით. თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩხრეკის ობიექტების წრის ასეთ გაფართოებას, ამის საილუსტრაციოდ საქართველოს პროკურატურის პრაქტიკიდან მოვიტანთ შემდეგ მაგალითს:

თ-ეს ბინის ჩხრეკის შემდეგ აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობით შემნახველი სალაროს წიგნაკები ანაბრის წარმომდგენზე გაცემის უფლებით, მეფისდროინდელი ოქროს ფული, ოქროს ჯიბის საათი თავისი ოქროს ძეწკვით, ოქროს ნაქსოვი მსხვილი ყელსაბამი და ასი ცალი ასმანეთიანი. მისი ბინის სარდაფში კი ლითონმძებნი ხელსაწყოების გამოყენებით აღმოჩენილ იქნა თუნუქის სახურავიანი მიწაში

ჩაფლული მინის ორი ქილა, საიდანაც ამოღებულ იქნა 47 ცალი შემნახველი სალაროს წიგნაკი წარმომდგენის ანგარიშზე (134 900 მანეთის რაოდენობით) და ცალკე 30000 მანეთი. იქვე სარდაფის კედლიდან ამოღებულ იქნა რევოლვერის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 5 საბრძოლო ვაზნით (იხ. სურ. 8).

თ-ეს ბინასა და სარდაფში ჩხრეკისას აღმოჩენილი ასეთი დიდი რაოდენობის „ნადავლის" მიუხედავად, გამომძიებელი ამით არ დაკმაყოფილდა და ჩხრეკის ობიექტებს დაუქვემდებარა თ-ეს ახლო ნათესავებისა და მეგობრების საცხოვრებელი ბინები და სათავსები, რომელთაგან, გამოძიების მოთხოვნის საფუძველზე, ზოგმა ნებაყოფლობით წარადგინა მათთან თ-ეს მიერ მიბარებული საგნები და ნივთები. იმათ კი, ვინც უარი განაცხადა შესანახად მათთან თ-ეს მიერ მიტანილი ნივთების გადაცემაზე, მათთან ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა მრავალი საძიებო ნივთი.

მაგალითად, გამომძიებლის მოთხოვნაზე ნებაყოფლობით გადაეცა გამოძიებისათვის თ-ეს მიერ მისთვის მიბარებული საგნები, მ-ემ გულწრფელად ნებაყოფლობით გამოიტანა და გადასცა 2 შეკვრა თ-ეს მიერ მისთვის 2 წლის წინ შესანახად მიბარებული ძვირფასეულობა. კერძოდ, 73 ცალი შემნახველი სალაროს წიგნაკი წარმომდგენზე საერთო თანხით 199800 მანეთის, 12 ცალი ასმანეთიანი და 25-მანეთიანები, სულ 1425 მანეთი, აგრეთვე ოქროს საათი „ლონჟინი" თავისი ოქროს ძეწკვით. ქაღალდის მეორე შეკვრაში იყო 3 ცალი ჯვარი ოქროს ძეწკვით ქრისტეს გამოსახულებითა და სხვა გამოსახულებებით, ხელის ოქროს სამაჯური სხვადასხვა ძვირფასი თვლით შემკული; 6 ცალი ოქროს ბეჭედი ძვირფასი თვლებით, ორი ბრილიანტი, ერთი ცალი ოქროს გულსაბნევი 34 წვრილი ბრილიანტის თვლით და სხვა ძვირფასეულობა.

ასევე ლ-ემ ჩხრეკის დაწყებამდე ნებაყოფლობით განაცხადა, რომ თ-ემ მას შესანახად მიაბარა ქაღალდში შეხვეული შეკვრა, რომელშიც აღმოჩნდა 18 ცალი შემნახველი სალაროს წიგნაკი წარმომდგენზე 50000 მანეთის რაოდენობით. ამ შემთხვევაში გამომძიებელი მართებულად მოიქცა, როცა დაკმაყოფილდა ამოღებით. ჩ-ე კი, რომელიც შეეცადა არასრულად წარედგინა თ-ეს მიერ მისთვის მიბარებული ნივთები, ამოღება კანონზომიერად გადაიზარდა ჩხრეკაში, რა დროსაც მის სარდაფში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა 30 სმ სიღრმეში

ჩადებული მინის ქილა, რომელშიც მოთავსებული იყო 17 ცალი შემნახველი სალაროს წიგნაკი.

ასევე ს-ეს ბინის სხვენში, აგურებსა და კრამიტებს შორის, აღმოჩენილ იქნა ტყავის ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო 3 სხვადასხვა სახის შეკვრა. ერთ შეკვრაში აღმოჩნდა 69 სხვადასხვა ზომის ძვირფასი საქორწინო ბეჭედი, მეორეში 32 ცალი მოყვითალო ფერის ლითონის 10-მანეთიან მეფე ნიკოლოზის გამოსახულებით. იქვე ცალკე პარკში აღმოჩნდა 3%-იანი ობლიგაციები 37220 მანეთის ოდენობით. **მოცემულ საქმეზე ჩხრეკის შედეგად სულ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა 1092696 მანეთის შემნახველი სალაროს წიგნაკები და ფული, აგრეთვე 107 ოქროს 10-მანეთიანი და სხვა ძვირად ღირებული კეთილშობილური ლითონებისაგან დამზადებული საგნები და ნივთები.**[1]

ასევე, კ-ს ბრალდების საქმეზე მისმა ნათესავმა წ-მ საგამოძიებო ორგანოებს ნებაყოფლობით წარუდგინა კ-ს მიერ მასთან შესანახად მიტანილი 6000 მანეთი. მისმა მეუღლემ კი საგამოძიებო ორგანოებს ნებაყოფლობით წარუდგინა 23000 მანეთი და 21000 მანეთის შემნახველი სალაროს წიგნაკი წარმომდგენზე ანაბრის გაცემის უფლებით.

ბინის ჩხრეკის დროს, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს და გულდასმით იქნეს გამოკვლეული იატაკი და კედლები, იატაკზე არსებული ახალი ნალურსმნები ან შეუღებავი ლურსმნის თავები, იქ არსებული სხვადასხვა ფერის არსებობა, აგრეთვე ცალკეული სახის საოჯახო ნივთები და პირადი მოხმარების საგნები და სხვ. მაგალითად, მ-ეს ბინის ჩხრეკის დროს აბაზანის ოთახში, პირსაბანის ქვეშ მოწყობილ სპეციალურ სამალში აღმოჩენილ იქნა 29250 მანეთი, თუთრეულის გასაშრობ რკინის ტუმბოში კი აღმოჩენილ იქნა სპეციალური სამალავი, საიდანაც ამოღებულ იქნა 1897 წლის დროინდელი ოქროს მონეტები და სხვადასხვა სახის 54661 მანეთის ოქროს ნაწარმი. ჩხრეკის შედეგად მ-ეს საცხოვრებელ ბინასა და დამხმარე სათავსებში, სხვა ძვირფასეულობის გარდა, აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა 93913 მანეთი.[2]

ტაქტიკური თვალსაზრისით საცხოვრებელი ბინისა და დამხმარე სათავსების, სამსახურებრივი სამუშაო ოთახის, დაცული ადგილმდებარეობისა და აგრეთვე პირადი ჩხრეკა სასურველია ყოველთვის ჩატარდეს მოულოდნელად.

---

[1] საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან, საქმე №17858-75;

[2] საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან, საქმე №7484859, ტ.9.

ზოგჯერ შეიძლება ჩხრეკის ობიექტი იყოს ამა თუ იმ ეჭვმიტანილი პირის კუთვნილი ავტომანქანა, რომლის ჩხრეკის ჩატარების დროს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვასთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს ჩხრეკის ჩატარების ზემოთ განხილული ტაქტიკური ხერხებიც. ამასთან, მისი ჩატარების თავისებურება ბევრადაა დამოკიდებული ჩხრეკით აღმოსაჩენი და ამოსაღები საგნების საერთო და ინდივიდუალური დამახასიათებელი ნიშნების ფორმასა და მოცულობაზე.

მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით ჩატარებული ჩხრეკის ტაქტიკა გარკვეულად განსხვავდება ცეცხლსასროლი იარაღისა და იქ გადამალული სხვა ძვირფასი ნივთების აღმოსაჩენად ჩატარებული ჩხრეკისაგან. მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭიროა მეტი დაკვირვება და თანმიმდევრული გამოკვლევა მანქანის როგორც გარე ნაწილების, ისე მისი შიდა სალონის და იქ არსებული სპეციალური სათავსებისა. ამასთან, მისი ჩხრეკა-ამოღება, სასურველია, ეჭვმიტანილის დაკავების დროსაც ჩატარდეს დამსწრე პირების მონაწილეობითა და სპეციალისტის დახმარებით და ზუსტად იქნეს ფიქსირებული მათი აღმოჩენის ადგილმდებარეობა.

გამოძიების დაწყებამდე, ეჭვმიტანილი პირის დაკავების დროს მისი პირადი ჩხრეკისა და მასთან არსებული ობიექტების (ავტომანქანის, ხელ-ბარგის და სხვ.) ჩხრეკის პროცესში დამსწრე პირების მონაწილეობა სავალდებულო არაა, რადგან იგი მიჩნეულია ეჭვმიტანილის დაკავების თანმდევ ქმედებად და მისი ამოღება მოიხსენიება დაკავების ოქმში.

საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით დანაშაულის საგნისა და ძვირფასეულობის გადასამალად ზოგჯერ პირები აკეთებენ სპეციალურ სამალავებს, რომელთა აღმოჩენა სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გარეშე მეტად რთულია, რადგან ისინი ზოგჯერ საცხოვრებელი ბინების გარდა, იყენებენ აგრეთვე დამხმარე სათავსებს, ავეჯს, მოწყობილობებს, ტანსაცმელს, პირადი მოხმარების ნივთებს და ზოგჯერ ოთახის (ბინის) გარშემო მდებარე ტერიტორიას. ამიტომ თითოეული მათგანი გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპექტრის უხილავი სხივების პრინციპზე აგებული საძიებო ხელსაწყოები, ელექტროცეცები, შავი

და ფერადი ლითონებისაგან დამზადებული სპეციალური ძლიერი მაგნიტური ლითონმძებნელი, ჰაერის ანალიზატორები და სხვ.

მაგალითად, რენტგენის პორტატული აპარატის გამოყენებით მექრთამეობაში მხილებულ ი-ს სახლის ქვით ნაგებ საძირკველში აღმოჩენილ იქნა სპეციალური სამალავი, რომელშიც გადამალული იყო სპეციალური ყუთი სავსე ბრილიანტებითა და ოქროს ნაწარმით.

ზოგჯერ საძიებო ძვირფას ნივთებს ათავსებენ ძველ ფეხსაცმელებში, ერთი შეხედვით, გადასაყრელად გამზადებულ ძველმანებში, თხილისა და სხვა სახის ტომრებში და სხვ.

მაგალითად, დ-ეს ბინის ჩხრეკის დროს დამხმარე სათავსში მოთავსებულ თხილის ტომარაში აღმოჩნდა შავი ფერის მატერიის მსგავსი იზოლირებული ლენტით შეკრული 2 ცალი „ღილი", რომელთა გარსის შემოხსნის შემდეგ გამომძიებელს ხელში შერჩა ბრილიანტის 2 საკმაოდ მსხვილი მარცვალი. საკუჭნაოში გატეხილ თიხის ქოთანში, რომელიც სხვადასხვა სახის ძველმანებს შორის ეგდო, აღმოჩენილ იქნა 3 ოქროს საათი, ოქროს 2 დიდი ბეჭედი, ოქროს 3 სამაჯური და 5000 ლარი და სხვა ძვირფასეულობა. ასევე დ-ს ბინის ჩხრეკის დროს სხვა ძველმან საგნებთან ერთად უბრალოდ მიგდებულ სკოლის მოწაფის ჩანთაში აღმოჩენილ იქნა ძარცვითა და ყაჩაღური თავდასხმით მოპოვებული საკმაოდ დიდი რაოდენობის ძვირფასეულობა და ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი შვიდი საბრძოლო ვაზნით, 50 აშშ ასდოლარიანი და 20 ცალი ასლარიანი (იხ. სურ. 9 და 10).[1]

საცხოვრებელი ბინებისა და დამხმარე სათავსების ჩხრეკის ჩატარების გარდა, ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს სამუშაო ოთახებისა და მისი დამხმარე სათავსების ჩხრეკაც, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო მაგიდასა და მის უჯრებს, ცეცხლგამძლე კარადებსა და იქ არსებულ სხვადასხვა სახის საგნებს.

მაგალითად, თ-ეს ბრალდების საქმეზე მის სამუშაო ოთახში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად საწერი მაგიდის უჯრაში აღმოჩნდა ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 12 საბრძოლო ვაზნით; მეორე უჯრაში კი სისტემის პისტოლეტი 4 საბრძოლო ვაზნით; იქვე პოლიეთილენის პაკეტში გახვეული იყო ათი ათასი (10000) აშშ დოლარი და ხუთი ათასი (5000) ლარი.

---

[1] საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან.



სურ. 9. დ-ს ბრალდების საქმეზე ჩხრეკის ჩატარებისას სხვა ძველმან საგნებთან უბრალოდ მიგდებულ სკოლის მოსწავლის ჩანთაში აღმოჩენილი დატაცებული ძვირფასეულობა და ოქროს მონეტები (საქართველოს გენერალური პროკურატურის პრაქტიკიდან)



სურ. 10. ბრალდებულ დ.-ეს ბინის ჩხრეკის დროს სკოლის მოწაფის ძველ მიგდებულ ჩანთაში აღმოჩენილი ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი შვიდი (7) საბრძოლო ვაზნით, აშშ დოლარები და ქართული ლარი

სამუშაო ოთახების ჩხრეკის დროს, ზოგჯერ კონკრეტული საქმის თავისებურებათა გათვალისწინებით, შეიძლება საჭირო გახდეს სხვა საერთო-სარგებლობის დამხმარე სათავსების შემოწმებაც, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზოგჯერ მასაც იყენებენ საძიებო საგნების გადასამალად. მაგალითად, ერთ-ერთ დაწესებულებაში მექრთამეობაში მხილებული თანამდებობის პირის სამუშაო ოთახის ჩხრეკის შემდეგ ჩხრეკა ჩატარდა მისი სამუშაო ოთახის მახლობლად არსებულ საერთო სარგებლობის საპირფარეშოში, სადაც აღმოჩენილ იქნა უნიტაზზე მიბმული სხვადასხვა სახის ოქროს ნაწარმით სავსე პატარა ტომარა.

დაცული ადგილმდებარეობის ჩხრეკის ჩატარებისას რეკომენდებულია იგი დაყოფილ იქნეს ცალკეულ უბნებად ან სექტორებად, დაცულ იქნეს იგი გარეშე პირებისაგან და ჩხრეკის მონაწილეების მიერ ერთი მიმართულებით წარიმართოს მისი მთლიანი გამოკვლევა თანმიმდევრობით. ჩხრეკის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ადგილმდებარეობის თავისებურებებს — ხომ არ არის იქ რაიმე სახის ახალი „სამუშაოები" შესრულებული, ახალი ნარგავები, ხელოვნურად წარმოქმნილი ბორცვები, ორმოები და სხვ.

ჩხრეკის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. შემოწმებულ და გამოკვლეულ უნდა იქნეს მოქმედი და გაუქმებული ჭები და იქ არსებული ყველა საეჭვო ობიექტი მასზე არსებული კვლებით და სხვ.

ე) *ამოღება.* მიუხედავად იმისა, რომ ამოღება და ჩხრეკა, როგორც აღვნიშნეთ, ორი სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაა, მაგრამ მათ იმდენი საერთო ნიშანი აქვთ, რომ კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა მათი ჩატარების წესი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთი და იმავე მუხლით ყოფილიყო განსაზღვრული.

ჩხრეკის ჩატარების ზემოაღნიშნული ტაქტიკური ხერხები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ამოღების დროსაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ჩხრეკაში გადაიზრდება. მათ შორის ძირითადი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ამოღების დროს წინასწარ ცნობილია საქმეზე მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის საგანი ან დოკუმენტი (მტკიცებულება), თუ იგი ინახება ამა თუ იმ პირთან ან საწარმოო დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მათი დამატებითი

ძებნა საჭირო არ არის. ამასთან არსებობს მონაცემები, რომ პირი, რომელთანაც ინახება გამოძიებისთვის მნიშვნელობის მქონე საგნები, მოთხოვნისთანავე გადასცემს გამოძიებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. ჩხრეკის დროს კი, მართალია, წინასწარი გამოძიებით ცნობილია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების არსებობა ამა თუ იმ პირთან, მაგრამ იმავე დროს არსებობს მონაცემები, რომ ამ საგნებსა და დოკუმენტებს ეს პირი ნებაყოფლობით არ გადასცემს. ეს საგნები და დოკუმენტები მას შეიძლება გადამალული ჰქონდეს სხვადასხვა ადგილას და მათი დაბრუნებისა და ამოღებისთვის საჭირო იქნება იძულებითი წესის გამოყენება ჩხრეკის სახით. ამიტომ ასეთ დროს საჭიროა სათანადო ნებართვის აღება არა ამოღებისთვის, არამედ ჩხრეკის ჩასატარებლად. რა თქმა უნდა, ჩხრეკის ჩატარების შედეგადაც ხდება საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების ამოღება, მაგრამ ეს უკანასკნელი, თავისი პროცესუალური ბუნებით არსებითად განსხვავდება ამოღებისაგან. მათი პროცესუალური დამაგრების წესიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ სსსკ-ის შესაბამის მუხლებში ჩხრეკა და ამოღება, მართალია, ერთადაა მოხსენიებული, მაგრამ ოქმი შედგენილი უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ რა იქნა ჩატარებული: ჩხრეკა თუ ამოღება. კერძოდ, იმაში, რომ ამოღების დროს შედგენილ უნდა იქნეს ამოღების ოქმი, ჩხრეკის დროს კი — ჩხრეკის ოქმი, შესაბამისი რეკვიზიტებისა და წესების დაცვით.

ამოღება, ჩხრეკისგან განსხვავებით, ნებაყოფლობით პრინციპზეა დამყარებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამომძიებელი ან პროკურორი გამოცხადდება რა პირთან, რომელთანაც ინახება გამოძიებისთვის მნიშვნელობის მქონე საგნები ან დოკუმენტები, წინადადებას აძლევს მას გადასცეს დასახელებული საგნები, რომელთა ამოღება, სასურველია, მოხდეს ამ საგნების დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების ამოღება, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარება.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის ამოღების ან მასზე ყადაღის დადებას მიმართავენ მაშინ, როცა არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდ-

ისთვის, რომ გზავნილი შეიცავს ცნობებს ჩადენილი დანაშაულის ან მიმალვაში (ძებნაში) მყოფი პირის, ან ბრალდებულის ადგილსამყოფელის შესახებ, ან საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, ან საგანს, ასეთ დროს გამომძიებელმა ან პროკურორმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს მოსამართლეს სატელეფონო გზავნილზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ, რომელშიც, სხვა აუცილებელ გარემოებებთან ერთად, მითითებული უნდა იყოს იმ პირის სახელი და გვარი, ვისაც ეგზავნება ეს დასაყადაღებელი და ამოსაღები საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი, აგრეთვე მისი გამგზავნის სახელი, გვარი და მისამართი.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ მოსამართლის მიერ გამოტანილი ბრძანება, დადგენილება ან სასამართლოს განჩინება გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა წარუდგინოს შესაბამის საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების უფროსს, რომელიც ვალდებულია ამის საფუძველზე შეაჩეროს აღნიშნული კორესპონდენცია და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის თანამდებობის პირს — გამომძიებელს ან პროკურორს. მიღებული შეტყობინებისთანავე, გამომძიებელი ან პროკურორი სპეციალისტისა და საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებაში მომუშავე პირთა თანდასწრებით ხსნის და ათვალიერებს დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს და, საჭიროების შემთხვევაში, მოახდენს მის ამოღებას ან მისგან ფოტოპირის ან ასლის გადაღებას, ან მისცემს მითითებებს ადრესატისათვის მისი გადაცემის შეჩერების ან გადაცემის შესახებ. კორესპონდენციის ამოღება უნდა მოხდეს ფრთხილად. ისე, რომ მასზე არ დავტოვოთ რაიმე სახის კვალი და სხვ. კორესპონდენციის ამოღება-შეჩერების შესახებ აუცილებლად შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელშიც აღნიშნულ უნდა იქნეს, თუ რომელი საფოსტო სატელეფონო გზავნილია დათვალიერებული და ამოღებული ან შეჩერებული ან რა უნდა გადაეცეს ადრესატს. აგრეთვე ის, თუ რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული მისი დათვალიერებისა და ამოღებისათვის და რა იქნა გამოვლენილი. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მისმა ჩამტარებელმა პირმა და მასში მონაწილე პირებმა.

რაც შეეხება დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში ან დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარებას, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებული

შენობისა და მათი სატრანსპორტო საშუალებების ჩხრეკასა და ამოღებას, ეს შეიძლება ჩატარებულ იქნეს მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლის ხელმძღვანელის თხოვნით ან თანხმობით და იგი მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. მათთან ამ მოქმედების ჩატარების პროცესუალური თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ჩხრეკასა და ამოღებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პროკურორი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. რაც შეეხება ამ მოქმედებათა ჩატარების ზემოთ განხილულ ტაქტიკურ ხერხებს, იგი აქაც შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული.

3) ჯგუფური ჩხრეკა. საცხოვრებელი ბინების, ადგილმდებარეობისა და მოქალაქეთა პირადი ჩხრეკა ჯგუფური სახით, როგორც წესი, შეიძლება ჩატარებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოების პროცესში, როცა საქმეში არსებული მონაცემებით დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირი იმხილება, საქმე მრავალეპიზოდიანია და არსებობს სავარაუდო მონაცემები, რომ მათი ბინების ჩხრეკის შედეგად შეიძლება აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები. ასეთი საქმეების გამოძიებას, როგორც წესი, აწარმოებს გამომძიებელთა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს პირი, ვინც მიიღო ეს საქმე თავის წარმოებაში. როცა ამ რთულ საქმეებზე აუცილებელი ხდება დანაშაულში მხილებული პირების ან ბრალდებული პირების ბინების ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა, გამოსაძიებელი საქმის ხელმძღვანელი ადგენს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საერთო გეგმას, აცნობს მას გამოსაძიებელ საქმეში მონაწილე გამომძიებლებს, ანაწილებს მათ ფუნქციებსა და გასაჩხრეკ ობიექტებს, არჩევს ოპერატიულ ჯგუფს, განსაზღვრავს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების დროს და მასში მონაწილეობის მისაღებად სპეციალისტებს და თითოეულისათვის გამოსაყენებელ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს. ბინაში სტუმრად მყოფი პირები და ჩხრეკის პროცესში სტუმრად მისული პირი რეკომენდებულია მოთავსებულ იქნეს ცალკე ოთახში და მასზე დაკვირვება დაევალოს ოპერატიული ჯგუფის წარმომადგენლებს. საჭიროების შემთხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ, დადგენილი წესისამებრ მოხდეს მათი პირადი ჩხრეკაც.

ჩხრეკის ობიექტების განსაზღვრისას, გამოსაძიებელი საქმის გარემოებიდან გამომდინარე, მათი რიცხვი შეიძლება გაფართოებულ იქნეს და ჩხრეკას დაექვემდებაროს ბრალდებული პირების ახლობლების საცხოვრებელი ბინებიც.

ამ პირთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკა, მათი ერთიმეორისგან დაშორების მანძილის მიუხედავად, უნდა ჩატარდეს ერთდროულად, ყველგან ერთსა და იმავე დროს, მოულოდნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩხრეკა თავისი შედეგებით დაკარგავს ეფექტურობას, რადგან ისინი ამის შესახებ სწრაფად გადასცემენ ერთიმეორეს და მიიღებენ სათანადო ზომებს საძიებო საგნებისა და დოკუმენტების გადასამალად. ასევე, რამდენიმე პირის დაკავების შემთხვევაში, როცა არსებობს საკმაო საფუძველი იმისა, რომ მათ თან აქვთ ისეთი იარაღი ან საგანი, რომლის შენახვა და ტარება კანონით აკრძალულია, ან ისეთი დოკუმენტი ან სხვა რაიმე ისეთი ნივთი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა, იმისათვის, რომ ვერ მოასწრონ ამ საგნების ერთიმეორისათვის გადაცემა ან გადამალვა, საჭიროა მათი პირადი ჩხრეკაც ჩატარდეს ერთდროულად, ჯგუფურად, მათ მოძრაობასა და ფსიქოლოგიურ განწყობაზე დაკვირვებით.

§4. პირადი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ჩხრეკისა და ამოღების ზემოთ განხილული ზოგადი წესი მთლიანად ვრცელდება პირად ჩხრეკასა და ამოღებაზე. კერძოდ, ჩხრეკისა და ამოღებისათვის საჭირო საფუძვლის არსებობისას გამომძიებელი, პროკურორი სსსკ-ის 325-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილია ამოიღოს „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი, რომელიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთებში ან სხეულზე“.

პირადი ჩხრეკის ჩასატარებლადაც აუცილებელია მოსამართლის ნებართვა — მოსამართლის ბრძანება ან სასამართლოს განჩინება (დადგენილება). აქედან გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა პირი დაკავებულ იქნა სსსკ-ის 142-ე მუხლის საფუძველზე ეჭვმიტანილის სახით და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას

თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს მტკიცებულება, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში, ან როცა, სსსკ-ის 145-ე მუხლის მიხედვით, პოლიციაში ეჭვმიტანილის მიყვანის შემდეგ დაკავების ოქმის შედგენისას, როცა „არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები". ასეთ დროს დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს ჩაატაროს დაკავებული პირის პირადი ჩხრეკა, და ამის შესახებ უნდა აღინიშნოს დაკავების ოქმში. მაგრამ, კანონით ამ შემთხვევაში პირადი ჩხრეკის შესახებ ოქმის შედგენა დაუშვებელია.

პირადი ჩხრეკა კანონით ნებადართულია მაშინაც, როცა კანონით დადგენილი წესით დაკავებულ იქნა ბრალდებული და არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს ისეთი იარაღი ან საგანი, რომლის შენახვა და ტარება კანონით აკრძალულია, ან როცა არსებობს საფუძველი, რომ ბრალდებულს თან აქვს ისეთი საგანი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს, ან როცა არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს.

კანონით დადგენილია ისიც, თუ პირადი ჩხრეკის დროს პირისაგან ამა თუ იმ სახის საგნის, ნივთის ან დოკუმენტის ამოსაღებად, როცა იგი დაკავშირებულია გასაჩხრეკი პირის გაშიშვლებასთან, როგორ უნდა ჩატარდეს ეს მოქმედება. ასეთ დროს მისი პირადი ჩხრეკა და ამოღება რეკომენდებულია ჩატარდეს იმავე სქესის თანამდებობის პირის მიერ იმავე სქესის დამსწრეთა მონაწილეობით. საჭიროებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტიც, კერძოდ, ექიმი-გინეკოლოგი ან ექიმი-უროლოგი, ან ქირურგი და სხვა დარგის სპეციალისტი.

პირადი ჩხრეკაში სპეციალისტების მონაწილეობა აუცილებელია იმიტომ, რომ ადამიანი ზოგჯერ აკრძალული საძიებო საგნის ან დოკუმენტის დასამალად იყენებს არა მარტო თავის ტანსაცმელს, არამედ თავის საკუთარ სხეულსაც და, ამ მიზნით, საძიებო საგანს ათავსებს თავისი სხეულის ბუნებრივ ხვრელებში ან ახდენს მის გადაყლაპვას, ან თაბაშირით იფუთავს ვითომცდა მოტეხილ ხელს ან ფეხს და მასში ათავსებს საძიებო საგანს ან დოკუმენტს.

მაგალითად, სარფის საბაჟოში დაკავებულ იქნა 2 ტურისტი ქალი, რომლებსაც პირადი ჩხრეკის დროს სასქესო ორგანოში აღმოაჩნდათ

პრეზერვატივში ჩადებული ოქროს ქვიშა, რაც ექიმ-გინეკოლოგის მიერ იქნა ამოღებული. ერთი მათგანის პრეზერვატივში აღმოჩნდა 780 გრ, მეორეში კი 2020 გრ ოქროს ქვიშა.[1]

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ არც მამაკაცები თაკილობენ თავიანთი სხეულის ბუნებრივი ხვრელების გამოყენებას სპეციალურ სამალებად. მაგალითად, 2006 წლის აპრილის თვეში საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე ქართული საბაჟოს ტერიტორიაზე შს სამინისტროს სპეციალური ჯგუფის მიერ ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ იქნა ვინმე ბაირამოვი, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს სპეციალისტის დახმარებით ტანის უკანა სწორი ნაწლავიდან ამოუღეს ცელოფანის ქაღალდში ცალკეულ პაკეტებად დაყოფილი და დაფასებული დიდი რაოდენობის ნარკოტიკი.

ერთ-ერთ პიროვნებას კი, რომელსაც მარცხენა ხელი თაბაშირში ჰქონდა ჩასმული და კისერზე ბინტით ჩამოკიდებული, შეხვეულ ხელზე თაბაშირის შეხსნის შემდეგ აღმოაჩნდა რეზინში კარგად შეფუთული 75 გრ ნარკოტიკული ნივთიერება (ანაშა). მისი კუთვნილი ავტომანქანის სალონში წინა საჯდომის ქვეშ არსებულ სამედიცინო დახმარების ყუთში კი აღმოაჩნდა საკმაოდ დიდი რაოდენობით „სუბოტექსის" ტაბლეტები (იხ. სურ. 11).

ერთ-ერთ თანმდებობის პირს კი, რომელიც მხილებულ იქნა ქრთამის აღებაში, პირადი ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ფეხსაცმლის ყელიან წინდაში გადამალული 2000 აშშ დოლარი. მის სამუშაო ოთახში არსებულ საწერი მაგიდის უჯრაში კი პისტოლეტის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ექვსი (6) საბრძოლო ვაზნით (იხ. სურ. 12).

პირადი ჩხრეკის ჩატარების სწორად წარმართვის მიზნით, რეკომენდებულია დაკავებულ გასაჩხრეკ პირს წინადადება მიეცეს სახით კედელზე ან სხვა რაიმე დიდი მოცულობის საგანზე მიყრდნობილმა ხელები ასწიოს მაღლა და თავზე შემოიწყოს, რის შემდეგაც მიზანშეწონილია მოცემული პირის პირადი ჩხრეკა დაწყებულ იქნეს ზემოდან ქვედა მიმართულებით განიარაღების მიზნით. განიარაღების შემდეგ კი იმავე ადგილზე ან პოლიციის ორგანოში მიყვანის დროს მოვახდინოთ მისი დეტალური ჩხრეკა.

---

[1] იხ. გაზ. „კვირის პალიტრა". №10 (99), 24-30 აგვისტო, 1997 წელი, გვ. 8.





სურ. 11. დაკავებული ეჭვმიტანილის კუთვნილი ავტომანქანის სალონში წინა მარჯვენა საჯდომის ქვეშ არსებული სამედიცინო დახმარების ყუთში აღმოჩენილი ნარკოტიკი — „სუბოტექსის“ ტაბლეტები დაფასოებულ და გაშლილ მდგომარეობაში



სურ. 12. ბრალდებულ თ.-ეს სამუშაო ოთახი ჩხრეკის დროს

საწერი მაგიდის უჯრიდან ამოღებული აშშ დოლარები და პისტოლეტის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ექვსი (6) საბრძოლო ვაზნით

პირადი ჩხრეკა გულისხმობს არა მარტო დაკავებული პირის ტანისამოსისა და ჯიბეების გაჩხრეკას, არამედ დაკავების მომენტში მასთან არსებული ყოველგვარი სახის ხელბარგის, ხელჩანთის შემოწმება-გამოკვლევასაც. ამისათვის მას უნდა ჩამოერთვას ხელბარგი და მისივე თანდასწრებითა და დამსწრე პირების მონაწილეობით მოხდეს მისი დეტალური შემოწმება-გამოკვლევა.

პირადი ჩხრეკის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მის კუთვნილ ხელბარგში (ჩემოდანი, პორტფელი, ჩანთა და სხვ.) შესაძლოა მოწყობილი იყოს ძვირფასი ნივთების სპეციალური სამალავები (ჩემოდანი ორმაგი ძირითა და ორმაგი სარჩულის გაკეთებით, ან სარჩულის შიგნით სპეციალური ჯიბით და სხვ.), ამიტომ თითოეული მათგანი გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული და დეტალურად გამოკვლეული. ტანისამოსის ჯიბეებიდან, მიზანშეწონილია, ამოღებულ იქნეს მასში მოთავსებული ყველა საგანი და ნივთი. მაგრამ, ცხადია, ეს არაა საკმარისი. საჭიროა ყურადღება მიექცეს ჯიბეში მათ განლაგებასაც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ დანაშაულში მხილებული პირი ჩხრეკის წარმოების პროცესში შეიძლება შეეცადოს არა მარტო საძიებო საგნის გადაგდებას, არამედ ჩხრეკის ჩამტარებელი პირის ან ჩხრეკაში მონაწილე პირებისათვის ჯიბეში გასაჩხრეკი საგნის ჩაგდებას ან მის გადაყლაპვას. ამიტომ პირადი ჩხრეკის დროს საჭიროა მხედველობიდან არ გამოგვრჩეს მისი თითოეული მოძრაობა და შესაბამისი თვალყური ვადევნოთ მის მოძრაობას, ჟესტიკულაციას და სხვ.

ჩხრეკის დროს სრულყოფილად უნდა იქნეს შემოწმებული არა მარტო ტანსაცმლის ძირითადი ნაწილები, არამედ მოხდეს მისი ქუდის, კოსტიუმის სარჩულის გარღვევა, ფეხსაცმლის ძირებისა და ქუსლების შემოწმება, ტანსაცმლის ღილების შემოწმება და სხვ.

მაგალითად, ერთ-ერთ მოქალაქეს თავისი კოსტიუმის შესაკრავ ღილებად გამოყენებული ჰქონდა კოსტიუმის ფერისავე ნაჭრით შეფუთული მრგვალი ფორმის ღილები. როცა ამ ღილებს გამომძიებელი შეეხო, მკვრივად და მძიმედ მოეჩვენა. ამიტომ მან გაჭრა ერთ-ერთი ღილის გარსი და მას ღილის მაგიერ ხელში დიდი მრგვალი ბრილიანტი აუბრწყინდა. ოთხივე ღილში აღმოჩნდა ჩხრეკის საძიებო დიდი ბრილიანტის ქვები. მეორე პიროვნების პირადი ჩხრეკის დროს ფეხსაცმლის ქუსლიდან, რომელიც

ფეხსაცმელზე მიმაგრებული იყო ხრახნიანი ლურსმნით, ამოღებულ იქნა ოთხი ძვირად ღირებული ბრილიანტის ბეჭედი.

პირადი ჩხრეკის დამთავრების შემდეგ მისივე თანდასწრებითა და მონაწილეობით მიზანშეწონილია მოხდეს იმ ადგილის დეტალური დათვალიერება, სადაც ჩატარებულ იქნა მისი პირადი ჩხრეკა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ და შევამოწმოთ, ხომ არ მოახერხა მან დასაძებნი საგნის მიწაზე ან იატაკზე შეუმჩნევლად დაგდება და სხვ.

პირადი ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი საგნები მთელი სიზუსტით უნდა იქნეს ასახული პირადი ჩხრეკის ოქმში, რომელსაც, სასურველია, თან დაერთოს პირადი ჩხრეკის დროს აღმოჩენილი და ამოღებული საგნების ფოტოილუსტრაციები, კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური ფოტოგადაღების ხერხებითა და საშუალებებით.

ისევე, როგორც საცხოვრებელი ბინის, სამუშაო ოთახის, დამხმარე სათავსებისა და დაცული ადგილმდებარეობის ჩხრეკის დროს, პირადი ჩხრეკის პროცესშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რენტგენის სხივების გამოყენების პრინციპზე აგებული სპეციალური საძიებო ხელსაწყოები და სხვ., რადგან ამ სამეცნიერო-ტექნიკურ აპარატურას შეუძლია საკმაოდ დიდი დახმარება გაგვიწიოს დასაძებნი საგნის ადგილმდებარეობის აღმოჩენაში. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებები.

პირადი ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა შეიძლება დადგეს ბინის ჩხრეკის დროსაც, როცა იქ მყოფი რომელიმე პირის მიმართ წარმოიქმნება ვარაუდი, რომ საჭირო საგანი შეიძლება იყოს მასთან. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, საჭიროა სპეციალური ნებართვის მიღება, მაგრამ, როგორც გადაუდებელი გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს მისი პირადი ჩხრეკა და ამის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს მოსამართლეს.

პირადი ჩხრეკის დაწყებამდე პირს ეძლევა წინადადება ტანსაცმლის ჯიბეებიდან და მის ხელთ არსებული პორტფელიდან ან ხელბარგიდან ამოიღოს და წარმოადგინოს საძიებო (ნარკოტიკული ნივთიერება და სხვ.) საგნები. ხოლო თუ არსებობს ვარაუდი, რომ პირი უნებართვოდ ინახავს და ატარებს ცეცხლსასროლ ან ცივ იარაღს საჭიროა განიარაღების მიზნით დაუყოვნებლივ მოხდეს მისი პირადი ჩხრეკის ჩატარება. ამ სახით პირადი ჩხრეკის ჩატარებას, როგორც

წესი, მიმართავენ პირის ეჭვმიტანილად დაკავების შემთხვევაში. მაგრამ გამორიცხული არაა ისეთი შემთხვევაც, როცა არსებობს ვარაუდი, რომ მოულოდნელად ბინის გასაჩხრეკად მისულ გამომძიებელს ან პროკურორს ბინის მეპატრონე შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევს, ასეთ დროსაც მიზანშეწონილია მისი განიარაღების მიზნით ჩხრეკა დაწყებულ იქნეს მოცემული პირის პირადი ჩხრეკით. განიარაღებს შემდეგ საჭიროა მოხდეს მისი ტანსაცმლისა და კუთვნილი ნივთების დეტალური დათვალიერება და ჩხრეკის ჩატარება, რადგან პატარა მოცულობის საძიებო საგნების დასამალად, არცთუ ისე იშვიათად, იყენებენ ტანსაცმლის შიდა სარჩულის შიგნით მოთავსებულ ჯიბეებს, ფეხსაცმლის ქუსლებში მოთავსებულ სიცარიელეს, ტანსაცმლის შიდა საცვლების შესაკრავ ჯიბეებს, თმების ქვეშ სპეციალური თმის სამაგრებით დამაგრებულ ადგილებს, თმის პარიკს, ლეიკოპლასტირით ან სხვა წებოვანი ნივთიერებით საკუთარ სხეულზე ან ტანსაცმლის სხვადასხვა ადგილზე მიწებებით. ამავე მიზნით იყენებენ აგრეთვე საკუთარი სხეულის ბუნებრივ ხვრელებს და სხვ., რომელთა აღმოჩენა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ისევე, როგორც ჩხრეკის სხვა ობიექტებში აღმოჩენილ საგანთან მიმართებაში, პირადი ჩხრეკის დროსაც აღმოჩენილი საგნების ფოტოგადაღება უნდა მოხდეს აღმოჩენის პირვანდელ მდგომარეობაში კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური ფოტოგადაღების ან ვიდეოგადაღების ხერხებითა და საშუალებებით და შემდეგ მოხდეს მისი პროცესუალური გაფორმება ჩხრეკისა და ამოღების ოქმში პროცესუალური ნორმების მაქსიმალური დაცვით.

§5. ჩხრეკისა და ამოღების ფიქსაციის ხერხები და საშუალებები

ჩხრეკისა და ამოღების ოქმი მტკიცებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ჩხრეკითა და ამოღებით მოპოვებულ საგნებს, ნივთებსა და დოკუმენტებს, მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიენიჭებათ მხოლოდ მაშინ, თუ თითოეული მათგანის ამოღება და ფიქსაცია მოხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, მასში სრულყოფილად უნდა აისახოს ამ მოქმედების ჩატარების პროცესში მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების მიზნით გამოყენებული სამეცნიე-

რო-ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები სათანადო თანმიმდევრობით.

საქართველოს სსსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, ამოღებისა და ჩხრეკის ოქმში მითითებული უნდა იყოს, თუ რა ადგილას და რა ვითარებაში იქნა აღმოჩენილი საგანი ან დოკუმენტი და როგორ მოხდა მისი ამოღება — ნებაყოფლობით თუ იძულებით. ამასთან, თითოეული მათგანის ოქმში შეტანა უნდა მოხდეს მათი რაოდენობის, წონის, მიახლოებითი ღირებულების, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების მითითებით. ოქმში უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ იქნა ეს საძიებო საგნები და დოკუმენტები ამოღებული, გასაჩხრეკი პირების მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი მათი განადგურების ან გადამალვის მცდელობას და სხვ. კანონით განსაზღვრულია ისიც, რომ ოქმი შეიძლება დაიწეროს ხელით, დაიბეჭდოს საბეჭდ მანქანაზე ან დამზადდეს კომპიუტერით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით.

სტრუქტურის მიხედვით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმი უნდა შედგებოდეს შესავალის, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილისაგან.

ოქმის შესავალ ნაწილში მითითებული უნდა იყოს ჩხრეკისა და ამოღების ოქმის შედგენის დრო და ადგილი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; მისი ჩატარების პირობები; ოქმის შემდგენელი პირის მონაცემები, კერძოდ, თანამდებობა და გვარი; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი — მოსამართლის ბრძანება, სასამართლოს განჩინება (დადგენილება), გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება; მონაცემები ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირების შესახებ (გვარი, სახელი, მისამართი); მონაცემები ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ობიექტის შესახებ (გასაჩხრეკის საცხოვრებელი ბინის მისამართი და ადგილმდებარეობა, სამსახურებრივი სამუშაო ოთახის ადგილმდებარეობა და მისამართი და სხვ.).

ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირებისათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტების დროს მითითებულ უნდა იქნეს იმაზეც, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაში მონაწილე პირები გაფრთხილებულ იქნენ გამოვლენილი და ამოღებული მონაცემების გახმაურების დაუშვებლობისა და გახმაურების შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის შესახებ. აქვე უნდა მიეთითოს იმაზეც, რომ საგამოძიებო მო-

ქმედებების ჩატარების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ ეცნობათ მასში მონაწილე პირებს და სხვ.

ოქმის აღწერილობით ნაწილში მითითებული უნდა იყოს, რომ ჩხრეკისა და ამოღების დაწყების წინ გასაჩხრეკ პირს წინადადება მიეცა ნებაყოფლობით წარედგინა საძიებო საგანი და მოხდა თუ არა მისი ნებაყოფლობითი გადაცემა; როგორი რეაქცია მოახდინა ამ წინადადებამ გასაჩხრეკ პირზე; წარმოადგინა მან თუ არა ნებაყოფლობით საძიებო საგანი ან დოკუმენტი, თუ საერთოდ უარი განაცხადა მასთან ამგვარი საგნის ან დოკუმენტის არსებობაზე. აქვე მითითებული უნდა იყოს, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო ფოტო და კინოგადაღება, აუდიო და ვიდეოჩაწერა. აგრეთვე ის ობიექტები და პროცესი, რომელთა ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება იქნა გამოყენებული.

აღწერილ და მითითებულ უნდა იქნეს ჩხრეკის ჩამტარებელი პირის თანმიმდევრული მოქმედება და ყველა ის საგანი, რაც ჩხრეკის შედეგად იქნა აღმოჩენილი, მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილმდებარეობა და მდგომარეობა, სად და როგორ იქნა აღმოჩენილი (სპეციალურ სამალავებში იყო მოთავსებული თუ სხვა რაიმე საგანში და სხვ.), მათი აღმოჩენისათვის გამოყენებულ იქნა თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, რა სახის და სხვ. ამასთან, იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩხრეკისა და ამოღების შედეგად აღმოჩენილი საგნები და დოკუმენტები პირველსავე მდგომარეობაში და მის შემდეგაც წარედგინა ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირს. აქვე უნდა მიეთითოს ისიც, გასაჩხრეკი პირის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა თუ არა რომელიმე საცავის გახსნა ძალის გამოყენებით და სხვ.

ოქმის დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს იმაზე, თუ როგორ მოხდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული საგნების შეფუთვა, რა სახის საერთო და ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდება ამოღებული საგნები, მათი რაოდენობა, წონა და ღირებულება და მოხდა თუ არა მათი დალუქვა ან მოხდა თუ არა ამოღებული საგნებისა და ობიექტების ჩაბარება ხელწერილით და ვისზე.

არ შეიძლება ამოღებული საგანი ან ობიექტი ჩაბარდეს თვითონ დანაშაულში მხილებულ პირს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საგამოძიებო პრაქტიკაში.

მაგალითად, ქ.ზუგდიდში მცხოვრებ შ-ესა და რ-ეს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობის ფალსიფიცირებული ღვინო და კონიაკი დაბეჭდილ ბოთლებში. ამოღებული პროდუქცია პოლიციის მუშაკებმა ხელწერილის გარეშე ჩააბარეს დანაშაულში მხილებულ შ-ესა და რ-ეს. საქმის მასალები კი აღსაძრავად გადაუგზავნეს საოლქო პროკურატურას, სადაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ქვემდებარებისამებრ გამოსაძიებლად გადაეგზავნა ზუგდიდის შს საგამოძიებო დეპარტამენტს. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ შ-ემ და რ-ემ მათზე მიბარებული ფალსიფიცირებული ღვინო და კონიაკი გაანადგურეს, რითაც მოსპეს მტკიცებულება და შემდეგ საქმე წარმოებით იქნა შეწყვეტილი.

იმ შემთხვევაში, თუ ოქმს დაერთვის ამოღებული საგნების სია, ან ჩხრეკისა და ამოღების პროცესში შედგენილი სქემები და ფოტოილუსტრაციები, ამის შესახებაც ზუსტად უნდა იქნეს მასში მითითებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქმი გასაცნობად წაეკითხა ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირს და მათ მიერ იქნა თუ არა გაკეთებული რაიმე განცხადება. თუ ამგვარ განცხადებას ადგილი ჰქონდა ჩხრეკაში ან ამოღებაში მონაწილე სპეციალისტის, ან დამსწრე პირებისაგან, ასეთი განცხადება ოქმს თან უნდა დაერთოს.

ოქმს ხელი უნდა მოაწეროს ოქმის შემდგენმა თანამდებობის პირმა და ამ მოქმედებაში მონაწილე ყველა პირმა. ჩხრეკისა და ამოღების ოქმი შედგენილ უნდა იქნეს ორ ცალად. აქედან ოქმის ასლი ხელმოწერით უნდა ჩაბარდეს იმ პირს, რომელთანაც იქნა ჩატარებული ჩხრეკა ან ამოღება, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს. მათი იქ არყოფნის შემთხვევაში კი იგი უნდა ჩაბარდეს სახლის პატრონს ან ადგილობრივი თვითმმართველობის, ან მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს იმ წარმომადგენელს, რომელიც ამ საგამოძიებო მოქმედებას ესწრებოდა. იმ შემთხვევაში კი, როცა ჩხრეკა ან ამოღება ჩატარებულ იქნა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი ხელმოწერით უნდა გადაეცეს შესაბამის ადმინისტრაციას ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ჩხრეკისა და ამოღების მიზანი?

2. რაში მდგომარეობს ჩხრეკისა და ამოღების არსი და მნიშვნელობა?

3. რა არის ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი?

4. როგორ და რის საფუძველზე უნდა ჩატარდეს ჩხრეკა და ამოღება გადაუდებელ შემთხვევაში?

5. რა შეიძლება იყოს ჩხრეკის ობიექტი და საგანი და რა განსხვავებაა მათ შორის?

6. სწორად მიგაჩნიათ თუ არა პროკურორისათვის ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაზე უფლების (სანქციის გაცემის) ჩამორთმევა და მისი გადანაცვლება სასამართლოზე?

7. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიეცეს უფლება ეჭვმიტანილის დაკავების შემთხვევაში ჩაატაროს მისი პირადი ჩხრეკა?

8. რა არის ჩხრეკა და როგორ შეიძლება მისი განმარტება?

9. რა შეიძლება ჩაითვალოს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადებად და როგორია მისი კლასიფიკაცია?

10. რა უნდა იქნეს გაკეთებული იმისათვის, რომ მოსამართლისაგან მივიღოთ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ნებართვა?

11. რა მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ობიექტთან მისვლამდე და მისვლის შემდეგ?

12. რა მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს ჩატარებული ჩხრეკის უშუალოდ დაწყებამდე?

13. შეიძლება თუ არა ამოღება გადაიზარდოს ჩხრეკის ჩატარებაში?

14. რაში მდგომარეობს ჩხრეკის ჩატარების ზოგადი წესი?

15. რაში მდგომარეობს ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკა?

16. რა გარემოებები უნდა იქნეს შესწავლილი და დადგენილი ჩხრეკის დაწყებამდე?

17. როგორია ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია?

18. შეიძლება თუ არა ფსიქოლოგიური მონაცემების გამოყენება ჩხრეკის პროცესში და როგორ?

19. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ბინისა და ადგილმდებარეობის ჩხრეკის ჩატარება?

20. რა გარემოებებს უნდა მიექცეს ყურადღება საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის დროს?

21. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება პირადი ჩხრეკის წარმოება?

22. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ამოღების წარმოება?

23. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ჯგუფური ჩხრეკა?

24. ვინ შეიძლება მონაწილეობდეს ჩხრეკის ჩატარებაში?

25. რა ხერხებითა და საშუალებებით უნდა მოხდეს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ფიქსაცია?

26. რა სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს ჩხრეკის წარმოების პარალელურად ან უშუალოდ ჩხრეკის შემდეგ?

თავი XI. ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა

§1. დანაშაულთა გასხნის საქმეში სპეციალური ცოდნის გამოყენების არსი, მნიშვნელობა და ფორმები

ა) დანაშაულის გამოძიების პროცესში სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმები. დღეს, დანაშაულის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მასზე ჭეშმარიტების დადგენა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერების მიღწევების ცოდნის გამოყენების გარეშე. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ხშირად დამნაშავეთა როლში გვევლინება ამა თუ იმ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც მთელ თავის ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას დაუზოგავად იყენებს თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალის დასაფარავად.

უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის მზადების პროცესში პირი არა მარტო წინასწარ ადგენს თავისი მართლსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივი) ქმედების ჩადენის სრულყოფილ მოდელს, არამედ საფუძვლიანად სწავლობს დანაშაულის ჩადენის პროცესში მის მიერ მოსალოდნელი კვალის წარმოქმნის მექანიზმსა და მისი თავიდან აცილების გზებს. ამ მიმართებით ისინი არ ერიდებიან კრიმინალისტიკური მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესწავლასაც, რაზეც აშკარად მეტყველებს ზოგიერთი სახის განზრახი დანაშაულის ჩადენის ადგილზე ამ დარგის სპეციალური ლიტერატურის არსებობა.

მაგალითად, თბილისის ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულის სახელოსნოსათვის განკუთვნილ ოთახში, სადაც დამნაშავენი ახდენდნენ ფასიანი ქაღალდებისა და მათ შორის ყალბი ფულის დამზადებას, იქვე სპეციალური მოწყობილობების (დაზგების) გვერდით იდო კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო გადაშლილი იმ გვერდზე, სადაც იწყებოდა თემა: „დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევა“. იქვე იყო ამავე თემაზე დაწერილი ერთ-ერთი რუსი ავტორის ნაშრომი, რის გამოც მათ მიერ დამზადებულ ყალბ ფასიან ქაღალდებზე შეიმჩნეოდა შესაბამისი სახის კვლების არსებობის ნაკლებობა და დედანთან დიდი მსგავსება.

ასევე, დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცის, რომ ამა თუ იმ საგნის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილების ან მისი ხელში აღების და მასზე ხელის შეხებით შეიძლება დატოვოს თავისი ხელის თითების კვალი, ამიტომ ამის თავიდან აცილების მიზნით, იგი არცთუ ისე იშვიათად, იყენებს რეზინის ან ნაქსოვ ხელთათმანებს, ან ცდილობს დანაშაულის ჩადენის იარაღიდან სისხლის ან სხვა სახის კვალის მოცილებას და სხვ. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, გამომძიებელმა მას უნდა დაუპირისპიროს თავისი მაღალი პროფესიონალური მომზადება და მარჯვედ გამოიყენოს კრიმინალისტიკური მეცნიერებისა და მომიჯნავე სამეცნიერო დარგის უახლესი თანამედროვე მიღწევები და თავისი მუშაობა წარმართოს დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ შემთხვევის ადგილზე ან მის ტანსაცმელზე დარჩენილი ასეთი და სხვა ლატენტური სახის კვალების მიკრონაწილაკების ოდოროლოგიური და სხვა სახის კვლების აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის. ამავე მიზნით, კარგად გამოიყენოს საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები.

ამ მიმართებით, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მას შეუძლია გამოიყენოს ექსპერტ-კრიმინალისტებისა და სხვა ბუნებრივი და ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენელი სპეციალისტების ცოდნა, მათი გამოცდილება და რეკომენდაციები და მოიწვიოს ისინი ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. როგორც სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში კი, გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საკითხების გადასაწყვეტად დანიშნოს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა.

მაგალითად, ცალკეული კატეგორიის საქმეების გამოძიების თავისებურებათა გათვალისწინებით, შემთხვევის ადგილის, გვამის, სატრანსპორტო საშუალებების ან დოკუმენტის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად იქ არსებულ უჩინარ კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების სათანადო კონსულტაციებისა და რეკომენდაციების მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალური მცოდნე პირი — კრიმინალისტიკური ტექნიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, მედიცინის, ხელოვნების ან სხვა დარგიდან, ან თვითონ უშუალოდ ექსპერტ-კრიმინალისტი, ექსპერტ-ბიოლოგი, ექსპერტ-ქიმიკოსი ან ფიზიკოსი, ან ექსპერტ-ფსიქიატრი, ან ექსპერტი სასამართლო მედიცინის ან ხელოვნების სხვა დარგიდან. მათი სპეციალური ცოდნის

გამოყენება შეიძლება აგრეთვე დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნებისათვისაც, როგორიცაა, მაგალითად, საკუთრების დაცვისა და ქურდობის თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა სახის სიგნალიზაციის და ხერხებისა და მეთოდების შემუშავება, დოკუმენტების გაყალბებისაგან დაცვის სპეციალური ხელსაწყოების შექმნა, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ხერხები და სხვადასხვა სახის სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების შემუშავება, კერძოდ, ბინის ქურდობისა და ავტომანქანების გატაცების დამაბრკოლებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების შექმნა და სხვ.

მაშასადამე, დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის საქმეში სპეციალური ცოდნის გამოყენების მრავალი ფორმა არსებობს. აქედან ძირითადი და მთავარია საქმეზე მნიშვნელობის ამა თუ იმ გარემოებების ასახსნელად (დასადგენად) შესაბამისი სპეციალობის მქონე სპეციალისტის რეკომენდაცია, მისი რჩევა და კონსულტაცია მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის, აგრეთვე სპეციალური ცოდნის გამოყენება ახალ მტკიცებულებათა მისაღებად ექსპერტიზის დანიშვნის, მისი ჩატარებისა და ექსპერტის შესაბამისი დასკვნის სახით.

გამოძიების პროცესში ექსპერტის სახით სპეციალური მცოდნე პირის ჩაბმას შესაბამისი დასკვნის მისაღებად გამომძიებელი (მომკვლევი, პროკურორი, სასამართლო) ახდენს მაშინაც, როცა თვითონ მას ან საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირს, ან სპეციალისტს აქვს სათანადო მეცნიერული ცოდნა მეცნიერების ან ხელოვნების იმ დარგში, რომლიდანაც მოითხოვს სპეციალური ცოდნის გამოყენებით გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევას, ექსპერტიზის ჩატარებასა და ექსპერტიზის დასკვნის მიღებას. ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია სსსკ-ის 356-ე მუხლში, რომლის თანახმად, „თუ გამომძიებელს, პროკურორს, ან სპეციალისტს აქვთ სპეციალური ცოდნა, ეს არ გამორიცხავს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას". ასევე, სსსკ-ის 96-ე მუხლით დადგენილია, რომ „ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა სპეციალური ცოდნა გამომძიებელს, პროკურორს, ან მოსამართლეს".

კანონის ასეთი რედაქცია სწორია, რადგან, ჯერ ერთი, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე რომელიმე პირის ან მისი მონაწილე

სპეციალისტის ცოდნის გამოყენების საქმეზე მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოების ასახსნელად არ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. თავისი ასეთი სპეციალური ცოდნა ექსპერტიზის დამნიშნავმა პირმა (გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ) შეიძლება გამოიყენოს მიღებული ექსპერტის დასკვნის კრიტიკული შეფასებისათვის. მეორეც, სსსკ-ით ექსპერტის დასკვნა არის დამოუკიდებელი სახის მტკიცებულების წყარო. ამიტომ, შეიძლება ითქვას, სწორედ ეს უკანასკნელი სახეობა არის სპეციალური ცოდნის გამოყენების ძირითადი ფორმა.

მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის სპეციალური ცოდნის გამოყენება კონსულტაციის, შიდასაუწყებო გამოკვლევის, რევიზიის ან შემოწმების სახით და სხვ., დასაშვებია როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ გამოძიების პროცესში, ისე სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების დასადგენად მიღებული პირველადი მასალების შემოწმების დროს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭირო კანონიერი საფუძვლის მოსაპოვებლად. მაგალითად, რევიზიის, ინვენტარიზაციის ან აგრეთვე სისხლის სამართლის აღძვრამდე კანონით გათვალისწინებული ისეთი სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, როგორიცაა: ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ექსპერტიზის სახით სპეციალური ცოდნის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოების დროს.

დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში სპეციალური ცოდნის გამოყენების უმთავრესი მიზანია საგამოძიებო ორგანოს მუშაკებს დაეხმაროს საქმის ყოველმხრივ სრულ გამოკვლევაში და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.

ბ) *ექსპერტისა და სპეციალისტის უფლება-მოვალეობები.* საქართველოს სსსკ-ით რეგლამენტირებულია არა მარტო სპეციალისტისა და ექსპერტის ცოდნის გამოყენების ზოგადი წესი დანაშაულის გამოძიების პროცესში, არამედ კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობაც.

სსსკ-ის 96-ე მუხლით ექსპერტად მიჩნეულია პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში და რომელიც გამომძიებელმა, პროკურორმა ან

სასამართლომ დანიშნა სპეციალური გამოკვლევების ჩასატარებლად და სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად.

კანონით განსაზღვრულია აგრეთვე იმ პირთა წრეც, რომლებიც შეიძლება საპროცესო ნორმებით დანიშნული იყოს ექსპერტად და ასეთად მიჩნეულია პირი, რომელსაც აქვს „სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია".

მაშასადამე, იმისათვის, რომ ამა თუ იმ დარგის სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირი ცნობილ იქნეს ექსპერტად და მას მიენდოს ამა თუ იმ სახის ექსპერტიზის ჩატარება, მას პროფესიონალური გამოცდილებისა და ცოდნის გარდა, საჭიროა ჰქონდეს ლიცენზია ან მუშაობდეს საექსპერტო დაწესებულებაში და ეს წესი უნდა გავრცელდეს სსსკ-ის 359-ე მუხლზეც, რომელშიც ამ გარემოებაზე მითითებული არაა და მასში მხოლოდ ზოგადადაა ნათქვამი ექსპერტად დანიშნულ პირზე როგორც საექსპერტო ან სხვა დაწესებულების, საწარმოოს, ორგანიზაციის სპეციალისტზე ან სხვა მცოდნე პირზე, რომელსაც ნიშნავს გამომძიებელი ან პროკურორი, ანდა ანაზღაურებით იწვევენ მხარეები.

საქართველოს სსსკ-ით ექსპერტს საკმაოდ ფართო უფლება-მოვალეობები აქვს მინიჭებული. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 97-ე მუხლის თანახმად, **ექსპერტს უფლება აქვს:**

ა) გაეცნოს ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს და ამოიწეროს საჭირო ცნობები და გადაიღოს ასლი;

ბ) მოითხოვოს დასკვნის შესადგენად საჭირო დამატებითი მასალების წარდგენა;

გ) უარი თქვას დასკვნის მიცემასა და ექსპერტიზის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს, ან მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;

დ) გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს (მოსამართლის) ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით დასაკითხ პირს დაუსვას შეკითხვები ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით;

ე) მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაზე ექსპერტიზის

საგანს მიკუთვნებულ მტკიცებულებათა გამოკვლევაში და სასამართლოს ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს;

ვ) თავისი დასკვნა ჩამოაყალიბოს არა მარტო ექსპერტიზაზე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებზე, არამედ ისეთ კითხვებზეც, რომელიც მისთვის არ დაუყენებიათ, მაგრამ მიეკუთვნება მოცემული ექსპერტიზის კვლევის საგანს;

ზ) შეადგინოს დასკვნა და მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

თ) საჭიროების შემთხვევაში გამომძიებლის მოქმედებები და დადგენილებები გაასაჩივროს პროკურორთან, პროკურორის მოქმედება კი ზემდგომ პროკურორთან;

ი) გაეცნოს სასამართლოს სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ეხება და მოითხოვოს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

კ) გააკეთოს განცხადება მისი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული უფლებების გარდა, სსსკ-ის იმავე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია ექსპერტის ვალდებულებები. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ ექსპერტი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით;

ბ) მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას ან საქმის სასამართლოში განხილვის დროს;

გ) მისცეს დასაბუთებული და ობიექტური წერილობითი დასკვნა დასმულ საკითხებზე;

დ) კანონით დადგენილი წესით დაიცვას და დააბრუნოს კვლევის ობიექტები;

ე) პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები და ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა;

ვ) განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს 106-ე მუხლში მითითებული საფუძველი.

სსსკ-ის ამავე მუხლში მითითებულია იმაზეც, რომ ყალბი დასკვნისათვის ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ზემოაღნიშნული უფლება-მოვალეობები ექსპერტს ყველა პირობას უქმნის იმისათვის, რომ ექსპერტიზის ჩატარების პროცესში იყოს მიუკერძოებელი, ექსპერტიზის გამოკვლევა აწარმოოს ამისათვის საჭირო მასალების საფუძველზე, გამოიყენოს თავისი მეცნიერული პოტენციალი და უახლესი კვლევის მეთოდები და ვისიმე ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე თავის კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, ექსპერტიზის წინაშე დასმულ ყველა კითხვაზე გასცეს ამომწურავი პასუხი და გააკეთოს სწორი, დასაბუთებული ობიექტური დასკვნა.

ექსპერტი კანონით დადგენილი წესით აწარმოებს ექსპერტიზის ჩატარებას, რომლის დროსაც იყენებს სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა მეთოდს. ექსპერტიზა ტარდება ექსპერტიზის დამნიშნავი პირისაგან დამოუკიდებლად. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ექსპერტიზის წარმოებაც საგამოძიებო მოქმედება იქნებოდა, ექსპერტი გადაიქცეოდა გამომძიებლის კონსულტანტად ან სპეციალისტად.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ასევე რეგლამენტირებულია სპეციალისტის პროცესუალური ბუნება, მისი მიზნები, ამოცანები, უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, სსსკ-ის 98-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სპეციალისტი საჭირო დახმარებას უწევს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში; რომ სპეციალისტად შეიძლება გამოძახებულ იქნეს კრიმინალისტი, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვა პირები, რომლებსაც აქვთ საჭირო ცოდნა და ჩვევები.

კანონით რეგლამენტირებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს ტექნიკური აპარატურის (მაგნიტოფონის, ვიდეომაგნიტოფონის, ფოტო და კინოგადაღების, სხვა აპარატურის) გამოყენების მიზნით შეიძლება გამოძახებულ იქნეს სპეციალისტ-ოპერატორი.

ამ ზოგიერთი მითითების გარდა, სსსკ-ის 99-ე მუხლი იძლევა სპეციალისტის უფლება-მოვალეობების საკმაოდ ვრცელ და ამომწურავ ჩამოთვლას. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, სპეციალისტი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლოში საქმის განხილვაში;

გ) გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მტკიცებულებათა აღმოჩენისა და დამაგრებისათვის;

დ) გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ყურადღება მიაპყროს გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მისცეს განმარტებანი მის მიერ შესრულებულ მოქმედებათა გამო;

ე) გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, აგრეთვე ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ;

ვ) დაიცვას წესრიგი საქმის გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს;

ზ) სსსკ-ის ამავე მუხლის (მეორე პუნქტის თანახმად) არასაპატიო მიზეზით თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში სპეციალისტს შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული მოვალეობების გარდა, სსსკ-ის ამავე მუხლით განსაზღვრულია აგრეთვე სპეციალისტის უფლებები. კერძოდ:

ა) სპეციალისტს უფლება აქვს იცოდეს, რა მიზნით გამოიძახეს იგი;

ბ) უარი თქვას საქმეში მონაწილეობის მიღებაზე, თუკი მას არ გააჩნია საამისო სათანადო ცოდნა;

გ) ოქმში შესატანად გააკეთოს განცხადება და შენიშვნა იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომლის ჩატარებაშიც იგი მონაწილეობდა;

დ) გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის ნებართვით შეკითხვები მისცეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილე პირებს;

ე) გაეცნოს საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმებს.

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების გარდა, ექსპერტსა და სპეციალისტს უფლება აქვთ, მიიღონ გასამრჯელო თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის, თუკი მათ ეს საქმიანობა შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობების გარეშე. რაც შეეხება ექსპერტისა და სპეციალისტის გამოძახების გასამრჯელოს გადახდას, მათი ანაზღაურება მოხდება სახელმწიფოს სახსრებიდან.

§2. ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა

ა) ექსპერტიზის ცნება და სახეები. საქართველოს სსსკ-ის 356-ე მუხლის თანახმად, „ექსპერტიზა ტარდება გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, ასევე სასამართლოს დადგენილებით დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტთა დასკვნა.“ ე.ი. სპეციალური ცოდნის სხვა ფორმის გამოყენებისაგან განსხვავებით, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით ექსპერტის ცოდნის გამოსაყენებლად საჭიროა ექსპერტიზის დამნიშნავი პირის (გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს) ნების გამოხატულება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სათანადო დადგენილების გამოტანით. ასევე დადგენილია, რომ ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს სსსკ-ით დადგენილი ნორმების დაცვით. ამიტომ კატეგორიულად აკრძალულია ექსპერტიზის შეცვლა უწყებრივი გამოკვლევით, რევიზიის აქტით, სპეციალისტის კონსულტაციით და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის გამოძიების პროცესში ექსპერტის ცოდნის გამოყენების ფორმა და ექსპერტიზის კვლევის შედეგები აშკარად განსხვავდება სპეციალური ცოდნის სხვა ფორმების (რევიზიის აქტის, სპეციალისტის კონსულტაციისა და უწყებრივი გამოკვლევის) გამოყენებისაგან და მათი ერთიმეორესთან გაიგივება არ შეიძლება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულია ისიც, თუ რა შეიძლება იყოს ექსპერტიზის კვლევის ობიექტი, როგორ და რა რაოდენობით უნდა მოხდეს ამ ობიექტების გახარჯვა ექსპერტიზის ჩატარების პროცესში და რა ბედი უნდა ეწიოს ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დარჩენილ ობიექტებს. კერძოდ, სსსკ-ის 360-ე მუხლის თანახმად, „ექსპერტიზის გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება, ცოცხალი ადამიანის სხეული, ფსიქიკური მდგომარეობა, გვამი, დოკუმენტი.“

საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეში ასახული ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული მონაცემები. საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი, თუ მისი მოცულობა

და თვისება ამის საშუალებას იძლევა, ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთულ და დალუქულ მდგომარეობაში.

იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით შეიძლება დაიხარჯოს ექსპერტიზაზე გადაგზავნილი ობიექტი, კანონი არაფერს ამბობს და კმაყოფილდება იმაზე მითითებით, რომ ექსპერტიზის ჩატარების პროცესში გამოსაკვლევად გადაგზავნილი ობიექტი შეიძლება გაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენიც ეს საჭიროა ექსპერტიზის კვლევისათვის. დაუხარჯავი ობიექტი სათანადო შეფუთულ მდგომარეობაში უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის დამნიშნავ ორგანოს ან თანამდებობის პირს (გამომძიებელს ან პროკურორს) შეფუთული და დალუქული სახით და უნდა მოხდეს მისი შენახვა ნივთმტკიცებისათვის განკუთვნილი წესით.

ბ) ექსპერტიზის სახეები წარმოების პროცესის მიხედვით, ექსპერტიზა შეიძლება იყოს **პირველადი, დამატებითი, განმეორებითი, საკომისიო, კომპლექსური და ალტერნატიული სახის.**

პირველადი ექსპერტიზა, როცა იგი პირველადაა დანიშნული გამომძიებლის (მომკვლევის ან პროკურორის) მიერ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოების დასადგენად, რომლისთვისაც საჭიროა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტთა დასკვნა. და როცა ამ გარემოებათა დასადგენად და ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად პირველად იქნა ჩატარებული ამა თუ იმ სახის ექსპერტიზა.

დამატებითი ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როცა პირველად ჩატარებული ექსპერტიზის დროს ექსპერტს მხედველობიდან გამორჩა საქმეზე მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოების გამოკვლევა და დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ან როცა ასეთი გარემოების დადგენის აუცილებლობა და მის შესაბამისად ექსპერტის წინაშე საკითხების დაყენება აღმოცენდება პირველადი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ. ასეთ დროს, დამატებითი სახის ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილია დაევალოს იმავე ექსპერტს, რომელმაც ჩააატარა მოცემულ საქმეზე პირველადი ექსპერტიზა.

განმეორებითი ექსპერტიზა რეკომენდებულია ჩატარდეს მაშინ, როცა პირველადი ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია, ან როცა საეჭვოა ამ დასკვნის სისწორე და იგი დამყარებულია არასარწმუნო მტკიცებულებაზე, ან როცა ჩატარებული ექსპერტიზის დროს გამოყენებული არაა უახლესი მეცნიერული კვლევის მეთოდები, ან როცა იგი ჩატარე-

ბულია პროცესუალური ნორმების დარღვევით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ექსპერტიზა ჩატარდეს განმეორებით და მისი ჩატარება დაევალოს სხვა ექსპერტს. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში, კანონის თანახმად, საჭიროა აღინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის მოტივი. პირველადი ექსპერტიზის ჩამტარებელი პირი შეიძლება დაესწროს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას და მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება. მაგრამ, ვინაიდან ექსპერტიზა ტარდება განმეორებით და მას ატარებს სხვა ექსპერტი, ცხადია, ექსპერტის დასკვნის შედგენაში პირველადი ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი უფლებამოსილი არაა მიიღოს მონაწილეობა.

საკომისიო ექსპერტიზა, ზემოთ განხილულ ექსპერტიზებთან შედარებით, უფრო რთული სახისაა, რადგან მის ჩატარებაში მონაწილეობს ერთი და იმავე დარგის რამდენიმე სპეციალისტ-ექსპერტი. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად კანონი უშვებს საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს მხარეების მიერ დასახელებული მათთვის სასურველი ექსპერტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავი პირი თვითონ შეარჩევს ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობისათვის მისაღებ ექსპერტებს. ხოლო თუ იგი ამ ექსპერტების შერჩევას მიანდობს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს, მაშინ ეს უკანასკნელი მოახდენს საკომისიო ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციას. ამასთან, დაცულ უნდა იქნეს სსსკ 362-ე მუხლის მითითება იმაზე, რომ „გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნა საკომისიო ექსპერტიზის ჩასატარებლად სავალდებულოა შეასრულოს საექსპერტო დაწესებულებამ“.

ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ მასში მონაწილე პირები თათბირობენ და, თუ საერთო აზრს გამოიტანენ და ერთობლივ დასკვნას გააკეთებენ, მაშინ ექსპერტის დასკვნას ყველა მათგანი ხელს მოაწერს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილე ექსპერტები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ თითოეული მათგანი იძლევა თავის ცალკე დასკვნას უთანხმოების გამომწვევ ყველა საკითხზე ან ექპერტის წინაშე დასმულ იმ კონკრეტულ საკითხზე, რომელზეც ისინი ვერ შეთანხმდნენ და ცალ-ცალკე კერძო აზრზე დარჩნენ.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახის ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის უფლება ექსპერტთა კომისიის გარდა სხვას არავის არა აქვს.

კომპლექსური ექსპერტიზა ნიშნება იმ შემთხვევაში, როცა საექსპერტო კვლევის ობიექტი და ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები მოითხოვს მეცნიერების ან ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან სპეციალურ ცოდნას. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აყალიბებენ დასკვნას იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა დასადგენადაც დაინიშნა მოცემული სახის კონკრეტული ექსპერტიზა. ამ სახის ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილე თითოეული ექსპერტი გამოკვლევას ახდენს თავის სპეციალობით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში და, ამისდა შესაბამისად, აყალიბებს საკუთარ საექსპერტო დასკვნას და აწერს ხელს. მას უფლება არა აქვს, ხელი მოაწეროს კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც სცილდება მისი მეცნიერული კომპეტენციის ფარგლებს. იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზის ჩატარება დაევალება საექსპერტო დაწესებულებას, მაშინ საკომისიო ექსპერტიზის მსგავსად, აქაც კომპლექსური გამოკვლევის ორგანიზაცია უნდა მოახდინოს მისმა ხელმძღვანელმა.

ზემოთ განხილული ექსპერტიზის სახეობას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაემატა აგრეთვე **ალტერნატიული სახის ექსპერტიზა**, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი ჩატარების ინიციატორად საკუთარი ხარჯებით გამოდის მხარე ამ სახის ექსპერტიზის ჩატარებისა და ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების შესახებ. მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამომძიებელს ან პროკურორს, ე.ი. პირს, რომლის წარმოებაშიცაა გამოსაძიებელი სს საქმე. თავის მხრივ, საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა. მხარის მოთხოვნით ამგვარი სახის ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა სავალდებულო წესით საქმეს დაერთვის და მისი შეფასება მოხდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ერთ მთლიანობაში.

სსსკ 364-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ან განსასჯელი არასმქონეა, მას უფლება აქვს სახელმწიფოს ხარჯზე, სისხლის სამართლის საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართოს სასამართლოს ან სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

ექსპერტიზის ცნება თავისი დანიშნულების მიხედვით მეტად ფარ-

თა და იგი მოიცავს ყველა სახის ექსპერტიზას. ამასთან, იმის გამო, რომ ნებისმიერი ექსპერტის დასკვნა მტკიცებულების სპეციალური წყაროა და მისი საბოლოო შეფასება მტკიცებულებითი ღირებულების თვალთახედვით სასამართლოში ხდება სხვა სახის მტკიცებულებებთან ურთიერთშეფარდებაში და ფასდება მოსამართლის შინაგანი რწმენით. ყველა სახის ექსპერტიზა თავსდება სასამართლო ექსპერტიზის ცნებაში. ამ თვალსაზრისით ერთიმეორისაგან განასხვავებენ სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიულ, საბუღალტრო, ავტოტექნიკურ, ვეტერინარულ, კრიმინალისტიკურ და სხვადასხვა სახის ექსპერტიზას.

ყველა შესაძლო ექსპერტიზა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში რეკომენდებულია დავყოთ 10 კლასად. კერძოდ: კრიმინალისტიკურ, სამედიცინო და ფსიქოფიზიოლოგიურ, საინჟინრო-ტექნიკურ, საინჟინრო-სატრანსპორტო, საინჟინრო-ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და ხელოვნებათმცოდნეობის სახის ექსპერტიზებად.[1]

ზემოაღნიშნული სახის ექსპერტიზებიდან ჩვენი კვლევის ინტერესი ეხება მხოლოდ კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სახეებს. თუმცა, ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების გარდა, შესაძლოა აუცილებელი გახდეს სხვა ნებისმიერი (სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული, საბუღალტრო, ტექნიკური, ბიოლოგიური და სხვ.) სახის ექსპერტიზის ჩატარება.

გ) კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სახეები. აღსანიშნავია: 1) ტრასოლოგიური, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა; ადამიანის ფეხის კვალის ექსპერტიზა; გატეხვის იარაღების კვალთა ექსპერტიზა; სატრანსპორტო საშუალებათა მიერ წარმოქმნილ კვალთა ექსპერტიზა; კბილისა და ფრჩხილის კვალის ექსპერტიზა; ოდოროლოგიური სახის ექსპერტიზა და სხვ.;

2) დოკუმენტების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ხელნაწერებისა და ხელმოწერების, ანუ ხელმცოდნეობისა და გრაფიკული სახის ექსპერტიზა; დოკუმენტების წმინდა ტექნიკური გამოკვლევა, ანუ საბეჭდ მანქანასა და კომპიუტერზე

---

[1] Криминалистика. Учебник для вузов. Под редакцией профессора Р.С.Белкина. М., 2000, გვ. 415

შესრულებული ტექსტების გამოკვლევა; ბეჭდების, შტამპელებისა და დოკუმენტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება, ყალბი დოკუმენტების გამოკვლევის ექსპერტიზა, დამწვარი დოკუმენტების აღდგენის მიზნით ჩატარებული ექსპერტიზა და სხვ.;

3) ბალისტიკური ექსპერტიზა;

4) გარეგანი ნიშნების მიხედვით პიროვნების გაიგივების ექსპერტიზა;

5) ფოტოექსპერტიზა და სხვ., რომელთა მასალების მომზადება, და მათი დანიშვნის ტაქტიკა მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება.

§3. ცალკეული სახის ექსპერტიზის დანიშვნისათვის მასალების მომზადების ტაქტიკა

მასალების მომზადება ექსპერტიზის დანიშვნისათვის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უაღრესად რთული და შრომატევადია. გამომძიებლისაგან იგი მოითხოვს ექსპერტიზის ჩასატარებლად ყველა საჭირო მასალის შეკრებას — გამოსაკვლევი და შესადარებელი ნიმუშების მომარჯვებას, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანას, დადგენილებაში ექსპერტიზით გადასაწყვეტი საკითხების სწორ ფორმულირებას და საექსპერტო დაწესებულებაში მის დროულად გადაგზავნას ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო ყველა მასალასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის მთელი რიგი სახელმწიფოების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ჯერ კიდევ ადრე დაშვებული იყო ექსპერტთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველ დაინტერესებულ მხარეს შეეძლო მოეთხოვა ექსპერტიზის დანიშვნა მაშინ, როცა იგი საჭიროდ მიიჩნევდა მის ჩატარებას თავისი ინტერესების დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ადრე, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ანგლოსაქსონიის კანონმდებლობით მხარეებს ჰქონდათ უფლება მოეწვიათ ექსპერტები და ამისათვის მათთვის გადაეხადათ ექსპერტიზის საფასური. რაც, ჩემი აზრით, სისხლის სამართალწარმოებაში დემოკრატიის ნამდვილი მაჩვენებელია და უდავოდ მოსაწონია, რომ ეს მნიშვნელოვანი პრინციპი საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც იქნა რეგლამენტირებული ალტერნატიული

ექსპერტიზის სახელწოდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესის მონაწილე მხარეებს მიენიჭათ უფლება თავიანთი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით საჭიროების შემთხვევაში ჩაატარონ ექსპერტიზა.

ამასთან, დაკავშირებით სსსკ-ის 364-ე მუხლში მითითებულია: „მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას. საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა. მხარის მოთხოვნით ექსპერტის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად“.

მაშასადამე, ექსპერტიზის დანიშვნა არა მარტო გამომძიებლისა და პროკურორის პრეროგატივაა, არამედ მისი დანიშვნის უფლება აქვს აგრეთვე პროცესის მონაწილე დაინტერესებულ მხარესაც საკუთარი ხარჯებით. ამასთან, ექსპერტიზის ჩატარებისა და ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხების შესახებ ექსპერტიზის დამნიშნავმა მხარემ უნდა აცნობოს გამომძიებელს ან პროკურორს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ კი საჭიროა მას დაუყოვნებლივ წარუდგინოს ექსპერტის დასკვნა.

საქართველოს სსსკ-ის 359-ე მუხლით რეგლამენტირებულია ისიც, რომ მხარის მოთხოვნით, ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს „სპეციალური ცოდნის მქონე პირთან და იმ დაწესებულებასთან შეთანხმებით, სადაც იგი მუშაობს“.

გამომძიებელი თუ საჭიროდ მიიჩნევს საქმეზე ექსპერტიზის ჩატარებას, მან თავიდანვე, ზოგჯერ კი შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომენტიდანვე, უნდა დაიწყოს ექსპერტიზისათვის საჭირო მასალების შეკრება-მომზადება. მაგალითად, გამომძიებლის ან ექსპერტიზის დამნიშნავი სხვა პირის ეს მოსამზადებელი მოქმედება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

1) შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს იმ საგნების მიმართ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში შესაძლოა პირი ხელით შეხებოდა და მასზე თავისი ხელის თითების კვალი დაეტოვებინა, ან მას დანაშაულის ჩადენაში

---

[1] შ. ფაფიაშვილი. დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. თბ., 1999, გვ. 132.

მონაწილე სხვა რომელიმე პირი შეხებოდა და მასაც თავისი ხელის თითების კვალი დაეტოვებინა;

2) თუ შესაძლებელია იმ საგნების ამოღება, რომლებზეც დარჩენილია ხელის თითების კვალი, ფოტოგადაღების შემდეგ მოახდინოს მათი ამოღება და შეფუთვა, ხოლო თუ კვალიანი საგნის ამოღება და სათანადო წესების დაცვით მისი შეფუთვა ფოტოგადაღების შემდეგ შეუძლებელია, შეუდგეს ადგილზე მის დამუშავებას;

3) გამოვლინებული ხელის თითების კვალი გადაიტანოს დაქტილოსკოპიურ ფირზე და გაუკეთოს მას სათანადო წარწერა იმის შესახებ, თუ სად, როდის, ვის მიერ, როგორ, რა ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით, ვისი თანდასწრებით და რა საქმესთან დაკავშირებით იქნა ამოღებული;

4) შეაგროვოს შედარებითი გამოკვლევისათვის საჭირო მასალები დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, დაზარალებულთა და მოწმეთა დაქტილოსკოპიური ბარათების სახით;

5) გულდასმით აწარმოოს მიღებული ხელის თითების კვალზე აღბეჭდილი ქარგების წინასწარი დათვალიერება;

6) გამოიტანოს დადგენილება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

7) დადგენილებაში გარკვევით ჩამოაყალიბოს ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები და მიუთითოს[1] იმაზე, თუ ვის ევალება მოცემული ექსპერტიზის ჩატარება და სხვ.

მაშასადამე, ექსპერტიზის დამნიშნავი პირის (გამომძიებლის, პროკურორის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ისაა, რომ უზრუნველყოს ექსპერტიზა გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტებით. ამავე დროს, გამომძიებელი უნდა შეეცადოს რაც შეიძლება მეტი საჭირო მასალა შეკრიბოს ექსპერტიზაზე გადასაგზავნად, რადგან ამით უფრო მეტი რეალური შესაძლებლობა იქნება ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების წარმატებით გადასაწყვეტად

მაგალითად, თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე თითის რამდენიმე კვალი, ყველა მათგანი ფიქსირებული ამოღებულ და გადაგზავნილ უნდა იქნეს ექსპერტიზაზე, თუნდაც ზოგიერთ მათგანზე სრულყოფილად არ იყოს გამოსახული დვრილოვანი ქარგები და ვიზუალურად შეუძლებელი იყოს ქარგის ტიპისა და სახეობის დადგენა და სხვ.

ხელნაწერების გამოკვლევისათვის ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტი უნდა უზრუნველვყოთ შედარებითი გამოკვლევისათვის საჭირო ეჭვმიტანილი პირის მიერ შესრულებული ისეთი ხელნაწერებით, როგორიცაა: თავისუფალი ნიმუში, ნახევრად თავისუფალი ნიმუში და ექსპერიმენტული გზით მიღებული ნიმუში.

ასევე იმისათვის, რომ საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტების მიხედვით მოვახდინოთ საძიებო საბეჭდი მანქანის დადგენა და მისი იდენტიფიკაცია, საჭიროა ექსპერტს ჰქონდეს გამოსაკვლევი ტექსტი და იმ საეჭვო, ანუ სავარაუდო საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტების თავისუფალი და ექსპერიმენტული გზით მიღებული ნიმუშები.

ექსპერტიზაზე გადასაგზავნი ტექსტის თავისუფალი ნიმუშის მიღების დროს რეკომენდებულია დაცულ იქნეს შემდეგი წესი:

1) თავისუფალი ნიმუშები ამოღებულ იქნეს იმავე სისტემისა და ტიპის საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე შესრულებული, რომელზეც სავარაუდო მონაცემებით შესრულებულია გამოსაკვლევი ტექსტი;

2) გამოსაკვლევად ამოღებული ნიმუში მოცემულ გამოსაკვლევ (საძიებო) საბეჭდ მანქანაზე შესრულებული იყოს მიახლოებით იმავე დროის მონაკვეთში, რა დროსაც, სავარაუდოდ, შესრულებულია გამოსაკვლევი ტექსტი;

3) ნიმუში აღებული და შესრულებული უნდა იყოს იმავე ხარისხისა და ფერის ქაღალდზე ან იმავე ფერის გადამღები ქაღალდის გამოყენებით, როგორითაც შესრულებულია გამოსაკვლევი ტექსტი;

4) თუ საბეჭდ მანქანას, ან კომპიუტერს რომლისგანაც ვიღებთ ნიმუშებს, გამოსაკვლევი ტექსტის შესრულების შემდეგ ჩაუტარდა გაწმენდა ან რემონტი და მოხდა მისი ნაწილების შეცვლა, ამის შესახებ აუცილებლად მითითებულ უნდა იქნეს ნიმუშების მიღების ოქმში;

5) ნიმუშებში აღბეჭდილ უნდა იქნეს საბეჭდი მანქანის ყველა ასო და სასვენი ნიშანი შესრულებული შემცირებული ანუ ჩვეულებრივი ბეჭდვის სახით (ნიშნები განაწილებული ხაზს ქვემოთ და ხაზს ზემოთ) და გადიდებული (ხაზს ზემოთ განლაგებული) შრიფტით;

6) ექსპერიმენტული გზით მიღებულ ნიმუშში მიზანშეწონილია ადგილი ჰქონდეს გამოსაკვლევ დოკუმენტში დაბეჭდილი სიტყვების გამეორებას სხვა შინაარსის მიმართულებით;

7) ნიმუშების აღება საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტრზე შესრულებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სისწრაფით და სხვ.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება მასალების მომზადება ად-

ამიანის ფეხის კვალის ექსპერტიზისათვის. ეს თავისებურება დამოკიდებულია შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ფეხის კვალის სახეობაზეც. კერძოდ იმაზე, თუ რა ფორმისაა იგი და რა საშუალებით უნდა მოხდეს მისი დამუშავება. იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის ფეხის ან ფეხსაცმლის ზედაპირული სახის კვალია წარმოქმნილი ამა თუ იმ მკვრივი ზედაპირის მქონე საგანზე, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მისი გაზომვები, შემდეგ შეირჩეს დიდი ზომის დაქტილოსკოპიური ფირი (შავი ან გამჭვირვალე ფერის) იმის მიხედვით, თუ რა ფერის საგანზეა იგი დატოვებული.

იმ შემთხვევაში, თუ კვალი დატოვებულია შიშველი ფეხით კრიალა ზედაპირის მქონე საგანზე და მასზე შეიმჩნევა დვრილოვანი ხაზები და ქარგები ან თუ ასეთ საგანზე შეიმჩნევა ფეხსაცმლის ძირისათვის დამახასიათებელი რაიმე ნიშნები, მასშტაბური სახით მათი ფოტოგადაღების შემდეგ საჭიროა მოხდეს მისი გადატანა ფეხის კვალის სიდიდის მქონე დაქტილოსკოპიურ ფირზე, რისთვისაც ამ უკანასკნელს ავაცლით დამცველ ფენას და წებოვანი მხრიდან ფრთხილად მოვათავსებთ ფეხის კვალიან საგანზე და მათი მჭიდროდ შეხების მიზნით, დაქტილოსკოპიურ ფირზე ზემოდან გავატარებთ რეზინის ლილვაკს, რის შემდეგაც დაქტილოსკოპიურ ფირს ავაცლით კვალიანი საგნიდან და ვნახავთ, რომ მასზე იქნება გადატანილი კვალის მთლიანი მიკროგამოსახულება. დამცველ ფენას ისევ მჭიდროდ შევათავსებთ წებოვანი მხრიდან დაქტილოსკოპიურ ფირზე, რომ არ მოხდეს მისი გაცურება და გადატანილი კვალის დაზიანება. კვალიან დაქტილოსკოპიურ ფირს ოთხივე მხრიდან შევკერავთ ნემსითა და ძაფით, მასზე მივაბამთ ქაღალდს წარწერით თუ სად, როდის, ვის მიერ, რა საშუალებითა და ვისი მონაწილეობით იქნა იგი ამოღებული და მასზე ხელს მოაწერს გამომძიებელი და დამსწრე პირები.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ადამიანის ფეხის ან ფეხსაცმლის მოცულობითი კვალიდან კი, როგორც წესი, ჯერ უნდა მოხდეს მისი მასშტაბური წესით ფოტოგადაღება, გაზომვები, კვალის გასუფთავება, თუ მასში კვალის წარმოქმნის შემდეგ რაიმე საგანი (ფოთოლი, მტვერი და სხვ.) იქნა ჩავარდნილი და ისე მოხდეს მისგან თაბაშირის ხსნარით ტვიფრის დამზადება კრიმინალისტიკურ ტექნიკაში შემუშავებული ხერხებით. შემდეგ იგი ზემოაღწერილი წესით უნდა გაიგზავნოს ფეხის კვალის ტრასოლოგიურ ექსპერტიზაზეა გამოსაკვლევად. მას-

თან ერთად, საჭიროა გაიგზავნოს ეჭვმიტანილთან აღმოჩენილი ფეხის კვალში აღწერილი ფორმის ფეხსაცმელი.

თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა ადამიანის შიშველი ფეხის კვალი და იქიდან მოხდა მისი დაქტილოსკოპიურ ფირზე გადატანა, მაშინ ექსპერტი, ამ გამოსაკვლევი კვალის დაქტილოსკოპიურ ფირთან ერთად, უნდა უზრუნველვყოთ შესადარებელი კვლებისათვის საჭირო შიშველი ფეხის კვალის ნიმუშებით და ეჭვმიტანილის ან სხვა პირებისაგან შიშველი ფეხის ექსპერიმენტული გზით მიღებული ანაბეჭდებითაც. ამ მიზნით გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა დაამზადოს რამდენიმე მეტრის სიგრძის კრიალა ზედაპირის მქონე ქაღალდი, რეზინის ლილვაკის მეშვეობით მოახდინოს ნიმუშების ასაღებად მოწვეული პირების ან ეჭვმიტანილის ფეხის გულისა და თითების დაფარვა შავი ფერის სასტამბო საღებავითა და მათ ცალ-ცალკე წინადადება მიეცეთ, გაიარონ იატაკზე დადებულ თეთრი ფერის სუფთა ქაღალდზე და იქვე მიეთითოს ამ კვალის წარმომქმნელი პირის ვინაობის შესახებ. ამ გზით ჩვენ მივიღებთ არა მარტო მათი შიშველი ფეხის ანაბეჭდებს, არამედ იგი ნათელ წარმოდგენასაც მოგვცემს მათი ნაბიჯის სიგრძისა და კუთხის შესახებაც, რასაც, თავის მხრივ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორი საგამოძიებო ვერსიების ასაგებად. მიღებული ანაბეჭდებიდან შევარჩევთ რამდენიმეს, შევფუთავთ, დავლუქავთ და სხვა მასალებთან ერთად, სათანადო წესით, გავაგზავნით საექსპერტო გამოკვლევაზე და სხვ.

§4. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანის ტაქტიკა

ა) ექსპერტიზის დანიშვნის ცნება და მისი განსხვავება ექსპერტიზის ჩატარებისაგან. ექსპერტიზის დანიშვნა ერთ-ერთი რთული საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის სრულყოფილად მომზადებასა და დროულად დანიშვნა-ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე საგამოძიებო ვერსიების სწორი, დასაბუთებული აგება, გამოძიების სწორად წარმართვა, დანაშაულის სრული გახსნა, გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე ექსპერტიზის დანიშვნა პირველადი გადაუდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებადაც შეიძლება მოგვევლინოს.

მაგალითად, როცა აღმოჩენილია ადამიანის გვამი და გაურკვეველია სიკვდილის გამომწვევი მიზეზი, ამის გასარკვევად საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ასევე ავტოავარიის საქმეებზე, როცა საჭიროა გაირკვეს ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი, ან სიკვდილის გამომწვევი მიზეზი, ან მძღოლის სიმთვრალის დადგენა. ასევეა ნარკოტიკულ დანაშაულთა საქმეებზე და სხვ.

კრიმინალისტურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ ექსპერტიზის დანიშვნასა და ექსპერტიზის ჩატარებას.

კრიმინალისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი (ე.ზელიკსონი, ბ.მუკაშევი, ლ. ფრანკი, ნ. ჟოგინი, ფ. ფაკულინი, ი. ოვრუცკი და სხვ.) ექსპერტიზის წარმოებას, მის ჩატარებას ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებად მიიჩნევენ, რაც, ჩემი აზრით, არასწორია და გარკვეულ შეკამათებას იწვევს. უფრო მეტიც, ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, ექსპერტიზის ჩატარება ისეთი რთული საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მთელ რიგ ცალკეულ დამხმარე საგამოძიებო მოქმედებებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ექსპერტიზის საკითხებზე მიძღვნილ თავს ეწოდოს „ექსპერტიზის ჩატარება", ვინაიდან, მათი აზრით, ეს უკანასკნელი უკეთ გამოხატავს ექსპერტიზის, როგორც საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელობას.[1]

სამწუხაროდ, ასეთივე არასწორი აზრია გატარებული და ასევე არასწორადაა დასათაურებული ქართულ ენაზე გამოცემული კრიმინალისტიკის მეორე ტომის 24-ე თავი „ექსპერტიზის ჩატარების ტაქტიკა"[2]. უნდა იყოს ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა და არა მისი ჩატარების ტაქტიკა.

უფრო მეტიც, ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, ექსპერტიზა როგორც საგამოძიებო მოქმედება, არაფრით განსხვავდება ჩხრეკის, დათვალიერებისა და დაკითხვისაგან.[3] ექსპერტიზის გაიგივება ჩხრეკასთ ნ,

---

[1] **Овруцкий И.Я.** Проведение судебной автотехнической экспертизы как следственное действие. В книге: „Вопросы криминалистики и судебной экспертизы". Душанбе, 1966. 222-229 და სხვ.

[2] *კრიმინალისტიკა. ტ.2. თბ., 1995.*

[3] **Цимакуридзе Г.** Процессуальные и методические вопросы криминалистической экспертизы в Грузинской ССР, Тбилиси, 1967, 14.

დათვალიერებასა და დაკითხვასთან რომ ყოვლად დაუშვებელია, ამას, ვფიქრობთ, კომენტარიც არ ესაჭიროება.

ზოგიერთი ავტორი იმის დასასაბუთებლად, რომ ექსპერტიზის ჩატარება რთული საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებაა, იშველიებს შემოწმებას, რომლის დროსაც სხვა სქესის პირთა შემოწმებისას, როცა ამას თან მოსდევს შესამოწმებელი პირის გაშიშვლება, გამომძიებელი არ ესწრება და შემოწმებას ატარებს ექიმი, ამის გამო ისინი შემოწმებას ექსპერტიზასთან ათანაბრებენ.[1]

ასეთივეა აზრია ჩადებული სსსკ-ის 354-ე მუხლში, რომლის თანახმად შემოწმებისას, რომელიც დაკავშირებულია სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით ატარებს ექიმი, რომელიც უფლებამოსილია დაათვალიეროს შესამოწმებელი პირის სხეული, ჩაატაროს საჭირო გაზომვა და გამოიყენოს გასინჯვის ინსტრუმენტული მეთოდი. იმავე მუხლის მეორე პუნქტში კი ნათქვამია: „შემოწმებას, რომელიც დაკავშირებული არ არის სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი, საჭიროების შემთხვევაში — სპეციალისტის მონაწილეობით". ასევე სსსკ-ის 350-ე მუხლში აღნიშნულია: „შემოწმება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა:

ა) აღმოაჩინონ ადამიანის სხეულზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშანი ან თავისებურება, რისთვისაც ექსპერტიზა საჭირო არ არის".

ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის".

ასევე სსსკ-ის 355-ე მუხლით რეგლამენტირებულია შემოწმების ფიქსაციის წესი. კერძოდ ის, რომ შემოწმების ჩამტარებელმა პირმა უნდა შეადგინოს შემოწმების ოქმი და მასთან ერთად ხელი უნდა მოაწეროს აგრეთვე შემოწმებულმა, ექიმმა და სხვა სპეციალისტმა. იმ შემთხვევაშიც, როცა შემოწმებას ატარებს ექიმი, მან უნდა შეადგინოს და ხელი მოაწეროს ოქმს. მასთან ერთად ოქმზე ხელი უნდა მოაწეროს შემოწმებულმა და იგი უნდა გადაეცეს გამომძიებელს ან პროკურორს.

---

[1] **Палиашвили А.** Правовые проблемы экспертизы в советском уголовном процессе. Докторская диссертация. Тбилиси, 1968. 7-8 და სხვ.

ყოველივე ეს კი სრულიად უცხოა ექსპერტიზის ჩატარებისათვის.

ამასთან, ექსპერტის მიერ ამა თუ იმ გამოსაკვლევი ფაქტის დადგენა ყოველთვის გულისხმობს სპეციალური ცოდნის გამოყენებას. შემოწმების დროს აღმოჩენილი ფაქტები კი შეიძლება ფიქსირებულ იქნეს სპეციალური ცოდნის გარეშეც.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1995 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის მეორე ტომში ექსპერტიზის დანიშვნა მაინც ძველი ტრადიციისა და რუსულ ენაზე არსებული სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების ზეგავლენით კვლავ „ექსპერტიზის ჩატარების ტაქტიკის" სახელწოდებითაა მოხსენიებული. ასევე არასწორადაა იგი მოხსენიებული ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოებში.[1]

ზემოაღნიშნულ კრიმინალისტთა ძირითადი შეცდომა, ექსპერტიზის დანიშვნისა და ექსპერტიზის ჩატარების ცნებათა არასწორ გაგებაშია, ვინაიდან ისინი ამ ორ სხვადასხვა ცნებას შორის სხვაობას ვერ ხედავენ და მათ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ, რაც არასწორია.

ექსპერტიზის დანიშვნა ექსპერტიზის ჩატარებისაგან განსხვავდება არა მარტო პროცესუალური, არამედ მათი წარმოების ტაქტიკური თვალსაზრისითაც. ექსპერტიზის დანიშვნა არის საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც ასრულებს თვითონ გამომძიებელი (კრებს ექსპერტიზისათვის საჭირო მასალას, გამოაქვს დადგენილება ნიმუშების მიღების შესახებ და ადგენს ოქმს ნიმუშების მიღებაზე; აგრეთვე გამოაქვს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მასში აყალიბებს ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებს). ექსპერტიზის ჩატარება კი ისეთი საექსპერტო წარმოებაა, რომელსაც უშუალოდ ექსპერტი ასრულებს.

ექსპერტიზის დამნიშნავ პირს (გამომძიებელს და სხვ.), მართალია, უფლება აქვს დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ტარდებოდეს მისი ხელმძღვანელობით ან ზედამხედველობით. მას შემდეგ, რაც ექსპერტი მიიღებს ყველა საჭირო მასალას და შეუდგება ექსპერტიზის ჩატარებას, იგი უკვე თვითონაა მასზე პასუხისმგებელი. ექსპერტიზა ტარდება საექსპერტო წარმოების

---

[1] იხ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1988. Уголовный процесс. Учебник для вузов, М., 1998, გვ. 219 და სხვ.

ყველა სათანადო ნორმის დაცვით და მას ხელს აწერს თვითონ მისი ჩამტარებელი ექსპერტი და არა გამომძიებელი. ასე რომ, გამომძიებელი არა მარტო ხელს არ აწერს ექსპერტის დასკვნას, არამედ მასში იგი საერთოდ არც მოიხსენიება.

ექსპერტის პროცესუალური უფლება-მოვალეობა სულ სხვაა და იგი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს გამომძიებლის უფლება-მოვალეობასთან, ექსპერტიზის ჩატარება კი საგამოძიებო მოქმედებასთან.

ექსპერტიზის დანიშვნა რთული საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც გამომძიებლისაგან მოითხოვს წინასწარ მომზადებას და დაკვირვებულობას. ექსპერტიზის ჩატარება კი საექსპერტო კვლევის ისეთი პროცესია, რომელიც ექსპერტისაგან მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, გამოკვლევისათვის საჭირო ყველა სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა და საექსპერტო პრაქტიკაში შემუშავებული ყველაზე უფრო ეფექტური ხერხებისა და მეთოდების სწორად და სრულყოფილად გამოყენებას. ამიტომ, დაუშვებელია ამ ორი სრულიად სხვადასხვა ცნების ერთიმეორეში არევა და მათი გაიგივება

ბ) *დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.* ექსპერტიზის ჩასატარებლად, ყველა საჭირო მასალის მომზადების შემდეგ, გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. დადგენილებაში უნდა იქნეს მითითებული, თუ რა სახის ექსპერტიზა ინიშნება. მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა დადგენილებიდან არ ჩანს, თუ რა სახის ექსპერტიზაა დანიშნული. ასე მაგალითად, მცხეთის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელმა ექსპერტიზაზე გადააგზავნა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებით, მაშინ როდესაც საჭირო იყო დადგენილება გამოეტანა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. მართალია, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ერთ-ერთი სახეა, მაგრამ უკეთესია თუ დადგენილებას გამოვიტანთ უშუალოდ იმ სახის ექსპერტიზაზე, რომელსაც ვნიშნავთ. უფრო მეტიც, ზოგჯერ დადგენილება გამოაქვთ ისე, რომ სრულიადაც არ მიუთითებენ დადგენილების სახეს. ასე მაგალითად, აბაშის რაიონიდან საქართველოს შსს-ს სამეცნიერო-ტექნიკურ სამმართველოში, ეჭვმიტანილის დაქტილოსკოპიურ ბარათებთან ერთად, გადაგზავნეს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ბოთლი თითების ანაბეჭდებით,

რომელზეც გამოტანილი იყო დადგენილება ამოღებული ნივთ-საგნის სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში გადაგზავნის შესახებ.

ასევე თბილისის ერთ-ერთი რაიონიდან საქართველოს შსს სამეცნიერო-ტექნიკურ სამმართველოში გადაგზავნილ იქნა უფროსი ოპერრწმუნებულის მიერ გამოტანილი დადგენილება „ნივთმტკიცების, ცეცხლსასროლი იარაღის სამეცნიერო-ტექნიკურ სამმართველოში შესამოწმებლად გადაგზავნის შესახებ" და მასთან ერთად გადააგზავნა ცეცხლსასროლი იარაღი ისე, რომ დადგენილებაში მოცემული არ იყო ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები.

საგამოძიებო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დადგენილება გამოაქვთ არა ექსპერტიზის დანიშვნის, არამედ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. მაგალითად, ყოვფილ წულუკიძის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელმა აკოფიანის მკვლელობის ფაქტზე 1988 წლის 8 ივლისს გამოიტანა დადგენილება „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ". ამასთან, დადგენილებაში სხვა საკითხებთან ერთად, გამოსაკვლევად გადაგზავნილ მოკლულის გვამთან ერთად, მკვლელობაში ეჭვმიტანილ თ-ეს გადაგზავნაზეც მიუთითა. კერძოდ, დადგენილების „დ" პუნქტში მიუთითა: „აღენიშნება თუ არა სხეულის დაზიანებები გურამ ნოდარის ძე თ-ს, დადებით შემთხვევაში როგორია მისი ხარისხი და ხანდაზმულობა". ამასთან, იმავე დადგენილების მომდევნო „ე" პუნქტში ვკითხულობთ: „ექსპერტს გამოსაკვლევად გადაეცემა ა. აკოფიანის გვამი და გ. თედორაძე"[1] (სტილი დაცულია). რომ იტყვიან ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა უნდოდათ, ბატონ გამომძიებელსაც, ალბათ, ასე უნდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ერთიც დაამახინჯა და მეორეც.

სსსკ-ის 367-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს „ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტიზისათვის გაგზავნილი სხვა ობიექტები იმის მითითებით, თუ სად, როდის და რა ვითარებაში აღმოაჩინეს ცნობები, რომლებსაც უნდა დაემყაროს ექსპერტის დასკვნები, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება".

---

[1] ყოფილი წულუკიძის რ-ნის პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან, თედორაძის ბრალდების საქმე №678807.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება არასაექსპერტო დაწესებულებაში, მაშინ, სსსკ-ის 370-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელმა დადგენილების გამოტანის შემდეგ უნდა დაიბაროს ის პირი, ვისაც დაავალა ექსპერტიზის ჩატარება და შეამოწმოს მისი პიროვნება, მისი დამოკიდებულება ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან, დაზარალებულთან ან პროცესის სხვა მონაწილეებთან. შეამოწმოს ცნობები მისი სპეციალობისა და კომპეტენტურობის შესახებ. ამასთან, გაარკვიოს, ხომ არ არსებობს საფუძველი ექსპერტის აცილებისათვის და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ გამომძიებელი ექსპერტს გადასცემს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, განუმარტავს სსსკ-ის 97-ე მუხლით გათვალისწინებულ მის უფლებამოვალეობებს და აფრთხილებს განზრახ არასწორი ყალბი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რასაც ექსპერტი ადასტურებს თავისი ხელმოწერით. ყველა ეს ზემოაღნიშნული მოქმედება გამომძიებელმა უნდა შეიტანოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში და იგი უნდა დაადასტუროს ექსპერტმა თავისი ხელმოწერით.

თუ გამომძიებელი დადგენილებაში არ მიუთითებს ექსპერტზე და ასახელებს მხოლოდ საექსპერტო დაწესებულებას, მაშინ დაწესებულებას უნდა გადაუგზავნოს დადგენილება და ექსპერტიზისათვის საჭირო მასალა. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, დაწესებულების ხელმძღვანელმა გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების მიღების შემდეგ ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაავალოს დაწესებულების ერთ ან რამდენიმე თანამშრომელს და ამის შესახებ აცნობოს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს. ამავე დროს, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს ექსპერტიზის ჩატარებას. დაიცვას ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადაგზავნილი ობიექტების დაცვა-შენახვის წესი და განსაზღვროს ექსპერტიზის დამთავრების ვადები. ამასთან, მას უფლება არა აქვს ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს ისეთ პირს, რომელიც საექსპერტო დაწესებულებაში არ მუშაობს. მას უფლება არა აქვს აგრეთვე ექსპერტიზის დამნიშნავი პირის დადგენილების გარეშე სხვა დაწესებულებიდან მოითხოვოს ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო სხვა დოკუმენტი ნივთიერი და სხვა მტკიცებულება.

სსსკ-ის 367-ე მუხლის თანახმად, ყველა სახის ექსპერტიზის

დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აუცილებლად აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი;

ბ) ექსპერტი ან იმ დაწესებულების სახელწოდება, სადაც ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს;

გ) კითხვები, რომელზეც ექსპერტის მიერ გაცემულ უნდა იქნეს პასუხი;

დ) გამოსაკვლევად გადასაგზავნი მტკიცებულების ნუსხა.

საერთოდ კი, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში უნდა განვასხვაოთ სამი ძირითადი ნაწილი: შესავალი, აღწერილობითი და რეზოლუციური.

შესავალ ნაწილში ნაჩვენები უნდა იყოს სად, როდის და ვის მიერ იქნა დადგენილება გამოტანილი და რა კავშირი აქვს გამოსაკვლევ ფაქტს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან (უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი).

აღწერილობით ნაწილში — ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი და ის გარემოება, რამაც გამოიწვია საექსპერტო გამოკვლევის აუცილებლობა. სსსკ-ის 367-ე მუხლის თანახმად, იქვე საჭიროა აღინიშნოს „ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტიზისათვის გაგზავნილი სხვა ობიექტები იმის მითითებით, თუ სად, როდის და რა ვითარებაში აღმოაჩინეს ცნობები, რომლებსაც უნდა დაემყაროს ექსპერტის დასკვნები“. საჭიროა იმავე ნაწილის ბოლოს მიეთითოს სსსკ-ის იმ მუხლებზე, რომლითაც ინიშნება ექსპერტიზა.

რეზოლუციურ ნაწილში კი ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რა სახის ექსპერტიზა ინიშნება და ვის ევალება მისი ჩატარება (დასახელებულ უნდა იქნეს საექსპერტო დაწესებულება ან თვით იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება); ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები და გამოსაკვლევად გადაგზავნილი საგნებისა და დოკუმენტების სრულყოფილი ნუსხა.

სსსკ-ის 367-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი დადგენილება „სავალდებულოა იმ პირთათვის, რომელთაც იგი ეხებათ“.

გ) ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხების ფორმულირება. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ექსპერტის

წინაშე დასმული საკითხების სწორ ფორმულირებას. საკითხები უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სწორად, ნათლად, ამომწურავად და კონკრეტულად.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ექსპერტის წინაშე არასწორად აყენებენ საკითხს. მაგალითად, თბილისის პროკურატურის გამომძიებელმა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის წინაშე დააყენა ასეთი კითხვა: „იდენტურია თუ არა №10 საწყობიდან ამოღებულ საგანზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები ექსპერტიზისათვის წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელიმე თითის ანაბეჭდისა".

საკითხის ასეთი ფორმულირება არასწორია, რადგან თითის ერთი ანაბეჭდი არ შეიძლება იყოს მეორე ანაბეჭდის იდენტური. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დროს ვაიგივებთ არა თითების ანაბეჭდებს, არამედ პიროვნებას, ხელის თითების ბოლო ფალანგებზე მოთავსებული ხაზების დვრილოვანი ქარგების საიდენტიფიკაციო ნიშნებით. ამიტომ, უფრო სწორი იქნება, თუ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის წინაშე დავაყენებთ კითხვას: შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალი დატოვებულია თუ არა გარკვეული პირის (ვივანოვის) ან პირთა (ა.ივანოვის, ს.პეტროვის, დ.მაისურაძის, ზ.მზეიძის, გ.მკრტიჩიანის, ს.სარქისიანის, ს.ჩხენკელის და სხვ.) მიერ.

ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ არასწორ კითხვას ზოგჯერ ექსპერტის მხრივაც არასწორი პასუხი მოსდევს.

მაგალითად, გამომძიებელმა ექსპერტის წინაშე დააყენა ასეთი კითხვა: „მოქ. ა.კ-ის ბინის გაქურდვის ფაქტზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული ორი ხელის თითის კვალი არის თუ არა დატოვებული ა.ხ-ძის მიერ?" ამ კითხვას ექსპერტის მიერ შესაბამისი პასუხიც მოჰყვა. კერძოდ, ექსპერტმა თავის დასკვნაში მიუთითა: „მოქალაქე ა.კ-ძის ბინის გაქურდვის ფაქტზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული ორი ხელის თითის კვალი არ არის დატოვებული ამირან ხ-ძის მიერ".[1] ამ შემთხვევაში, ცხადია, პასუხიც არასწორია. მასში მითითებული უნდა იყოს არა „ორი ხელის თითის კვალზე", არამედ ხელის თითების კვალზე, რადგან წინასწარ არ ვიცით თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითების კვალი რამდენი ხელითაა დატოვებული.

ასევე, თბილისის ერთ-ერთი რ-ნის შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა მაღაზია „ქარვას" გაქურდვის ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ბოლო ნაწილში მიუთითა: „შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებულ იქნა ოთხი თითის ანაბეჭდი ორ დაქტილოსკოპიურ ფირზე. ეს ანაბეჭდები ამოღებულ იქნა გატეხილი კარების მინიდან, ისინი დაილუქა". ამ არასწორმა ჩანაწერმა თავისი ანარეკლი პოვა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში და მასზე პასუხიც არასწორი ფორმულირებით იქნა გაცემული.[1] ამ შემთხვევაში საჭირო იყო გამომძიებელს მიეთითებინა იმაზეც, თუ რა ხერხებითა და საშუალებებით იქნა გამოვლინებული და დამუშავებული თითის ეს ანაბეჭდები და ვის მიერ.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად აყენებენ ბრალეულობის საკითხის გარკვევასაც, რაც არასწორია.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად შეიძლება დაისვას შემდეგი სახის კითხვები:

1. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების ანაბეჭდები ვარგისია თუ არა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის?

2. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალი (მიეთითოს საგნის სახეობა, ფერი და დანიშნულება) დატოვებულია თუ არა მოცემული პირის მიერ?

3. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალი ხომ არაა დატოვებული იმ პირთა მიერ, რომელთა დაქტილოსკოპიური ბარათები წარმოდგენილია ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად?

4. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალი (ანაბეჭდები) რომელი ხელის რომელი თითებითაა დატოვებული?

5. სხვადასხვა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელის თითების კვალი ხომ არაა დატოვებული ერთი და იმავე პირის მიერ?

6. როგორი დასკვნების გაკეთება შეიძლება შემთხვევის ადგილზე კვალის დამტოვებელი პირის ხელის აგებულების თავისებურებათა (ერთი ან რამდენიმე თითის ნაკლებობა, მეჭეჭის ან ნაჭრილობევის არსებობა და სხვ.) შესახებ და სხვ.

ფეხის კვალის ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დად-

---

[1] თბილისის ნაძალადევის რ-ნის სასამართლო პრაქტიკიდან. საქმე №0182138.

გენილებაში ექსპერტის წინაშე გამოსაკვლევად შეიძლება დაყენებულ იქნეს შემდეგი სახის კითხვები:

1. შემთხვევის ადგილზე ფეხის მოცულობითი კვალიდან აღებული ტვიფრი და გადაღებული ფოტოსურათები ვარგისია თუ არა იდენტიფიკაციისათვის?

2. გამოსაკვლევად დატოვებული კვალი დატოვებულია ფეხსაცმლით თუ წინდებიანი ფეხით?

3. რა ზომისა და რა ფორმის ფეხსაცმლითაა დატოვებული გამოსაკვლევად დატოვებული კვალი?

4. გამოსაკვლევად წარმოდგენილი შიშველი ფეხით წარმოქმნილი კვალი ვარგისია თუ არა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის?

5. ერთი და იმავე ფეხსაცმლითაა თუ არა სხვადასხვა ადგილას დატოვებული კვალი?

6. სათ, რა მიმართულებით მიდიოდა კვალის დამტოვებელი პიროვნება?

7. შემთხვევის ადგილზე წარმოქმნილი ფეხის კვალთა განლაგებისა და თავისებურებათა მიხედვით ხომ არ შეიძლება ვიმსჯელოთ კვალის დამტოვებელი პიროვნების ფიზიკურ დამახასიათებელ ნიშნებზე (სიკოჭლე, ფეხის პროთეზი, ყავარჯნებით სიარული, ჯოხის ტარება, ტვირთის ტარება) და სხვ.

კბილის კვალის ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღება ეჭვმიტანილი პირისაგან უნდა მოხდეს სპეციალისტის დახმარებით ან უშუალოდ სპეციალისტის მიერ ამასთან, ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად შეიძლება დაყენებულ იქნეს ისეთი კონკრეტული კითხვები, როგორიცაა:

1. შემთხვევის ადგილზე კვების პროდუქტებზე (ვაშლზე ან კომშზე, ნამცხვარზე და სხვ.) დატოვებული კვალი ვარგისია თუ არა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის?

2. გამოსაკვლევად წარმოდგენილი კბილის კვალი ადამიანის კბილის კვალს მიეკუთვნება თუ ცხოველის კბილის კვალს?

3. რომელი კბილით ან კბილებით არის დატოვებული კვალი?

4. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კბილის კვალი ხომ არაა დატოვებული პროთეზით?

5. სხვადასხვა საგნებზე დატოვებული კბილის კვალი ერთი და იმავე პირის მიერაა დატოვებული თუ სხვადასხვა პირის მიერ?

6. რა ნიშნებით ხასიათდება გამოსაკვლევი კბილის კვალი? და სხვ.

სატრანსპორტო საშუალებათა და გატეხის იარაღების კვალთა ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის დროს ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს ექსპერტთა წინაშე გადასაწყვეტად დასმულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

1. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალი რა სახისა და მოდელის სატრანსპორტო საშუალებათა საბურავებითაა დატოვებული;

2. საბურავების ან სხვა სახის კვალში შეიმჩნევა თუ არა კვალის წარმომქმნელი სატრანსპორტო საშუალებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები და ვარგისია თუ არა იგი გამოსაკვლევი (საძიებო) სატრანსპორტო საშუალების ან მისი რომელიმე ნაწილის საიდენტიფიკაციოდ;

3. საიდან მოვიდა შემთხვევის ადგილზე საძიებო სატრანსპორტო საშუალება და იქიდან საით, რა მიმართულებით წავიდა;

4. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სატრანსპორტო საშუალების მინის ან მისი რომელიმე ნაწილის ნატეხების მიხედვით შეიძლება თუ არა მოხდეს ამ საგნის მთელის იდენტიფიკაცია ნაწილების მიხედვით;

5. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ სატრანსპორტო საშუალების ნატეხებზე (ფარის, საქარე მინის და სხვ.) ხომ არაა გაკეთებული მოცემული სატრანსპორტო საშუალებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშანი;

6. როგორია სატრანსპორტო საშუალებათა განლაგება ურთიერთშეჯახების შემდეგ;

7. შეჯახების შედეგად რა სახის კვალი შეიძლება აღმოცენებულიყო საძიებო სატრანსპორტო საშუალებაზე;

8. რა სისწრაფით მიდიოდა სატრანსპორტო საშუალება შეჯახების ობიექტამდე და სხვ;

ასევე გარკვეული საკითხები შეიძლება დაისვას ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად მძღოლის მიერ მოძრაობის წესების სახეობის დარღვევის შესახებ; მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა მთელ რიგ გარემოებათა შესახებ და სხვ.

გატეხის იარაღების კვალთა ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის დროს ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად შეიძლება დაისვას ისეთი კითხვები, როგორიცაა: შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ამა თუ იმ

სახის ობიექტზე არსებული კვალი (დარტყმის, დაწოლის ან თრევის) რით და რა სახის საგნით შეიძლება აღმოცენებულიყო და ვარგისია თუ არა იგი კვალის წარმომქმნელი იარაღის იდენტიფიკაციისათვის; შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალი ერთი და იმავე საგნითაა დატოვებული თუ სხვადასხვა საგნით; რა სახის ნიშნებით შეიძლება ხასიათდებოდეს ამგვარი კვალის წარმომქმნელი საგანი; როგორ იქნა კარების საკეტი გახსნილი: დარტყმით, დაწოლით, მორგებული გასაღებით თუ სხვა რაიმე საგნით და სხვ.

კიდევ უფრო მრავალფეროვანია ბალისტიკური ექსპერტიზით გადასაწყვეტი საკითხების წრე, რომლებიც თავიანთი დანიშნულებისა და ობიექტების მიხედვით დოცენტი ვ. სიმონიშვილი პირობითად მიღებულია, დაიყოს სამ დიდ ჯგუფად. აქედან **პირველს** მიაკუთვნებენ საკითხების იმ ჯგუფს, რომელთა გადაწყვეტა დაკავშირებულია თვითონ ცეცხლსასროლი იარაღის სახეობასა და რაობასთან. **მეორეს** — საკითხების იმ ჯგუფს, რომელთა გამოკვლევა დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალასთან; **მესამეს** — საკითხების იმ წრეს, რომელთა გამოკვლევა და გადაწყვეტა დაკავშირებულია სროლის კვალთან.

ამ კლასიფიკაციის შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოკვლევასთან დაკავშირებით, ბალისტიკური ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად შესაძლო დასასმელი საკითხების **პირველ ჯგუფს ვ. სიმონიშვილი** მიაკუთვნებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: 1. გამოსაკვლევად წარმოდგენილი საგანი არის თუ არა ცეცხლსასროლი იარაღი. დადებით შემთხვევაში, რა წესითაა იგი დამზადებული; 2. რა დანიშნულების და რომელი დასახელებისაა გამოსაკვლევად წარმოდგენილი იარაღი; 3. ვარგისია თუ არა სროლისათვის, თუ უვარგისია, რა არის ამის მიზეზი; 4. რომელი ნაწილი აქვს ცეცხლსასროლ იარაღს გამოცვლილი; 5. შესადარებლად წარმოდგენილი თოფის ნაწილები ეკუთვნის თუ არა გამოსაკვლევ იარაღს; 6. როგორია გამოსაკვლევად წარმოდგენილი იარაღის მოქმედების მანძილი; 7. შესაძლებელია თუ არა თვითგავარდნა, დადებით შემთხვევაში, რა ვითარებაში; 8. ბოლო სროლის შემდეგ ლულა გაწმენდილია თუ არა; 9. წაშლილია თუ არა გამოსაკვლევ იარაღზე რომელიმე დამღა, დადებით შემთხვევაში, რა წესით და რა არის წაშლილი; 10. რომელი დენთით, ფისტონით და ტყვიით იყო დატენილი ბოლო ნასროლი ვაზნა; 11. რა დრო გავიდა ბოლო სროლიდან; 12. რამ გამოიწვია გამოსაკვლევი თოფის ლულის გასკდომა; 13. გამოსაკვლევი

თოფი ინახებოდა თუ არა შესადარებლად წარმოდგენილ ბუდეში; 14. შეიძლებოდა თუ არა გამოსაკვლევი თოფით თვითდაზიანება და თუ შეიძლებოდა, როგორ და სხვ.

მეორე ჯგუფს მიაკუთვნებს საბრძოლო მასალების გამოკვლევასთან დაკავშირებით ბალისტიკური ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: 1. რა სახეობისაა გამოსაკვლევი ვაზნა, მასრა, ტყვია, საფანტი, დენთი, საფენი და ფისტონი; 2. ქარხნული წესითაა თუ არა იგი დამზადებული; 3. რომელი ყალიბის იარაღიდანაა ნასროლი საბრძოლო მასალის წარმოდგენილი ნიმუშები; 4. ერთნაირია თუ არა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული და ეჭვმიტანილის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული საბრძოლო მასალა; 5. გამოსაკვლევად და შესადარებლად წარმოდგენილი საბრძოლო მასალა ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე ქარხნის მიერაა თუ არა დამზადებული; 6. შესადარებლად წარმოდგენილი საგანი არის თუ არა გამოსაკვლევი მასალის ნაწილი; 7. გამოსაკვლევი ვაზნა დამუხტულია თუ არა შესადარებელი ხელსაწყოებით; 8. გამოსაკვლევად წარმოდგენილი ტყვია ან სხვა მასალა ნასროლია თუ არა ნიშანდობლივი იარაღით; 9. გამოსაკვლევი ტყვია ან მასრა სროლამდე წარმოადგენდა თუ არა ერთ მთლიანს; 10. რა იარაღიდანაა ნასროლი გამოსაკვლევი ტყვია და მასრა; 11. გამოსაკვლევი ტყვია ნასროლია თუ არა მასზე მეტი ყალიბის ლულიდან ან გადაკეთებული თოფიდან; 12. გამოსაკვლევი ლითონის ნაჭერი არის თუ არა ტყვიის ნაწილი, დადებით შემთხვევაში, რომელი ტყვიის; 13. გამოსაკვლევი ტყვია ანასხლეტია თუ არა რაიმე საგანზე; 14. რამ გამოიწვია გამოსაკვლევი ტყვიის ან მასრის დეფორმირება; 15. გამოსაკვლევ ვაზნაზე არის თუ არა ფისტონზე დაცემის კვალი; 16. რა სახის დენთით იყო დამუხტული გამოსაკვლევი ტყვია და მასრა; 17. გამოსაკვლევი ტყვიებიდან რომელია პირველად ნასროლი; 18. გამოსაკვლევი მასალა დამზადებულია თუ არა შესადარებელი ხელსაწყოთი; 19. ერთნაირი ქიმიური შემადგენლობისაა თუ არა წარმოდგენილი მასალები; 20. ერთი და იმავე ნორმისაა და ერთი და იმავე წესით არის დამზადებული და ერთნაირი შემადგენლობისაა თუ არა წარმოდგენილი საბრძოლო მასალა; 21. წარმოდგენილი საგანი ნახმარია თუ არა ტიზის სახით; 22. რა ყალიბის თოფითადანაა ნასროლი გამოსაკვლევი ტიზი; 23. რა მასალითაა დამზადებული გამოსაკვლევი ტიზი; 24. გამოსაკვლევი ტიზი ნაწილია თუ

არა შესადარებელი საგნისა და წარმოდგენილი ტიზი დამზადებულია თუ არა ხელსაწყოთი; 25. რა წესითაა დამზადებული ტიზი, ჩატენით, გამოჭრითა თუ შაბლონით.

მესამეს მიაკუთვნებს სროლის კვალის გამოკვლევასთან დაკავშირებულ ბალისტიკური ექსპერტიზით გადასაწყვეტ ისეთ კითხვებს, როგორიცაა: 1. გამოსაკვლევი დაზიანება ცეცხლსასროლი იარაღითაა მიყენებული თუ არა; 2. რით არის მიყენებული დაზიანება: ტყვიით, ნამსხვრევითა თუ სხვა რამით; 3. რა სახის ცეცხლსასროლი იარაღით არის მიყენებული გამოსაკვლევი დაზიანება; 4. რა მანძილიდან არის მომხდარი სროლა; 5. არის თუ არა ახლოდან სროლის შედეგები ტანისამოსზე; 6. როგორია ნატყვიარის მიმართულება; 7. რა მხრიდან და რა კუთხით მოხდა სროლა; 8. არსებული დაზიანებები ერთი ტყვიით არის თუ არა წარმოშობილი; 9. რა ადგილიდან მოხდა სროლა; 10. დაზიანების მხედველობაში მიღებით როგორი თანმიმდევრობითაა მომხდარი სროლა; 11. რომელი დაზიანებაა პირველი; 12. რა ყალიბის ტყვიითაა მომხდარი დაზიანება; 13. რომელია შემავალი და გამავალი ხვრელები; 14. დაზიანება მომხდარია თუ არა ასხლეტილი ტყვიით; 15. როგორი იყო იარაღისა და დაზიანების ურთიერთმდებარეობა სროლის დროს და სხვ.[1]

ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებასთან ერთად ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს არა მარტო გამოსაკვლევი ობიექტი, არამედ გამოკვლევისთვის საჭირო ნიმუშებიც. საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც დაკავშირებულია გამოსაკვლევი ობიექტის აღმოჩენასა და ამოღებასთან, მათი გამოვლინება-დამუშავების პროცესებთან, კერძოდ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მასთან დაკავშირებით შედგენილი გეგმები და სქემები და საქმეში არსებული სხვა მასალა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ექსპერტს სწორი, ობიექტური დასკვნის გამოტანაში. ასევე, განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დროს, სხვა მასალებთან ერთად, ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს პირველად ჩატარებული ექსპერტის დასკვნაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი დადგენილება ექსპერტიზაზე გადაგზავნამდე აუცილე-

[1] იხ. კრიმინალისტიკა, ტ. 1, თბ., 2000, გვ. 206-208.

ბლად უნდა გაეცნოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს, რომლებსაც სსსკ 366-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვთ: მისცეს აცილება ექსპერტს და მოითხოვოს ექსპერტად მის მიერ მითითებული პირის დანიშვნა; ჩაატაროს ალტერნატიური ექსპერტიზა თავისი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით; დამატებითი კითხვები დაუსვას ექსპერტს; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას და ექსპერტს მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება. ასევე ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ თითოეულ მათგანს უფლება აქვს გაეცნოს ექსპერტის დასკვნას და მოითხოვოს განმარტება გამოყენებული კვლევის მეთოდებზე და მიღებულ შედეგებზე; დასკვნის გაცნობიდან არა უგვიანეს ათი დღისა, აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ; ამასთან, უფლება აქვს მოითხოვოს თავისი შუამდგომლობით დანიშნული ექსპერტიზის ჩამტარებელი პირის დაკითხვა და მიიღოს მასში მონაწილეობა.

ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაგზავნილი მასალების მიღების შემდეგ ექსპერტი ახდენს **მიღებული მასალების დათვალიერებას**, არკვევს — ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადაგზავნილი მასალები არის თუ არა შეფუთულ და დალუქულ მდგომარეობაში, მასში არის თუ არა მოთავსებული ექსპერტიზის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში მითითებული გამოსაკვლევი და შესადარებელი კვლევის ნიმუშები, ადგილი ხომ არა აქვს მათ შეცვლას. საჭიროების შემთხვევაში გამოსაკვლევ ობიექტზე აკეთებს საექსპერტო დაწესებულების სახელწოდების აღმნიშვნელ ნიშანს ან მასზე დასვამს ამ საექსპერტო დაწესებულების სახელწოდების შტამპს, ნიმუშზე კი — ნიმუშის ამსახველ შტამპს წარწერით „ნიმუში", რის შემდეგაც იგი ახდენს მათ **ცალ-ცალკე საფუძვლიან დათვალიერებასა და გამოკვლევას**, ახდენს მათზე არსებულ ზოგად და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების აღმოჩენას და მათ აღნიშვნას. ცალ-ცალკე გამოკვლევის დროს იგი, პირველ რიგში, ათვალიერებს და იკვლევს ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადმოგზავნილ ობიექტს მასზე არსებული ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების გამოვლენის მიზნით. შემდეგ იგი იწყებს **შედარებითი კვლევისათვის** ექსპერტიზაზე გადაგზავნილი მასალების დათვალიერება-გამოკვლევას და თუ იქაც აღმოაჩენს გამოსაკვლევი ობიექტისათვის დამახასიათებელ ზოგად და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნებს, მაშინ

იგი გადადის საექსპერტო კვლევის მომდევნო შედარებითი კვლევის ეტაპზე. გამოსაკვლევ ობიექტში და შესადარებელ ნიმუშებში ერთნაირი ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, თუ ისინი ერთნაირი წარმოშობისა და განლაგების არიან, მაშინ ექსპერტი ახდენს გამოსაკვლევ ობიექტსა და შესადარებელ ნიმუშებში აღმოჩენილი ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიმუშების ანალიზსა და სინთეზს და მითითებული შედეგების საფუძველზე აყალიბებს თავის სწორ, ობიექტურ და დასაბუთებულ დასკვნას, რომელსაც ადასტურებს თავისი ხელმოწერით.

ექსპერტის დასკვნაში სრული და ამომწურავი პასუხი უნდა იქნეს გაცემული ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებზე. თუ რომელიმე კითხვაზე ექსპერტმა პასუხი ვერ გასცა, ამის შესახებ დასკვნაში დასაბუთებული უნდა იყოს მოცემულ კითხვაზე გაუცემლობის მიზეზი. ასეთ გარემოებას, როგორც წესი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა დასმულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობა გამოწვეულია ექსპერტიზაზე გაგზავნილი მასალების უკმარისობის გამო ან როცა იგი არ შედის მისი კვლევის სფეროში და სცილდება მის კომპეტენციის ფარგლებს.

ექსპერტის დასკვნაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ექსპერტიზის ჩამტარებელი პირის სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება (თუკი მას ასეთი გააჩნია), მისი გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ექსპერტიზის ჩატარებას ესწრებოდა თუ არა გამომძიებელი ან პირველადი ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი (როცა ადგილი აქვს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას). იქვე უნდა მიეთითოს იმის შესახებ, თუ ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ექსპერტმა გამოსაკვლევად გადაგზავნილი ობიექტების (გამოსაკვლევი და ნიმუშების) გარდა, სისხლის სამართლის საქმის რა მასალები გამოიყენა, კიდევ რა სახის ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები ან სხვა ობიექტები გამოიკვლია ექსპერტიზის ჩატარების დროს და კვლევის რა მეთოდები გამოიყენა, საკმარისად მიიჩნია თუ არა მან ამ მეთოდების გამოყენება დასაბუთებული დასკვნის გასაკეთებლად და სხვ.

ექსპერტმა კვლევის პროცესისა და შედეგების საილუსტრაციოდ

თავის დასკვნას უნდა დაურთოს ფოტოილუსტრაციები. ამასთან, დასკვნასთან ერთად ექსპერტმა ექსპერტიზის დამნიშნავ პირს (მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს) უნდა დაუბრუნოს და ექსპერტის დასკვნას თან დაურთოს გამოსაკვლევად გადაგზავნილი და გამოკვლევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები, გრაფიკები და ყველა სხვა მასალა, რომლითაც დასტურდება ექსპერტის დასკვნა.

თავისი ფორმის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხების მიმართებაში შეიძლება იყოს დადებითი კატეგორიული ან უარყოფითი კატეგორიული. საპროცესო კანონმდებლობით ნებადართულია აგრეთვე საალბათო, ანუ სავარაუდო დასკვნის მიცემაც, რაც, ჩემი აზრით, მთლად გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთ დასკვნას არ შეიძლება მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიენიჭოს. ექსპერტს უფლება აქვს აგრეთვე, ექსპერტიზაზე გადაგზავნილი მასალების გამოკვლევის დაწყებამდე, შეადგინოს აქტი ექსპერტიზის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ და ამ აქტთან ერთად დაუბრუნოს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს იმ მოტივით, რომ ექსპერტიზის წინაშე დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად მას არა აქვს საკმარისი ცოდნა ან ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადაგზავნილი ობიექტები საკმარისი არაა ექსპერტიზის ჩასატარებლად.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დამნიშნავი პირი (მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი) ექსპერტის დასკვნაში აღმოაჩენს რაიმე ხარვეზს, რომლის შესავსებად აუცილებელი არაა დამატებითი ან განმეორებითი სახის ექსპერტიზის დანიშვნა, ასეთ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია გამოიძახოს ექსპერტი და დაჰკითხოს.

ექსპერტის დასკვნა დამოუკიდებელი სახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებების წყაროა, მაგრამ მას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, არავითარი უპირატესობა არა აქვს. მისი მნიშვნელობა შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს, თუ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებებთან გარკვეულ წინააღმდეგობაში იქნება. ამასთან, მტკიცებულების თვალსაზრისით, ექსპერტიზის დასკვნის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, თუ ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ექსპერტის მიერ რამდენად სრულყოფილად იქნა გამოყენებული თანამედროვე მეცნიერების მიღწევები და კვლევის უახლესი მეთოდები.

თავი XII. საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღების ტაქტიკა

§1. ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღების საკანონმდებლო რეგლამენტაცია

იმისათვის, რომ დადგინდეს ქურდობის, მკვლელობის ან სხვა სახის დანაშაულებრივ ფაქტზე ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოჩენილი თითების კვალი მიეკუთვნება თუ არა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს, საჭიროა ჯერ დადგინდეს აღმოჩენილი ანაბეჭდები ხომ არ მიეკუთვნება დაზარალებულს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს, რისთვისაც აუცილებელია მოხდეს მათი დაქტილოსკოპირება.

მაგალითად, 1997 წლის 11 აგვისტოს გაქურდულ იქნა მოქ. კ-ს ბინა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთზე აღმოჩენილ იქნა რამდენიმე ხელის თითების კვალი, რომელთა სათანადოდ დამუშავებისა და ამოღების შემდეგ, გამომძიებელი მართებულად მოიქცა, როცა შედარებითი გამოკვლევისათვის მოახდინა ოჯახის წევრების დაქსტილოსკოპირება, რათა შემდგომი გამოკვლევისას გამოერიცხა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალი. ამასთან, მოცემულ დანაშაულებრივ ფაქტზე დაკავებულ ეჭვმიტანილ პირთა დაქტილოსკოპიურ ბარათებთან და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებასთან ერთად ოჯახის წევრების დაქტილოსკოპიური ბარათებიც გადააგზავნა და ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დააყენა აგრეთვე კითხვა: შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალთაგან ხომ არ იყო რომელიმე მათგანი დატოვებული ოჯახის წევრების მიერ. ექსპერტიზის ჩატარებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი ანაბეჭდებიდან ხელის თითების სამი კვალი დატოვებული იყო ოჯახის დიასახლისი, ტ-ს მარცხენა ხელის საჩვენებელი, შუა და უსახელო თითით. ორი ვარგისიანი ხელის თითების კვალი კი დატოვებული იყო ეჭვმიტანილ გ-ს მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითის მიერ. ცხადია, ამ გარემოებამ გარკვეულად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას.

ტაქტიკური თვალსაზრისით გამართლებულია ისიც, რომ დაქტილოსკოპირებულ იქნენ აგრეთვე შემთხვევის ადგილზე პირველად მისული პირები, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეახეს რაიმე საგანს. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ ჩამოართვას მათ თითების ანაბეჭდების ნიმუშები შედარებითი გამოკვლევისათვის და სხვ.

საექსპერტო გამოკვლევისათვის საჭირო ნიმუშების მიღების წესი რეგლამენტირებულია საქართველოს სსსკ-ის 375-384-ე მუხლებით. ნიმუშების აღების საფუძველი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 375-ე მუხლში, რომლის თანახმად, „გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის თვისებების ამსახველი ნიმუში, თუ მისი გამოკვლევა საჭიროა ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადასაწყვეტად".

სს-ის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მარტო ნიმუშების მიღების საფუძველი, არამედ ისიც, თუ ვისგან ან რისგან და რა სახის საგნებისა და ობიექტებისაგან შეიძლება აღებულ იქნეს ნიმუშები და რა სახის, აგრეთვე ისიც, ვისაც უფლება აქვს აიღოს ნიმუშები და ისიც, ვისგანაც შეიძლება ნიმუშების აღება. კერძოდ, სსსკ-ის 375-ე მუხლის თანახმად, „თუ ნიმუშის აღება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან, გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშს იღებს ექიმი".

ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ნიმუშის აღება უნდა მოხდეს გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი მოტივირებული დადგენილებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ნიმუშის ამღები პირი და ის, ვისგანაც უნდა მოხდეს ნიმუშის აღება; აგრეთვე ის თუ როგორი და რა რაოდენობის ნიმუშები უნდა იქნეს აღებული, როდის და ვისთან უნდა მივიდეს პირი ნიმუშების ასაღებად და ვის უნდა გადაეცეს ეს ნიმუშები მათი აღების შემდეგ და სხვ.

გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა იმ პირის მიმართ, ვის შესახებაცაა იგი გამოტანილი, თუ, რასაკვირველია, ნიმუშის აღება საფრთხეს არ უქმნის პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან არ იწვევს ძლიერ ტკივილს.

სსსკ-ის 377-ე მუხლის საფუძველზე საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშები შეიძლება ჩამოერთვათ ეჭვმიტანილსა და ბრალდე-

ბულს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მონაცემები, რომ შემთხვევის ადგილას კვალი ან ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება სხვა პირის მიერ იყოს დატოვებული, „საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუში შეიძლება ამ პირისაგან აიღონ მას შემდეგ, რაც დაჰკითხავენ როგორც დაზარალებულს ან მოწმეს ამ ნიმუშთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო".

ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე ექსპერტიზისათვის ნიმუშების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს პირი დაკითხული იქნება მოწმის ან დაზარალებულის სახით ნიმუშთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო. რაც, ჩემი აზრით, არასწორია და უსაფუძვლოდაა გართულებული. ამგვარი პროცედურის დაცვის შესახებაა აგრეთვე მომდევნო 380-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „გამომძიებელი ან პროკურორი იძახებს პირს ან თავად მიდის მასთან და ხელმოწერით აცნობს დადგენილებას ნიმუშის აღების შესახებ, განუმარტავს მას, აგრეთვე სპეციალისტს მათ უფლება-მოვალეობებს".

კანონი ადგენს იმასაც, რომ საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, რომლებიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამავე მუხლით რეგლამენტირებულია ისიც, რომ „გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომ სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთოს ნიმუში და დადგენილებასა და ნიმუშის აღების ოქმთან ერთად უგზავნის შესაბამის ექსპერტს." ე.ი. ექსპერტიზის დამნიშნავ პირს ნიმუშების აღებასთან დაკავშირებით ორჯერ უხდება დადგენილების გამოტანა და მასთან ოქმის შედგენა, რაც, ჩემი აზრით, გამომძიებლის ზედმეტი გადატვირთვაა და არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს. მით უმეტეს, რომ სსსკ-ის 378-ე მუხლით საკმაოდ დეტალურადაა რეგლამენტირებული ნიმუშების აღების შესახებ დადგენილების გამოტანის წესი. კერძოდ, ამ მუხლში, როგორც აღინიშნა, მითითებულია: „ნიმუშის აღების შესახებ გამომძიებელს, ან პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ნიმუშის ამღები პირი. ის პირი, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, როგორი ნიმუშებია ასაღები და რა რაოდენობით, როდის და ვისთან

უნდა მივიდეს პირი ნიმუშების ასაღებად, როდის და ვის უნდა გადაეცეს ნიმუშები მათი აღების შემდეგ."

ექსპერტიზის დამნიშნავი პირი — გამომძიებელი ან პროკურორი როცა საჭიროდ ჩათვლის ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღებას, მაშინ მან, სსსკ-ის 378-ე მუხლის თანახმად, უნდა გამოიტანოს დადგენილება ნიმუშების აღების შესახებ. ეს დადგენილება სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელთა მიმართაც იგი გამოიტანება. ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია სსსკ-ის 379-ე მუხლში, რომლის თანახმად, „ბრალდებული და ეჭვმიტანილი, რომლებიც თავს არიდებენ ნიმუშების აღებას, შეიძლება იძულებით მოიყვანონ და ნიმუშიც იძულებით აიღონ თუ საამისოდ გამოყენებული მეთოდები საფრთხეს არ უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას".

ექსპერტიზის დანიშვნისა და ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღებისათვის გამოტანილ ზემოაღნიშნულ დადგენილებათა გარდა, საქმისმწარმოებელმა პირმა (გამომძიებელმა ან პროკურორმა) უნდა შეადგინოს ოქმი ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით სსსკ-ის 382-ე მუხლში აღნიშნულია: „გამომძიებელი ან პროკურორი 287-289-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ადგენს ოქმს, რომელშიც აღწერს თვით ნიმუშს, მის ასაღებად განხორციელებულ ყველა მოქმედებას, აგრეთვე გამოყენებულ მეცნიერულ-ტექნიკურ მეთოდებსა და საშუალებებს იმ თანმიმდევრობით, როგორითაც სრულდებოდა ეს მოქმედებები."

კანონი ადგენს აგრეთვე იმას, რომ ნიმუშების აღების დროს დაუშვებელია ადამიანის პიროვნების პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედებები. ამასთან, გამონაკლისის სახით კანონი ადგენს ისეთ გამონაკლის შემთხვევებს, როცა ნიმუშების აღება და ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება მოხდეს იძულების წესით. კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის თანახმად, ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს, ხოლო თუ მას 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია ან ფსიქიკურად არის დაავადებული, მაშინ საჭიროა მისი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობა.

იქვე პირდაპირ აღნიშნულია, რომ დაზარალებულისა და მოწმის

იძულებითი ექსპერტიზა დაუშვებელია, გარდა ვენერიული თუ სხვა ინფექციური დაავადებების დადგენისა და აგრეთვე იმ შემთხვევებისა, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

სსსკ-ის 383-ე მუხლით, ასევე რეგლამენტირებულია პიროვნების უფლებათა დაცვა ნიმუშების აღების დროს. კერძოდ, ამ მუხლით დადგენილია, რომ „საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების აღების მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები და საშუალებები უსაფრთხო უნდა იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძლიერი ტკივილის შეგრძნების გამომწვევი სამედიცინო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, ხოლო თუ იგი 16 წლამდე ასაკისაა ან ფსიქიკურად ავადმყოფი ან ჭკუასუსტია — მისი კანონიერი წარმომადგენლის მეურვის ან მზრუნველის თანხმობით.

იმავე მუხლით რეგლამენტირებულია ისიც, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ნიმუშის აღება დაკავშირებულია პირის გაშიშვლებასთან. ასეთ დროს სპეციალისტი უნდა იყოს იმავე სქესის წარმომადგენელი, რაც ის პირი, ვისგანაც ნიმუშს იღებენ. ამასთან, დაუშვებელია ნიმუშის აღების დროს ადამიანის პიროვნების პატივისა და ღირსების რაიმე სახის შეურაცხმყოფელი მოქმედების ჩადენა.

ექსპერტიზის დანიშვნისა და ნიმუშების აღების წესის ასეთი დეტალური პროცესუალური რეგლამენტაციის მიუხედავად, კანონში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარის მიერ ექსპერტიზის დანიშვნა და ექსპერტიზისათვის საჭირო ნიმუშების აღება და ვინ უნდა გამოიტანოს ამის შესახებ დადგენილება და ვინ უნდა შეადგინოს ოქმი? როგორ უნდა მოხდეს საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ამ პროცესუალური ნორმების პრაქტიკული რეალიზაცია? მაგალითად, დავუშვათ, წინასწარი გამოძიების პროცესში დაზარალებულის მხარემ მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა და ამის შესახებ აცნობა სისხლის სამართლის საქმისმწარმოებელ გამომძიებელს ან პროკურორს. ასეთ შემთხვევაში ვინ უნდა მოახდინოს ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღებისა და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანა — გამომძიებელმა, პროკურორმა თუ დაზარალე-

ბულის ინტერესების დამცველმა? როგორ უნდა იქნეს გაგებული კანონის მითითება: „საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარეთა მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა“?

ვფიქრობ, ეს კანონის ხარვეზია. კარგი იქნება თუ კანონში მითითებული იქნებოდა, რომ მხარის ამ მოთხოვნის საფუძველზე თვითონ გამომძიებელი ან პროკურორი გამოიტანს ასეთ დადგენილებას და მასში მიუთითებს, რომ ექსპერტიზა ინიშნება დაინტერესებული მხარის მოთხოვნით მისი ხარჯების ანაზღაურებით.

სსსკ-ის 287-289-ე მუხლის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების დროს ოქმების შედგენის აუცილებლობის შესახებ ვრცელდება შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების წარმოებაზეც, როგორც საგამოძიებო მოქმედებაზე.

ოქმი ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღების შესახებ უნდა შედგეს საგამოძიებო მოქმედებათა პროცესში ან უშუალოდ მისი დამთავრების შემდეგ. ოქმში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის ადგილი, დაწყებისა და დამთავრების დრო, აგრეთვე იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც აწარმოა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება და იმ პირთა გვარი, სახელი და მისამართი, რომლებიც მის ჩატარებაში მონაწილეობდნენ. უნდა მიეთითოს იმაზეც, თუ რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული ნიმუშების აღების დროს და სხვ. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს ამ მოქმედების შემსრულებელმა და ყველა იმ პირმა, ვინც მონაწილეობდა ამ მოქმედების ჩატარებაში. საპროცესო კანონის ამ მოთხოვნის დაცვა აუცილებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს საგამოძიებო პრაქტიკაში შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღების ამ წესს, უმეტეს შემთხვევაში, არ იცავენ, რაც საპროცესო კანონის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

§2. ნიმუშების აღების ტაქტიკური თავისებურება ზოგიერთი სახის ექსპერტიზისათვის

ზემოთ განხილული კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სახეების შესაბამისად, მთელი რიგი ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება საექსპერტო კვლევისათვის საჭირო ნიმუშების აღების წესი, რომელიც ამ მოქმედების შემსრულებელ სუბიექტთა მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1) ნიმუშის აღება, რომელიც წარმოებს, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ;

2) ნიმუშების აღება სპეციალისტის მიერ ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს;

3) ნიმუშების აღება საექსპერტო კვლევის დაწყებამდე უშუალოდ ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ.

ამისდა შესაბამისად, პირველს შეიძლება მიეკუთვნოს: ა) დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო ნიმუშების მიღება;

ბ) დოკუმენტების (ხელმოწერების, ხელნაწერების, ხელით შესრულებული ტექსტების, საბეჭდ მანქანასა და კომპიუტერზე შესრულებული ტექსტების და სხვ.) კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის საჭირო ნიმუშების მიღება;

გ) გატეხვის იარაღების კვალთა კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის საჭირო ნიმუშების მიღება;

დ) ფოტოსურათების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო ნიმუშების მიღება და სხვ.

მეორეს — მაღალმგრძნობიარე მეთოდებით ექსპერტიზის ჩატარებისათვის ნიმუშების მიღება სპეციალისტის მიერ, როგორიცაა, მაგალითად, ეჭვმიტანილის ტანსაცმლიდან მიკრონაწილაკების აღება, ოდოროლოგიური ექსპერტიზისათვის ნიმუშების მიღების წესი, კბილის კვალის ექსპერტიზისათვის ნიმუშების მიღების წესი, ხმის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით ჩასატარებელი ექსპერტიზისათვის ნიმუშების მიღება და სხვ.

მესამეს, ექსპერტის მიერ ნიმუშების აღება, რაც სსსკ-ის 384-ე მუხლითაა რეგლამენტირებული. ექსპერტის მიერ საცდელი ნიმუშების აღებას შეიძლება დაესწროს გამომძიებელი ან პროკურორი და ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გამომძიებლის ან პროკურორის მიერ შედგენილი ნიმუშების აღების ოქმში, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად უნდა მიეთითოს ნიმუშების ასაღებად განხორციელებული ყველა მოქმედება და გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები იმ თანმიმდევრობით, როგორითაც სრულდებოდა იგი.

ექსპერტიზაზე გადაგზავნილი მასალებიდან შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების მიღება უშუალო ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ, როგორც წესი, შეიძლება მოხდეს, მაგალითად, ბალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტიზაზე გადაგზავნილი ცეცხლსასროლი

იარაღიდან შედარებითი გამოკვლევისათვის საჭირო ნიმუშების მიღება ტყვიის ან გასროლილი მასრის სახით სპეციალურ ლაბორატორიულ პირობებში ცეცხლსასროლი იარაღიდან ექსპერიმენტული გასროლით; აგრეთვე ფეხსაცმლის კვალის მიხედვით, ექსპერტიზაზე შედარებითი კვლევისათვის გადაგზავნილი ეჭვმიტანილის ფეხსაცმლიდან საექსპერტო კვლევისათვის ექსპერიმენტული გზით ნიმუშების მიღება და სხვ.

გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის შესადარებელი ნიმუშების მიღება და მათი შედარების წესი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ გამოსაკვლევ ქარგებთან, ამიტომ შევეცდებით ამ თავისებურებაზე უფრო დეტალურად შევჩერდეთ.

ზოგიერთი კრიმინალისტი (გ.ციმაკურიძე და სხვ.) გვთავაზობდა, რომ გამომძიებელს მხოლოდ იმ პირის დაქტილოსკოპირება მოეხდინა, ვისაც გამოსაკვლევის ქარგის მსგავსი ქარგები აქვს[1]. ამ მოსაზრებით გამოდის, რომ გამოსაკვლევი კვალის შედარება გამომძიებელმა ჯერ უნდა აწარმოოს მოწმის, დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის ხელის თითებთან და შემდეგ მოახდინოს მათი დაქტილოსკოპირება, რაც, ჩემი აზრით, გაუმართლებელია როგორც ტაქტიკური, ისე პროცესუალური თვალსაზრისით.

გამომძიებლის მიერ აღებულ ხელის თითების ანაბეჭდების ნიმუშებში და შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ გამოსაკვლევ ხელის თითების კვალში აღბეჭდილი ქარგების წინასწარ დათვალიერებასა და მათ ურთიერთშედარებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ხელის თითების კვალზე და ეჭვმიტანილის ან სხვა პირის თითების ანაბეჭდებზე გამოსახული ქარგების ზოგადი ნიშნები თუ ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ იგი გამორიცხავს მათი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას და იწყებს შედარებითი ნიმუშების მიღებას სხვა პირებისგან. ამით, ცხადია, იგი ამცირებს დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზაზე გადასაგზავნი ნიმუშების რაოდენობას, მაგრამ ამით გამომძიებელი კი არ წყვეტს პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხს, არამედ ამზადებს მასალებს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად. თითების ანაბეჭდებით პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა ეკუთვნის მხოლოდ ექსპერტს და არა სხვა რომე-

[1] Цимакуридзе Г.А. Основные вопросы дактилоскопии в советской криминалистике. Тбилиси, 1957, გვ. 39.

ლიმე პირს. ამასთან, თუ გამომძიებელი დაქტილოსკოპიური ბარათების დათვალიერების დროს ქარგებში შეამჩნევს რაიმე ისეთ ნიშნებს, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდეს ხელის თითების ქარგებში ხელოვნურად ცვლილების შეტანაზე, მასში არსებულ დაზიანებებზე და სხვ. მაშინ, მიუხედავად ქარგების ზოგადი ნიშნების სხვაობისა (რასაც ზოგჯერ დამნაშავენი ქირურგიული ოპერაციითაც აღწევენ), ასეთი ქარგები მაინც უნდა გადაიგზავნოს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

შედარებითი გამოკვლევისათვის თითების ანაბეჭდის მიღება, ზემოთ განხილული პროცესუალური ნორმების დაცვით, წარმოებს სასტამბო საღებავით სპეციალური ფორმის ბარათზე, რომელსაც ეწოდება „დაქტილოსკოპიური ბარათი". ეს ბარათი განკუთვნილია ადამიანის ხელის ათივე თითის ანაბეჭდის მისაღებად. თუ გამომძიებელს არა აქვს სპეციალური ფორმის დაქტილოსკოპიური ბარათი, მაშინ მან თეთრი კრიალა ზედაპირის მქონე ქაღალდისგან წინასწარ უნდა დაამზადოს იგი და მასზე მოახდინოს მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის დაქტილოსკოპირება. ამისთვის სასტამბო საღებავი გადააქვს მინაზე ან ლითონის ფურცელზე თანაბრად და მასზე ახდენენ ხელის თითების დვრილოვანი ქარგების შეღებვას. ფირფიტაზე სასტამბო საღებავის გათანაბრებას ახდენენ რეზინის ლილვაკით. შემდეგ მაგიდის კუთხეში ათავსებენ მინის ან ლითონის ფირფიტას, რომელზეც რეზინის ლილვაკით ათანაბრებენ სასტამბო საღებავს. ცოტა მოშორებით დებენ დაქტილოსკოპიურ ბარათს, ქვეშ ათავსებენ ქაღალდის რამდენიმე ფურცელს. დაქტილოსკოპირების დაწყებამდე პიროვნებას, რომლის დაქტილოსკოპირებასაც ახდენენ, ამოწმებენ აქვთ თუ არა სუფთა ხელები. დაქტილოსკოპირებას იწყებენ მარჯვენა ხელის ცერა (დიდი) თითით. საღებავიან ფირფიტაზე თითის ოდნავი დაწოლით აბრუნებენ მარცხნიდან მარჯვნივ ან, პირიქით, და შემდეგ იგი გადააქვთ დაქტილოსკოპიურ ბარათზე, რომელზედაც თითს დებენ მარცხენა (ან მარჯვენა) გვერდითი ფალანგით და მასზე ოდნავი შეხებით თითს გადააბრუნებენ მარჯვენა (ან მარცხენა) გვერდით ფალანგამდე.

დვრილოვანი ხაზების უკეთ გამოსახვის მიზნით დაქტილოსკოპიურ ბარათზე ან სხვა მის შემცველ ქაღალდზე დაუშვებელია თითის ხელახალი გატარება. შემდეგ ასეთივე თანმიმდევრული წესით დანარჩენი თითების ანაბეჭდები გადააქვთ ბარათზე თითოეული თითისათვის

განკუთვნილ უჯრედში. ათივე თითის ანაბეჭდის აღების შემდეგ ბარათზე თითების პირდაპირი შეხებით იღებენ ყველა თითის საკონტროლო ანაბეჭდს ისე, რომ ჯერ გადააქვთ მარცხენა და მარჯვენა, ხელის ცერა (დიდი) თითის ანაბეჭდები მათთვის განკუთვნილ უჯრედებში, ხოლო შემდეგ — ორივე ხელის ოთხივე თითის ანაბეჭდი შემჭიდროებული სახით.

ამჟამად დაქტილოსკოპიურ ბარათზე ხელის თითების ანაბეჭდის (ქარგების) სრული გამოსახულების მისაღებად კრიმინალისტიკურ ტექნიკაში იყენებენ მეტად მარტივი სახის ისეთ ხელსაწყოს, რომლითაც შესაძლებელია დაქტილოსკოპიურ ბარათზე საღებავიანი ხელის თითის პირდაპირი შეხებით ქარგის როგორც ცენტრალური, ისე გვერდითი ფალანგების გამოსახულების მიღება.

დაქტილოსკოპიურ ბარათებზე თითის ანაბეჭდის მიღებას თითის ფალანგის ერთი მხრიდან ფალანგის მეორე გვერდით მხარემდე გადაგორების გზით, ან სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით დაქტილოსკოპიურ ბარათზე ხელის თითების პირდაპირი შეხებით. ხელის თითების კვალთა ნიმუშების მიღებას მასზე ქარგების სრულყოფილი გამოსახულებით ის მნიშვნელობა აქვს, რომ ხელის თითების ანაბეჭდში სრულად აისახოს არა მარტო ქარგის ცენტრალური ნაწილი, არამედ მის გვერდით ფალანგებზე განლაგებული დერილოვანი ხაზების აგებულებაც. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შემთხვევის ადგილზე შეიძლება დარჩენილი იყოს არა სრულად გამოსახული ქარგა ან მისი ცენტრალური ნაწილი, არამედ თითის გვერდითი ფალანგის რომელიმე ნაწილი.

იმ შემთხვევაში, როცა შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების სახით საჭიროა ხელის გულისა და ხელის თითების ანაბეჭდების ერთდროული აღება, ამისათვის მიმართავენ შემდეგ ხერხს: ხელის გულზე და ხელის თითების ბალიშებზე რეზინის ლილვაკით წაუსვამენ შავი ფერის ტიპოგრაფიულ საღებავს, თეთრ კრიალა ქაღალდს შემოახვევენ ცილინდრისებურ საგანზე (ბოთლზე ან სხვა მის მსგავს რაიმე საგანზე) და პირს წინადადებას აძლევენ მის ზედაპირს შეეხოს (ჩასჭიდოს ხელი) ხელის გულითა და ხელის თითებით.[1]

ექსპერტიზაზე გადასაგზავნი დაქტილოსკოპიური ბარათები უნდა შედგეს ორ და მეტ ეგზემპლარად, რადგან შესაძლოა რომელიმე მათგანი ექსპერტიზის ჩატარებისათვის უვარგისი აღმოჩნდეს. დაქტილოსკოპიური ბარათი, ექსპერტიზაზე გადაგზავნის შემთხვევაში, რეკომენდე-

ბულია გადაიკეცოს ნაჩვენებ გადაკვეთის ხაზზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეს ანაბეჭდში გამოსახული დვრილოვანი ხაზები.

შედარებით მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული გვამის დაქტილოსკოპირება, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ცოცხალი პირების ზემოაღნიშნული წესისაგან. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ნიმუშების აღება მოხდეს სპეციალისტის მიერ ან მისი დახმარებით.

გვამის დაქტილოსკოპირებისათვის საჭიროა ჯერ საამისოდ მომზადდეს იგი. ეს სამზადისი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სტადიაზეა გვამის ლპობა და რა მდგომარეობაშია მისი კანი, თუ გვამი ჯერ კიდევ სრულიად არაა გაციებული, დაქტილოსკოპირებისათვის მის თითებზე სასტამბო საღებავი გადააქვთ ლილვაკის მეშვეობით და შემდეგ თითოეული თითისაგან წინასწარ დამზადებულ ოთხკუთხა ქაღალდის ნაჭერზე ღებულობენ ანაბეჭდს ჩვეულებრივი წესით. ქაღალდის ამ ნაჭერს მოათავსებენ რაიმე პატარა სახის გლუვი ზედაპირის მქონე საგანზე (სპეციალურ კოვზზე) ან რეზინის ბალიშზე და მასზე გადააქვთ თითოეული თითის ანაბეჭდი. მიღებულ ანაბეჭდებს აწებებენ ერთ მთლიან ქაღალდზე და თითოეულ მათგანს უკეთებენ წარწერას, თუ რომელი ხელისა და თითის ანაბეჭდია. მათი განლაგება უნდა მოხდეს დაქტილოსკოპიურ ბარათზე მოცემული თანმიმდევრობით. ე.ი. ჯერ დააწებებენ მარჯვენა ხელის ცერა (დიდი), საჩვენებელი, შუა, უსახელო და ნეკა თითის ანაბეჭდს. შემდეგ ასევე აწებებენ მარცხენა ხელის თითების ანაბეჭდს.

თუ გვამი გაციების ან ლპობის დაწყების სტადიაზეა, დაქტილოსკოპირებამდე თითის ბალიშებზე კანის დაჭკნობის გამო წარმოქმნილი ნაოჭების გასწორების მიზნით, ხელის მტევნებს 15-20 წუთით მოათავსებენ თბილ წყალში და შემდეგ თითის ფალანგის ბოლოდან შპრიცით შეუშვებენ გლიცერინს ან ვაზელინის ზეთს, რის შემდეგაც მაშინვე მოახდენენ თითების ბალიშებზე სასტამბო საღებავის წასმას რეზინის ლილვაკით და მისგან ზემოაღწერილი წესით აწარმოებენ თითების ანაბეჭდის გადატანას საამისოდ წინასწარ მომზადებულ ქაღალდზე.

თუ გვამი ლპობის ან გახრწნის ისეთ სტადიაზეა, რომ კანს გაშრობის გამო სრულიად დაკარგული აქვს ელასტიკურობა, მაშინ დაქტილოსკოპირებისათვის გვამს მოაჭრიან ორივე ხელის მტევნებს და მას 30-48 საათის განმავლობაში ათავსებენ თბილ წყალში (30-45

გრდ.), შემდეგ წყლიდან ამოიღებენ და თითის ბოლო ფალანგიდან კანს დაუზიანებლად გააძრობენ, გარეცხავენ, რეზინის ხელთათმანიან თითზე წამოიცვამენ და მისგან ჩვეულებრივი წესით ქაღალდზე ან დაქტილოსკოპიურ ბარათზე გადააქვთ ანაბეჭდი. თუ გვამის ძლიერად გახრწნილობის გამო თითის ბოლო ფალანგებიდან კანის მთლიანად გაძრობა დაუზიანებლად შეუძლებელია, მაშინ თითის ბალიშის ქვედა კანის ნაწილს (რომელზედაც გამოსახულია დერილოვანი ქარგა) თითიდან ააცლიან და მას მიიწებებენ რეზინის ხელთათმანიან თითზე და ისე აიღებენ მისგან ანაბეჭდს. ხოლო თუ თითის გარე კანი დაზიანებულია, მისგან ანაბეჭდს იღებენ კანის შიდა ეპიდერმისის მხრიდან. ზოგჯერ კი თითების ანაბეჭდების მიღების მაგიერ მიმართავენ მისგან ტვიფარების დამზადებასა და ფოტოგადაღებას კრიმინალისტიკურ ტექნიკაში შემუშავებული სპეციალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით.

მუმიფიცირებული გვამისგან თითის ანაბეჭდის მისაღებად მიმართავენ შემდეგ ხერხს: გვამს მოკვეთენ თითების ბოლო ფალანგებს და მას ელასტიკურობის მისაცემად გარკვეული დროით ჩადებენ გოგირდმჟავას ნატრიუმის ნაჯერ ხსნარში, შემდეგ თითის ბალიშიდან ააცილებენ კანს და ფოტოგადაღებისთვის მოათავსებენ ორ მინას შორის.[1]

ხელმცოდნეობის, ანუ ხელნაწერების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის, რომლის მიზანია ხელნაწერის, ხელმოწერის ან ხელით შესრულებული რიცხობრივი მონაცემების შემსრულებელი პირის იდენტიფიკაცია, გამოსაკვლევ დოკუმენტებთან (ხელნაწერთან, ხელმოწერებთან და სხვ.) ერთად აუცილებელია ექსპერტს გამოსაკვლევად გადავუგზავნოთ აგრეთვე ამა თუ იმ პირის მიერ შესრულებული ხელნაწერის ნიმუშები. ასეთი ნიმუშები მიზანშეწონილია მოცემული პირის მიერ შესრულებული იყოს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სახის. კერძოდ, იგი უნდა იყოს თავისუფალი ნიმუში, ნახევრად თავისუფალი ნიმუში და ექსპერიმენტალური გზით მიღებული ხელნაწერის (ხელმოწერის ან ხელით შესრულებული რიცხობრივი მონაცემები) ნიმუშები.

თავისუფალ ნიმუშად მიჩნეულია მოცემული პირის მიერ შესრულებული ისეთი ხელნაწერი (ხელმოწერის ან ხელით შესრულებული რიცხობრივი მონაცემები), რომელიც ნამდვილად მის მიერ არის შესრულე-

---

[1] შოთა ფაფიაშვილი. დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. თბ. 1999, გვ. 133-137.

ბული, მაგრამ სულ სხვა დროსა და სხვა მიზნით და არსებობს გამოსაძიებელი საქმისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება ნახევრად თავისუფალ და ექსპერიმენტალური გზით მიღებულ ნიმუშებს, მათი აღება და მომზადება მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, თავისუფალ ნიმუშად მიჩნეულია ისეთი ხელნაწერი, რომელიც ნამდვილად შესრულებულია მოცემული პირის მიერ, მაგრამ არა ექსპერტიზის ჩასატარებლად, არამედ იგი შესრულებულია გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით სრულიად სხვა მიზნისთვის. მაგალითად, მოცემული პირის მიერ თავისივე ხელით დაწერილი ახსნა-განმარტება შესრულებული სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და სხვ. ექსპერიმენტული ნიმუშები კი მიღებულ უნდა იქნეს მოცემული პირისგან სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში გამომძიებლის დავალებით ან უშუალოდ მისი მონაწილეობით, იმავე პირობებში შესრულებით, რა პირობებსა და გარემოებებშიც იქნა შესრულებული გამოსაკვლევი ხელნაწერი (თუკი წინასწარი მონაცემებით შეიძლება ვიმსჯელოთ მასზე).

ექსპერიმენტული გზით ხელნაწერის მისაღებად, ტაქტიკური თვალსაზრისით, გამოსაკვლევი ტექსტის შინაარსის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მასში მოცემული სიტყვების გამეორებით, წინასწარ უნდა შედგეს სხვა შინაარსის ტექსტი და წინადადება მიეცეს მოახდინოს მისი გადაწერა, ან უფრო გამართლებული იქნება, თუ ასეთ შედგენილ ტექსტს ვუკარნახებთ და ჩვენივე კარნახით დავაწერინებთ. კარნახი მიზანშეწონილია დავიწყოთ ნელი ტემპით, შემდეგ თანდათან დავაჩქაროთ ტექსტის კარნახი, რათა ამით თანდათანობით მოვახერხოთ მისი ფსიქოლოგიური გარდატეხა. ეს საჭიროა იმისთვის, რომ პირი, რომლისგანაც ვიღებთ ხელნაწერის ნიმუშს, წერის დასაწყისშივე შეეცდება შეგნებულად დაამახინჯოს თავისი ხელწერა, რადგან ამ დროს მთელი ყურადღების ცენტრი გადააქვს მას არა ტექსტის შინაარსის სწორად ჩაწერაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ დაამახინჯოს თავისი ჩვეული ხელნაწერი. შემდეგ კი წერის პროცესში იგი თანდათანობით ივიწყებს მთავარს და თავისი ჩვეული წერის მანერებით იწყებს ტექსტის შესრულებას.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც დაცულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზემოთ განხილული წესი ნიმუშების აღების შესახებ.

საკონტროლო კითხვები

1. დანაშაულთა გახსნის საქმეში როგორ და რა სახით შეიძლება სპეციალური ცოდნის გამოყენება?

2. მიზანშეწონილია თუ არა სპეციალური მცოდნე პირის მოწვევა და გამოყენება მაშინ, როცა თვითონ გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლეა სხვა იმავე დარგის სპეციალისტი?

3. გამოძიების პროცესში ვინ და რა სახის საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტად?

4. ვინ შეიძლება იყოს ექსპერტი?

5. როდის და რა სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაშია აუცილებელი სპეციალისტის მონაწილეობა?

6. როგორ და რა სახით უნდა მოხდეს სპეციალისტის ჩაბმა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში?

7. რა სხვაობაა სპეციალისტსა და ექსპერტს შორის?

8. რა უფლებები და მოვალეობები აქვს ექსპერტს?

9. რა უფლებამოსილება აქვს სპეციალისტს?

10. რა არის ექსპერტიზა და რაში გამოიხატება მისი პროცესუალური ბუნება?

11. რა და რა სახის ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს დანაშაულთა გამოძიების დროს?

12. წარმოების პროცესის მიხედვით რა და რა სახის ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს?

13. როდის და როგორ უნდა მოხდეს პირველადი, დამატებითი, განმეორებითი, საკომისიო, კომპლექსური და ალტერნატიული სახის ექსპერტიზის დანიშვნა?

14. რამდენ კლასად შეიძლება დაიყოს ყველა შესაძლო სახის ექსპერტიზა?

15. რომელი ექსპერტიზის სახეობები მიეკუთვნება კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას?

16. რა მასალები უნდა იქნეს მომზადებული ექსპერტიზის დანიშვნისათვის?

17. როგორ და რა მასალები უნდა მომზადდეს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის?

18. რაში მდგომარეობს ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღების საკანონმდებლო რეგლამენტაცია?

19. რა განსხვავებაა თავისუფალ, ნახევრად თავისუფალ და ექსპერიმენტული გზით მიღებულ ნიმუშებს შორის?

20. საჭიროა თუ არა დადგენილების გამოტანა ნიმუშების ასაღებად?

21. დასაშვებია თუ არა იძულებითი წესით ნიმუშების აღება?

22. როგორ და რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მოწმისა და დაზარალებულის იძულებითი ექსპერტიზის ჩატარება?

23. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ნიმუშების აღება დაქტილოსკოპიური, ხელნაწერებისა და დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზისათვის?

24. რა განსხვავებაა ექსპერტიზის დანიშვნასა და ექსპერტიზის ჩატარებას შორის?

25. რა საკითხები შეიძლება დაისვას გადასაწყვეტად ტრასოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზის წინაშე?

26. როგორი უნდა იყოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი დადგენილების სტრუქტურა?

27. რა უნდა გააკეთოს ექსპერტმა ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად გადაგზავნილი მასალების მიღების შემდეგ?

28. რა სტადიებით ხასიათდება საექსპერტო კვლევის პროცესი?

29. შეიძლება თუ არა ექსპერტიზის დანიშვნა საექსპერტო დაწესებულების გარეთ?

30. რა უნდა გააკეთოს გამომძიებელმა საექსპერტო დაწესებულების გარეთ ექსპერტიზის დანიშვნის დროს?

31. საჭიროა თუ არა ექსპერტის გაფრთხილება წინასწარი შეცნობით არასწორი დასკვნის მიცემის ან შეგნებულად ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ?

32. საჭიროა თუ არა საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების მისაღებად გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება?

33. ვინაა უფლებამოსილი აიღოს ნიმუშები საექსპერტო კვლევისათვის?

34. როგორ უნდა მოხდეს საექსპერტო კვლევისათვის ცოცხალი პირებისა და გვამების დაქტილოსკოპირება?

35. რა სახის დასკვნა შეიძლება იქნეს მიღებული ექსპერტისაგან მის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ კითხვებზე?

თავი XIII. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა

§1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება. არსი, მნიშვნელობა. მიზნები და ამოცანები

ა) *საგამოძიებო ექსპერიმენტის არსი და მნიშვნელობა.* დანაშაულის გახსნისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საქმეში, სხვა საგამოძიებო მოქმედებათა შორის, გარკვეული როლი ეკუთვნის საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების სწორად ჩატარების ტაქტიკას. იგი საშუალებას გვაძლევს გამოსაძიებელ საქმეზე დავადგინოთ დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის გარემოება, ესა თუ ის ფაქტი და ამით სწორად და სრულყოფილად ავხსნათ დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმი.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთი გაუპატიურების საქმეზე დაზარალებულმა დ-ემ დაკითხვის დროს განმარტა, რომ 5 აპრილს, დღის 12 სთ-ზე, როდესაც იგი მარტო იმყოფებოდა თავის სახლში, მასთან მივიდა მისი თანაკურსელი ვაჟი გ-ე და სთხოვა სასემინარო თემის გეგმა და დასახელებული ლიტერატურის სია გადაეწერინებინა. გ-ემ ისარგებლა იმით, რომ სახლში დ-ეს მეტი სხვა არავინ იყო, გადაწყვიტა მასთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. დ-ე მას არ დანებდა, მაგრამ მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვაჟმა მაინც შეძლო მასთან ძალით დაეკავებინა სქესობრივი კავშირი.

გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ რაში გამოიხატა მის მიერ წინააღმდეგობის გაწევა, დ-ემ აღნიშნა: იგი მიხვდა ვაჟის განზრახვას, მას ხელიდან გაუსხლტა, კარებისაკენ გაიქცა და შეეცადა გარეთ გასულიყო, მაგრამ გ-ე მას წამოეწია, გონების დაკარგვამდე ხმამაღლა, თავგანწირვით ყვიროდა და მეზობლებისაგან შველას ითხოვდა. დ-ეს გვერდით ოთახში მცხოვრებ ა-ამ კი დაკითხვისას უჩვენა, რომ 5 აპრილს დილიდან საღამოს 9 საათამდე სახლში იყო და საანგარიშო მოხსენებას წერდა, მაგრამ მას გვერდითი ოთახიდან არავითარი ყვირილი და ხმაური არ გაუგონია, გარდა იმისა, რომ მან იმ დილით მეზობელი ოთახის შესასვლელ კარებში გაიგონა ქალის ხმა, იგი ვიღაც ვაჟს ოთახში ეპატიჟებოდა და მკაფიოდ გაარჩია სიტყვები: „შემოდი, გურამ, სირცხვილია, კარებში ნუ დგახარ“.

დ-ესა და ა-ს ჩვენების შემოწმებისას და ამით ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით ჩატარებულ იქნა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომლითაც დადგინდა, რომ ა-ს მართლაც შეეძლო თავის ოთახში ყოფნის დროს მეზობელი ოთახიდან გაეგონა არა მარტო ყვირილი და ხმაური, არამედ ხმამაღალი ლაპარაკიც. ამ გარემოებით დ-ი მხილებულ იქნა ცრუ ჩვენებაში და საქმის შემდგომი გამოძიებით დადგინდა, რომ დ-ესა და გ-ეს დიდი ხანია ინტიმური კავშირი ჰქონდათ დამყარებული და ისინი ერთიმეორეს ხშირად ხვდებოდნენ. მათი ეს მორიგი შეხვედრა მშვიდობიან დამთავრდა. მაგრამ დ-ემ იცოდა, რომ გ-ე მის ცოლად შერთვას აღარ აპირებდა და გადაწყვიტა გაუპატიურების ინსცენირება მოეწყო.

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა შემდეგი მაგალითი: მკვლელობის ერთ-ერთი საქმის გამოძიების პროცესში მოწმის სახით დაკითხულმა ა-მ უჩვენა, რომ კვირა დღეს, 19 ივლისს, იგი თავის მეუღლესა და ბავშვთან ერთად ტყეში წავიდა, რათა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად გაეტარებინა დასვენების დღე. შუადღისას ბავშვს წყალი მოსწყურდა და იგი მარტო წავიდა წყაროდან წყლის მოსატანად. როცა იგი წყაროზე თერმოსს წყლით ავსებდა, მას მოესმა ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ გასროლის ხმა. მან წყლით აავსო თერმოსი და როცა უკან დაბრუნდა, ნახა, რომ მისი მეუღლე და მცირეწლოვანი ბავშვი მიწაზე უსულოდ იწვნენ სისხლში მოსვრილნი. დათვალიერების დროს მათი გვამებიდან ამოღებულ იქნა 2 ტყვია, რომლებიც თავიანთი ნიშნებით მაკაროვის სისტემის იარაღს მიეკუთვნებოდა. გვამებიდან მცირეოდენი მოშორებით კი იმავე სისტემის იარაღის 3 გაცლილი მასრა იქნა აღმოჩენილი. გამოძიების პროცესში საჭირო გახდა ა-ს ჩვენების შემოწმება. ამ მიზნით, გამომძიებელმა სათანადო მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარების შემდეგ, ექსპერიმენტში მონაწილე პირებთან ერთად ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის მონაწილე პირთა ერთი ნაწილი დატოვა იმ ადგილას, სადაც აღმოჩენილ იქნა დაზარალებულის მეუღლე და ბავშვი; ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს დაევალა სათანადო სიგნალის მიღებისთანავე მოეხდინა მაკაროვის სისტემის იარაღიდან 3-ჯერ ზედიზედ გასროლა. ექსპერიმენტის მონაწილე მეორე ჯგუფის წევრები კი ა-სთან ერთად წყაროსთან გაჩერდნენ. მიცემული სიგნალის შესაბამისად, ზემოაღნიშნული სისტემის იარაღიდან მართლაც მოახდინეს სამჯერ გასროლა,

მაგრამ წყაროსთან გაჩერებულმა ექსპერიმენტის მონაწილე პირებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ვერავითარი ხმა ვერ გაიგონეს. ექსპერიმენტი ჩატარდა რამდენჯერმე, მაქსიმალურად მიახლოვებულ ისეთივე მეტეოროლოგიურ პირობებში, როგორსაც დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდა ადგილი. ექსპერიმენტით მიღებულ იქნა ა-ს ჩვენების საწინააღმდეგო მონაცემები და ამით დადგინდა, რომ იმ პირობებში შეუძლებელი იყო წყაროზე ყოფნის დროს ა-ს გაეგონა ზემოაღნიშნული იარაღიდან გასროლის ხმა. ამ გარემოებამ გარკვეულად შეუწყო ხელი საქმის შემდგომ გახსნას, მასზე ჭეშმარიტების დადგენას და ზემოაღნიშნული შემზარავი დანაშაულის ჩადენაში ა-ს მხილებას.

ამრიგად, საგამოძიებო ექსპერიმენტის, როგორც დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედების, ტაქტიკურად სწორად ჩატარებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნისა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. იგი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიძლება ჩატარდეს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა ფაქტის ან გარემოების დასადგენად.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზნებისა და ამოცანების უშუალო განხილვამდე მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდე მისი აღმოცენებისა და განვითარების საკითხზე, რადგან იგი გარკვეულად შეგვიწყობს ხელს მისი არსისა და ბუნების სწორად გაგებაში.

ბ) ***საგამოძიებო ექსპერიმენტის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.*** აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნების, მისი არსისა და იურიდიული ბუნების შესახებ. ცხადია, ამ დავას ჰქონდა არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ, საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი 1960 წლამდე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო, მას მაინც პროცესუალისტთა და კრიმინალისტთა უმრავლესობა თავიდანვე სწორად მიიჩნევდა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად.

ზოგიერთი კრიმინალისტი და პროცესუალისტი კი ადრე საგამოძიებო ექსპერიმენტს განიხილავდა როგორც გამოძიების განსაკუთრე-

ბულ ტაქტიკურ ხერხს ან როგორც საგამოძიებო დათვალიერების ნაირსახეობას. მაგალითად, ვ. ჩელცოვი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ადრინდელ სახელმძღვანელოში საგამოძიებო ექსპერიმენტს მოიხსენიებდა როგორც გამოძიების განსაკუთრებულ ტაქტიკურ ხერხს. პირველ ხანებში ასეთსავე აზრს ავითარებდა პ. ტარასოვ-როდიონოვი, რომელმაც ეს მოსაზრება შემდეგ შეცვალა და 1950 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 242) საგამოძიებო ექსპერიმენტი აღიარა საგამოძიებო დათვალიერების ნაირსახეობად. თუმცა მან თავისი ეს მოსაზრებაც შემდგომში ნაწილობრივ შეცვალა და უკვე 1959 წელს გამოცემულ „გამომძიებელთა სამაგიდო წიგნში" (გვ. 368) საგამოძიებო ექსპერიმენტი მოიხსენია როგორც საგამოძიებო მუშაობის განვითარების ახალი ფორმის წყარო.

საგამოძიებო ექსპერიმენტს ასევე დათვალიერების ნაირსახეობად მიიჩნევდა თავის ადრინდელ შრომებში პროფ. ა. ვინბერგი. მაგალითად, 1949 წელს იურიდიული სკოლებისათვის გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 80), იგი გვთავაზობდა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა ან უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკური სტადიის წინ, ან შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთანავე იმავე გარემოებაში, რა გარემოებაშიც მოხდა საგამოძიებო ექსპერიმენტით შესამოწმებელი ფაქტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტს ასევე დათვალიერების ნაირსახეობად მიიჩნევდა პროფესორი მ.სტროგოვიჩი. კერძოდ, 1958 წელს გამოცემულ თავის „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის კურსში" (გვ. 328), ეხებოდა რა საგამოძიებო ექსპერიმენტის იურიდიულ ბუნებას, აღნიშნავდა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი სხვა არა არის რა, თუ არა „დათვალიერების განსაკუთრებული სახე მის მეორე (დინამიკურ) სტადიაზე". ანალოგიურ შეხედულებას იზიარებდა აგრეთვე რ. რახუნოვი და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1960-იან წლებში ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიღების შემდეგაც, როცა უკვე ყოფილ საბჭოთა ხელისუფლების სივრცეში გაერთიანებული რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით საგამოძიებო ექსპერიმენტი აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად, ზოგიერთი პროცესუალისტი, კერძოდ, ი. გუტკინი, ი. ბელოზეროვი და ლ. მარიუპოლსკი 1962 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის პროცესში

(გვ. 193), გამოდიოდა რა ძველი პოზიციებიდან, საგამოძიებო ექსპერიმენტს კვლავ განიხილავდა როგორც საგამოძიებო დათვალიერების ნაირსახეობას.

ზემოაღნიშნულ არასწორ მოსაზრებათა მეცნიერული, დასაბუთებული, თანმიმდევრული სრულყოფილი კრიტიკა ქართულ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველად მოცემულ იქნა პროფ. ბ.ხარაზიშვილის მიერ 1954 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის დამხმარე სახელმძღვანელოში, სადაც იგი მართებულად ასკვნიდა, რომ „არ შეიძლება გავაიგივოთ საგამოძიებო ექსპერიმენტი დათვალიერებასთან. ის ფაქტი, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტს არ ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, — დაასკვნის იგი, — უფლებას არ გვაძლევს გვერდი ავუაროთ ამ ფრიად დიდი მნიშვნელობის მქონე საგამოძიებო მოქმედების თავისებურებას ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედებისგან მის განსხვავებულ ნიშნებს.“ რომ „საგამოძიებო პრაქტიკაში დადგენილია ამ მოქმედების (საგამოძიებო ექსპერიმენტის) დამოუკიდებლად ჩატარების აუცილებლობა, მაგრამ თუკი საპროცესო კოდექსებით არ არის გათვალისწინებული ასეთი, ჩვენ მექანიკურად კი არ უნდა გავაერთიანოთ იგი საგამოძიებო დათვალიერებასთან, არამედ მიზანშეწონილია ვაღიაროთ საპროცესო კანონის ხარვეზი და დავაყენოთ საკითხი ამ ხარვეზის შევსებისათვის“ (გვ. 171-172). ამასთან, იქვე მართებულად აღნიშნავდა, რომ „საგამოძიებო ექსპერიმენტი — ეს არის ჩადენილი დანაშაულის ან მისი ცალკეული ეპიზოდების შესახებ სცენის მოწყობა, რომლის დროსაც გამომძიებელი უბრალო მაყურებლად კი არ გვევლინება, არამედ თვითონაა ორგანიზატორი ამ წარმოდგენისა. არც ერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს არ გვიხდება გავამეორებინოთ ბრალდებულს, დაზარალებულს ან მოწმეს ის მოქმედება, რომელიც მათ შეასრულეს წარსულში კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს კი ეს სავალდებულოა (ცხადია, დანაშაულის განმეორების გარეშე)“.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან საგამოძიებო ექსპერიმენტის განმასხვავებელ ნიშნებზე ყურადღება გამახვილებულ იქნა აგრეთვე პროფესორ ს.გოლუნსკის რედაქციით 1959 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში, რომელშიც საკმაოდ დამაჯერებლად იყო დასაბუთებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დამოუკიდე-

ბლობა და მისი განსხვავება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან (გვ. 267).

1960-იან წლებში ჩატარებული სასამართლო რეფორმის შედეგად მიღებულ ახალ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საგამოძიებო ექსპერიმენტი გათვალისწინებულ იქნა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად და, შეიძლება ითქვას, რომ მან საერთო აღიარება მოიპოვა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში იგი ყველგან დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად არ იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, უკრაინის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და ყირგიზეთის სსსკ-ის შესაბამის მუხლებში იგი კვლავ გამოკვეთილად არ იქნა გამოყოფილი ცალკე დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად. მასში გაერთიანებული იყო აგრეთვე ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები და იგი მოხსენიებული იყო როგორც „შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენა", რაც, ჩემი აზრით, არასწორი იყო, რადგან, ჯერ ერთი, იგი ვერ ასახავდა საგამოძიებო ექსპერიმენტის ნამდვილ არსსა და ბუნებას, და მეორეც, ამით მასში გაერთიანებულ იქნა ორი სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები; კერძოდ, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი ნიშანი.

გ) ***საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საფუძველი.*** ჩხრეკისა და ამოღების მსგავსად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისთვისაც საჭიროა გვქონდეს ფაქტობრივი და იურიდიული საფუძველი. სსსკ-ის 240-ე მუხლის მიხედვით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების **ფაქტობრივი საფუძვლის ცნებაში** გაგებულ უნდა იქნეს გამომძიებლის ან პროკურორის ვარაუდით გამოსაძიებელ საქმეზე ცალკეული სახის მტკიცებულების, საგამოძიებო ვერსიების, გარკვეული მოქმედების ჩადენისა და მათი კვალის წარმოქმნის ან მოვლენის არსებობის შესაძლებლობის შემოწმების აუცილებლობა. **იურიდიული საფუძვლის ცნებაში** კი გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა ან მოსამართლის ბრძანება, კერძოდ ის, რომ სსსკ-ის 340-ე მუხლის მეორე ნაწილით საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად აუცილებლადაა მიჩნეული მოსამართლის ბრძანების მიღება. სხვა შემთხვევებში კი საგამოძიებო

ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭიროა გამომძიებელმა ან პროკურორმა გამოიტანოს შესაბამისი დადგენილება. მაშასადამე, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების იურიდიული საფუძველია გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება ან მოსამართლის ბრძანება მისი ჩატარების შესახებ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საგამოძიებო ექსპერიმენტს, როგორც დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებას, დათმობილი აქვს მე-40 თავი და მოიცავს 340-343-ე მუხლებს, რომლებშიც საკმაოდ ვრცლად და ფართოდაა გადმოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საფუძველი და მიზანი, მისი ჩატარების წესი და პროცესუალური გაფორმების სახე.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის აუცილებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ითაა რეგლამენტირებული, ჩემი აზრით, მთლად გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს. საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, შეიძლება ითქვას, უშუალოდ დაკავშირებულია მოქალაქეთათვის კონსტიტუციით მინიჭებული საცხოვრებელი ბინებისა და მათ მფლობელობაში არსებული ობიექტების ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევასთან და, ამდენად, მოთხოვნა მოსამართლის ბრძანების დაშვების შესახებ, ასეთ დროს შეიძლება კიდევ გამართლებული იყოს. მაგრამ, რაც შეეხება ყველა სხვა შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის აუცილებლობის მოთხოვნას, რაც სსსკ-ის 341-ე მუხლითაა რეგლამენტირებული, არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ.

საკითხი იმის შესახებ, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭიროა თუ არა სპეციალური დადგენილების გამოტანა, ახალი არაა. იგი, შეიძლება ითქვას, საგამოძიებო ექსპერიმენტის აღმოცენებისა და საგამოძიებო პრაქტიკაში მისი დანერგვა-განვითარების პროცესის თანმდევია და დავა ამის შესახებ სსსკ-ით საგამოძიებო ექსპერიმენტის დამოუკიდებელ მოქმედებად აღიარების შემდეგაც გრძელდებოდა.

იმის შესახებ, საჭიროა თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტის

ჩასატარებლად გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანა, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ჯერ კიდევ ადრე, ვ. კოლმაკოვმა და ლ. აროცკერმა 1949 წელს გამოცემულ ნაშრომში „საგამოძიებო ექსპერიმენტი წინასწარ გამოძიებაში" (გვ. 24-25) წამოაყენეს აზრი, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭიროა გამომძიებელმა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება.

მართალია, ეს მოსაზრება იმავე ავტორების მიერ თავიანთ შემდგომ შრომებში უარყოფილ იქნა და მის შესახებ არაფერს აღარ ამბობდნენ, მაგრამ დავა მოცემულ საკითხზე, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

საპირისპირო აზრი ჯერ კიდევ ადრე იქნა გატარებული 1959 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 267), სადაც აღინიშნა, რომ საერთო წესის მიხედვით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭირო არაა გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანა. მაგრამ იქვე მითითებულ იქნა, რომ ასეთი დადგენილება მიზანშეწონილია გამოტანილ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება დაკავშირებულია საწარმო-დაწესებულების ან ცალკეულ პირებზე გარკვეული ვალდებულების დაკისრებასთან (ექსპერიმენტისათვის შენობის ან რაიმე საგნის დათმობა, გარემოების აღდგენა და სხვ.). შემდეგ ეს მოსაზრება საერთოდ უარყოფილ იქნა და მის შესახებ პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არაფერი იყო ნათქვამი. მაგრამ, შემდეგ ზოგიერთი რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით იგი რეკომენდებულ იქნა. ასე, მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირის პირობებში ყაზახეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარებულიყო გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით. ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით იგი გათვალისწინებული არ იყო.

პროფ. რ. ბელკინი ზემოაღნიშნულ ნაშრომში (გვ. 70) ეხებოდა რა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამომძიებლის მიერ მოტივირებული დადგენილების გამოტანას, არასწორად მიიჩნია საგამოძიებო ექსპერიმენტის გამოყოფა ისეთი საგამოძიებო მოქმედებისაგან, როგორიცაა დათვალიერება, დაკითხვა, ამოცნობა, რომელთა წარმოებაც არ საჭიროებს გამომძიებლის მოტივირებული დადგენილების გამო-

ტანას. მაგრამ მას ასეთი დადგენილების გამოტანა მიზანშეწონილად მიაჩნია განმეორებით საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას. მისი აზრით, განმეორებით ექსპერიმენტის ჩატარება გამომძიებელმა უნდა დაასაბუთოს მოტივირებული დადგენილებით, რათა სასამართლოსთვის ნათელი გახდეს, თუ რატომ მიაჩნია აუცილებლად განმეორებით მისი ჩატარება.

პროფესორ რ. ბელკინის ეს მოსაზრება გარკვეულ შეკამათებას იწვევს. ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გამომძიებლის მოტივირებული დადგენილების გამოტანა, ვფიქრობთ, არაფერს მატებს საგამოძიებო პრაქტიკას, პირიქით, იგი უფრო ართულებს მას. ასეთი რამ უცნობია რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვისაც. ამასთან, ბუნებრივად იბადება კითხვა: განა გამომძიებელს წინასწარი გამოძიების პროცესში არ უხდება მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დამატებითი ან განმეორებითი დაკითხვა? ცხადია, კი. და, თუ ეს ასეა და აქ საჭირო არაა მოტივირებული დადგენილების გამოტანა, მაშინ რატომღა უნდა გამოიტანოს ასეთი დასაბუთებული დადგენილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისთვის? განა განმეორებითი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება ისეთი იძულებითი ხასიათის ღონისძიებად იქცევა, როგორიც ჩხრეკაა? რასაკვირველია, არა. ამიტომ საერთოდ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის გამომძიებლის მოტივირებული „დასაბუთებული დადგენილების გამოტანა“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ზემოაღნიშნულ ავტორთა ეს არასწორი და ყველასგან მივიწყებული შეხედულება კანონის რანგში იქნა აყვანილი და სსსკ-ის 341-ე მუხლით სავალდებულოდ იქნა მიჩნეული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა. უფრო მეტიც, სსსკ-ის 340-ე მუხლის მე-2 პუნქტით აუცილებლადაა მიჩნეული საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების მიღება, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. რადგან ამით გარკვეულად რთულდება და იზღუდება გამომძიებლის სტატუსი. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია ამ მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს საკანონმდებლო ცვლილება. საგამოძიებო ექსპერიმენტის განმარტებაში სრულიად საკმარისია იმაზე მითითება,

რომ „საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება დაუშვებელია, თუ იგი არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“.

მაგალითად, არ შეიძლება ექსპერიმენტის ჩატარება ამა თუ იმ პირის მიერ გაუპატიურების აქტის შესრულების შესაძლებლობის დადგენის შესახებ. იგი ასევე არ შეიძლება ჩატარებულ იქნეს, როცა მისმა ჩატარებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ექსპერიმენტში მონაწილე პირების ჯანმრთელობას ან როცა იგი საშიშია ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მის გარშემო მდებარე საცხოვრებელი ბინებისა და იქ მყოფ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (ძლიერმოქმედი ნივთიერებების აფეთქება და სხვ.), ან როცა ამ ექსპერიმენტის ჩატარებით შეიძლება დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი და სხვ.

ასეთ შემთხვევებში საქართველოს სსსკ-ის 341-ე მუხლით რეგლამენტირებული პირობების დაცვა და მასში მითითებულ გარემოებებში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისაგან თავის შეკავება სავალდებულოა და საწინააღმდეგო გარემოებებში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება არასწორი და დაუშვებელია მაშინაც, როცა ასეთ პირობებში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება ან მოსამართლის ბრძანება.

დ) *საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზნები და ამოცანები.* კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნებისა და მიზნის შესახებ და ეს დავა დღესაც გრძელდება, რადგან საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ვერ მოგვცა მისი სრულყოფილი, ამომწურავი განმარტება.

კრიმინალისტთა და პროცესუალისტთა უმრავლესობა საგამოძიებო ექსპერიმენტში ხედავს საქმეზე მიღებული მონაცემების შემოწმებისა და დაზუსტების მიზნით შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენას.

მაგალითად, ამ მოსაზრებას, ჯერ კიდევ ადრე, ავითარებდა საბჭოთა კრიმინალისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ს. მიტრიჩევი 1956 წელს „სოვეტსკაია კრიმინალისტიკა ნა სლუჟბე სლედსტვია“-ში (გამოშვება 7, გვ. 10) გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერული საფუძვლების საკითხის შესახებ“, და

აგრეთვე 1958-1959 წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში. ასეთივე აზრი გატარებული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ 1963 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 339-340); მ. ჩელცოვის მიერ 1962 წელს გამოცემულ „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის" სახელმძღვანელოში და აგრეთვე პროფესორ ბ. ფურცხვანიძის მიერ 1963 წელს გამოცემულ „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის" სახელმძღვანელოში (გვ. 300-301). ასეთივე აზრია გატარებული უკანასკნელ წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკისა და სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოებში.[1] სამწუხაროდ, მისი მიზანი ასევე არასრულყოფილადაა წარმოდგენილი საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზნების ამსახველ საქართველოს სსსკ-ის 340-ე მუხლში, რომელშიც აქცენტირება გადატანილია მარტოოდენ მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და სხვა მტკიცებულებებისა და ვერსიების შემოწმებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალისტთა და პროცესუალისტთა ზოგიერთი წარმომადგენელი საგამოძიებო ექსპერიმენტს თავიდანვე მართებულად მიიჩნევდა ახალ მტკიცებულებათა მიღების საშუალებად. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ეს ბუნება, ჯერ კიდევ ადრე, სწორად იქნა შემჩნეული და ნაწილობრივ გამოსწორებული პროფ. ბ.ხარაზიშვილის მიერ, რომელიც კრიმინალისტიკის ზემოაღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში მართებულად წერდა: „საგამოძიებო ექსპერიმენტს, როგორც ტაქტიკური მოქმედების სახეს, აქვს დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა" (გვ. 173). თავისი ეს მოსაზრება მან საგამოძიებო ექსპერიმენტის განმარტებაშიც ჩააქსოვა, კერძოდ, მისი აზრით, „საგამოძიებო ექსპერიმენტი" ეწოდება ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც მტკიცებულების მიღების თვალსაზრისით აღადგენს (წარმოგვიდგენს) დანაშაულთან დაკავშირებულ ფაქტებს, მაგრამ დანაშაულის განუმეორებლად".

აღსანიშნავია, რომ ასეთივე აზრს ავითარებდა მ. გროდზინსკი 1958 წელს ჟურნალ „სოვეტსკაია იუსტიციაში" (№6) გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მიღების საშუალებათა შესახებ". ამ შეხედულებას იცავს და ავითარებს აგრეთვე რ. ბელკინი 1964 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელიც

---

[1] Криминалистика. Учебник, под ред. Н.П.Яблокова. 3-е издание. М., 2005, გვ. 460-461;

მთლიანად მიუძღვნა ექსპერიმენტის საკითხების ფუნდამენტალურ გამოკვლევას საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკაში. ასეთივე აზრი გატარებულია 1965 წელს გამოცემულ ნ. ჟოგინისა და ფ. ფატკულინის წიგნში „წინასწარი გამოძიება" (გვ.145-146), 1968 წელს და მომდევნო წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში. ეს აზრი დაცული და განვითარებულია აგრეთვე 1980 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში. ეს მოსაზრება გატარებული და განვითარებული მაქვს 1977 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" (№1) გამოქვეყნებულ სატატიაში „საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური და ტაქტიკური საკითხი".

აღსანიშნავია, რომ პირველმა ზემოაღნიშნულმა არასწორმა შეხედულებამ თავისი ასახვა პოვა ადრე მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ამსახველ მუხლებშიც. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საგამოძიებო ექსპერიმენტის ასეთი სახით განმარტება სრულყოფილი არაა და იგი დაზუსტებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი, როგორც აღვნიშნე, ასევე არასწორად და ცალმხრივადაა ჩამოყალიბებული ამჟამად მოქმედ საქართველოს სსსკ-ის 340-ე მუხლში, რომლის თანახმად, „გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების, სხვა მტკიცებულების ანდა საქმის გამო წამოჭრილი ვერსიის შესამოწმებლად, რისთვისაც შეიძლება მოაწყოს საჭირო ცდა, რათა აღადგინოს გამოსაკვლევი მოვლენა, გარკვეული მოქმედება, ვითარება და გარემოება ამა თუ იმ ფაქტის აღქმის მოქმედების ჩადენის ან მოვლენის დადგომის შესაძლებლობის, მისი მექანიზმისა და კვალის წარმოქმნის შესამოწმებლად".

საქართველოს სსსკ-ის ზემოაღნიშნულ 340-ე და 342-ე მუხლების რედაქციაში არა მარტო არასწორადაა გადმოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი და მიზანი, არამედ მასში ასევე არასწორადაა გადმოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტის ნიშნები, რადგან ეს უკანასკნელი არეულია ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებისათვის დამახასიათებელ ნიშნებში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ზემოაღნიშნული განმარტება, ჩვენი

აზრით, არასწორია და იგი მოითხოვს დაზუსტებას, რადგან მასში საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანი ცალმხრივადაა გაშუქებული. თუ ამ განმარტების მიხედვით ვიმსჯელებთ, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანია მოწმისა და დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენების და სხვა მოქმედებათა დროს მიღებული მონაცემების შემოწმება. მაგრამ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანია არა მარტო საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმება, როგორც ეს კანონშია მითითებული, არამედ ახალ მტკიცებულებათა მიღებაც. ეს გარემოება პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლში მოცემული მტკიცებულების ცნებიდან, რომელშიც მტკიცებულებათა შორის მოხსენიებულია აგრეთვე „საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმებიც". საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად კი, „სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებებია ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით შედგენილი საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები". აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანია არა მარტო საგამოძიებო მოქმედებათა დროს მიღებული მონაცემების შემოწმება, არამედ ახალ მტკიცებულებათა მიღებაც.

ასევე, არასწორია საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნებაში იმის მითითება, რომ იგი ტარდება იმისათვის, „რათა აღადგინოს გამოსაკვლევი მოვლენა, გარკვეული მოქმედება, ვითარება და გარემოება".

მაგალითად, ამა თუ იმ საგნის გადაადგილების შესაძლებლობის შესახებ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისათვის სრულიადაც არ არის საჭირო გამოსაკვლევი მოვლენის, გარკვეული მოქმედების, ვითარებისა და გარემოების აღდგენა.

საგამოძიებო ექსპერიმენტით ახდენენ არა მარტო „მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენებისა" და სხვა მტკიცებულების მონაცემების შემოწმებას, არამედ აგრეთვე საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა გარემოების გამოკვლევასა და ფაქტობრივი მონაცემების დადგენასაც.

მაგალითად, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტით დადგინდება, რომ მატერიალურ ფასეულობათა საწყობის კედლის გამონგრეული ხვრელიდან შეუძლებელი იყო ამა თუ იმ მოცულობის გატაცებული ნივთის გატანა, ამით დასტურდება, რომ საწყობიდან ქონება გატაცებულია

არა კედლის გამონგრეული ხვრელიდან, არამედ სხვა გზით. ე.ი. მოცემული საგამოძიებო ექსპერიმენტით დასტურდება გამოძიებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად გარკვეული მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს. ამ გზით მიღებული შედეგი, რაც ფიქსირებულ იქნა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში, უდავოდ ახალი მტკიცებულებაა. იგი პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 125-ე მუხლიდან. ამასთან, მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საგამოძიებო ექსპერიმენტის დადებით შედეგებს, არამედ მის უარყოფით შედეგებსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანი საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების მარტოოდენ შემოწმებით არ ამოიწურება, იგი არის ახალ მტკიცებულებათა მიღების საუკეთესო საშუალებაც. ამიტომ ეს გარემოება საჭიროა აისახოს კანონით რეგლამენტირებულ ექსპერიმენტის ცნებაში.

ე) *საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება და სახეები.* საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, საჭიროა ექსპერიმენტის განმარტებიდან ამოღებულ იქნეს საგამოძიებო მოქმედებათა ჩამოთვლა, აგრეთვე მასში მიეთითოს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასა და თვით ექსპერიმენტის ბუნებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 340-ე, 341-ე, 342-ე და 343-ე მუხლების ნაცვლად, შემოღებულ იქნეს ერთი მუხლი და მას მიეცეს ცნებისათვის დამახასიათებელი სახე და მასში აისახოს ექსპერიმენტის ბუნება, გამოსაკვლევი გარემოებანი, გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და ფაქტობრივი მონაცემების დადგენისათვის გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ატარებს საგამოძიებო ექსპერიმენტს სპეციალური ცდების სახით, რა დროსაც იგი ადგენს გეგმებს, სქემებს, ნახაზს, ამზადებს კვალის ექსპერიმენტულ ტვიფარს, აწარმოებს გაზომვებს, ფოტო, კინო, აუდიო და ვიდეოჩაწერას, ან იყენებს ხმის ჩამწერ სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტი არ უნდა ამცირებდეს მასში მონაწი-

ლეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და საშიში არ უნდა იყოს მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, არ უნდა არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს და არ უნდა ხელყოფდეს ზნეობრივ ნორმებს.

საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ უნდა იქნეს მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული და სპეციალისტი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ შედგება ოქმი ამ კოდექსის 287-289-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების დაცვით".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო ექსპერიმენტი შეიძლება განმარტებულ იქნეს შემდეგნაირად:

საგამოძიებო ექსპერიმენტი არის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება სათანადო პირობების დაცვით გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების, ან ფაქტის არსებობის შესაძლებლობის ახსნის, დადგენის, შემოწმების, დაზუსტებისა და ახალ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი წესი, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეებზე, მისი ჩატარების ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებზე. ამ გარემოებებს შეისწავლის კრიმინალისტიკა, რომელიც საგამოძიებო პრაქტიკაზე დაყრდნობით იმუშავებს და იძლევა სათანადო რეკომენდაციებს საგამოძიებო ექსპერიმენტის სწორად, მაღალხარისხოვნად ჩატარებისა და სრულყოფისათვის.

საგამოძიებო ექსპერიმენტი შეიძლება იყოს მრავალგვარი და მრავალი სახის, სხვადასხვა ფაქტისა და გარემოების დასადგენად. მაგრამ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსსკ-ის 241-ე მუხლის მოთხოვნებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტთა მრავალსახეობის მიუხედავად, ზოგიერთი ავტორი შეეცადა მოეცა საგამოძიებო ექსპერიმენტის კლასიფიკაცია. ასე, მაგალითად, ვ. კოლმაკოვმა, ჯერ კიდევ ადრე, 1958 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში, საგამოძიებო ექსპერიმენტი თავისი მიზნების მიხედვით დაყო შემდეგ სახეებად:

1) საგამოძიებო ვერსიების შესამოწმებლად;

2) მოწმეთა ჩვენების შესამოწმებლად;

3) ბრალდებულის ახსნა-განმარტებისა და ჩვენების შესამოწმებლად;

4) ამოცნობის სისწორის შესამოწმებლად.

შესამოწმებელ გარემოებათა მიხედვით კი საგამოძიებო ექსპერიმენტი დაყო:

1) ხილვადობის შესამოწმებლად;

2) სმენადობის შესამოწმებლად;

3) დროის შესამოწმებლად (ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა გარკვეული დროის მონაკვეთში);

4) ამა თუ იმ ხვრელიდან შეძრომის ან იქიდან გარკვეული საგნის გამოტანის შესრულების შესაძლებლობის შესამოწმებლად.

პროფ. ვ. კოლდინი კი 1963 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეებს ყოფდა 3 ჯგუფად: პირველს მიაკუთვნებდა გარკვეულ პირობებში ხილვადობისა და სმენადობის შესამოწმებლად ჩასატარებელ ექსპერიმენტებს;

მეორეს მიაკუთვნებდა მოცემული პირის შეძრომის შესაძლებლობას გარკვეულ წინააღმდეგობათა გადალახვით ან ისეთი მოქმედების შესრულების შესაძლებლობის შემოწმებას, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას (მაგალითად, მანქანის მართვას, თარგმნას და სხვ.);

მესამეს მიაკუთვნებდა მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ სახის მოქმედების შესრულების შესაძლებლობის შემოწმებასთან.

საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეების უფრო სრულყოფილ კლასიფიკაციას გვაძლევს პროფ. რ. ბელკინი თავის მონოგრაფიაში — „ექსპერიმენტი საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკაში“, რომელშიც ექსპერიმენტის ყველა სახეს ყოფს ხუთ ჯგუფად:

1. საგამოძიებო ექსპერიმენტს რაიმე ფაქტის, მოვლენის აღქმის ან დაკვირვების შესაძლებლობის დადგენისათვის. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტი ხილვადობის ან სმენადობის დადგენის შესაძლებლობის შესახებ (მოცემულ პირს გარკვეულ პირობებში ნამდვილად შეეძლო თუ არა დაენახა და ეცნო დანაშაულის ჩამდენი პირი, ან გარკვეულ პირობებში გაეგონა თოფის გასროლის ხმა და სხვ.);

2. საგამოძიებო ექსპერიმენტი რაიმე მოქმედების ჩადენის შესაძლებლობის დადგენის მიზნით. მაგალითად, მოცემულ პირს ნამდვილად შეეძლო თუ არა შესულიყო მატერიალურ ფასეულობათა საწყობში ან სხვაგან და იქიდან გამოეტანა ამა თუ იმ გარკვეული სახის საგანი, ან

მოცემულ პირს შეეძლო თუ არა გარკვეული სიმძიმის საგნის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე განსაზღვრული დროის მონაკვეთში და სხვ.

3. საგამოძიებო ექსპერიმენტი რაიმე მოვლენის არსებობის დადგენის შესაძლებლობის შესახებ. მაგალითად, მოცემული იარაღიდან სასხლეტზე ხელის დაჭერის გარეშე, იატაკზე დავარდნის შემთხვევაში, შეიძლებოდა თუ არა მომხდარიყო გასროლა და სხვ.

4. საგამოძიებო ექსპერიმენტი შემთხვევის მექანიზმის ცალკეული დეტალების დადგენის შესახებ;

5. საგამოძიებო ექსპერიმენტი კვალთა აღმოცენების პროცესის დადგენის შესახებ.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ასეთსავე კლასიფიკაციას იძლევა ი.ხ.მაკსუტოვი ლენინგრადის უნივერსიტეტის მიერ 1976 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში. 1998 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 257-258) კი ყველა სახის საგამოძიებო ექსპერიმენტი დაყოფილია შემდეგ ოთხ ჯგუფად: პირველ ჯგუფში განიხილება ექსპერიმენტი ხილვადობისა და სმენადობის შესაძლებლობის (შეუძლებლობის) დასადგენად; მეორეში – გარკვეული მოქმედების შესრულების შესაძლებლობის (შეუძლებლობის) დასადგენად; მესამეში – რაიმე ფაქტის არსებობის შესაძლებლობის (შეუძლებლობის) დასადგენად; მეოთხეში – შემთხვევის მექანიზმის ფაქტის არსებობის აღქმის შესაძლებლობის (შეუძლებლობის) დასადგენად. მაგალითად, მძღოლს შეეძლო თუ არა დაენახა საგზაო ნიშანი და სხვ.

ანალოგიური სახის გარემოებებია მოხსენიებული საქართველოს სსსკ-ის 340-ე მუხლში. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება შესაძლებლადაა მიჩნეული გამოსაკვლევი მოვლენის, გარკვეული მოქმედების, ვითარების, გარემოების, ამა თუ იმ ფაქტის აღქმის, ჩადენილი ქმედების მექანიზმისა და კვალის წარმოქმნის შესაძლებლობის დადგენის შესახებ.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციით გათვალისწინებულ ექსპერიმენტთა წრე უაღრესად ფართო და მრავალმხრივია. მაგრამ, ვფიქრობთ, არც ესაა ამომწურავი. საგამოძიებო პრაქტიკაში შეიძლება კვლავ აღმოცენდეს ისეთი ახალი გარემოება, რომელიც აღნიშნული კლასიფიკაციით, მართალია, გათვალისწინებული არაა, მაგრამ მის შესამოწმებლად, გამოსაკვლევად და ახალ მტკიცებულებათა მისაღებად საჭირო გახდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება.

§2. საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება და მისი ჩატარების ზოგადი წესი

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად: ექსპერიმენტის მომზადება მისი ჩატარების ადგილზე მისვლამდე და მისი ჩატარების ადგილზე მისვლის შემდეგ.

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება მისი ჩატარების ადგილზე მისვლამდე. იმისათვის, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი სწორად და სრულყოფილად იქნეს ჩატარებული და მიღებული შედეგები იყოს უტყუარი, საჭიროა, ექსპერიმენტის მიზნისა და ამოცანის გათვალისწინებით, ჩატარებულ იქნეს მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებები, რომელთაგან აღსანიშნავია:

1) განისაზღვროს ჩასატრებელი საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანი, შინაარსი, სავარაუდო ცდების ჩატარების ხერხები და თანმიმდევრობა;

2) განისაზღვროს საგამოძიებო ექსპერიმენტით შესამოწმებელი ფაქტი, გარემოება;

3) შედგენილ იქნეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების გეგმა და მასში პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნეს ჩასატარებელი ცდების სახეები და მისი ჩატარების თანმიმდევრობა;

4) შერჩეულ იქნეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭირო საგნები და საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება;

5) განისაზღვროს ექსპერიმენტის ჩატარებით შესამოწმებელი ფაქტებისა და გარემოებების წრე;

6) მიღებულ იქნეს ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის დასაცავად საჭირო ზომები;

7) საცხოვრებელ ბინაში ან საწარმო-დაწესებულებაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას მიღებულ იქნეს მოსამართლის ბრძანება და იგი გაეცნოს საცხოვრებელი ბინის მფლობელს ან დაწესებულების ხელმძღვანელს;

8) სხვა შემთხვევაში გამოტანილ იქნეს გამომძიებლის დადგენილება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ;

9) საჭიროების შემთხვევაში წინასწარ მოხდეს ექსპერიმენტის ჩატარების ადგილმდებარეობის გაცნობა;

10) ინფორმაციის მოცულობისა და ხასიათის გაცნობა ექსპერიმენტში მონაწილე პირებისათვის და სხვ.;

11) შერჩეულ და მოწვეულ იქნეს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, სპეციალისტი და ოპერატიული ჯგუფი, განისაზღვროს მათი წრე და უზრუნველყოფილ იქნეს მათი გამოცხადება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე.

ამ ეტაპზე გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ უნდა იქნეს მოწვეული ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად. ასეთ პირთა წრე კანონით განისაზღვრება მოწმის, დაზარალდებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისა და სპეციალისტის სახით.

ზემოაღნიშნულის გარდა, გამომძიებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, საქმის კონკრეტული გარემოების მიხედვით, ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მოიყვანოს დაზარალებული და მისი ინტერესების დამცველი. სათანადო კონსულტაციის მისაღებად მოიწვიოს აგრეთვე პედაგოგი და სხვა სპეციალისტი.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობას იღებს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, მაშინ საჭიროა შეირჩეს ოპერატიული ჯგუფიც. მასში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ აგრეთვე პროკურორი და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საჭიროა ექსპერიმენტში მონაწილე პირებს ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქტაჟი და გაეცნოთ ექსპერიმენტის მიზანი, ჩასატარებელი ცდების შინაარსი და სხვ.

საჭიროა გამომძიებელმა შეარჩიოს აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობები, კერძოდ: დრო, ადგილი, განათება, მეტეოროლოგიური პირობები, ხმაური და სხვა საჭირო მაქსიმალურად მსგავსი პირობები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია აგრეთვე ექსპერიმენტით გადასაწყვეტი საკითხების წრის განსაზღვრა ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლამდე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საგამოძიებო ექსპერიმენტი უმეტესწილად ტარდება ისეთი ერთგვაროვანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა:

1) შეიძლებოდა თუ არა მოცემულ პირს დაენახა ან განესხვავებინა მისგან გარკვეული მანძილით დაშორებული პირი და შეეცნო იგი, ან დაენახა და შეეცნო გამოსაკვლევი საგანი, მისი ფერი, ფორმა,

მოცულობა, მისი საერთო და კერძო დამახასიათებელი ნიშნები და სხვ.;

2) მოცემულ პირობებში შეეძლო თუ არა გაეგონა გარკვეული ხმაური, ძახილი და მასში გაერჩია რაიმე სიტყვები ან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა და სხვ.;

3) რა პირობებში შეიძლებოდა აღმოცენებულიყო გამოსაკვლევი სახის პროცესები და შეიძლებოდა თუ არა მათი აღმოცენება მოცემულ გარკვეულ პირობებში და სხვ.;

4) ფლობს თუ არა მოცემული პირი გარკვეულ ისეთ ჩვევებსა და შესაძლებლობებს, რომელთა დადგენა გამოძიებით აუცილებელია. მაგალითად, გამოძიებით ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი იყოს ისეთი საკითხების გარკვევა, როგორიცაა: მოცემულ პირს შეუძლია თუ არა მართოს ავტომანქანა ან ტროლეიბუსი, ან ველოსიპედი, ან შეუძლია თუ არა დაამზადოს ყალბი საბუთები, პასპორტები, ფასიანი ქაღალდები — მომგებიანი ლატარიის ბილეთები და სხვ.;

5) შეიძლებოდა თუ არა ამა თუ იმ მოქმედების შესრულება დროის გარკვეულ მონაკვეთში საერთოდ ან რაიმე კონკრეტულ პირობებში და სხვ.

ბ) *საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროის, ადგილისა და გარემო-პირობების შერჩევა და მომზადება.* ზემოაღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად, ცხადია, საჭიროა ექსპერიმენტი ჩატარდეს სათანადო გარემოებებისა და პირობების დაცვით და ამისათვის იგი წინასწარ კარგად უნდა იქნეს გააზრებული, რადგან მოსამზადებელ გარემოებათა სწორად შერჩევაზე ბევრადაა დამოკიდებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგების ობიექტურობა. ამიტომ საჭიროა შეეცადოთ სწორად შევარჩიოთ ექსპერიმენტის ჩატარების დრო და მაქსიმალურად აღვადგინოთ მომხდარი შესამოწმებელი ფაქტის ადგილი და პირობები.

ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, შემთხვევის ადგილის ამსახველი ფოტოსურათები, კინოფირები, ვიდეოჩანაწერები (თუკი დათვალიერების დროს გამოყენებულ იქნა კინოგადაღება ან ვიდეოაპარატურა), სქემები, გეგმები და სხვ. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებები.

მთელ რიგ შემთხვევაში ექსპერიმენტი რეკომენდებულია ჩატარდეს

დღე-ღამის იმავე დროს, რა დროსაც ადგილი ჰქონდა შესამოწმებელ ფაქტს და სხვ. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველა სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება დღე-ღამის იმავე დროის მონაკვეთში ჩატარებას მოითხოვს, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ექსპერიმენტით შესამოწმებელ ფაქტს. ცხადია, არა.

მაგალითად, თუ მატერიალურ ფასეულობათა საწყობი გატეხილ იქნა ღამით და გამონგრეული კედლიდან გაიტანეს ძვირფასი ნივთები, საქმის გამოძიების პროცესში შეიძლება წამოიჭრას ვერსია ქურდობის სიმულაციის მოწყობის შესახებ. ამის შესამოწმებლად საჭიროა ჩატარდეს ექსპერიმენტი იმის დასადგენად, კედლის გამონგრეული ხვრელიდან შეიძლებოდა თუ არა გაეტანათ გარკვეული მოცულობის მქონე დატაცებული საგანი? ამ სახის ექსპერიმენტის ჩატარებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის (დღისით თუ ღამით) ჩავატარებთ ექსპერიმენტს. მაგრამ, სხვა შემთხვევაში, დღე-ღამის იმავე მონაკვეთში იმავე პირობების დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის, როგორიცაა ექსპერიმენტი ხილვადობისა და სმენადობის დასადგენად და სხვ. უფრო მეტიც, ასეთი სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება არც შეიძლება აღნიშნული პირობების დაცვის გარეშე. მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩავატაროთ ზუსტად იმავე თვესა და იმავე დღეს, რა დღესაც ადგილი ჰქონდა შესამოწმებელ ფაქტს.

ასე, მაგალითად, თუ შესამოწმებელ ფაქტს ადგილი ჰქონდა 20 იანვარს და ექსპერიმენტს ვატარებთ ხილვადობის დასადგენად 20 აპრილს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ იანვრის თვეში 18 საათზე უკვე შებინდებულია, აპრილის თვის იმავე დროს კი მზე ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად ანათებს. ამიტომ საჭიროა, ექსპერიმენტის ჩასატარებლად შევარჩიოთ 20 იანვრის 18 საათისათვის შესაფერისი განათების დრო. ე.ი. ექსპერიმენტის ჩატარების დრო უნდა გადაიწიოს 2 საათით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული მონაცემები ობიექტური არ იქნება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, მთელ რიგ შემთხვევებში, არამცთუ სასურველია, არამედ აუცილებელიცაა ვაწარმოოთ იმავე ადგილზე, სადაც მოხდა საგამოძიებო ექსპერიმენტით შესამოწმებელი ფაქტი ან შემთხვევა და თანაც მაქსიმალურად მსგავს პირობებში. მაგალითად, სმენადობის შესამოწმებლად ექსპერიმენტის ჩატარება საჭიროა

ეაწარმოოთ იმავე ადგილზე და ისეთსავე მაქსიმალურად მსგავს პირობებში, რა პირობებშიაც ადგილი ჰქონდა ექსპერიმენტით შესამოწმებელ ფაქტს. ამასთან, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ამინდი, ქარის ან ნიავის მიმართულება, ხმაური ან სხვა მთელი რიგი გარემოებანი.

ასე მაგალითად, ჟ-ეს მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, დ-ემ დაკითხვის დროს უჩვენა, რომ 20 აგვისტოს, დაახლოებით საღამოს 7 საათზე, როდესაც იგი მინდორში თივას აგროვებდა, გაიგონა ქალის ხმამაღალი ყვირილი, მან გაარჩია სიტყვები „გამიშვი. . . პეტრე არ გაპატიებ". . . საქმის გამოძიების პროცესში დ-ეს ჩვენების შესამოწმებლად საჭირო გახდა ექსპერიმენტის ჩატარება. გამომძიებელმა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარა ამინდის მეტეოროლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად, რის გამოც ექსპერიმენტით არ დადასტურდა დ-ეს ჩვენება. შემდეგ შესწავლილ იქნა თუ მომხდარი ფაქტის დროს, ე.ი. 20 აგვისტოს საღამოს საათებში როგორი მეტეოროლოგიური პირობები იყო და მისი გათვალისწინებით განმეორებით ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლითაც დადგინდა, რომ დ-ეს მართლაც შეეძლო მითითებულ ადგილზე ყოფნისას გაეგონა ქალის ყვირილი და მასში გაერჩია ზემოაღნიშნული სიტყვები. პირველისა და მეორე ექსპერიმენტის შედეგებს შორის ასეთი დიდი სხვაობა გამოწვეული იყო იმით, რომ პირველად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს იმ ადგილზე ქარი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა, რაც გათვალისწინებულ არ იქნა პირველად ექსპერიმენტის ჩატარებისას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების იმავე ეტაპზე საჭიროა გამომძიებელმა შეარჩიოს და მოამზადოს სათანადო საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი. შეამოწმოს საგამოძიებო პორტფელში (ჩემოდანში) არსებული სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა მზადყოფნა. მოამზადოს აგრეთვე ფოტო, კინო და ვიდეო გადაღებისათვის საჭირო აპარატურა და ხმის ჩამწერი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება.

მოამზადოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭირო ნივთიერი მტკიცებულება (შეარჩიოს და მოამზადოს გამოსაძიებელ საქმეზე შეკრებილი ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭირო აუცილებელი საგნები და საშუალებანი).

ექსპერიმენტის დროულად და შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია მოამზადოს სათანადო სატრანსპორტო საშუალება.

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება ადგილზე მისვლის შემდეგ. ზემოაღნიშნულ მოსამზადებელ ღონისძიებათა მიღების შემდეგ, ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლისას, მისი ჩატარების უშუალოდ დაწყებამდე, საჭიროა გამომძიებელმა ჩაატაროს შემდეგი სახის მოსამზადებელი ღონისძიებანი:

1) შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილმდებარეობა და პირობები შესამოწმებელი ფაქტის ადგილმდებარეობასა და პირობებს, ხომ არაა საჭირო დამატებითი რეკონსტრუქცია და სხვ.;

2) განსაზღვროს ექსპერიმენტში მონაწილე პირებს შორის კავშირის საშუალება;

3) დაცულ იქნეს ექსპერიმენტის ჩატარების ადგილი გარეშე პირთა ხელყოფისაგან;

4) ექსპერიმენტში მონაწილე პირებს მივუჩინოს თავიანთი ადგილები, ე.ი. მოხდეს ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირთა შორის ფუნქციების განაწილება;

5) მიღებულ იქნეს სათანადო ზომები ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პირების უსაფრთხოების შესახებ;

6) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად შერჩეული გარემო ვითარების შესახებ დამატებით მოსმენილ იქნეს იმ პირის ახსნა-განმარტება, ვისი მოქმედების შესამოწმებლადაც ტარდება ექსპერიმენტი;

7) ექსპერიმენტში მონაწილე პირებს ჩაუტაროს სათანადო ინსტრუქტაჟი იმის შესახებ, თუ სად იმყოფებიან, რა მოქმედებები უნდა შეასრულონ და რა საშუალებით;

8) განსაზღვროს ექსპერიმენტში მონაწილე პირთა ურთიერთგანლაგება და მათ შორის კავშირი (სიგნალი);

9) გაფრთხილებულ იქნენ ექსპერიმენტში მონაწილე პირები, რომ არ გაახმაურონ ექსპერიმენტით მიღებული შედეგები და სხვ.;

ექსპერიმენტში მონაწილე პირთათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებისას აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს პრინციპი, რომ მათ არ მივაწოდოთ იმაზე მეტი ინფორმაცია, რაც საზიანო იქნება ექსპერიმენტის ობიექტური შედეგებისათვის. წინასწარ არ უნდა გამოვიწვიოთ მათში იმის ინტერესი, რომ დაძაბონ თავიანთი ყურადღება ექსპერიმენტის ამა თუ იმ ფაქტის აღსაქმელად. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს

საქართველოს სსსკ-ის 342-ე მუხლის რეგლამენტაცია საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეთათვის ექსპერიმენტის მიზნისა და ჩატარების წესის სავალდებულო გაცნობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით პროფ. ვ.ოკოლდინი 1999 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში მართებულად აღნიშნავს, რომ ექსპერიმენტში მონაწილე პირის წინასწარ გათვითცნობიერებამ იმის შესახებ, თუ რა შინაარსის ფრაზა უნდა იქნეს წარმოთქმული და რამდენჯერ, შეიძლება დაამახინჯოს ექსპერიმენტის შედეგები. ამიტომ, ამ პირთა ინფორმაცია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ექსპერიმენტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გარკვეულად უნდა იქნეს შეზღუდული.[1] ამასთან, ავტორი იქვე რეკომენდაციას იძლევა, რომ თითოეული მონაწილის როლი და შესასრულებელი მოქმედების შინაარსი ზუსტად განისაზღვროს ექსპერიმენტის დაწყებამდე. სმენადობის შესახებ ჩასატარებელი ექსპერიმენტის დაწყებამდე, იგი გვთავაზობს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ერთი მხრივ, განვსაზღვროთ თუ ვინ, სად, როდის, სახელდობრ, რომელი შენობის ან ადგილმდებარეობის რომელ პუნქტში, რა სიძლიერით რამდენჯერ და რა შინაარსის ფრაზა უნდა წარმოთქვას, მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს, თუ რომელ პუნქტში უნდა იყვნენ ექსპერიმენტის დანარჩენი მონაწილეები განლაგებულნი, რა დროს და, სახელდობრ, ვინ უნდა აღიქვას მოცემული ფრაზა. რასაკვირველია, ამ ფრაზის აღმქმელმა პირმა არ უნდა იცოდეს მისი შინაარსი და მისი წარმოთქმის მომენტი.

კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ რეკომენდებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილი, დრო და პირობები შეესაბამებოდეს შესამოწმებელი გარემოების ადგილს, დროსა და პირობებს. ასევე რეკომენდებულია, ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამოყენებულ იქნეს უშუალოდ ის საგნები და ობიექტები, რომლებიც გამოყენებული იყო შესამოწმებელი დანაშაულებრივი ფაქტის ან გარემოების აღმოცენების პროცესში. ამ პირობების, გარემოებებისა და საგნების შეცვლა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ არ შეუძლიათ რაიმე გავლენა მოახდინონ ექსპერიმენტის შედეგებზე. მაგალითად, ამა თუ იმ ხვრელიდან გარკვეული მოცულობის

[1] Криминалистика. Учебник, под ред. Н.П.Яблокова. 3-е издание. М., 2005, გვ. 460-461;

საგნის გატანის შესაძლებლობის საკითხის დასადგენად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში იმავე დატოვებულ საგანს გამოვიყენებთ თუ იმავე მოცულობის სხვა მის მსგავს ერთგვაროვან საგანს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ როდის ჩავატარებთ ამ სახის ექსპერიმენტს — უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროის იმ მონაკვეთში, რომელშიც ადგილი ჰქონდა ამ დანაშაულებრივ მოვლენას, თუ დროის (დღე-ღამის) სხვა მონაკვეთში, რადგან მათ შეცვლას არ შეუძლია გარკვეული გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტის შედეგებზე.

დ) *საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი წესი.* საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი, მართალია, საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი სსსკ-ის 342-ე მუხლში, რომელიც 7 პუნქტისაგან შედგება, მაგრამ მასში ექსპერიმენტის ჩატარების წესი და ტაქტიკური ხერხები მაინც სრულყოფილად არაა მოცემული. მაგრამ კანონით დადგენილი ეს წესი, ცხადია, დაცულ უნდა იქნეს და მისი დარღვევით ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება. ამიტომ, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური ხერხების უშუალო განხილვამდე, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ და განვიხილოთ საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ეს წესი.

სსსკ-ის 342-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს გარკვეულ პირთა მონაწილეობით. მასში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი და ექსპერტი, აგრეთვე პირი, რომლის ჩვენებაც უნდა შემოწმდეს. კერძოდ, მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი და მათი ინტერესების დამცველი. აქედან მოწმე და დაზარალებული გაფრთხილებულ უნდა იქნენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ მუხლის თანახმად, ექსპერიმენტის მონაწილეებს უნდა გაეცნოთ ექსპერიმენტის მიზანი და მისი ჩატარების წესი. ერთი და იმავე სახის ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე. ზოგჯერ მისი ჩატარება შეიძლება მოხდეს სახეშეცვლილი და ფორმაშეცვლილი სახითაც. ამასთან, რეკომენდებულია ექსპერიმენტის ჩატარება მოხდეს იმ მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებსა და ვითარებაში, რომელშიც იქნა ჩადენილი აღსადგენი მოქმედება და შემთხვევა. კანონით რეგლამენტირებულია ისიც,

რომ ექსპერიმენტის მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს ექსპერიმენტის პირობის დაზუსტება და საცდელი მოქმედების განმეორება. დადგენილია ისიც, რომ კანონის დარღვევით მიღებულ ექსპერიმენტის შედეგებს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება. ამიტომ ზედმიწევნით უნდა იქნეს დაცული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული წესი.

კანონით დადგენილი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ამ წესის მიუხედავად, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულია მისი ჩატარების სპეციალური ტაქტიკური ხერხები, რომელთა საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისობაში გამოყენება საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენასა და ამით ახალ მტკიცებულებათა მიღების საუკეთესო გარანტიას იძლევა და, რომ იგი ხელს უწყობს გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და საქმის სრულ, ყოველმხრივ გახსნას. მიუხედავათ ამისა, საჭიროა უფრო დეტალურად შევჩერდეთ ამ საპროცესო ნორმების საფუძველზე კრიმინალისტიკაში შემოწმებული ტაქტიკური ხერხების გადმოცემაზე.

§3. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია. ზემოთ განხილულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება, თავისთავად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მის სწორად, სრულყოფილად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ექსპერიმენტის უტყუარი შედეგები. ამასთან, მის სწორ, მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად საჭიროა გამომძიებელმა (ან ექსპერიმენტის ჩამტარებელმა სხვა პირმა — პროკურორმა, სასამართლომ) დაიცვას საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული წესი და გაითვალისწინოს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხები. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოყენებული ტაქტიკური ხერხი არ შეიძლება იყოს კანონსაწინააღმდეგო.

ტაქტიკური ხერხებისა და პირობების ცნება სხვადასხვანაირადაა გაგებული კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში. ტაქტიკური ხერხი უნდა გამომდინარეობდეს ტაქტიკური პირობიდან, რადგან ეს უკანასკნელი თავისთავად მოიცავს ტაქტიკურ ხერხებსაც. სწორედ ეს გარემოება

უდევს საფუძვლად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაციას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში გამოსაყენებელი ყველა ტაქტიკური ხერხი (პროფესორ რ.თბელკინის და სხვათა მიერ) რეკომენდებულია დაიყოს შემდეგ 4 ჯგუფად:

პირველს მიეკუთვნება საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირთა განსაზღვრა; **მეორეს** — საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება იმ მაქსიმალურად მსგავს პირობებში, რომელშიც ადგილი ჰქონდა გამოძიებისათვის საინტერესო ფაქტს ან გარემოებას; **მესამეს** — ერთგვაროვანი ცდების მრავალჯერადი ჩატარება; **მეოთხეს** — ცდების ჩატარება რამდენიმე ეტაპად.

აღნიშნული კლასიფიკაცია მეტად ფართო და მრავალმხრივია. მასში გაერთიანებულია როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად მოსამზადებელი ტაქტიკური ხერხები, ისე მისი ჩატარების პროცესში გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხები. მაგრამ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეკომენდებულ ტაქტიკურ ხერხებს დავყოფთ შემდეგ ორ ჯგუფად:

1. საგამოძიებო ექსპერიმენტის მოსამზადებლად რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები;

2. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში გამოსაყენებლად რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები.

ამრიგად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის რეკომენდებული ყველა ტაქტიკური ხერხი, ექსპერიმენტის ჩატარების პროცესის განვითარების მიხედვით, შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ეტაპად: **პირველს** უნდა მივაკუთვნოთ ტაქტიკური ხერხები, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადებასთან და **მეორეს** — ტაქტიკური ხერხები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა უშუალოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში.

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკის ზოგიერთი საკითხი. ზემოთ განხილული მოსამზადებელი პროცესუალური და ტაქტიკური ღონისძიებების გატარების შემდეგ, გამომძიებელი უნდა შეუდგეს უშუალოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას, რისთვისაც იგი ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებს სა-

თანადო ინსტრუქტაჟის — მათი უფლებებისა და დავალებების განაწილებისა და ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ, თითოეულ მათგანს აძლევს შესაბამის დავალებას (ანაწილებს როლებს) და აყენებს მათთვის განკუთვნილ ადგილებზე და აძლევს სიგნალს საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყების შესახებ.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში ექსპერიმენტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, გამომძიებელი განსაზღვრავს ჩასატარებელი ცდების შინაარსს, მათ თანმიმდევრობას და ახდენს ერთგვაროვანი ცდების მრავალჯერ ჩატარებას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ საგამოძიებო ექსპერიმენტით მიღებული შედეგების არაშემთხვევითობაში. მაგრამ ასეთი ცდების რამდენჯერმე განმეორებაც, ექსპერიმენტის ჩატარების ზემოაღნიშნული პირობებისა და საგნების მსგავსად, ყველა სახის ექსპერიმენტის ჩატარებისათვის არაა საჭირო.

ზემონათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ იგივე მაგალითი, როცა ექსპერიმენტი ტარდება იმის დასადგენად, შეიძლებოდა თუ არა ამა თუ იმ დატაცებული საგნის გატანა გამონგრეული კედლის ხვრელიდან. ცხადია, ასეთ შემთხვევაში საჭირო არაა ექსპერიმენტის ჩატარების დროს ამ საგნის გატანის ცდა ვაწარმოოთ რამდენჯერმე, რადგან პირველი ცდის დროსაც ნათელი გახდება ამ მოცულობის საგნის გატანის შეუძლებლობა ან შესაძლებლობა მოცემული ხვრელიდან და იგი აღარ საჭიროებს მის განმეორებას.

ასევე, მოცემული პირის მიერ გარკვეული სიმძიმის ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილების შესაძლებლობის დასადგენად ექსპერიმენტის ჩატარება არ საჭიროებს ცდების მრავალჯერ წარმოებას.

მაგალითად, ერთ-ერთი ქუჩის კანალიზაციის ჭაში აღმოჩენილ იქნა ტომარაში ნაჭრებად ჩაწყობილი მამაკაცის სხეულის ნაწილები. გამოძიებით დადგინდა მოკლულის ვინაობა, გაირკვა მისი ნაცნობ-მეგობრების წრეც. გამოძიების პროცესში საქმეზე ეჭვმიტანილის სახით დაკითხულმა გ-ეს ნაცნობმა ქალმა ტ-მ უჩვენა, რომ იგი ეჭვიანობდა გ-ს ღალატში, ამიტომ, როდესაც მას გ-ე უკანასკნელად ესტუმრა, გადაწყვიტა მისი მოკვლა. ტ-მ თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, შუაღამისას, როცა გ-ს ჩაეძინა, თავში რამდენჯერმე დაარტყა ნაჯახი, ხოლო შემდეგ დანაშაულის

კვალის დაფარვისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, მან გ-ს სხეული ნაჭრებად დაჭრა და ტომარაში ჩააწყო. შემდეგ გამოიტანა ეს ტომარა და თავისი სახლიდან 500 მეტრის მოშორებით მდებარე კანალიზაციის ჭაში ჩააგდო. მისი ჩვენების სისწორის შესამოწმებლად გამომძიებელმა სათანადო წესების დაცვით ჩაატარა შემდეგი სახის ექსპერიმენტი: მსგავს ტომარაში მოათავსა დაახლოებით იმავე სიმძიმის ტვირთი და ტ-ს წინადადება მისცა აეღო იგი და გადაეტანა განსაზღვრულ ადგილზე, მაგრამ ტ-მ აღნიშნული ტომარა ადგილიდან ვერ დაძრა. მოცემული ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ტ-ე არასწორ ჩვენებას იძლეოდა. განმეორებით დაკითხვისას, ტ-მ, მართლაც შეცვალა თავისი ჩვენება და დაწვრილებით აღწერა, რომ მან თავის საყვარელ დ-სთან ერთად მოკლა გ-ე, შემდეგ დაანაწევრეს იგი და მისი დანაწევრებული სხეული მოათავსეს ტომარაში, იგი დ-მ კანალიზაციის ჭაში ჩააგდო.

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ იმის დასადგენად, მოწმეს ნამდვილად შეეძლო თუ არა მოცემული ადგილიდან დაენახა ეჭვმიტანილი პირი ან გაეგონა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა, ექსპერიმენტით მიღებული მონაცემების მეტი დამაჯერებლობის მისაცემად საჭირო არის ცდის რამდენჯერმე განმეორება. ზოგჯერ ასეთი ცდები შეიძლება ჩატარდეს ცალკეული ეტაპების მიხედვით.

ამრიგად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, შესამოწმებელ გარემოებებთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში იქნეს საგამოძიებო ექსპერიმენტის საცდელი მოქმედებების წარმოება. აქედან განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს საცდელი მოქმდებების მიზანსა და ჩასატარებელ მოქმედებათა პირობებსა და ხასიათს. მთელ რიგ შემთხვევებში იგი უნდა ჩატარდეს იმავე ადგილას, სადაც შესამოწმებელ გარემოებას ჰქონდა ადგილი. ეს განსაკუთრებით აუცილებელია დაცულ იქნეს მაშინ, როცა შესამოწმებელი ქმედება ეხება გარკვეული ადგილიდან ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის დანახვას, ან როცა საჭიროა გაირკვეს, ამა თუ იმ ადგილიდან ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს ნამდვილად შეეძლო თუ არა დაზარალებულის საცხოვრებელ ბინაში გადასვლა, ან სადაც თავდასხმისაგან შეშინებული დაზარალებული დაიმალა და საიდანაც იგი ადევნებდა თვალს თავდამ-

სხმელთა მოქმედებებს; ამასთან, უნდა შეირჩეს ის დრო, რომელიც შეესაბამება შესამოწმებელი ქმედების ჩადენის დროის განათებას, იმ კლიმატურ პირობებს, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა შესამოწმებელი ქმედების ჩადენას. ასევე სმენადობის ფაქტის დასადგენად, საჭიროა იგი ჩატარდეს ისეთსავე (ხმაურიან) პირობებში (მუსიკის ან ხმამაღალი ლაპარაკის პროცესში), როგორსაც ადგილი ჰქონდა შესამოწმებელი მოქმედების ჩადენისას და სხვ.

შემთხვევითობისა და უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, ზემოაღნიშნული სახის თითოეული შესამოწმებელი მოქმედება აუცილებლად უნდა ჩატარდეს რამდენჯერმე. მისი ჩატარება მარტოოდენ ერთხელ მიზანშეუწონელია, რადგან იგი არ გამომდინარეობს თვით ექსპერიმენტის იურიდიული ბუნებიდან.

საცდელი მოქმედებების შემსრულებელი უნდა იყოს არა ექსპერიმენტში მონაწილე, არამედ სულ სხვა პირი. ექსპერიმენტში მონაწილე პირს ევალება დაადასტუროს ის, რაც მან დაინახა ან გაიგონა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

მაშასადამე, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მნიშვნელოვან ტაქტიკურ ხერხებად და სახეობად უნდა ჩაითვალოს: ექსპერიმენტის ჩატარების სრული, ყოველმხრივი მომზადება ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლამდე და ადგილზე მისვლის შემდეგ; ექსპერიმენტის ჩატარებისათვის სათანადო პირობების შერჩევა მისი ჩატარების მიზნისა და ამოცანის გათვალისწინებით; ექსპერიმენტის ჩატარება ცდების სახით (რამდენჯერმე გამეორება, ზოგჯერ მისი ფორმისა და სახეობის შეცვლა); ექსპერიმენტის ჩატარება იმავე პირობებსა და გარემოებებში, რაშიც ადგილი ჰქონდა ექსპერიმენტით შესამოწმებელი ქმედების ან ფაქტის ჩადენას; ექსპერიმენტის ჩატარება (ზოგჯერ) იმავე საგნებისა და ობიექტების გამოყენებით, რითაც ჩადენილი იყო გამოსაკვლევი ქმედება ან ფაქტი და სხვ.

§4. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია

ისევე, როგორც ყველა სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში, ან დაუყოვნებლივ მისი ჩატარების შემდეგ, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროსაც, აუცილებლად შედგენილ უნდა იქნეს ოქმი. სწორედ ოქმია საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცი-

ის ძირითადი საშუალება. რაც შეეხება საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში სქემების, ნახაზებისა და გეგმების შედგენას, აგრეთვე ფოტო და კინოგადაღებებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერების გამოყენებას, ეს შეიძლება ითქვას, საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაციის დამატებითი საშუალებაა, რომელიც ერთგვარად ავსებს მას და უფრო სრულყოფილს ხდის. ექსპერიმენტის შედეგები მხოლოდ ოქმის წყალობით იძენენ მტკიცებულებით მნიშვნელობას. ამიტომ საჭიროა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შედგენისას ზუსტად იქნეს დაცული საგამოძიებო მოქმედებების ოქმების შედგენისათვის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული წესი. ცხადია, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი უნდა შეადგინოს მისმა ჩამტარებელმა (გამომძიებელმა ან პროკურორმა) პირმა.

საქართველოს სსსკ-ის 343-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა აღინიშნოს ის, თუ სად, როდის, რა პირობებში, რა მიზნით, ვისი მონაწილეობითა და თანდასწრებით იქნა იგი ჩატარებული. კონკრეტულად რაში გამოიხატა შემთხვევის, ვითარებისა და გარემოების აღდგენა, რა სახის საცდელი მოქმედებები იქნა ჩატარებული და რა თანმიმდევრობით, ვის მიერ, რამდენჯერ და რა შედეგები იქნა მიღებული.

მაშასადამე, საგამოძიებო ექსპერიმენტის მტკიცებულებითი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულყოფილად მოხდა ექსპერიმენტის მომზადება და ჩატარების პროცესის მთლიანი აღწერა, მისი პროცესუალური გაფორმება, დაცულ იქნა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი და სხვ. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, მთელი სიზუტითა და თანმიმდევრობით აღწერილ უნდა იქნეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ოქმში, რომელიც, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე განვითარების მიუხედავად (სქემების, გეგმების, აუდიო და ვიდეოგადაღებების და სხვ.), ამ საგამოძიებო მოქმედებების მტკიცებულებითი მნიშვნელობის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა აღინიშნოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი და საფუძველი, გარემოება და პირობები, შეესაბამება თუ არა იგი ექსპერიმენტით შესამოწმებელი შემთხვევის გარემოებას, რამდენჯერ იქნა იგი ჩატარებული ცდების სახით და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი ტარდება სმენადობის, ხილვა-

დობის ან სხვა მსგავსი სუბიექტური თვისებების გამომხატველი რაიმე ფაქტის დასადგენად, ასეთ დროს მიზანშეწონილია საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში აისახოს პირის მონათხრობი იმ გარემო-ვითარების შესახებ, რომლის შესამოწმებლადაც ტარდება ეს მოქმედება. მასში უნდა აისახოს ისიც, მოხდა თუ არა ექსპერიმენტის ჩატარებისას გამოსაკვლევი შემთხვევის დროს გამოყენებული რომელიმე საგნის, ობიექტის ან გარემო-პირობების შეცვლა, რაში და რა თანმიმდევრობაში გამოიხატა იგი და ამან იმოქმედა თუ არა ექსპერიმენტის შედეგებზე; როგორი იყო ექსპერიმენტში მონაწილე პირთა განლაგება; როგორი იყო პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. ექსპერიმენტის შედეგები; ჰქონდა თუ არა ადგილი ექსპერიმენტში მონაწილე პირთაგან ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებით რაიმე განცხადების გაკეთებას და გათვალისწინებულ იქნა თუ არა იგი განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებისას და სხვ.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა განვასხვაოთ სამი ნაწილი: **შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი, ანუ სარეზოლუციო ნაწილი.**

ექსპერიმენტის ოქმის **შესავალ ნაწილში** ნაჩვენები უნდა იყოს, თუ სად და როდის იქნა იგი ჩატარებული, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, თუკი იგი შედგენილ იქნა მისი ჩატარების დამთავრების შემდეგ. ხოლო თუ ოქმი შედგება უშუალოდ მისი ჩატარების პროცესში, მაშინ იმ გარემოებათა შესახებ, სასურველია, მიეთითოს ოქმის დასკვნით ნაწილში, რადგან წინასწარ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როდის დამთავრდება იგი. შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე ოქმის შემდგენი თანამდებობის პირის ვინაობა, მისი თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი, ექსპერიმენტში მონაწილე თითოეული პირის გვარი, სახელი და მამის სახელი. სასურველია, მიეთითოს მათი საცხოვრებელის ან სამუშაო ადგილის მისამართიც.

ოქმის შესავალ ნაწილში ნაჩვენებ უნდა იქნეს აგრეთვე ის, რომ ექსპერიმენტში მონაწილე პირები — მოწმეები და დაზარალებულნი (რომელთა ჩვენების შემოწმებისა და დაზუსტების მიზნითაც ტარდება ექსპერიმენტი) გაფრთხილებულ იქნენ წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასა და ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობაზე. თუ ექსპერიმენტი ტარდება მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტა-

ნილის ან ბრალდებულის ჩვენების შესამოწმებლად, მაშინ რეკომენდებულია, ოქმის შესავალ ნაწილში მიეთითოს მათი ჩვენების მოკლე შინაარსზეც. აქვე საჭიროა ნაჩვენები იყოს ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი, ექსპერიმენტში მონაწილე თითოეული პირის ამოცანა. სასურველია მიეთითოს იმაზეც, რომ ექსპერიმენტში მონაწილე პირებს ჩაუტარდათ სათანადო ინსტრუქტაჟი და განემარტათ მათი უფლებამოვალეობები. საჭიროა იქვე მიეთითოს იმაზე, მოხდა თუ არა გარემოებისა და ვითარების აღდგენა და რაში გამოიხატა იგი.

აღწერილობით ნაწილში ნაჩვენები უნდა იყოს ექსპერიმენტის ჩატარების მთლიანი პროცესი, კერძოდ: ექსპერიმენტის ჩატარების პირობები, ექსპერიმენტში მონაწილე პირთა განლაგება მისი დაწყების წინ, მათი ურთიერთდამაკავშირებელი სიგნალები, ჩატარებული ცდების მრავალჯერადობის აღწერა, მასში მონაწილე პირთა მითითებებით, საცდელი მოქმედებების ხანგრძლივობა, შინაარსი და თანმიმდევრობა. აქვე უნდა აღიწეროს და მიეთითოს იმაზე, თუ რა სახის საცდელი მოქმედება, რა თანმიმდევრობით, რამდენჯერ და ვის მიერ იქნა შესრულებული და რა შედეგი იქნა მიღებული.

საჭიროა იქვე მიეთითოს იმაზეც, თუ რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული. მაგალითად, თუ ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში გამოყენებულ იქნა ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებები კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და საშუალებებით, მაშინ რეკომენდებულია მიეთითოს: ფოტო, კინო და ვიდეოაპარატის სახელწოდება, გადაღებისათვის გამოყენებული ხერხები და პირობები. თუ ფოტო ან კინოგადაღება მოხდა ხელოვნური განათების პირობებში, მაშინ უნდა მიეთითოს იმაზეც, თუ რამდენი ნათურა იქნა გამოყენებული და როგორი იყო მათი განლაგება, საიდან, რომელი მხრიდან მოხდა ფოტო ან კინოგადაღება, რა სახისა და რა მგრძნობიარე ფოტო ან კინოფირზე, რამდენი კადრი იქნა გადაღებული ფოტოფირზე, როგორი იყო მათი ფოტოექსპოზიცია და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს კინოფირზე აღბეჭდილი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ცალკეული მომენტები და ობიექტები, კინოგადაღების დროს გამოყენებული ხერხები და მეთოდები. თუ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში გამოყენებულ იქნა ხმის ჩამწერი აპარატურა (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი ან მოხდა აუდიო და ვიდეოჩაწერა უახლესი აპარატურით და სხვ.), მაშინ აქაც

ზემოაღნიშნული ფოტო და კინოგადაღებათა ფიქსაციის მსგავსად დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი მათი გამოყენების პირობები და საშუალებები.

ოქმს თან უნდა დაერთოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას შედგენილი გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ხმის ჩანაწერი, კინო, ვიდეოჩანაწერი, ექსპერიმენტული გზით დამზადებული ტვიფარი და ანაბეჭდი და ყოველივე ეს დადასტურებულ უნდა იქნეს ექსპერიმენტის ჩამტარებელი პირისა და მასში მონაწილე პირების ხელმოწერით.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის დასკვნით ნაწილში რეკომენდებულია მიეთითოს მასში მონაწილე პირების იმ განცხადებაზე, რომლებიც მათ გააკეთეს ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში ან მისი დამთავრების შემდეგ, ან უშუალოდ ოქმის გაცნობის შემდეგ. თუ ექსპერიმენტების შედეგების გახმაურებას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიების მსვლელობაზე, მაშინ ექსპერიმენტის ჩამტარებელმა პირმა უნდა გააფრთხილოს ექსპერიმენტში მონაწილე პირები, რომ ისინი პასუხს აგებენ წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებაზე და საჭიროა ამის შესახებ იქვე იქნეს მითითებული. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მისმა შემდგენმა თანამდებობის პირმა და მასში მონაწილე ყველა პირმა.

მტკიცებულებითი თვალსაზრისით საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების შეფასებისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, მისი ჩატარების პროცესში სრულყოფილად იქნა თუ არა დაცული და გამოყენებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული წესი და კრიმინალისტიკური მეცნიერებით რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები. თუ დადგინდება, რომ ასეთ დარღვევას ადგილი ჰქონდა, მაშინ მის მტკიცებულებით მნიშვნელობაზე საუბარიც კი არ შეიძლება. ასეთ დროს, თუ შესაძლებელია, მიზანშეწონილი იქნება მოხდეს მისი ხელახალი განმეორებითი ჩატარება საგანგებოდ შერჩეულ გარემო-პირობებში სხვა დამსწრე პირების მონაწილეობით.

ვინაიდან ზემოაღნიშნული სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება გარკვეულწილად დაკავშირებულია აგრეთვე პიროვნების სუბიექტური თვისებების გამოკვლევასთან, მისი შედეგების შეფასებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ექსპერიმენტის ჩატარებისას სხვა სავალდებულო პირობებთან ერთად დაცულ და გათვალისწინებ-

ულ იქნა თუ არა ის პირობები, გარემოებები და ფაქტორები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ექსპერიმენტით შესამოწმებელი პირის ფსიქიკურ განწყობაზე და სხვ. ექსპერიმენტის შედეგების შეფასებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ისიც, რომ იგი ტარდება გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების ან ფაქტის დასადგენად და არა მარტოოდენ მის შესამოწმებლად.

ექსპერიმენტით მიღებული შედეგები თავისთავად ახალი მტკიცებულების ძალას იძენს, რადგან ამით ვახდენთ იმის გამოკვლევას, მოცემულ გარემოებას შეიძლებოდა თუ არა ჰქონოდა ადგილი სინამდვილეში. მაგალითად, თუ ექსპერიმენტი ტარდება იმის გასარკვევად კედლის გამონგრეული ხვრელიდან შეიძლებოდა თუ არა გარკვეული მოცულობის მქონე საგნის გატანა და ეს საგანი მასში არ გაეტია, ამ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში მითითებული ასეთი შედეგი თავისთავად ახალი მტკიცებულებაა და ამით უარყოფილ იქნა მტკიცება ამ გატაცებული საგნების საწყობის კედლის გამონგრეული ხვრელიდან გატანის შესაძლებლობის შესახებ. ასევე, ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში, როცა ბრალდებულმა ტ-ემ, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული გ-ეს მკვლელობისათვის და აღიარა კიდეც მისი ჩადენა, გვამის აჩეხვა, ტომარაში ჩადება და სახლიდან მისი გატანა ყოველგვარი ტექნიკის გამოყენების გარეშე, დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით, არსებულ საკანალიზაციო ჭაში ჩაგდება, როცა მას ექსპერიმენტის ჩასატარებლად წინადადება მიეცა, მოეხდინა დაზარალებულის გვამის წონის შესაბამისი ტომრის აკიდება და მისი გადატანა გვამის აღმოჩენის ადგილამდე, მან არამცთუ ვერ შეძლო მისი გადატანა, არამედ ადგილიდანაც ვერ დაძრა იგი. როცა ექსპერიმენტში მონაწილე პირების დახმარებით მას ზურგზე აჰკიდეს ანალოგიური სიმძიმის ეს ტომარა, იგი ადგილზე ჩაიკეცა და ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო. ამით, ცხადია, მიღებულ იქნა ახალი მტკიცებულება, რითაც უარყოფილ იქნა მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე და მხილებულ იქნა არასწორი ჩვენების მიცემაში, რამაც არსებითად შეუწყო ხელი მოცემული მკვლელობის გახსნასა და მასზე ჭეშმარიტების დადგენას.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის საგამოძიებო ექსპერიმენტი და რაში მდგომარეობს მისი არსი და მნიშვნელობა?

2. როგორია საგამოძიებო ექსპერიმენტის განვითარების ისტორია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და საგამოძიებო პრაქტიკის მიხედვით?

3. რას ნიშნავს და რაში გამოიხატება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი?

4. რაში მდგომარეობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი და ამოცანები?

5. საგამოძიებო ექსპერიმენტით შეიძლება თუ არა ახალი მტკიცებულების მიღება?

6. რამდენად სწორი და ამომწურავია საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება?

7. როგორაა ჩამოყალიბებული საგამოძიებო ექსპერიმენტის სახეების კლასიფიკაცია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში?

8. რა განსხვავებაა საგამოძიებო ექსპერიმენტსა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და ჩვენების ადგილზე შემოწმებას შორის?

9. რაში მდგომარეობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა?

10. რა მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს შესრულებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად?

11. რა შემთხვევაში უნდა მოხდეს ექსპერიმენტის ჩასატარებლად იმავე პირობებისა და გარემოებების შერჩევა რა გარემოებაშიც იქნა ჩადენილი საცდელი მოქმედება?

12. რა თავისებურებებით ხასიათდება საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება მისი ჩატარების ადგილზე მისვლამდე?

13. როგორ და რა შემთხვევაში უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროის, ადგილისა და გარემო-პირობების შერჩევა?

14. რა შემთხვევაში არ შეიძლება ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერიმენტი?

15. საჭიროა თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება, ან მოსამართლის ბრძანება?

16. რა საკითხების გადასაწყვეტად შეიძლება ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერიმენტი?

17. რა სახის მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს შესრულებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად მისი ჩატარების ადგილზე მისვლის შემდეგ?

18. რაში მდგომარეობს საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესუალური წესი?

19. რა სახის ტაქტიკური ხერხები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები გამოიყენება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს?

20. როგორ უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესუალური გაფორმება?

21. როგორია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ოქმის სტრუქტურა?

22. რა საკითხები უნდა იქნეს შეტანილი საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შესავალ, აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილში?

23. როგორ უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების შეფასება?

თავი XIV. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა

§1. ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება, არსი და მნიშვნელობა

ა) *ჩვენების ადგილზე შემოწმების არსი და მნიშვნელობა.* წარსულში მომხდარი გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის აღდგენა საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, უაღრესად რთული პროცესია, რომელიც გამომძიებლისაგან მოითხოვს დაძაბულ გონებრივ და ფიზიკურ შრომას და საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში, კონკრეტულ სიტუაციათა მიხედვით, კრიმინალისტიკური მეცნიერებით რეკომენდებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და გარკვეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდების სწორად გამოყენებას.

დანაშაულთა გახსნისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საქმეში გარკვეული როლი ეკუთვნის ჩვენების ადგილზე შემოწმების სწორად ჩატარების ტაქტიკას. იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გამოსაძიებელ საქმეზე დაკითხულ პირთა ჩვენებების შემოწმება, ახალ მტკიცებულებათა მიღება, დანაშაულის გახსნისათვის მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებების დადგენა და, საერთოდ, დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმის სრულყოფილად ახსნა.

ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველად აღმოცენდა ორმოცდაათიანი წლების შემდგომ პერიოდში, როგორც მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენების შემოწმების ტაქტიკური ხერხი და მას განიხილავდნენ, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკურ ხერხს ან მის ნაირსახეობას. ამჟამად იგი დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებადაა აღიარებული თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 344-ე, 345-ე, 346-ე მუხლებით. იგი ცალკე დამოუკიდებელ თემადაა შეტანილი კრიმინალისტიკის სასწავლო პრო-

გრამაში და 80-იანი წლების შემდგომ პერიოდში გამოცემულ კრიმინალისტიკის ყველა სახელმძღვანელოში. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმების ტაქტიკამ სამართლიანად დაიმკვიდრა თავისი კანონიერი ადგილი კრიმინალისტიკურ ლიტერატურასა და საგამოძიებო პრაქტიკაში და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადრე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ცალკე დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად არ იყო აღიარებული, კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამით იგი მაინც ცალკე თემად იყო გათვალისწინებული.

ჩვენების ადგილზე შემოწმება მოიცავს გამოსაძიებელ საქმეზე მიღებული მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებათა შემოწმებას მათ მიერ მიცემულ ჩვენებებში მითითებულ შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში. იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ზემოაღნიშნულ პირთა ჩვენებების სისწორის შემოწმება, ახალ მტკიცებულებათა მიღება და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ რეკომენდებულ ამ მოქმედების ჩატარებას ადრეც ხშირად მიმართავდნენ საგამოძიებო პრაქტიკის მუშაკები, განსაკუთრებით კი მკვლელობის, ყაჩაღური თავდასხმის, მექრთამეობის, ქურდობის, გაუპატიურებისა და სხვა საშიშ დანაშაულთა გამოძიების დროს, მაგრამ, ვინაიდან იგი ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, ისინი გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდებოდნენ მისი პროცესუალური გაფორმების დროს და მასზე ადგენდნენ საგამოძიებო ექსპერიმენტის ან შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოცნობის ოქმებს, რაც, ცხადია, არასწორი იყო. ჩვენების ადგილზე შემოწმება იყო და არის მტკიცებულების მიღების სრულიად ახალი საშუალება და არა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან საგამოძიებო ექსპერიმენტის ნაირსახეობა.

ბ) *ჩვენების ადგილზე შემოწმების აღმოცენება, განვითარება, მიზნები და ამოცანები.* ამ საგამოძიებო მოქმედების აღმოცენება და განვითარება ერთგვარად წააგავს საგამოძიებო ექსპერიმენტის განვითარების ისტორიას. მან სწორედ საგამოძიებო ექსპერიმენტის მსგავსად თავისი განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. იგი პირველად აღმოცენდა

და საგამოძიებო პრაქტიკაში დაინერგა, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხი ან მისი ნაირსახეობა, მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე გაყვანის სახით. იგი კრიმინალისტთა მიერ თავიდანვე აღიარებულ იქნა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, მაგრამ 1960-იან წლებში საპროცესო კანონმდებლობის მიღებამდე იგი არც ერთი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ იყო გათვალისწინებული დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად. იგი ასევე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დამოუკიდებელი სახის პროცესუალურ მოქმედებად, მაგრამ მან მაინც უაღრესად დიდი გამოყენება პოვა საგამოძიებო პრაქტიკაში.

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახელწოდებით გვევლინება, მაგრამ მისი მიზანი ყოველთვის იყო და არის მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების შემოწმება ადგილზე ფაქტობრივ გარემოებასთან შეპირისპირებით და ამით ახალ მტკიცებულებათა მიღება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მსგავსად, კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნების, ამოცანებისა და მისი იურიდიული ბუნების შესახებ. ეს დავა ნაწილობრივ დღესაც გრძელდება. ამის საფუძველს სსსკ-ის 344-ე მუხლის რედაქციაც იძლევა, რადგან ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შედეგების მტკიცებულებად მიჩნევა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტით დამოკიდებულია იმაზე, შეიძლება თუ არა ამ პირის ინფორმირებულობა გარკვეული შემთხვევის, საგნის ან ფაქტის შესახებ აიხსნას დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობით.

ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგების მტკიცებულებითი მნიშვნელობის ასეთი ორაზროვანი გაგება არასწორია. ადრე დაკითხული მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვით, თავისი შედეგებით მტკიცებულებითი მნიშვნელობისაა. ამიტომ ამ მოქმედების მიზანი მარტოოდენ მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტა-

ნილის ან ბრალდებულის ჩვენების უბრალოდ შემოწმება კი არაა, არამედ ახალ მტკიცებულებათა მიღებაც.

კრიმინალისტთა და პროცესუალისტთა ერთი ნაწილი ჩვენების ადგილზე შემოწმების აღმოცენებასა და მის პრაქტიკაში დანერგვას თავიდანვე არასწორად შეხვდა და მოითხოვა საგამოძიებო პრაქტიკიდან მისი აღმოფხვრა. ასე მაგალითად, ჩვენების ადგილზე შემოწმების, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებად აღიარებისა და საგამოძიებო პრაქტიკაში მისი დანერგვის წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა პროფ. მ. სტროგოვიჩმა და გ.ალექსანდროვმა, რომლებმაც 1960 წელს ჟურნალ „სოციალისტურ კანონიერებაში" (№3, გვ. 20-27) გამოაქვეყნეს წერილი სათაურით „არასწორი პრაქტიკა". ამ წერილის ავტორებმა ჩვენების ადგილზე შემოწმება მიიჩნიეს კანონიერების დარღვევად. მათი აზრით, იგი არის შემთხვევის ადგილის განმეორებითი დათვალიერება და არა რაიმე ახალი სახის საგამოძიებო მოქმედება.

ასეთსავე აზრს ავითარებდა პროფესორი ბ.ხარაზიშვილი თავის მონოგრაფიაში „დამნაშავის ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სამართალში" და 1969 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში (გვ. 219). კერძოდ, მისი აზრით, ჩვენების ადგილზე შემოწმება სხვა არა არის რა, თუ არა შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ექსპერიმენტისა და ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური ხერხი. ამიტომ იგი არასწორად მიიჩნევს ჩვენების ადგილზე შემოწმების გამოყოფას ცალკე დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობდა აგრეთვე აზრი, რომლითაც ჩვენების ადგილზე შემოწმება მიჩნეული იყო საგამოძიებო ექსპერიმენტად ან მის ნაირსახეობად, ამოცნობად ან შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის განმეორებით დაკითხვად. ასეთი მოსაზრება ჯერ კიდევ ადრე წამოაყენა და მის დასაბუთებას შეეცადა ვ.კოლმაკოვი, რომელმაც 1958 წელს ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავოში" (№1) გამოაქვეყნა სტატია „საგამოძიებო ექსპერიმენტის ტაქტიკური მიზნებისა და სახესხვაობათა ბუნების საკითხის შესახებ". ასეთსავე აზრს ავითარებდა მ.მ.გროდზინსკი თავის შრომაში „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი და კრიმინალისტიკა", რომელიც მან გამოაქვეყნა „ვოპროსი კრიმინალისტიკის" პერიოდულ გამოცემაში 1961 წელს (№1-2).

რუსი კრიმინალისტების უმრავლესობა კი (ა. ვასილევი, ს. სტეპიჩევი, ა. რატინოვი, ი.ბიხოვსკი და სხვ.) ჩვენების ადგილზე შემოწმებას

მართებულად მიიჩნევდა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად, რომელიც თავისი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებებით არსებითად განსხვავდება ყველა სახის საგამოძიებო მოქმედებისაგან.

გ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ცნება. საქართველოს სსსკ-ის 344-ე მუხლის თანახმად, ჩვენების ადგილზე შემოწმება შეიძლება ჩატარდეს იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ იქნეს საგანი, დოკუმენტი, კვალი, რომლის ადგილსამყოფელი ცნობილია პირისათვის, რომლის ჩვენებაც მოწმდება; დაზუსტდეს ადგილი, სადაც გამოძიებისას აღმოჩენილი იყო საგანი, დოკუმენტი, გვამი ან კვალი; გამოვლინდეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ადგილი ან მარშრუტი, ერთი და იმავე გარემოების შესახებ რამდენიმე პირის ჩვენების დამთხვევა ან განსხვავება; აგრეთვე შემოწმდეს ჩვენების უტყუარობა მისი აღდგენისა და შემთხვევის ვითარებასთან შეჯერების გზით.

ამავე მუხლის თანახმად, პირმა, რომლის ჩვენებაც მოწმდება, შემთხვევის ადგილზე უნდა მისცეს განმარტება სათანადო მოქმედებათა დემონსტრირებით მის მიერ ადრე მიცემული ჩვენების დასაზუსტებლად.

ამრიგად, ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, შეიძლება ჩატარდეს მაშინ, როცა აუცილებელია ადრე დაკითხული პირის (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის) ჩვენების სისწორის შემოწმება ადგილზე ფაქტობრივ გარემოებასთან შეპირისპირებით. ამ მოქმედების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამომძიებელს ამ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირების თანდასწრებით გაჰყავს შემთხვევის ადგილზე პირი, რომლის ჩვენება უნდა შემოწმდეს ადგილზე ფაქტობრივ გარემოებასთან შეპირისპირებით, რომლის დროსაც იგი ახდენს არა მარტო უბრალო თხრობას შესამოწმებელი ფაქტის ან გარემოების შესახებ, არამედ ხსნის და უჩვენებს კიდეც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას. მაგალითად, ასეთ დროს ბრალდებული არა მარტო განმარტავს იმას, თუ სად და როგორ ჩაიდინა დანაშაული, არამედ უჩვენებს კიდეც ადგილზე დარჩენილ დანაშაულის ჩადენის კვალს, დანაშაულის ჩადენის იარაღებს და სხვ.

ჩვენების ადგილზე შემოწმებით შეიძლება გაირკვეს:

1. ნამდვილად არსებობს თუ არა ის ადგილი და გარემოება, რომლის შესახებაც მოგვცა ჩვენება ადრე დაკითხულმა პირმა;

2. დადგინდეს დანაშაულის ჩადენის ადგილი, როცა იგი ჩადენილია ტყეში, მინდორში ან სხვა ისეთ ადგილას, რომელზეც დაკითხული პირი ჩვენებაში ზუსტად ვერ მიუთითებს, მაგრამ აღწერს იმ ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელ გარემოებებს;

3. დადგინდეს გვამის, დანაშაულის ჩადენის იარაღების ან სხვა მტკიცებულებათა ადგილსამყოფელი;

4. დადგინდეს გზა, საიდანაც მივიდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ეჭვმიტანილი ან ბრალდებული დაზარალებულთან ან დანაშაულში მონაწილე სხვა პირთან, მათი შეხვედრის ადგილი და სხვ.;

5. დადგინდეს ადგილი, სადაც ეჭვმიტანილი ან ბრალდებული შეხვდა დაზარალებულს ან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირებს;

6. დადგინდეს რა მოქმედებები ჩაიდინა ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ;

7. დადგინდეს დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, დანაშაულის ჩადენის პროცესში გამოყენებული ხერხები და საშუალებები;

8. გაირკვეს და აიხსნას მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები, დანაშაულის ჩადენის ადგილის, დანაშაულში მონაწილე პირთა ურთიერთშეხვედრის ადგილის გარემოებათა შესახებ და სხვ.

როგორც წესი, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩასატარებლად აუცილებელი არაა გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საცხოვრებელ სადგომში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ ტარდება ჩვენების ადგილზე შემოწმება, მაშინ სსსკ 344-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საჭიროა მიღებულ იქნეს მოსამართლის ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმება არის კრიმინალისტიკური მეცნიერებით შემუშავებული და სსსკ-ით რეკომენდებული ისეთი დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება გამოსაძიებელ საქმეზე მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების შემოწმების, დაზუსტებისა და ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით ადრე დაკითხულ პირთა შესამოწმებელ ადგილზე გაყვანითა და მათი ჩვენების ადგილზე ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში.

§2. ჩვენების ადგილზე შემოწმების განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი იურიდიული ბუნებით უფრო ახლოსაა საგამოძიებო ექსპერიმენტთან და შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ პროცესუალისტთა და კრიმინალისტთა ერთი ნაწილი მას საგამოძიებო ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობად მიიჩნევდა.

ჩვენების ადგილზე შემოწმებას, მართალია, აქვს საგამოძიებო ექსპერიმენტისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ მათ შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება. ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჩატარების ტაქტიკითაც.

მართალია, ისევე როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას, ჩვენების ადგილზე შემოწმების დროსაც გამომძიებელია ამ მოქმედების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, მაგრამ საგამოძიებო ექსპერიმენტისაგან მცირეოდენი განსხვავებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში გამომძიებლის აქტიური როლი, შეიძლება ითქვას, მისი ჩატარების პირველსავე მოსამზადებელ ეტაპზე ამოიწურება. უშუალოდ მისი ჩატარების პროცესში კი იგი უფრო პასიურია და უბრალო მაყურებლის როლში გვევლინება, რომლის დროსაც ყოველგვარი ცდების, ანალიზისა და სინთეზის გარეშე ახდენს ნანახის ოქმში ფიქსირებას.

ჩვენების ადგილზე შემოწმებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტს შორის არსებული ძირითადი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტს, როგორც წესი, ატარებენ გარკვეულ პირობებსა და გარემოებებში ამა თუ იმ ფაქტის ან შემთხვევის არსებობის შესაძლებლობის ან შეუძლებლობის დასადგენად. ჩვენების ადგილზე შემოწმებას კი იმის დასადგენად, თუ როგორ, რა გარემოებაში და სად მოხდა გამოსაძიებელი შემთხვევა ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დასადგენი გარემოება და შეესაბამება თუ არა დაკითხული პირისაგან მიღებული ჩვენება ადგილზე არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტისათვის აგრეთვე დამახასიათებელია და, მთელ რიგ შემთხვევაში, აუცილებელია მომხდარი შესამოწმებელი ფაქტის ან გარემოების პირვანდელი სახით გარემო-ვითარების აღდგე-

ნა და მისი ჩატარება ცდების წარმოებით. ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის კი ასეთი რამ საერთოდ დამახასიათებელი არაა. იგი ტარდება ადგილზე ობიექტურად არსებულ მონაცემებთან (ადრე მიცემული ჩვენების) უბრალო შეპირისპირებით, ყოველგვარი გარემო-ვითარების აღდგენის გარეშე, თუკი ასეთი ჩვენების შემოწმება არ მიმდინარეობს ჩვენებაში მითითებულ გარემოებათა რეკონსტრუქციის შემდეგ. ამასთან, ჩვენების ადგილზე შემოწმებისას აუცილებელია მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მონაწილეობა. ექსპერიმენტის ჩატარების დროს კი მათი მონაწილეობა აუცილებელი არაა. იგი შეიძლება ჩატარდეს მათ გარეშეც.

საგამოძიებო ექსპერიმენტისაგან ჩვენების ადგილზე შემოწმება განსხვავდება აგრეთვე თავისი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებითა და პროცესუალური გაფორმებით.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება ასევე არსებითად განსხვავდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან თავისი ჩატარების ტაქტიკური ხერხებით.

მაგალითად, ჩვენების ადგილზე შემოწმებისათვის სრულიად უცხოა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ისეთი ტაქტიკური ხერხები, როგორიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერების საზღვრების განსაზღვრა და იმის გარკვევა, თუ საიდან იქნა დაწყებული დათვალიერება — ცენტრიდან თუ პერიფერიიდან, შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკური და დინამიკური სტადია და სხვ. გარდა ამისა, ჩვენების ადგილზე შემოწმება ტარდება მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულისაგან მიღებული ჩვენების შემოწმების მიზნით, მათი უშუალო მონაწილეობითა და თხრობით ჩვენების ადგილზე ობიექტურად არსებულ მონაცემებთან შეპირისპირებით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს კი მათი მონაწილეობა და თხრობა აუცილებელი არაა. ამავე დროს, შემთხვევის ადგილის დათვალიერება წარმოუდგენელია დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილის გარეშე. ჩვენების ადგილზე შემოწმება კი შეიძლება ჩატარდეს არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილზე, არამედ მოწმის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაზარალებულთან შეხვედრის, მასთან გაცნობის ადგილის ან თვით დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის დასადგენადაც. მაგალითად, მექრთამეობის გამოსაძიებელ საქმეზე, ქრთამის

მიცემა-აღების ფაქტის დასადგენად შეიძლება საჭირო გახდეს არა მარტო ქრთამის მიმცემის, არამედ ამ ფაქტის დამადასტურებელ მოწმეთა ჩვენების შემოწმებაც ადგილზე ობიექტურ მონაცემებთან შეპირისპირებით.

ასე, მაგალითად, მექრთამეობის ერთ-ერთ საქმეზე მოწმედ დაკითხულმა ქრთამის მიმცემმა გ-ემ და ამ ფაქტის დამსწრე პირებმა ცემ და ტ-ემ თავიანთ ჩვენებაში მიუთითეს, რომ ისინი ქრთამის ამღებ დ-ეს შეხვდნენ გმირთა მოედანზე, ჩასხდნენ მის მანქანაში და გაემართნენ ვაკის მიმართულებით. გზაში მათ ისაუბრეს გ-ეს სამსახურებრივი საქმიანობის მოგვარებაზე. შემდეგ დ-ემ გააჩერა მანქანა და ისინი სახლში მიიპატიჟა. შევიდნენ სახლში და იქ გაგრძელეს საუბარი. წამოსვლის წინ გ-ემ გადასცა დ-ეს ქაღალდში შეხვეული 5000 (ხუთი ათასი) მანეთი. დაკითხვისას დ-ემ არა მარტო უარყო გ-ესაგან ქრთამის აღება, არამედ საერთოდ უარყო მათთან შეხვედრა და თავის ბინაში მათი სტუმრობაც. საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მოხდა გ-ეს, ც-ესა და დ-ეს დეტალური დაკითხვა, რა დროსაც მათ ჩვენებებში გამოიკვეთა წინააღმდეგობები. შემდეგ ჩატარდა მათი ჩვენების ადგილზე შემოწმება ცალ-ცალკე. თითოეულმა მათგანმა ჩვენების ადგილზე შემოწმებისას მიუთითა დ-ესთან შეხვედრის სხვადასხვა ადგილი და მანქანაში მათი ჯდომის სხვადასხვა განლაგება. მათ აგრეთვე დ-ეს სახლის შესასვლელის სხვადასხვა სადარბაზოზე მიუთითეს. მათ ასევე, დ-ეს ბინაში სკამებზე თავიანთი ჯდომისა და მასში არსებული საგნების სხვადასხვა განლაგებაზე მიუთითეს. ამ პირთა ჩვენების ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ მათ დ-ეზე ქრთამის გადაცემის შესახებ გააკეთეს ცრუ, არასწორი განცხადება და შეეცადნენ მოეხდინათ მისი სახელის გატეხვა.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკური თავისებურებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი და იმავე გარემოებაზე რამდენიმე მოწმის ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე სხვადასხვა დამსწრე პირების თანდასწრებით.

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებით ასევე არსებითად განსხვავდება ამოცნობისაგან.

სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებისაგან ჩვენების ადგილზე შემოწმების ზემოაღნიშნული განმასხვავებელი თავისებურებანი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ იგი არის სრულიად

ახალი, დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არსებითად განსხვავდება ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ტაქტიკური ხერხისაგან და, მაშასადამე, ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედებისაგან. ამიტომ, ჩვენების ადგილზე შემოწმების გათვალისწინება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად სწორი და ლოგიკურია.

§3. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა

ამ საგამოძიებო მოქმედების სწორად და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად საჭიროა გამომძიებელმა (ან მისმა ჩამტარებელმა სხვა პირმა — სასამართლომ, პროკურორმა ან მომკვლევმა) გაითვალისწინოს მისი ჩატარების პირობები და კრიმინალისტიკური მეცნიერებით რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები, რომლებიც იმავე დროს არ შეიძლება იყოს კანონსაწინააღმდეგო. ე.ი. იგი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ამცირებს მასში მონაწილეთა და გარშემო მყოფ პირთა ღირსებას და საშიში არ არის მათი ჯანმრთელობისათვის და თუ პირი, რომლის ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს ადგილზე ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში, მისი ჩატარების წინააღმდეგი არ არის. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოებაც საქართველოს სსსკ-ის 344-ე მუხლის მე-5 პუნქტის რედაქციით დაძლეულია, რადგან ამ მუხლით რეკომენდებულია საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება მოსამართლის ბრძანებით.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს დასაშვები ტაქტიკური ხერხების გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 345-ე მუხლით დადგენილ წესს. ამ მუხლის თანახმად, ეს საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩაატაროს გამომძიებელმა ან პროკურორმა. მასში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სპეციალისტი და ექსპერტი. რაც შეეხება ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და დამცველს, მათი მონაწილეობა რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება ტარდება მათი შუამდგომლობით. ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაწყე-

ბის წინ მისმა ჩამტარებელმა (გამომძიებელმა ან პროკურორმა) უნდა წაიკითხოს შესამოწმებელი ჩვენება მასში მონაწილე ყველა პირის თანდასწრებით და ჩვენების მიმცემ პირს წინადადება მისცეს დაადასტუროს ან დააზუსტოს მის მიერ ადრე მიცემული ჩვენება. დამსწრე პირებს კი განუმარტავს ამ მოქმედების ჩატარების წესსა და მიზანს.

იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება ტარდება მოწმის ან დაზარალებულის მიერ ადრე მიცემული ჩვენების შემოწმების მიზნით, გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა გააფრთხილოს, რომ ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ამასთან, მათ უნდა განუმარტოს ისიც, რომ მათ უფლება აქვთ არ მისცენ ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ერთდროულად რამდენიმე პირის ჩვენების ადგილზე შემოწმება არ შეიძლება. ისევე როგორც დაკითხვის, ამ მოქმედების ჩატარების დროსაც, იმ პირის მიმართ, ვისი ჩვენებაც მოწმდება, არ შეიძლება მისახვედრი კითხვების დასმა. კანონით დადგენილია აგრეთვე ამ მოქმედებაში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობა. კერძოდ, ის, რომ მათ უფლება აქვთ დასვან კითხვები, მოითხოვონ ამ მოქმედების განმეორება, მონაწილეობა მიიღონ აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის ან კვალის დათვალიერებაში და მისი ჩამტარებელი პირის ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებაზეც. ამასთან, თუ შემოწმებით აღმოჩენილ იქნება საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე საგანი, კვალი ან დოკუმენტი, იგი დათვალიერებულ და ამოღებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ზემოაღნიშნული წესით ამ მოქმედების ჩამტარებელ სუბიექტთა წრე რატომღაც შეზღუდულია. მაშინ როცა მისი ჩატარება თავისუფლად შეიძლება მიენდოს აგრეთვე სასამართლოსაც. საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაც ამ სწორ პოზიციაზე დგას. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ეს კანონის ხარვეზია და იგი უნდა გამოსწორდეს.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებისათვის რეკომენდებული ტაქტიკური ხერხები მისი ჩატარების პროცესის განვითარების მიხედვით, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია დაიყოს ორ ჯგუფად: ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მომზადებისა და მისი ჩატარების პროცესში გამოსაყენებელ საჭირო ტაქტიკურ ხერხებად.

ა) *ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მომზადება.* ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დაწყებამდე საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის მოსამზადებელი ღონისძიებები:

1) დეტალურად იქნეს დაკითხული პირი იმ გარემოებების, პირობებისა და წყაროების შესახებ, რომელზეც გვაწვდის ინფორმაციას;

2) დეტალურად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული მისგან მიღებული ჩვენება;

3) გაირკვეს თანახმაა თუ არა იგი, მიიღოს მონაწილეობა თავისი ჩვენების შემოწმებაში მის მიერ მითითებული შემთხვევის ადგილზე არსებულ გარემოებებთან შეპირისპირებაში;

4) განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მიზნები და ამოცანები;

5) შეირჩეს და განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დრო და მისი დაწყების ადგილი;

6) შეირჩეს და განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილე პირთა წრე სპეციალისტისა და ექსპერტის მოწვევის სახით;

7) ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მათი დამცველისა და მათივე დაცვის მიზნით შეირჩეს და მოწვეულ იქნეს ოპერატიული ჯგუფი;

8) შეირჩეს და მომზადდეს საჭირო სატრანსპორტო საშუალება;

9) შეირჩეს და მომზადდეს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები (საგამოძიებო პორტფელი, ფოტო და კინოგადაღების და აუდიო და ვიდეოჩანაწერისათვის საჭირო აპარატურა და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები) და სხვ.

ზემოაღნიშნულ მოსამზადებელ ღონისძიებათა შემდეგ საჭიროა ჩვენების ადგილზე შემოწმებაში მონაწილე პირებს ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქტაჟი; განემარტოთ მათ თავიანთი უფლებები და მოვალეობები; გაფრთხილებულ იქნენ, რომ არ გაახმაურონ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებით მიღებული შედეგები; მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რომ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებას ხელი არ შეუშალონ გარეშე პირებმა.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე შემდეგი გარემოება: იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ერთი და იმავე ფაქტის ან გარემოების

დადგენის მიზნით რამდენიმე მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ჩვენების ადგილზე შემოწმება, აუცილებელია მათი ჩვენების შემოწმება მოხდეს ცალ-ცალკე და არა ჯგუფურად. ამასთან, საჭიროა ჩვენების ადგილზე შესამოწმებლად გაყვანილ პირსა და მასში მონაწილე სხვა პირებს განემარტოთ მათი უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა, წაკითხულ იქნეს ყველას თანდასწრებით შესამოწმებელი პირის მიერ ადრე მიცემული ჩვენება და სხვ.

ბ) *ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა.* გამომძიებელი მოახდენს რა ჩვენების ადგილზე შემოწმების სრულ ორგანიზაციას, ჩვენების ადგილზე შესამოწმებლად გაყვანილ პირს აძლევს წინადადებას, აჩვენოს ჩადენილი დანაშაულის ადგილი, გადამალული დანაშაულის ჩადენის იარაღის ადგილსამყოფელი, დანაშაულის ჩადენის კვალი, საით წავიდა და რა გააკეთა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რა ღონისძიება მიიღო დანაშაულის კვალის დაფარვისათვის და სხვ. ე.ი. ახსნას დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმი სათანადო თანმიმდევრობით, გადმოსცეს თავისი და მასთან მყოფ სხვა პირთა როლი ჩადენილ დანაშაულში.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს შემთხვევის ადგილზე გაყვანილ პირს შეიძლება მიეცეს შეკითხვები მხოლოდ მის მიერ მითითებული შემთხვევის ადგილის ან მისი ცალკეული გარემოებების ახსნის შესახებ, რა დროსაც ყოვლად დაუშვებელია მის მიერ ახსნილ გარემოებებში რაიმე კორექტივების შეტანა, მისთვის რაიმე მისახვედრი კითხვების მიცემა, კარნახი ან მისი შთაგონება საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე რომელიმე პირის მიერ.

გამომძიებელმა ყოველგვარი ემოციების ან უკმაყოფილების გრძნობის გამოხატვის გარეშე უნდა აღიქვას შესამოწმებელი პირის მიერ ნაჩვენები შემთხვევის გარემოების შეუსაბამობა ადრე მისგან მიღებულ ჩვენებასთან, მოახდინოს მისი იმავე სახით ოქმში გადატანა და შემდეგ გააანალიზოს იგი.

მხედველობაში მისაღებია, თუ რამდენად ზუსტად აღწერს ჩვენების შესამოწმებლად შემთხვევის ადგილზე გაყვანილი პირი ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში შემთხვევის ადგილს, მის ცალკეულ გარემოებებსა და დეტალებს. მიღებული შედეგების შეფასებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს აგრეთვე ამ გარემოებათა აღწერის ხელშემწყობი ან ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, მისი

სულიერი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტში ან მის შემდეგ, მოახდინოს მასზე ფსიქოლოგიური დაკვირვება და ყოველივე ამის გათვალისწინებით მიღებულ შედეგებს მისცეს სწორი, ობიექტური შეფასება.

ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით შემთხვევის ადგილზე გაყვანილი პირის მიერ მითითებული გარემოებების შეუსაბამობა მის ადრინდელ ჩვენებასთან ან ამ უკანასკნელთან შედარებით შემთხვევის ადგილის ან მისი რომელიმე გარემოების უფრო დაწვრილებითი აღწერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ცრუ, არასწორ ჩვენებას იძლევა, რადგან, ერთ შემთხვევაში, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს შემთხვევის ადგილის გარემოების შეცვლით, კერძოდ, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებით, მეორე შემთხვევაში კი იმით, რომ შემთხვევის ადგილზე გაყვანისას მან კიდევ უფრო სრულყოფილად აღიდგინა გამოსაძიებელი შემთხვევა და თავის ადრინდელ ჩვენებასთან შედარებით მათი სრულყოფილი ახსნა მოგვცა. ამიტომ საჭიროა ამ პირთა ჩვენებების შეფასება მოხდეს ერთ მთლიანობაში.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ან მისი რომელიმე ცალკეული გარემოების შესახებ მოცემულ ჩვენებაში პირი დეტალურად აღწერს ამ გარემოებას და შემთხვევის ადგილზე გაყვანის დროსაც კიდევ უფრო მეტი სიზუსტით აღწერს მას, მაგრამ მისი ჩვენება მაინც არ იყოს სარწმუნო და ეჭვს იწვევდეს დანაშაულის ჩადენის გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით.

მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს მიერ დ.-ე მსჯავრდებულ იქნა პოლიციელზე ავტომანქანის შეჯახებისათვის, რის შედეგადაც პოლიციელი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. საკასაციო საჩივარში დ.-ე ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას. განაჩენი ემყარებოდა ორი მოწმისა და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. საქმის საკასაციო კოლეგიაში განხილვის დროს გამოირკვა, რომ დანაშაულის ჩადენაში დ.-ეს ამხელდა ორი მანდილოსანი, რომლებიც, მათი ჩვენებით, ავტოშეჯახების დროს მის მანქანაში იყვნენ. განაჩენი ემყარებოდა იმასაც, რომ დ.-ეს მანქანაში აღმოჩენილი თმის ღერები ბიოლოგიური ექსპერტიზით ამ მოწმეთაგან ერთ-ერთს ეკუთვნოდა.

ამ მოწმეთა ჩვენებით, ისინი დ.-ეს კუთვნილ ჟიგულის მარკის ავტომანქანაში ისხდნენ და მასთან ერთად სეირნობდნენ. დ-ეს მანქა-

ნაში ჩართული ჰქონდა მუსიკა და თანაც მანქანას დიდი სიჩქარით მართავდა. გზის მოსახვევში დ-ემ მანქანის საჭე ვერ დაიმორჩილა და ავტომანქანა გზის პირას მდგომ პოლიციელს შეეჯახა. მათ შეეშინდათ, მანქანა არ გააჩერეს და იგი კიდევ უფრო დიდი სისწრაფით გააქროლეს. შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მანქანა სკოლის ერთ შენობასთან გააჩერეს, ღამე იქ გაათენეს და მეორე დღეს დაბრუნდნენ ქალაქში.

დ-ემ არა მარტო უარყო პოლიციელზე ავტომანქანის დაჯახება და მისი მკვლელობა, არამედ საერთოდ უარყო ამ მოწმეთა ნაცნობობა და თავის მანქანაში მათი ჯდომის ფაქტი.

ჩვენების შემოწმების მიზნით გამომძიებლის მიერ ჩატარებული იყო ამ პირთა ჩვენების ადგილზე შემოწმება. ამ მოქმედების ჩატარების ოქმში დეტალურად იყო აღწერილი, რომ ც-ე მოთავსებულ იქნა მანქანაში მძღოლის გვერდით, მანქანაში უკანა საჯდომზე კი მოთავსდნენ დამსწრის სახით მოწვეული პირები და გამომძიებელი. რის შემდეგაც ც-ეს წინადადება მიეცა წაეყვანა და მათთვის ეჩვენებინა მის მიერ აღწერილი შემთხვევის ადგილი.

მანქანა წაყვანილ იქნა ც-ეს მიერ ნაჩვენები გზით, რა დროსაც იგი უაღრესად დეტალურად აღწერდა მანქანის მიმართულებას, მოახლოებულ შემთხვევის ადგილს და იმას, თუ შეჯახების შემდეგ საით და როგორ წავიდნენ ისინი. წინასწარ ასახელებდა მანქანის მოსახვევებს, გზის პირას არსებულ ხეებს, იმას, თუ რომელი ხის შემდეგ რა შენობა იდგა, შემდეგ როგორ გადაუხვიეს გზიდან მარჯვენა მხარეს, როგორ გააჩერეს ავტომანქანა მწვანედ შეღებილი მესამე შენობის შემდეგ მიტოვებული სკოლის შენობასთან, როგორ გადმოვიდნენ ისინი მანქანიდან და რომელ ოთახში შევიდნენ და სად გაათენეს ღამე. ც.-ეს მიერ შემთხვევის ადგილისა და მისი გარემოებების ესოდენ დეტალურმა აღწერამ სასამართლო კოლეგიის წევრთა სამართლიანი ეჭვი გამოიწვია. რადგან ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ პოლიციის მუშაკზე ავტომანქანის შეჯახების შემდეგ ისინი სულიერად ისე დამშვიდებულნი ყოფილიყვნენ, რომ მას ღამით შეძლებოდა დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანიდან დაემახსოვრებინა თუ რამდენი მოსახვევი გაიარეს, გზის მარჯვენა მხარეს როგორი და რამდენი ხე იდგა, მოსახვევში რამდენი შენობის შემდეგ იდგა სკოლის შენობა და სხვ.

ყოველივე ამის გამო სასამართლო კოლეგიამ რაიონული სასა-

მართლოს განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა პროკურატურაში. რა დროსაც ტ.-ე კრიტიკულად იქნა დაკითხული, და მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას მომარჯვებული ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნაც, რომლითაც დადგენილი იყო, რომ დ-ეს მანქანიდან ამოღებული თმის ღერები ც-ეს ეკუთვნოდა, იგი მხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემაში და შემდეგ მან თვითონვე დაადასტურა, რომ იგი დაარიგეს პოლიციის მუშაკებმა და სთხოვეს მიეცა მათთვის სასურველი ჩვენება, რათა მათ ეს საქმე გაუხსნელი არ დარჩენოდათ და ამ მიზნით მას წინასწარ რამდენჯერმე აჩვენეს შემთხვევის ადგილი და ამ გზების მიმართულება, რაც მან კარგად დაიხსომა და ასე დეტალურად აღწერა იგი. მან ისიც აღნიშნა, თუ მისმა ამხანაგმა როგორ მოაგლიჯა მას თმები და წაიღო პოლიციაში, როგორ მოათავსეს იგი საჯარიმო მოედანზე მდგომ ეჭვმიტანილის ავტომანქანაში და როგორ იქნა ეს თმები მანქანიდან ამოღებული და ექსპერტიზაზე გადაგზავნილი.

ც-ეს ჩვენების კრიტიკულმა შემოწმებამ და შეფასებამ შესაძლებელი გახადა ესოდენ რთულად შენიღბულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ყალბისმქნელი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.[1]

ჩვენების ადგილზე შემოწმება რეკომენდებულია მოხდეს შემთხვევის ადგილზე გაყვანილ პირთა ჩვენების უბრალო თხრობით, ადგილზე მის ფაქტობრივ გარემოებასთან შეპირისპირებით, ყოველგვარი ცდებისა და შემთხვევის გარემოებათა ვითარების აღდგენის გარეშე.

ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, როგორც წესი, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა ეს ადგილი უკვე დეტალურად იქნა დათვალიერებული გამომძიებლის მიერ დასაკითხი პირის მონაწილეობის გარეშე მისი ჩვენების გათვალისწინებით, რაც, ჩემი აზრით, არასწორია და გარკვეულ შეკამათებას იწვევს. თუ დაკითხული პირის ჩვენების გათვალისწინებით გამომძიებელმა უკვე ჩაატარა მის მიერ მითითებული შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერება და ამ გზით უკვე მოპოვებულ იქნა მტკიცებები, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: რაღა საჭიროა ამ პირის შემთხვევის ადგილზე გაყვანა მისი ჩვენების შემოწმების მიზნით? ჩვენ თვითონ ხომ არ ვაყენებთ ეჭვის ქვეშ ამ გზით მიღებულ მტკიცე-

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიის პრაქტიკიდან.

ბულებას? იგი ხომ არ შეუწყობს ხელს ზოგიერთ დაინტერესებულ პირს ყალბი მტკიცებების მოპოვებაში? რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საგამოძიებო პრაქტიკაში?

მაგალითად, მანქანის გაქურდვის ფაქტთან დაკავშირებით ეჭვმიტანილის სახით დაკითხულმა ბ-ემ აღიარა ჩადენილი დანაშაული და მიუთითა ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფზე, სადაც შენახული ჰქონდა მანქანიდან მოპარული საბურავები. პოლიციის მუშაკების მიერ ბ-ეს მონაწილეობის გარეშე ჩატარებულ იქნა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, და მითითებული სარდაფიდან ამოღებულ იქნა ხუთი საბურავი. შემდეგ გამომძიებლის მიერ დაკითხვისას ბ-ემ კატეგორიულად უარყო მანქანის ქურდობის ფაქტი და განმარტა, რომ მას შეეშინდა პოლიციის მუშაკებისა და იფიქრა, რომ სულერთია მას მაინც არ დაუჯერებდნენ, როგორც ადრე ნასამართლობის მქონეს და თავის თავზე აიღო ამ მანქანის გაქურდვა. შემთხვევის ადგილზეც და ბინის სარდაფზეც თვითონ პოლიციის მუშაკებმა მიუთითეს და ისიც დაეთანხმა მათ. ბ-ეს ჩვენების შემოწმების მიზნით, გამომძიებელმა მოახდინა მისი გაყვანა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ბ-ემ ვერც გაქურდული მანქანის ადგილსამყოფელთან მისასვლელი გზა იპოვა და ვერც ის ადგილი, საიდანაც პოლიციის მუშაკების მიერ ამოღებულ იქნა მოპარული საბურავები.[1]

ზემოაღნიშნული შეცდომების თავიდან აცილებისა და მიღებულ მტკიცებულებათა უტყუარობის მიზნით, ადრე დაკითხულ პირთა ჩვენების ადგილზე შემოწმება უნდა ჩატარდეს მათ მიერ მითითებული შემთხვევის ადგილზე გაყვანით შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში და არა ისე, რომ ჯერ ამ პირთა მონაწილეობის გარეშე მოხდეს მათ მიერ მითითებული შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერება და შემდეგ მათი ჩვენების შემოწმება შემთხვევის ადგილზე გაყვანით, როგორც ამას გვთავაზობს ზოგიერთი კრიმინალისტი.

მოსამზადებელი ღონისძიებების სწორად შერჩევა-გათვალისწინების მიზნით (ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს მოსალოდნელი თავდასხმის ან სხვა გარემოების თავიდან აცილების მიზნით) შეიძლება მოხდეს დაკითხული პირის

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიის პრაქტიკიდან.

მიერ მითითებული ადგილმდებარეობის წინასწარი გაცნობა და არა მისი დეტალური დათვალიერება.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული წესების დაცვით ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების ხერხები და საშუალებები, აგრეთვე ხმის ჩამწერი აპარატურა და სხვ.

პირმა, რომლის ჩვენებაც მოწმდება შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად შეპირისპირებაში, უნდა უჩვენოს ის ადგილი, სადაც მან დამალა მოპარული ნივთები ან სადაც იგი შეხვდა თავის მსხვერპლს და სადაც ჩაიდინა დანაშაული, ან სადაც მოახდინეს მასზე თავდასხმა ან გაუპატიურება და სხვ.



ა

ბ

სურ. 13. ჩვენების ადგილზე შემოწმება

ა) ჩვენების შემოწმების მიზნით შემთხვევის ადგილზე გაყვანილი ტ. უჩვენებს ადგილს, სადაც იგი თავის თანამზრახველებთან ერთად დაესხა თავს დაცვის ავტომანქანის მძღოლს და წაართვეს ავტომანქანა და ცეცხლსასროლი იარაღი (საქართველოს გენერალური პროკურატურის პრაქტიკიდან).

ბ) დ. უჩვენებს ადგილს (ფანჯარას), საიდანაც გადავიდა კ-ს საცხოვრებელ ბინაში და იქ ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა.

§4. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შედეგების ფიქსაციის ხერხები

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შედეგების ფიქსაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა ოქმი, რაც უნდა შედგეს საქართველოს სსსკ-ის 287-289-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

ოქმი უნდა შედგეს ჩვენების ადგილზე შემოწმების სახელწოდებით. იგი შედგენილი უნდა იყოს მესამე პირში.

. **ოქმის შესავალ ნაწილში** მითითებული უნდა იყოს თუ სად, როდის, რა პირობებში, რა მიზნით და ვისი მონაწილეობით იქნა იგი ჩატარებული; ვისი ჩვენების შემოწმება ჩატარდა და მასში მონაწილე პირები თანახმანი იყვნენ თუ არა ამ მოქმედების ჩატარებისა; განემარტათ თუ არა ჩვენების ადგილზე შემოწმებაში მონაწილე პირებს მათი უფლება-მოვალეობები და ამ მოქმედების ჩატარების მიზანი და შინაარსი. თუ ჩვენების ადგილზე შემოწმება მოხდა მოწმის ან დაზარალებულისა, გაფრთხილებულნი იქნენ თუ არა ისინი წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემისა და ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ; აგრეთვე იმაზე, იცოდნენ თუ არა მათ, რომ ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში გამოყენებული იქნებოდა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურა და სხვ.

აღწერილობით ნაწილში ნაჩვენები უნდა იყოს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მთელი პროცესი, მისი დაწყება და დამთავრება, გამოყენებულ იქნა თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, რა სახის და როგორ. კერძოდ, ჩატარებულ იქნა თუ არა ფოტო, კინო ან ვიდეოგადაღებები, გამოყენებულ იქნა თუ არა ჩვეულებრივი ხმის ჩამწერი აპარატურა ან ვიდეომაგნიტოფონი. კონკრეტულად როდის და რა მომენტებში იქნა ისინი გამოყენებული და სხვ.

ოქმის დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს იმაზე, თუ დამატებითი ფიქსაციის რა ხერხები და საშუალებები იქნა გამოყენებული. კერძოდ, შედგენილ იქნა თუ არა სქემები, გეგმები, ჩატარდა თუ არა ფოტო და კინოგადაღებები; გამოყენებულ იქნა თუ არა აუდიო ან ვიდეოჩამწერი ან სხვა სახის ხმის ჩამწერი აპარატურა და ოქმს დაერთო თუ არა ეს ფირები, ნახაზები, სქემები, გეგმები და ჩანაწერები. ოქმის ბოლოს

მითითებული უნდა იყოს იმაზე, რომ ოქმი წაკითხულ იქნა და მას ხელს აწერს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი. იქვე უნდა აღინიშნოს რომელიმე მონაწილის მიერ ხომ არ იქნა რაიმე შენიშვნა გაკეთებული, რა საგანი, დოკუმენტი ან რა სახის კვალი იქნა აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული. უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რა სახის დაზუსტება და ცვლილება შეიტანა ჩვენების ადგილზე შემმოწმებელმა პირმა ადრე თავისსავე მიცემულ ჩვენებაში და სხვ.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმი აუცილებლად დამოწმებული და ხელმოწერილი უნდა იყოს მისი ჩამტარებელი პირის (გამომძიებლის ან პროკურორის) მიერ. იგი დამოწმებულ უნდა იქნეს აგრეთვე იმ პირის მიერ, ვისი ჩვენების შემოწმებაც მოხდა. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს აგრეთვე ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე ყველა პირმა (სპეციალისტმა, ექსპერტმა და სხვ.). ოქმს თან უნდა დაერთოს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში შედგენილი გეგმა, სქემა, ფირზე ჩანაწერები და გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც ასევე დამოწმებულ უნდა იქნეს ჩვენების ადგილზე შემოწმებაში მონაწილე პირების მიერ.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ჩვენების ადგილზე შემოწმება?

2. რა თავისებურებებით ხასიათდება ჩვენების ადგილზე შემოწმების აღმოცენებისა და განვითარების ისტორია?

3. რა არის ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზანი და ამოცანები?

4. რა საკითხები და გარემოებები შეიძლება გაირკვეს და დადგინდეს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებით?

5. რა განსხვავებაა ჩვენების ადგილზე შემოწმებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტს შორის?

6. რა განსხვავებაა ჩვენების ადგილზე შემოწმებასა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და ამოცნობას შორის?

7. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება ჩვენების ადგილზე შემოწმება?

8. რა სახის მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე?

9. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება უშუალოდ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება?

10. როგორ უნდა მოხდეს ჩვენების ადგილზე შემოწმების შედეგების ფიქსაცია?

11. რა საკითხები და გარემოებები უნდა იქნეს გაშუქებული ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ოქმის შესავალ, აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილებში?

თავი XV. ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა

§1. ამოსაცნობად წარდგენის ცნება. მიზნები და ამოცანები

/ამოსაცნობად წარდგენა არის კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის განხორციელების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომლის არსი მდგომარეობს გამოძიების მიზნებისათვის საჭირო (საძიებო) საამოსაცნობო ცოცხალი პირების, გვამების, საგნებისა და სხვა ობიექტების ამოცნობა-დადგენაში ამომცნობი პირის მეხსიერებაში აღბეჭდილი ამ საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებათა მიხედვით/

ამოსაცნობად წარდგენამ, როგორც დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებამ, თავისი განვითარების სრული და საინტერესო გზა განვლო. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და სხვა საგამოძიებო მოქედებათა მსგავსად, იგი პირველად კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში აღმოცენდა, როგორც გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ საგნის, პიროვნების, გვამისა და სხვა ობიექტების იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტაქტიკური ხერხი, რომელმაც შემდგომში ფართო პრაქტიკული აღიარება მოიპოვა და გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული სასამართლო რეფორმის შედეგად მიღებული საპროცესო კანონმდებლობით პირველად იქნა აყვანილი საკანონმდებლო რანგში (სსსკ-ის 162-164-ე მუხ.). იგი ასევე დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად იქნა აღიარებული ამჟამად მოქმედი სსსკ-ის 347-349-ე მუხლებით. და, ამდენად, დანაშაულთა გამოძიების პროცესში ამოსაცნობად წარდგენის ჩატარებას თავისი იურიდიულ-სამართლებრივი საფუძველი აქვს.

ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების მიზანი ყოველთვის იყო და არის გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ობიექტის ამოცნობა (შეცნობა), ანუ დადგენა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და სხვ.) პირის მეხსიერებაში შემორჩენილი საძიებო ობიექტისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ამოსაცნობად წარდგენის, როგორც საპროცესო კანონმდებლობით

რეგლამენტირებული დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედების არსი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამომცნობი პირი (მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული), კანონით დადგენილი წესით, ამოსაცნობი ობიექტის ამოცნობას ახდენს თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი და შემონახული ამოსაცნობი ობიექტისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით. მისი ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი პირების, საგნების, ადგილმდებარეობისა და სხვა ობიექტების ამოცნობა ხდება ამ ობიექტებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესახებ ადრე დაკითხული პირის მიერ თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი ამოსაცნობი ობიექტებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, მისი სხვა ანალოგიური სახის ობიექტთა შორის მოთავსებით, რომელთა რიცხვი არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები.

ამოსაცნობად წარდგენა შეიძლება ჩატარებულ იქნეს ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, როცა საჭიროა დატაცებული საგნის ან დაკარგული ნივთის, ან პიროვნებისა და გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების დადგენა ამ საგნებისა და ობიექტების მფლობელი პირის მიერ, ან დაზარალებულზე თავდამსხმელი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ამოცნობა (დადგენა) დაზარალებულის ან მოწმის მიერ.

ამოსაცნობად წარდგენას უფრო ხშირად მიმართავენ ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: მკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება; ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, გაუპატიურება, მექრთამეობა, თაღლითობა, ხულიგნობა, სატრანსპორტო დანაშაული, ტერორისტული აქტი და სხვ. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულს ან მოწმეს ამოსაცნობად წარედგინება პირი, რომელიც მას თავს დაესხა და მუქარით წაართვა ძვირფასი სამკაულები, ან პირი, რომელმაც მასთან ფიზიკური ძალის გამოყენებით დაამყარა სქესობრივი კავშირი, ან პირი, რომელმაც პირველად დაარტყა დაზარალებულს დანა ან, რომელმაც შეუკრა მას ხელ-ფეხი და მისი სახლიდან წაიღო ძვირფასი ნივთები და სხვ.

დაზარალებულს ამოსაცნობად შეიძლება წარედგინოს აგრეთვე, ყაჩაღობით, ძარცვით ან ქურდობით გატაცებული მისი კუთვნილი ტანსაცმელი, ძვირფასი სამკაულები და სხვა ნივთები, აგრეთვე მისი კუთვნილი ცხოველები და ფრინველები. დაზარალებულს შეიძლება

ამოსაცნობად წარედგინოს აგრეთვე, ადამიანის უცნობი გვამი და სხვ.

ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების შედეგები, რაც ფიქსირებულ უნდა იქნეს ამოსაცნობად წარდგენის დათვალიერების ოქმში, მტკიცებულებად ჩაითვლება, თუ იგი ჩატარებულ იქნა სსსკ-ით გათვალისწინებული წესების დაცვით.

თავისი იურიდიული ბუნებით, არსითა და მნიშვნელობით ამოსაცნობად წარდგენა დამოუკიდებელი სახის ნებაყოფლობითი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა მომიჯნავე (დაკითხვის, დაპირისპირების და სხვ.) საგამოძიებო მოქმედებებისაგან. იგი არის ნებაყოფლობითი საგამოძიებო მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამომცნობ პირს ამოსაცნობი საგანი ან ცოცხალი პიროვნება, ან მისი კუთვნილი რომელიმე ნივთი, ან ცოცხალი პირი, ამოსაცნობად შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი დაკითხვის დროს აცხადებს, რომ მას არ შეუძლია საძიებო პიროვნება (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი და სხვ.) ამოიცნოს მისთვის დამახასიათებელი გარეგანი ნიშნებით, აგრეთვე ხმისა და სხვა ფუნქციონალური ნიშნებით (ჟესტიკულაციით, მოძრაობის მანერით და სხვ.). მას შეუძლია ასევე ამოიცნოს თავისი კუთვნილი დატაცებული ნივთები, საგნები და სხვ. ამასთან, მან თავის ჩვენებებში უნდა მიუთითოს ამოსაცნობი საგნის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ.

მაშასადამე, თუ დაზარალებული, მოწმე ან პროცესის სხვა მონაწილე, უარს აცხადებს ამოცნობაზე და ამბობს, რომ მას არ შეუძლია ამოიცნოს თავდამსხმელი ან მისი დატაცებული ნივთები, რადგან მას არ ახსოვს ამოსაცნობი საგნის ან ეჭვმიტანილისათვის დამახასიათებელი, ან მისი რაიმე განმასხვავებელი ნიშანი და სხვ., ასეთ შემთხვევაში მის მიმართ ამოსაცნობად წარდგენის ჩატარება უაზრობაა და, აქედან გამომდინარე, ამომცნობი პირის გაფრთხილება ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ საჭირო არაა.

ზემოაღნიშნულის გამო, არასწორად მეჩვენება სსსკ-ის 347-ე და 348-ე მუხლების მე-2 პუნქტების რედაქცია, რომლითაც დაწესებულია ამომცნობი მოწმისა და დაზარალებულის გაფრთხილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ „ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, აგრეთვე მათი უფლების განმარტებაზე მითითება, რომ მას „უფლება აქვს არ გამოვიდეს

მოწმედ საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ". ვფიქრობთ, აქ ამოცნობა (ამომცნობი) არასწორადაა გაიგივებული მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვასთან.

ამოცნობას, მართალია, მთელ რიგ შემთხვევებში, წინ უსწრებს მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა საძიებო პირის (ამოსაცნობი პირის) გარეგანი ნიშნების შესახებ (თუ იგი ამბობს, რომ მას შეუძლია ამ ნიშნებით ამოიცნოს იგი), მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მომდევნო საგამოძიებო მოქმედება – ამოცნობა ვაქციოთ და გავაიგივოთ დაკითხვასთან.

საგულისხმოა ისიც, რომ მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, ამოსაცნობი საგნის ნიშან-თვისებათა შესახებ შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ ცოცხალი ამოსაცნობი პირისა და დაკარგული ნივთებისა და სხვა საგნების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ამოცნობას წინ უნდა უსწრებდეს ამომცნობი პირის დაკითხვა. რაც შეეხება გვამის ამოცნობას, ასეთ დროს, როგორც წესი, ამომცნობი პირის წინასწარი დაკითხვა არ ხდება, რადგან წინასწარ უცნობია ის პირი, ვინც შეძლებს მის ამოცნობას. ასეთ დროს ჯერ ტარდება ამოცნობა, შემდეგ კი ამომცნობი პირის დაკითხვა იმის შესახებ, თუ რა ნიშნების საფუძველზე ამოიცნო მან ამოსაცნობი გვამი და სხვ.

ზოგიერთი ავტორის აზრით, „ამოცნობა შეიძლება იყოს პირველადი და განმეორებითი." და, რომ „ამოცნობა შეიძლება იშვიათ შემთხვევაში ჩატარდეს განმეორებით იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი ამოცნობა ჩატარებული იყო არახელსაყრელ პირობებში და პროცესუალური კანონის მოთხოვნათა დაუცველად".[1]

ზემოაღნიშნული შეხედულება არასწორია და გარკვეულ შეკამათებას იწვევს, რადგან ერთი და იმავე პირის ან საგნის ამოსაცნობად წარდგენის ჩატარება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთხელ. რაოდენ დამახინჯებულადაც არ უნდა იყოს იგი ჩატარებული, იმავე საგნის ან პიროვნების ამოცნობის ჩატარება განმეორებით არ შეიძლება. ამაზე მეტყველებს თვით სსსკ-ის 348-ე მუხლის მე-6 პუნქტის რედაქციაც, რომლის თანახმად „ამოსაცნობი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ერთი და იმავე ამომცნობის მიერ პირის ამოცნობის ხელმეორედ ჩატარება დაუშვებელია".

---

[1] კრიმინალისტიკა, ტ. II. თბილისი, 1995, გვ. 125. Криминалистика. М., 1999, გვ. 480 და სხვ.

§2. ამოსაცნობად წარდგენის სახეები

ამოსაცნობად წარდგენის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნების, ობიექტების, პიროვნებისა და გვამის იდენტიფიკაცია საექსპერტო კვლევის გარეშე საგამოძიებო მოქმედებით.

ცოცხალი პირების ამოცნობის დროს, ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს ამომცნობს იმავე სქესისა და გარეგანი ნიშნების მქონე არანაკლებ სამ პირთან ერთად. ამოსაცნობად წარსადგენი პირები ისეთნაირად უნდა იყვნენ შერჩეულნი, რომ ისინი მკვეთრად არ განსხვავდებოდნენ ამოსაცნობი პირისაგან გარეგნობითა და თავიანთი ჩაცმულობით. მაგალითად, თუ დაზარალებული, რომლის მეშვეობითაც ვაწარმოებთ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოცნობას, თავის ჩვენებაში მიუთითებს, რომ მასზე თავდამსხმელი პირი იყო მაღალი, ქერათმიანი და ეცვა შავი ფერის კოსტიუმი და შეუძლია მისი ამოცნობა, იგი არ შეიძლება წარვადგინოთ ამოსაცნობად დაბალი ტანის მქონე შავგვრემან, ცისფერ კოსტიუმებში გამოწყობილ პირთა შორის.

იმ შემთხვევაში, როცა პირის ამოცნობას ვაწარმოებთ ფოტოსურათით, ამოსაცნობი პირის ფოტოსურათი ამომცნობს უნდა წარედგინოს სხვა მისი მსგავსი სამი ან მეტი პირის ფოტოსურათებს შორის.

სსსკ-ის 347-ე მუხლის თანახმად, გამომძიებლის გადაწყვეტილებით, პირის ამოცნობა შეიძლება მოხდეს ამოსაცნობის ვიზუალური დაკვირვების გარეშეც, რაც, ჩემი აზრით, კანონის საუკეთესო ნოვაციაა. რადგან ეს საშუალებას იძლევა ამომცნობზე (მოწმეზე ან დაზარალებულზე) ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე მოხდეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოსაცნობად წარდგენა არა უშუალოდ პირდაპირ ამომცნობისა და ამოსაცნობი პირის ურთიერთდაკვირვებით, არამედ ამოსაცნობი პირისაგან შეუმჩნევლად. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამოსაცნობი პირის სხვა მის მსგავს პირთა შორის მოთავსების შემდეგ, ამომცნობ პირს, სხვა დამსწრე პირებთან ერთად, წინადადება ეძლევა ამოსაცნობი პირისაგან შეუმჩნევლად განმარტოს, ამოსაცნობად წარდგენილ პირთა შორის ხომ არაა ის პირი, რომელიც მას თავს დაესხა ან, რომელიც ნახა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროს. ყოველივე ეს ფიქსირებულ უნდა იქნეს ამოცნობის ოქმში, რომელშიც უნდა მიეთითოს იმაზეც, თუ როგორ და რა ნიშნებით ამოიცნო იგი.

ცოცხალი პირებისა და საგნების ამოცნობას, როგორც აღვნიშნე, აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ამომცნობი პირის დაკითხვა და იმის გარკვევა, შეუძლია თუ არა მას ამოიცნოს ესა თუ ის პირი ან გატაცებული საგანი. დადებით შემთხვევაში, რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება იგი, რა ვითარებასა და გარემოებაში ნახა ამოსაცნობი პირი და რა ნიშან-თვისებებით შეუძლია მისი ამოცნობა და სხვ.

საგნების ამოცნობის ჩატარების დროს ამომცნობს ამოსაცნობი საგანი, ცოცხალი პირების ამოცნობის მსგავსად, უნდა წარედგინოს სხვა მსგავს საგნებთან ერთად, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები.

ცოცხალი პირებისა და საგნების ამოცნობისაგან განსხვავებით, **გვამის ამოცნობის წინა ეტაპად** არ შეიძლება სავალდებულოდ ჩაითვალოს ამომცნობი პირის დაკითხვა, რადგან წინასწარ ძნელია იმის გარკვევა, თუ ვის შეუძლია მოცემული გვამის ამოცნობა. ამომცნობი პირის დაკითხვა საჭირო გახდება მას შემდეგ, როცა იგი ამოიცნობს გვამს.

გვამის ამოცნობის სპეციფიკა იმაშიც მდგომარეობს, რომ მას გვამი ამოსაცნობად წარედგინება არა გვამებს შორის, არამედ ცალკე, ინდივიდუალურად. თუ ამომცნობი შეძლებს გვამის ამოცნობას, მაშინ მისი დაკითხვა მოხდება ამოცნობის შემდეგ იმ ნიშან-თვისებების ირგვლივ, რითაც მან ამოიცნო მოცემული გვამი და მოახდინა მისი ვინაობის დადგენა.

ამოცნობის ჩატარების ზემოაღნიშნული ზოგადი წესის გარდა, საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ ყველა სახის ამოცნობის ჩატარება (გვამის ამოცნობის გარდა) უნდა მოხდეს დამსწრე პირების მონაწილეობით, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ორზე ნაკლები.

ზემოაღნიშნული საგნებისა და ობიექტების გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი ისეთი სახის საგნებისა და ობიექტების ამოცნობის შესახებ, როგორიცაა: ცხოველების ამოცნობა, შენობა-ნაგებობების ამოცნობა, ფოტოსურათების ამოცნობა და სხვ., რასაც პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად მიმართავენ.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ აგრეთვე ამოცნობის ხერხები და საშუალებები. მაგალითად, პიროვნების ამოცნობა შეიძლება მოხდეს არა მარტო მისი დამახასიათებელი გარეგანი ნიშნების მიხედვით, არამედ აგრეთვე ხმით, ჟესტიკულაციით, სიარულის მანერით, სხვა-

დასხვა გარემოებასთან დაკავშირებით კინო და ვიდეოფირზე აღბეჭდილი ფოტოსურათებით და სხვ.

ზოგჯერ პიროვნების დადგენა ხდება სხვადასხვა სახის პროცესუალური და არაპროცესუალური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით, როგორიცაა, მაგალითად, ძებნაში მყოფი პირის დაკავება და დანიშნულებისამებრ შესაბამის ორგანოში მისი წარდგენა და სხვ.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: ძებნაში მყოფი პირის დადგენა და დაკავებაც ხომ დაკავშირებულია პიროვნების გაიგივებასთან მისი გარეგანი ნიშნების მიხედვით? ცხადია, კი. და ეს მოქმედებაც, კერძოდ, ოპერატიული მუშაკის მიერ ძებნაში მყოფი პირის შეცნობაც ხომ ამ დასაძებნი პირის გარეგანი და ზოგჯერ მისთვის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების საფუძველზე ხდება? ცხადია, აქაც პასუხი შეიძლება იყოს დადებითი. მაგრამ, ეს მოქმედება მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ამოცნობად, რადგან ამ მოქმედების ჩატარების წესი და საფუძველი სულ სხვაა.

ამოცნობის ხარისხსა და შედეგებზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ამომცნობი პირის ჩვენების ფორმირების პროცესი. კერძოდ, ამოსაცნობი პირის (დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის) ფსიქიკური დამოკიდებულება. მისი აღგზნებულობა და ემოციური განწყობა ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ მისთვის დამახასიათებელი თვალსაჩინო ზოგადი და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნების აღქმის პროცესში და სხვ.

ამოცნობის ხარისხზე ასევე გარკვეულ გავლენას ახდენს თვითონ ამომცნობი პირისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანება და სხვ.

მაშასადამე, ამოცნობის ხარისხზე, მის უტყუარობაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ისეთი ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: ცუდი მეტეოროლოგიური პირობები, წვიმა, ქარბუქი, სიბნელე და სხვ.

ამოცნობის ხარისხზე ასევე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე ამომცნობი პირისათვის დამახასიათებელი ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორიცაა: ახლომხედველობა, სმენის ნაკლებობა, მისი ფსიქოლოგიური განწყობა და სხვ.

ამოცნობის ობიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ცოცხალი პირები, ისე უსულო საგნები და ობიექტები. კერძოდ:

1. მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი;

2. უცნობი გვამი;

3. დაზარალებულისათვის დატაცებული საგნები — ეჭვმიტანილთან ან ბრალდებულთან ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ძვირფასი ნივთები;

4. შემთხვევის ადგილზე დარჩენილი გატეხვის იარაღები;

5. გატაცებული სატრანსპორტო საშუალება;

6. შენობა;

7. ადგილმდებარეობა;

8. სხვადასხვა სახის ცხოველები და შინაური ფრინველები და სხვ.

ამოცნობის ობიექტი მსგავსების თვალსაზრისით შეიძლება იყოს აგრეთვე ამა თუ იმ სახის დოკუმენტზე დასმული ბეჭედი, შტამპი ან ხელმოწერა, ან თვითონ მთლიანად დოკუმენტი და სხვ.

ამ უკანასკნელი სახეობის ამოცნობაზე მსგავსების დადგენას იმიტომ ვამბობთ, რომ მათი იდენტიფიკაციის საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კრიმინალისტიკური ექსპერტიზით.

მაგალითად, ამა თუ იმ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა, იმ პირმა, ვისი ტიტულებითაცაა იგი ხელმოწერილი, შეიძლება მიამსგავსოს თავის ხელმოწერას და თავის ხელმოწერადაც მიიჩნიოს, მაგრამ ექსპერტიზით დადგინდეს, რომ იგი ხელმოწერილია არა ამ პირის, არამედ სხვა პირის მიერ.

§3. ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა

ა) *ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების მომზადება.* ამოცნობის ჩატარების ტაქტიკა თავისთავად მოიცავს ამოცნობის ჩატარების მომზადებასაც. იგი ამოცნობის ჩატარების ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის სწორად წარმართვაზე ბევრადაა დამოკიდებული ამოცნობის შედეგები. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამოცნობის ჩატარების მომზადებაზე, რომლის არსი ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

1) ამოცნობას, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს ამომცნობი პირის დეტალური დაკითხვა და იმის გარკვევა, შეუძლია თუ არა მოცემულ დასაკითხ პირს საძიებო პირის (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და სხვ.)

ან საგნის, ობიექტის და სხვა გარემო-ვითარების ამოცნობა. დადებით შემთხვევაში დასაკითხმა პირმა უნდა მიუთითოს იმაზე, თუ კონკრეტულად რა ნიშნებით შეუძლია მისი ამოცნობა (შეცნობა) და სხვ.

სსსკ არ იძლევა იმის განმარტებას, თუ ვინ და რა ასაკის პიროვნება შეიძლება იყოს ამოცნობის სუბიექტი. ამიტომ ამის გასარკვევად შეიძლება გამოვიყენოთ სსსკ-ის 93-ე მუხლის ზოგადი მითითება მოწმის შესახებ და ამის შესაბამისად დავასკვნათ, რომ ამოცნობის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელსაც შესწევს უნარი აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტი ან მასთან დაკავშირებული რაიმე გარემოება და მისი ჩამდენი პიროვნების გარეგანი ნიშნები. ამასთან, 14 წლამდე ასაკის მქონე ამომცნობი მოწმე და დაზარალებული არ შეიძლება გაფრთხილებულ იქნეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. რაც შეეხება ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს, როგორც ამოცნობის სუბიექტს, ცხადია, მათი გაფრთხილება ზემოაღნიშნულის შესახებ საერთოდ არაა საჭირო. მოწმისა და დაზარალებულის მიმართ ამოცნობის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს იგივე წესი, რაც გათვალისწინებულია მათი მოწმისა და დაზარალებულის სახით დაკითხვისათვის.

მაშასადამე, ამოცნობის სუბიექტი შეიძლება იყოს მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი, რომელთა ამოცნობის მიზნით დაკითხვისა და ამოცნობის ჩატარების დროს აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი სულიერი, ფსიქიკური, ემოციური და ასაკობრივი მდგომარეობა; განსაკუთრებით მაშინ, როცა საშიში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოცნობა ხდება. ასეთ დროს ამოცნობა მიზანშეწონილია ჩატარდეს ამომცნობის ამოსაცნობ პირზე არავიზუალური დაკვირვებით და სხვ.

გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული აგრეთვე ისეთი ამოცნობის ჩასატარებლად, როცა დაზარალებულს ამოსაცნობად წარედგინება თავისი ახლობელი ადამიანის — შვილის, მეუღლის, მეგობრის ან სხვა საყვარელი არსების დასახიჩრებული გვამი და სხვ., რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ამომცნობი პირის მძიმე, დაუოკებელი განცდა მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით. ამიტომ, ამგვარი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ასეთ

დროს ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირთა შორის აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ექიმი სპეციალისტის მოწვევაც და სხვ.

დაკითხვა უნდა ჩატარდეს კრიტიკულად და სრულყოფილად. დაკითხვის დროს ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს იმ გარემოების შესახებ, რა გარემო-ვითარებაშიც ნახა დასაკითხმა ამოსაცნობი პირი, გარეგნობითა და მოძრაობით გაარჩია თუ არა მისი სქესი, როგორი იყო მისი სავარაუდო სიმაღლე და ჩაცმულობა, კანისა და თმის ფერი, თმის ვარცხნილობა, ხომ არ ახსოვს როგორი იყო მისი სახის მოყვანილობა, თავის ფორმა, თვალების ფერი, ცხვირის, ზურგისა და ფუძის მდგომარეობა, ნიკაპის ფორმა, შუბლის სიმაღლე და მოცემული პირისათვის დამახასიათებელი სხვა იშვიათად შემხვედრი თვალსაჩინო ინდივიდუალური ნიშნები და სხვ.

ყოველივე ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიტყვიერი პორტრეტის აღწერის სქემები, ფოტოკომპოზიციური პორტრეტები ან ფოტომონტაჟი და თანამედროვე ელექტროგამომთვლელი მანქანები.

იმ შემთხვევაში, თუ ამომცნობი პირი პირველად დაკითხვის დროს ამოსაცნობი პირის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ არასრულყოფილად იყო დაკითხული, რეკომენდებულია ამოცნობის ჩატარების წინ იგი დამატებით იქნეს დაკითხული.

ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევასაც, როცა დასაკითხი პირი ვერ ასახელებს და ვერ მიუთითებს ამოსაცნობი პირისათვის დამახასიათებელ კონკრეტული სახის გარეგან სტატიკურ და დინამიკურ ნიშნებს, მაგრამ ვარაუდობს, რომ იგი შეძლებს მის ამოცნობას. ასეთ შემთხვევაშიც საჭიროა ჩატარდეს ამოცნობა, რადგან პირის ამოსაცნობად წარდგენის დროს, შესაძლოა მის მეხსიერებაში გაიღვიძოს და საკმაოდ თანმიმდევრულად აღწეროს და მიუთითოს მოცემული ამოსაცნობი პირის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია მოხდეს ამოსაცნობი პირის დამატებითი დაკითხვა იმ გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნების შესახებ, რითაც მან ამოიცნო ამოსაცნობად წარდგენილი პირი.







სურ. 14. ცეცხლსასროლი იარაღის (ავტომატის) ამოცნობა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ტ-ის მიერ. ა) ამოსაცნობი ავტომატი მოთავსებული სხვა ავტომატებს შორის; ბ) ამომცნობი ტ. აკვირდება ამოსაცნობად წარმოდგენილ ავტომატებს; გ) ტ-მ ამოიცნო ის ავტომატი, რომელიც მას ჰქონდა თან სხვა პირებთან ერთად ყაჩაღური თავდასხმის დროს (საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო პრაქტიკიდან).

ანალოგიურად უნდა მოხდეს ამოსაცნობი პირის დაკითხვა მისთვის ამოსაცნობად წარსადგენი და მეხსიერებაში დარჩენილი მატერიალური საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებების შეტანა.

შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევასაც, როცა დაზარალებული ზუსტად მიუთითებს და აღწერს თავისი კუთვნილი დაკარგული ან დატაცებული საგნის (ნივთის) დამახასიათებელ ნიშნებს (ზომას, წონას, ფერს, დანიშნულებას, ხმარების შედეგად მასზე აღმოცენებულ დეფექტს და სხვა ნიშნებს), ან, შესაძლოა, დაკითხვის დროს მან არ დაასახელოს მოცემულ ამოსაცნობ ნივთზე თავის მიერ დადებული ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც სხვებისთვის შეუმჩნეველია, მაგრამ ამოცნობის დროს პირდაპირ უშეცდომოდ მიუთითოს ამ ნიშნებზე და დამსწრე პირებთან ერთად მოახდინოს ამოსაცნობ საგანზე არსებული ამ ნიშნების დემონსტრირება.

მაგალითად, მოქალაქე დ-ემ განაცხადა, რომ მისი ბინიდან მოპარულ სხვა საგნებთან ერთად მას შეუძლია ამოიცნოს თავისი ძვირფასი ქურქი, რომლის ფერი და ზომაც დაასახელა. მაგრამ მან არ მიუთითა ქურქზე მის მიერ სარჩულის ქვეშ გაკეთებულ ფარულ წარწერაზე. მისი ბინის ქურდობიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მან ქუჩაში მიმავალ ერთ-ერთ მანდილოსანზე შეამჩნია მსგავსი ქურქი. იგი ცოტა ხანს მას შორიახლო მიჰყვა და აკვირდებოდა ჩასაცმელს და, როცა დარწმუნდა, რომ ეს მისი კუთვნილი ქურქი იყო, მან ველარ მოითმინა, უეცრად ქალს მივარდა და ქუჩაში ქურქის წართმევა დაუწყო. ამ ჩხუბის გამო ორივე წაიყვანეს პოლიციაში, სადაც დ-ემ თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ ამ უცნობ ქალს მისგან მოპარული და გადაკეთებული ქურქი ეცვა. ამის დასასაბუთებლად სხვა ინდივიდუალურ ნიშნებთან ერთად იმაზეც მიუთითა, რომ ლაბადის მარჯვენა შიდა ჯიბის სარჩულზე მისივე ხელით ამოქარგული ჰქონდა თავისი სახელისა და გვარის ინიციალები და პატარა თეთრი მტრედის გამოსახულება. დამსწრე პირების თანდასწრებით დათვალიერებულ იქნა სადავო ქურქი, რომელზეც დ-ეს მიერ დასახელებული ინდივიდუალური ნიშნებიდან ქურქის შიდა მარჯვენა ჯიბის სარჩულზე მართლაც აღმოჩენილ იქნა ზემოთ ნათქვამი წარწერა. მისი ზომა კი გადაკეთების გამო შემცირებული იყო. თავისი ბინის ქურდობასთან დაკავშირებით მან ადრე მიცემულ ჩვენებაში, დ-ეს განმარტებით, შეგნებულად არ მიუთითა თავისი ლაბადის ამ კერძო ინდი-

ვიდუალურ ნიშნებზე, რაც შემდგომ მართებულად დაედო საფუძვლად ამ ლაბადის ამოცნობას. ამ გარემოებამ გარკვეულად შეუწყო ხელი დ-ეს ბინის ქურდობის საქმის გახსნას.

დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენებების გარდა, ამოსაცნობ საგნის ამ პიროვნების დამახასიათებელი გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს სხვა წყაროებიდანაც (შეძენილი ნივთის გამოყენების ან მისი აწყობის ინსტრუქცია და სხვ.).

გარკვეული მოსამზადებელი და ჩასატარებელი თავისებურებებით ხასიათდება შინაური ცხოველების ამოცნობაც, რომელთა შესახებ ამომცნობი პირის მიერ დაკითხვის დროს მითითებულ უნდა იქნეს ამოსაცნობი ცხოველების ჯიში, სქესი, ფერი, ასაკი, განსაკუთრებული ნიშნები, მფლობელის დამღა და სხვ.

2) ზემოაღნიშნული მოსამზადებელი ღონისძიებები არ ვრცელდება უცნობი გვამის აღმოჩენასთან დაკავშირებით ჩატარებულ გვამის ამოცნობის წესზე. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ გვამის ამოცნობისას ამომცნობი პირი შეიძლება დაიკითხოს არა წინასწარ, არამედ ამოცნობის შემდეგ, იმ ნიშნების შესახებ, რომლითაც შეეძლო გვამში თავისი ნაცნობი პირის ამოცნობა (შეცნობა). ეს გამონაკლისი ხდება იმიტომ, რომ წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ ვის შეუძლია ამოიცნოს დაზარალებულის გვამი. გვამების ამოცნობის ჩატარების მეორე თავისებურება ისაა, რომ გვამის წარდგენა ამოსაცნობად ხდება არა ერთგვაროვან (ერთი და იმავე სქესის, ასაკის, კანისა და თმის ფერის და სხვ.) გვამებს შორის, არამედ ცალკე ინდივიდუალურად.

3) შეირჩეს და განისაზღვროს ამოცნობის ჩატარების ფორმა. კერძოდ ის, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ამოცნობა: ცოცხალი პირებისა და სხვა საგნებისა და ობიექტების ამოცნობა ერთგვაროვან ობიექტებთან ერთად ნატურით, თუ ამოცნობა ფოტოსურათებით;

4) ამოცნობის ჩასატარებლად საჭიროა წინასწარ შეირჩეს ისეთი ერთგვაროვანი ობიექტები, რომლებიც თავიანთი ფორმით, მოცულობით, ფერითა და სხვა საერთო ნიშან-თვისებებით, მკვეთრად არ განსხვავდებიან ამოსაცნობი საგნის, პიროვნებისა და სხვა ამოსაცნობი ობიექტებისაგან.

5) ამოცნობის ჩასატარებლად საჭიროა შეირჩეს ისეთი გარემოპირობები, როგორშიც მოხდა ამოსაცნობი პირის ნახვა ამომცნობი

პირის მიერ. ამ პირობების წინასწარ შერჩევა აუცილებელია მაშინ, როცა პირის ან სხვა საგნისა და ობიექტის შეცნობის ხარისხზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ობიექტურმა ფაქტორებმა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამოცნობა ხდება პიროვნებისათვის დამახასიათებელი მოძრაობის მანერით ან ხმისა და სხვა ჟესტიკულაციით. ასეთ დროს, ცხადია, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ობიექტურ ფაქტორებს, როგორიცაა განათების პირობები, მანძილი და სხვ.

6) ამოცნობის ჩასატარებლად შეირჩეს დრო და ადგილი. ამოცნობის დროდ უნდა შევარჩიოთ ისეთი დრო და ადგილი, რომ ამოცნობამდე არ მოხდეს ამომცნობი პირისა და ამოსაცნობი პირის ურთიერთშეხვედრა. ამასთან ერთად, თუ ფოტოსურათებით ამოცნობას ჩავატარებთ სამუშაო ოთახში, ცხოველების ამოცნობისათვის სხვა ადგილმდებარეობის შერჩევაა საჭირო. ასევე, გვამის ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს როგორც შემთხვევის ადგილზე, ისე მორგში და სხვ.

7) საჭიროა განისაზღვროს და შეირჩეს ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევ პირთა წრე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამოცნობა ტარდება არასრულწლოვან ან მცირეწლოვანი (მოზარდი) პირის მიერ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულისა და სხვ. ასეთ შემთხვევაში ამოსაცნობად წარსადგენ პირთა გარდა, საჭიროა მოწვეულ იქნეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ინტერესების დამცველი, არასრულწლოვანი ამომცნობი დაზარალებულის მშობლები ან პედაგოგი, წარმოების ენის არმცოდნე პირის მონაწილეობის დროს თარჯიმნის მოწვევა და სხვ.

8) ამოცნობის ჩატარების მთლიანი უწყვეტი პროცესის აღსაბეჭდავად საჭიროა წინასწარ მომზადდეს ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალებები და ფოტო, კინო და ვიდეოაპარატურა.

9) მოწმისა და დაზარალებულის მიერ ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის ამოცნობის დროს, ამოცნობაში მონაწილე პირების, აგრეთვე ამომცნობისა და ამოსაცნობი პირების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მოწვეულ იქნეს სპეციალური ოპერატიული ჯგუფი და სხვ.

ბ) *ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა.* როგორც აღვნიშნეთ, ამოცნობის ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნება, გვამი და მისი სხეულის ნაწილები, სხვადასხვა საგნები და ობიექტები, შინაური ცხოველები, შინაური ფრინველები და სხვ. ამისდა შესაბამისად, ამოც-

ნობა შეიძლება ჩატარდეს ამოსაცნობი პირების, საგნებისა და ობიექტების უშუალო წარდგენით და მათზე ვიზუალური დაკვირვებით ან ვიზუალური დაკვირვების გარეშე.

ცალკეული, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე ფოტოსურათებით, კინო და ვიდეოგადაღებით მიღებული გამოსახულებებით, დიაპოზიტივებით, ნილბებით, ტვიფარებით, ამოცნობისათვის წინასწარ მომზადებული სხვა საშუალებებით.

ამოცნობის ჩასატარებლად, ზემოთ განხილული მოსამზადებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ, გამომძიებელმა კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს ყველაფერი გააკეთა თუ არა მომზადების ეტაპზე, ხომ არ გამორჩა პროცესუალური კანონმდებლობით რეგლამენტირებული რაიმე გარემოება და მზადაა თუ არა მის ჩასატარებლად.

ყოველივე ამის შემდეგ გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირების გამოცხადება, გაარკვიოს, ხომ არაა რაიმე მკვეთრი სხვაობა იმ პირებსა და საგნებს შორის, რომლებთანაც უნდა მოხდეს ამოსაცნობი პირის ან საგნის წარდგენა ამოსაცნობად და სხვ. ამასთან, საჭიროა ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებს განემარტოს მათი როლი და უფლებამოვალეობები და თითოეულ მათგანს მიუჩინოს შესაბამისი ადგილი. ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოცნობას შეიძლება დაესწროს მათი ინტერესების დამცველიც.

იმისათვის, რომ ამოცნობა თავისი შედეგებით იყოს ეფექტური და მტკიცებულებად მიჩნეული, მიზანშეწონილია მისი ჩატარების დროს დაცულ და გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის პროცესუალური და კრიმინალისტიკურ-ტაქტიკური ხერხები:

1) ცოცხალი პირების, საგნების, ნივთების, შინაური ცხოველებისა და სხვა ობიექტების ამოცნობის ჩატარებას წინ უნდა უსწრებდეს ამომცნობ პირთა დაკითხვა;

2) 14 წელს მიღწეული ამომცნობი მოწმე და დაზარალებული ამოცნობის წინ გაფრთხილებულ უნდა იქნეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;

3) ცოცხალი პირების (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის), აგრეთვე საგნებისა და სხვა ობიექტე-

ბის ამოსაცნობად წარდგენა უნდა მოხდეს ამოსაცნობი პირისათვის უცხო მის მსგავს პირებსა და საგნებს შორის, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება სამზე ნაკლები იყოს;

4) ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ უნდა იქნენ საქმის მსვლელობით დაუინტერესებელი პირები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება ორზე ნაკლები იყოს;

5) გვამის ამოცნობა შეიძლება მოხდეს შემთხვევის ადგილზე და თუ იქ ვერ იქნა ამოცნობილი (შეცნობილი), მისი ამოცნობა უნდა გაგრძელდეს და ჩატარდეს გვამისათვის სათანადო ტუალეტის ჩატარების შემდეგ მორგში;

6) გვამის ამოცნობის დროს ამომცნობი შეიძლება დაკითხულ იქნეს ამოცნობის შემდეგ, თუკი იგი ამოცნობილი (დადგენილი) იქნა ამომცნობი პირის მიერ; ე.ი. ჯერ უნდა მოხდეს ამოცნობის ჩატარება და შემდეგ ამომცნობი პირის დაკითხვა იმის შესახებ, თუ რა საერთო და კერძო ნიშნების საფუძველზე მოხდა მისი ამოცნობა;

7) იმ შემთხვევაში, როცა ამოსაცნობია რამდენიმე პირი, მათი ამოცნობა უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე სხვადასხვა პირის მონაწილეობით;

8) განემარტოს ამოსაცნობ პირს, რომ უფლება აქვს თავის შეხედულებისამებრ აირჩიოს და ამოსაცნობად წარსადგენ პირთა შორის დაიკავოს ნებისმიერი ადგილი;

9) ამოცნობის ჩატარებამდე ამომცნობი და ამოსაცნობი ერთიმეორეს არ უნდა შეხვდნენ;

10) თუ ამომცნობი ამოსაცნობად წარდგენილ პირს ამოიცნობს, მან უნდა განმარტოს, თუ რა ნიშნებით მოახდინა მისი ამოცნობა, სად, როდის და რასთან დაკავშირებით ნახა მის მიერ ამოცნობილი პირი;

11) ცოცხალი პირების, საგნებისა და ობიექტების ამოცნობა მიზანშეწონილია ჩატარდეს გამომძიებლის სამუშაო ოთახში ან ამოსაცნობის, ან ამომცნობი პირის ადგილსამყოფელზე. გვამის ამოცნობა — მორგში, შინაური ცხოველებისა შენობაში ან შენობის გარეთ ერთგვაროვან ცხოველებს შორის;

12) ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირების გარდა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სპეციალისტი და ოპერატიული ჯგუფი;

13) ამოცნობის უწყვეტი პროცესის ფიქსაციისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს კინო ან ვიდეოაპარატურა;

14) ერთი და იმავე პირის, საგნის ან ობიექტის წარდგენა ამოსაცნობად ერთი და იმავე პირისათვის შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ და მისი განმეორებითი ჩატარება იმავე პირისათვის დაუშვებელია.

როგორც საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, დანაშაულთა გამოძიების პროცესში უფრო ხშირად მიმართავენ ისეთი სახის ამოცნობის ჩატარებას, როგორიცაა: ცოცხალი პირების (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის) ურთიერთამოცნობას; სხვადასხვა სახის საგნების, ნივთებისა და ობიექტების ამოცნობას; შინაური ცხოველების და გვამის ამოცნობას.

პიროვნების ამოცნობას, როგორც წესი, მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით ამა თუ იმ სუბიექტის შესახებ მოწმემ, დაზარალებულმა, ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა დაკითხვის დროს უჩვენა, რომ ის, მართალია, არ იცნობს იმ პირს და არაფერი იცის მისი ვინაობის შესახებ, მაგრამ მას ახსოვს იგი და შეუძლია მისი ამოცნობა გარეგანი ანატომიური, ფუნქციონალური ან სხვა რაიმე თვალსაჩინო ნიშნებით. აგრეთვე მაშინ, როცა ამა თუ იმ პირს არა აქვს თავისი პირადობის დამადასტურებელი საბუთი ან, როცა აქვს ასეთი დოკუმენტი, მაგრამ ეჭვს იწვევს მისი რეალობა.

პიროვნების ამოცნობა, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს გამომძიებლის სამუშაო ოთახში ან ამომცნობი პირის ადგილსამყოფელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როცა საჭიროა პიროვნების ამოცნობის ჩატარება, ამოსაცნობ პირს წინადადება ეძლევა ამოცნობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირთა შორის, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები, შეარჩიოს და დაიკავოს ნებისმიერი ადგილი. გამომძიებელს უფლება არა აქვს ამოსაცნობ პირს ურჩიოს ან მიუთითოს, თუ სად, რომელი პირის გვერდით ან პირთა შორის გაჩერდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოცნობის შედეგებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება.

ამოცნობა მიზანშეწონილია ჩატარდეს ისეთივე პირობებსა და მდგომარეობაში, რა პირობებსა და მდგომარეობაშიც ნახა ამოსაცნობი

პირი ამომცნობმა. მაგალითად, თუ მოწმე ან დაზარალებული მიუთითებს, რომ პირი, რომელიც მას თავს დაესხა და გააუპატიურა ან გაძარცვა, იყო მაღალი, შავგვრემანი, მრგვალი პირისახის, ხვეული თმებით, რომელსაც გახსნილი პერანგიდან მკერდის მარცხენა მხარეს ემჩნეოდა თავისი ტანის ფერისაგან განსხვავებული კვერცხის ფორმის ოდენობის თეთრი ფერის ლაქა, მის ზემოთ კი შავი დიდი ხალი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ამოცნობისათვის შეირჩეს ანალოგიური ჩაცმულობისა და გარეგნობის მქონე სამი მამაკაცი გულგახსნილი პერანგებით, რის შემდეგაც იმავე ოთახში შეყვანილ უნდა იქნეს ამავე სახის ჩაცმულობითა და მკერდის მარცხენა მხარეს გამოჩენით წარმოდგენილი ამოსაცნობი პირი და წინადადება მიეცეს აირჩიოს და დაიკაოს იქ მყოფ პირთა შორის შესაბამისი ადგილი. ამის შემდეგ საჭიროა შემოყვანილ იქნეს ამომცნობი პირი, რომელიც დაკითხული და გაფრთხილებულია ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და წინადადება მიეცეს დაათვალიეროს იქ მყოფი პირები და გაარკვიოს მათ შორის ხომ არაა მისი ნაცნობი პიროვნება. დადებით შემთხვევაში, განმარტოს საიდან და როგორ იცნობს მას. შეიძლება დაესვას აგრეთვე კითხვა: წარმოდგენილ პირთა შორის ხომ არაა ის პირი, რომლის შესახებაც მან მისცა ჩვენება დაკითხვის დროს და სხვ.

ამოცნობის ჩატარების პროცესში ამომცნობ პირს უნდა მიეცეს საშუალება ვიზუალურად დააკვირდეს თითოეულ მათგანს და ყოველგვარი აჩქარების გარეშე მოახდინოს ამოცნობა და დარწმუნებულმა გასცეს პასუხი მის მიმართ დასმულ კითხვაზე.

თუ ამომცნობი ამოსაცნობად წარდგენილი პირებიდან რომელიმე მათგანზე მიუთითებს დამაჯერებლად, დასახელებულ უნდა იქნეს ეს პირი და დაზუსტდეს, თუ მან როგორ და რა ნიშნებით მოახდინა მისი ამოცნობა (შეცნობა) და ამოცნობაში მონაწილე პირების თანდასწრებით მოხდეს ამ ნიშნების დემონსტრირება. ამომცნობმა პირმა იქვე უნდა ახსნას, თუ მის მიერ ამოცნობილი ეს პირი სად, როდის, რა გარემოებაში და მდგომარეობაში ნახა. ამასთან, რეკომენდებულია ამოცნობილ პირსაც მიეცეს საშუალება გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ამოცნობის ჩატარებასა და შედეგებთან დაკავშირებით.

თუ დასაკითხმა პირმა დაკითხვის დროს უჩვენა, რომ მას შეუძლია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოცნობა მისთვის დამახასიათებელი სიარულის ჩვევებით, ასეთ შემთხვევაში ამოსაცნობ პირს

წინადადება ეძლევა ამოცნობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირთა შორის შეარჩიოს და დაიკავოს ადგილი და მათთან ერთად გაიაროს გარკვეული მანძილი, რა დროსაც შეყავთ ამომცნობი პირი და მისგან გარკვეული მანძილის დაცილებით რამდენჯერმე გაივლიან. ამოცნობის შემთხვევაში პირმა დამატებით უნდა მისცეს განმარტება ამოცნობაში მონაწილე პირებთან ერთად იმის შესახებ, თუ როგორ და რა ნიშნებით ამოიცნო მან იგი.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ჩაწერილი საუბრის მიხედვით მოხდეს **პირის ამოცნობა ფონოგრამით ან ამოსაცნობი პირის მიერ წარმოთქმული სიტყვის ჩანაწერით** ან, როცა ჩაწერილ მაგნიტურ ფირზე ისმის ერთი და იმავე სქესის რამდენიმე პირის ხმა, მაშინ ანალოგიური სახის ჩანაწერის ორიგინალს მოისმენენ ამოცნობაში მონაწილე პირები და ამომცნობს მიეცემა კითხვა: იცნობს თუ არა ამ ჩანაწერი ხმებიდან რომელიმე მოსაუბრის ხმას. თუ ამოცნობა ტარდება ფონოგრამაში ჩაწერილი მონოლოგით, მაშინ რამდენიმე პირის მიერ წარმოთქმული ამავე სახის მონოლოგის ჩაწერა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე შესაბამისი თანმიმდევრობით და ამის შესახებ შედგეს ოქმი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს, თუ ვისი ხმაა ჩაწერილი და რა თანმიმდევრობით.

თუ დაზარალებულის ჩვენებით, მოძალადე იყო ნიღბით და მას შეუძლია მისი ამოცნობა საუბრის კილოთი ან სიარულის მანერით, ასეთ დროს ამოსაცნობ ნიღაბჩამოფარებულ პირს წინადადება უნდა მიეცეს ანალოგიური სახის ჩაცმულობითა და ნიღბით გამოწყობილ პირთა შორის დაიკავოს ნებისმიერი ადგილი და შემდეგ თითოეულმა მათგანმა გაიმეოროს და შეასრულოს შესაბამისი მოძრაობები და ის სიტყვები, რა სიტყვებზეც მიუთითა ამომცნობმა თავის ჩვენებაში.

მაშასადამე, ცოცხალი პირების ამოცნობა უნდა ჩატარდეს სხვა მის მსგავს პირებს შორის იმავე პირობებში და იმავე სახით, რა პირობებსა და რა სახითაც ნახა იგი დაზარალებულმა ან მოწმემ, ან ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, ან განსასჯელმა.

პიროვნების ამოცნობა ხმით, რეკომენდებულია ჩატარდეს ისეთ-ნაირად, რომ ამომცნობი ვერ ხედავდეს ამოსაცნობ პირებს, მაგრამ ესმოდეს მათი ლაპარაკი. ამ მიზნით ამომცნობი და ამოსაცნობი პირი ამოცნობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებთან ერთად მოთავსებულ უნდა იქნენ სხვადასხვა ოთახში, სადაც გამომძიებლის მიერ

მიცემული ნიშნის საფუძველზე ამოსაცნობი პირები თანმიმდევრულად წარმოთქვამენ წინასწარ შეთანხმებულ ფრაზებს.

ამოსაცნობმა პირმა თვითონ უნდა შეარჩიოს თავისი რიგითობა იმ პირთა შორის, რომლებიც თანმიმდევრულად წარმოთქვამენ მათთვის მიცემულ სიტყვებსა და ფრაზებს, მეორე ოთახში მყოფი ამომცნობი იქ დამსწრე პირებთან ერთად ისმენს სხვადასხვა ხმით წარმოთქმულ ამ ფრაზებს, რის შემდეგაც ამომცნობი ამოცნობაში მონაწილე პირების თანდასწრებით აცხადებს, თუ მოსმენილი ხმებიდან რომელი იყო ის ხმა, რომელიც მან ადრე გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით მოისმინა. ხმით ამოცნობის მთელი ეს პროცესი რეკომენდებულია ჩაწერილ იქნეს მაგნიტურ ფირზე.

საგნებისა და სხვა ობიექტების ამოცნობის დროსაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზემოთ ნათქვამი. კერძოდ, ამ სახის ამოცნობას წინ უნდა უსწრებდეს ამომცნობი პირის დაკითხვა, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს ამოსაცნობი საგნის საერთო და კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნებზე. ე.ი. იმაზე, თუ რა ნიშნებით შეუძლია ამომცნობს მისი ამოცნობა. ამასთან, ამოსაცნობი საგანი ამომცნობს უნდა წარედგინოს ერთგვაროვან საგანთა შორის, რომელთა რიცხვი არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები.

პიროვნების ამოცნობისაგან განსხვავებით, საგნებისა და და სხვა ობიექტების ამომცნობს შეუძლია ამოსაცნობი საგანი ხელში აიღოს, დათვალიეროს, შეამოწმოს მისი ხარისხი, თუ ამოსაცნობი საგანი ტანსაცმელია, შეუძლია ტანზეც მოიზომოს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილი აქვს დაზარალებულის მიერ თავისი კუთვნილი დატაცებული ნივთების ამოცნობას და სხვ. ამასთან, თუ მას ამოსაცნობ საგანზე, სხვებისაგან განსხვავებით, გაკეთებული აქვს რაიმე ნიშანი, ისიც უნდა მოიძებნოს. ამოცნობა უნდა ჩატარდეს დამსწრე პირების მონაწილეობით.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება გვამის ამოცნობა, რომლის ჩატარება აუცილებელია უცნობი გვამის აღმოჩენის დროს, როცა მის სხეულზე შეიმჩნევა ძალადობის ნიშნები. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელმა, მიიღებს რა შეტყობინებას ამის შესახებ, უნდა მისცეს შესაბამისი მითითება შემთხვევის ადგილისა და გვამის დაცვის შესახებ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების პარალელურად გამომძიებელმა სპეციალისტთან ერთად, ჩაატარებს რა გვამის დათვალიერებას, იმავდროულად უნდა იზრუნოს მისი ვინაობის დასადგენად. ამ მიმა-

რთებით მან უნდა მისცეს შესაბამისი დავალება ოპერატიულ ჯგუფს და შემთხვევის ადგილზე იზრუნოს მის ამოცნობაზე ისე, რომ არ დაზიანდეს შემთხვევის ადგილზე არსებული კვლები. ამ მიზნით, უნდა გაირკვეს ახლომახლო მცხოვრებლებისაგან ხომ არავის შეუძლია მისი ამოცნობა, მოწვეულ იქნენ ისინი შემთხვევის ადგილზე, აჩვენონ მათ იგი იმავე მდგომარეობაში, როგორც ნახულ და აღმოჩენილ იქნა. გვამის სანახავად მოსული პირები ნახავენ, დააკვირდებიან და თუ რომელიმე მათგანი ამოიცნობს (შეიცნობს), იგი დაუყოვნებლივ უნდა დაიკითხოს ამოცნობის შემდეგ იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ეს გვამი და რა ნიშნებით მოახდინა მისი ამოცნობა.

თუ შემთხვევის ადგილზე ვერ მოხერხდა გვამის ამოცნობა, იგი გადატანილ უნდა იქნეს მორგში, დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის ჩატარების შემდეგ, თუ იგი დამახინჯებულია, გამომძიებლის ნებართვით ჩაუტარდეს სათანადო ტუალეტი, მიეცეს პირვანდელი სახე და მოხდეს საამოსაცნობო ფოტოგადაღებები.

ამოსაცნობი გვამი მიზანშეწონილია მოთავსებულ იქნეს ცალკე და იგი ამოსაცნობად წარედგინოს ყველას, ვინც მოისურვებს მის ნახვას. თუ გვამის მონაცემები (ასაკი, სიკვდილის დადგომის დრო, სქესი, კანის ფერი დასხვ.) ემთხვევა რომელიმე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მონაცემებს, ამ პირის ახლო ნათესავები უნდა გამოძახებულ იქნენ და მათაც წარედგინოთ იგი ამოსაცნობად.

ჩვეულებრივ, სხვა პირებისაგან განსხვავებით, მის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს მიზანშეწონილია იგი წარედგინოთ იმ ტანსაცმელში რითაც იყო იგი აღმოჩენილი და შემდეგ შიშველ მდგომარეობაში. საჭიროების შემთხვევაში მისი ტანსაცმელი შეიძლება წარედგინოთ ცალ-ცალკე ამოსაცნობად. სხვა პირებს კი იგი უნდა წარედგინოთ ამოსაცნობად იმ ტანსაცმელში, რაშიც იყო აღმოჩენილი. თუ რომელიმე მნახველი შეძლებს მის ამოცნობას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამომძიებელს და ამ უკანასკნელმა მოახდინოს ამომცნობი პირის დაკითხვა იმის შესახებ, თუ ვინ არის იგი და რა ნიშნებით ამოიცნო.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გვამის ნაწილებია ცალ-ცალკე ან ერთად აღმოჩენილი, ასეთ დროს ამ ნაწილების მიხედვით ჯერ უნდა მოხდეს მთელის იდენტიფიკაცია ნაწილების მიხედვით, შემდეგ მისი ჯვარედინი ფოტოგადაღებები, ჩაუტარდეს სათანადო ტუალეტი და საამოსაცნობო ფოტოგადაღებები.

ზოგჯერ, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, შეიძლება შეუძლებელი იყოს იმ პიროვნების, საგნებისა და ობიექტების ნატურით წარდგენა ამოსაცნობად, რომელთა გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნების შესახებაც დაკითხულმა პირმა მიუთითა თავის ჩვენებებში და გამოთქვა შესაძლებლობა საძიებო პირის ან საგნის ამოცნობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ამოცნობა ჩატარდეს დამსწრე პირების მონაწილეობით ფოტოსურათების მიხედვით.

ამომცნობს ამოსაცნობი ფოტოსურათი უნდა წარედგინოს ფოტოსურათზე აღბეჭდილი ერთგვაროვანი საგნების ფოტოსურათებთან ერთად, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები.

სურათების წარდგენასთან ერთად ამომცნობს წინადადება უნდა მიეცეს ამოსაცნობად წარდგენილ ფოტოსურათებზე გამოსახულ პირთაგან ხომ არ იცნობს ან ხომ არ უნახავს სადმე რომელიმე მათგანი და თუ უნახავს — სად, როდის, რა გარემოებასა და მდგომარეობაში და რა ნიშნებით ამოიცნო იგი. მიღებული პასუხი ზუსტად უნდა იყოს ფიქსირებული ამოცნობის ოქმში.

ანალოგიური სახით უნდა ჩატარდეს სხვა საგნებისა და ობიექტების ამოცნობა ფოტოსურათების მიხედვით.

პრაქტიკაში შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე მოპარული ან დატაცებული შინაური ცხოველების ამოცნობა მათი კანონიერი მფლობელი პირის მიერ. ასეთ დროს დაზარალებულის დაკითხვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს იმაზე, შეუძლია თუ არა დაზარალებულს ამოიცნოს თავისი დაკარგული საქონელი (ცხვარი, ცხენი, ძროხა და სხვ.) და თუ შეუძლია, რა ნიშნებით. ამოსაცნობი საქონელი ამომცნობს უნდა წარედგინოს ერთი ფერისა და ერთგვაროვანი გარეგნობის მქონე ცხოველებთან ერთად. ამოცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ამომცნობის მოქმედებათა კომპლექსს, არამედ თვით ამოსაცნობი ცხოველის დამოკიდებულებასაც ამომცნობის მიმართ და სხვ.

ამოცნობის ჩატარების შესახებ შედგენილ უნდა იქნეს ოქმი კონკრეტული სახეობის მითითებით სსსკ-ის 349-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, ოქმში დეტალურად უნდა აისახოს ამომცნობის ვინაობა და ნიშნები, რომელთა მიხედვითაც იქნა ამოცნობილი პირი ან საგანი. ოქმში უნდა მიეთითოს ამოცნობის ჩატარების ადგილი და დრო, მისი ჩამტარებელი პირის თანამდებობა და გვარი.

ოქმში მითითებულ უნდა იქნეს ისიც, თუ ვისი მონაწილეობით ჩატარდა ამოცნობა და რა სახის ერთგვაროვან საგანთა შორის იყო მოთავსებული ამოსაცნობი საგანი და როგორ. ეს საგნები იყო თუ არა დანომრილი და რა თანმიმდევრობით, რა ნომრით აღინიშნა ამოსაცნობი საგანი და როგორ მოხდა მათი წარდგენა ამომცნობი პირისადმი. ოქმში უნდა აღინიშნოს ისიც, ამოსაცნობ პირს მიეცა თუ არა წინადადება ამოსაცნობად წარდგენილ პირთა შორის თვითონ აერჩია და დაეკავებინა ადგილი; რა ნიშნებით ამოიცნო ამომცნობმა ამოსაცნობი პირი ან საგანი და სხვ.

ოქმს ხელი უნდა მოაწეროს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა პირმა — გამომძიებელმა და მასში მონაწილე ყველა პირმა. ამასთან, ოქმს თან უნდა დაერთოს ამოცნობის პროცესში გამოყენებული კინო ან ვიდეოგადაღების მასალა, ფოტოსურათები და ფირი.

ამოცნობის შედეგებს, ცხადია, ისეთივე ტოლფარდოვანი მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებას, ან ექსპერტიზის დასკვნას და სხვ. ამიტომ მას საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან შედარებით არავითარი უპირატესობა არ შეიძლება მიენიჭოს, მაგრამ არც მისი დაუსაბუთებელი იგნორირება არ უნდა მოხდეს. როგორც ამას ზოგჯერ ადგილი აქვს საგამოძიებო პრაქტიკაში.

მაგალითად, გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ 2001 წლის 16 დეკემბერს დაახლოებით 23.00 საათზე ქ. რუსთავში მცხოვრებ კ.-ას საკუთარ საცხოვრებელ ბინაში თავს დაესხა გამოძიებით დაუდგენელი სამი ბოროტმოქმედი, რომლებმაც დანის გამოყენებით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, გაიტაცეს კ.-ს კუთვნილი სხვადასხვა სახის ნივთები და ფული. დაკითხვის დროს დაზარალებულმა კ.-ამ აჩვენა, რომ მის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს სამი ბოროტმოქმედიდან მან სახის ნაკვთებით იცნო მის მეზობელ კორპუსში მცხოვრები რ.-ე და გ.-ე. დაზარალებულის მიერ მითითებულ რ.-ეს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ნივთების ამოსაცნობად წარდგენის დროს დაზარალებულმა კ.-ამ ამოიცნო თავისი კუთვნილი ორი ცალი პატარა ქანდაკება. ამოცნობის ჩატარების დროს მან ასევე ამოიცნო თავის საცხოვრებელ ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე რ.-ე და გ.-ი.

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა მიუხედავად, მოცემულ საქმეზე,

გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება გაუხსნელობის მოტივით საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ და თავის ამ დადგენილებაში მიუთითა: „გარდა დაზარალებულის ჩვენებებისა, რომელიც თავის მხრივ ვერ იქნება მიჩნეული ობიექტურ და უტყუარ მტკიცებულებად... გამოძიების ამ ეტაპზე სხვა რაიმე მტკიცებულების მოპოვება ვერ მოხერხდა, რის გამოც მათ არ წარედგინათ ბრალდება".[1] მოცემული დადგენილება არასწორად იქნა მიჩნეული და ზემდგომი პროკურორის მართებული მითითებით იგი გაუქმდა და საქმეზე განახლებულ იქნა წინასწარი გამოძიება.

საკითხავია, რატომ არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული უტყუარ მტკიცებულებად დაზარალებულის ჩვენება, მაშინ როცა დაზარალებულმა თავდამსხმელებისგან ორი ამოიცნო და დაპირისპირების დროსაც დაადასტურა, მის მიერ ადრე მიცემული ჩვენება. მან ამოიცნო კიდეც ეჭვმიტანილ რ.-ეს ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული საგნებიდან თავისი კუთვნილი ორი ცალი პატარა ქანდაკება, რომლის აღმოჩენა და ამოღება თავისი ბინიდან ეჭვმიტანილმა ვერ ახსნა, თუ საიდან და როგორ აღმოჩნდა იგი მის ბინაში. საკითხავია ისიც, ამ შემთხვევაში, დაზარალებულს მეტი რა უნდა გაეკეთებინა? რატომ არ შეიძლებოდა დაზარალებულის ჩვენებისა და ამოცნობის შედეგების უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა?

საკონტროლო კითხვები

1. რა არის ამოსაცნობად წარდგენა?
2. რა არის ამოსაცნობად წარდგენის მიზანი და რაში მდგომარეობს მისი ამოცანები?
3. ამოსაცნობად წარდგენა შეიძლება თუ არა განვიხილოთ იდენტიფიკაციის საშუალებად?
4. როგორი სახის საგამოძიებო მოქმედებაა ამოცნობა?
5. საჭიროა თუ არა ამომცნობი პირის გაფრთხილება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე?

---

[1] ქ. რუსთავის საგამოძიებო განყოფილების პრაქტიკიდან, საქმე №1201216.

6. შეიძლება თუ არა ამოსაცნობად წარდგენის განმეორებით ჩატარება ერთი და იმავე პირის მიერ?

7. რა თავისებურებებით ხასიათდება ცოცხალი პირებისა და გვამების ამოსაცნობად წარდგენა?

8. რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ამოცნობის შესაძლებლობასა და ხარისხზე?

9. საგამოძიებო პრაქტიკაში ძირითადად რა სახის ამოსაცნობად წარდგენები ტარდება?

10. რა თავისებურებებით ხასიათდება ფოტოსურათებით ამოსაცნობად წარდგენა?

11. რა უნდა იქნეს გაგებული პროცესუალური და არაპროცესუალური გზით ამოსაცნობად წარდგენის ჩატარებაში?

12. როგორ უნდა მოხდეს ამოსაცნობად წარდგენისათვის ერთგვაროვანი ობიექტების შერჩევა?

13. რა მოსამზადებელი ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს ამოსაცნობად წარდგენამდე?

14. რა უნდა უსწრებდეს წინ ცოცხალი ადამიანებისა და დატაცებული საგნების დაზარალებულისა და მოწმისათვის ამოსაცნობად წარდგენას?

15. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება პიროვნების ამოსაცნობად წარდგენა?

16. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება გვამისა და სხვადასხვა სახის საგნებისა და ობიექტების ამოსაცნობად წარდგენა?

17. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება პირის ამოსაცნობად წარდგენა ფონოგრამით ან წარმოთქმული სიტყვების ჩანაწერით?

18. რა ტაქტიკური თავისებურებებით ხასიათდება პიროვნების ამოსაცნობად წარდგენა ხმის მიხედვით?

19. საგნებისა და ობიექტების ამოსაცნობად წარდგენის დროს შეიძლება თუ არა ამომცნობმა ხელში აიღოს, დაათვალიეროს და შეამოწმოს ამოსაცნობი საგანი?

20. რა თავისებურებებით ხასიათდება ცხოველების ამოსაცნობად წარდგენა?

21. როგორ, რა ხერხებითა და საშუალებებით უნდა მოხდეს ამოსაცნობად წარდგენის შედეგების ფიქსაცია?

თავი XVI. შემოწმების ჩატარების ტაქტიკა

§1. შემოწმების ცნება და მისი განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან

შემოწმება ადრინდელი პერიოდის სისხლის სამართლის პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში განიხილებოდა, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობა და უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება მას შემდეგაც გრძელდებოდა, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით [1] იგი დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად იქნა აღიარებული.

სამწუხაროდ, მას ზოგიერთი ავტორი დღესაც დათვალიერების ნაირსახეობად მიიჩნევს, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან მათ შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება. მათი ეს სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება შემდეგში:

1) დათვალიერების ობიექტი, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს შემთხვევის ადგილი, ადგილმდებარეობა, ადამიანის გვამი, სადგომი, საგანი, დოკუმენტი და, გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნებისმიერი ობიექტი. კერძოდ, შემთხვევის ადგილზე დარჩენილი დანაშაულის ჩადენის იარაღი, ლატენტური სახის კვალიანი საგანი, ადამიანის გვამი და სხვ., აგრეთვე, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილები, საბულალტრო და სხვა სახის დოკუმენტების დათვალიერება და სხვ. მაშინ, როცა შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოცხალი ადამიანი;

2) დათვალიერების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი. შემოწმების სუბიექტი კი, მთელ რიგ შემთხვევებში, შეიძლება იყოს ექიმი, რომელიც უფლებამოსილია გამომძიებლის გარეშე ჩაატაროს შემოწმება, თუ იგი დაკავშირებულია სხვა სქესის შესამოწმებელი პირის გაშიშვლებასთან;

3) დათვალიერების ჩასატარებლად, როგორც წესი, საჭირო არაა გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა ან სასამართლოს ნებართვის მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

---

[1] იხ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1988, გვ. 276; Уголовный процесс. Учебник для вузов. М., 1998, გვ. 214-215 და სხვ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა ჩატარდეს საცხოვრებელ ბინაში ან სამსახურებრივ სადგომში, ან დახურულ ტერიტორიაზე მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ. შემოწმების ჩატარება კი არ შეიძლება გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანის გარეშე;

4) დათვალიერების უმთავრესი მიზანია დასათვალიერებელ საგნებსა და ობიექტებზე არსებული სხვადასხვა სახის (ხელის, ფეხის, გატეხვის იარაღების, დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის და სხვა) კვალის აღმოჩენა. შემოწმების მიზანი კი შეიძლება იყოს ალკოჰოლური და სხვა ნიშნების აღმოჩენაც. შესამოწმებელი პირის სხეულზე არსებული განსაკუთრებული ნიშნები და მათი განლაგება, სხვადასხვა სახის დაზიანება, მის სხეულზე დანაშაულის ჩადენის შემდეგ აღმოცენებული რაიმე სახის მიკრონაწილაკები, ან მისთვის დამახასიათებელი პროფესიული ნიშნები და სხვ;

5) საგნებისა და ობიექტების დათვალიერების დროს წარმოებს დასათვალიერებელი საგნის (ობიექტის) ნიშან-თვისებების უბრალო ასახვა იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიცაა იგი აღმოჩენილი. ცოცხალი პირების სხეულის შემოწმების დროს კი აღმოჩენილი ნიშნების მარტოოდენ ასეთი აღწერა საკმარისი არაა;

6) დათვალიერების დროს ლატენტურ კვალთა აღმოჩენა-დათვალიერებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება (სპეციალური ხელსაწყოები, მიკროსკოპები, გამადიდებლები, სპექტრის უხილავი სხივების გამოყენება და სხვ.). შემოწმების დროს კი ამგვარი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება, როგორც წესი, არ ხდება;

7) შემოწმების დროს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოქმედება, რომელიც ამცირებს შესამოწმებელი პირის პატივსა და ღირსებას. დათვალიერების დროს კი ამგვარი რამ გამორიცხულია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ტარდება უსულო საგნების მიმართ;

8) შემოწმების დროს გამოიყენება დათვალიერებისათვის ისეთი უცხო მეთოდები, როგორიცაა: ინსტრუმენტული კვლევის მეთოდები ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური სიმთვრალის დასადგენად;

9) შემოწმების დროს შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე ისეთი საკითხის გამორკვევა, რომელიც საექსპერტო კვლევის ნიშნებითაც

ხასიათდება, როგორიცაა, მაგალითად, ფეხმძიმობის საკითხის დადგენა, რაც დათვალიერებისათვის სრულიად უცხოა და სხვ.

დათვალიერებისა და შემოწმების ზემოაღნიშნული ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნები, ცხადია, ამომწურავი არაა. მაგრამ, საკითხის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და შემოწმებას ყოფს ორ ძირითად სახედ, საიდანაც პირველს მიაკუთვნებს საგამოძიებო შემოწმებას, მეორეს კი სასამართლო-სამედიცინო შემოწმებას. აქედან შემოწმების პირველ სახეს განიხილავს, როგორც საგამოძიებო დათვალიერების ნაირსახეობას, მეორეს კი, როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ნაირსახეობას. და, რომ აქედან პირველი სახის შემოწმების ჩასატარებლად საჭირო არაა სპეციალური ცოდნა, რადგან აქ გადასაწყვეტად შეიძლება დაყენებულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სხეულის დაზიანების ხანდაზმულობისა და ხარისხის დადგენა, შესამოწმებელი პირის სხეულზე არსებული ფიზიოლოგიური ანომალიების თანდაყოლილობისა და მათი შემდგომი აღმოცენების საკითხის გარკვევა და სხვ.[1]

შემოწმების შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული ორივე ზემოაღნიშნული შეხედულება მთლად უსაფუძვლო არაა, რადგან შემოწმებას მართლაც აქვს დათვალიერებისა და სამედიცინო ექსპერტიზისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება. ამასთან, ბუნებრივად იბადება კითხვა: როცა შემოწმებას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად მიიჩნევს, რატომ უნდა ავურიოთ და გავაიგივოთ იგი სხვა, თუნდაც მომიჯნავე, საგამოძიებო მოქმედებებთან? ეს და სხვა მის ირგვლივ დაყენებული საკითხი მოითხოვს სათანადო პასუხის გაცემას.

შემოწმების იურიდიული ბუნების შესახებ ზემოაღნიშნულ ავტორთა მიერ საკითხის ამგვარი დაყენებაც, ჩემი აზრით, თავისთავად არასწორია. რადგან აქ ერთიმეორეშია არეული შემოწმებისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებით გადასაწყვეტი საკითხები. კერძოდ, არ შეიძლება დავეყრდნოთ და ცალკე მტკიცებულებად მივიჩნიოთ

---

[1] Криминалистика. Учебник, для вузов. М., 1999, გვ. 570 და სხვ.

შემოწმებით მიღებული შედეგები სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი ხასიათის დაზიანებად მიჩნევის შესახებ და სხვ. ეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პრეროგატივაა და მის გარეშე ამ საკითხების დადგენა სხვა არც ერთი საგამოძიებო მოქმედებით არ შეიძლება დადგინდეს.

ასევე შემოწმებით შეიძლება გაირკვეს და დადგინდეს საქმეზე მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, რომელთა დასადგენად საჭირო არაა ექსპერტიზის დანიშვნა.

ასეთსავე პოზიციებზე დგას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლის თანახმად, ადამიანის სხეულის შემოწმებით შეიძლება გამოვლინდეს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მთელი რიგი ისეთი ნიშან-თვისებები, რომელთა დადგენა-გამოვლენისათვის საჭირო არაა ექსპერტიზის ჩატარება. კერძოდ, შემოწმებით შეიძლება დადგინდეს ადამიანის სხეულზე არსებული რაიმე ნიშანი ან სხეულის რაიმე თავისებურება, ან მასზე არსებული ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ან ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა მისი ისეთი ფიზიოლოგიური ნიშნები, რომელთა გამოვლინება-დადგენისათვის საჭირო არაა ექსპერტიზის ჩატარება.

§2. შემოწმების არსი და მისი ჩატარების ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება

შემოწმების არსისა და მისი იურიდიული ბუნების უშუალოდ განხილვამდე, რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდე მისი ჩატარების ზოგიერთ ისეთ გარემოებაზე, რომელიც საგამოძიებო პრაქტიკასთან გარკვეულ წინააღმდეგობაშია.

მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე შემოწმება პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებადაც გვევლინება.

მაგალითად, გაუპატიურების საქმეზე, როცა სახეზე გვაქვს დაზარალებულის განცხადება მასთან ფიზიკური ძალის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამყარების შესახებ, და საჭიროა გაირკვეს მის სხეულზე არსებობს თუ არა ძალადობის შედეგად მიყენებული სხეულის დაზიანებები, ან, როცა საჭიროა გაირკვეს დაკავებული პირი იმყოფება თუ არა ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ან როცა ადგილი აქვს ცემის, ან

წამების ფაქტებს ან განზრახ, ან გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებას და სხვ.

ასეთ შემთხვევებში, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პიროვნების შემოწმებას ხშირად ატარებდნენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, რაც იწვევდა გამოძიებასა და სასამართლოს შორის გარკვეულ უთანხმოებას და სასამართლო მართებულად არ იღებდა ამგვარი გზით ჩატარებული შემოწმების შედეგებს მტკიცებულებად, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შემოწმების ჩატარება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დაუშვებლად იყო მიჩნეული. ამჟამად ეს ბარიერი აღარ არსებობს და მისი ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში, გამოძიების დაწყების პირველსავე ეტაპზე შეიძლება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე შემოწმების თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებებად აღიარება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მისი ჩატარების დაუშვებლობა ადრეც არასწორად მიმაჩნდა და ვასაბუთებდი, რომ საპროცესო კანონმდებლობით შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკისა და ამოღების მსგავსად, შემოწმების ჩატარებაც ნებადართული ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე.

მაგალითად, 2001 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში ამასთან დაკავშირებით ვწერდი: „იბადება კითხვა: თუ საკანონმდებლო წესით ნებადართულ იქნა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ისეთი იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, როგორიცაა ჩხრეკა და ამოღება, კანონმდებელი რა მოტივით იკავებს თავს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დაკავებისა და შემოწმების ჩატარების დაუშვებლობაზე? ვფიქრობთ, აქ აშკარა შეუსაბამობაა და იგი დროულად უნდა გამოსწორდეს და სსსკ-ის შესაბამის მუხლებში შეტანილ იქნეს ცვლილება შემოწმების სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩატარების დასაშვებულობის შესახებ.“[1]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოწმებას ცალკე თავი აქვს დათმობილი და მოიცავს 350-355-ე მუხლებს. კერძოდ, მასში ცალკე მუხლებითაა რეგლამენტირებული შემოწმების საფუძველი და მიზანი (სსსკ-ის 350-ე მუხ.), შესამოწმებელი

[1] შოთა ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა. თბ., 2001, გვ. 383.

პირი, ანუ ის, ვისი შემოწმებაც კანონითაა ნებადართული (სსსკ-ის 351-ე მუხ.), დადგენილების გამოტანა შემოწმების ჩატარების შესახებ (სსსკ-ის 352-ე მუხ.), შემოწმების ჩატარების შესახებ დადგენილების სავალდებულობა (სსსკ-ის 353-ე მუხ.), გამომძიებლის ან პროკურორის მიერ შემოწმების ჩატარების წესი (სსსკ-ის 354-ე მუხ.) და შემოწმების ოქმის შედგენის წესი (სსსკ-ის 355-ე მუხ.).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ-ის 350-ე მუხ.) შემოწმების მიზნად მიჩნეულია ადამიანის სხეულზე გამოსაძიებელი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ნიშნის ან თავისებურების აღმოჩენა და დადგენა ექსპერტიზის ჩატარების გარეშე. აგრეთვე ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოვლენილ იქნეს ადამიანის სხეულში არსებული ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობა ექსპერტიზის ჩატარების გარეშე.

მაშასადამე, შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი, კერძოდ, დაზარალებული, ეჭვმიტანილი და ბრალდებული. რაც შეეხება მოწმეს, იგი შეიძლება შემოწმებულ იქნეს მხოლოდ მისი ჩვენების სისწორის გასარკვევად.

შემოწმების ჩასატარებლად საჭიროა გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილ იქნეს მოტივირებული დადგენილება შემოწმების ჩატარების შესახებ. დადგენილება უნდა ემყარებოდეს იმას, რომ არსებობს გარკვეული, ანუ საკმარისი მონაცემები იმისა, რომ შესამოწმებელ პირს სხეულზე ამჩნევია დანაშაულის კვალი ან გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა რაიმე თავისებური ნიშანი.

შემოწმების შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აუცილებლად მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ და რა მიზნით ატარებს პირის შემოწმებას, ვინ უნდა შეამოწმოს იგი და ამ მიზნით ვისთან და როდის უნდა იქნეს გამოცხადებული შესამოწმებელი პირი.

აღსანიშნავია, რომ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება შემოწმების შესახებ სავალდებულოა იმ პირისათვის, ვის მიმართაც იქნა იგი გამოტანილი.

კანონი იძლევა იმის განმარტებასაც, თუ როგორ უნდა მოიქცეს შემოწმების დადგენილების გამომტანი თანამდებობის პირი, როცა შემოწმებას თავს არიდებს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი იძლევა იმის უფლებას, რომ ეს პირები

(ეჭვმიტანილი და ბრალდებული) შეიძლება იძულების წესით იქნენ მოყვანილი და შემოწმებული.

რაც შეეხება დაზარალებულსა და მოწმეს, ისინი იძულების წესით შეიძლება შემოწმებულ იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს მათ შემოწმებას დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენებების გაბათილების მიზნით. ამასთან, მოწმისა და დაზარალებულის იძულების წესით შემოწმება დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და აქედან გამონაკლისი არ დაიშვება.

სსსკ-ის 354-ე მუხლის თანახმად, შემოწმების ჩატარების შესახებ გამოტანილი დადგენილება ხელმოწერით უნდა გაეცნოს შესამოწმებელ პირს. ამასთან, შემოწმების ყველა მონაწილეს უნდა განემარტოს მათი უფლება-მოვალეობები.

სსსკ-ის 354-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შემოწმებას, რომელიც დაკავშირებული არ არის სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი სპეციალისტის მონაწილეობით.

იმ შემთხვევაში, თუ შემოწმება დაკავშირებულია სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ან როცა შემოწმების ჩატარება საჭიროებს ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებას ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დასადგენად, ასეთი შემოწმება გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით უნდა ჩაატაროს იმავე სქესის ექიმმა, რა სქესისაცაა თვითონ შესამოწმებელი პირი.

ასეთ დროს ექიმი უფლებამოსილია დაათვალიეროს შესამოწმებელი პირის სხეული, ჩაატაროს გაზომვები და გამოიყენოს გასინჯვის ინსტრუმენტული მეთოდი.

მთელ რიგ შემთხვევებში შემოწმებას შეიძლება თან სდევდეს შესამოწმებელი პირის ტანსაცმლის დათვალიერებაც. ასეთ დროს რეკომენდებულია ჯერ შემოწმებულ იქნეს მისი სხეულის ის ნაწილები, რომლებიც ტანსაცმლით არაა დაფარული, შემდეგ მისი ტანსაცმელი და სხეულის სხვა დანარჩენი ადგილები.

შესამოწმებელი პირის დათვალიერების დროს ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს ტანსაცმლისა და ჯიბეების ნაკერებზე, სადაც შეიძლება აღმოჩენილ იქნეს სხვადასხვა სახის მიკრონაწილაკი, ტანსაცმელზე შემორჩენილი სხვადასხვა სახის ლაქა, რამაც შეიძლება სა-

შუალება მოგვცეს დავადგინოთ მისი შეხების ფაქტი გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგანზე და სხვ.

მიკრონაწილაკების გამოვლინება-აღმოჩენის მიზნით შეიძლება განმეორებითაც ჩატარდეს შესამოწმებელი პირის ტანსაცმლის უფრო დეტალური დათვალიერება ლაბორატორიულ პირობებში.

ამგვარი შემოწმება-დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნები და მიკრონაწილაკები ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეფუთული და დალუქული, დადასტურებული შემმოწმებელი პირისა და მასში მონაწილე სპეციალისტის მიერ და ყოველივე ეს გადატანილ უნდა იქნეს და სრულყოფილად აისახოს დათვალიერების ოქმში.

შემოწმების ჩატარების შესახებ საჭიროა შედგენილ იქნეს ოქმი კანონით დადგენილი წესების დაცვით. კერძოდ, ოქმში მითითებულ და აღწერილ უნდა იქნეს თუ სად, როდის და ვის მიერ იქნა გამოტანილი დადგენილება შემოწმების შესახებ, მისი თანამდებობა, გვარი და სახელი, რა საქმესთან დაკავშირებით და რა მიზნით; ვინ ჩაატარა იგი, როგორ, რა თანმიმდევრობით და ვისი მონაწილეობით; რა იქნა გამორკვეული, რა თავისებურება, ნიშანი და კვალი იქნა აღმოჩენილი შემოწმების შედეგად და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებასთან ერთად მოხდა შესამოწმებელი პირის ტანსაცმლის დათვალიერებაც, ასეთ დროს მიზანშეწონილია ოქმი შედგენილ იქნეს შემოწმებისა და ტანსაცმლის დათვალიერების ოქმის სახელწოდებით.

შემოწმების ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მისმა ჩამტარებელმა გამომძიებელმა, ან პროკურორმა, თვითონ შემოწმებულმა, მასში მონაწილე დამსწრე პირებმა, ექიმმა და სხვა სპეციალისტმა. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმება ჩაატარა ექიმმა, მაშინ მან თვითონ უნდა შეადგინოს ოქმი და მასზე ხელიც თვითონ მან უნდა მოაწეროს. მასთან ერთად ოქმს ხელი უნდა მოაწეროს შემოწმებაში მონაწილე სხვა პირებმაც. კერძოდ, შემოწმების ჩატარების დამსწრე პირებმა, რის შემდეგაც ოქმი უნდა გადაეცეს შემოწმების ჩატარების შესახებ დადგენილების გამომტან პირს — გამომძიებელს ან პროკურორს.

შემოწმების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხეულზე აღმოჩენილი განსაკუთრებული ნიშნების და სხვა გარემოებათა აღსაბეჭდავად ფოტოგადაღება.

პროცესუალური ნორმებით დადგენილი ზემოაღნიშნული წესების

დაუცველობით ჩატარებულ შემოწმების შედეგებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიეცემა და მას სასამართლო არ გაიზიარებს. ამიტომ შემოწმების ჩატარების დროს საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ეს წესი ზუსტი შესაბამისობით უნდა იქნეს დაცული.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის შემოწმება?
2. რა ნიშნებით განსხვავდება იგი დათვალიერებისაგან?
3. რამდენად სწორია შემოწმების დაყოფა საგამოძიებო და სამედიცინო სახის შემოწმებებად?
4. შემოწმება არის თუ არა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედება და რაში გამოიხატება მისი არსი და მნიშვნელობა?
5. შეიძლება თუ არა შემოწმების მიჩნევა პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებად?
6. რა საკითხები შეიძლება გაირკვეს შემოწმების ჩატარებით?
7. ვინ შეიძლება იყოს შემოწმების ობიექტი?
8. შემოწმების ჩასატარებლად საჭიროა თუ არა გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული დადგენილება?
9. რა შემთხვევაშია აუცილებელი შემოწმების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანება?
10. როდის და როგორ შეიძლება ჩატარდეს მოწმისა და დაზარალებულის შემოწმება?
11. რა საკითხები უნდა იქნეს ასახული შემოწმების ოქმში?

პრაქტიკულ-ლაბორატორიულ და სემინარულ მეცადინეობებზე კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკითხების ცოდნის სისტემის შემოწმება ტესტებით, პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება კაზუსების განხილვითა და საქმიანი თამაშების ჩატარებით

თავი XVII.

პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებზე კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკვანძო საკითხების ცოდნის შემოწმება და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება კაზუსების განხილვითა და საქმიანი თამაშების ჩატარებით

კრიმინალისტიკური ტაქტიკით გათვალისწინებული თემების უკეთ ათვისების, დამახსოვრებისა და გამოსაძიებელ საქმეზე მუშაობის პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებისა და ლოგიკური აზროვნების განვითარების მიზნით, საჭიროა სტუდენტებს (მსმენელებს) ლექციებისა და სემინარების პარალელურად ჩაუტარდეთ აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობები, დამოუკიდებლად იმუშაონ ნაშრომში დაყენებული კაზუსების დასაბუთებულ ახსნა-გადმოცემაზე და მის საფუძველზე იმსჯელონ საგამოძიებო ვერსიების აგების, გამოძიების დაგეგმვისა და ჩამოყალიბებული ვერსიების შესამოწმებლად ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკურ თავისებურებებზე და მოახდინონ ამ მოქმედებათა სწორი პროცესუალური გაფორმება.

ზემოაღნიშნულის გარდა, მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავების და პრაქტიკული ჩვევების სრულყოფილად ჩამოყალიბებისა და საკუთარი შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მიზნით, საჭიროა სტუდენტებს ჩაუტარდეთ აგრეთვე საქმიანი თამაშები ლექტორის მიერ მოცემულ კაზუსებზე საგამოძიებო ვერსიების აგების, გამოძიების დაგეგმვის და ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ტაქტიკურ თავისებურებათა მიხედვით.

ყოველივე ამის გამო წინამდებარე ნაშრომს თან ვურთავ ცალკეულ თემებზე მარტივი სახის სავარჯიშო კაზუსებს, ამოცანებს, საქმიანი თამაშების ჩასატარებლად საჭირო მასალასა და ტესტებს, რომელთა ახსნა-გადაწყვეტაზე თვითონ სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა იმსჯელოს, ახსნას, ჩამოაყალიბოს და წერილობით დაასაბუთოს თავისი პოზიცია კაზუსში დაყენებული საკითხების გადაწყვეტის მიმართებაში. საქმიანი თამაშების ჩატარებას კი უშუალოდ უნდა უხელმძღვანელოს ლექტორმა წინასწარ შედგენილი გეგმით, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ინსცენირების, ჩვენების ფორმირების პროცესის, ეჭვმიტა-

ნილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, დაკითხვის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით.

კაზუსი №1

პროკურორმა ტიმოთემ დილის საინფორმაციო წერილში წაიკითხა, რომ წინა საღამოს 21 საათიდან დილის 8 საათამდე ქალაქში მოხდა თერთმეტი მძიმე დანაშაული (სამი მკვლელობა, ორი ძარცვა, ხუთი ბინის ქურდობა და ერთი საცხოვრებელ ბინაზე ყაჩაღური თავდასხმა), რომელთაგან ცხრა უკვე გახსნილია და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები დაკავებულები არიან. ჯერჯერობით გაუხსნელია მხოლოდ ერთი ბინის ქურდობა და ერთი მკვლელობა. შედეგებით კმაყოფილმა პროკურორმა თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ არ შეიმჩნია და პოლიციის სამმართველოს უფროსს დავალება მისცა: საღამომდე ის ორი დარჩენილი დანაშაულიც აუცილებლად გაეხსნათ, ეჭვმიტანილები დაეძებნათ და დაეკავებინათ.

დავალება

1. წერილობით დაასაბუთეთ და წარმოადგინეთ, რამდენად სწორი და უტყუარია ამ სახით მიღებული ინფორმაცია მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გახსნილად გამოცხადების შესახებ.
2. შეიძლება თუ არა დანაშაული გახსნილად ჩაითვალოს მარტოოდენ ეჭვმიტანილის დაკავების საფუძველზე?
3. როდის, რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს დანაშაული გახსნილად?
4. ახსენით და დაასაბუთეთ, რამდენად ტოლფარდოვანია „დანაშაულის გახსნისა“ და „დანაშაულის გამოძიების“ ცნება.

კაზუსი №2

გამომძიებელ მურჯიკნელს შეატყობინეს, რომ მარტვილაძისა და ტყებუჩაძის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე „სუპერმარკეტის“ მაღაზია გაქურ-

დეს, გატეხილია კარები და წაღებულია 5000 ლარამდე ღირებულების სხვადასხვა სახის დასახელების პროდუქტი. გამომძიებელმა ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, შემთხვევის ადგილზე მისვლამდე, წამოაყენა ვერსია, რომ აქ ადგილი აქვს არა ქურდობას, არამედ მატერიალური პასუხისმგებელი პირის მიერ მოწყობილ ქურდობის ინსცენირებას და შემთხვევის ადგილის დათვალიერების გარეშე შეუდგა ამ ერთადერთი ვერსიის საფუძველზე საგამოძიებო გეგმის შედგენასა და გამოძიების წარმართვას.

დავალება

ახსენით და წერილობით დაასაბუთეთ რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი მურჯიკნელი.

პასუხის დაწერის დროს ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რას უნდა ემყარებოდეს ვერსიების აგება; რამდენად მიზანშეწონილია ერთი ვერსიის აგება და მისი შემოწმება; როგორ უნდა მოხდეს ვერსიების აგება-შემოწმება; შეიძლება თუ არა ვერსია იყოს მარტოოდენ ფანტაზიის ნაყოფი; ვერსიების აგების დროს რამდენად შესაძლებელია ლოგიკური აზროვნების კანონებისა და ანალოგიის გამოყენება; რამდენად შესაძლებელი და მიზანშეწონილია გამოსაძიებელ საქმეზე მარტოოდენ ზოგადი ვერსიების აგება და სხვ.

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №3

გამომძიებელმა ჩიმაკაძემ ბრალდებულ ვეფხვაძის დაკითხვით გამოარკვია, რომ მასთან ერთად ძარცვასა და ყაჩაღობაში მონაწილეობას ღებულობდა ქუთაისელი კვიმატაძე და თელაველი ცხვარაძე, რომლებთან ერთად მან ორი ყაჩაღური თავდასხმა მოახდინა ქუთაისში, ორი ზუგდიდში, თითო სიღნაღსა და გურჯაანში, ორი კი თბილისში. მოცემულ საქმეზე გამომძიებელმა შეადგინა გაშლილი საგამოძიებო გეგმა და პროკურორთან შევიდა შუამდგომლობით საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ, რაზეც პროკურორი დათანხმდა და ამ საქმის გამოძიებაზე დასახმარებლად მას მიამგრა გამომძიებელი ტურავა, ცხვარაძე და წულაძე. გამომძიებელმა ჩიმაკაძემ გააცნო მათ საქმის ვითარება და თითოეულ მათგანს გამოსაძიებლად მისცა ამ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ორ-ორი ეპიზოდი.

დავალება

ახსენით და წერილობით დაასაბუთეთ:

1. როგორ და რა სახის გეგმა უნდა შეადგინოს გამოძიების ჯგუფში შემავალმა თითოეულმა გამომძიებელმა და ჯგუფის ხელმძღვანელმა.

2. მოცემული კაზუსის მიხედვით შეადგინეთ გაშლილი საგამოძიებო გეგმა და გეგმა ცალკეული გამოსაძიებელი ეპიზოდების მიხედვით.

კაზუსი №4

იმის გამო, რომ ბრალდებული შერმადინი არ იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ბინაში და არც სამუშაო ადგილზე და, ამასთან, დაბარებით არ გამოცხადდა გამომძიებელთან, ამ უკანასკნელმა გამოიტანა დადგენილება ბრალდებულ შერმადინის საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ.

დავალება

1. ახსენით და დაასაბუთეთ:

რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი შერმადინის ძებნის გამოცხადების შესახებ.

2. ნაჩქარევი ხომ არ იყო მის მიერ ძებნის გამოცხადების შესახებ დადგენილების გამოტანა;

3. უფლებამოსილი იყო თუ არა იგი თავისი სახელით საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ;

4. მიუთითეთ როგორ და ვის მიერ შეიძლება მოხდეს საერთაშორისო ძებნის გამოცხადების ორგანიზაცია; გამოიტანეთ შესაბამისი სრულყოფილი დადგენილება მიმალვაში მყოფი ბრალდებულის საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ.

კაზუსი №5

გამომძიებელ ჩიმაკაძეს შეატყობინეს, რომ მკლავაძისა და ვეფხვაძის ქუჩის გადაკვეთაზე აღმოჩენილია ახალგაზრდა მამაკაცის გვამი. გამომძიებელი დაუყოვნებლივ გავიდა აღნიშნულ მისამართზე და ნახა, რომ იქ ნამდვილად იყო უცნობი მამაკაცის გვამი, რომელსაც თავისა და მკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიით მიყენებული ჰქონდა ორი ჭრილობა. გვამიდან ცოტა მოშორებით აღმოჩენილ იქნა ერთი გაცლილი საბრძოლო მასრა. გამომძიებელმა გვამი დაათვალიერა, შეადგინა გვამის დათვალიერების ოქმი და ბრძანა გვამი მორგში გადაეტანათ. ამასთან, მორგის ადმინისტრაციის წარმომადგენელს დაავალა, თუ გვამს ვინმე ამოიცნობდა, მისთვის ეცნობებინა. მორგში გადასვენებული გვამის ვინაობა ვერ დადგინდა და სამი დღის შემდეგ პროკურორთან შეთანხმებით ბრძანა მისი დამარხვა. ამასთან, საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების, მოწმეთა დაკითხვის, სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ წამოაყენა საგამოძიებო ვერსიები და მის სარეალიზაციოდ შეადგინა საგამოძიებო გეგმა.

დავალება

1. დაასაბუთეთ და წერილობით წარმოადგინეთ რამდენად სწორად და სრულყოფილად ჩაატარა გამომძიებელმა შემთხვევის ადგილისა და იქ არსებული გვამის დათვალიერება;

2. როდის და რა სახის ვერსიები შეიძლება წამოეყენებინა გამომძიებელს ამ დანაშაულებრივ ფაქტზე;

3. რამდენად სწორია, რომ მოცემულ გამოსაძიებელ საქმეზე ჯერ ჩაატარა პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები და შემდეგ შეადგინა საგამოძიებო გეგმა;

4. გვამის დაკრძალვამდე რა მოქმედებები უნდა შეესრულებინა და მათგან რა არ შეასრულა;

5. ახსენით და დაასაბუთეთ შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების დროს გამომძიებელს როგორ და რა სახის ფიქსაციის ხერხები და საშუალებები უნდა გამოეყენებინა.

კაზუსი №6

აბაშის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შესასვლელ სადარბაზოში პოლიციის ოპერატიული მუშაკების მიერ მიმდინარე წლის 21 მარტს, 12 საათზე, დაკავებულ იქნა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ღურწკაია, რომელსაც დაადეს ბორკილი და დაკავების ადგილზევე ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ტანსაცმლის ჯიბეებში ნარკოტიკული ნივთიერება ვერ აღმოუჩინეს, მაგრამ მის მარჯვენა ფეხთან იპოვეს „სუბოტექსის" სამი ტაბლეტი. იქვე შეადგინეს მისი პირადი ჩხრეკის ოქმი, რომელშიც აღნიშნეს, რომ დაკავებულმა ღურწკაიამ მოასწრო შარვლის ჯიბიდან თავისი კუთვნილი ტაბლეტების გადაყრა. დაკავებულმა კი განმარტა, რომ მას შარვლის ჯიბეები დახეული ჰქონდა და ტაბლეტებს ჯიბეში ვერ შეინახავდა. ამასთან მიუთითა, რომ ყოველივე ეს ოპერატიული მუშაკების მიერ იყო მოწყობილი. მაგრამ მას არავინ მოუსმინა, სიტყვა შეაწყვეტინეს და განუმარტეს, რომ „ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში". ჩხრეკის ოქმს მხოლოდ თვითონ ჩხრეკის ჩამტარებელმა საშამ და გიგუშამ მოაწერა ხელი და დაკავებული წარადგინეს პოლიციის დაწესებულებაში. აქაც მას არავინ მოუსმინა და არც იმის უფლება მისცეს, რომ მისი დაკავების შესახებ ეცნობებინა თავისი ოჯახის წევრებისათვის. მესამე დღეს, დაკავებიდან 40 საათის შემდეგ, მას უფლება მისცეს შეხვედროდა თავის ადვოკატ ჩანტლაძეს, რომელმაც მასთან საუბრის შემდეგ საჩივრით მიმართა პროკურორს და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივი განთავისუფლება მის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უხეში დარღვევების გამო. პროკურორი გაეცნო რა წარდგენილი საჩივრის მოთხოვნის მოტივებსა და დასაბუთებულობას, ბრძანა დაკავებული დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ.

დავალება

ახსენით და წერილობით წარმოადგინეთ:

1. რა სახის პროცესუალური ნორმები დაირღვა, რომ პროკურორმა იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა.

2. პასუხის გაცემის დროს ყურადღება მიაქციეთ შედგენილ ოქმს. აგრეთვე იმას, საჭირო იყო თუ არა მისთვის ოქმის ასლის გადაცემა;

დაკავების დროს მისი უფლება-მოვალეობების განმარტება; როდის შეიძლებოდა შეხვედროდა პირველად ადვოკატს; საჭირო იყო თუ არა მისი ეჭვმიტანილად ცნობა და როდის უნდა მოეხდინათ მისი დაკითხვა; მისი დაკავების შესახებ უნდა ეცნობებინათ თუ არა პროკურორისათვის და სხვა.

3. ამ ფაქტთან დაკავშირებით დამოუკიდებლად შეადგინეთ საჭირო სახის ოქმი.

კაზუსი №7

ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ჩაჩუამ, იმის გამო, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული ჭანიშვილი, გამომძიებლის არაერთხელ გამოძახების მიუხედავად, საგამოძიებო ორგანოში არ ცხადდებოდა, გამოიტანა დადგენილება მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ და გადასცა იგი ინტერპოლს შესასრულებლად.

დავალება

წერილობით დაასაბუთეთ და წარმოადგინეთ:

1. რამდენად სწორია პოლიციის სამმართველოს უფროსის მიერ ბრალდებულ ჭანიშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება.

2. როდის, როგორ, ვის მიერ და გამოძიების რა ეტაპზე შეიძლება მოხდეს პირის საერთაშორისო ძებნის გამოცხადება.

კაზუსი №8

ავსტრიაში დაკავებულ და ჩამოყვანილ იქნა ძებნაში მყოფი დადვა. გამომძიებელმა იგი დაჰკითხა რა ბრალდებულის სახით, პროკურორთან შეკიდა შუამდგომლობით, რომ ამ უკანასკნელს შუამდგომლობა აღეძრა სასამართლოს წინაშე, დადვასათვის წინასწარი ორთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ, რადგან მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს შეუშლიდა გამოძიებას და შეიძლება იგი კვლავ დამალვოდა გამოძიებას. სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და იგი

დატოვა პირადი თავდებობის ქვეშ. მაგრამ ამ უკანასკნელმა არ გაამართლა სასამართლოს ნდობა და კვლავ დაემალა გამომძიებას. ამით გულმოსულმა მოსამართლემ თავისივე ინიციატივით მას შეუცვალა აღმკვეთი ღონისძიება ორთვიანი პატიმრობით და გამოიტანა დადგენილება მისი საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ.

დავალება

წერილობით აღწერეთ და დაასაბუთეთ რამდენად სწორია მოსამართლის ასეთი მოქმედება. როდის, ვის მიერ და როგორ უნდა მომხდარიყო ბრალდებულ დადვაზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება.

კაზუსი №9

გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა არაჩემიამ შეკრიბა რა სათანადო მტკიცებულებები პასუხისმგებელ თანამდებობის პირ ქვარცხავას მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების დანაშაულებრივ ფაქტზე, გამოიტანა დასაბუთებული დადგენილება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მაგრამ იმის გამო, რომ ქვარცხავა პროკურატურაში არაერთხელ დაბარების მიუხედავად არ გამოცხადდა და ხანგრძლივი მივლინებით წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქმეზე საგამოძიებო ვადის ამოწურვისა და ამით გამოწვეული მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, გამოიტანა დადგენილება საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ.

დავალება

წერილობით ჩამოაყალიბეთ და დაასაბუთეთ რამდენად სწორია გამომძიებლის ასეთი მოქმედება.

კაზუსი №10

ოპერატიული სამსახურის მუშაკების მიერ დაკავებულ იქნა ნარკო-

ტიკული ნივთიერებების რეალიზაციასა და გამოყენებაში ეჭვმიტანილი არმენ ოღლი, რომელსაც ჩხრეკის დროს შარვლის გარეთა ჯიბიდან ამოუღეს ვერცხლისფერ ქაღალდში შეფუთული 3,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“. შარვლის წინა ჯიბიდან კი ამოუღეს ცელოფნის პატარა პარკში ჩადებული ხუთი ცალი ტაბლეტი, რაც იქ დამსწრე სპეციალისტის განმარტებით, ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსი“ იყო. ამ მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით იქვე, დაკავების ადგილზე შედგენილ იქნა „ოქმი არმენ ოღლის პირადი ჩხრეკის შესახებ“ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ დაკავებულმა არმენ ოღლიმ კატეგორიულად უარყო ზემოაღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერებების მის კუთვნილებად გამოცხადება და განმარტა, რომ ყოველივე ეს პოლიციის მუშაკებმა მოუწყვეს.

დავალება

1. ახსენით და წერილობით ჩამოაყალიბეთ რამდენად სწორად და სრულყოფილად იქნა ჩატარებული არმენ ოღლის დაკავება, მისი პირადი ჩხრეკა და ამოღება.
2. არმენ ოღლის დაკავებისა და ჩხრეკის ჩატარებასთან დაკავშირებით სწორად იქნა თუ არა შედგენილი „პირადი ჩხრეკის ოქმი“.
3. შეადგინეთ ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი.

კაზუსი №11

ქრთამის აღებაში მხილებულმა მოხელე თანამდებობის პირმა ყლაპაძემ, ეჭვმიტანილის სახით დაკავების დროს მოასწრო ქრთამად აღებული, წინასწარ ლიუმონოგენის ფხვნილით დამუშავებული ამერიკულ ასდოლარიანის (100) პირში ჩადება და გადაყლაპვა. ქრთამის სახით აღებული ასდოლარიანის, როგორც ნივთიერი მტკიცებულების, ამოღების მიზნით ქრთამის ამღებ ყლაპაძეს მოსამართლის ბრძანებით ჩაუტარეს საკმაოდ რთული ქირურგიული ოპერაცია და ქრთამად აღებული ასდოლარიანი მუცლიდან ამოუღეს და ამ ქმედებაზე შეადგინეს ამოღების ოქმი.

დავალება

1. წერილობით დაასაბუთეთ და წარმოადგინეთ რამდენად სწორია ქრთამის ამღები პირისათვის ქრთამის საგნის ამოსაღებად ესოდენ რთული ქირურგიული ოპერაციის ჩატარება. პასუხის ამომწურავად გასაშუქებლად გამოიყენეთ კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებებისა და მისი შემზღუდავი ეჭვმიტანილის დაკავების, ჩხრეკის, ამოღებისა და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღების პროცესუალური და სხვა ნორმების რეგლამენტაცია.

2. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება ზემოაღნიშნული მოქმედება რა სახის პროცესუალური დოკუმენტით უნდა გაფორმებულიყო: ეჭვმიტანილის დაკავების ოქმით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ამოღების ოქმით, თუ სხვა რაიმე სახის ოქმით.

კაზუსი №12

2006 წლის 15 იანვარს გურიელის ქუჩაზე საპატრულო პოლიციის მუშაკების მიერ გაჩერებულ იქნა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოქ. ღლონტი. მას წინადადება მიეცა გადმოსულიყო მანქანიდან და განუმარტეს, რომ იგი იყო ეჭვმიტანილი ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებაში და შესთავაზეს ნებაყოფლობით წარმოედგინა იგი, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ იგი იქვე საცხოვრებელი ბინის კედლისაკენ შეაბრუნეს, ხელები თავზე შემოადებინეს, ხელებზე ბორკილები დაადეს და კედელზე მიყრდნობილს ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა და ამოუღეს შარვლის უკანა მარჯვენა მხარეს ქამარში ჩარჭობილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი შვიდი საბრძოლო ვაზნით. შარვლის უკანა ჯიბიდან კი ამოუღეს 4 ცალი ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსი“. ავტომანქანის ჩხრეკისას სამართავი საჭის გვერდით არსებული პატარა საბარგულიდან ამოღებულ იქნა საწერი ავტოკალმის ფორმის ფინური დანა, რომელსაც სწრაფ მოქმედებაში მოსაყვანად ჰქონდა ხელის თითის დასაჭერი ღილაკი. ავტომანქანის საჭესთან, მძღოლის საჯდომის ქვემოდან კი, ამოღებულ იქნა 1935 წელს გამოშვებული „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ შედგენილ იქნა ეჭვმიტა-

ნილის დაკავების ოქმი, რომელშიც მიუთითეს, რომ დაკავება და ნივთიერმტკიცებულებათა ამოღება მოხდა დამსწრე პირების მონაწილეობის გარეშე. ოქმი წაეკითხა დაკავებულ ღლონტს და წინადადება მიეცა ხელი მოეწერა. დაკავებულმა ხელის მოწერაზე უარი განაცხადა და ეს იმით დაასაბუთა, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, არავითარი ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერება არა ჰქონია და არც იცის რა არის „სუბოტექსი" და, რომ მას ეს თვითონ პოლიციის მუშაკებმა მოუწყეს. თავის ამ მოსაზრებას იგი იმით ასაბუთებდა, რომ ჩხრეკის დროს, ჯერ ერთი, იგი სახით კედელზე იყო მიყუდებული, თავზე ერთი პოლიციელი ადგა და უკან შემობრუნების საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ მას არ დაუნახავს და ასეთ მდგომარეობაში არც შეეძლო დაენახა, თუ პოლიციის მუშაკებმა საიდან ამოიღეს ოქმში აღწერილი ეს საგნები; მეორეც, მისი განმარტებით, ის მარტო ეჭვმიტანილად კი არ იყო დაკავებული, არამედ მას ჩხრეკვაც ჩაუტარეს და ამ ორი მოქმედების ერთი პროცესუალური დოკუმენტით გაფორმება არასწორიაო. ოქმს ხელი მოაწერა მხოლოდ ამ მოქმედების ჩამტარებელმა სამმა პოლიციელმა.

დავალება

ახსენით და წერილობით წარმოადგინეთ:

1. ტაქტიკურად რამდენად სწორად და საფუძვლიანადაა ჩატარებული ეჭვმიტანილის დაკავება და მისი პირადი ჩხრეკა;

2. რამდენად სწორი და საფუძვლიანია დაკავებული ეჭვმიტანილის უარი ოქმზე ხელის მოწერაზე და მის მიერ წამოყენებული ვერსია მის მიმართ ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების მოწყობის ინსცენირების შესახებ;

3. საჭირო იყო თუ არა მის დაკავებასა და ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულიყო რომელიმე დარგის სპეციალისტი ან დამსწრე პირები;

4. თქვენ რომ მოსამართლე ყოფილიყავით, ცნობდით თუ არა ჩატარებულ მოქმედებას კანონიერად და ამ გზით ამოღებულ საგნებს დასაშვებ ნივთიერმტკიცებულებად?

კაზუსი №13

პროკურატურის გამომძიებელმა სალუქვაძემ მიღებული ცნობის საფუძველზე გამოიტანა დადგენილება დაკავებული ეჭვმიტანილის მუსა მირზოიანის ბინაზე ჩხრეკის ჩატარების შესახებ და ვინაიდან დრო აღარ ითმენდა, ორ ოპერატიულ მუშაკთან და ექსპერტ კრიმინალისტთან ერთად წავიდა ეჭვმიტანილის ბინის გასაჩხრეკად. ბინაზე მას დახვდა არასრულწლოვანი 11 წლის ანგელინა და ოჯახის სრულწლოვანი უფროსი ვაჟი ანზორი თავის მეგობართან ერთად. გამომძიებელმა მათ განუმარტა მათი უფლება-მოვალეობები და შეუდგა ჩხრეკის ჩატარებას, რა დროსაც მან საძინებელ ოთახში არსებულ პორტფელიდან ამოიღო 900 გრამი ნარკოტიკი „ჰეროინი", მეორეში კი 2000 (ორიათასი) ამერიკული დოლარი. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე „პესემ"-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ცხრა საბრძოლო ვაზნით. ჩაატარა აგრეთვე იქ მყოფი ოჯახის უფროსი ვაჟისა და მისი მეგობარი ანზორის პირადი ჩხრეკა, რომელთაც ჯიბეში აღმოაჩნდათ ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეული ნარკოტიკული ნივთიერება. ჩხრეკის პროცესში ოჯახს ესტუმრა სანტექნიკი არკადი, რომლის განმარტებით, იგი გამოძახებული იყო წყლის ონკანების შესაკეთებლად. გამომძიებლის მითითებით მასაც ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, სახლიდან არ გაუშვეს და ბინაში გააჩერეს ჩხრეკის დამთავრებამდე.

ჩხრეკის დამთავრების შემდეგ შედგენილ იქნა ჩხრეკის ჩატარების ოქმი, რომელშიც მხოლოდ ზოგადად იქნა მითითებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ და ამოღებულ ნივთიერმტკიცებულებათა შესახებ. ჩხრეკის ოქმს ხელი მოაწერა გამომძიებელმა და ჩხრეკაში მონაწილე ყველა სხვა პირმა.

დავალება

1. აღწერეთ და წერილობით წარმოადგინეთ, რამდენად სწორად და სრულყოფილად იქნა ჩხრეკა ჩატარებული. ხომ არ იქნა დარღვეული რაიმე სახის პროცესუალური ნორმების მოთხოვნა;

2. მოცემული კაზუსის მიხედვით შეადგინეთ მუსა მირზოიანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი თანდართული სქემის მიხედვით.

* * *

საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი

ჩხრეკის ოქმის შესავალ ნაწილში აუცილებელია მიეთითოს ჩხრეკის ჩატარების დრო, ადგილი, გარემოება, მისი ჩამტარებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ჩხრეკის ჩატარების დაწყებისა და დამთავრების დრო და სხვ.

ასე მაგალითად:

„საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი

21 აპრილი, 2006 წ.

დაიწყო 19 საათსა და 45 წუთზე, დამთავრდა 21 საათსა და 15 წუთზე.

ქ. თბილისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა სანდრო დარჩიამ (ჩხრეკის ჩამტარებელი პირის სამუშაო ადგილი, თანამდებობა, სახელი და გვარი) საქართველოს სსსკ-ის 315-ე, 317-ე, 321-322-ე, 326-327-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად ჩავატარე ქ. თბილისში ჩივაძის ქ. №3-ში მუსა მირზოიანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა.

ჩხრეკის დაწყებამდე ეჭვმიტანილ მუსა მირზოიანს განემარტა, რომ მას სსსკ 102-ე მუხლით უფლება აქვს ჩხრეკის ჩატარებაში დამსწრედ მოიწვიოს მისთვის სასურველი ისეთი პირები (არა უმეტეს ორისა), რომლებიც კანონის თანახმად შეზღუდული არ იქნებიან მისცენ მისი საწინააღმდეგო ჩვენება და ასეთ პირთა შერჩევა-მოწვევისათვის მას მიეცა ერთი საათი და 15 წუთი. დროის ამ მონაკვეთში მისი მოწვევით გამოცხადდნენ:

1. სიმონ ანდროს ძე ჩივაძე, სუპერმარკეტი „ჯორჯია ტაიმსის“ ექსპედიტორი, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩანტლაძის ქ. №17-ში. ტელეფონი 893510003.

2. არკადი ტრისტანის ძე სამსონაძე, იმავე სუპერმარკეტის მოლარე-გამყიდველი, მცხ. ქ. თბილისში, ხუდადოვის ქ. №7, ტელეფონი 877110131.

სსსკ 102-ე მუხლის საფუძველზე მოწვეულ პირებს განემარტათ მათი უფლება-მოვალეობა და ის, რომ მათ უფლება აქვთ უარი თქვან ჩხრეკის ჩატარებაში დამსწრედ მონაწილეობაზე. და, რომ თანხმობის მიღების შემდეგ ჩხრეკის დაწყებამდე მათ განემარტათ სსსკ-ის 103-ე მუხლით მათთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობები, კერძოდ ის,

რომ მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნონ წინასწარი გამოძიების მასალები; არასაპატიო მიზეზით უარის თქმის ან თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მას დაეკისრება ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით; ისინი ამ მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული რაიმე ფაქტის ან გარემოების შესახებ შეიძლება დაკითხული იქნენ მოწმედ, ასევე მათ უფლება აქვთ გააკეთონ შენიშვნა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით და იგი შეტანილ იქნება ოქმში. გაეცნონ ოქმს და თავიანთი ხელმოწერით დაადასტურონ ამ მოქმედების ჩატარების ფაქტი და მიღებული შედეგების სისწორე".

ყოველივე ეს დადასტურებულ იქნა დამსწრედ მიწვეული პირების ხელმოწერით.

დამსწრეები:

1. _____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

2. _____ _____
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ჩხრეკის ოქმის ამავე ნაწილში მითითებულ უნდა იქნეს სპეციალისტის გარდა, ჩხრეკის ჩატარებაში მონაწილე სხვა პირების მონაცემები და მათი ხელმოწერები, კერძოდ:

ჩხრეკაში მონაწილე სხვა პირები:

1. _____ _____ _____
(სამუშაო ადგილი და თანამდებობა) (სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

2. _____ _____ _____
(სამუშაო ადგილი და თანამდებობა) (სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

იმ შემთხვევაში, თუ ჩხრეკა ჩატარდა დამსწრეთა გარეშე, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამგვარი სახის ჩხრეკის ოქმში უნდა მიეთითოს მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების ან გადამალვის იმ კონკრეტულ რეალურ საფრთხეზე, რამაც გამოიწვია ამ მოქმედების გადაუდებლად ჩატარება დამსწრე პირების მოწვევის გარეშე.

შემდეგ ოქმში მითითებულ უნდა იქნეს იმათზე, თუ ვინ მონაწილეობს ჩხრეკაში ექსპერტ-კრიმინალისტად _____
(მიეთითოს მისი სახელი და გვარი)

და სპეციალისტ-ვიდეოოპერატორად _____ (მიეთითოს მისი სახელი და გვარი);

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტად _____ (სახელი, გვარი) ან სხვა

სახის სპეციალისტებად. _____ (სახელი, გვარი), _____ (სახელი, გვარი).

იქვე ოქმში უნდა მიეთითოს იმაზე, რომ ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ ზემოაღნიშნულ პირებს განემარტათ სსსკ 99-ე და 203-ე მუხლებით გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობები.

ჩხრეკის ოქმის ამავე ნაწილში უნდა მიეთითოს იმაზე, რომ ეჭვმიტანილს ჩხრეკის ჩამტარებელი პირის მიერ წარედგინა მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება (განჩინება), ან დადგენილება ჩხრეკის ჩატარების უფლების მინიჭების შესახებ და, ასევეა ასევე განემარტა მისი უფლება, დაესწროს გამომძიებლის ყველა მოქმედებას და ამ მოქმედებათა ჩატარების შესახებ გამოთქვას თავისი შენიშვნები და, მის მიერ გაკეთებული ყველა შენიშვნა შეტანილ იქნება ჩხრეკის ოქმში. ყოველივე ეს დადასტურებულ უნდა იქნეს მისი ხელმოწერით გვარისა და სახელის სრულად მითითებით.

ამის შემდეგ ოქმში უნდა აღინიშნოს, რომ ეჭვმიტანილს წინადადება მიეცა ნებაყოფლობით წარმოადგინოს ჩხრეკის ჩატარების შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ან განჩინებაში, ან სასამართლო ბრძანებაში მითითებული კონკრეტული ნივთიერი მტკიცებულება, საძიებო დოკუმენტი ან გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა რაიმე საგანი. აქვე უნდა მიეთითოს იმაზე, თუ როგორ იმოქმედა და როგორ მიიღო ეს მოთხოვნა ეჭვმიტანილმა და უარის თქმის შემთხვევაში რა მოტივები წამოაყენა.

ყოველივე ამის შემდეგ ოქმის აღწერილობით ნაწილში დეტალურად უნდა მიეთითოს იმაზე, თუ როგორ დაიწყო და როგორ მიმდინარეობდა ჩხრეკის მთელი პროცესი. საჭირო ხომ არ გახდა დაკეტილი საცავების ან სათავსების ძალით გახსნა და ხომ არ მოხდა მათი დაზიანება, დადებით შემთხვევაში, მიეთითოს მათი დაზიანების მიზეზზე. ხომ არ ჰქონდა ადგილი მათი მხრივ რაიმე სახის წინააღმდეგობის გაწევას; ადგილი ხომ არ ჰქონდა საძიებო საგნის შეგნებულად განადგურების ან დაზიანების მცდელობას და როგორ და რა საშუალებების გამოყენებით მოხდა ამ წინააღმდეგობათა გადალახვა; ჩხრეკის წარმოების პროცესში რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები იქნა გამოყენებული გადამალული საგნების აღმოსაჩენად და სხვ.

ოქმის დასკვნით ნაწილში დეტალურად უნდა აღიწეროს ყოველივე ის, რაც ჩხრეკის შედეგად იქნა აღმოჩენილი და ამოღებული; უნდა მიეთითოს იმაზე, თუ სად და რა მდგომარეობაში იქნა აღმოჩენილი საძიებო საგანი, რა ნიშნებით ხასიათდება თითოეული მათგანი, რა რაოდენობისა და ღირებულებისაა ჩხრეკით აღმოჩენილი და ამოღებული საგანი (ძვირფასი თვლები, სამკაულები, ვალუტა, ნარკოტიკული ნივთიერება, აღმოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღის სახეობა და მდგომარეობა და სხვ.), რა სახის გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდება თითოეული მათგანი და სხვ.

იქვე უნდა მიეთითოს იმაზე, მოხდა თუ არა აღმოჩენილი საგნების სათანადოდ შეფუთვა და დალუქვა კანონით გათვალისწინებული წესით და მოხდა თუ არა მასზე ჩხრეკაში მონაწილე პირების მიერ შესაბამისი ხელმოწერების გაკეთება და სხვ.

იქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ ჩხრეკის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრედ მოწვეული პირების მიერ გაკეთებულ იქნა თუ არა რაიმე შენიშვნა ან განცხადება და შეტანილ იქნა თუ არა იგი ოქმში და როგორი რეაგირება მოჰყვა მას ჩხრეკის ჩამტარებელი პირის მიერ.

დასასრულ ოქმში უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ოქმს გაეცნო ეჭვმიტანილი და ჩხრეკის ჩატარებაში მონაწილე ყველა პირი, რომ ოქმი მათ წაეკითხათ ან პირადად თვითონ წაიკითხეს (მიეთითოს მათი გვარი და სახელი) და, ასევე ოქმი გამომძიებლის მიერ შედგენილია სრულყოფილად, სწორად და, მასში დასაზუსტებელი და დასამატებელი არაფერი არა აქვთ. ამის შემდეგ ოქმს ხელი უნდა მოაწეროს ჩხრეკის ჩატარებაში მონაწილე ყველა პირმა შემდეგი თანმიმდევრობით:

დამსწრეები: 1. _____ _____
ხელმოწერა (სახელი და გვარი)

2. _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

ჩხრეკის სხვა მონაწილენი: 1. _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

2. _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

3. _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

4. _____ _____
(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

პირი, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა:

(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

ჩხრეკის ჩამტარებელი პირის მითითება იმაზე, რომ მან ჩაატარა ჩხრეკა და შეადგინა ოქმი:

(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

აქვე უნდა მიეთითოს იმაზე, რომ ოქმის ასლი მიიღო იმ პირმა, ვისთანაც ტარდებოდა ჩხრეკა და იგი უნდა დაადასტუროს თავისი ხელმოწერით:

(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

კაზუსი №14

პროკურატურის გამომძიებელმა მტრედაძემ თავის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებლად ჩათვალა ძარცვისა და ყაჩაღობისათვის პასუხისგებაში მიცემულ ბრალდებულ ტრიფონ კირკიტაძის ბინაზე ჩხრეკის ჩატარება, რაზეც მან მიიღო სასამართლოსგან შესაბამისი ნებართვა და 2006 წლის 1 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სამი ოპერატიული მუშაკისა და ექსპერტ კრიმინალისტთან ერთად მივიდა მის ბინაში და იქ მყოფ მის ძმა ტიმოთეს წარუდგინა მოსამართლის ბრძანება. ტიმოთესთან ერთად სახლში აღმოჩნდა აგრეთვე ხუთი მისი მეგობარი, რომელთა განმარტებით ისინი ტიმოთესთან მიწვეული იყვნენ ტიმოთეს დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე და ქეიფს აპირებდნენ. გამომძიებელმა მათ ბოდიში მოუხადა, ცალკე ოთახში გაიყვანა და სთხოვა მათი კუთვნილი მობილური ტელეფონები მაგიდაზე დაეწყოთ და მის გამოყენებაზე დროებით თავი შეეკავებინათ. ამასთან, მათ მიუჩინა ერთი ოპერატიული მუშაკი, მეორე ოპერატიული მუშაკი კი შესასვლელ კარებთან დააყენა. გამომძიებელმა ტიმოთეს განუმარტა მათი მისვლის მიზანი და სთხოვა, ნებაყოფლობით წარმოედგინა მისი ძმის მიერ დანაშაულებრივი გზით სახლში მიტანილი ძვირფასეულობა და ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც იგი უნებართვოდ ინახავდა და ატარებდა, რაზეც მან განაცხადა, რომ მის

ძმას სახლში არასოდეს არ მოუტანია არც ძვირფასი ქვები და არც ცეცხლსასროლი იარაღი. ამის შემდეგ მას გამომძიებელმა განუმარტა მისი უფლებები და სთხოვა, ჩხრეკის ჩატარებაში იქ მყოფი მისი მეგობრებიდან, ან სხვა, ვინც მას სურდა, შეერჩია დამსწრედ ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად. ტიმოთემ მასთან სტუმრად მისული ხუთი მეგობრიდან შეარჩია ჯანო და მიტუშა, რის შემდეგაც გამომძიებელი შეუდგა ბინის ჩხრეკას, მაგრამ მან ვერ შეძლო ვერც ერთი მამხილებელი საგნის აღმოჩენა. ჩხრეკის წარმოების დროს ტიმოთეს კიდევ სამი პიროვნება ესტუმრა, მაგრამ კარებში მდგომმა ოპერატიულმა მუშაკმა ისინი ჩხრეკის დამთავრებამდე სახლში არ შეუშვა. ხელმოცარულმა გამომძიებელმა ბოდიში მოუხადა და უხალისოდ დატოვა იქაურობა.

პროკურატურაში დაბრუნებულმა გამომძიებელმა გაანალიზა რა თავისი მოქმედება და იქ შექმნილი სიტუაცია, ზოგი რამ საეჭვოდ მოეჩვენა და გადაწყვიტა მოულოდნელად განმეორებით ჩაეტარებინა მისი ბინის ჩხრეკა თავისივე გამოტანილი დადგენილებით. ამისათვის იგი სათანადოდ მოემზადა და ორი კვირის შემდეგ მას მოულოდნელად ესტუმრა ბინის განმეორებით ჩხრეკის ჩასატარებლად. ამჟამად სახლში მხოლოდ ტიმოთე აღმოჩნდა, რომელსაც ნერვიულობა დაეტყო. გამომძიებელმა მას კვლავ განუმარტა მისი უფლება-მოვალეობა და საშუალება მისცა ჩხრეკის ჩატარებაში დამსწრედ მოეწვია მისთვის სასურველი პირები. მაგრამ ასეთ პირთა მოწვევაზე მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ გამომძიებელი, ოპერატიული მუშაკებისა და სპეციალისტის მონაწილეობით, შეუდგა ჩხრეკის ჩატარებას. ამჟამად მან ჩხრეკა დაიწყო უშუალოდ ტიმოთეს პირადი ჩხრეკით, რა დროსაც მას შარვლის ჯიბიდან ამოუღეს „სუბოტექსის" ხუთი ტაბლეტი. ბინის ჩხრეკის დროს კი ტანსაცმლის კარადის ქვედა უჯრიდან ამოიღეს 20 ცალი სხვადასხვა სახის ოქროსა და ბრილიანტის ანტიკვარული ნაწარმი და ორმოცი ათასი ამერიკული დოლარი. კარადის თავზე აღმოჩნდა გაზეთში შეხვეული მაკაროვის სისტემის პისტოლეტი შვიდი საბრძოლო ვაზნით. ჩხრეკის დამთავრების შემდეგ გამომძიებელმა შეადგინა ოქმი, მაგრამ ტიმოთემ მასზე ხელი არ მოაწერა იმ მოტივით, რომ ეს საგნები მას არ ეკუთვნოდა ისინი თვითონ პოლიციის მუშაკებმა დააწყვეს. გამომძიებელმა თვითონ მოაწერა ხელი მასზე და გაბრაზებულმა ტიმოთეს ჩხრეკის ოქმის ასლი არ დაუტოვა. შემდეგ

გამოძიებით დადგინდა, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ეს საძიებო საგნები პირველად ჩატარებული ჩხრეკის წარმოებისას მასთან სტუმრად მყოფ პირებს ჰქონდათ განაწილებული. რადგან ელოდებოდნენ ჩხრეკის ჩატარებას და პურმარილის მოწყობა, დაბადების დღის აღსანიშნავად, იმიტირებული იყო. ჩხრეკის ჩატარების დროს ცეცხლსასროლი იარაღი და ფულიც სწორედ ტიმოთეს მიერ ჩხრეკის ჩატარებაში დამსწრედ შერჩეულ ჯანოსა და მიტუშას ედოთ ჯიბეში.

დავალება

1. ახსენით და წერილობით დაასაბუთეთ რამდენად სწორად, მომზადებულად და ორგანიზებულად ჩაატარა გამომძიებელმა ბირველი ჩხრეკა და რა სახის ძირითადი შეცდომები დაუშვა;

2. პროკურატურაში დაბრუნების შემდეგ რამ უბიძგა და რატომ გადაწყვიტა გამომძიებელმა განმეორებით ბინის ჩხრეკის ჩატარება და რამდენადაა იგი კანონიერი და ტაქტიკურად გამართლებული;

3. ჩხრეკის ოქმის შედგენის გარდა, მეტი თვალსაჩინოებისათვის კიდევ სხვა რა სახის ხერხები და საშუალებები უნდა გამოეყენებინა გამომძიებელს ჩხრეკის შედეგების ფიქსაციისათვის;

4. რამდენად მართებულად მოიქცა გამომძიებელი, როცა ბინაში მყოფ სრულწლოვან დამსწრეებსა და ბინის მეპატრონე ტიმოთეს არ წაუკითხა ჩხრეკის ოქმი და ისე შესთავაზა მათ მასზე ხელის მოწერა და ოქმის ასლიც არ დაუტოვა.

5. ჩხრეკის ოქმის გარდა, ჩხრეკის მთლიანი პროცესის და სხვა მთელი რიგი გარემოებების ასახვისათვის კიდევ რა სახის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები შეიძლება გამოყენებულიყო და როგორ.

6. თქვენ რომ მოსამართლე იყოთ, მიიჩნევდით თუ არა კანონიერად ზემოაღნიშნულ გარემოებაში ჩატარებულ ჩხრეკას და ამ გზით მოპოვებულ მონაცემებს დასაშვებ მტკიცებულებად?

საქმიანი თამაში პირადი ჩხრეკის ჩატარებაზე

მოცემულ თემაზე პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად ლექტორი სათანადოდ უნდა მოემზადოს. საქმიანი თამაშის სახით პირად ჩხრეკაზე პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების შესახებ სტუდენტები წინასწარ უნდა იქნენ გაფრთხილებული. აუდიტორიაში ჩხრეკის ობიექტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანეკენი ან სხვებისაგან შეუმჩნევლად წინასწარ შერჩეული ეჭვმიტანილის სახით დასაკავებელი რომელიმე სტუდენტი, რომლის ტანსაცმელში (ქუდში, ქუდის სარჩულში, პიჯაკის გარეთა და შიდა ჯიბეებში, პიჯაკის სარჩულში, შარვლის გვერდითა და უკანა ჯიბეებში ან მისი სხვა საკეც ადგილებში, ფეხსაცმელში, თმაში, წინდებსა და მისი კუთვნილ ხელჩანთაში და სხვ.), წინასწარ ლექტორის მიერ სხვებისგან შეუმჩნევლად შენახულ (დამალული) უნდა იქნეს ერთი ან რამდენიმე საძიებო საგანი (იმიტირებული ნარკოტიკული ნივთიერება ტაბლეტების ან სხვა სახით, ხელნაწერი დოკუმენტი, ცეცხლსასროლი იარაღი ან საბრძოლო ვაზნა და სხვ) და გამომძიებლის ან კრიმინალური პოლიციელის როლში შერჩეულ სტუდენტს მიეცეს წინადადება ჩაატაროს ეჭვმიტანილის სახით დაკავებული პირის პირადი ჩხრეკა პროცესუალური ნორმების დაცვითა და ჩხრეკის ტაქტიკური ხერხების გამოყენებით.

ჩხრეკის სრულყოფილად ჩატარებისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ჩხრეკის ჩამტარებელი პირის მომზადებას, ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად გარკვეულ პირთა შერჩევასა და მათ მოწვევას, ჩხრეკაში მონაწილე პირებისა და გასაჩხრეკი პირისათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტებას, ეჭვმიტანილის დაკავებისა და ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური ხერხების სწორად გამოყენებას და ჩხრეკის პროცესში სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების სწორად შერჩევა-გამოყენებას, ჩხრეკის შედეგების ფიქსაციის ხერხებსა და საშუალებებს.

მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით ჯგუფმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც სსსკ-ით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა დაცვით ასახულ იქნება ეჭვმიტანილის დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკის მთელი მსვლელობა. ოქმის შედგენისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს პირადი ჩხრეკის პროცესში გამოყენებული და სახელმძღვანელოში განხილული ეჭვმიტანილის დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკური ხერხები.

კაზუსი №15

ზუგდიდის რაიონის პროკურატურის მორიგე გამომძიებელ კუკავას შეატყობინეს, რომ ქ. ზუგდიდის რკინიგზის სადგურიდან აღმოსავლეთის მიმართულებით სადგურიდან დაახლოებით სამასი მეტრის დაშორებით, გზის მარჯვენა მხარეს, აღმოჩენილია უცნობი ადამიანის გვამი. მიღებული ცნობის საფუძველზე გამომძიებელი დაუყოვნებლივ გავიდა შემთხვევის ადგილზე. მისვლისთანავე გვამი გულაღმა გადმოაბრუნა და ნახა, რომ მას თავისა და სახის არეში მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ღია ჭრილობა. გვამი გარეგნულად დაათვალიერა, შეადგინა დათვალიერების ოქმი და ბრძანა, მისი გადატანა საავადმყოფოს მორგში. გვამიდან ცოტა მოშორებით ნაპოვნ იქნა ქვედა ყბის პროთეზი. იქვე მიწაზე შეიმჩნეოდა ხელის თითებისა და ფეხსაცმლის რამდენიმე მოცულობითი სახის კვალი, ასევე ერთი მეტრის სიგრძის რკინის კეტი, რომელზეც შეიმჩნეოდა მოწითალო ფერის (სისხლის მსგავსი) ლაქები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გამომძიებელმა შეადგინა გვამის დათვალიერებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი ცალცალკე, მოაწერა მასზე ხელი და ჩააკრა საქმეში. გვამის ვინაობა საავადმყოფოშიც ვერ დადგინდა და სამი დღის შემდეგ იგი სახელმწიფოს ხარჯებით იქნა დაკრძალული.

დავალება

1. ახსენით და დაასაბუთეთ, რამდენად სწორად და სრულყოფილად იქნა ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება, გამომძიებელს კიდევ რა უნდა გაეკეთებინა და რა არ შეასრულა.

2. მოცემული ფაბულის მიხედვით შეადგინეთ შემთხვევის ადგილის დათვალიერების სრულყოფილი ოქმი.

* * *

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ ამ საგამოძიებო მოქმედების ამსახველი ოქმის დასათაურების შემდეგ მასში უნდა მიეთითოს ამ მოქმედების ჩატარების თარიღი, ადგილი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო.

შემდეგ უნდა მიეთითოს იმაზე თუ რა იყო ამ მოქმედების ჩატარების საფუძველი, რა სახის ცნობა ან ინფორმაცია იყო მიღებული. ვინ და ვისი მონაწილეობით მოხდა მისი ჩატარება (სამუშაო ადგილი, თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონი). აქვე უნდა მიეთითოს სსსკ-ის იმ მუხლებზე, რომელთა მოთხოვნების დაცვითაც იქნა ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ოქმში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ ექსპერტს, სპეციალისტსა და დამსწრე პირებს განემარტათ სსსკ 97-ე, 99-ე და 102-ე მუხლებით გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობები და სსსკ 203-ე მუხლით გათვალისწინებული მათი პასუხისმგებლობის შესახებ და ყოველივე ეს დადასტურებულ იქნეს მათი ხელმოწერებით. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, თუ როგორ ამინდში (მზიან, მოღრუბლულ თუ წვიმიან ამინდში) იქნა ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება და დაცულ იქნა თუ არა სსსკ 335-ე, 336-ე, 337-ე, 338-ე და 339-ე მუხლის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ საჭიროა დეტალურად იქნეს აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მთელი პროცესი შესაბამისი თანმიმდევრობით, კერძოდ, თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ადამიანის გვამი, მასთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს როგორ ურთიერთობაშია იგი იქ არსებულ გარემოვითარებასთან, როგორ ურთიერთკავშირში ჩატარდა შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება, მოხდა თუ არა შემთხვევის ადგილისა და გვამის ფოტოგადაღება კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით, მოხდა თუ არა იქ არსებულ ლატენტურ კვალთა დამუშავება, მათი ფიქსაცია და სხვ.

ოქმის დასასრულს მასში უნდა მიეთითოს იმაზე, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი წაკითხულ იქნა დათვალიერებაში მონაწილე პირების მიერ და იგი დადასტურებულია მათი ხელმოწერებით, ოქმი შედგენილია სწორად, სრულყოფილად და დათვალიერებაში მონაწილე პირებს არა აქვთ შენიშვნები, შესწორებები და დამატებები.

ოქმი დადასტურებულ უნდა იქნეს ოქმის შემდგენი პირისა და მასში მონაწილე ყველა პირის ხელმოწერით.

კაზუსი №16

ქუთაისში მცხოვრებ დაზარალებულ ციცინო მჟავიას განმარტებით, 2005 წლის 25 დეკემბერს მათ საცხოვრებელ ბინაში თავს დაესხა სამი შეიარაღებული ნიღაბაფარებული მამაკაცი, რომლებმაც შესვლისთანავე გადაჭრეს „ტელეფონის ყურმილი". ერთ-ერთ მათგანს ხელში ეკავა საწვავით სავსე ბოთლი, რომელიც თავზე გადაასხა ც. მჟავიას და ცეცხლის წაკიდებით დაემუქრა, თუ იგი ნებაყოფლობით არ გადასცემდა მის ბინაში არსებულ ძვირფას სამკაულებსა და ფულს. ამ გარემოებების შესახებ მოცემულ დანაშაულებრივ ფაქტზე შედგენილ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მხოლოდ ზოგადად იქნა მითითებული, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს „აღმოჩენილ იქნა მინის ბოთლი მასში დარჩენილი სითხით", მომცრო ყუთიდან ამოღებულ იქნა „ანაბეჭდი", „კედელთან მდგარი კომოდი, რომელზეც დევს ოქროულობის შესანახი პლასტმასის მცირე ზომის ყუთი, აღებულ იქნა ანაბეჭდი" და აგრეთვე „ამოღებულ იქნა ტელეფონის გადაჭრილი ყურმილი".

დავალება

1. ახსენით და წერილობით წარმოადგინეთ თქვენი დასაბუთებული პასუხი იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულყოფილადაა აღწერილი ზემოაღნიშნული გარემოებები შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში.

2. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით სრულყოფილად შეადგინეთ შემთხვევის ადგილის დათვალიერების სანიმუშო ოქმი სახელმძღვანელოში აღწერილი და აგრეთვე ქვემოთ დართული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენის სანიმუშო სქემის მიხედვით.

კაზუსი №17

2005 წლის 17 ოქტომბერს ღამის 04 საათზე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, ნიღაბაფარებული სამი უცნობი პირი თავს დაესხა ქ. თბილისში კასპის ქ. №19-ში მცხოვრებ ცოლ-ქმარ ქეთო და პეტრე ოპიზარის ოჯახს. ბინაში შესვლამდე მათ საწამლავის გამოყ-

ენებით ჯერ მოკლეს ეზოს დამცველი ორი ავი ძაღლი. შემდეგ კი მოსალოდნელი წინააღმდეგობის დასაძლევად და ქონების გატაცების გასაადვილებლად, კედლის ფანჯარასთან მიაყუდეს კიბე, ალმასის გამოყენებით ფრთხილად ამოიღეს ფანჯრის მინა და ოთახში გადავიდნენ. ხმაურზე ქმარს გამოეღვიძა და საწოლიდან ადგომა დააპირა, მაგრამ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მას თავში რკინის კეტი ჩაარტყა, მეორემ კი ბეჭის არეში დანა ჩაარტყა, რის შედეგედაც იგი ადგილზევე გარდაიცვალა. ასევე მოექცნენ მის ახლად გაღვიძებულ შეშინებულ მეუღლეს, მაგრამ იგი სიკვდილს გადაურჩა. თავდამსხმელმა ბორტ-მოქმედებმა წაიღეს 11700 (თერთმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარი, 3000 (სამი ათასი) ლარი და 13000 (ცამეტი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების ოქროსა და სხვა კეთილშობილი ძვირფასი ნივთები.

ამ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ზოგადად იქნა აღწერილი დაზარალებულის გვამისა და ეზოზე მკვდარი ძაღლების მდგომარეობა, კედელზე სისხლის წვეთების განლაგება და სხვა იქ არსებული უსისტემოდ დაყრილი საგნების მდგომარეობა, სისხლის კვალისა, იატაკზე დაგდებული ოჯახის ძვირფასეულობის შესანახი ყუთისა და სხვა საგნების ურთიერთგანლაგება.

დავალება

1. აღწერეთ რამდენად სრულყოფილია მარტოოდენ ამ მონაცემებით შედგენილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი;

2. ოქმის შედგენის გარდა, კიდევ რა საშუალებებით უნდა მომხდარიყო შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია და იქ არსებულ ლატენტურ კვალთა გამოვლინება-დამუშავება;

3. რა სახის სავალდებულო ფოტოგადაღებები უნდა ჩაეტარებინათ შემთხვევის ადგილზე?

4. შემთხვევის ადგილზე არსებული კვალის, დაზარალებულის გვამის და ოთახში არსებული სხვა, მთელი რიგი საგნების განლაგებისა გათვალისწინებით, შეადგინეთ დაზარალებულის საცხოვრებელი ბინის გაშლილი გეგმა, სახელმძღვანელოში მოცემული ანალოგიური გეგმის მიხედვით.

კაზუსი №18

მოწმე გაფანტულაძემ, რომელიც შემთხვევის ადგილიდან სულ ათი მეტრის დაშორებით იმყოფებოდა, დაკითხვის დროს ვერ აღწერა მკვლელობის ჩადენის მექანიზმი და გამომძიებელს განუმარტა, რომ იგი სხვა ფიქრებით იყო გატაცებული და მას არც მკვლელი დაუნახავს და არც მოკლული. ამის გამო გულმოსულმა გამომძიებელმა ტუფტაძემ იგი არაკეთილსინდისიერ მოწმედ ჩათვალა და მიიჩნია, რომ შეგნებულად თავს არიდებდა სწორი ჩვენების მიცემას და გამოიტანა დადგენილება გაფანტულაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

დავალება

აღწერეთ და წერილობით წარმოადგინეთ თქვენი დასაბუთებული მოსაზრება:

1) რამდენად სწორია მოწმის ჩვენებისადმი გამომძიებლის ასეთი მიდგომა;

2) როგორია იმ ფაქტორების კლასიფიკაცია, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ჩვენების ფორმირების პროცესზე;

3) მოწმის ჩვენების შეფასებისა და მისგან სწორი, ამომწურავი ჩვენების მისაღებად გამომძიებელს რა მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა ჩაეტარებინა და დაკითხვის რა ტაქტიკური ხერხები შეიძლება გამოეყენებინა;

4) აღწერეთ ჩვენების ფორმირების პროცესზე გავლენის მომხდენი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დამახასიათებელი ნიშნები და გარემოებები.

საქმიანი თამაშისთვის

ჩვენების ფორმირების პროცესის უკეთ ათვისებისა და დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენების ობიექტურად შეფასების კრიტერიუმის სწორად შერჩევის მიზნით, პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობის ჩატარების ხელმძღვანელმა საჭიროა წინასწარ შეარჩიოს აუდიტორიაში მეცადინეობის მსვლელობის დროს, სტუდენტებისაგან მოულოდნელად, რაიმე საინტერესო ქმედება (დანაშაულის იმიტაციის ან სხვა გარემოების ამსახველი) და მისი ჩადენის შემდეგ სტუდენტებს (მსმე-

ნელებს) დაავალოს: ყველამ დამოუკიდებლად აღწეროს მათ წინაშე (აუდიტორიაში) მომხდარი ფაქტი. შემდეგ ყველას ჩამოართვას ხელნაწერი, შეამოწმოს და მომდევნო მეცადინეობაზე ჯგუფთან ერთად მოახდინოს მათი გაანალიზება და შეფასება.

კაზუსი №19

გამომძიებელი, რომელიც ენის ბორძიკით მეტყველებდა მოწმის დაკითხვის დროს, დასმულ კითხვებზე დასაკითხი პირისაგან, ასევე ენის ბორძიკით მიიღო ჩვენება. გამომძიებელმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა, წარბებშეკრულმა თვალები დაუბრიალა და გამწარებულმა შესძახა: „ვიის უუუბედავ შეენ აამას, ვიის, ააამისااათვის ციიიხეეში აამოგალპობ". შეშინებული მოწმე წამოხტა, უაზროდ მმიაჩერდა გამომძიებელს, მან ვერ გაიგო რას ერჩოდა და რატომ უყვიროდა მას გამომძიებელი. ბოლოს გამომძიებელიც მიხვდა, რომ მოწმეც ენაბორძიკით ლაპარაკობდა და სირცხვილით თავი დახარა, დაჯდა და მოწმეს უაზროდ მიაშტერდა.

დავალება

ახსენით და დაასაბუთეთ: რატომ აღმოჩნდა გამომძიებელი ასეთ მძიმე, გამოუვალ, უხერხულ მდგომარეობაში.

კაზუსი №20

გამომძიებელი წინასწარ ვარაუდობდა, რომ მოცემულ გამოსაძიებელ საქმეზე მთავარი ფაქტის შესახებ მოწმის სახით დასაკითხი ფარცვანია შეეცდებოდა არასწორი ჩვენების მიცემას, ამის თავიდან აცილებისა და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად გამოიტანა დადგენილება მისი მოწმის სახით დაკითხვის შესახებ. დაკითხვის დაწყებამდე მას გააცნო დადგენილება და ამ დადგენილების გაცნობის შესახებ შეადგინა ოქმი, რაზეც დასაკითხ პირსაც მოაწერინა ხელი. შემდეგ გააფრთხილა: „გამოძიებამ ყველაფერი იცის, ნუ შეეცდები არასწორი ჩვენების მიცემას, თორემ პატიმრობას ვერ გადაურჩები" და მისი დაკითხვა დაიწყო უშუალოდ შეკითხვების მიცემით.

დავალება

1. ახსენით და დაასაბუთეთ რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი და რამდენად სწორად შეარჩია მისი დაკითხვის ტაქტიკა;

2. მისი დაკითხვისათვის სხვა რა სახის ტაქტიკური ხერხები შეეძლო გამოეყენებინა გამომძიებელს;

3. თქვენ რომ გამომძიებლის ადგილზე ყოფილიყავით, როგორ წარმართავდით მოწმე ფარცვანიას დაკითხვას.

კაზუსი №21

გამომძიებელი ცირამუა ვარაუდობდა, რომ მოწმის სახით დასაკითხი ტურავა შეეცდებოდა არასწორი ჩვენების მიცემას, ამიტომ იგი მისი დაკითხვისათვის საგანგებოდ მოემზადა და მასზე ზეგავლენის მოხდენისა და მასთან სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების მიზნით, მას მოულოდნელად შეაწყვეტინა თავისუფალი თხრობა სიტყვებით: „ეგ ზღაპარი სახლში მოყევი" და მისი დაკითხვა პირდაპირ შეკითხვების დასმით დაიწყო.

დავალება

აღწერეთ და დაასაბუთეთ, რამდენად სწორი ტაქტიკა შეარჩია გამომძიებელმა მოწმე ტურავას დასაკითხად.

კაზუსი №22

გამომძიებელმა თორაძემ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში მიუთითა საქმეზე შეკრებილი ყველა სახის მტკიცებულება, მაგრამ შეგნებულად არ მიუთითა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციაზე, რადგან მერყეობდა კვალიფიკაციის სისწორეში.

დავალება

აღწერეთ და დაასაბუთეთ რამდენად სწორია და დასაშვები გამომძიებლის მიერ ასეთი დადგენილების გამოტანა.

კაზუსი №23

გამომძიებელი ცივაძე, ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების მიზნით, შეეცადა ბრალდებული მელაძე დაერწმუნებინა, რომ გამოძიებას ყველა მტკიცებულება აქვს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, რომ გამოძიებისათვის ყველაფერი ცნობილია და სჯობს, თვითონაც გულწრფელად აღიაროს ჩადენილი ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ბრალდებას ცალკე დაემატება წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობა და სასჯელი დაუმძიმდება, აღიარებითი ჩვენების მატების შემთხვევაში კი, აუცილებლად დაეხმარება და სასამართლოში ნაკლებ სასჯელს მიაცემინებს. ბრალდებულმა მელაძემ მოუსმინა, მადლობა გადაუხადა რჩევისა და დახმარებისათვის, შეთავაზებულზე უარი უთხრა და თანაც დასძინა: თუ ყველაფერი იცით, მე რაღას მაწვალებთ, ჩემგან რაღა გინდათ, მე თქვენ ჩვენებას აღარ მოგცემთ და დუმილის უფლებას გამოვიყენებო. ამაზე გამომძიებელი გაბრაზდა და ოპერატიულ მუშაკებს უთხრა: გვერდით ოთახში გაიყვანეთ, ღამის პირველ საათამდე მორიგეობით ოთხ-ოთხი საათი ცალ ფეხზე დააყენეთ და ღამის პირველ საათზე შემომიყვანეთ დასაკითხად.

დავალება

დაასაბუთეთ რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი და რამდენად დასაშვები ტაქტიკური ხერხებით შეეცადა დასაკითხი პირისგან აღიარებითი ჩვენების მიღებას.

კაზუსი №24

იმისათვის, რომ გამომძიებელს ბრალდებულის ჩვენება სრულად და თანმიმდევრულად ჩაეწერა, შეუმჩნევლად დააყენა ვიდეოკამერა და დასა-

კითხი პირისაგან მოახდინა მისი ჩვენების სრული ჩაწერა. თვითონ კი დაკითხვის ოქმში მისი ჩვენების შინაარსი შემოკლებულად გადაიტანა.

დავალება

აღწერეთ როგორ უნდა მოხდეს ბრალდებულის დაკითხვის პროცესში ხმის ჩამწერი აპარატურის გამოყენება და პასუხი გაეცით კითხვას: სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი ზემოაღნიშნულ პირობებში ბრალდებულის ჩვენების ჩაწერის შემთხვევაში.

კაზუსი №25

გამომძიებელი საფუძვლიანად გაეცნო რა საქმეში არსებულ მასალას, რომლითაც დანაშაულში მონაწილე ხუთი ბრალდებული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, მათგან პირველად დასაკითხად შეარჩია ის, რომლისგანაც აღიარებითი ჩვენების მიცემა ნაკლებად იყო შესაძლებელი.

დავალება

ჩამოაყალიბეთ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი ბრალდებულთა თანმიმდევრობითი დაკითხვის ტაქტიკის შერჩევაში და, თუ არა, როგორ, რა თანმიმდევრობით უნდა მოეხდინა ხუთივე ბრალდებულის დაკითხვა.

კაზუსი №26

ყაჩაღური თავდასხმის დროს, საცხოვრებელ ბინაში შესულმა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა დაზარალებულ ლუიზა ტრაპაიძეს შესვლისთანავე ჰკითხა, თუ სად იყო მისი მეუღლე „ოთარი“ და სადა აქვს მას შენახული თავისი საუკეთესო სანადირო თოფები“. მათ წაიღეს ოთახში არსებული სამი უცხოური წარმოების თოფი. მათივე მოთხოვნით ლუიზამ შეიხსნა და თავდამსხმელ ბოროტმოქმედს გადასცა ოქროს საყურეები, ბაჯაღლოს რგოლი, ოქროს ბეჭედი და ოქროს

საათი. თავდასხმის დროს მასთან ერთად ბინაში იმყოფებოდნენ აგრეთვე მისი შვილები ჯაბა და გოგიტა, აგრეთვე მისი ნათესავები სომა, რომა და მისი შვილიშვილი ჯანო. დაზარალებულად ცნობილ იქნა მხოლოდ ლუიზა ტრაპაიძე. საქმე წარმოებით იქნა შეჩერებული გაუხსნელობის მოტივით. წინასწარი გამოძიების დროს ყველა ზემოაღნიშნული პირი დაკითხულ იქნა, დაზარალებულად ცნობილი ლუიზა კი არა.

დავალება

1. ახსენით და დაასაბუთეთ მოცემულ დანაშაულებრივ ფაქტზე რამდენად სწორად და სრულყოფილადაა ჩატარებული გამოძიება;

2. საჭირო იყო თუ არა დაზარალებულ ლუიზას დაკითხვა;

3. თქვენ რომ გამომძიებელი ყოფილიყავით, კიდევ რას გააკეთებდით ამ ჩადენილი დანაშაულის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევის, საქმის გახსნისა და მასზე ჭეშმარიტების დასადგენად.

კაზუსი №27

კომბაინით სიმინდის აღების დროს მძღოლმა ვერ შეამჩნია სიმინდებში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძინარე ტატო, კომბაინით ზემოდან გადაუარა და გადაჭყლიტა, მძღოლის განმარტებით, ადგილი, სადაც დაზარალებული იწვა და კომბაინით გადაუარა ხშირი და მაღალი – სამ მეტრზე მეტი სიმაღლის სიმინდებით იყო დაფარული და ამიტომ იგი ვერ შეამჩნია. იმის გასარკვევად, მისი მხედველობის არე მართლა შეზღუდული იყო და მას ნამდვილად შეეძლო თუ არა მისი დანახვა, ჩატარებულ იქნა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომლის ჩატარების დროს შემთხვევის ადგილზე დარჩენილი იყო მხოლოდ სიმინდის გამხმარი ღეროები და შემთხვევის მომენტისაგან განსხვავებით, ადგილი გამჭვირვალე იყო და კომბაინის მძღოლს მაღლიდან შეეძლო სიმინდებში მწოლიარე ადამიანის დანახვა. ექსპერიმენტის შედეგებით უკმაყოფილო კომბაინის მძღოლმა განმარტა, რომ შემთხვევის დროს სიმინდები იყო უფრო ხშირი, გაშლილი მწვანეზე გრძელი ფოთლებით და ამიტომ დაზარალებულის დანახვა შეუძლებელი იყო. და, რომ მისი აზრით, ექსპერიმენტის ჩატარების პირობები არ შეესაბამება პირვანდელ მდგომარეობას და მოითხოვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება სხვა უფრო შესაბამის პირობებში.

დავალება

დაასაბუთეთ რამდენად სწორი და მისაღებია ბრალდებულის ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

კაზუსი №28

გაუპატიურების კვალის დაფარვის მიზნით ჩადენილი მკვლელობის საქმეზე მოწმე ტანიამ განმარტა, რომ 2005 წლის 15 ივნისს, როცა იგი თავისი ბაღიდან სახლში ბრუნდებოდა, გაიგონა ქალის შემზარავი კივილი „იცოდე, გოგი, ამას არ გაპატიებ". იმის გასარკვევად ნამდვილად შეეძლო თუ არა ტანიას გაეგონა მკვლელობის ჩადენის (შემთხვევის) ადგილიდან, ჩატარებულ იქნა საგამოძიებო ექსპერიმენტი, მაგრამ იმ ადგილზე, სადაც მოწმე მიუთითებდა, არავითარი ყვირილის ხმა არ გაუგონიათ. იმავე სახის მეტეოროლოგიურ პირობებში მეორე დღეს ჩატარებული ექსპერიმენტით კი სრულიად შესაძლებელი გახდა, იმ მითითებულ ადგილზე, ექსპერიმენტში მონაწილე პირებს გაეგონათ ქალის ანალოგიური შემზარავი ყვირილი. ექსპერიმენტი ჩატარდა სამჯერ და სამივე დადებითი შედეგით.

დავალება

ახსენით და დაახასიათეთ რა ხელშემშლელი პირობები შეიძლება ყოფილიყო პირველ დღეს ისეთი, რომ დანიშნულ ადგილას შეუძლებელი გახდა ქალის ყვირილის გაგონება, ანუ რა გარემოება არ იქნა გათვალისწინებული პირველად ექსპერიმენტის ჩატარების დროს და რა შეცდომა იქნა დაშვებული გამომძიებლის, როგორც ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მთავარი ორგანიზატორის მიერ.

კაზუსი №29

მოქალაქე დიანამ მიმართა თბილისის კრწანისის რაიონულ პროკურატურას იმის შესახებ, რომ მასთან სტუმრად მისულმა ტანკაძემ ისარგებლა შემთხვევით, რომ სახლში მარტო იყო და მასთან ძალით დაამყარა სქესობრივი კავშირი და ითხოვდა მის მკაცრად დასჯას.

პროკურატურის გამომძიებელმა ცეცხლაძემ შეადგინა ოქმი მისი გამოცხადების შესახებ, ჩამოართვა მას დაწვრილებითი ახსნა-განმარტება და შემდეგ დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, საიდანაც მიღებულ დასკვნაში ნათქვამი იყო: დაზარალებულ დიანას მარცხენა და მარჯვენა მკერდის არეში, სარძევე ჯირკვლებზე, შეიმჩნევა სისხლნაჟღენთები; საქალწულე აპკის დარღვევის ხანდაზმულობა ბევრად აღემატება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში მითითებულ დროს; დაზიანების აღმოცენების პერიოდის ზუსტი დადგენა შეუძლებელია დაზიანების მიყენების ხანდაზმულობის გამო; სასქესო ორგანოს გარშემო და ფეხების ბარძაყებზე აღენიშნება ხელის მტევნის თითების გამოსახულების მსგავსი სისხლნაჟღენთები, რომლებიც თავიანთი აღმოცენების მექანიზმის მიხედვით მიმართულია ზემოდან ქვემოთ და იგი შეიძლება აღმოცენებულიყო დადგენილებაში მითითებულ დროს.

დავალება

1. მოცემულ გამოსაძიებელ შემთხვევაზე წამოაყენეთ ყველა შესაძლო საგამოძიებო ვერსია და აღწერეთ მათი შემოწმების გზები;

2. წერილობთ შეადგინეთ საგამოძიებო გეგმა შესაბამისი ელემენტებით საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად საჭირო საგამოძიებო მოქმედებების თანმიმდევრული ჩატარების გათვალისწინებით;

3. იმსჯელეთ და დაასაბუთეთ მოცემულ საქმეზე ხომ არ არსებობს საფუძველი გაუპატიურების ინსცენირების მოწყობის შესახებ ვერსიის ასაგებად და ამ მიმართებით ხომ არ უნდა იქნეს შედგენილი რომელიმე რთული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გეგმა;

4. კაზუსში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, შეადგინეთ განმცხადებლის კრიტიკული დაკითხვის გეგმა და მასში ყურადღება გაამახვილეთ გამოძიებით დასადგენ გარემოებებზე.

კაზუსი №30

დაზარალებულმა სოფომ დაკითხვის დროს აჩვენა, რომ მის მეზობელს კარგი დიდი თუთის ხე უდგას, თუთა დამწიფებული იყო, ძალიან მოუნდა მისი ჭამა. მეზობელი სახლში არ იყო. გადავიდა

მეზობლის ეზოში, ავიდა თუთის ხეზე და როცა თუთას მიირთმევდა, მეზობლის ბიჭმა გაგამ მოუსწრო და ქვემოდან შეშინება და ლანძღვა დაუწყო. შემდეგ ისიც ავიდა ხეზე და იმ ტოტზე გავიდა, სადაც შეშინებული სოფო იყო მიყუჟული, მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა და ძირს ჩაგდება დაუწყო. მას შეეშინდა, თუთის ტოტს კიდევ უფრო მაგრად ჩაეჭიდა და ფეხის მოქნევით შეეცადა მის მოგერიებას. მაგრამ, გაგამ შიშველი ფეხი დაუჭირა და უფრო მიუახლოვდა, ერთი ხელი ტანზე შემოხვია, მთელი სხეულით თავისკენ მიიზიდა და მოშიშვლებულ მკერდზე აკოცა. შემდეგ ისიც იმავე ხის ტოტს შემოეხვია, სოფო მკერდში ჩაიკრა, მეორე ხელით ტრუსიკი ჩახადა, თან პირზე ხელს აფარებდა რომ არ დაეყვირა და წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო მისი გაუპატიურება.

ეჭვმიტანილმა გაგამ კატეგორიულად უარყო მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება და მისი გაუპატიურება.

დაზარალებულის ჩვენების შემოწმების მიზნით, გამომძიებელმა დარდაკაძემ გადაწყვიტა ჩაეტარებინა მოცემული სახის საგამოძიებო ექსპერიმენტი. ამისათვის მან შეარჩია დღის იგივე დრო. მოიწვია დამსწრე პირები და სპეციალისტი. დაზარალებული აუშვა თუთის ხეზე და წინადადება მისცა გასულიყო იმ ტოტზე, სადაც მოძალადემ დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, თან გაარკვია, დაზარალებულს ისეთივე ტრუსი ეცვა, როგორც გაუპატიურების დროს თუ არა. შემდეგ ეჭვმიტანილ გაგას მიმართა: ეჩვენებინა, როგორ მიუახლოვდა მას და როგორ დაამყარა მასთან იმ ტოტზე სქესობრივი კავშირი. გაგა ავიდა ხეზე, იმავე ტოტზე გავიდა, მიუახლოვდა სოფოს, ხელი მოხვია და მეორე ხელით შეეცადა მისთვის ტრუსის ჩახდას, მაგრამ რამდენიმე ცდის მიუხედავად მან ვერ შეძლო მისი ტრუსის ვერც ჩაწევა და ვერც გახდა. ყოველივე ეს გამომძიებელმა ასახა ვიდეოფირზე, შეადგინა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და თვითკმაყოფილმა დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა არა გაუპატიურებას, არამედ ხეზე გაუპატიურების მოწყობის ინსცენირებას.

დავალება

ახსენით და დაასაბუთეთ რამდენად სწორია გამომძიებლის მიერ მოცემული სახის ექსპერიმენტის ჩატარება და რამდენად საფუძვლიანია მის მიერ გაკეთებული დასკვნა დაზარალებულის მიერ მოცემულ პირობებში გაუპატიურების ინსცენირების მოწყობის შესახებ.

კაზუსი №31

ამ/წლის 15 მაისს 19 საათსა და 30 წუთზე პოლიციის საგამოძიებო განყოფილებაში გამოცხადდა მოქალაქე ანატოლ პეტროსიანი, მცხოვრები მარტყოფის ქ. №17-ში და განაცხადა, რომ სამსახურიდან მიმავალს მოულოდნელად თავს დაესხა ორი ახალგაზრდა, რომელთაგან ერთმა ხელები დაუჭირა, მეორემ კი პიჯაკისა და შარვლის ჯიბიდან ამოაცალა ფული 2000 ლარი და მობილური ტელეფონი. შემდეგ თავში რაღაცა მაგარი საგანი ჩაარტყეს, რის გამოც მან გონება დაკარგა და ძირს დავარდა, გონს რომ მოვიდა, მას აღარც პიჯაკი ეცვა. ამასთან, განაცხადა, რომ მას შეუძლია ორივე ამ პირის ამოცნობა.

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ მიღებული ცნობის საფუძველზე გამომძიებელმა შეადგინა ოქმი, რომელზეც ხელი მოაწერინა განმცხადებელს და დრო ფუჭად რომ არ დაეკარგა, განმცხადებელი ჯერ გაიყვანა და ჩვენების ადგილზე შემოწმება ჩაატარა, შემდეგ კი ოპერატიული ჯგუფის მიერ დაკავებული ორივე ეჭვმიტანილი ერთდროულად წარუდგინა განმცხადებელს ამოსაცნობად.

დავალება

1. აღწერეთ და წერილობით დაასაბუთეთ, რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობისა და მასზე ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან მიმართებაში.

2. შენ რომ გამომძიებელი ყოფილიყავი, მოცემული დანაშაულებრივი ფაქტის სწრაფი, სრული გახსნისა და ამ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად შეადგენდით თუ არა გამოძიების გეგმას, როგორ,

რა სახისა და რა თანმიმდევრობით ჩაატარებდით საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებსა და საგამოძიებო მოქმედებებს.

კაზუსი №32

დაზარალებულმა სიტყვიერად და ნახატის სახითაც აღწერა იმ პირის გარეგნობა, რომელიც მის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს მას თავზე ედგა პისტოლეტით მომარჯვებული. შემდეგ მას წარუდგინეს ადრე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირთა ალბომი, რომელშიც მან ერთ-ერთ ფოტოსურათს დაადო ხელი და მიუთითა: სწორედ ესაა ის პიროვნება, რომელიც მას თავზე ედგა იარაღმომარჯვებული და წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას არ აძლევდა. ეს პიროვნება მოძებნილ და დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით, მაგრამ მან განაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს იგი თბილისში არ იმყოფებოდა. იგი თავის მეგობარ ქალთან ერთად წასული იყო თავისი მეგობრის დაბადების დღესთან დაკავშირებულ გამართულ წვეულებაზე. გამომძიებელმა არ გაიზიარა ეჭვმიტანილის მიერ წამოყენებული ეს ვერსია და გამოიტანა დადგენილება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

დავალება

დაასაბუთეთ რამდენად სწორია გამომძიებლის ასეთი მოქმედება, ამასთან, აღწერეთ თქვენ რომ მის ადგილზე ყოფილიყავით მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რას მოიმოქმედებდით და როგორ წარმართავდით გამოძიებას.

კაზუსი №33

გამოძიების პროცესში დაზარალებულმა ტატამ განმარტა, რომ მისმა მეგობარმა იგორმა იგი მოტყუებით მიიყვანა ტუპაძის ბინაში იმ მოტივით, რომ მას დაბადების დღე ჰქონდა და მასთან ერთად მიწვეული იყო წვეულებაზე. ამ უკანასკნელს მართლაც ჰქონდა პურ-მარილი გაშლილი და სტუმრებიც ჰყავდა, რომელთა გაცილების

შემდეგ ის სახლში აღარ მობრუნდა. ამით ისარგებლა მისმა მეგობარმა, იგი ძალით გაიყვანა მეორე ოთახში და ფიზიკური ძალის გამოყენებით რამდენჯერმე დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი და დილით, როცა იგორს დაეძინა, ჩუმად გამოიპარა. ამასთან, იგი დეტალურად აღწერდა ამ ბინაში ოთახების განლაგებას და იმ ოთახში არსებული საწოლისა და სხვა საგნების განლაგებას, სადაც იგორმა გააუპატიურა. ეჭვმიტანილის სახით დაკითხულმა იგორმა არ უარყო მასთან ერთად ტუპაძესთან სტუმრობა, მაგრამ კატეგორიულად უარყო ტატას გაუპატიურების ფაქტი და განმარტა, რომ ტუპაძის მიერ სტუმრების გაცილების შემდეგ, ისინიც ადგნენ, კარები გამოიკეტეს და სახლში წავიდნენ. მისთვის უცნობია ტატა, რომელსაც ტუპაძე მოეწონა, მობრუნდა თუ არა მასთან თვითონ კი ტატასთან ერთად საძინებელ ოთახში საერთოდ არ გასულა. ეჭვმიტანილის მხილების მიზნით, გამომძიებელმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა დაზარალებულის ჩვენების ადგილზე შემოწმება, მაგრამ როცა ტუპაძის საცხოვრებელ ბინას მიადგნენ, სახლის მეპატრონემ ისინი სახლში არ შეუშვა იმ მოტივით, რომ იგი მის ბინაში ყოველგვარი პროვოკაციის მოწყობის წინააღმდეგია.

დავალება

ახსენით და დაასაბუთეთ: ბინის მეპატრონეს ჰქონდა თუ არა უფლება ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით მასთან გამომძიებლისა და ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებისათვის უარი ეთქვა და არ დაეშვა ამ მოქმედების იქ ჩატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლებოდა თუ არა მისი დაძლევა და როგორ.

კაზუსი №34

დაზარალებულმა დაკითხვისას უჩვენა, რომ თავდასხმის დროს იგი იმყოფებოდა ძლიერ სტრესულ მდგომარეობაში, მას არ ახსოვდა მოძალადის გარეგანი ნიშნები და ვერ შეძლებდა მის ამოცნობას. მიუხედავად ამისა, გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება ამოცნობის ჩატარების შესახებ და დაზარალებული გაფრთხილა ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

გაეცით პასუხი, რამდენად სწორია გამომძიებლის ასეთი მოქმედება და დაასაბუთეთ: საერთოდ საჭიროა თუ არა ამოცნობის ჩატარებასთან დაკავშირებით დადგენილების გამოტანა, ან თუნდაც ამომცნობი პირის გაფრთხილება: ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ?

კაზუსი №35

2005 წლის 23 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, ქ. რუსთავში მცხოვრებ ლენა ბახიას საკუთარ საცხოვრებელ ბინაში თავს დაესხა სამი გამომძიებით დაუდგენელი, ნილაბაფარებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც დანის გამოყენებით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაიტაცეს ლენა ბახიას კუთვნილი სხვადასხვა სახის ნივთი და 5000 ლარი, რითაც დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

დაკითხვის დროს დაზარალებულმა ლენა ბახიამ უჩვენა, რომ მის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს სამი ბოროტმოქმედიდან მან სახის ნაკვთებით იცნო ორი მათგანი – მეზობელ კორპუსში მცხოვრები გასანოვი და ასლან ყაბარდოელი. გასანოვის ბინაში ჩატარებული ჩხრეკით აღმოჩენილი ნივთები ამოსაცნობად წარედგინა დაზარალებულ ლენა ბახიას, რომელმაც ამოსაცნობად წარდგენილ სხვა ერთგვაროვან საგანთა შორის ამოიცნო თავისი კუთვნილი ორი ცალი პატარა ქანდაკება. დაზარალებულმა, ეჭვმიტანილებთან დაპირისპირების დროს, ასევე ამოიცნო თავის საცხოვრებელ ბინაში მასზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე გასანოვი და ასლან ყაბარდოელი. მიუხედავად ამისა ,გამომძიებელმა დაზარალებულის ჩვენებები არ მიიჩნია „ობიექტურ და უტყუარ მტკიცებულებად“ და საქმე წარმოებით შეაჩერა გაუხსნელობის მოტივით.

დავალება

ახსენით და დაასაბუთეთ:

1) რატომ არ შეიძლება მიჩნეულიყო უტყუარ მტკიცებულებად დაზარალებულის მიერ მისთვის ამოსაცნობად წარდგენილი ქანდაკების ამოცნობის შედეგები და დაპირისპირების დროს დაზარალებულის მიერ ეჭვმიტანილების ამოცნობა;

2) ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება იმის შესახებ, თუ კიდევ რა უნდა გაეკეთებინა გამომძიებელს მოცემული საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

3) მოცემულ ფაბულას შეხედეთ თქვენი პოზიციებიდან, თქვენ რომ გამომძიებელი ყოფილიყავით, როგორ წარმართავდით მოცემული საქმის გამოძიებას და შეძლებდით თუ არა მოცემული საქმის სრულ, ყოველმხრივ გახსნას.

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №36

გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება ბინის ქურდობასთან დაკავშირებით დიასახლისის ნანული არაჩემიას დაზარალებულად ცნობის შესახებ და მეორე ოთახიდან გამოიტანა მრავალი საოჯახო ნივთი და იქვე წარუდგინა დაზარალებულს ამოსაცნობად.

დავალება

ახსენით და დაასაბუთეთ: რამდენად სწორია გამომძიებლის ასეთი მოქმედება. თუ სწორად არ მიგაჩნიათ, მაშინ ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია. თქვენ, რომ მის ადგილზე ყოფილიყავით, რას გააკეთებდით და რა თანმიმდევრულ მოქმედებებს ჩაატარებდით.

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №37

დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლელობის საქმის გამოძიების დროს, იმის გასარკვევად, ეჭვმიტანილი ნამდვილად იყო თუ არა ადრე ფეხმძიმე, გამომძიებელმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა მისი შემოწმება. ამ მიზნით ექიმი სპეციალისტი მოიწვია, მაგრამ ეჭვმიტანილმა

გამომძიებელს ამის უფლება არ მისცა იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა ამ მოქმედების ჩატარების უფლება და საფუძველი. გამომძიებელმა ვერავითარი ტაქტიკური ხერხით ვერ დაძლია შემხვედრი წინააღმდეგობა და შეადგინა „ოქმი ეჭვმიტანილის მიერ შემოწმების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ" და მასზე ეჭვმიტანილსა და მოწვეულ სპეციალისტსაც მოაწერინა ხელი.

დავალება

1. ახსენით და დაასაბუთეთ რამდენად სწორია გამომძიებლის მოქმედება;

2. შემოწმების ჩატარების იურიდიული საფუძვლის მოთხოვნაში რას გულისხმობდა ეჭვმიტანილი;

3. გამოძიებით დასადგენი საკითხების გადასაწყვეტად ნამდვილად საჭირო იყო თუ არა ეჭვმიტანილის შემოწმება;

4. რა უნდა გაეკეთებინა გამომძიებელს იმისათვის, რომ დაეძლია ეჭვმიტანილის წინააღმდეგობა და ჩაეტარებინა მისი შემოწმება.

კაზუსი №38

ქ. თბილისის პროკურატურის მორიგე გამომძიებელ ტიმოთეს შეატყობინეს, რომ გმირთა მოედნიდან ვარაზის ხევის დასაწყისში ფეხით მოსიარულეთა ბულვარზე ეგდო უცნობი მამაკაცის გვამი, რომელსაც თავის არეში მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ღია ჭრილობა. მიღებული ცნობის საფუძველზე გამომძიებელი დაუყოვნებლივ გაემგზავრა შემთხვევის ადგილზე და შეუდგა შემთხვევის ადგილისა და იქ არსებული გვამის დათვალიერებას.სპეციალისტის მონაწილეობის გარეშე. მისი მითითებით დათვალიერების შემდეგ გვამი გადასვენებულ იქნა ქ. თბილისის 1-ლი საავადმყოფოს მორგში. ამასთან, სიკვდილის გამომწვევი მიზეზისა და სხვა გარემოებათა დასადგენად დანიშნა კრიმინალისტიკური და ალტერნატიული სახის ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალა იქვე არსებულ სამედიცინო საექსპერტო კვლევით ბიუროს.

დავალება

ახსენით და დაასაბუთეთ რამდენად სწორად მოიქცა გამომძიებელი ზემოაღნიშნული სახის ექსპერტიზების დანიშვნასა და გვამის დათვალიერებასთან მიმართებაში.

კაზუსი №39

მ/წლის 17 მაისს, ღამით, საქარხნო რაიონში მდებარე საქართველოს ბანკის ფილიალს თავს დაესხა შეიარაღებულ პირთა ჯგუფი, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულ იქნა ბანკის მცველი. თავდასხმელებმა გამორთეს სიგნალიზაციის ყველა ქსელი და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ამოიღეს და გაიტაცეს ბანკში არსებული 50000 (ორმოცდაათი ათასი) ამერიკული დოლარი, 20000 (ოცი ათასი) ევრო და 40000(ორმოცი ათასი) ლარი. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა: იატაკზე დატოვებული ფეხსაცმლის სამი ზედაპირული კვალი; ცეცხლგამძლე კარადის საკეტის გაჭრის დროს იატაკზე დაყრილი ლითონის ანაქლიბი და მორუხო ფერის სითხის რამდენიმე წვეთი; იქვე, კარადის კრიალა ზედაპირზე, აღმოჩენილ იქნა ხელის თითების მთლიანი გამოსახულების კვალი შესაბამისი ქარგების გარეშე; ოთახში მაგიდაზე არსებულ წყლის გრაფინიდან აღებულ იქნა ოთხი ცალი ხელის თითის კვალი. მეორე დღეს, დილით, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ იქნა ვინმე ფარცვანია, რომელსაც თავის კუთვნილ „მერსედესის" მარკის მანქანაში აღმოაჩნდა ჯინსის ქურთუკი და შარვლი, ასევე ნარინჯისფერი რეზინის ხელთათმანები.

დავალება

1. თქვენ რომ გამომძიებელი იყოთ, მოცემული საქმის გამოძიების დროს როგორ და რა სახის ექსპერტიზებს დანიშნავდით;

2. როგორ შეკრებდით ექსპერტიზისათვის საჭირო ნიმუშებს;

3. როგორ გამოავლენდით და ამოიღებდით შემთხვევის ადგილზე არსებულ ლატენტურ კვლებს;

4. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში

რა საკითხებს დააყენებდით ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად და სხვ.

კაზუსი №40

საცხოვრებელი ბინის გაქურდვასთან დაკავშირებით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს სხვადასხვა სახის საგანზე აღმოჩენილ იქნა ხელის თითების რამდენიმე კვალი. კერძოდ, ხელის თითების სამი ნაკლებად ხილვადი კვალი აღებულ იქნა ფაიფურის ქილის ზედაპირიდან; ტანსაცმლის კარადიდან, საიდანაც, დიასახლისის განმარტებით, წაღებული იყო მისი და მისი მეუღლის ტანსაცმელი, ძვირფასი სამკაულები და 2000 (ორი ათასი) ამერიკული დოლარი; 1500 (ათას ხუთასი) ევრო და 900 (ცხრაასი) ლარი. იქ არსებული იატაკიდან და ძირს დაყრილი და ფეხით გათელილი ტანსაცმლიდან კინოლოგის მიერ აღებულ იქნა სუნის (ოდოროლოგიური) კვალი.

დავალება

1. აღწერეთ როგორ და რა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეიძლება მომხდარიყო ზემოთ მოხსენიებული კვლების გამოვლინება-დამუშავება და ფიქსაცია;
2. როგორ მოახდენდით ექსპერტიზის კვლევისათვის საჭირო ნიმუშების აღებას;
3. რა სახის ექსპერტიზას დანიშნავდით და რა საკითხებს დააყენებდით ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად;
4. როგორ გამოიტანდით დადგენილებას რომელიმე სახის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

კაზუსი №41

ყაჩაღური თავდასხმის შედეგად თავის საცხოვრებელ ბინაში მოკლულ იქნა ოჯახის უფროსი ანდრო და მისი უფროსი ვაჟი 21 წლის მამუკა. ოჯახის დიასახლისის, ასმათის განმარტებით, დამნაშავეებს იგი იმით გადაურჩა, რომ მან მოასწრო ოთახის ფანჯრის გამოღება და

გადახტომა. იგი შეშინებული მეზობლებთან გაიქცა და დახმარება სთხოვა. როცა მეზობლებთან ერთად სახლში დაბრუნდა, ნახა, რომ მისი მეუღლე და უფროსი ვაჟი მამუკა მოკლულები იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს იატაკზე, გვამიდან ცოტა მოშორებით, აღმოჩენილ იქნა გაცლილი საბრძოლო მასრა და გვამის ქვეშ სხეულში გამავალი და იატაკზე დაგდებული მაკაროვის სისტემის იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნიდან გასროლილი ტყვია, რომელზეც შეიმჩნეოდა მოწითალო ფერის შემშრალი ლაქები. იმ ფანჯრის დათვალიერებისას კი, რომლიდანაც, დიასახლისის განმარტებით, გადახტა და თავს უშველა, შეიმჩნეოდა დაუზიანებელი ობობას ქსელი, ასევე არავითარი კვალი არ შეიმჩნეოდა ძირს, ფანჯრის ირგვლივ, არსებულ ფხვიერ მიწაზე. ე.ი. გამოვლენილი იქნა ნეგატიური კვლები. იქვე ეგდო გასისხლიანებული დანა, რომლის ტარზე შეიმჩნეოდა ხელის თითების ანაბეჭდი.

გამომძიებელმა, ზემოაღნიშნულ კვალთა მექანიზმის გამოკვლევისა და საქმის სწრაფი, სრული გახსნის მიზნით, დანიშნა კომპლექსური და ალტერნატიული სახის ექსპერტიზა.

დავალება

1. გაანალიზეთ და დაასაბუთეთ, რამდენად სწორი და დამაჯერებელია გამომძიებლის მიერ ალტერნატიული და კომპლექსური სახის ექსპერტიზის დანიშვნა;

2. თქვენ რომ გამომძიებელი ყოფილიყავით, მოცემული მონაცემების საფუძველზე რა სახის საგამოძიებო ვერსიებს ააგებდით და რა სახის ექსპერტიზებს დანიშნავდით;

3. რა სახის საკითხებს დააყენებდით ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად;

4. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალიდან რომელს მიაკუთვნებდით ნეგატიურ კვალს;

5. კაზუსში აღწერილი მონაცემების საფუძველზე გამოიტანეთ სრულყოფილი შესაბამისი დადგენილება კრიმინალისტიკური ექსპერტიზებიდან რომელიმე სახის ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩემ მიერ ქვემოთ მითითებული მონაცემები და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების ნიმუში.

ზოგადი მითითებები ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით

ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანის დროს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა სახის ექსპერტიზას ნიშნავთ. საკმარისი არაა მარტოოდენ ზოგადად კრიმინალისტიკური სახის ან სამედიცინო სახის ექსპერტიზის დანიშვნაზე მითითება, რადგან ორივე ზემოაღნიშნული სახის ექსპერტიზა ექსპერტიზის მრავალ სახეობას მოიცავს. მაგალითად, კრიმინალისტიკური სახის ექსპერტიზებს მიეკუთვნება ადამიანის ხელის, ანუ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ფეხის კვალის ექსპერტიზა, გატეხის იარაღების კვალთა ექსპერტიზა, ხელნაწერების კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, ბალისტიკური ექსპერტიზა და სხვ. ამიტომ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებას ყოველთვის სათაურად უნდა წარემძღვაროს მითითება იმაზე, თუ რა სახის ექსპერტიზა ინიშნება. ამასთან, **შესავალ ნაწილში** ნაჩვენები უნდა იყოს თუ სად, როდის და ვის მიერ იქნა ეს დადგენილება გამოტანილი და რა კავშირი აქვს გამოსაკვლევ ფაქტს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან და მიეთითოს სსკ-ის ის მუხლი, რომლის შემადგენლობის ნიშნებსაც შეიცავს გამოსაძიებელი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

აღწერილობით ნაწილში აუცილებლად უნდა მიეთითოს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი და ის გარემოება, რამაც გამოიწვია ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების აუცილებლობა. აქვე აუცილებლად უნდა მიეთითოს იმ გამოსაკვლევი და შესადარებელი მასალის შესახებაც, რომელიც იგზავნება ექსპერტიზაზე. საჭიროა მიეთითოს აგრეთვე იმაზე, თუ სად, როდის, რა ვითარებაში იქნა აღმოჩენილი, ამოღებული და შეფუთული გამოსაკვლევი და შესადარებელი ეს მასალა. იქვე სრულყოფილად უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლებზე, რომლებითაც დადგენილია ექსპერტიზის დანიშვნის წესი. დადგენილების **რეზოლუციურ ნაწილში** კი უნდა მიეთითოს იმაზე, თუ კონკრეტულად რა სახის ექსპერტიზა ინიშნება და ვის ევალება მისი ჩატარება. იქვე ლაკონიურად და კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები და გამოსაკვლევად გადაგზავნილი საგნებისა და დოკუმენტების ნუსხა.

· თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი სახის დადგენილება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

დადგენილება

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

26 აგვისტოს 2005 წელი ქ. თბილისი.

საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა ი. კიკაბიძემ განვიხილე ჩემს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის № 0609019 საქმე მოქალაქე ჩაჩუას ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 3 ნაწილის „ა" და „ძ" პუნქტებით.

გამოვარკვიე:

2005 წლის 15 მაისს ხარაგაულის რაიონული პოლიციის საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №06092019 მოქ. ჩაჩუას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ 2005 წლის 15 მაისს, დაახლოებით 01 საათზე, ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანში მცხოვრებ ჩაჩუას ოჯახს თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც ოჯახში მყოფ პირებს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და იარაღის მუქარით გაიტაცეს ოქროს სამკაულები, 3000 ამერიკული დოლარი, 1000 ევრო, 2000 ლარი, იმპორტული წარმოების ორლულიანი სანადირო თოფი და სხვა ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიმალნენ.

2005 წლის 15 მაისს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, ექსპერტი კრიმინალისტის მიერ, ჩაჩუას ბინაში კარადის სახელურზე მაგნიტური ფუნჯით გამოვლენილ იქნა ხელის თითების კვალი და იგი გადატანილ იქნა დაქტილოფირზე, რომელიც შეიკერა ნემსითა და ძაფით, მიბმულ მუყაოს ქაღალდზე გაკეთდა წარწერა თუ სად, როდის, რა საგანზე, ვის მიერ და რა საქმესთან დაკავშირებით იქნა ამოღებული.

2005 წლის 19 აგვისტოს შს სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნენ ზემოთ აღნიშნულ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები მიქავა, ჯავახაძე და კილასონია.

იმისათვის, რომ დადგინდეს აღნიშნული თითის ანაბეჭდები და-

ტოვებულია თუ არა ეჭვმიტანილების მიქავას, ჯავახაძის ან კილასონიას მიერ, საჭიროა ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალური ცოდნის გამოყენება, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე, 97-ე, 356-ე, 357-ე. 359-ე, 360-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით

დავადგინე:

1. მოცემულ საქმეზე დაინიშნოს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა.

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევით ცენტრს.

3. ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დაისვას შემდეგი კითხვები:

ა) წარმოდგენილი ხელის თითების კვლები ვარგისია თუ არა პიროვნების გაიგივებისათვის?

ბ) აღნიშნული ხელის თითების კვლები ხომ არ არის დატოვებული მიქავას, ჯავახაძის ან კილასონიას მიერ?

4) ექსპერტიზას გამოსაკვლევად გადაეგზავნოს:

ა) შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითების კვალი, შეფუთული ერთად და დალუქული ლუქის ბეჭდით;

ბ) რ. მიქავას, ლ. ჯავახაძის და უ. კილასონიას ხელის თითების ანაბეჭდები გადატანილი დაქტილობარათებზე.

გამომძიებელი, პოლიციის პოლკოვნიკი ი. ჩიბურდანიძე

ზოგადი მითითება და დავალება საქმიანი თამაშების ჩატარებასთან მიმართებაში

ზემოთ განხილული ცალკეული თემების მიხედვით, მოცემული საქმიანი თამაშების მსგავსად, მომდევნო თემებიდან დაკითხვის, ამოცნობის, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკის საკითხების უკეთ ათვისებისა და ამ მიმართებით სტუდენტებისა და მსმენელებისათვის პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, საჭიროა პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ლექტორმა თვითონ შეიმუშაოს რამდენიმე კაზუსი დაზარალებულის, მოწმის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის, ამოცნობის, შემოწმების, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკის შესახებ. თითოეული ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი, მისი ჩატარების მიზანი, დრო და ადგილი გააცნოს სტუდენტებს. მათგან შეარჩიოს შედარებით მოწინავე სტუდენტები და მისივე მითითებით შეადგინონ მათთვის მითითებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამუშაო – საგამოძიებო გეგმა და მიეცეთ მიმართულება იმისა, თუ როგორ წარმართონ მათ ამ საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკურად სწორად ჩატარება. ზოგჯერ ლექტორმა მიზანშეწონილია, წინასწარ შემუშავებული კაზუსის შინაარსი გააცნოს სტუდენტებს ან კონკრეტული გარემოების მიხედვით, გააცნოს იგი ერთ რომელიმე სტუდენტს და დაავალოს, როგორც ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს მოემზადოს მისთვის ინკრიმინირებული მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ დაკითხვის, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებისათვის. ასევე, მოცემულ გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით მოამზადოს სხვა პირი (პირები) დაზარალებულის ან მოწმის სახით დასაკითხად, ან ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩასატარებლად.

ასევე, კარგი იქნება თუ ლექტორი შერჩეული კაზუსის განხილვა-გამოკვლევასთან დაკავშირებით გამოძიებას მიანდობს რომელიმე სტუდენტს და ეს უკანასკნელი დანარჩენ რამდენიმე სტუდენტს შორის გაანაწილებს ფუნქციებს საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და ამოცნობის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, განსაზღვრავს მათი ჩატარების თანმიმდევრობას, დროს, ადგილს, გარემოებას და ჩატარების შესახებ შეადგენინებს შესაბამის საგამოძიებო ოქმებს.

თავი XVIII

კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცალკეული თემების ცოდნის შემოწმება ტესტირების მეთოდით

ტესტი №1

რა არის და რას შეისწავლის კრიმინალისტიკური ტაქტიკა:

ა) კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკური ტექნიკის შემადგენელი ნაწილი და შეისწავლის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ტაქტიკას;

ბ) კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის ლოგიკური აზროვნების კვლევის მეთოდი;

გ) იგი არის და შეისწავლის პროცესუალური კანონმდებლობით რეგლამენტირებულ ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებს;

დ) იგი ქმნის და შეისწავლის გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის სპეციალურ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №2

რა ადგილი უკავია კრიმინალისტიკურ ტაქტიკას კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში:

ა) კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკის დამოუკიდებელი დარგი;

ბ) იგი არის სისხლის საპროცესო სამართლის დამოუკიდებელი დარგი;

გ) იგი არის სისხლის სამართლის პროცესის გაგრძელება;

დ) იგი არის კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში კრიმინალისტიკური ტექნიკისა და დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის დამაკავშირებელი სპეციალური განყოფილება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №3

რა არის ტაქტიკური ხერხი:

ა) ტაქტიკური ხერხი არის სწორი ლოგიკური აზროვნება;

ბ) ტაქტიკური ხერხი არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ზოგადი წესი;

გ) ტაქტიკური ხერხი არის პროცესუალური და ეთიკური ნორმების ერთობლიობა;

დ) იგი არის ქცევის ის წესი და საშუალება, რომლითაც გამომძიებელი აღწვს გამოსაძიებელ საქმეზე უტყუარ მტკიცებულებათა მიღებას;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №4

შეიძლება თუ არა ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია თავიანთი მოცულობის, დროის, დანიშნულებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თანმიმდევრობის მიხედვით:

ა) ტაქტიკური ხერხები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ამ მონაცემებით მათი კლასიფიკაცია შეუძლებელია;

ბ) ტაქტიკური ხერხები შინაარსობრივი გაგებით შეიძლება დაიყოს ათ ჯგუფად:

გ) ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით ტაქტიკური ხერხები რეკომენდებულია დაიყოს სამ ჯგუფად: ზოგად, კერძო და დეტალურ სახეებად;

დ) ტაქტიკური ხერხი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ქმედებაა და მისი დაყოფა ცალკეულ ტაქტიკურ ხერხებად არ შეიძლება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №5

რა იგულისხმება დანაშაულის გახსნის ცნებაში და როდის შეიძლება საქმე გახსნილად ჩაითვალოს:

ა) დანაშაული გახსნილად ითვლება ეჭვმიტანილის დაკავების მომენტიდან;

ბ) დანაშაული გახსნილად ითვლება საქმეზე საბრალდებო დასკვნის შედგენის მომენტიდან;

გ) დანაშაული გახსნილად ითვლება საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და მასზე გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

დ) დანაშაული გახსნილად ითვლება ეჭვმიტანილის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის აღიარების მომენტიდან?

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №6

როგორია დანაშაულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნებათა ურთიერთშეფარდება:

ა) დანაშაულის „გამოძიება“ უფრო ფართო და იგი მოიცავს დანაშაულის „გახსნის“ ცნებასაც;

ბ) დანაშაულის „გამოძიება“ შედარებით ვიწრო და პირობითი ცნებაა;

გ) დანაშაულის გახსნა წინ უსწრებს გამოძიებას, ამიტომ უფრო სწორია ვიხმაროთ გამოთქმა „დანაშაულის გახსნა და გამოძიება“;

დ) დანაშაულის გამოძიება არის დანაშაულის გახსნის პროცესუალური ფორმა და ამიტომ უფრო სწორია გამოთქმა „დანაშაულის გახსნა“,

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №7

რა ეწოდება იმ ტაქტიკური ხერხების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება დანაშაულთა გახსნის პროცესში:

ა) საგამოძიებო ტაქტიკა;

ბ) სასამართლო ტაქტიკა;

გ) საპროკურორო ზედამხედველობის ტაქტიკა;

დ) კრიმინალისტიკური ტაქტიკა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №8

რის საფუძველზე შეიძლება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის პროცესში:

ა) წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება არ შეიძლება და ამიტომ გამოძიების პროცესში არ უნდა იქნენ ჩაბმული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები;

ბ) საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა დამოკიდებულია გამომძიებლის შეხედულებასა და საქმიანობაზე;

გ) დანაშაულის გამოძიების პროცესში საზოგადოებრიობის ჩაბმა დემოკრატიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის მაჩვენებელია და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა გამოძიებაში აუცილებელია ტაქტიკური ხერხებისა და საპროცესო-სამართლებრივ საფუძვლებზე;

დ) საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში დამსწრის ინსტიტუტი აღარ არსებობს და ამიტომ საზოგადოებრიობის მონაწილეობა გამოძიების პროცესში არ შეიძლება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №9

რომელი სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს დამსწრე:

ა) მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის დროს;

ბ) ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის დაკითხვის დროს;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს;

დ) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების დროს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №10

რამდენი პირი უნდა იქნეს მოწვეული დამსწრედ კანონით რეგლამენტირებულ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად:

ა) ორი ან მეტი პირი;
ბ) არანაკლებ ორისა;
გ) არა უმეტეს ორისა;
დ) იმდენი, რამდენსაც გამომძიებელი ჩათვლის საჭიროდ;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №11

რა არის კრიმინალისტიკური ვერსია:

ა) კრიმინალისტიკური ვერსია არის გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების სავარაუდო ახსნა;
ბ) კრიმინალისტიკური ვერსია არის ამა თუ იმ ფაქტის გულვება;
გ) კრიმინალისტიკური ვერსია არის გამოძიებაში მონაწილე რომელიმე პირის მიერ გამოსაძიებელი შემთხვევის ჰიპოთეზური ახსნა;
დ) კრიმინალისტიკური ვერსია იგივეა, რაც ჰიპოთეზა;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №12

რა შეიძლება იყოს კრიმინალისტიკური ვერსიების აგების საფუძველი:

ა) კრიმინალისტიკური ვერსიების აგების საფუძველია გამოსაძიებელ საქმეზე არსებული ფაქტობრივი მონაცემები;
ბ) ვერსიების აგების საფუძველია გამოსაძიებელ საქმეზე მონაწილე პირთა მიერ წამოყენებული ჰიპოთეზები;
გ) ვერსიების აგება დამოკიდებულია გამომძიებლის ფანტაზიაზე;
დ) ვერსიების აგების საფუძველია ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდები;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №13

რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია:

ა) ვერსიებს კლასიფიკაცია არა აქვს;

ბ) კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს მათი წარმოქმნის წყაროების მიხედვით;

გ) ვერსია ერთია და ამიტომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ მის კლასიფიკაციაზე;

დ) სასამართლო ვერსია მოიცავს ყველა სახის ვერსიას;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №14

არსებობს თუ არა საგამოძიებო ვერსიების კლასიფიკაცია:

ა) არ არსებობს;

ბ) არსებობს, მაგრამ მას პრაქტიკაში არ იყენებენ;

გ) არსებობს ზოგადი, კერძო და დეტალური სახის საგამოძიებო ვერსია;

დ) საგამოძიებო ვერსიების აგება-შემოწმება უწყვეტი პროცესია და ამიტომ შეუძლებელია მათი ზუსტი კლასიფიკაცია;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №15

როგორ უნდა მოხდეს საქმეზე წამოყენებული საგამოძიებო ვერსიების შემოწმება:

ა) ჯერ უნდა მოხდეს გამომძიებლის მიერ წამოყენებული ყველაზე რეალური ვერსიის შემოწმება და შემდეგ სხვა დანარჩენი ვერსიების თანმიმდევრული შემოწმება;

ბ) ვერსია თავისთავად დინამიკურია და გამოძიების პროცესში თავისთავად იცვლება;

გ) საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება უნდა მოხდეს პარალელურად;

დ) ჯერ უნდა მოხდეს კერძო ვერსიებისა და შემდეგ ზოგადი ვერსიების შემოწმება:

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №16

რას ნიშნავს ზოგადი ვერსია:

ა) ზოგადი ვერსია არის გამომძიებლის ზოგადი მსჯელობა გამოსაძიებელ საქმეზე;

ბ) ზოგადი ვერსია შეიძლება წამოყენებულ იქნეს გამოსაძიებელი შემთხვევის იურიდიული შემადგენლობის დასადგენად და პასუხობს კითხვას: რა გარემოებას ჰქონდა ადგილი;

გ) ზოგადი ვერსია ეხება იმას, თუ როგორ დავადგინოთ მოცემული ქმედების ჩამდენი პირი და პასუხობს კითხვას: ვის შეეძლო ჩაედინა გამოსაკვლევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

დ) ზოგადი ვერსიით უნდა აიხსნას და დადგინდეს ის, თუ სად, როდის, ვის მიერ და რა საშუალებით იქნა ჩადენილი გამოსაძიებელი შემთხვევა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №17

რა განსხვავებაა ზოგად, კერძო, სამუშაო და დეტალური სახის საგამოძიებო ვერსიებს შორის:

ა) ზოგადი და კერძო ვერსია ერთი და იმავე გარემოების ახსნა-შემოწმებას ემსახურება;

ბ) დეტალურ ვერსიას აყენებს ექსპერტი და არა გამომძიებელი;

გ) ზოგადი საგამოძიებო ვერსია ეხება გამოსაძიებელი შემთხვევის იურიდიული ბუნების ახსნას, კერძო ვერსია დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების ახსნას, დეტალური კი საქმეზე მნიშვნელობის რომელიმე კონკრეტული გარემოების ან ფაქტის დადგენას.

დ) ყველა ზემოაღნიშნული ვერსია ლოგიკური აზროვნების ჰიპოთეზური კვლევის შედეგია და, ამდენად, მათ შორის არავითარი სხვაობა არაა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №18

შეიძლება თუ არა ანალოგიის გამოყენება საგამოძიებო ვერსიების აგების დროს:

ა) არ შეიძლება;

ბ) ნაწილობრივ შეიძლება;

გ) გამომძიებლის მიერ ადრე გამოძიებულ და გახსნილ საქმეზე წამოყენებული ვერსიების აგების თავისებურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმავე სახით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დროს;

დ) შეიძლება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს;

ე) არც ერთი პასუხი არა არის სწორი.

ტესტი №19

როგორ, რა საშუალებებით უნდა მოხდეს ვერსიების შემოწმება:

ა) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით;

ბ) საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩატარებით;

გ) ლოგიკური აზროვნების კანონების გამოყენებით;

დ) მოქალაქეთა მიერ მოწოდებული ანონიმური განცხადებებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №20

სად, როგორ და რა საშუალებით უნდა მოხდეს გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიების ფიქსაცია:

ა) გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიები წერილობითი სახით უნდა დაერთოს საქმეს, როგორც მტკიცებულება;

ბ) საქმეზე წამოყენებული ვერსიები გამომძიებელმა უნდა ჩაინიშნოს თავის უბის წიგნაკში;

გ) ვერსიებს არა აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა და ამიტომ იგი არ შეიძლება დაერთოს გამოსაძიებელ საქმეს;

დ) საგამოძიებო ვერსია, როგორც გამოძიების მიმართულების კომპასი, უნდა აისახოს და საფუძვლად დაედოს გამოძიების გეგმას;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №21

რა არის გამოძიების დაგეგმვა:

ა) გამოძიების დაგეგმვა არის პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება;

ბ) გამოძიების დაგეგმვა პროცესუალური მოქმედებაა;

გ) გამოძიების დაგეგმვა არის ფარული, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება;

დ) გამოძიების დაგეგმვა არის ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება, რომელიც გამომძიებლის საქმიანობას აძლევს სწორ, მიზანდასახულ ხასიათს და ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №22

როდის უნდა მოხდეს გამოძიების გეგმის შედგენა:

ა) გამოძიების გეგმა შედგენილ უნდა იქნეს საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან;

ბ) იგი შედგენილ უნდა იქნეს საქმეზე საჭირო გადაუდებელი პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ;

გ) გეგმა შედგენილ უნდა იქნეს საქმეზე საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ;

დ) საგამოძიებო გეგმა შედგენილ უნდა იქნეს პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №23

საქმეზე შედგენილი გამოძიების გეგმა შეიძლება შეიცვალოს თუ არა გამოძიების მიმდინარეობის შესაბამისად:

ა) არა, იგი მყარი და უცვლელია გამოძიების დამთავრებამდე;

ბ) გამოძიების დაგეგმვა ცვალებადი და უწყვეტი პროცესია;

გ) გამოძიების გეგმა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ პირისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან;

დ) გამოძიების გეგმა უნდა სრულდებოდეს უცვლელად, სწორი, გეგმური თანმიმდევრობით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №24

რა არის გამოძიების დაგეგმვის ძირითადი პრინციპები:

ა) მისი ძირითადი პრინციპია გამოძიების დაგეგმვის დროულობა;

ბ) გამოძიების დაგეგმვის ძირითადი პრინციპია ინდივიდუალობა და დინამიკურობა;

გ) გამოძიების დაგეგმვა დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა და მას არავითარი პრინციპი არა აქვს;

დ) გამოძიების დაგეგმვა თავისთავად გამოძიების პრინციპია;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №25

ვინაა გამოძიების დაგეგმვის სუბიექტი:

ა) მოსამართლე;

ბ) გამომძიებელი;

გ) ოპერატიული მუშაკი;

დ) პოლიციის სამმართველოს უფროსი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №26

რა თავისებურებებით ხასიათდება რთული და მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოძიების დაგეგმვა:

ა) იგი ხასიათდება იმით, რომ ჩვეულებრივი საგამოძიებო გეგმისგან განსხვავებით, მის შედგენაში მონაწილეობს რამდენიმე გამომძიებელი;

ბ) ამ კატეგორიის საქმეებზე ერთ საერთო გეგმას ადგენს საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი, დანარჩენი გამომძიებლები კი გეგმას ადგენენ მათთვის გამოსაძიებლად მიცემულ ეპიზოდებზე;

გ) ჯგუფში მონაწილე გამომძიებლები მათთვის მინდობილი ეპი-

ზოლების გამოძიების შესახებ გეგმას არ ადგენენ და მარტივად ახდენენ ჩანიშვნას თავიანთ ბლოკნოტებში;

დ) გამოძიებაში მონაწილე ყველა გამომძიებელს სამოქმედო გეგმას უდგენს გამოძიების ჯგუფის ხელმძღვანელი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №27

საჭიროა თუ არა საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა:

ა) არა;

ბ) საჭიროა მხოლოდ მოწმის დაკითხვის გეგმის შედგენა;

გ) საჭიროა მხოლოდ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის გეგმის შედგენა;

დ) საგამოძიებო გეგმა შედგენილ უნდა იქნეს ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №28

რა ბედი ეწევა საქმეზე შედგენილ საგამოძიებო გეგმას:

ა) წერილობით შედგენილი საგამოძიებო გეგმა საქმეს თან დაერთვის;

ბ) საგამოძიებო გეგმას მტკიცებულებითი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ იგი საქმეს თან არ დაერთვება;

გ) ყველა გამოსაძიებელ საქმეზე შედგენილი საგამოძიებო გეგმა შენახულ უნდა იქნეს საქმეზე შედგენილ სამეთვალყურეო წარმოებაში;

დ) საქმეზე შედგენილ გეგმას ინახავს პროკურორი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №29

რა არის გამოძიების დაგეგმვის საფუძველი:

ა) გამოძიების დაგეგმვის საფუძველია დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობა;

ბ) გამოძიების დაგეგმვის საფუძველია საგამოძიებო ვერსიები;

გ) გამოძიების დაგეგმვის საფუძველია მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა;

დ) გამოძიების დაგეგმვის საფუძველია მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით ფარული ვიდეოკამერებით გადაღებული და მოსმენილი მონაცემები;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №30

რა გარემოებები არ უნდა იქნეს მითითებული საგამოძიებო გეგმაში და რა არის მისი ელემენტები:

ა) საგამოძიებო გეგმაში მითითებული არ უნდა იყოს გამოძიებით დასადგენი გარემოებები და საგამოძიებო ვერსიები;

ბ) მასში მითითებული არ უნდა იყოს საქმეზე საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების დრო, ადგილი და გარემოპირობები;

გ) გეგმაში არ უნდა მიეთითოს დასმული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩამტარებელი პირები და თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები;

დ) საგამოძიებო გეგმაში მითითეული არ უნდა იყოს ყველა ზემოაღნიშნული გარემოება და ელემენტი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №31

რა არის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება და რით განსხვავდება იგი სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათებისაგან:

ა) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება იგივეა, რაც სისხლისსამართლებრივი დახასიათება;

ბ) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება იდენტურია დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათებისა;

გ) დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებას არა აქვს თავისი კვლევის ობიექტი;

დ) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება არსებითად

განსხვავდება დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათებისაგან თავისი კვლევის მიზნებითა და ელემენტებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №32

რა არის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების კვლევის ელემენტები:

ა) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებია დანაშაულის ხელყოფის ობიექტი და ობიექტური მხარის ნიშნები;

ბ) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების კვლევის ელემენტებია დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები;

გ) დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტებია დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის ხერხები და საშუალებები, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ტიპური სიტუაციები;

დ) კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტია მარტოოდენ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ მავნე შედეგთან;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №33

რა არის საგამოძიებო სიტუაცია და რა კავშირი აქვს დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებასთან:

ა) საგამოძიებო სიტუაციას არავითარი კავშირი არა აქვს დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებასთან;

ბ) საგამოძიებო სიტუაცია არის გარკვეულ მომენტში შექმნილი მდგომარეობა, რომელსაც იმდენად მჭიდრო კავშირი აქვს დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებასთან, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ისინი ერთიმეორეს განაპირობებენ;

გ) დანაშაულთა გამოძიებას სიტუაციები არ ახასიათებს და ამიტომ კრიმინალისტიკური თვალთახედვით მასზე მსჯელობა არალოგიკურია;

დ) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება გამოძიებას აძლევს სწორ მიმართულებას, სიტუაცია კი მას გარკვეულწილად ამუხრუჭებს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №34

როგორაა წარმოდგენილი კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში საგამოძიებო სიტუაციათა კლასიფიკაცია:

ა) საგამოძიებო სიტუაცია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დაყოფილია ორ ჯგუფად;

ბ) იგი დაყოფილია მარტივი და რთული სახის საგამოძიებო სიტუაციად;

გ) კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში იგი დაყოფილია ზოგად, კერძო, მარტივ და რთულ საგამოძიებო სიტუაციად;

დ) საგამოძიებო სიტუაცია დაყოფილია ტიპურ და სპეციფიკურ სიტუაციად;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №35

ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანოებიდან რომელს არ ევალება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გატარება:

ა) პროკურატურას;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს;

გ) იუსტიციის სამინისტროს;

დ) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №36

რა არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა:

ა) იგი არის კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღიად ან ფარულად ჩატარებული ღონისძიებების სისტემა;

ბ) იგი არის საგამოძიებო მოქმედება;

გ) იგი არის ეჭვმიტანილის დაკავების მიზნით პროკურორის დავალებით გატარებული ღონისძიება;

დ) იგი არის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ეჭვმიტანილის დაკავების პროცესუალური საქმიანობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №37

რა ფორმებით შეიძლება განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა:

ა) საკონტროლო შესყიდვით ან ვიზუალური კონტროლის დაწესებით;

ბ) ეჭვმიტანილის დაკითხვით;

გ) მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვით;

დ) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №38

რა ძირთადი კავშირია ოპერატიული სამსახურის ორგანოსა და გამომძიებელს შორის:

ა) ოპერატიული სამსახურის უფროსი გამომძიებლის სიტყვიერი დავალებით აწარმოებს მოწმეების მოყვანას;

ბ) გამომძიებელი ქმნის ოპერატიულ ჯგუფს და თავისი ხელმძღვანელობით აწარმოებს ეჭვმიტანილის დაკავებას;

გ) გამომძიებელი და ოპერატიული სამსახურის ორგანო შეთანხმებულად მოქმედებენ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე მიღებული ცნობების შემოწმების, დანაშაულში მხილებულ პირთა დაძებნა-დაკავებისა და დანაშაულის გახსნის მიზნით წარმოებულ სხვა ღონისძიებათა განხორციელებაში;

დ) გამომძიებელი ქმნის ოპერატიულ ჯგუფს და თავისი ხელმძღვანელობით აწარმოებს ფარულ თვალთვალს გარკვეულ პირთა საქმიანობაზე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №39

შეიძლება თუ არა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებულ მონაცემებს მიეცეს დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებითი მნიშვნელობა:

ა) არ შეიძლება;

ბ) შეიძლება, თუ ოპერატიული სამსახურის მუშაკებთან ერთად ფარულ თვალთვალში მონაწილეობდა გამომძიებელი;

გ) შეიძლება, თუ იგი ჩატარდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიღებულ მონაცემებს სასამართლო კანონიერად ჩათვლის;

დ) შეიძლება, ნაწილობრივ მიეცეს მას მტკიცებულებითი მნიშვნელობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №40

შეიძლება თუ არა გამოყენებულ და გახმაურებულ იქნეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოების ხერხები, საშუალებები, მათი მიღების წყარო:

ა) ეს მონაცემები მკაცრადაა გასაიდუმლოებული და მათი გახმაურება არ შეიძლება;

ბ) ამ მონაცემების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ პირებს;

გ) ამ მასალების გაცნობა და გახმაურება შეიძლება მხოლოდ ოცი წლის შემდეგ;

დ) საიდუმლო ინფორმაციის მომწოდებელი წყაროსა და საიდუმლო თანამშრომლის გამჟღავნება შეიძლება მოხდეს მხოლოდ 25 წლის შემდეგ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №41

არასრულწლოვანი პირი შეიძლება თუ არა ჩაბმულ იქნეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში და მოხდეს მასთან კონტრაქტის დადება:

ა) შეიძლება, თუ იგი თანახმაა დადოს კონტრაქტი ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელობასთან;

ბ) შეიძლება, თუ მან წერილობითი განცხადებით მიმართა ოპერატიული სამსახურის უფროსს;

გ) არ შეიძლება;

დ) შეიძლება თუ იგი ქართველია, ჩვენი მოქალაქეა და მიღებული აქვს ქრისტიანული სარწმუნოება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №42

რა არის ძებნა:

ა) ძებნა არის გარკვეული თანამდებობის პირის მიერ წარმოებული კონსპირაციული და ზოგიერთი ღია პროცესუალურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა;

ბ) ძებნა არის ეჭვმიტანილის დაკავება;

გ) ძებნა არის დაკავებული ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანა;

დ) ძებნა არის დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირთა საქმიანობაზე ფარული თვალთვალის წარმოება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №43

ვინ არ შეიძლება იყოს ძებნის ობიექტი:

ა) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი;

ბ) პირი, რომელიც ბრალდებულის სახითაა პასუხისგებაში მიცემული და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

გ) მსჯავრდებული, რომელიც იმყოფება მიმალვაში;

დ) დამნაშავედ ცნობილი მიმალვაში მყოფი საეკლესიო-სასულიერო პირი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №44

ვინაა უფლებამოსილი გამოაცხადოს ბრალდებულის ძებნა:

ა) გამომძიებელი და პროკურორი;

ბ) ოპერატიული მუშაკი;

გ) ოპერატიული სამსახურის უფროსი;

დ) სასამართლო;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №45

როგორ უნდა მოხდეს მიმალვაში მყოფ ბრალდებულზე ძებნის გამოცხადება:

ა) მოსამართლის ბრძანებით;

ბ) ოპერატიული სამსახურის უფროსის მიერ გამოტანილი დადგენილებით;

გ) სასამართლოს მიერ ბრალდებულისათვის აღმკვეთი ღონისძიების შერჩევისა და მისი ძებნის გამოცხადების შესახებ სპეციალური განჩინების გამოტანით;

დ) გამომძიებლის მიერ ძებნის გამოცხადებისა და საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ დადგენილების გამოტანით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №46

შეიძლება თუ არა ერთი დადგენილებით მოხდეს საქმის წარმოებით შეჩერება და ძებნის გამოცხადება:

ა) შეიძლება, თუ გამომძიებლის მიერ გამოტანილ დადგენილებასთან ერთად არსებობს სასამართლოს ბრძანებაც;

ბ) შეიძლება, თუ საგამოძიებო ვადები ამოიწურა და ძებნის სხვა საშუალებები უშედეგოდ დამთავრდა;

გ) შეიძლება, თუ ამის შესახებ არსებობს პოლიციის დაწესებულების თანხმობა;

დ) შეიძლება, თუ მოცემული პირის ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებით უკვე არსებობს სასამართლოს განჩინება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №47

რა სახის დოკუმენტის საფუძველზე შეიძლება მოხდეს ბრალდებულის საერთაშორისო ძებნა:

ა) სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებით;

ბ) პოლიციის დაწესებულების ოპერატიული სამსახურის უფროსის ბრძანებით;

გ) რაიონული პროკურორის ბრძანებით;

დ) გენერალური პროკურორის დადგენილებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №48

ვინ, საქართველოს რომელი ორგანო აწარმოებს საერთაშორისო ძებნას:

ა) საერთაშორისო ძებნას ახორციელებს პოლიციის რაიონული განყოფილება;

ბ) იუსტიციის სამინისტრო;

გ) ფინანსური პოლიცია;

დ) შსს ინტერპოლი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №49

რა არის დაკავება და ვინაა უფლებამოსილი ჩაატაროს ეს მოქმედება:

ა) დაკავება არის კანონით განსაზღვრულ პირობებში უფლებამოსილი პირის მიერ დაკავებულისათვის მოკლევადიანი თავისუფლების შეზღუდვა;

ბ) დაკავება არის სხვა რთული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

გ) დაკავება არის ჩხრეკის ჩატარების მომზადება;

დ) დაკავება არის მოსამართლის მიერ განსასჯელისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №50

ვინ არ შეიძლება იყოს ეჭვმიტანილის დაკავების სუბიექტი:
ა) მოქალაქე, რომელმაც წაასწრო პირს დანაშაულის ჩადენაში;
ბ) დაზარალებული;
გ) პოლიციის უფროსი;
დ) ადვოკატი;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №51

ეჭვმიტანილის დაკავებისა და პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემთხვევაში ვინაა უფლებამოსილი დაკავებულს ჩაუტაროს პირადი ჩხრეკა:
ა) დაზარალებული;
ბ) ადვოკატი;
გ) ნებისმიერი რიგითი მოქალაქე;
დ) პოლიციის ოპერატიული მუშაკი;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №52

ეჭვმიტანილის დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში რა სახის პროცესუალური დოკუმენტი უნდა იქნეს შედგენილი:
ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი;
ბ) დაკითხვის ოქმი;
გ) ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი;
დ) ექსპერტიზის ოპერატიული მუშაკი;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №53

მომხდარი დანაშაულის შესახებ მოქალაქისაგან ზეპირი ცნობის მიღების შემთხვევაში რა სახის პროცესუალური დოკუმენტი უნდა იქნეს შედგენილი და ვის მიერ:

ა) ოპერატიულმა მუშაკმა უნდა შეადგინოს განმცხადებლის დაკითხვის ოქმი;

ბ) კრიმინალური პოლიციის უფროსმა უნდა შეადგინოს ოქმი მოქალაქის გამოცხადების შესახებ;

გ) პოლიციის უფროსმა უნდა დაავალოს ოპერატიულ მუშაკს დაკითხოს და შეადგინოს განმცხადებლის დაკითხვის ოქმი;

დ) გამომძიებელმა უნდა შეადგინოს ოქმი დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი ცნობის მიღებაზე.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №54

დროის რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს პირი ეჭვმიტანილად და რამდენ ხანს:

ა) დაკავებისა და პოლიციის დაწესებულებაში მიყვანიდან 48 საათი;

ბ) ეჭვმიტანილის დაკავებიდან 24 საათი;

გ) ეჭვმიტანილის პოლიციის ან სხვა სამართალდამცავ დაწესებულებაში მიყვანიდან 40 საათი;

დ) ეჭვმიტანილის დაკავებიდან 12 საათი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №55

რა შეიძლება იყოს ეჭვმიტანილის დაკავების საფუძველი:

ა) მოქალაქის საეჭვო მოქმედება;

ბ) შემთხვევის ადგილზე მყოფი მოქალაქეებიდან ერთ-ერთი პირის სწრაფად წასვლა;

გ) პირისათვის დანაშაულის ჩადენაში წასწრება;

დ) პირის ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №56

საჭიროა თუ არა პირის ეჭვმიტანილად ცნობისათვის სპეციალური დადგენილების გამოტანა:

ა) საჭირო არაა, რადგან მის შესახებ დგება ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი;

ბ) არ არის საჭირო;

გ) საჭიროა, თუ პირი დაკავებული არ არის ეჭვმიტანილად;

დ) ყველა შემთხვევაში საჭიროა ეჭვმიტანილად დაკავებულის ან თავისუფლებაში მყოფი პირისათვის პროცესუალური სტატუსის მინიჭება სპეციალური დადგენილებით ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №57

ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ საჭიროა თუ არა ეცნობოს პროკურორს:

ა) ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ პროკურორს უნდა ეცნობოს დაკავებიდან 24 საათის შემდეგ;

ბ) ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ პროკურორს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ;

გ) ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ პროკურორს უნდა ეცნობოს დაკავებულის პირადი ჩხრეკის შემდეგ;

დ) ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ პროკურორს უნდა ეცნობოს მას შემდეგ, როცა მასზე, როგორც ეჭვმიტანილზე, შედგენილ იქნა დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკის ჩატარების ოქმი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №58

რა უფლება-მოვალეობა გააჩნია პროკურორს დაკავებული ეჭვმიტანილის მიმართ:

ა) პროკურორი უფლებამოსილია შეტყობინებისთანავე გაეცნოს დაკავებულის შესახებ არსებულ მასალებს და შეამოწმოს მისი დაკავების კანონიერება და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იგი;

ბ) პროკურორს უფლება აქვს გაათავისუფლოს დაკავებული ეჭვმიტანილი მხოლოდ 48 საათის გასვლის შემდეგ;

გ) პროკურორს უფლება არა აქვს გაათავისუფლოს ეჭვმიტანილი სასამართლოს ნებართვის გარეშე;

დ) პროკურორს უფლება აქვს გაათავისუფლოს დაკავებული ეჭვმიტანილი მხოლოდ გამომძიებლის შუამდგომლობითა და მასთან შეთანხმებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №59

დროის რა მონაკვეთში უნდა მოხდეს თავისუფლებაში მყოფი ეჭვმიტანილისადმი ბრალდების წარდგენა:

ა) თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ბრალდება უნდა წარედგინოს ეჭვმიტანილად ცნობიდან ათი დღის განმავლობაში;

ბ) თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს, დაკავებული ეჭვმიტანილის მსგავსად, ბრალდება უნდა წარედგინოს ეჭვმიტანილად ცნობიდან 48 საათში;

გ) თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ბრალდება უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 30 დღისა;

დ) თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ბრალდება უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 14 დღისა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №60

თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს, დაკავებული ეჭვმიტანილის მსგავსად, ბრალდების წაყენებამდე კანონით განსაზღვრული აქვს თუ არა უფლება პირისპირ შეხვდეს თავის დამცველს მარტო შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის მიუხედავად:

ა) არა, მას ასეთი უფლება კანონით არა აქვს განსაზღვრული;

ბ) მას უფლება აქვს დაკავებული ეჭვმიტანილის მსგავსად, ბრალდების წაყენებამდე თავის დამცველს პირისპირ შეხვდეს მხოლოდ ერთხელ ერთი საათით;

გ) მას უფლება აქვს შეხვდეს თავის დამცველს ბრალდების წარდგენამდე მხოლოდ ორჯერ;

დ) მას უფლება აქვს შეხვდეს თავის დამცველს ბრალდების წაყენებამდე მხოლოდ ორი საათით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №61

თუ პროკურორმა დაკავებული ეჭვმიტანილი გაათავისუფლა, მისი განმეორებით დაკავება იმავე ეჭვით შეიძლება თუ არა:

ა) შეიძლება მხოლოდ სხვა პროკურორის მიერ;

ბ) თუ დაკავებული ეჭვმიტანილი ერთხელ გათავისუფლებულ იქნა, იმავე ეჭვით ხელმეორედ მისი დაკავება საერთოდ აღარ შეიძლება;

გ) ერთხელ გათავისუფლებული დაკავებული ეჭვმიტანილი შეიძლება დაკავებულ იქნეს იმავე ეჭვით მისი გათავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ;

დ) დაკავებული ეჭვმიტანილი, თუ იგი ერთხელ უკვე იყო განთავისუფლებული, მისი განმეორებით დაკავება იმავე ეჭვით შეიძლება, თუ იგი დაკავებულ იქნა სხვა გამომძიებლის ან სხვა ოპერატიული სამსახურის მუშაკების მიერ.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №62

რა შემთხვევაში შეიძლება ეჭვმიტანილის დაკავება იყოს რთული, კომპლექსური სახის საგამოძიებო მოქმედება:

ა) ეჭვმიტანილის დაკავება ხდება ოპერატიული სამსახურის მუშაკების მიერ, ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საგამოძიებო მოქმედებად;

ბ) ეჭვმიტანილის დაკავება, როგორც წესი, ტარდება გამოძიების დაწყებამდე, ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საგამოძიებო მოქმედებად;

გ) ეჭვმიტანილის დაკავება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს რთული, კომპლექსური სახის საგამოძიებო მოქმედება;

დ) ეჭვმიტანილის დაკავება შეიძლება ჩაითვალოს რთული სახის კომპლექსურ საგამოძიებო მოქმედებად, თუ მოცემულ დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება დაწყებულია და იგი ტარდება გამომძიებლის მიერ შედგენილი საგამოძიებო გეგმის შესაბამისად;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №63

კრიმინალური პოლიციის მუშაკებმა ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ პირს, დაკავების ადგილზე ჩატარებული ჩხრეკით, შარვლის ჯიბიდან ამოუღეს ნარკოტიკული ნივთიერება ანაშა და ცეცხლსასროლი იარაღი, ამ ფაქტთან დაკავშირებით რა სახის პროცესუალური დოკუმენტი უნდა იქნეს შედგენილი:

ა) ასეთ შემთხვევაში შედგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი;

ბ) ასეთ დროს შედგენილ უნდა იქნეს დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკის ოქმი;

გ) ასეთ დროს შედგენილ უნდა იქნეს მხოლოდ მოცემული პირის პირადი ჩხრეკის ოქმი;

დ) ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან ეჭვმიტანილს დაკავების დროს ამოუღეს ნარკოტიკული ნივთიერება და ცეცხლსასროლი იარაღი, შედგენილ უნდა იქნეს ამოღების ოქმი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №64

როდის და დროის რა მონაკვეთით შეიძლება შეხვდეს ეჭვმიტანილი თავისი ინტერესების დამცველს პირისპირ:

ა) დაკავებულ ეჭვმიტანილს უფლება აქვს შეხვდეს თავის დამცველს ზედამხედველის თანდასწრებით დაკავების მომენტში ერთი საათით;

ბ) დაკავებულ ეჭვმიტანილს უფლება აქვს პირისპირ შეხვდეს თავის დამცველს დამსწრე პირის თანხლებით დაკითხვამდე ერთი საათით;

გ) დაკავებული ეჭვმიტანილი უფლებამოსილია დაკითხვამდე მარტო

პირისპირ შეხვდეს დამცველს, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად;

დ) დაკავებული ეჭვმიტანილი უფლებამოსილია დაკითხვამდე ორჯერ შეხვდეს თავის დამცველს ორ-ორი საათით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №65

კანონით შეიძლება თუ არა ეჭვმიტანილის დამცველთან შეხვედრის რაოდენობა და დროის ხანგრძლივობა შეიზღუდოს:

ა) არ შეიძლება;

ბ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს პირისპირ შეხვდეს და ესაუბროს თავის დამცველს იმდენჯერ და იმდენ ხანს, რამდენსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს;

გ) ეჭვმიტანილი უფლებამოსილია არ დაემორჩილოს გამომძიებლის ბრძანებას, შეწყვიტოს თავისი შეხვედრა დამცველთან;

დ) გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გამომძიებელი უფლებამოსილია შეზღუდოს მისი შეხვედრა დამცველთან გონივრული ვადით, მაგრამ მან ამის შესახებ უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №66

დაკავებულ ეჭვმიტანილს აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და ამის შესახებ მიიღოს წერილობითი დასკვნა:

ა) დაკავებულ ეჭვმიტანილს ამის უფლება არა აქვს;

ბ) დაკავებულ ეჭვმიტანილს უფლება აქვს მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება მხოლოდ დაკითხვის შემდეგ;

გ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება დამცველთან შეხვედრამდე;

დ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №67

უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა დაკავებული ეჭვმიტანილის მოთხოვნა თავისი ჯანმრთელობის შესამოწმებლად სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ:

ა) ასეთ მოთხოვნას დაკავებული ეჭვმიტანილები პრაქტიკულად საერთოდ არ აყენებენ;

ბ) ეჭვმიტანილის მიერ დაყენებული ასეთი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ იგი დაყენებულია მისი დაკითხვიდან ორი დღის შემდეგ;

გ) ეჭვმიტანილის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გამომძიებელი უფლებამოსილია უარი უთხრას;

დ) ეჭვმიტანილის ასეთი მოთხოვნა კანონიერია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, თუ იგი დაყენებულია ეჭვმიტანილად დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №68

რა სახის პროცესუალური დოკუმენტი უნდა იქნეს შედგენილი, როცა დაკავებული ეჭვმიტანილის კუთვნილი ავტომანქანის საბარგულიდან ამოღებულ იქნა მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი:

ა) ასეთ დროს შედგენილ უნდა იქნეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი;

ბ) ეჭვმიტანილის დაკავების ოქმი;

გ) ეჭვმიტანილის ავტომანქანის ჩხრეკის ოქმი;

დ) ეჭვმიტანილის ჩხრეკისა და ამოღების ოქმი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №69

რა არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის რთული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება;

ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ექსპერტიზისათვის მასალების მომზადების წყარო;

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელი რთული, გადაუდებელი, შეუცვლელი და განუმეორებელი საგამოძიებო მოქმედება;

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ჩვენების ადგილზე შემოწმების ნაირსახეობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №70

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნების მაგიერ, რატომ არ შეიძლება ვიხმაროთ დანაშაულის ადგილის დათვალიერება, როგორია მათი ურთიერშეფარდებითი მნიშვნელობა:

ა) დანაშაულის ჩადენის ადგილი, მთელ რიგ შემთხვევებში, თვითონაა საძიებო და დასადგენი, ამიტომ ენიჭება შემთხვევის ადგილების დათვალიერებას უპირატესობა;

ბ) დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერება შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომდევნო ეტაპია, ამიტომ მას უპირატესობა არ ენიჭება;

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება ყველა საგამოძიებო მოქმედებების ნიშნების მომცველია და ამიტომ ეწოდება მას კომპლექსური სახის საგამოძიებო მოქმედება;

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება შედარებით ფართო ცნებაა და იგი მოიცავს არა მარტო იმ ადგილს, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, არამედ იმ ადგილსაც, სადაც აღმოჩენილ იქნა დანაშაულის ნიშნები;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №71

ვინაა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მთავარი სუბიექტი:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების მთავარი სუბიექტია ოპერატიული მუშაკი;

ბ) მისი მთავარი სუბიექტია შსს პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსი;

გ) მისი ჩატარების მთავარი სუბიექტია სპეციალისტი და ექსპერტი;

დ) მისი ჩატარების ორგანიზატორი და მთავარი სუბიექტია გამომძიებელი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №72

შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად საჭიროა თუ არა მოსამართლის ბრძანება:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერება არ არის იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედება, ამიტომ მის ჩასატარებლად საჭირო არაა მოსამართლის ბრძანება;

ბ) მოსამართლის ბრძანება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ადამიანის დასახიჩრებული გვამი;

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერება გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც;

დ) მოსამართლის ბრძანების გარეშე საერთოდ არ შეიძლება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარება.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №73

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა თუ არა დამსწრე პირების მოწვევა:

ა) საჭირო არაა;

ბ) დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრე პირების მოწვევა დამოკიდებულია გამომძიებლის შეხედულებასა და განწყობაზე;

გ) დათვალიერების დაწყებამდე, თუ იგი ტარდება დაცულ ადგილმდებარეობაზე, დამსწრე პირების შერჩევისა და მოწვევის საკითხი უნდა გადაწყვიტოს ამ ადგილმდებარეობის მფლობელმა პირმა;

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში დამსწრე პირების მონაწილეობა ყოველთვის აუცილებელია;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №74

კანონით რა სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაშია დამსწრე პირების მონაწილეობა რეკომენდებული:

ა) მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის დროს;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს;

გ) ჩხრეკის, ამოღებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების დროს;

დ) შემოწმებისა და ამოცნობის ჩატარების დროს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №75

დათვალიერების რომელ სტადიაზე იჩენს თავს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკური ხერხების გამოყენება:

ა) იგი თავს იჩენს დამსწრე პირების მოწვევაში;

ბ) დათვალიერების ჩატარებაში სპეციალისტების მოწვევასა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების მომარჯვებაში;

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ და დინამიკურ სტადიაზე;

დ) შემთხვევის ადგილის დაცვის სტადიაზე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი №76

პირობითად რამდენ სტადიად შეიძლება დაიყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მთლიანი პროცესი:

ა) შემთხვევის ადგილის დაცვისა და დათვალიერების შედეგების ფიქსაციის სტადიად;

ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადებისა და უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების სტადიად;

გ) შემთხვევის ადგილზე გამომძიებლისა და დამსწრე პირების მისვლის მომენტებისაგან;

დ) შემთხვევის ადგილზე მოწვეული სპეციალისტების მისვლისა და გამომძიებლის მიერ დათვალიერების საზღვრების განსაზღვრისგან;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი №77

რას აკეთებს გამომძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ სტადიაზე:

ა) დათვალიერებაში დამსწრედ მოწვეულ პირებს განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობას;

ბ) დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ სპეციალისტებს აძლევს შესაბამის დავალებას;

გ) განსაზღვრავს დათვალიერების საზღვრებს;

დ) ახდენს შემთხვევის ადგილზე არსებული კვლების, საგნებისა და ობიექტების ასახვას პირვანდელ მდგომარეობაში;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №78

რა სახის ფოტოგადაღებები უნდა ჩატარდეს შემთხვევის ადგილმდებარეობის დათავლიერების დროს:

ა) საამოსაცნობო ფოტოგადაღება;

ბ) რეპროდუქციული ფოტოგადაღება;

გ) მიკროსკოპული ფოტოგადაღება;

დ) საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური სახის ფოტოგადაღება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №79

რა უნდა გააკეთოს გამომძიებელმა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკურ სტადიაზე:

ა) დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებს უნდა განუმარტოს მათი უფლება-მოვალეობები;

ბ) მოახდინოს შემთხვევის ადგილის ფოტოგადაღება კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით;

გ) მოახდინოს დათვალიერების სტატიკურ სტადიაზე აღმოჩენილი კვლებისა და საგნების დეტალური შესწავლა-დათვალიერება, მათი ამოღება და ფიქსაცია;

დ) მოახდინოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №80

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრე პირების შესარჩევად დროის რა მონაკვეთი უნდა მიეცეს დაინტერესებულ პირს:

ა) 20 წუთი;

ბ) ნახევარი საათი;

გ) 40 წუთი;

დ) არანაკლებ ერთი საათისა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №81

როგორია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის სტრუქტურა და რა უნდა დაერთოს მას:

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგება ხუთი ნაწილისა და დანართისაგან;

ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგება ოთხი ნაწილისაგან;

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შედგება შესავლის, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილისაგან და მას თან უნდა დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი სქემები და გეგმები;

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს არავითარი სქემები და გეგმები არ დაერთვის;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №82

რა შეიძლება იყოს ჩხრეკის ჩატარების საფუძველი:

ა) ჩხრეკის ჩატარების საფუძველი შეიძლება იყოს მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება;

ბ) ჩხრეკის ჩატარების საფუძველი შეიძლება იყოს ექსპერტის დასკვნა;

გ) ჩხრეკის ჩატარების საფუძველი შეიძლება იყოს იურიდიული ან ფაქტობრივი მონაცემები;

დ) ჩხრეკის საფუძველი შეიძლება იყოს ოპერატიული პოლიციის სამსახურის უფროსის მიერ გამოტანილი დადგენილება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №83

რა არის ჩხრეკა:

ა) ჩხრეკა არის რთული ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის მოქმედება;

ბ) ჩხრეკა არის რთული იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედება;

გ) ჩხრეკა არის ეჭვმიტანილის დაკითხვის თანმიმდევარი მოქმედება;

დ) ჩხრეკა არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №84

ჩხრეკა და ამოღება ერთი და იგივე მოქმედებაა თუ სხვადასხვა:

ა) ჩხრეკა და ამოღება ერთი და იგივე სახის საგამოძიებო მოქმედებაა;

ბ) ჩხრჩეკა და ამოღება სსსკ-ში ერთი მუხლითაა გათვალისწინებული, მაგრამ თავიანთი ჩატარების იურიდიული ბუნებით ისინი ერთიმეორისაგან განსხვავებული ორი სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაა;

გ) ჩხრეკა არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების თანმდევი იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედებაა;

დ) ჩხრეკა ამოღებისაგან განსხვავებით ნებაყოფლობითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №85

შეიძლება თუ არა ჩხრეკის ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე:

ა) არ შეიძლება;

ბ) გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება იგი ჩატარებულ იქნეს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით;

გ) გადაუდებელ შემთხვევაში იგი უნდა ჩატარდეს პოლიციის დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოტანილი დადგენილებით;

დ) ჩხრეკა გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს ყოველ-გვარი დადგენილების გამოტანის გარეშეც ოპერატიული მუშაკის მიერ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №86

გადაუდებელ შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის შესახებ უნდა ეცნობოს თუ არა მოსამართლეს:

ა) არ არის საჭირო;

ბ) ჩატარებული ჩხრეკის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ პროკურორს;

გ) ჩატარებული ჩხრეკის შესახებ და ამ გზით მოპოვებული მასალების შესახებ 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს მოსა-მართლეს;

დ) ჩატარებული ჩხრეკის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს მოსამართლეს პროკურორის მეშვეობით 48 საათის განმავლობაში;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №87

გადაუდებელ შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების გარეშე ვინ არის უფლებამოსილი თავისი შეხედულებისამებრ გამოიტანოს დადგენილება და ჩაატაროს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა:

ა) პოლიციის სამმართველოს უფროსი;

ბ) კრიმინალური პოლიციის ოპერატიული მუშაკი;

გ) საპატრულო პოლიციის უფროსი;

დ) გამომძიებელი და პროკურორი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №88

რა შეიძლება იყოს ჩხრეკის საგანი და ჩხრეკის ობიექტი და როგორია მათი ურთიერთშეფარდებითი მნიშვნელობა:

ა) ჩხრეკის საგანი და ჩხრეკის ობიექტი ტოლფარდოვანი მნიშვნელობისაა და ორივე მათგანი გამოძიებით უნდა დადგინდეს;

ბ) ჩხრეკის საგანი სხვაა, იგი განსხვავდება ჩხრეკის ობიექტისაგან;

გ) ჩხრეკის საგანი არის ის, რის აღმოსაჩენადაც ტარდება ჩხრეკა. ჩხრეკის ობიექტი კი არის ის, სადაც უნდა ვეძიოთ ჩხრეკის საგანი;

დ) ჩხრეკის საგნისა და ობიექტის დადგენის მიჩნევა სხვადასხვა იურიდიული მნიშვნელობის გარემოებად არასწორია, ორივე მათგანი ერთი და იგივე მნიშვნელობითაა გაგებული კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №89

საჭიროა თუ არა ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად დამსწრე პირების მოწვევა და ვინ უნდა მოახდინოს მათი მოწვევა:

ა) დამსწრის ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში გაუქმებულია, ამიტომ ჩხრეკის ჩატარებაში მათი მოწვევა რეკომენდებული არაა;

ბ) დამსწრე პირების მოწვევა იმ ბინის მეპატრონის პრეროგატი-

ვაა ვისთანაც ტარდება ჩხრეკა. ამიტომ მას ჩხრეკის დაწყებამდე უნდა მიეცეს წინადადება შეარჩიოს დამსწრე პირები და ამისათვის მას ეძლევა „გონივრული ვადა“;

გ) დამსწრე პირებს სპეციალისტებთან ერთად იწვევს გამომძიებელი და ასეთად არჩეს ისეთ პირებს, რომლებიც ნათესაურ კავშირში არ არიან ეჭვმიტანილთან ან ბრალდებულთან;

დ) დამსწრე პირების შერჩევა უნდა მოხდეს სპეციალისტების მიერ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №90

რა არის ამოღება და რით განსხვავდება იგი ჩხრეკისაგან:

ა) ამოღება და ჩხრეკა ორივე იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედებაა;

ბ) ამოღება ყოველთვის წინ უსწრებს ჩხრეკისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას;

გ) ამოღება, ჩხრეკისაგან განსხვავებით, მდგომარეობს მოთხოვნილი საძიებო საგნის ნებაყოფლობით გადაცემაში;

დ) ამოღება ზოგჯერ შეიძლება ჩხრეკაში გადაიზარდოს, ამიტომ ორივე მათგანი თავიანთი ჩატარების იურიდიული ბუნებით ერთნაირია;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №91

ეჭვმიტანილის დაკავების ადგილზე მისი პირადი ჩხრეკისა და მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკის ჩასატარებლად აუცილებელია თუ არა მოსამართლის ბრძანების ან გამომძიებლის მიერ გამოტანილი დასაბუთებული დადგენილების არსებობა:

ა) ჩხრეკა დამოუკიდებელი იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედებაა, ამიტომ მის ჩასატარებლად აუცილებელია მოსამართლის ბრძანების არსებობა;

ბ) ასეთ შემთხვევაში ეჭვმიტანილის პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად საკმარისია გვქონდეს გამომძიებლის მიერ გამოტანილი მოტივირებული დადგენილება;

გ) ეჭვმიტანილის დაკავების ადგილზე მისი პირადი ჩხრეკის ჩატარება გამოწვეულია იმით, რომ მან თავიდან არ მოიცილოს საძიებო საგანი: ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერება და სხვ.;

დ) ეჭვმიტანილის დაკავების დროს მისი პირადი ჩხრეკისა და მასთან არსებული სხვა ობიექტების ჩხრეკა დაკავების თანმდევ მოქმედებადაა მიჩნეული და ამიტომ მისი ჩხრეკის ჩასატარებლად არც მოსამართლის ბრძანებაა საჭირო და არც გამომძიებლის დადგენილება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №92

საჭიროა თუ არა პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანება ან სასამართლოს განჩინება, ან გამომძიებლის მიერ გამოტანილი მოტივირებული დადგენილება:

ა) პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად, თუ იგი ტარდება გამოსაძიებელ საქმეზე გამომძიებლის მიერ, აუცილებელია მოსამართლის ნებართვა (ბრძანება) ან სასამართლოს განჩინება, გადაუდებელ შემთხვევაში კი გამომძიებლის მიერ გამოტანილი დასაბუთებული დადგენილება;

ბ) პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად არც ერთია საჭირო და არც მეორე;

გ) პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად საჭიროა ერთდროულად იყოს როგორც გამომძიებლის დადგენილება, ისე სასამართლოს ბრძანება ან განჩინება;

დ) თუ პირადი ჩხრეკის ჩატარებას ესწრება არა უმეტეს ორი დამსწრისა, ასეთ დროს საერთოდ აღარაა საჭირო არც სასამართლოს ნებართვა და არც გამომძიებლის დადგენილება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №93

პროცესუალური მდგომარეობის გათვალისწინებით ვინ არ შეიძლება დაიკითხოს წინასწარი გამოძიების პროცესში:

ა) მოწმე;

ბ) დაზარალებული;

გ) ეჭვმიტანილი;
დ) ბრალდებული;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №94

წარმოების პროცესის თანმიმდევრობის მიხედვით როგორი არ შეიძლება იყოს დაკითხვა:

ა) დაკითხვა არ შეიძლება იყოს პირველადი;
ბ) განმეორებითი;
გ) დამატებითი;
დ) მრავალჯერადი განმეორებითი;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №95

წინასწარი გამოძიების პროცესში ვინ არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ:

ა) არასრულწლოვანი;
ბ) მცირეწლოვანი;
გ) 80 წელს გადაცილებული მოხუცებული;
დ) ფსიქიურად დაავადებული;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №96

რა განაპირობებს ჩვენების ფორმირების პროცესს:

ა) მხედველობა;
ბ) სმენადობა;
გ) განათება;
დ) აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა;
ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №97

რა უნდა გაკეთდეს სწორი ჩვენების მისაცემად დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური განწყობისათვის:

ა) ამისათვის საჭიროა თანმიმდევრულად ვამხილოთ მიცემული ჩვენების სიცრუეში საქმეზე შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენით და დავარწმუნოთ, რომ უაზროა სწორი ჩვენების მიცემისაგან თავის არიდება;

ბ) შევახსენოთ, რომ ცრუ ჩვენების მიცემისათვის მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოყენებულ იქნება უმკაცრესი ზომები;

გ) დაკითხვამდე რამდენიმე წუთით შევიყვანოთ და მოვათავსოთ ცივ საკანში, რომელსაც მავთულის ბადე ყოფს წყლის აუზისაგან, რომელშიც მოთავსებულია მძვინვარე ნიანგი;

დ) შევპირდეთ, რომ გულწრფელად აღიარების შემთხვევაში სასამართლოში დავეხმარებით და სასამართლო მინიმალურ სასჯელს შეუფარდებს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №98

რა არის დაკითხვის მიზანი:

ა) დაკითხვის მიზანია დასაკითხი პირისაგან გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ სწორი, ობიექტური ჩვენების მიღება;

ბ) დაკითხვის მიზანია დასაკითხი პირისაგან სხვა პირის მამხილებელი მონაცემების მიღება;

გ) დაკითხვის მიზანია დასაკითხმა პირმა გარკვეული შიში და პასუხისმგებლობა შეიგრძნოს;

დ) დაკითხვის მიზანია ზოგადი პრევენციის განხორციელება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №99

გამოძიების რომელ ეტაპზე შეიძლება მოწმის დაკითხვაში მონაწილეობა მიიღოს მისმა დამცველმა:

ა) დამცველმა მონაწილეობა უნდა მიიღოს გამოძიების პირველსავე ეტაპზე გამოძახებული მოწმის დაკითხვაში;

ბ) დამცველი მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ უნდა იქნეს მოწმის დამატებითი დაკითხვის დროს;

გ) დამცველმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მოწმის დაკითხვაში, მხოლოდ მაშინ, როცა იგი ტარდება განმეორებით;

დ) დამცველის მონაწილეობა მოწმის დაკითხვაში აუცილებელი არაა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №100

დაკავებულ ეჭვმიტანილს აქვს თუ არა უფლება დაკითხვამდე შეხვდეს თავის დამცველს:

ა) არა, დაკითხვამდე საერთოდ არ უნდა შეხვდეს ეჭვმიტანილი თავის დამცველს;

ბ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს თავის დამცველს შეხვდეს დაკითხვამდე დროის შეუზღუდავად;

გ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს თავის დამცველს შეხვდეს დაკითხვამდე მხოლოდ 20 წუთით;

დ) ეჭვმიტანილს უფლება აქვს შეხვდეს თავის დამცველს, მაგრამ ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს დაესწროს მის დაკითხვას;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №101

როგორ უნდა მოხდეს მოწმის დაკითხვის დაწყება:

ა) მოწმის დაკითხვა მიზანშეწონილია დაწყებულ იქნეს მისთვის წინასწარ მომზადებული შეკითხვებით;

ბ) მოწმის დაკითხვა ტაქტიკურად გამართლებულია დაწყებულ იქნეს მისთვის საქმეში არსებული მონაცემების გაცნობით;

გ) მოწმის დაკითხვა, როცა წინასწარი მონაცემებით ცნობილია, რომ იგი არასწორ ჩვენებას მოგვცემს, მიზანშეწონილია დაკითხვამდე წარედგინოს საქმეში არსებული მტკიცებულებები;

დ) მოწმის დაკითხვა გამართლებულია დაწყებულ იქნეს თავისუ-

ფალი თხრობით იმის შესახებ, თუ რა იცის მოცემულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №102

რამდენად სწორია ბრალდებულის დაკითხვის დაწყება იმის გარკვევით „ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“:

ა) ბრალდებულის დაკითხვის ასეთად დაწყება გამართლებულია მაშინ, როცა იგი აღიარებით ჩვენებას იძლევა;

ბ) სწორია, რადგან დაკითხვის დაწყებამდე უნდა გაირკვეს მისი პოზიცია წაყენებული ბრალდების მიმართებაში;

გ) ბრალდებულის დაკითხვის ასეთი დაწყება გამართლებულია მაშინ, როცა იგი საერთოდ უარყოფს წარდგენილ ბრალდებას;

დ) არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ბრალდებულის დაკითხვის დაწყება იმის გარკვევით „ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №103

შეიძლება და მიზანშეწონილია თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება დაკითხვის პროცესში:

ა) არ შეიძლება, თუ დასაკითხი პირი წინააღმდეგია მის გამოყენებაზე;

ბ) შეიძლება დასაკითხი პირის თანხმობის გარეშეც მოხდეს მისი გამოყენება;

გ) შეიძლება მისგან შეუმჩნევლად, ფარულად;

დ) შეიძლება, თუ დასაკითხი პირი თანახმაა მისი ჩვენების ჩაწერა მოხდეს აუდიო-, ვიდეო-, ან სხვა სახის ხმის ჩამწერი აპარატურით, მაგრამ მის პარალელურად წერილობით შედგენილ უნდა იქნეს დაკითხვის ოქმიც შემოკლებული სახით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №104

საჭიროა თუ არა სპეციალური ცოდნის გამოყენება გამოძიების პროცესში და რა სახით:

ა) გამოძიების პროცესში ყოველგვარი სახის მეცნიერული ცოდნის გამოყენება მიზანშეუწონელია;

ბ) სპეციალური ცოდნა გამოძიების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მარტივი საკითხების გადასაწყვეტად;

გ) სპეციალური ცოდნის გამოყენება გამოძიების პროცესში აუცილებელია და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალისტისაგან სათანადო კონსულტაციებითა და ექსპერტიზის დანიშვნით;

დ) სპეციალური ცოდნის გამოყენება გამოძიების პროცესში დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა გამომძიებელს არ ჰყოფნის სათანადო ცოდნა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №105

რომელი მიეკუთვნება კრიმინალისტიკური სახის ექსპერტიზას:

ა) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა;

ბ) ფსიქიატრიული ექსპერტიზა;

გ) ავტოტექნიკური ექსპერტიზა;

დ) ცეცხლსასროლი იარაღების ექსპერტიზა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №106

სპეციალისტის მოწვევა და ექსპერტიზის დანიშვნა საჭიროა თუ არა მაშინ, როცა ცოდნის ამ მიმართებით თვითონ გამომძიებელს აქვს შესაბამისი სპეციალური ცოდნა და გამოცდილება:

ა) არა, ასეთ დროს გამომძიებელი უფლებამოსილია არ მოიწვიოს არც სპეციალისტი და არც ექსპერტიზა დანიშნოს;

ბ) სპეციალისტი უნდა მოიწვიოს მხოლოდ მაშინ, როცა შემთხვევის ადგილის დათვალიერება საჭიროებს ცოდნას მრავალდარგოვანი სპეციალობით;

გ) ასევე ექსპერტიზა უნდა დანიშნოს მხოლოდ მაშინ, როცა ცოდნის ამ სპეციალობით გამომძიებელს არა აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება;

დ) სპეციალისტი მოწვეულ უნდა იქნეს და ექსპერტიზა დაინიშნოს მაშინაც, როცა თვითონ გამომძიებელია ამ დარგის უმაღლესი კლასის სპეციალისტი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №107

ექსპერტს აქვს თუ არა უფლება დაესწროს დაკითხვას და დასაკითხ პირს მისცეს შეკითხვები:

ა) ექსპერტს აქვს უფლება დაესწროს დაკითხვას და მისცეს შეკითხვები დასაკითხ პირს;

ბ) ექსპერტს უფლება აქვს პროკურორის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით პირის დაკითხვას და დასაკითხ პირს მისცეს შეკითხვები;

გ) ექსპერტი დამოუკიდებლად აწარმოებს საექსპერტო კვლევას და მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

დ) წინასწარი გამოძიების პროცესში ჩარევის უფლება არავის არა აქვს და მათ შორის არც ექსპერტს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №108

ექსპერტს აქვს თუ არა უფლება გააფართოოს მის წინაშე .... დასმული საკითხების წრე:

ა) ექსპერტმა პასუხი უნდა გასცეს მხოლოდ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამოტანილ დადგენილებაში დასმულ საკითხებს;

ბ) ექსპერტს უფლება აქვს გააფართოო მის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხების წრე, თუ ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროა და მიეკუთვნება მოცემული ექსპერტიზის კვლევის საგანს;

გ) ექსპერტს უფლება აქვს მის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებს დაამატოს მხოლოდ ერთი საკითხი;

დ) ექსპერტი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №109

როგორი სახის პროცესუალური მოქმედებაა ექსპერტიზის დანიშვნა:

ა) ექსპერტიზის დანიშვნა არის საექსპერტო კვლევის პროცესი;

ბ) ექსპერტიზის დანიშვნა რთული საგამოძიებო მოქმედებაა;

გ) ექსპერტიზის დანიშვნა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან შერწყმული მოქმედებაა;

დ) ექსპერტიზის დანიშვნა არის საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №110

წარმოების პროცესის მიხედვით რამდენი და რა სახის ექსპერტიზა არსებობს:

ა) არსებობს მხოლოდ სამი სახის: პირველადი, დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა;

ბ) არსებობს ორი სახის: პირველადი და განმეორებითი სახის ექსპერტიზა;

გ) სულ არსებობს ოთხი სახის: პირველადი, ალტერნატიული, განმეორებითი და დამატებითი სახის ექსპერტიზა;

დ) სულ არსებობს მხოლოდ ხუთი სახის ექსპერტიზა: დამატებითი, განმეორებითი, საკომისიო, კომპლექსური და ალტერნატიული სახის ექსპერტიზა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №111

წინასწარი გამოძიების პროცესში ვინაა უფლებამოსილი დანიშნოს პირველადი და განმეორებითი სახის ექსპერტიზა:

ა) პოლიციის უფროსი;

ბ) მოსამართლე;

გ) გამომძიებელი და პროკურორი;

დ) კრიმინალური პოლიციის უფროსი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №112

ვინაა უფლებამოსილი დანიშნოს ალტერნატიული სახის ექსპერტიზა:

ა) გამომძიებელი;

ბ) პროკურორი;

გ) მოსამართლე;

დ) მხარე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №113

შეიძლება თუ არა ექსპერტიზის დანიშვნა საექსპერტო დაწესებულების გარეთ:

ა) არ შეიძლება;

ბ) ექსპერტის დასკვნა დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებაა და ამიტომ იგი არ შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს არასახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში;

გ) გამონაკლის შემთხვევაში, ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს არასაექსპერტო დაწესებულებაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა სასამართლოს ნებართვა;

დ) საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი უფლებამოსილია ექსპერტიზა დანიშნოს საექსპერტო დაწესებულების გარეთ — არასახელმწიფო-არასაექსპერტო დაწესებულებაში დამოუკიდებლად;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №114

რა სახის პროცესუალური დოკუმენტით უნდა მოხდეს ექსპერტიზის დანიშვნა:

ა) ექსპერტიზის დანიშვნა უნდა მოხდეს მოსამართლის ბრძანებით;

ბ) ექსპერტიზის დანიშვნა უნდა მოხდეს გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილებით;

გ) ექსპერტიზის დანიშვნა შეიძლება პროკურორის მიმართვით;

დ) ექსპერტიზის დანიშვნა შეიძლება მოხდეს შსს რაიონული პოლიციის ხელმძღვანელის მიმართვით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №115

რა სახის დადგენილება და ვის მიერ უნდა იქნეს გამოტანილი საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშების მისაღებად:

ა) საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშების მისაღებად გამოტანილ უნდა იქნეს პოლიციის უფროსის მიერ სპეციალური დადგენილება;

ბ) პროკურორთან შეთანხმებით უნდა მოხდეს გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანა საექსპერტო ნიმუშების მიღების შესახებ;

გ) გამომძიებელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად გამოიტანოს დადგენილება საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშების მიღების შესახებ;

დ) ნიმუშების აღებისათვის საერთოდ არაა საჭირო დადგენილების გამოტანა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №116

შეიძლება თუ არა მოწმის იძულებითი ექსპერტიზა:

ა) მოწმის იძულებითი ექსპერტიზა არ შეიძლება;

ბ) შეიძლება, თუ იგი არის 16 წელზე მეტი ასაკის;

გ) მოწმის იძულებითი ექსპერტიზა შეიძლება, როგორც გამონაკლისი, პროკურორთან შეთანხმებით გამოტანილი გამომძიებლის დადგენილებით;

დ) მოწმის იძულებითი ექსპერტიზა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №117

რა განსხვავებაა ექსპერტიზის დანიშვნასა და ექსპერტიზის ჩატარებას შორის:

ა) ექსპერტიზის დანიშვნა საგამოძიებო მოქმედებაა, ექსპერტიზის ჩატარება კი არა;

ბ) ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება ერთი რთული სახის საგამოძიებო მოქმედებაა;

გ) თვითონ ექსპერტიზის ჩატარება არის რთული საგამოძიებო მოქმედება;

დ) ექსპერტიზის დანიშვნა და ექსპერტიზის ჩატარება ორი თანმდევი სახის საგამოძიებო მოქმედებაა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №118

რა არის საგამოძიებო ექსპერიმენტი:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტი არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობა;

ბ) იგი არის ჩვენების ადგილზე შემოწმება;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტი არის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედება;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტი არის გამოსაძიებელი შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №119

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭიროა თუ არა იურიდიული ან ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამომძიებლის შეხედულებისამებრ ყოველგვარი იურიდიული და ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტის ან გარემოების დასადგენად;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭიროა იურიდიული ან ფაქტობრივი საფუძველის არსებობა;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად საკმარისია გვქონდეს პროკურორის თანხმობა;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭიროა გვქონდეს მხოლოდ დაზარალებულის თანხმობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №120

რაში მდგომარეობს საგამოძიებო ექსპერიმენტის არსი და მნიშვნელობა:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ტარდება გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტის ან გარემოების დასადგენად სპეციალური ცდების სახით;

ბ) მისი არსი მდგომარეობს დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის მონაწილეობით საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევაში;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტი არის ისეთი რთული სახის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება რამდენჯერმე დამსწრე პირების მონაწილეობით;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მის ჩატარებას ყოველთვის წინ უსწრებს გარემო-ვითარების აღდგენა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №121

რა შემთხვევაში არ შეიძლება ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერიმენტი:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტი არ შეიძლება ჩატარდეს თუ მისი ჩატარების წინააღმდეგია ეჭვმიტანილი;

ბ) ექსპერიმენტი არ შეიძლება ჩატარდეს თუ მისი ჩატარების წინააღმდეგია მოწმე ან დაზარალებული;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტი არ შეიძლება ჩატარდეს თუ იგი ამცირებს ექსპერიმენტში მონაწილე პირის ღირსებას;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტი არ შეიძლება ჩატარდეს პროკურორის მონაწილეობის გარეშე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №122

საჭიროა თუ არა ექსპერიმენტში მონაწილე პირების გაფრთხილება ექსპერიმენტით მიღებული შედეგების გახმაურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ:

ა) აუცილებელია ზოგიერთი სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის;

ბ) ექსპერიმენტი დემოკრატიული სახის საგამოძიებო მოქმედებაა და მასში მონაწილე პირების გაფრთხილება ექსპერიმენტით მიღებული შედეგების გახმაურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ საჭირო არაა;

გ) გამომძიებელმა ყველა შემთხვევაში უნდა გააფრთხილოს ექსპერიმენტში მონაწილე პირები ექსპერიმენტით მიღებული შედეგების გახმაურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) ექსპერიმენტში მონაწილე პირების გაფრთხილება აუცილებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ტარდება გარემო-ვითარების აღდგენით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №123

რა სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვისაა საჭირო იმავე დროის, ადგილისა და გარემო-პირობების შერჩევა რა დროსა და პირობებშიც მოხდა შესამოწმებელი ფაქტი:

ა) ხილვადობისა და სმენადობის დასადგენად ჩასატარებელი ექსპერიმენტისათვის საჭიროა დროისა და იმავე გარემო-პირობების შერჩევა;

ბ) გარემო-პირობების შერჩევა საჭიროა ამა თუ იმ დროის მონაკვეთში გარკვეული სიმძიმის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილების შესაძლებლობის დასადგენად;

გ) გარემო-პირობების შერჩევა აუცილებელია გაუპტიურების ჩადენის შესაძლებლობის დადგენის გასარკვევად ჩასატარებელ საგამოძიებო ექსპერიმენტისათვის;

დ) გარემო-პირობების შერჩევა აუცილებელია ამა თუ იმ სახის ხელყუმბარის აფეთქების შესაძლებლობის დასადგენად ექსპერიმენტის ჩატარების დროს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №124

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა თუ არა სპეციალისტის მოწვევა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად საერთოდ არაა საჭირო სპეციალისტისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პირობებისა და გარემოებების შესარჩევად საჭიროა სპეციალისტის მოწვევა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

გ) სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება და სპეციალისტის მოწვევა საჭიროა მხოლოდ ისეთი სახის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში, რომლის მიზანია დადგინდეს მოცემულ გარემო-ვითარებაში ეჭვმიტანილს შეეძლო თუ არა დაზარალებულის გაუპტიურება;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში სპეციალისტის მოწვევა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება საჭიროა მხ-

ოლოდ ქურდობის საქმეებზე ისეთი საკითხის დასადგენად, როგორიცაა ეჭვმიტანილს თავისი სპეციალური მოწყობილობით შეეძლო თუ არა დაზარალებულის ბინის რკინის კარების გახსნა.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №125

ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი საკითხის დასადგენად შეიძლება ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერიმენტი:

ა) მოწმე გაიგებდა თუ არა დაზარალებულის ყვირილს და მასში გაარჩევდა სიტყვებს: „გია, მე შენ ამას არ გაპატიებ“;

ბ) ეჭვმიტანილის წონისა და სიმაღლის დასადგენად;

გ) ადიდებულ (აბობოქრებულ) მდინარეში ეჭვმიტანილის გადახტომისა და იქიდან გამოსვლის შესაძლებლობის დასადგენად;

დ) ეჭვმიტანილს ნამდვილად შეეძლო თუ არა მითითებულ ხის ტოტზე დაზარალებულის გაუპატიურება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №126

რა როლსა და რა ფუნქციას ასრულებს გამომძიებელი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში:

ა) გამომძიებელი არის საგამოძიებო ექსპერიმენტის მოწყობისა და მისი ჩატარების მთავარი ორგანიზატორი;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში გამომძიებელი გვევლინება ერთ-ერთ რიგით მონაწილედ;

გ) გამომძიებლის როლი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში ამოიწურება მოწვეული პირებისათვის უფლება-მოვალეობების განმარტებით;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამომძიებელი ახდენს ექსპერიმენტში მონაწილე პირების დაკითხვას;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №127

საჭიროა თუ არა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნეს ოპერატიული ჯგუფი:

ა) ოპერატიული ჯგუფის შერჩევა და ექსპერიმენტის ჩატარებაში მათი მონაწილეობა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა მის ჩატარებაში მონაწილეობას ღებულობს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად ოპერატიული ჯგუფის მოწვევა საჭიროა მხოლოდ მკვლელობის საქმეებზე;

გ) ოპერატიული ჯგუფის მოწვევა და ექსპერიმენტის ჩატარებაში მათი მონაწილეობა აუცილებელია, თუ იგი ტარდება ტერორისტული აქტის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით;

დ) ოპერატიული ჯგუფის მონაწილეობის საკითხის გარკვევა დამოკიდებულია იმაზე, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი რა სახის კატეგორიის საქმეზე ტარდება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №128

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად გამომძიებლის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს თუ არა დაზარალებული და მისი ინტერესების დამცველი:

ა) გამომძიებელი უფლებამოსილი არაა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მოიწვიოს დაზარალებული, რადგან ამან მის ფიზიკურ მდგომარეობაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს;

ბ) გამომძიებელს აქვს უფლება მოიწვიოს დაზარალებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ქურდობის საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით;

გ) გამომძიებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებებით გამოსაძიებელი საქმის კონკრეტული გარემოების დასადგენად ჩასატარებელ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს დაზარალებული და მისი ინტერესების დამცველი;

დ) გამომძიებელი უფლებამოსილია საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს დაზარალებული და მისი დამცველი მხოლოდ პროკურორის თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №129

რა არის საგამოძიებო ექსპერიმენტი და რამდენჯერ შეიძლება შესამოწმებელი მოქმედების ჩატარება:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტი თავისი ბუნებით ნიშნავს საცდელი მოქმედების ჩატარებას ერთხელ;

ბ) ასეთი საცდელი მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტი, როგორც მტკიცებულებათა მიღების საშუალება, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ იმავე პირობებსა და გარემოებაში, რაშიც ჩადენილ იქნა ექსპერიმენტით შესამოწმებელი გარემოება ან ფაქტი;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტი იმავე შესამოწმებელ გარემოებაში შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე, უფრო სწორედ იმდენჯერ, რამდენჯერაც აუცილებელია მტკიცე, უტყუარი მტკიცებულების მისაღებად;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №130

რა სახის მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს გამომძიებელმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლამდე:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის მიიღოს მოსამართლის ბრძანება;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ყველა გარემოება შეუთანხმოს პროკურორს, როგორც გამოძიების პროცესუალურ ხელმძღვანელს;

გ) გამოიტანოს დადგენილება ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ და მისი ასლი გაუგზავნოს პროკურორსა და იმ რაიონის პოლიციის დაწესებულების უფროსს, სადაც მისი ჩატარებაა დაგეგმილი;

დ) ექსპერიმენტის ჩატარებისათვის შეარჩიოს და მოამზადოს გამოსაყენებელი საგანი და ობიექტი, საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და განსაზღვროს მასში მონაწილეობის მისაღებ პირთა წრე;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №131

რა სახის მოსამზადებელი ღონისძიებები უნდა აწარმოოს გამომძიებელმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლის შემდეგ:

ა) ექსპერიმენტში მონაწილე პირებს უნდა გააცნოს ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ გამოტანილი დადგენილება და მის ჩატარებაზე მოსამართლის ბრძანება;

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისულ პროკურორორს მოახსენოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მზადყოფნის შესახებ;

გ) მოახდინოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილმდებარეობის დათვალიერება და შეადგინოს დათვალიერების ოქმი;

დ) ექსპერიმენტში მონაწილე პირებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი, განსაზღვროს მათი ფუნქციები, მათი ურთიერთგანლაგება, კავშირის საშუალება, გააფრთხილოს არ გაახმაურონ ექსპერიმენტით მიღებული შედეგები და მისცეს სიგნალი საგამოძიებო ექსპერიმენტის დაწყების შესახებ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №132

რამდენ ჯგუფად შეიძლება დაიყოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ყველა ტაქტიკური ხერხი:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესში გამოსაყენებელი ყველა ტაქტიკური ხერხი რეკომენდებულია დაიყოს ოთხ ჯგუფად;

ბ) ყველა ეს ტაქტიკური ხერხი რეკომენდებულია დაიყოს სამ ჯგუფად;

გ) ამ მოქმედების ჩატაებისათვის გამოსაყენებელი ყველა ტაქტიკური ხერხი რეკომენდებულია დაიყოს ოთხ ჯგუფად;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით და მსჯელობა მისი ჩატარების ტაქტიკურ ხერხებზე არალოგიკურია;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №133

რა ძირითადი საშუალებით უნდა მოხდეს საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია:

ა) ფოტო და კინოგადაღებით;

ბ) სქემების, გეგმებისა და ნახაზების შედგენით;

გ) აუდიო და ვიდეოჩანაწერების გამოყენებით;

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შედგენით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №134

რაში გამოიხატება ჩვენების ადგილზე შემოწმების არსი და მნიშვნელობა:

ა) მისი არსი და დანიშნულება გამოიხატება დაკითხული პირის დამატებით დაკითხვაში;

ბ) მის ჩატარებას აქვს სხვა დასაკითხ პირთა მიმართ ზოგადი პრევენციული მნიშვნელობა;

გ) ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი არსითა და მნიშვნელობით შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტოლფარდოვანია;

დ) მისი არსი და მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დაკითხულ პირთა ჩვენებების შემოწმება შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში და ამით მივიღოთ ახალი მტკიცებულება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №135

ჩვენების ადგილზე შემოწმება დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებაა თუ სხვა სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ტაქტიკური ხერხია:

ა) ჩვენების ადგილზე შემოწმება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობაა;

ბ) იგი არის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური თავისებურება;

გ) იგი არის დაკითხვის თავისებური ტაქტიკური ხერხი;

დ) თავისი იურიდიული ბუნებითა და ჩატარების ტაქტიკური თავისებურებით არსებითად განსხვავდება ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედეისაგან და, ამდენად, იგი არის დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედება და არა სხვა საგამოძიებო მოქმედების ნაირსახეობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №136

რა აუცილებელი წინაპირობა უნდა იქნეს შესრულებული ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე:

ა) უპირველეს ყოვლისა, დათვალიერებულ და შემოწმებულ უნდა იქნეს ის ადგილი, სადაც შეიძლება საჭირო გახდეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის გაყვანა;

ბ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე პირი გაყვანილ უნდა იქნეს შემთხვევის ადგილზე;

გ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებას წინ უნდა უსწრებდეს მოცემული შესამოწმებელი პირის დეტალური დაკითხვა;

დ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე უნდა გაირკვეს დაკითხულ პირთა ჩვენებებს შორის არსებობს თუ არა წინააღმდეგობა.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №137

შეიძლება თუ არა ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დროს მოცემული პირის მიერ ახსნილ გარემოებებში გამომძიებლის მიერ რაიმე სახის კორექტივის შეტანა:

ა) შეიძლება, თუ მან გადაუხვია ადრე დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებას;

ბ) შეიძლება, თუ იგი ზუსტად ვერ ასახავს ადრე დაკითხვის დროს მიცემულ გარემოებებს;

გ) შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ ადრე მიცემული ჩვენება არ დასტურდება შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში;

დ) დაუშვებელია ჩვენების ადგიდზე შემოწმების ჩატარების დროს

მის მიერ ახსნილ გარემოებაში რაიმე კორექტივის შეტანა და მისთვის რაიმეს შთაგონება გამომძიებლის ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე რომელიმე პირის მიერ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №138

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე საჭიროა თუ არა შესამოწმებელი პირის მიერ მითითებული ადგილმდებარეობის წინასწარ შემოწმება:

ა) ჩვენების ადგილზე გაყვანამდე და უშუალოდ ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე გამომძიებლის მიერ შემოწმებულ უნდა იქნეს შესამოწმებელი პირის მიერ მითითებული ადგილმდებარეობა;

ბ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე შესამოწმებელი პირის მიერ მითითებული ადგილმდებარეობა წინასწარ შემოწმებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ტარდება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების შემოწმება შემთხვევის ადგილზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში;

გ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე შესამოწმებელი პირის მიერ მითითებული ადგილმდებარეობის წინასწარი შემოწმება არც ტაქტიკური და არც პროცესუალური თვალთახედვით არაა გამართლებული;

დ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე მითითებული ადგილმდებარეობის წინასწარი შემოწმება ყოველთვის სავალდებულოა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №139

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა თუ არა ოპერატიული ჯგუფის მონაწილეობა:

ა) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება აგებულია ნებაყოფლობით პრინციპზე და, ამდენად, მის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად ოპერატიული ჯგუფის მოწვევა საჭირო არაა;

ბ) ოპერატიული ჯგუფი შეიძლება მოწვეულ იქნეს მხოლოდ მა-

შინ, როცა იგი ტარდება გამომძიებლის უშუალო ხელმძღვანელობით;

გ) ოპერატიული ჯგუფი შეიძლება მოწვეულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა წარმოებს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ჩვენების ადგილზე შემოწმება;

დ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად ოპერატიული ჯგუფის მონაწილეობა არც ერთ შემთხვევაში არაა საჭირო;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №140

რა როლს ასრულებს გამომძიებელი ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში:

ა) გამომძიებელი არის ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მთავარი ორგანიზატორი;

ბ) გამომძიებელი ამ მოქმედების ჩატარებაში არ გამოირჩევა თავისი აქტიურობით;

გ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების პროცესში გამომძიებელი ასრულებს აქტიურ როლს და ახდენს შესამოწმებელი პირის დაკითხვას;

დ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში გამომძიებელი გვევლინება როგორც დამკვირვებელი, რომელიც შესამოწმებელ პირს უბრალოდ აძლევს წინადადებას უჩვენოს და თანმიმდევრულად აღწეროს ის ადგილი, სადაც მისი გადმოცემით, მოხდა გამოსაძიებელი შემთხვევა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №141

როგორ უნდა მოხდეს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარება, როცა ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოების შესახებ დაკითხულია ოთხი მოწმე და საჭიროა ყველა მათგანის ჩვენების შემოწმება:

ა) ოთხივე მოწმის ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს ერთდროულად მოწვეული პირების მონაწილეობით;

ბ) თითოეული მათგანის ჩვენების ადგილის შემოწმება უნდა მოხდეს ცალკ-ცალკე სხვადასხვა მოწვეული პირის მონაწილეობით;

გ) დროის ეკონომიურად გამოყენების მიზნით, ჯერ უნდა ჩატარდეს ერთდროულად ორი მოწმის ჩვენების ადგილზე შემოწმება, შემდეგ კი დარჩენილი ორი მოწმისა ერთსა და იმავე პირების მონაწილეობით;

დ) ოთხივე მოწმის ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე, ჩვენების ადგილის შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული ერთსა და იმავე პირების მონაწილეობით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №142

რა არის ამოსაცნობად წარდგენა და რა და რა სახის შეიძლება იყოს:

ა) ამოსაცნობად წარდგენა არის დამოუკიდებელი სახის ნებაყოფ-ლობითი საგამოძიებო მოქმედება, რომლის არსი მდგომარეობს ცოცხალი პირების, ადამიანის გვამის, საგნებისა და სხვა ობიექტების ამოცნობაში;

ბ) ამოსაცნობად წარდგენა არის იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედება;

გ) ხდება მხოლოდ ცოცხალი პირების ამოცნობა;

დ) ამოცნობის ობიექტი არ შეიძლება იყოს არც ადამიანის გვამი და არც დატაცებული ნივთები;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №143

რა ძირითადი ტაქტიკური სხვაობაა ცოცხალი ადამიანისა და ადამიანის გვამის ამოცნობის ჩატარებაში:

ა) ადამიანის ამოცნობასა და ადამიანის გვამის ამოცნობას ყოველთვის წინ უსწრებს ამომცნობ პირთა დაკითხვა;

ბ) გვამის ამოცნობის ჩატარებას ყოველთვის წინ უსწრებს მისი შესაბამისი ტუალეტის ჩატარება;

გ) ადამიანის ამოცნობა ხდება ორ მის მსგავს პირთა შორის წარდგენით, მათზე ფიზიკური დაკვირვებით, ზოგჯერ კი ვიდეოფირზე

ჩანაწერითაც. გვამის ამოსაცნობად წარდგენა კი ხდება მარტო სხვა გვამებისგან განცალკევებით;

დ) ადამიანის ამოცნობა შეიძლება მოხდეს განცალკევებულადაც, გვამისა კი საამოსაცნობო ფოტოსურათებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №144

რა ძირითადი ფაქტორები ახდენს ამოცნობის ხარისხზე გავლენას:

ა) ამოცნობის ხარისხზე გავლენას ახდენს დრო და ამინდი;

ბ) ამოცნობის ხარისხზე გარკვეულ გავლენას ახდენს ამომცნობი პირის ფსიქიკური მდგომარეობა;

გ) ამოცნობის ხარისხსა და მის უტყუარობაზე დიდ გავლენას ახდენს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები;

დ) ამოცნობის ხარისხზე გავლენას ახდენს მხოლოდ ამომცნობი პირის დამახასიათებელი ისეთი გარემოებები, როგორიცაა ახლომხედველობა და მისი ფსიქოლოგიური განწყობა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №145

რა ხერხებითა და საშუალებებით შეიძლება მოხდეს პიროვნების დადგენა:

ა) პიროვნების დადგენა შეიძლება მოხდეს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით;

ბ) ფარული კამერით გადაღებული ფოტოსურათებით;

გ) დაკითხვით;

დ) პიროვნებების დადგენა შეიძლება ამოცნობის ჩატარებით, საექსპერტო კვლევითა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №146

შეიძლება თუ არა პიროვნების ამოცნობა ჟესტიკულაციითა და სიარულის მანერით:

ა) არ შეიძლება, რადგან ერთი და იგივე ჟესტიკულაცია და

სიარულის მანერა შეიძლება ახასიათებდეს მრავალ პირთა ჯგუფს;

ბ) შეიძლება, თუ პირს არ გაუვლია სამხედრო სამსახური;

გ) შეიძლება, თუ პირმა ბავშვობაში გადაიტანა რაიმე სახის მძიმე ავადმყოფობა;

დ) ამ ნიშნების მიხედვით შეიძლება მოხდეს პიროვნების დადგენა, თუ ეს ნიშნები მისთვის განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით ხასიათდება;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №147

როგორ უნდა მოხდეს ამოსაცნობი პირის წარდგენა ამოსაცნობად:

ა) დაკითხვის შემდეგ პირს, რომელმაც განაცხადა, რომ შეუძლია ამოიცნოს მასზე თავდამსხმელი, წარედგინება ამოსაცნობი პირი;

ბ) ამოსაცნობი პირი ამომცნობს წარედგინება ერთ სხვა პირთან ერთად;

გ) ამომცნობს პირი უნდა წარედგინოს გამომძიებლის წინადადებით იმავე სქესისა და გარეგნობის მქონე არანაკლებ სამ პირს შორის;

დ) ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს ამოსაცნობად თავის მსგავს პირებთან ერთად, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ორზე ნაკლები;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №148

ვინ შეიძლება იყოს ამოცნობის სუბიექტი:

ა) ამოცნობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გამომძიებელი და მოწმე;

ბ) ამოცნობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ეჭვმიტანილი;

გ) წინასწარი გამოძიების პროცესში ამოცნობის სუბიექტი შეიძლება იყოს მსჯავრდებული;

დ) ამოცნობის სუბიექტი შეიძლება იყოს მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი და ბრალდებული;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №149

შესაძლებელია თუ არა მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით:

ა) ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დისტანციური გასაუბრება გარკვეულ პირებთან დამახასიათებელია ჟურნალისტური საქმიანობისათვის და არა გამოძიებისათვის;

ბ) დისტანციური დაკითხვის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბრალდებულის მიმართ;

გ) დისტანციური დაკითხვის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომძიებლის მიერ მხოლოდ ეჭვმიტანილის მიმართ;

დ) მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეიძლება მხარის შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით სხვა სასამართლოდან;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №150

საჭიროა თუ არა, რომ ამოცნობა ჩატარდეს იმავე პირობებში და ამოსაცნობი პირის ისეთივე ჩაცმულობით, როგორშიც მოხდა მისი ასახვა ამომცნობის მეხსიერებაში:

ა) არა, ამ პირობებისა და გარემოებების შერჩევა და დაცვა შეუძლებელია;

ბ) თუ შესაძლებელია ამოსაცნობი პირი ისეთივე ჩაცმულობითა და გარეგნობით უნდა წარედგინოს ამომცნობს, როგორითაც იგი აღიბეჭდა მის მეხსიერებაში და როგორც იგი აღწერდა თავის ჩვენებაში და მისი წარდგენა უნდა მოხდეს ანალოგიური ჩაცმულობისა და გარეგნობის მქონე პირთა შორის;

გ) ამ პირობების დაცვა საჭიროა მხოლოდ ნაწილობრივ;

დ) თუ ამომცნობი თანახმაა, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ამოსაცნობი პირის მიმართ მის მიერ აღწერილი ჩაცმულობის გარეშეც;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №151

შეიძლება თუ არა ამოცნობის ჩატარება ისე, რომ ამომცნობი პირი არ იყოს დაკითხული:

ა) არა, არ შეიძლება, დაკითხვა ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს ამოცნობას;

ბ) გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება;

გ) შეიძლება, მაგრამ იგი ამოცნობის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაიკითხოს იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით მოახდინა მან ამ პირთა შორის წარდგენილი პირის ამოცნობა;

დ) შეიძლება, როგორც გამონაკლისი გვამების ამოცნობის დროს;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №152

შეიძლება თუ არა ამოცნობის ჩატარება მაშინ, როცა დაკითხული პირი ვერ მიუთითებს ამოსაცნობი პირისათვის დამახასიათებელ კონკრეტული სახის სტატიკურ და დინამიკურ ნიშნებზე, მაგრამ ვარაუდობს, რომ იგი შეძლებს მის ამოცნობას:

ა) ასეთ დროს არ უნდა ჩატარდეს ამოცნობა;

ბ) ასეთ შემთხვევაში პირი დამატებით კიდევ უნდა დაიკითხოს ამოსაცნობი პირისათვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ მომაგონებელი და დამაზუსტებელი კითხვების დასმით და მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდეს საკითხის გადაწყვეტა;

გ) თუ პირი ასეთ მერყევ ჩვენებას იძლევა ამოსაცნობი პირის ამოცნობის შესაძლებლობის მიმართებაში, მაშინ სრული უაზრობაა ამოცნობის ჩატარება;

დ) ასეთ შემთხვევაშიც უნდა ჩატარდეს ამოცნობა, რადგან შესაძლოა ამოცნობის დროს მან თავის მეხსიერებაში აღიდგინოს და საკმაოდ თანმიმდევრულად აღწეროს და მიუთითოს მოცემული ამოსაცნობი პირებისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ ინდივიდუალურ ნიშნებზე, მაგრამ ამოცნობის ჩატარების შემდეგ იგი დამატებით უნდა დაიკითხოს ამოცნობილი პირის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №153

შეიძლება თუ არა ამოსაცნობ პირს გამომძიებელმა მიუთითოს ადგილზე, თუ სად უნდა გაჩერდეს იგი სხვა ამოსაცნობად წარსადგენ პირთა შორის:

ა) შეიძლება, თუ იგი ოთახში შემოყვანის შემდეგ დაბნეულია და ადგილს ვერ პოულობს;

ბ) არა, არ შეიძლება, მან თვითონ უნდა შეარჩიოს და გადაწყვიტოს თუ სად და ვის გვერდით გაჩერდეს ამოსაცნობად წარსადგენ პირთა შორის;

გ) ამოსაცნობი პირი შემოყვანილ უნდა იქნეს ამოცნობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ პირებთან და გამომძიებელმა უნდა გააცნოს ამოცნობაში მოწვეული პირები და შემდეგ შეურჩიოს ადგილი;

დ) ამოცნობის ჩატარებაში მოწვეული პირებიდან მას უნდა შესთავაზოს რომელიმე პირმა დადგეს მის გვერდით და იმანაც უნდა შეასრულოს მისი თხოვნა;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №154

რა შეიძლება იყოს შემოწმების ობიექტი:

ა) შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა საგანი;

ბ) შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ დაზარალებული, ეჭვმიტანილი და ბრალდებული;

გ) შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის გვარი;

დ) შემოწმების ობიექტი შეიძლება იყოს დატაცებული საგანი;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №155

დასაშვებია თუ არა მოწმისა და დაზარალებულის შემოწმება იძულების წესით:

ა) საქმეზე მოწმისა და დაზარალებულის შემოწმებას კანონი არ ითვალისწინებს და, ამდენად, მათი იძულების წესით შემოწმება არ შეიძლება;

ბ) იძულების წესით მოწმისა და დაზარალებულის შემოწმება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მოსამართლის ბრძანებით;

გ) იძულების წესით მოწმისა და დაზარალებულის შემოწმება, თუ ეს აუცილებელია, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული დადგენილებით;

დ) გამონაკლის შემთხვევაში შემოწმება იძულებითი წესით შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დაზარალებულის მიმართ, გამომძიებლის მიერ გამოტანილი მოტივირებული დადგენილებით;

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №156

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებით თანამდებობის პირის დანაშაულებრივი საქმიანობა არ დადგინდა, მაგრამ მოპოვებულ იქნა სხვა მისი მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია და იგი ოპერატიული სამსახურის მიერ გამოქვეყნდა პრესაში. შეაფასეთ კანონიერია თუ არა ოპერატიული სამსახურის მოქმედება:

ა) ოპერატიული სამსახურის მოქმედება კანონიერია, რადგან თანამდებობის პირის მიმართ ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ცნობები არ შეიძლება რეაგირების გარეშე დარჩეს.

ბ) უკანონოა, რადგან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ;

გ) კანონიერია, რადგან თანამდებობის პირის მიმართ ოპერატიუ-

ლი-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, მათ შორის მაკომპრომეტირებელი, დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს და იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სადაც ეს პირი მუშაობს.

დ) უკანონოა, რადგან პირის მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის მოპოვება საერთოდ დაუშვებელია.

ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი №157

რა ვადით შეიძლება მოხდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შენახვა, რომელიც შეეხება თანამდებობის პირის მაკომპრომეტირებელ ცნობებს და არა მის დანაშაულებრივ საქმიანობას:

ა) ასეთი ინფორმაცია შეიძლება შენახულ იქნეს 5 წლის განმავლობაში;

ბ) ასეთი ინფორმაცია უნდა განადგურდეს ერთი წლის შემდეგ;

გ) ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება შენახული იქნეს და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს;

დ) ასეთი ინფორმაცია ინახება საიდუმლო გრიფით უვადოდ;

ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ლიტერატურა

საერთო სასელმძღვანელო

საქართველოს კონსტიტუცია, 2006 წლის 25 ივნისის მდგომარეობით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2006 წლის ივნისის მდგომარეობით;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2006 წლის 25 ივნისის მდგომარეობით;

საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, 2006 წლის 25 ივნისის მდგომარეობით;

ძირითადი ლიტერატურა

შოთა ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა. თბ., 2001 წ.

შოთა ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა. ტომი II, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა. თბ., 2007 წ.

დამატებითი ლიტერატურა ცალკეული თავებისათვის

I თავი

ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 1969, გვ. 188-192.

Криминалистика. Учебник, 3-е изд. М., 2005, გვ. 395-402.

Криминалистика, Учебник для вузов, под ред. Р. С. Белкина, М., 2000, გვ. 451-471.

Криминалистика. Учебник, М., 2002, გვ. 353-360.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 464-482.

Баев О. Я. Криминалистическая тактика и уголовно-процессуальный закон, Воронеж, 1977.

Бахин В. П. Понятие, сущность и содержание криминалистической тактики, Симферополь, 1999.

Васильев А. Н. Следственная тактика, М., 1976.

Возгрин И. А. Общие положения криминалистической тактики. Л., 1988.

Коновалова В. Е. Теоретические проблемы следственной тактики. Автореферат док. дисс. Харьков, 1966;

Коммисаров В. Н. Научные, правовые и нравственные основы следственной тактики. Саратов, 1980.

Шепитько В. Ю. Теоретические проблемы систематизации тактических приемов в криминалистике. Харьков, 1995.

Криминалистическая тактика. Екатеринбург, 1998.

II თავი

Криминалистика. Учебник 3-е изд. М., 2005, გვ. 119-137.

Криминалистика. Учебник для вузов, под редак. Р. С. Белкина. М., 2000, гв. 472-481.

Криминалистика. учебник, М., 2002, გვ. 91-108.

შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი), თბ., 1995, გვ. 17-32.

Папиашвили Ш. Г. К вопросу о понятии следственной версии. В кн.: Проблемы прокурорско-следственной и судебно-экспертной практики. Тб., 1993, გვ. 80-94.

Ларин А. М. От следственной версии к истине. М., 1976.

Малахов В. Л. Логика построения следственных версий, М., 1996.

Реховский А. Ф. Теоретические основы учения о криминалистических версиях. Владивосток, 1996.

Цветков С. Н. Информационно-аналитическая работа, версии и планирование при расследовании деятельности преступных структур. М., 1994.

Александров Н. Н. Версия „Соц. законность", 1959, №10.

Арцишевский Г. В. Выдвижение и проверка следственных версий, М., 1988.

Овшинский С. С. Значение аналогии при построении версий „Вопросы криминалистики", М., 1964, № 2.

Старченко А. А. Гипотеза. Судебная версия. М., 1962;

Ян Пешак. Следственные версии. Пер. со словацкого, М., 1975.

III თავი

Криминалистика. Учебник 3-ое изд. М., 2005, გვ. 128-138.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, стр. 170-180.

Криминалистика. Учебник для вузов, под редакцией Р. С. Белкина, М., 2000, გვ. 475-481.

შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა (ლექციების კურსი), თბ., 1995, გვ. 6-17.

Васильев А. Н., Г. Н. Мудюгин, Н. А. Якубович, Планирование расследования преступлений, М., 1957.

Сергеев Л. А. Соя-Серко Л. Я., Якубович Н. А., Планирование расследования, М., 1975.

Криминалистика. Учебник, Баку, 2000, გვ. 362-372.

IV თავი

Криминалистика. Учебник. 3-ое изд., М., 2005, გვ. 60-77.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 56-85, 474-477.

Селиванов Н. А. Криминалистическая характеристика преступлении и следственные ситуации в методике расследования. „Соц. законность“, 1977, №2.

Ермолович В. Ф. Криминалистическая характеристика преступлений, Минск, 2001.

Образцов В. А., Танасевич В. Г. Понятие и криминалистическое значение следственной ситуации, „Сов. гос. и право“, 1979, №8.

V-VI თავი

დ. ლეკიაშვილი, საიდუმლო თანამშრომლის როლი და მნიშვნელობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში. „სამართალი“, 1999, №5.

Бедняков Н. Непроцессуальная информация и расследование преступлений. М., 1991.

Горянов К. К., Кваша Ю. Ф., Суриков К. В.,

Федеральный закон об оперативно-розысной деятельности, М., 1997.

Крылов И. Ф., Быстрикин А. Н. Розыск, дознание, следствие. Уголовное пособие, Л., 1984.

Чуфаровский В. В. Психология в оперативно-розыскной деятельности. Установление и развитие контактов с субъектами заинтересованности. М., 1996.

Корнеева Л.М., Виноградов С.В., Деревягин Ю.А. и др. Взаимодействия следователей с оперативными работниками органов внутренних дел, М., 1981;

Сидоров В.Е. Начальный этап расследования. Организация. Взаимодействия. Тактика. М., 1992;

Криминалистика. Учебник для вузов. Под ред. проф. Р. С. Белкина, М., 2000, 482-490.

Криминалистика. Учебник. Баку, 2000, გვ. 373-393.

VII თავი

Криминалистика. Учебник для вузов, под редак. проф. Р. С. Белкина, М., 2000, გვ. 665-668.

Курс криминалистики. т. 1, Санкт-Петербург, 2004, გვ. 507-522.

შ. ფიცხელაური, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005.

Хлютин Н. И. Задержание и его роль в расследровании преступлений. Свердловск, 1972.

Янушко В. Н. Основы тактики задержания подозреваемого. Минск, 1987.

Григорьев В. Н. Задержание подозреваемого. М., 1999.

VIII თავი

Криминалистика. Учеьник 3-ое изд. М., 2005, გვ. 429-452.

Криминалистика. Учебник под редак. Р. С. Белкина, М., 2000, გვ. 549-571.

შ. ფაფიაშვილი, თ. ინაიშვილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ბათუმი, 2002.

Криминалистика, Учебник, М., 2002, გვ. 388-410.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 523-542.

Баранов Н. Н. Осмотр места происшествия по делам о кражах из квартир, личных домов, дач. М., 1997;

თ. ინაიშვილი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ზოგიერთი აქტუალური საკითხი. „სამართალი", 1998, № 4.

Еникеева М. И., Черных Э. А., Психология осмотра места происшествия, М., 1994.

Коновалов С. Н. Полтавцева Л. Н. Осмотр места происшествий, связанных с применениями, совершенными с применением взрывчатых веществ и взрывных устройство. Учеб. пособие, Ростов-на-Дону, 1998.

Максутов Н. Х., Осмотр места происшествия, ЛГУ, 1965.

Максутов Н. Х. Судебный осмотр места происшествия и особенности его проведения. ЛГУ, 1972.

Турчин Д. А. Исследование места происшествия. Автореферат канд. дисс. Ленинград, 1968.

ვ. გაბედავა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების თავისებურებანი მკვლელობის საქმეებზე., საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1999.

ვ. გაბედავა. მუშაობა მიკროობიექტებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. „სამართალი", 1997, №7-8.

IX თავი

Криминалистика, учебник, 3-ое изд. М., 2005, გვ. 485-517.

Криминалистика. учебник для вузов. М., 2000, გვ. 598-625.

Криминалистика. Учебник, М., 2002, გვ. 446-471.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 600-620.

Бахин В., Когамов М., Карпов Н, Допрос на предварительном следствии. Алматы, 1999.

Питерцев С. К., Степанов А. А. Тактика допроса на предварительном следствии и в суде. СПБ, 2001.

Порубов М. И. Тактика допроса на предварительном следствии, 1998.

ბ. ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, თბ., 1977.

რ. ჭოლოშვილი, დაკითხვის ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., 1988.

Доспулов Г. Г. Психология допроса на предварительном следствии. М., 1976.

Дулов А. В. Судебная психология, М., 1970.

Имре Кертес. Тактика и психологические основы допроса. М., 1963.

Карнеева Л. М., Ордзинский С. С., Розенблит С. Я., Тактика допроса на предварительном следствии. М., 1998.

Соловьев А. Б. Допрос свидетеля и потерпевших. М., 1974.

შ. ფაფიაშვილი, მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის სასამართლოში დაკითხვა. „სამართალი", 2002, №4, გვ. 22-24.

ზ. ინწკირველი, ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1998.

X თავი

Криминалистика, учебник, 3-ое изд., М., 2005, გვ. 465-480.

Криминалистика, учебник для вузов, М., 2000, გვ. 572-597.

Криминалистика. Учебник, М., 2002, გვ., 431-445.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 560-584.

ა. ფალიაშვილი, ჩხრეკა და ამოღება. პროცესუალური წესი და ტაქტიკა. „სამართალი", 1991, N 1.

Башкирский А. И. Психология обыска: Лекция. Челябинск, 1999.

Долгинов С. Д. Использование обыска в раскрытии, расследовании и предотвращении преступлений, М., 1997.

Попов В. Н. Обыск и выемка, Алма-ата, 1957.

Ратинов А. Р. Судебная психология для следователей, М., 1967.

ვ. გაბედავა, ამოღება და ჩხრეკა. ზუგდიდი, 2001.

XI-XII თავები

Криминалистика. Учебник, 3-ое изд., М., 2005, გვ. 413-428.

Криминалистика, учебник для вузов, под редакц. Р. С. Белкина, М., 2000, გვ. 412-441.

Криминалистика, Учебник, М., 2002, გვ. 373-387.

სასამართლო ექსპერტიზა სამართალწარმოებაში, თბ., 1999.

შ. ფაფიაშვილი, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისა და რეგისტრაციის ზოგიერთი პრობლემა, „იურიდიული ჟურნალი", 1999, №2.

შ. ფაფიაშვილი, დანაშაულთა გახსნის პროცესში სპეციალური ცოდნის გამოყენების ტაქტიკის ზოგიერთი საკითხი. „სამართალი", 2001, №8.

ა. ფალიაშვილი. ექსპერტიზის ჩატარება გამოძიების პროცესში. თბ., 1973.

Криминалистическая экспертиза: возникновение, становление и тенденции развития, М., 1994.

Орлов М., Заключение эксперта и его оценка (по уголовным делам), М., 1995.

Россинская Е. Р. Судебная экспертиза в уголовном, гражданском и арбитражном процессе. М., 1996.

Криминалистика. Учебник для вузов, под редакц. проф. Р. С. Белкина, М., 2000, გვ. 669-674.

Курс криминалистики. Санкт-Петербург, 2004, გვ. 650-672.

XIII-XIV თავები

Криминалистика, учебник, 3-ое изд. გვ. 453-464; 531-540.

Криминалистика, учебник для вузов, М., 2000, გვ. 626-647.

Криминалистика, учебник, М., 2002, გვ. 411-430.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 543-559, 639-646.

შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა (ლექციების კურსი), თბ., 1995, გვ. 74-98.

შ. ფაფიაშვილი, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური და ტაქტიკური საკითხი. „საბჭოთა სამართალი", 1977, №1.

ა. ფალიაშვილი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი და ტაქტიკა. „სამართალი“, 1992, №8-9.

Жукова Н. И., Жуков А. Н. Производство следственного эксперимента, Саратов, 1989.

Белкин Р. С., Эксперимент в следственной, судебной и экспертной практике, М., 1964.

ლ. ლაღიძე. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ცნება, საფუძველი, მიზნები და ამოცანები, „სამართალი“, 1999, №4.

Быховский И. Е. Корниенко Н. А., Проверка показаний на месте, Л-д, 1987.

Розенталь М. Я. Проверка показаний на месте с использованием звуко- и видеозаписи. М., 1994.

Васильев А. М., Степичев С. С. Воспроизведение показаний на месте преступления, М., 1959.

Леви А. А., Пичкалева Г. И., Получение и проверка показаний следователем. М., 1987.

XV თავი

Криминалистика. Учебник, М., 2005, გვ. 518-530.

Криминалистика. Учебник для вузов, М., 2000, გვ. 648-664.

Криминалистика. Учебник, М., 2002, გვ. 472-483.

Курс криминалистики, т. I, Санкт-Петербург, 2004, გვ. 681-638.

Гинзбург Л. Я., Опознание в следственной, оперативно-розыскной и экспертной практике, М., 1996.

Ложкевич А. А., Снетков В. А., Шаршунский В. Л. Предъявление фонограмм для опознания личности. М., 1978.

Удалова А. Д. Тактико-психологические основы предъявления для опознания и достоверность его результатов. Киев, 1992.

Гапанович Н. Н. Опознание в судопроизводстве (процессуальные и психологические проблемы), Минск, 1975.

Комарков В. С. Психологические основы очной ставки. Харьков, 1976.

Самоушина З. Г. Вопросы теории и практики предъявления для опознания на предварительном следствии, МГУ, 1976.

XVI თავი

შ. ფაფიაშვილი. შემოწმების ჩატარება. „სამართალი“, 2002, №5-6, გვ. 53-55.

Курс криминалистики. Санкт-Петербург, 2004, გვ. 539-542.

*
* * *
*

P. S.

ა	ბ	გ	დ	ე	ა	ბ	გ	დ	ე	ა	ბ	გ	დ	ე	შენიშვნა
11	13	4	1	30	63	68	64	65	93	120	108	115	112	110	
12	16	8	2	43	92	76	69	66	94	123	109	118	113	-	
22	19	10	3	50	97	83	72	67	-	125	114	121	116	-	
-	23	14	5	51	98	84	73	70	-	126	119	122	129	-	
35	24	15	6	-	117	85	74	71	-	127	124	128	130	-	
36	25	17	7	-	-	89	75	77	-	142	138	132	131	-	
37	26	18	9	-	-	100	79	78	-	-	141	136	133	-	
42	29	28	20	-	-	107	81	80	-	-	150	-	134	-	
44	33	32	21	-	-		82	87	-	-	153	139	135	-	
49	40	34	27	-	-	-	86	91	-	-	154	143	137	-	
54	46	38	31	-	-	-	88	95	-	-	155	144	140	-	
58	57	39	45	-	-	-	90	96	-	-	-	147	145	-	
60	61	41	47	-	-	-	104	99	-	-	-	-	146	-	
-	-	52	48	-	-	-	111	101	-	-	-	-	148	-	
-	-	55	53	-	-	-	-	102	-	-	-	-	149	-	
-	-	59	56	-	-	-	-	103	-	-	-	-	151	-	
-	-	-	62	-	-	-	-	105					152		
-	-	-	-	-	-			106							

სარჩევი

რედაქტორისაგან 3

თავი I. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება, არსი და მნიშვნელობა 6

§1. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება და ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში 6

ა) კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება, მიზნები და ამოცანები 6

ბ) კრიმინალისტიკური ტაქტიკის ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში 10

გ) ტაქტიკური ხერხების ცნება 11

დ) საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკის არსი და მნიშვნელობა 12

ე) ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია 14

ვ) ტაქტიკური ხერხების ლოგიკური ბუნება და კრიმინალისტიკური ტაქტიკის კვლევის საგანი 15

§2. დანაშაულთა „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნება, მათი ურთიერთშეფარდებითი მნიშვნელობა 17

§3. საზოგადოებრიობის როლი და მონაწილეობის ფორმები დანაშაულთა გახსნის საქმეში 29

საკონტროლო კითხვები 41

თავი II. მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ 42

§1. კრიმინალისტიკური ვერსიების ცნება, მნიშვნელობა და მათი ლოგიკური ბუნება 42

ა) კრიმინალისტიკური ვერსიების როლი დანაშაულთა გახსნის საქმეში 42

ბ) კრიმინალისტიკური ვერსიების ლოგიკური ბუნება, მისი განსხვავება ჰიპოთეზისაგან 44

გ) კრიმინალისტიკური ვერსიების ცნება, არსი და მნიშვნელობა 45

§2. **კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია, მათი აგებისაა და შემოწმების ტაქტიკა** 49
ა) კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია 49
ბ) საგამოძიებო ვერსიების კლასიფიკაცია 50
გ) საგამოძიებო ვერსიების აგებისა და შემოწმების ტაქტიკა .. 52
საკონტროლო კითხვები 54

თავი III. გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტაქტიკა 56

§1. **დანაშაულთა გამოძიების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ცნება, არსი და მნიშვნელობა** 56
ა) გამოძიების დაგეგმვის ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში 56
ბ) გამოძიების დაგეგმვისა და ორგანიზაციის ცნება, არსი და მნიშვნელობა 57
გ) გამოძიების გეგმის შედგენის ორგანიზაცია 59
დ) გამოძიების გეგმა როგორც გამოძიების უწყვეტი პროცესის ამსახველი 60
ე) გამოძიების დაგეგმვის პრინციპები 60

§2. **გამოძიების დაგეგმვის ტაქტიკისა და ტექნიკის ზოგიერთი თავისებურება** 62
ა) გამოძიების დაგეგმვის სახეები და ელემენტები 62
ბ) რთული და მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოძიების დაგეგმვა 63
გ) საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის არსი და თავისებურება 64
დ) საგამოძიებო მოქმედებათა დაგეგმვის ტექნიკა 65
საკონტროლო კითხვები 67

თავი IV. დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნება და მნიშვნელობა 68

§1. **დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება** 68
ა) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების არსი და მნიშვნელობა 68

ბ) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ელემენტები *69*
გ) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ცნება *73*
§2. საგამოძიებო სიტუაციის ცნება, არსი და მნიშვნელობა **76**
ა) დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ურთიერთკავშირი და განსხვავება *76*
ბ) საგამოძიებო სიტუაციის კლასიფიკაცია *77*
გ) საგამოძიებო სიტუაციის ცნება *80*
საკონტროლო კითხვები **82**
თავი V. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა კრიმინალისტიკური ტაქტიკის სისტემაში **83**
§1. ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებისა და მათი საქმიანობის ზოგადი დახასიათება **83**
ა) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოების საფუძველი და ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში *83*
ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნება, ამოცანები და მისი განმახორციელებელი ორგანოები *86*
§2. გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი დანაშაულთა გამოძიების პროცესში **88**
ა) გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ცნება და მნიშვნელობა *88*
ბ) გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირის ძირითადი ტაქტიკური ხერხები და მეთოდები *89*
§3. ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების უფლება-მოვალეობები და მათი საქმიანობის განხორციელების ხერხები და მეთოდები **95**
ა) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების გეგმები და მეთოდები *95*
ბ) ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების უფლება-მოვალეობები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოების ვადები ... *98*
გ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში სხვა გარეშე პირთა ჩაბმის ფორმები და საშუალებები *100*

საკონტროლო კითხვები 102

თავი VI. ძებნის წარმოების ტაქტიკა 104

§1. ძებნის ცნება და სახეები, მისი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა 104

ა) ძებნის ცნება, საფუძველი და ობიექტები 104

ბ) ძებნის გამოცხადების ორგანიზაცია და ძებნის წარმოების პრინციპები 110

გ) ძებნის გამოცხადების ტაქტიკა 112

§2. გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და ობიექტების ძებნის ტაქტიკა 114

ა) დადგენილების გამოტანა საქმის წარმოებით შეჩერებისა და ძებნის გამოცხადების შესახებ 114

ბ) მიმალვაში მყოფი პირების ძებნის წარმოების ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება 117

გ) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნის გამოცხადების ტაქტიკა 118

დ) დაკარგული საგნებისა და ობიექტების ძებნის წარმოების ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება 119

საკონტროლო კითხვები 122

თავი VII. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების ტაქტიკა 123

§1. დაკავების ცნება, მიზნები და საპროცესო-სამართლებრივი რეგლამენტაცია 123

ა) დაკავების ცნება, მიზნები და ამოცანები 123

ბ) დაკავების სისხლის სამართლის საპროცესო რეგლამენტაცია 125

§2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაკავების ჩატარების ტაქტიკა 131

ა) ეჭვმიტანილის დაკავების ტაქტიკა 131

ბ) ბრალდებულისა და განსასჯელის დაკავების ტაქტიკა 137

საკონტროლო კითხვები 139

თავი VIII. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა 141

§1. დათვალიერების სახეები 141

§2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება, მიზნები და ამოცანები 144

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების არსი და მნიშვნელობა *144*

ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნები და ამოცანები *148*

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების სუბიექტები *150*

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ზოგადი წესი *151*

ე) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება *155*

§3. შემთხვევის ადგილის დათვალიერების განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან 157

§4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა 160

ა) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკის ცნება, არსი, მნიშვნელობა და კლასიფიკაცია *160*

ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების მომზადება ადგილზე მისვლამდე *161*

გ) შემთხვევის ადგილის დაცვა *163*

დ) შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევი პირების შერჩევა *164*

ე) დათვალიერების ჩატარების მომზადება ადგილზე მისვლის შემდეგ *166*

§5. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ტაქტიკა ცალკეული ეტაპების მიხედვით 168

ა) დათვალიერების მიმოხილვითი სტადია *168*

ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკური სტადია *173*

გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დინამიკური სტადია *177*

დ) შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ახსნაში *179*

ე) სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენწება შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა გამოვლინება-დამაგრებისათვის *183*
ვ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების დასკვნითი ეტაპი *185*
§6. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაციის ხერხები და საშუალებები **185**
ა) დათვალიერების შედეგების ფიქსაციის ხერხებისა და საშუალებების კლასიფიკაცია *185*
ბ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი *189*
გ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის სტრუქტურა *193*
საკონტროლო კითხვები **199**

თავი IX. დაკითხვის ტაქტიკა **201**
§1. დაკითხვის ტაქტიკის ცნება და სახეები **201**
ა) დაკითხვის ტაქტიკის ზოგადი წანამძღვრები *201*
ბ) დაკითხვის სახეები და მიზანი *203*
§2. დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები **211**
ა) ჩვენების ფორმირების პროცესი *211*
ბ) დაკითხვის პროცესუალური და ზოგადი ტაქტიკური რეკომენდაციები *215*
§3. დაკითხვის მომზადება, როგორც დაკითხვის ტაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი **219**
§4. მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკა **226**
ა) მოწმის დაკითხვის ტაქტიკა *227*
ბ) დაზარალებულის დაკითხვის ტაქტიკა *237*
§5. ეჭვმიტანილის დაკითხვის ტაქტიკა **241**
ა) ეჭვმიტანილის ცნება, მისი დაკავების საფუძველი და უფლებამოვალეობა *241*
ბ) ეჭვმიტანილის დაკითხვის ტაქტიკა *242*
§6. ბრალდების წაყენებისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკა **249**
ა) პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების ტაქტიკა *249*

ბ) ბრალდებულის დაკითხვის ზოგადი პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები *255*
გ) კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფი ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკის ზოგიერთი თავისებურება *257*
დ) დაკითხვის ფიქსაცია *265*
§7. არასრულწლოვანისა და ექსპერტის დაკითხვის ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება **268**
ა) არასრულწლოვანის დაკითხვის ტაქტიკის ზოგიერთი თავისებურება *268*
ბ) ექსპერტის დაკითხვის ტაქტიკა *272*

§8. მოწმის, დაზარალებულისა და განსასჯელის სასამართლოში დაკითხვის ზოგიერთი თავისებურება. **274**

საკონტროლო კითხვები **278**

თავი X. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა **282**

§1. ჩხრეკისა და ამოღების ცნება, სახეები და მათი ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი **282**
ა) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების არსი და მნიშვნელობა *282*
ბ) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი *283*
გ) მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემა *287*
დ) ჩხრეკისა და ამოღების ცნება, მისი ობიექტი და საგანი *290*
§2. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების მომზადება **292**
ა) შუამდგომლობა ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შესახებ მოსამართლისაგან ნებართვის მისაღებად *293*
ბ) ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების მომზადება ჩხრეკისა და ამოღების ობიექტთან მისვლამდე და მისვლის შემდეგ *295*
გ) ჩხრეკისა და ამოღების ზოგადი წესი *299*
§3. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა **301**

ა) ჩხრეკის ჩატარების ტაქტიკა *301*
ბ) ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკური ხერხები . *302*
გ) ფსიქოლოგიური მონაცემების გამოყენება ჩხრეკის პროცესში *304*
დ) საცხოვრებელი ბინისა და ადგილმდებარეობის ჩხრეკის ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება *305*
ე) ამოღება *313*
ვ) ჯგუფური ჩხრეკა *316*
§4. პირადი ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების ტაქტიკა 317
§5. ჩხრეკისა და ამოღების ფიქსაციის ხერხები და საშუალებები 323

საკონტროლო კითხვები 327

თავი XI. ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა 329

§1. დანაშაულთა გახსნის საქმეში სპეციალური ცოდნის გამოყენების არსი, მნიშვნელობა და ფორმები 329
ა)დანაშაულის გამოძიების პროცესში სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმები *329*
ბ) ექსპერტისა და სპეციალისტის უფლება-მოვალეობები *332*
§2. ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა 337
ა) ექსპერტიზის ცნება და სახეები *337*
ბ) ექსპერტიზის სახეები წარმოების პროცესის მიხედვით *338*
გ) კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სახეები *341*
§3. ცალკეული სახის ექსპერტიზის დანიშვნისათვის მასალების მომზადების ტაქტიკა 342
§4. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანის ტაქტიკა 347
ა) ექსპერტიზის დანიშვნის ცნება და მისი განსხვავება ექსპერტიზის ჩატარებისაგან *347*
ბ) დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ *351*
გ) ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხების ფორმულირება *354*

 თავი XII. საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღების ტაქტიკა 365

§1. ექსპერტიზისათვის ნიმუშების აღების საკანონმდებლო რეგლამენტაცია. 365

§2. ნიმუშების აღების ტაქტიკური თავისებურება ზოგიერთი სახის ექსპერტიზისათვის. 370

საკონტროლო კითხვები 378

თავი XIII. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა 380

§1. საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება, არსი, მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები 380

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის არსი და მნიშვნელობა 380

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 382

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საფუძველი 385

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზნები და ამოცანები 389

ე) საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება და სახეები 393

§2. საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება და მისი ჩატარების ზოგადი წესი 397

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება მისი ჩატარების ადგილზე მისვლამდე 397

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროის, ადგილისა და გარემო-პირობების შერჩევა და მომზადება 399

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება ადგილზე მისვლის შემდეგ 402

დ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი წესი 404

§3. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა 405

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკური ხერხების კლასიფიკაცია 405

ბ) საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკის ზოგიერთი საკითხი 406

§4. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია 409

საკონტროლო კითხვები 415

 თავი XIV. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა 417

§1. ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება, არსი და მნიშვნელობა 417

ა) ჩვენების ადგილზე შემოწმების არსი და მნიშვნელობა 417

ბ) ჩვენების ადგილზე შემოწმების აღმოცენება, განვითარება, მიზნები და ამოცანები 418

გ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ცნება 421

§2. ჩვენების ადგილზე შემოწმების განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან 423

§3. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა 426

ა) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მომზადება 430

ბ) ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ტაქტიკა 429

§4. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შედეგების ფიქსაციის ხერხები 436

საკონტროლო კითხვები 437

თავი XV. ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა 439

§1. ამოსაცნობად წარდგენის ცნება, მიზნები და ამოცანები 439

§2. ამოსაცნობად წარდგენის სახეები 443

§3. ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა 446

ა) ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების მომზადება 446

ბ) ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების ტაქტიკა 452

საკონტროლო კითხვები 462

თავი XVI. შემოწმების ჩატარების ტაქტიკა 464

§1. შემოწმების ცნება და მისი განსხვავება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან 464

§2. შემოწმების არსი და მისი ჩატარების ზოგიერთი ტაქტიკური თავისებურება 467

საკონტროლო კითხვები 472

თავი XVII. პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებზე კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკვანძო საკითხების ცოდნის შემოწმება და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება კაზუსების განხილვითა და საქმიანი თამაშების ჩატარებით 474

ა) ზოგადი მითითებები ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით 516

ბ) ზოგადი მითითება და დავალება საქმიანი თამაშების ჩატარებასთან მიმართებაში 519

თავი XVIII. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცალკეული თემების ცოდნის შემოწმება ტესტირების მეთოდით 520

რეზიუმე (რუსულ ენაზე) 585

ლიტერატურა 586

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 38
ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., 112.